



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

M RAVALTAVI

Philological and Historical
Researches

Published since 1971

23

ქართული
რეალთაუი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიგანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ მორიგ, 23-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლო-გიურ-კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობით-ისტორიული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს; აგრეთვე 2008-2009 წლების ქრონიკა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ცენტრის მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ჩატარებული კონფერენციების, გამოფენების, ექსპედიცია-მივლინებების შესახებ. აქვე მკითხველი გაეცნობა ინფორმაციას ცენტრში შემოსული პირადი არქივებისა და ახალი წიგნების, აგრეთვე ცენტრის თანამშრომელთა ნაშრომების შესახებ.

სარედაქციო კოლეგია

ცისანა აბულაძე, ზაზა ალექსიძე (მთავარი რედაქტორი), ქეთევან ბეზარაშვილი, დარეჯან კლდიაშვილი, ბუბა კუდავა, ნინო მელიქიშვილი, თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე

ტომის რედაქტორები: ნინო მელიქიშვილი, მზია სურგულაძე

EDITORIAL BOARD

Tsisana Abuladze, Zaza Alexidze (editor-in-chief), Ketevan Bezarashvili, Darejan Kldiashvili, Buba Kudava, Nino Melikishvili, Tamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze

Editors of the volume: Nino Melikishvili, Mzia Surguladze

ISSN 1987-7943 („მრავალთავი“)

ISBN 978-9941-9891-4-8 (ტომი 23)

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2010

შინაარსი

ფილოლოგია

თამარ აბულაძე	
„იადიგარ დაუდის“ სპარსული წყაროს შესახებ.....	11
ზაზა ალექსიძე	
გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ და ესად ბეი (ლევ ნუსინბაუმი//ყურბან საიდი)	20
ქეთევან ბეზარაშვილი	
ქართული არალიტურგიკული სასულიერო პოეზია	24
ნინო მელიქიშვილი	
იოსებ ფლავიოსის თხზულება „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი“, როგორც პირველი ისტორიული წყარო სახარებისეული რეალობის შესახებ.....	32
ნათია ნაცვლიშვილი	
ნილკნის ეგვიპტური და სამონასტრო მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები საეკლესიო კანონების მიხედვით.....	49
თამარ ოთხმეზური	
ბასილი მინიმუსის კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში	55
ნუგზარ პაპუაშვილი	
მიხეილ საბინინი ქრისტეფორე და სპირიდონ გარეჯელების შესახებ.....	75
დავით შენგელია	
Doctrina Patrum – „გამოკრებანი წამებათანი“.....	82
მანია რაფავა	
ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა.....	98
ნესტან ჩხიკვაძე	
X საუკუნის ერთი ფრაგმენტი საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ კოლექციაში (Geo. 31).....	106

ლელა ხაჩიძე

ეფრემ მცირე და ქართული მარხვანის ახალი რედაქცია..... 117

ქეთევან ხითარაშვილი

„ფიზიოლოგის“ სიმბოლოთმეტყველება 127

თამო ჯოჯუა

1851 წელს მოწყვედილ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ გელათური და გარეჯული რედაქციები..... 134

წყაროთმცოდნეობა

ცისანა აბულაძე

სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ქეთხუდა ფარსადანის გორის ციხის მართლუსბაშად დანიშვნის თაობაზე 152

სამთავისისა და ბორის მთავარეპისკოპოსი ანდრია (ბვაზავა)

სამონაზვნო ტრადიცია საქართველოში სამთავისის ტაძრის გათხრების ფონზე..... 156

ვლადიმერ კეკელია

დავით ძე ქართველთა მეფისა – კილიკიელი კონტაბლი..... 168

მზია სურგულაძე

ეპიზოდები XVI საუკუნის საქართველოს შიდა პოლიტიკური ცხოვრებიდან. ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები 173

მანია შაორვაძე

ნინოწმინდის საეპისკოპოსო და XVI საუკუნის ნინოწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი..... 182

არქივი

გორა საითიძე

უცნობი დოკუმენტები აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება- მოღვაწეობის შესახებ (XX საუკუნის 20-30-იანი წლები) 193

ელენე ჩაბელიშვილი

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივი.....207

ხელნაწერების დაცვა-პიზიანა

ასმათ გვაზავა

RAR 8/3 „სახარება“-ზე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ.....	209
--	-----

თამარ დვალისვილი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საფონდო, საარქივო და ხელნაწერი მასალების პრევენციული კონსერვაციის საკითხები.....	214
---	-----

იზოლდა ჯიქიძე

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ჩრდილო-კავკასიური კოლექცია (ახლად შემოსული მასალის შესწავლა-დამუშავება).....	222
---	-----

ქრონიკა, ინფორმაცია (2008-2009 წწ.)

სიმპოზიუმები, კონფერენციები, სემინარები	226
პროექტები	233
გამოცემები.....	234
სამეცნიერო საცნობარო ლიტერატურა	235
საზოგადოებასთან ურთიერთობა.....	237
მივლინებები, ექსპედიციები	247
ფონდების შექმნა	248
პრაქტიკა	254
გამოხმაურება.....	255

CONTENTS

PHILOLOGY

Tamar Abuladze

About of the Persian Sources of Yadigar Daud..... 11

Zaza Alexidze

Grigol Robakidze's The Snake's Slough and Essad Bay
(Leo, Nusinbaum//Khurban Said)..... 20

Ketevan Bezarashvili

Georgian Non-liturgical Spiritual Poetry 24

Nino Melikishvili

Joseph Flavius' Work "Jewish Antiquities", As First Historical Source on
Reality of Gospel..... 32

Natia Nacvlishvili

L'eglise de Tsilkani et les questions liees avec la construction des couvents
d'apres les lois ecclesiastiques..... 49

Tamar Otkhmezuri

Basilus Minimus' Commentaries in the Georgian Translation Tradition..... 55

Nugzar Papuashvili

Mikheil Sabinin about Christopher and Spiridon of Gareji 75

David Shengelia

"Selected evidences" in "Dogmaticon" by Arsen Ikaltoeli:
old Georgian translation of "Doctrina Patrum"..... 82

Maia Raphava

Tao-Klarjeti's literature school..... 98

Nestan Chkhikvadze

X Century Fragment of the Georgian Collection in the French National
Library (Geo. 31)..... 106

Lela Khachidze

The New Redaction of Georgian "Triodion" and its Compiler..... 117

Ketevan Khitarishvili

Study of Symbols in "Physiolog"..... 127

Temo Jojua

Gelati and Gareji Redactions of the "Martyrdom" of the Monks from Gareji
Slaughtered in 1851..... 134

SOURCE STUDIES

Tsisana Abuladze

- Deed Issued by Sultan Ahmad III on Appointment of Kathuda Parsadan as
Head of Gori Fortress..... 152

Andria (Gvazava), Archbishop of Samtavisi and Gori

- Monastic Tradition in Georgia in the Background of Samtavisi Monastery
Excavations 156

Vladimer Kekelia

- David Son of King of Georgians – Conetable of Kilikia 168

Mzia Surguladze

- Episodes from the Home Political Life of the XVI Century Georgia
(Historical-chronological issues) 173

Maya Shaorshadze

- Ninotsminda Episcopate and Chronological Order of the Ninotsminda Bishops
of the XVI century..... 182

FROM THE ARCHIVE FUNDS

Gocha Saitidze

- Unknown Documents about Life and Activities of
Academician Ekvtime Takaishvili (20-30-ies of the 20th century)..... 193

Elene Chagelishvili

- The archive of historical-ethnographic society of Georgia..... 207

PROTECTION, CLEANSING AND RESORATION

Asmat Gvazava

- The restavration of “the Gospel” (RAR 8/3)..... 209

Tamar Dvalishvili

- National centre of manuscripts’ found, archival and manuscript materials
preventive conservation issues 214

Izolda Djikidze

- South Caucasian Collection Kept in the National Centre of Manuscripts
(Study and Treatment of Newly Received Material)..... 222

CHRONICLE, INFORMATION (2008-2009) 226

ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

შემოკლებები

- ბიეშ სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
- სცსა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
- სიეშ სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- სჰიშ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- ქიეშ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
- ხმ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- ხეც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
- ზიეშ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი

თამარ აბულაძე

„იაღიგარ დაუღის“ სპარსული წყაროს შესახებ

შუასაუკუნეების მეცნიერება ამ პერიოდში შექმნილი „კომპლექსური ცივილიზაციის“ (Stock 1980: 236) განუყოფელი, პროგრესული და დინამიკური ნაწილია. იგი მოიცავს პრაქტიკულ დისციპლინებს, მათემატიკურ მეცნიერებებსა და ნატურფილოსოფიას. ამ პერიოდში მეცნიერული აზრის მთავარი ბიძგი და უმთავრესი მიღწევა ემპირიზმისა და ექსპერიმენტული სულის დამკვიდრებაა, რაც უპირველესად მუსლიმური აღმოსავლეთის „ოქროს ხანას“, მუსლიმი მეცნიერების ფუძემდებლურ ნაშრომებს უკავშირდება (Briffault 1928: 190-200; Sarton, 1975). ისინი მეცნიერების სხვადასხვა დარგს განეკუთვნება და წარმოადგენს ხიდს ძველ და ახალ მეცნიერებას შორის (Lodge 1893: 9).

არაბული აღმოსავლეთის, ირანისა და შუააზიის მეცნიერებმა შეინარჩუნეს, გააცოცხლეს და გაამდიდრეს ძველი ბერძნული ტრადიცია და თეორიული ცოდნა, განავითარეს ახალი დარგები. მეცნიერების ისტორიის ცნობილი სპეციალისტის, დავიდ ლინდბერგის თქმით, ადრეულ შუასაუკუნეებში დასავლეთს ჰქონდა ბერძნული ცოდნის სუსტი და არასრული ვერსია, ხოლო აღმოსავლეთი მას მთლიანად ფლობდა (Lindberg 1976). შუასაუკუნეების ორიგინალურ თუ ნათარგმნ და გადამუშავებულ არაბულენოვან შრომებში აისახა ბერძენი სწავლულების – არისტოტელეს, ევკლიდეს, პტოლომეს, გალენის, აგრეთვე ირანელი და ინდოელი მეცნიერების შრომების კვალი. ამ ძეგლებს ევროპა არაბულიდან შესრულებული ლათინური თარგმანების საშუალებით გაეცნო XI-XII სს-ებში, რამაც დიდწილად განაპირობა ახალი, ტექნოლოგიურ საფუძველზე დამყარებული მეცნიერების განვითარება და, გარკვეული თვალსაზრისით, ევროპული რენესანსიც (Вишпер 1947: 129-130). ამასთანავე, აღმოსავლელ სწავლულთა შრომები თავიდან ითარგმნა სპარსულად (უკვე ახალსპარსულად); ამ თარგმანებმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მეტად პრაქტიკული, საგანმანათლებლო მიზანდასახულობა შესძინა.

ამდენად, შუასაუკუნეების მუსლიმური მეცნიერება დასავლურ-აღმოსავლური კულტურული მემკვიდრეობის გამაერთიანებელი ფენომენია; მისი შექმნა რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული: ითარგმნებოდა ბერძნული

ტექსტები ეგვიპტიდან და ბიზანტიიდან, სანსკრიტული ტექსტები ინდოეთიდან და ფალაური – ირანიდან, რაც ქმნიდა ნაყოფიერ ნიადაგს მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის; საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ არეალში გამოიყენებოდა ერთი საკომუნიკაციო ენა – არაბული, რაც აადვილებდა სხვადასხვა რეგიონის მეცნიერთა ნააზრევის ათვისებას მთელ აღმოსავლეთში; მუსლიმური ჰაჯი მექაში თავს უყრიდა მთელი ისლამური სამყაროს მოაზროვნეებს, ხელს უწყობდა იდეათა გავრცელებას და მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობას (Science in Asia)

შუასაუკუნეების მეცნიერების კვლევისას ევროპელ და მუსლიმ მეცნიერთა შრომებში ნაკლებადაა გათვალისწინებული ქართული მეცნიერების, როგორც ამ გავლენების ამსახველი მოვლენის თავისებურებები: ამ პერიოდის ქართული მეცნიერება ემყარებოდა მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ტრადიციას და შემოქმედებითად „გარდათქვამდა“ ელინურ-ბიზანტიურ და აღმოსავლურ კულტურათა მიღწევებს; მან მოიცვა, შეითვისა და შემოინახა მეცნიერული აზრის განვითარების ყველა ძირითადი, საეტაპო მნიშვნელობის ფაქტი და ასახა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შერწყმისა და ურთიერთგამაღვიძრების შედეგები. ამის შესახებ მიუთითებენ ქართველი მკვლევრები.

გვიან შუასაუკუნეებში საქართველო დროებით მოწყვეტილი აღმოჩნდა ევროპისაგან; იგი მთლიანად ისლამური სამყაროს გავლენის ქვეშ მოექცა. ზემოთქმული უპირველესად ქვეყნის უახლოეს მეზობელთან, ირანთან ურთიერთობას გულისხმობს. გავლენებმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართველი ერის კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს – ლიტერატურულს, ენობრივს, მხატვრულსა და მეცნიერულს.

აღმოსავლური მეცნიერების კვალი აშკარად იკვეთება ქართულ სამეცნიერო თხზულებებში, რომელთაგან ზოგიერთი უშუალოდ თარგმანს, ხოლო ზოგი – „გარდათქმა“-გადამუშავებას ნარმოადგენს. მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული მეცნიერება გვიან შუასაუკუნეებში ისტორიული ბედუკუღმართობისა და მისგან გამოწვეული შედეგების გამო ჩამორჩა მსოფლიო მეცნიერების დონეს, ზოგიერთმა დარგმა საერთოდ შეწყვიტა არსებობა. XVI-XVIII სს-ებში, „ქართული განმანათლებლობის“ პერიოდში, უაღრესად აქტუალური გახდა ქართული მეცნიერების აღორძინება არსებულ ტრადიციებზე დაყრდნობით, მათი გამაღვიძრებით, საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილში ზოგადი თეორიული საფუძვლების შეტანით და გარკვეული პრაქტიკული ჩვევების აღდგენით. ცნობილი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი ამ პერიოდს „ენციკლოპედიურ ხანას“ უწოდებს, როდესაც „ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იქითკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულები შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი... ცოდნა გადაეცათ“ (ჯავახიშვილი 1928: 116).

აღნიშნული ტენდენციები ნათლად აისახება შუასაუკუნეებში შექმნილ სამეცნიერო ხასიათის შრომებში. ქართველ მოღვაწეთა ეს თხზულებები შეიცავს მდიდარ მასალას ქართულ – აღმოსავლური კულტურული ურთიერთობების შესასწავლად, წარმოაჩენს ქართველი მოაზროვნეების, მთარგმნელებისა და „გარდამთქმელების“ როლს ამ პერიოდის მეცნიერული აზრის ფორმირებაში და მათს საგანმანათლებლო მიზანდასახულობას. მათი კვლევა მეცნიერების და, ზოგადად, კულტურის ისტორიის კუთხით წარმოაჩენს ახლოაღმოსავლეთის ერთიანი კულტურული არეალის განვითარების ძირითად მიმართულებებს.

ეს ძეგლები განეკუთვნება მეცნიერების სხვადასხვა დარგს (ასტრონომია/ასტროლოგია, კოსმოგონია, კალენდარული მასალა; მედიცინა/ბიოლოგია/ფარმაცევტიკა; ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა; მინერალოგია, გეოლოგია, გეოგრაფია) და ხშირ შემთხვევაში სპარსულ წყაროებს, ცნობილი აღმოსავლელი სწავლულების (ულუღბეგის, ნასირ ედ-დინ ტუსის, არ-რაზის და სხვ) შრომებს და იმ პერიოდში მიღებულ აღმოსავლურ სქემებს უკავშირდება. ჩვენი ფონდები მდიდარია ამგვარი მასალით.

სამეცნიერო შინაარსის თხზულებების შემცველი ქართული ხელნაწერი კრებულები ასე შეიძლება დავაჯგუფოთ:

სამეცნიერო ცნობათა კრებულები:

- ასტრონომიულ-ასტროლოგიური ცნობები, რომლებიც შეიცავს თხრობას ზოდიაქოთა შესახებ, კალენდარულ ცნობებს, ცალკეულ მნათობთა დახასიათებასა და მოძრაობას, მთვარის ფაზების აღწერას და სხვ.

- სამედიცინო-სამკურნალო ხასიათის ცნობები (ადამიანთა და ცხოველთა /ცხენის, ფრინველთა, საქონლის/ მკურნალობასთან დაკავშირებული ცნობები), წამლებისა და სამკურნალო საშუალებების მცირე ან ვრცელი ჩამონათვალი;

თემატურად მრავალფეროვანი, გაერთიანებული კრებულები:

- სასულიერო შინაარსის კრებულები, რომლებიც ფართო მოხმარებისათვის იყო გამიზნული პოპულარული ასტრონომიულ-ასტროლოგიური და/ან სამედიცინო მასალით (სამკითხაო, ზოდიაქოები, საეტლო-სამთვარიო, კარაბადინები...);

- შერეული მასალის შემცველი კრებულები – მაგ.: ასტრონომია-ასტროლოგია და მათემატიკა, ასტრონომია-ასტროლოგია და მკურნალობა, ან ერთად; სახელმძღვანელოები:

- ერთი სამეცნიერო დისციპლინის სახელმძღვანელო (მათემატიკის, ფიზიკის, ასტრონომიის)

- ერთი სამეცნიერო დისციპლინის სახელმძღვანელო მომიჯნავე დისციპლინების ელემენტებით (ასტრონომია და მათემატიკა, გეოგრაფია; ან: მკურნალობა/კარაბადინები და ანატომია, ფარმაცევტიკა, ფიზიოლოგია, ბოტანიკა ...)

- კითხვა-მიგებითი – მსჯელობა მეცნიერების სხვადასხვა დარგის საკითხებზე ხშირ შემთხვევაში გარკვეული ლოგიკური ურთიერთკავშირის დაცვით.

აღნიშნული მასალიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართული სამედიცინო შინაარსის თხზულებები, დაავადებებისა და სამკურნალო საშუალებათა აღწერის, სამედიცინო ხასიათის ცნობების შემცველი კრებულები. ამ ტიპის ხელნაწერები მრავლადაა ქართულ ფონდებში.

ქართული სამედიცინო აზროვნება ეროვნულ-ხალხურ ტრადიციებს ემყარებოდა. მას საკმაოდ მდიდარი და ხანგრძლივი ისტორია აქვს, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემები, ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, აგრეთვე ძველი მსოფლიოს ისტორიკოსთა შრომებში დადასტურებული ცნობები (მაგ. სტრაბონი). მან შემოინახა სატაძრო, მაგიური, ხალხური და საერო ცოდნა (იადიგარ დაუდი 1985: IX). შუასაუკუნეებში იგი ისევე, როგორც მეცნიერების სხვა დარგები, განიცდის ძლიერ არაბულ-ირანულ გავლენას – პოპულარული ხდება აღმოსავლურ სქემებზე აგებული სამედიცინო თხზულებები და კრებულები, კარაბადინები, რომლებიც ეხება როგორც ზოგადსამედიცინო, ისე ანატომიის, ფიზიოლოგიის, ფარმაციის და დიაგნოსტიკის ცალკეულ საკითხებს.

არაბული მედიცინა ისევე, როგორც არაბული ფილოსოფია, ემყარებოდა არისტოტელეს გადამუშავებებსა და კომენტარებს და ორთოდოქსული თეოლოგიისაგან განსხვავებით, თავისუფლად ვითარდებოდა. მან შემოინახა მეცნიერების მთელი წინა ისტორია და ასახა ზოგადკულტურული გავლენები. ეს კავშირი თვალსაჩინოა ქართულ წერილობით ძეგლებშიც, სამედიცინო-სამკურნალო ხასიათის თხზულებებში, რომელთა უმეტესობა შუასაუკუნეებშია შექმნილი და ამ პერიოდის აღმოსავლურ ტრადიციასთან და ცნობილი აღმოსავლელი ავტორების თხზულებებთან პოულობს პარალელებს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პერიოდის ქართული სამედიცინო თხზულებების შემდეგი სახეობები გამოიყოფა: ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატები, პრაქტიკოს ექიმთათვის განკუთვნილი სამკურნალო წიგნები – კარაბადინები, სასწავლო-საექიმო წიგნები – სახელმძღვანელოები, საოჯახო წიგნები – კარაბადინები, მოკლე ცნობარები (შენგელია 1980: 142)

გვიან შუასაუკუნეებში იცვლება გემოვნება და საზოგადოებრივი დაკვეთა; ხდება მეცნიერული თუ მხატვრული აზროვნების „ირანიზაცია“. ამ პერიოდის ძველი ქართული სამედიცინო თხზულებების გამომცემელი ლ. კოტეტიშვილი XII-XV სს-ების სამედიცინო თხზულებებს „ირანულ-არაბული პერიოდის“ ძეგლებად თვლის (იადიგარ დაუდი 1985: 22). XVI ს-დან იქმნება შერეული ტიპის ხელნაწერი კრებულებიც, ე. წ. „სამაგიდო წიგნები“, რომლებიც შეიცავს ერთი შეხედვით შეუთავსებელ მასალას როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისე წარმომავლობის მხრივ. მაგალითად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცული XVIII ს-ის ხელნაწერი კრებული, რომელიც სასულიერო პირის, ამბროსი ნეკრე-

სელის¹ კრებულის სახელითაა ცნობილი, შეიცავს როგორც აგიოგრაფიულ მასალასა და ბიბლიურ თხრობებს, აგრეთვე ვარსკვლავთმრიცხველობის წიგნს, საეტლო-სამთვარიოს და სამკურნალო რჩევა-დარიგებებს, რომლებიც აღმოსავლურ სქემაზეა აგებული. შესაძლებელია სხვა მაგალითების მოყვანაც.

საინტერესოა, რომ არსებობდა სწორედ ამგვარი სპარსული კრებულებიც. როგორც ჩანს, გარკვეულ პერიოდში მათი ანალოგიითაც იქმნებოდა შესაბამისი ქართული, ზემოთ ნახსენები კრებულის მსგავსი შედგენილობის ხელნაწერები. ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერია ეროვნული ცენტრის აღმოსავლური კოლექციის ნუსხა – უცნობი ავტორის (ავტორთა) თხზულებების შემცველი ბუხარული ხელნაწერი კრებული **PAC-575**, სადაც წარმოდგენილია მოკლე მათემატიკური შინაარსის სტატიები და ამავე დროს თეოლოგიური მასალაც – ლექსები და სტატიები.

ცენტრის კოლექციებში წარმოდგენილია IX-XVI სს-ების ცნობილი აღმოსავლელი სწავლულების, მედიკოსების ალ-‘ათერის, ბენ იუსუფის, ალ-ხორეზმის, ალ-ჯორჯანის, ზაქარია არ-რაზის და სხვათა შრომები, რომლებიც საეტაპო მნიშვნელობის მქონე თხზულებებია შუასაუკუნეების მედიცინის ისტორიაში.

შუაზიურ და ყაჯარის კოლექციებში დაცულია XII ს-ის დიდი სწავლულის ალ-ჯორჯანის განთქმული „ზახირე ხორეზმშაჰის“ – ზოგადი მედიცინის პოპულარული, 9 წიგნისაგან შედგენილი სახელმძღვანელოს, მისი ცალკეული ნაწილების, აგრეთვე მისი შემოკლებების, გადამუშავებების და მათ საფუძველზე შექმნილი ვერსიების შემცველი ხელნაწერები;² მანსურ ბენ მუჰამედ ბენ იუსუფ ბენ ალ-იას შირაზის (VIII-IX სს.) თხზულება „ქაფაიე მანსური“, რომელიც მოიცავს თანადროული მედიცინის მთელ ცოდნას და შედგება ზოგად-თეორიული ნაწილისა და რთულ (შედგენილ) ნამალთა დახასიათებისაგან; შირაზის მუზაფერედდინის შაჰ-შუჯას (1359-1384 წწ.) კარის ექიმის ალი ბენ ჰოსეინ ... ალ-‘ათერის „უხთიარათე ბადი‘ი“ („რჩეული გამოკრებილი“), რომელშიც აღწერილია სამკურნალო საშუალებათა დამზადებისა და შენახვის ტექნოლოგია და შესაბამისი ჭურჭელი; ამ პრეპარატების დანიშნულება კონკრეტული დავადებების მკურნალობისათვის. თხზულების ერთ-ერთი რედაქცია (ბოდლეანის კოლექციიდან) ემყარება ზემოთხსენებულ „ზახირე ხორეზმშაჰს“.

ჩვენს კოლექციებში წარმოდგენილია ენციკლოპედიური ტიპის კრებულებიც. მაგ.: „ჩაჰარ მაყალეს“ ერთი ხელნაწერი – **PAC 428**, ვრცელი ენციკლოპე-

¹ ამბროსი მიქაძე (1728-1815), ნილკნის (1778 წ.), მანგლისის (1778-1779), ნეკრესის (1779-1815) მღვდელმთავარი, ცნობილი მქადაგებელი, მისიონერი და მოღვაწე.

² „ზახირე ხორეზმშაჰის“ ქართული ვერსია „ხვარაზმშაჰის საუნჯე“ მატენადარანის ხელნაწერის მიხედვით (XV ს.) მონოგრაფიულადაა შესწავლილი ლ. სამყურაშვილის მიერ. იგი ქართულ ვერსიას XII ს-ით ათარიღებს. იხ. სადისერტაციო ნაშრომი – „X-XIII საუკუნის დასაწყისის ქართული სამედიცინო ძეგლები (ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური გამოკვლევა)“.

დია, რომელიც 4 წიგნს შეიცავს და წარმოგვიდგენს სხვადასხვა დაავადებათა დახასიათებას ადამიანის ორგანოთა მიხედვით, აგრეთვე სამკურნალო საშუალებათა ნუსხას და სპეციალური ტერმინების ჩამონათვალს. ანალოგიური შინაარსისა და აგებულების თხზულება, რომელიც წარმოადგენს ინდოელი და არაბი ავტორების კომპილაციას, აღწერილია ჰ. ეთეს მიერ – ბოღლენური ხელნაწერი №1614 (Ethe, II, 1930). საინტერესოა, რომ აღნიშნულ ხელნაწერს ერთვის V თავი, სადაც სამკურნალო საკითხებთან ერთად განიხილება ასტროლაბის, გლობუსის აგებულება და გამოყენება, ხოლო VI თავში კი მოცემულია თხრობა მთების აგებულების, მინერალების, ქვეყნის საოცრებების, დროისა და სივრცის შესახებ.

საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ ის ქართულ-სპარსული სამედიცინო კრებულები, რომლებიც უკავშირდება ქართულ ენაზე შექმნილ ცნობილ სამედიცინო თხზულებას „იადიგარ დაუდს“. ძველი XVI საუკუნეშია შესრულებული და ეკუთვნის ლუარსაბ პირველის შვილს, საქართველოს მეფეს დავითს, შემდგომში დაუდ-ხანს. მან განათლება მიიღო საქართველოსა და ირანში. თხზულება დაინერა 1579-1588 წლებში თბილისსა და სტამბოლში, სადაც ავტორი გარდაიცვალა 1588 წელს 46 წლის ასაკში.

ძველის გამომცემელი ლ. კოტეტიშვილი განიხილავს დაუდ-ხანის ფილოსოფიურ-სამედიცინო კონცეფციას, ანატომიურ-ფიზიოლოგიურ, ჰიგიენისა და კვების საკითხებს, იმ ინფორმაციასა და მონაცემებს, რასაც ემყარებოდა ქართული მედიცინა 400 წლის განმავლობაში. თხზულება შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ზოგადი მედიცინა, დიეტეტიკა და კერძო პათოლოგია და თერაპია. იგი ემყარება ჰიპოკრატეს ჰუმორალურ-პათოლოგიურ სისტემას, რომელიც განავითარეს გალენმა, შემდგომში კი არაბმა მეცნიერებმა და სხვა კულტურულმა ხალხებმა. იგი ორგანული გახდა ქართული სამედიცინო აზროვნებისა და ყოფისათვის. (იადიგარ დაუდი 1985: 39-40). ამ კონცეფციის მიხედვით, საკვები ადამიანის ორგანიზმში „დნება და დუღდება“, ემსგავსება ქერის წყალს (ქეილუსს); შემდეგ იგი კუჭიდან ღვიძლისაკენ მიემართება და ოთხ ხილთად – წვენად გარდაიქმნება: სისხლად, საფრად, ბალამად და სევდად. ბოლოს ისინი შეიწოვება ძარღვებში. ადამიანის სიცოცხლისათვის საჭიროა მის ორგანიზმში ოთხივე ამ „წვენის“ სრულყოფილად არსებობა. დავით ბაგრატიონის სიტყვებით, „რარიგადცა ხე წყლითა იხარებს და წყალი ანედლებს, ისევე ყოველი ასო და ყოველი ძარღვი ამა ქეილუსითა იხარებს და ნედლი არის და ამა ქეილუსითა ცოცხალი“ (იადიგარ დაუდი 1985: 42).

გალენის ცნობილი მარტივი პრეპარატები – ნატურალური სფეროებიდან (წიაღისეულიდან, ცხოველური და მცენარეული სამყაროდან) მომდინარე მატერიალური სუბსტანციები, რომლებიც ჰიპოკრატედან იღებს სათავეს, I ს-დან ივსება რთული ნივთიერებებით – სიროპებით, აბებით, გამოხდილი ნივთიერებებით. მოგვიანებით იქმნება ე. წ. „თერიაქები“ – ოპიუმის შემცველი რთული შედგენილობის წამლები, რომლებიც გამოიყენებოდა არაბულ სამყაროში; მათი

რეცეპტების კრებულები – კარაბადინები დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ვრცელდებოდა მთელს ახლოაღმოსავლეთის რეგიონში და შემდგომ (XI ს-დან) უკვე ევროპაშიც ლათინური თარგმანების საშუალებით. შუასაუკუნეებში, როდესაც მიმდინარეობს ბრძოლა პარაცელსისა (ალქიმიურ-სამედიცინო მიმართულება) და გალენის მომხრეებს შორის, გალენისტები ქმნიან ახალ პრეპარატებს – დისტილირებულ წყლებს, ცხოველური წარმოშობის ახალ პრეპარატებს, სიროპებს, აბებს, რაც შესაძლებელი გახდაა შაქრისა და სპირტის წარმოება. არ-რაზი კი აერთებს მედიცინასა და ალქიმიას ნატურფილოსოფიაში (Medieval ... 2006: 607-609). „იადიგარ დაუდ“-ში აისახება სამედიცინო აზროვნების აღნიშნული პერიოდი.

თხზულების შესავალში მისი შემდგენელი და „გარდამთქმელ-გადმომთარგმნელი“ დავით ბაგრატიონი წერს, რომ სტამბოლში ყოფნისას იგი ერთ ფილოსოფოსს და მცოდნე კაცს შეხვდა, რომელმაც სახლში წაიყვანა, სადაც მან ბევრი „საკვირველი“ სააქიმო წიგნი დაათვალიერა. „საქრისტიანოშიგა ამისთანა და ამგვარი ქართული წიგნი სააქიმო არ იყო“ – წერს დავითი. ავტორი საერო მედიცინის კარგი მცოდნეა, პრაქტიკოსი და განსწავლული ექიმი. მისი ნაშრომი საკმაოდ რთული მუშაობის შედეგია – მას გადმოუთარგმნია ორი წიგნი „ მუნთახაბი შაფა“ და „იადიგარ შარიფი“ „ორსა ბრძენსა და ფილოსოფოსთა კაცთაგან“. ამავე დროს შეუტანია მასში თავისი საკუთარი დაკვირვებები, მის მიერ შედგენილ წამალთა რეცეპტები და სხვ.

დღემდე არ იყო გარკვეული, კონკრეტულად რომელ სამედიცინო თხზულებებს ემყარებოდა დაუდ-ხანი. ეროვნულ ცენტრში დაცულ სამეცნიერო შინაარსის სპარსულენოვან თხზულებებზე მუშაობისას შუააზიურ კოლექციაში მივაკვლიეთ ერთ ხელნაწერს **PAC 432**, რომელიც აერთიანებს ორ თხზულებას – შიფა ალ-‘ალილ-ს (ავადმყოფის განკურნება) და სამკურნალო კარაბადინს. პირველი თხზულების ავტორია ‘უბაიდ ოლლა ბენ იუსუფ ‘ალი ალ-ქაჰჰალი (8f). ეს ხელნაწერი XIX ს-შია გადაწერილი, თავ-ბოლო ნაკლულია (კატალოგი 1977: 93). იუსუფ ‘ალი ალ-ქაჰჰალის ეს თხზულება დაცულია უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდშიც (№609). იგი XVII ს-ით თარიღდება (Семёнов 1952: 271-272).

თხზულების ავტორი ცნობილი ექიმი-ოკულისტია, რომელმაც შეადგინა თავისი ნაშრომი არაბული და სპარსული კრებულების საფუძველზე მუჰამედ დერვიშ ბაჰადურ ხანის ბრძანებით, რომელიც მართავდა სამარყანდს 1526-1536 წწ.). საინტერესოა, რომ ამ მმართველისადმი მიძღვნილი სხვა სამედიცინო შინაარსის ძეგლებიც, მაგ.: XVI ს-ში სულთან ‘ალი ალ-ხორასანის მიერ შედგენილი თერაპიის სახელმძღვანელო – დასტურ ალ’ილაჯ, რომლის ორი ნუსხა ინახება ოქსფორდის მედიცინის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (**MS P6** და **MS P7**). ეს ხელნაწერებიც XIX ს-შია გადაწერილი.

„იადიგარ დაუდის“ წყარო უნდა იყოს ან უშუალოდ ‘ალი ალ-ქაჰჰალის თხზულება შიფა ალ-‘ალილ (ავადმყოფის განკურნება), ან მისგან „გამოკრებილი“

(მონთახაბ), რომელიც, შესაძლოა, ამავე სახელწოდებით არსებობდა სპარსულ ენაზე – მონთახაბ აზ შიფა. ვფიქრობთ, სავსებით ლოგიკურია საუბარი დავით ბაგრატიონის მიერ თავისი თხზულების ერთ-ერთ წყაროდ დასახელებულ „მუნთახაბი შაფასა“ და მითითებულ სპარსულ თხზულებას „შიფა ალ-‘ალილი“ ან მისგან გამოკრებილ (მონთახაბ აზ შიფა) ვერსიას შორის უშუალო კავშირის შესახებ; ვგულისხმობთ თვით ავტორის, ‘ალი ალ-ქაჰჰალის მოღვაწეობის პერიოდსა და სპარსული თხზულების დასათაურებას.

ტექსტების დეტალურმა შედარებამ ნათელყო, რომ ჩვენი სამედიცინო თხზულება მე-7 კარიდან უშუალოდ მიჰყვება იუსუფ ‘ალის თხზულებას შედგენილობის თვალსაზრისით, კერძოდ: იგი იწყება თავის (ტვინის) დაავადებებით და მათი სამკურნალო საშუალებების აღწერით., შემდეგ მოდის თვალის (კარი 17-ე), ცხვირის, ყელისა და ყურის, ყბა-სახის, შიდა ორგანოების დაავადებები და მათი მკურნალობა, აგრეთვე კოსმეტიკისა და ტოქსიკოლოგიის საკითხები და სხვ.

შესადარებლად ავიღეთ სწორედ მეშვიდე თავი, რომელიც ძირითადად ეხება თავისა და ტვინის დაავადებებს, თუმცა აქ ზოგიერთ სხვა დაავადებებზეცაა საუბარი (მაგ.: სურავანდის შესახებ). იგი ათი ნაწილისაგან შედგება, როგორც „იადიგარ დაუდი“ შესაბამისი კარი. ამასთან, ქართული ტექსტი უშუალოდ არ მიჰყვება სპარსულს ფრაზეოლოგიის თვალსაზრისით, ტერმინოლოგია კი ფაქტიურად არაბულ-სპარსულია.

ქართულ და სპარსულ თხზულებებზე მუშაობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის თვალსაზრისი, რომ დაუდ-ხანის თხზულება არ წარმოადგენს პირდაპირ თარგმანს, თუმცა აშკარად იკვეთება მითითებული წყაროს უშუალო კვალი.

ბამოყენებული ლიტერატურა

- Briffault 1928:** Briffault, Robert, *The making of Humanity*, G.Allen & Unwin Ltd., 1928.
- Виппер 1947:** Виппер, Р. Ю. *История средних веков*, Москва: издание МГУ, 1947.
- Ethe, 1930:** Ethe H., *Catalogue of the Persian, Turkish, Hindustani and Pushtu Manuscripts in the Bodlean Library*, Oxford: 1930.
- იადიგარ დაუდი 1985:** დავით ბაგრატიონი, „იადიგარ დაუდი“, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985.
- კატალოგი 1977:** სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (AC კოლექცია), შეადგინა მ. მამაცაშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.
- Lindberg 1976:** Lindberg, David C. *Science in the Middle Ages* (book on-line). Chicago: University of Chicago press, 1976.
- Lodge 1893:** Lodge, Oliver Josef, *Pioneers of science*, (wikipedia, on-line encyclopedia), available from <http://en.wikipedia.org/wiki/Islamic-of-sciences/index.html>;Internet.
- Medieval 2006:** *Medieval Islamic Civilization*, editor Josef W. Meri, vol.2, Routledge, Taylor & Francis group, New York, London, 2006.

Sarton 1975: Sarton, George, *History of Islamic Science based on the book "Introduction to the History of Science" by George Sarton*, 1975; available from <http://www.levity.com/alchemy/islam/>; index.html; Internet.

Science in Asia: *Science in Asia and Africa, Islamic science* (wikipedia, on-line encyclopedia), last modified 21 September 21, 2007; available from http://en.wikipedia.org/wiki/History_of_science_in_the_Middle_Ages/index.html; Internet.

Семёнов 1952: *Собрание восточных рукописей Академии Наук Уз. ССР под редакцией и при участии проф. А. А. Семёнова, I*, Ташкент: издательство АН Уз. ССР, 1952

Stock 1980: Stock, Brian, *Science, Technology and Economic Progress in the Early Middle Ages*, *Journal of the History of medicine and Allied Sciencis*, 1980, XXXV (2).

შენგელია 1980: შენგელია მ., ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1980.

ჯავახიშვილი 1928: ჯავახიშვილი ივანე, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, ტფილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1928.

Tamar Abuladze

ABOUT OF THE PERSIAN SOURCES OF YADIGAR DAUD

SUMMARY

The Georgian medical works of the Middle Ages display general trends and tendencies of the cultural area of the Near East; they involve rich material for studying Georgian-Oriental cultural relations and highlight the role of Georgian thinkers, translators and retellers in formation of the scientific thought of that period.

Yadigar Daud is one of the most popular Georgian medical works compiled by David Bagrationi (Daut- Khan) in the XVI century. It is based on the humoral-pathological system of Hippocrates and innovations introduced into the medieval pharmacy by Galenists and Ar-Razi.

It has not been known by now what concrete works Yadigar Daud is generated from. The analysis showed that the composition of the Persian manuscript PAC-432, preserved in the Middle Asian fund of the National Centre, from chapter 7 is directly followed by the Georgian work. The author of this work is a doctor-oculist, who compiled his work on the basis of Arabian and Persian collections on the order of Muhammad Dervish-Bahadur Khan. One of the sources of Yadigar Daud should be either this work or the one collected from it (Montahab) and, probably, existed in Persian.

ზაზა ალაქსიძე

ბრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ და ესად ბეი (ლევ ნუსინბაუმი//ყურბან საიდი)

ყურბან საიდის „ალი და ნინო“ მსოფლიო ლიტერატურის ბესტსელერი გახდა. პირველად თ. ინჯიამ მიაქცია ყურადღება, რომ ამ თხზულებაში ბევრი პასაჟი პირდაპირ ემთხვევა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ შესაბამის ადგილებს. ცხადია, ასეთი დამთხვევები არ შეიძლებოდა ყოფილიყო შემთხვევითი და ირიბი არგუმენტებით გამოითქვა მოსაზრება, რომ „ალი და ნინოს“ ავტორს წაკითხული უნდა ჰქონოდა „გველის“ პერანგი. საკითხს მეც გამოვეხმაურე ორი მოხსენებით: 2005 წელს კონსერვატორიაში, დავით ანდლულაძის საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციაზე (მოკლე შინაარსი დაიბეჭდა) და 2006 წელს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (მაშინვე გადაეცა დასაბეჭდად და გამოქვეყნებულია „მრავალთავის“ XXII ტომში) სახელწოდებით „გრიგოლ რობაქიძე და ყურბან საიდი (ესად ბეი): ახალი მასალა“ (მკითხველს ვთხოვ, საჭიროების შემთხვევაში, ლიტერატურის მითითება აქვე მოძებნოს). ამავე წელს და ამავე საკითხზე მქონდა ვრცელი გადაცემა (ერთი საათი) ტელევიზიით რუბრიკაში „ლამის საუბრები“.

ნაშრომში ჩემს მიერ გამოქვეყნებულია ესად ბეის (ლევ ნუსინბაუმი//ყურბან საიდი) მიერ ხელმოწერილი ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან (1931 წ.), ნაწყვეტები მისი ნაშრომებიდან „ხევსურები“ (1934) და „ნითელი სამართალი“ (1938 წ.), საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ყურბან საიდს (ესად ბეის) არა მარტო წაკითხული ჰქონდა „გველის პერანგი“, არამედ გრიგოლ რობაქიძე და ესად ბეი (ყურბან საიდი) ახლოსაც იცნობდნენ ერთმანეთს. ესად ბეი ზემოთ დასახელებულ წიგნებში უხვად სარგებლობს, აგრეთვე, გრიგოლ რობაქიძის სხვა წიგნებიდან („ენგადი“, „ჩაკლული სული“) და პირადი საუბრებიდან. ნაშრომს დართული აქვს P. S., რომელშიც ნათქვამია:

„სტატია დიდი ხნის დაწერილი და გადაცემული იყო გამომცემლობაში, როდესაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ნინო და კალისტრატე სალიების არქივის შესწავლისას არქივარიუსი ეთერ ქავთარაძე გრიგოლ რობაქიძის მიერ ნინო და კალისტრატე სალიებისადმი გაგზავნილ ერთერთ წერილ-

ში (31. V. 1952 წენევა) გადააწყდა ესად-ბეის მოხსენიებას. მაღლობით მინდა აღვნიშნო, რომ ე. ქავთარაძემ ეს წერილი მაშინვე მე გადმომცა კომენტარი-სათვის. მე მართლაც ვაპირებ შემდგომში მივუბრუნდე რობაქიძისა და ესად ბეის კონტაქტების პრობლემას ამ წერილის ფონზე, რადგან ახლი მასალა სხვაც დამიგროვდა. მაინც საჭიროდ ჩავთვალე შესაბამისი ნაწყვეტი აქვე მომეტანა, რომ მკითხველს, ჩემთან ერთად, უფრო ნათელი წარმოდგენა შექმნოდა მათ ურთიერთობაზე.

გრიგოლ რობაქის წერილი საკითხების მიხედვით დაყოფილია მუხლებად. ესად ბეის თემას უკავია მეხუთე მუხლი მთლიანად.

5. მისწერეთ ნიკო ნაკაშიძეს: გამოგიგზავნოთ ტექსტი (გერმანულად) *ის-საღ-ბქის* (ასე ტექსტში – ზ. ა.) ნაწერისა, საცა შეგინებული იყოს ქართველობა. მოსთხოვეთ! მე მხოლოდ ქება წამიკითხავს (ენერა „მომისმენია“, რომელიც რობაქიძეს ენერგიულად გადაუშლია. ჩანს, არა სურდა მისი პირადი კონტაქტი ესად ბეისთან გამჟღავნებულიყო – ზ. ა.) ქართველთა მისს, *ისსაღ-ბქის*, ნაწერებში. მართალია, აქა-იქ ვერ ლაგმავს ავტორი თავისს ფანტაზიას – ხოლო როგორ მივიჩნიოთ ეს „გინებად“? ერთი ადგილი აქვს, რომელიც ზოგიერთი ქართველის სმენას „ეხამუშება“. ამბობს: წმ. ნინო ებრაელი იყოვო. მახსოვს: ერთხელ სადათიერაშვილი მოვიდა ჩემთან, წინადადებით: პროტესტი უნდა გამოვაცხადოთ და სხვა. ვისაც ეს „ეხამუშება“, იგი ქრისტიანე არაა: განა მოციქულნი ებრაელნი არ იყვნენ?! ვინ იყო ტომით წმ. ნინო, ჩვენ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ იგი კაპადოკიითგან იყო. სხვათა შორის, ჩემს წინა წერილში შეასაწორეთ სახელი იმ ჟურნალისა, საცა *ისსაღ-ბქის* ესკიზი იყო ჩემზე მოთავსებული. *Weltühne* კი არა *Echo der Zeit* (დედანიში ასეა, უნდა იყოს *Echo der Zeit* – ზ. ა.), 1933, თებერვალი, მეორე რვეული (ესად ბეის გრიგოლ რობაქიძის შესახებ 1933 წლით დათარიღებული „ესკიზის“ მონახვა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. არა ჩანს ასეთი „ესკიზი“ ესად ბეის დეტალურ ბიბლიოგრაფიაშიც. შესაძლოა, გრიგოლ რობაქიძეს ეშლება და გულისხმობს იმ ინტერვიუს, რომლის სრული თარგმანი ჩემს ნაშრომში მოტანილია – ზ. ა.).

მართალია, P. S.-ში „ახალი მასალის დაგროვებაზე“ ვლაპარაკობდი, მაგრამ ყველა მათგანი არ არის თანაბარი მნიშვნელობისა და მეც აღარ ვაპირებ ამ საკითხებზე სიტყვის გაგრძელებას, ამიტომ მხოლოდ ერთზე, და ყველაზე მნიშვნელოვანზე, შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების მცოდნეს კარგად ახსოვს, რომ 1928 წელს გერმანიაში შტეფან ცვაიგის შესავალი წერილით გამოქვეყნდა „გველის პერანგი“. ამ გამოცემას მომდევნო წელსვე (შესაძლოა, სულ რამდენიმე თვის შემდეგ) გამოეხმაურა ესად ბეი (ყურბან საიდი) მოკლე ცნობითა და შეფასებით, რომლის წაკითხვა დაინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია ქვემოთ, როგორც დედნის ენაზე, ისე ქართულად.

Grigol Robakidze: Das Schlangenhemd. by Essad Bey

Ein Roman des georgischen Volkes. Mit einem Vorwort von Stefan Zweig. Eugen Diederichs, Das Tage Buch, 1929, page 1912

Ein Roman des georgischen Volkes. Mit einem Vorwort von Stefan Zweig. Eugen Diederichs, RM. 6, 80.

Das beste exotische Buch, das seit Jahren erschienen ist. Das Exotische, das bis jetzt immer durch das Prisma des Europäischen gesehen wurde, ist hier zum erstenmal dargestellt von einem Orientalen, dem man das Prädikat Dichter mit vollem Recht zusprechen kann. Die sonst so unangenehme Panoptikum-Psychologie eines europäischen exotischen Romans fehlt hier vollständig, ebenso wie der allzu oft billige Aesthetizismus eines europäischen Exoten-Dichters. Dagegen ist der Roman architektonisch an die europäischen und nicht orientalischen Romantraditionen angegliedert, wodurch auch dem Europäer das Verständnis der orientalischen Gedankenwelt möglich wird. Der künstlerisch gediegene Stil des Romans, die beinahe magische Sprachkunst lässt auch die einzelnen technisch-psychologischen Unzulänglichkeiten übersehen.

გრიგოლ რობაქიძე: „გველის პერანგი“, ესად ბეი. ქართველი ხალხის რომანი, შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით. დიდერიხის გამომცემლობა, Das Tage Buch, 1929, გვ. 1912.

„ყველაზე ეგზოტიური წიგნი, რომელიც კი ბოლო წლების განმავლობაში გამოჩენილა. ეგზოტიკა, რომელსაც დღემდე ყოველთვის ევროპელის პრიზმიდან ხედავდნენ, პირველად არის წარმოდგენილი აღმოსავლელის მიერ, რომელსაც სრული უფლებით შეიძლება ეწოდოს „პოეტი“. აქ ვერ ნახავთ ევროპული ეგზოტიური რომანის ჩვეულებრივ ასე უსიამოვნო ფსიქოლოგიურ პანოპტიკუმს, აგრეთვე, ევროპელი პოეტის ეგზოტიურ ესთეტიზმს, რომელიც მეტისმეტად ხშირად იაფფასიანია. პირიქით, [ეს] რომანი არქიტექტონიკით განეკუთვნება რომანის ევროპულ, და არა აღმოსავლურ ტრადიციებს, რისი მეშვეობითაც ევროპელისთვისაც შესაძლებელი ხდება აღმოსავლური სააზროვნო სამყაროს გაგება. რომანის მხატვრულად დახვეწილი სტილი, ენის ლამის მაგიური ხელოვნება ცალკეულ ტექნიკურ-ფსიქოლოგიურ ნაკლოვანებასაც გვაფინყებს.“

ესად ბეი ამ პატარა ინფორმაციაში გულუხვად აქებს გრიგოლ რობაქიძეს (აღმოსავლელი ავტორის მიერ, რომელსაც შეიძლება „პოეტი“ ეწოდოს, გადმოცემული ეგზოტიკა; რომანის ევროპული არქიტექტონიკა; მხატვრულად დახვეწილი სტილი; ენის რამის მაგიური ხელოვნება), მაგრამ კრიტიკაც არ ავინწყდება. მისი აზრით, ამ რომანის ენის ლამის მაგიური ხელოვნება ცალკეულ ტექნიკურ-ფსიქოლოგიურ ნაკლოვანებასაც გვაფინყებს.

ახლა გავიხსენოთ ესად ბეის მიერ გრიგოლ რობაქიძესგან 1931 წელს აღებული ინტერვიუს შესავალი და ვნახოთ, რითი განსხვავდება ეს პატარა რეცენზია მისგან:

„საქართველოს და, შესაძლოა, მთელი დღევანდელი აღმოსავლეთის უდიდესი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომელიც გერმანიაში უპირველეს ყოვლისა ცნობილია თავისი რომანით „გველის პერანგი“, ბერლინში ცხოვრობს. მე სიამოვნებით ვიყენებ შესაძლებლობას, გავიცნო აღმოსავლეთის გენიალური მწერალი. გრიგოლ რობაქიძე ვრცელ საუბარში მომიტხრობს თავისი სამშობლოს, საქართველოს ლიტერატურის, დღევანდელი კავკასიის საერთო სულიერი მიმართულების შესახებ, რომელსაც იგი ყველაზე უკეთ იცნობს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სულიერი ხიდის შესახებ, რომლის გადებაც მხოლოდ მას შეუძლია“.

ცხადია, ინტერვიუში სულ სხვა პათეტიკა გვაქვს, ვიდრე რეცენზიაში გვექონდა, როდესაც ესად ბეი გრიგოლ რობაქიძეს ჯერ კიდევ არ იცნობდა პირადად: საქართველოს და, შესაძლოა, მთელი დღევანდელი აღმოსავლეთის უდიდესი მწერალი; აღმოსავლეთის გენიალური მწერალი; აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სულიერი ხიდის გადება მხოლოდ მას შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს დასაწყისშივე ესად ბეი გვაუწყებს, რომ გრიგოლ რობაქიძის შესახებ ასეთი მაღალი შეხედულება (აღმოსავლეთის გენიალური მწერალი) „გველის პერანგის“ წაკითხვისთანავე შეექმნა, თვითონ ნაწარმოებზე დაწერილი მოკლე რეცენზია ამას არ ადასტურებს.

როგორც ჩანს, ესად ბეი ინტერვიუს პროცესშივე მიხვდა, რომ გრიგოლ რობაქიძისგან მას ბევრი რამის „შოვნა“ შეეძლებოდა. იგი იმასაც მალე მიხვდა, როგორ შეიძლებოდა გრიგოლ რობაქიძის გულის მოგება, რაც შემდეგში მას გზას გაუხსნიდა დაუსჯელი პლაგიატისკენ. სამწუხაროდ, შედარებით მოკლე დროისთვის ესად ბეიმ ყველაფერი სწორად გათვალა, იქამდე, რომ გრიგოლ რობაქიძე ესად ბეის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგაც ცდილობდა მის დაცვას უკმაყოფილო ქართველთაგან. მაგრამ ისტორიას თავისი უღმობელი კანონები აქვს: „არ არის დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს“.

Zaza Alexidze

**GRIGOL ROBAKIDZE'S *THE SNAKE'S SLOUGH* AND ESSAD BAY
(LEO, NUSINBAUM//KHURBAN SAID)**

ABSTRACT

In 1928 a novel by Grigol Robakidze *The Snake's Slough* with an introduction by Stephan Zweig was published in Germany. In 1929 Essad Bey (Leo Nyssenbaum, Khurban Said) wrote a review of the novel with a short information and evaluation. The article presents the German original and the Georgian translation of the review, which is compared to an interview taken by Essad Bey from Grigol Robakidze in 1931.

ქათევან ბაზარაშვილი

ქართული არალიტურგიკული სასულიერო პოეზია

ქართული არალიტურგიკული სასულიერო პოეზია (ნათარგმნი და ორიგინალური) ყოველთვის თანაარსებობდა ლიტურგიკულ პოეზიასთან. მისი ნიმუშები სხვადასხვა ლიტურგიკულ კრებულზე იყო დართული და ეხებოდა დღესასწაულებს ან წმიდანებს, ბიბლიურ წიგნებს ან ისტორიულ ფაქტებს. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის პოეზია განსაკუთრებით განვითარდა XI-XII სს-ში, ქართული ლიტურატიურის ე.წ. ელინოფილურ პერიოდში. არალიტურგიკული სასულიერო პოეზია შინაარსით დოგმატურ-მორალური და პიროვნული რელიგიური ხასიათისაა, ფორმით კი იგი ძირითადად იამბურია.

შინაარსი

არალიტურგიკული პოეზიით განსაკუთრებულ დაინტერესებას XI საუკუნიდან ეფრემ მცირე უყრის საფუძველს, რომელიც ელინოფილური მიმართულების სათავეს დამდებია ქართულ მწერლობაში. ეფრემ მცირეს ეკუთვნის ცალკეულ კრებულებზე დართული მიძღვნილი, მცირე ორიგინალური თუ ნათარგმნი, იამბიკოები. მაგ., იამბური მიძღვნა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისადმი, რომელიც ერთვის გრიგოლ ღვთისმეტყველის ეფრემისეულ ქართულ კრებულს (cod. Iber. Tbilis. A 292, 1800 წ.), მიძღვნა წმ. გიორგი მთაწმიდელისადმი (cod. Iber. Ath. Ivir. 45, XI ს.) და სხვ. (ყუბანეიშვილი 1946: გვ.363-364, ლოლაშვილი: 1982).

გარდა დასახელებული იამბიკოებისა, ეფრემმა პირველმა თარგმნა უდიდესი ბერძენი ღვთისმეტყველის, ორატორისა და პოეტის, გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) დოგმატურ-მორალური ლექსები, რომლებიც გააერთიანა ე. წ. „ასეული იამბიკოს“ სახით და დაურთო გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველ თავის მიერ თარგმნილ კრებულებს სახელწოდებით „მუწლები იამბიკოე სასწავლოჲსა წილ წარმართთაჲსა, რომლისაგან განაყენნა ქრისტიანნი იულიანე განდგომილმან“ (cod. Iber. Jer. 43; cod. Iber. Tbilis. A 109, XII-XIII სს.). აქედან გავრცელდა ეს თხზულება შემდეგდროინდელ საგალობელთა კრებულებში (cod. Tbilis. A 85, XIII ს. და სხვ.) (ყუბანეიშვილი 1946, ბეზარაშვილი 1990).

ეფრემის შემდგომ გელათურ სკოლაში ანონიმი მოღვაწის მიერ XII-XIII სს-ში ითარგმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის გნომური პოეზიის ნაწილი და აღსარებითი ჰიმნები (ბეზარაშვილი 1986, 1989, 1997, 2002). ამავე სკოლაში შეიქმნა იოანე სინელის „კლემაქსის“ გალექსილი ვერსია (cod. Iber. Tbilis. S 2568, XVIII ს. და სხვ.) (ბეზარაშვილი 1987, 1989). შემდგომ იოანე პეტრინი ქმნის „კლემაქსის“ კიდევ ერთ გალექსილ ვერსიას, ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტრაქტატს – „სათნოებათა კიბეს“ (იოანე პეტრინი 1968). როგორც ჩანს, გელათურ სკოლაში აინტერესებდათ საკუთრივ იამბიკოთი გალექსილი ფილოსოფიური პოეზია (ლექსითი სენტენციები), რადგან ქართულ მწერლობაში არსებობდა „კლემაქსის“ პროზაული ვერსიებიც (ეფთვიმე ათონელისა და პეტრე გელათელის მიერ თარგმნილი).

იმის გამო, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე სინელის აღნიშნული თხზულებების ანონიმური ქართული ვერსიები გვიანდელი ხელნაწერებით არის მოღწეული (XVIII-XIX სს.), რომლებშიც არასრული ტექსტები ძველი ნაკლული და დეფექტური ხელნაწერებიდან არის გადმონერილი, ქართულ მეცნიერებაში არ არსებობდა ზუსტი ინფორმაცია აღნიშნული ლექსების შედგენილობის შესახებ და იოანე სინელის „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსიის ფრაგმენტებიც გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებად მიიჩნეოდა (კეკელიძე 1980: გვ. 607-617, Tarchniscvili 1955, ნიკოლაძე 1959). შესაბამისად, ეს ტექსტები ზოგიერთ გამოცემაში ასევე დაუზუსტებელი შედგენილობით იყო ასახული (კუკავა 1988). გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიისა და იოანე სინელის „კლემაქსის“ ანონიმური ქართული ვერსიების ზუსტი დეფინიცია და პუბლიკაცია მოხერხდა ბერძნულ წყაროებთან მათი შედარების შედეგად (იხ. ზემოთ შენ. 3, 4-ში დასახ. ქ. ბეზარაშვილისეული გამოცემები). ამავე დროს, ეფრემ მცირის ანდერძში მოხსენიებული გრიგოლ ღვთისმეტყველის „ათცხრამეტი აპორიტა“ (cod. Iber. Tbilis. A 292, 1800 წ., f. 279v) გრიგოლის 19 საიდუმლო ჰიმნის (რომლებიც ნიკიტა პაფლალონიელმა განმარტა და უწოდა მათ აპორეტული, ანუ საიდუმლო) დაკარგულ თარგმანად მიიჩნეოდა (კეკელიძე 1980: გვ. 268). გაირკვა ამ 19 აპორიტას შედგენილობა, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული საკითხავებისა (რომლებიც ეფრემ მცირემ თარგმნა) და დაზუსტდა, რომ გრიგოლის ე.წ. საიდუმლო ჰიმნები არასოდეს ყოფილა თარგმნილი ქართულად (Bezarashvili 1985).

გელათის სკოლაში შეიქმნა აგრეთვე იამბიკოთი შესრულებული პოეტური კალენდარი ანონიმის მიერ, ქრისტეფორე მიტილენელის (XI ს.) ქრისტიანული დღესასწაულებისა და წმიდანებისადმი მიძღვნილი ანალოგიური კალენდრის მიხედვით. ეს თხზულება გააგრძელა არსენ ბულმაისიმისძემ (XIII ს. cod. Iber. Tbilis. A 85, XIII ს.) და დაასრულა ანტონ I-მა (XVIII ს.) (კუკავა 1978, დანელია 1984). ანტონმავე ელინოფილთა მიზაძვით შექმნა „კლემაქსის“ კიდევ ერთი გალექსილი ქართული ვერსია (კუკავა 1995).

ამის შემდეგ XII-XIV საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე ქართული არალიტურგიკული პოეზიიდან სხვა აღარაფერია ცნობილი. XVIII ს-დან კი უკვე ჩანს, რომ

გრიგოლ ღვთისმეტყველის პოეზიის შემცველი კრებულები ტრიალებს ქართველ ემიგრანტთა წრეში რუსეთში (ერთ-ერთი ასეთი კრებული შემონახულია თეიმურაზ ბაგრატიონის კოლექციაში პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, C 9, 1788 წ.). გრიგოლის აღსარებითი ჰიმნები გამოხმაურებას პოულობს არჩილ მეფის (XVII ს.) დიდაქტიკურ პოეზიაში, აგრეთვე დიდი ქართველი განმანათლებლის, დ. გურამიშვილისა (XVIII ს.) და რომანტიკოს ნ. ბარათაშვილის (XIX ს.) პოეზიაში (ბეზარაშვილი 1994, 2005-2006, Bezarashvili 2005, მენაბდე 1963).

ლიტერატურული მიზანდასახულობა

გრიგოლ ღვთისმეტყველის პოეზია და იოანე სინელის „კლემაქსის“ ლექსითი ვერსია სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულებით უნდა ყოფილიყო შესრულებული გელათის საღვთისმეტყველო სკოლის მსმენელთათვის, რადგან ისინი ეხებოდნენ ქრისტიანული ღვთისმეტყველების მნიშვნელოვან საკითხებს, ხოლო ფორმის თვალსაზრისით შეესაბამებოდნენ ელინოფილთა სწრაფვას ლაკონიურობისაკენ, ენის გაელინურებისაკენ და მაღალფარდოვანი რიტორიკული სტილისაკენ. ამავე სკოლის სწავლულთათვის უნდა თარგმნილიყო გრიგოლ ღვთისმეტყველის ინტიმური რელიგიური აღსარებითი ჰიმნები, რომლებიც თავისი ღრმა ფსიქოლოგიური შინაარსით პიროვნული რელიგიური განწყობილებების გამომხატველნი იყვნენ.

ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით ეს პოეზია ეპოქის ლიტერატურულ გემოვნებასა და მოთხოვნებსაც ეხმაურებოდა. არქაული კლასიკური ლიტერატურული ფორმითა და საზომებით შესრულებული გრიგოლის პოეზია განსხვავდებოდა ბერძნული ლიტურგიკული პოეზიის საყოველთაო ხასიათისაგან. გრიგოლის პოეზიის იამბიკური უცხოური საზომით შესრულებული ქართული თარგმანებიც ასევე განსხვავდებოდა ქართული ლიტურგიკული პოეზიის ბუნებრივად ხატოვანი ენისაგან და საყოველთაო საეკლესიო დანიშნულებისაგან. ასე რომ, გრიგოლის ლექსები როგორც ბერძნულად, ისე ქართულად მაღალი სტილის ნიმუშებს წარმოადგენდა და განსწავლულ მკითხველთა ვინრო წრისათვის იყო განკუთვნილი.

ფორმა

ე. ნ. „იამბიკო“ არის ლექსის სახეობა, რომელიც შემუშავდა კლასიკური ბერძნული იამბური ტრიმეტრიდან წარმოშობილი ბიზანტიური 12-მარცვლიანი ლექსის ქართულში შემოტანით. რამდენადაც ამ ლექსს ქართულისათვის ხელოვნული ფორმა ჰქონდა, იგი საყოველთაოდ არ გავრცელებულა და ფეხი მოიკიდა მხოლოდ განსწავლულთა ვინრო წრეში და მათ მიერ შექმნილ არალიტურგიკულ პოეზიაში. სწორედ ამ ფორმით გაემიჯნა არალიტურგიკული პოე-

ზია, ერთი მხრივ, ლიტურგიკულ პოეზიას და, მეორე მხრივ, ხალხურ და საერო პოეზიას. მართალია, ლიტურგიკულ პოეზიაშიც არსებობდა იამბური ფორმით შესრულებული საგალობლები (იოანე დამასკელის შობის კანონი, ქართულ ლიტურგიკაში იოანე მინჩხისა და მიქაელ მოდრეკილის საგალობლები და სხვ.), მაგრამ ლიტურგიკული პოეზიის ნიმუშების უმრავლესობა ძირითადად მაინც მარცვალთრაოდენობასა და სტროფულობას ეფუძნებოდა. მეორე მხრივ, მართალია, არალიტურგიკულ პოეზიაშიც იშვიათად გვხვდებოდა საერო პოეზიის ფორმები (10-მარცვლიანი, 16-მარცვლიანი ლექსი), მაგრამ გამონაკლისი წესს არ ქმნიდა და არალიტურგიკული პოეზია თავისი ძირითადი სალექსო ფორმით – იამბური ლექსით ასევე განსხვავდებოდა ორიგინალური ქართული ხალხური და საერო პოეზიის სალექსო ფორმებისაგან. იამბური ლექსი იმდენად ტიპური იყო არალიტურგიკული სასულიერო პოეზიისათვის, რომ ტერმინი „იამბიკო“ ქართულში ზოგადად სასულიერო ლექსის აღმნიშვნელიც კი გახდა.

ბერძნულიდან შემოსული იამბური ლექსი თავისი ლაკონიური ფორმით მეტად მიესადაგა ელინოფილური მიმართულების გამომხატველ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ლექსებს ქართულ პოეზიაში, რადგან როგორც სალექსთწყობო ფორმა, ისე ბერძნულის მიბაძვით შექმნილი ენობრივი ფორმები (მიმღეობური და უშემასმენლო კონსტრუქციები, ნასახელარი ზმნები და სიტყვათქმნადობა) გამოხატავდა ბერძნული ფილოსოფიური ენის „სიტყვა-სიმოკლეს“ და მაღალფარდოვანებას. ამგვარი ენა, სტილი და ფორმა ერთგვარ ლიტერატურულ გატაცებად იქცა და თარგმანების პარალელურად ფართოდ გავრცელდა ორიგინალურ ქართულ პოეზიაშიც. ასეთი იამბიკოებით წერდნენ თავიანთი პიროვნული რელიგიური განცდისა და შეხედულებების გამომხატველ შესხმებს, მიძღვნებსა და ლოცვებს დემეტრე მეფე, თამარ მეფე, ანონიმები, არსენ იყალთოელი, იეზუკიელი, პეტრე გელათელი, იოანე პეტრიწი (XII-XIII სს.) და სხვ. (ყუბანიშვილი 1946, სულავა 2003, ინგოროყვა 1938). რიგ შემთხვევებში (მაგ., დემეტრე მეფის ჰიმნები) ქართულმა იამბიკომ არაჩვეულებრივ გამომსახველობას მიაღწია.

იამბიკო, როგორც ხელოვნურად დამკვიდრებული ფორმა, გარდა ელინოფილური პერიოდისა, XVIII ს-ის პოეზიამაც შემოინახა ანტონ I-ის მიერ ელინოფილური ტრადიციების აღდგენის ცდის გამო. ანტონსვე ეკუთვნის იამბური ფორმით შექმნილი ქართველი მოღვაწეების შესხმა, რომელიც „წყობილსიტყვაობის“ სახელით არის ცნობილი (ლოლაშვილი 1980). როგორც ადრეული, ელინოფილური, ისე გვიანდელი, XVIII ს-ის იამბიკოები შემკულნი იყვნენ რთული აკროსტიქული ფორმებით.

საგულისხმოა, რომ საერო პოეზიის წინამორბედად ლიტერატურაში ქართული ხალხური საზომების გამოყენების მხრივ მიიჩნევენ X-XII სს-ის ლიტურგიკული და არალიტურგიკული სასულიერო პოეზიის რამდენიმე ნიმუშს. ჩახრუხაძისეული 20-მარცვლიანი ლექსის წინამორბედად მიიჩნევენ თეოფილე თარგმანის სამადლობელ და სავედრებელ შესხმებს (cod. Iber. Ath. 20; cod. Iber. Ath. 29,

XI ს.), ხოლო რუსთველური სილაბური 16-მარცვლიანი ლექსის წინამორბედად მიიჩნევენ გიორგი საბანშიდელ-სინელის ანდერძს (cod. Iber. Sin. 34, X ს.), ღვთისმშობლის ფილიპესეულ შესხმას აკროსტიქით „ბეთლემი“ (cod. Iber. Sin. 59; cod. Iber. Sin. 64, X ს.), მიქაელ მოდრეკილის კრებულის ერთი საგალობლის პასაჟს, ეფრემ მცირისეულ შესხმას გიორგი მთაწმიდელისა (ი. ლოლაშვილის გამოც.), არსენ იყალთოელისეულ დავით აღმაშენებლის ეპიტაფიას და სხვ. (ბერაძე 1943, ყაუხჩიშვილი 1946, სილაგაძე 1997).

თეორიული მოსაზრებები

არალიტურგიკული პოეზიის ნიმუშების ბერძნულიდან თარგმნასთან ერთად გაჩნდა თეორიული მოსაზრებები ბერძნული ვერსიფიკაციისა და პროსოდიის ქართულად გადმოტანის შესახებ. ეფრემ მცირეს, ლექსთწყობის პირველ ქართველ თეორეტიკოსს, ეკუთვნის კოლოფონები ლექსთწყობის საკითხებზე, სალექსნობო ტერმინოლოგიაზე, სალექსო სტრიქონისა თუ საზომის ფორმებზე (ბეზარაშვილი 1995). მაგ., ეფრემ მცირემ გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიებთან ერთად თარგმნა მისივე გნომური ლექსები იამბიკოთი. მანვე თარგმნა ე.წ. რიტმული (ანუ მარცვალთრაოდენობასა და აქცენტუაციის პრინციპზე დამყარებული) გრიგოლის ლექსი „ქალწულისა მიმართ“ (ბეზარაშვილი 1989: გვ.72-115). ორივე ეს თხზულება ხელნაწერებში წარმოდგენილია ეფრემის ორიგინალური ხელნაწერიდან მომდინარე რიტმული პუნქტუაციით დაყოფილი ფორმითა და ცეზურით. ეფრემ მცირემ თარგმნა აგრეთვე ეფრემ ასურის ორი ლექსი: „სიტყუაჲ ოთხმარცვალი“ და „სიტყუაჲ შვდმარცვალი“ (დათიაშვილი 1984). იამბიკური საზომით შესრულებული ეს თარგმანებიც ხელნაწერებში წარმოდგენილია რიტმული პუნქტუაციით დაყოფილი ფორმით, ცეზურით და მათ ერთვის მთარგმნელის სათანადო სალექსთწყობო შენიშვნები (cod. Iber. Tbilis. A 391, XI-XV სს.; cod. Iber. Tbilis. A 62, XVIII ს.). ასეთივე შენიშვნები აქვს აგრეთვე ეფრემ მცირის მიერ იამბიკოთი თარგმნილ არეოპაგიტულ კორპუსზე დართულ ეპიგრამებს, რომლებიც დედანში კლასიკური საზომით იყო შესრულებული. შენიშვნებში განმარტებულია ბერძნული კლასიკური ლექსის ბუნება და მისი შესატყვისი ქართული ფორმები (cod. Iber. Tbilis. A 110, XII ს.; cod. Iber. Tbilis. A 684, XI ს.). სწორედ ამ კლასიკური საზომების შესატყვისი სალექსთწყობო ტერმინებია დადასტურებული ელინოფილურ ქართულ თარგმანებში (ბეზარაშვილი 1995, 1998).

კლასიკური სალექსთწყობო ფორმის ბაძვისა და მისი თეორიული განხილვის საკითხი ბიზანტიური რიტორიკის თეორიისა და ჰერმენევტიკული გრამატიკის შესანიშნავად ათვისების ერთ-ერთი გამოვლინება იყო ქართულ ელინოფილურ ტრადიციაში.

ბამოყენებული ლიტერატურა

- ბეზარაშვილი 1986:** ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, ელს, 3, 1986.
- ბეზარაშვილი 1989:** ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონიმური ქართული თარგმანები (ტექსტები და წინასიტყვა), თსუ შრომები 285, 1989.
- ბეზარაშვილი 1989:** ქ. ბეზარაშვილი, იოანე სინელის „კლემექსის“ უცნობი ქართული ვერსია, მაცნე, ელს, 4, 1987; 3, 1989.
- ბეზარაშვილი 1989:** ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბიზანტიური ე.წ. რიტმული პოეზიის ადრეული ნიმუში: გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყუა სწავლა ქალწულისა მიმართ“, „გულანი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბ., 1989, გვ. 72-115.
- ბეზარაშვილი 1990:** გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ვერსია, დის., თბ., 1990;
- ბეზარაშვილი 1994:** ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი და ქართული სამწერლობო ტრადიციები, მაცნე, ელს, 1-4, 1994.
- K. Bezarashvili 1995:** K. Bezarashvili, The Problem of the so-called 'Aporeta~ in the Georgian Corpus of the Works of Gregory the Theologian, in Le Muséon, Revue d'Etudes Orientales, 108, 1995.
- ბეზარაშვილი 1995:** ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირე, ელინოფილები და ბერძნულ-ქართული ლექსწყობის საკითხები, ფილოლოგიური ძიებანი II, თბ., 1995.
- ბეზარაშვილი 1997:** ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონიმური ქართული თარგმანები (ტექსტები და წინასიტყვა), თსუ შრომები 323, 1997.
- ბეზარაშვილი 1998:** ქ. ბეზარაშვილი, კლასიკური ბერძნული სალექსწყობო ფორმის საკითხი ქართულ ელინოფილურ ტრადიციაში, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 4, 1998.
- ბეზარაშვილი 2002:** ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონიმური ქართული თარგმანები (ტექსტები და წინასიტყვა), თსუ შრომები 340, 2002.
- ბეზარაშვილი 2005:** ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მნიშვნელობა ქართული სიტყვიერი კულტურისათვის, ლიტერატურული ძიებანი, XXVI, 2005.
- ბეზარაშვილი 2005:** ქ. ბეზარაშვილი, „სწავლა მოსწავლეთას“ პრობლემატიკა, როგორც „დავითიანის“ ორგანული ნაწილი, „დ. გურამიშვილი – 300“. სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2005. **Bezarashvili 2005:** K. Bezarashvili, The Significance of Gregory the Theologian's Works for the Georgian Literary Tradition, Le Muséon, 118, 2005.
- ბეზარაშვილი 2006:** ქ. ბეზარაშვილი, ნ. ბარათაშვილის ქრისტიანული წყაროებიდან: გრიგოლ ღვთისმეტყველის ციკლი „ბოროტისა მიმართ“ (Ad diabolum) და ნ. ბარათაშვილის „სული ბოროტო“, ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2006.
- ბერაძე 1963:** პ. ბერაძე, ქართული იამბიკოს შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, IV:6, 1943.
- დათიაშვილი 1984:** ლ. დათიაშვილი, ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ისტორიიდან, ძველი ქართული მწერლობის მატრიანე, I, თბ., 1984.

- დანელია 1984:** კ. დანელია, თ. კუკავას გამოცემა იოანე პეტრიწის წიგნისა „ათ-ორ თვისა“, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 25, 1984.
- ინგოროყვა 1938:** პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. რუსთაველის კრებული, თბ., 1938.
- იოანე პეტრიწი 1968:** იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1968.
- კ. კეკელიძე 1980:** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 607-617.
- თ. კუკავა 1978:** თ. კუკავა, იოანე პეტრიწის წიგნი „ათ-ორ თვისა“ („პროლოგია“), თბ., 1978.
- თ. კუკავა 1988:** თ. კუკავა, ეფრემ მცირის იამბიკოები, თბ., 1988.
- კუკავა 1995:** ანტონ I (ბაგრატიონი), პოეტური თხზულებები, თ. კუკავას გამოცემა, თბ., 1995.
- ლოლაშვილი 1980:** ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1980.
- ლოლაშვილი 1982:** ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბილისი, 1982.
- მენაბდე 1963:** ლ. მენაბდე, არჩილის ერთი თხზულების წყაროსათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXX, II:3, 1963.
- ე. ნიკოლაძე 1959:** ე. ნიკოლაძე, ეფრემ მცირე – მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი, ქუთაისი, 1959.
- სილაგაძე 1997:** ა. სილაგაძე, ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა, თბ., 1997.
- სულავა 2003:** ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.
- M. Tarnischvili 1955:** M. Tarnischvili, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur auf des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte K. Kekelidze (Studi e Testi, 158), Vatican, 1955.
- ყაუხჩიშვილი 1946:** ს. ყაუხჩიშვილი, ეფრემ მცირე და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსწყობის საკითხები, თსუ შრომები XXVIIb, 1946.
- ყუბანიევი 1946:** ს. ყუბანიევი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946.

Ketevan Bezarashvili

GEORGIAN NON-LITURGICAL SPIRITUAL POETRY

SUMMARY

The origin and chronology of Georgian non-liturgical poems, and their place in the manuscripts are analyzed in the article. The development of this kind of poetry reached its height in the 11th-13th centuries, in the so-called Hellenophile period of Georgian literature. Alongside the short verses added to the liturgical collections, major poetical

works were translated from Greek into Georgian. The first translation of the gnomic verses of Gregory the Theologian were fulfilled by Ephrem Mtsire and thus he gave origin to didactic ascetic non-liturgical poetry in Georgian literature. In Gelati theological school the lyric confessions and hymns of Gregory the Theologian were translated. The ascetic work of John Climacus was transferred into verses several times etc. All this material was gathered in the manuscript collections aimed for school system and studying.

The form of Georgian non-liturgical poetry was elaborated on the basis of Byzantine 12-syllable iambic verse which was artificial for Georgian. In spite of it through these verses the laconic philosophical poetry imitating the Greek rhetorical language reached its height in Georgian literature and became literary norm during the mentioned period. Some scholia concerning versification were done at this period concerning the rules of classical prosody transferred into Georgian 12-syllable iambic verses. It may be considered as the fact of literary-theoretical evaluation of the current problems of versification which was reflection of the thinking and literary processes taking place in Byzantium of that period.

ნიმუ მალიქიშვილი

იოსებ ფლავიოსის თხზულება „მოთხრობანი იუდაებრივისა ქუელსიტყუაობისანი“, როგორც პირველი ისტორიული წყარო სახარებისეული რეალობის შესახებ

I ს-ის ებრაელი ისტორიკოსის, იოსებ ფლავიოსის (ჩ.წ. 37-110 წწ.) თხზულება „მოთხრობანი იუდაებრივისა ქუელსიტყუაობისანი“¹ (Ἰουδαϊκὰ ἱστοριῶν) მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. თხზულებაზე ავტორი 13 წელი მუშაობდა, ის ჩ.წ.-ის 93-94 წწ-ს შორის გამოვიდა. წინასიტყვაობაში იოსები განმარტავს ნაშრომის დაწერის მიზანს: უკვე მაშინ, როდესაც იგი აღწერდა იუდეველთა ომს (Peri tou Ἰουδαϊκοῦ πολέμου; გამოვიდა ჩ. წ.-ის 75-79 წწ-ში), დაინყო ფიქრი იმის შესახებ, რომ განემარტა მკითხველისათვის, თუ რა წარმომავლობისანი იყვნენ იუდეველები, ბედის რა ცვალებადობა განიცადეს, რომელმა კანონმდებელმა აღზარდა მათში სწრაფვა ღვთისმოსავობისა და სიკეთისადმი, რა ომები უწარმოებიათ თავიანთი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე და როგორ იქნენ ისინი თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩათრეულნი რომაელებთან ომში. ამ საკითხებზე წერისას იოსებმა გამოიყენა ყველა იმ ისტორიკოსის ნაშრომი, რომლებიც მასზე გაცილებით ადრე შეეხნენ იუდეველთა წარმომავლობისა და, ზოგადად, ისრაელის ხალხის ისტორიას. ესენი იყვნენ: პტოლემეოს ფილოპატორის დროს მცხოვრები ეგვიპტელი იუდეველი დიმიტრიოსი, არისტე, კიზიკიელი ტევკროსი. მაგრამ რატომღაც ეს ნაშრომები ნაკლებად იყო ცნობილი მკითხველთა ფართო წრისათვის. გაცილებით მეტი პოპულარობით სარგებლობდნენ არაებრაელ ავტორთა თხზულებები, როგორებიც იყვნენ პოლიბიოსი, სტრაბონი, დიოდორე სიცილიელი, იუსტინე ტაციტუსი... ის ფაქტი,

¹ ზოგჯერ ამ თხზულებას მოვიხსენიებთ არა მხოლოდ მისი ძველ ქართულ თარგმანში არსებული სახელწოდებით, არამედ როგორც „იუდეველთა სიძველენი“-ს.

რომ ფლავიოსი ასე უხვად იყენებდა თავის წინამორბედთა შრომებს, მის ღრმა განათლებასა და ნაკითხობაზე მეტყველებს.

იოსებ ფლავიოსმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ არაფერი გამორჩენოდა ებრაელი ხალხის ისტორიიდან, მათი ურთიერთობიდან გარშემო მყოფ ტომებთან და ხალხებთან. გარდა ამისა, მან ბევრი ახალი ცნობა შემატა ბიბლიის ტექსტის შემსწავლელ მკვლევრებს.

ოც წიგნად დაყოფილ თხზულებაში მასალა შემდეგნაირად არის განაწილებული: I-X წიგნებში საუბარია ებრაელთა ისტორიაზე ქვეყნიერების შექმნიდან ბაბილონის ტყვეობამდე; XI წიგნი ეძღვნება პერიოდს კიროსიდან ალექსანდრე მაკედონელამდე, თხრობა სრულდება იუდა მაკაბელის სიკვდილით (ჩ.წ.-მდე 161 წ.); XII-XIV წიგნები მთავრდება ჰეროდე დიდის გამეფებით (ჩ.წ.-მდე 37 წ.); ამ უკანასკნელის მეფობას ეძღვნება სამი წიგნი – XV, XVI და XVII; მათში ასახულია მოვლენები ჰეროდე დიდის გარდაცვალებამდე (ჩ.წ.-მდე 4 წ.); უკანასკნელი სამი წიგნი – XVIII, XIX და XX – მოიცავს ბევრ ისეთ მოვლენას, რაზეც უკვე იყო საუბარი „იუდეველთა ომის“ პირველ წიგნებში. მიუხედავად იმისა, რომ „იუდეველთა ომი“ „იუდეველთა სიძველენიზე“ ადრე დაიწერა, მასში („იუდეველთა ომში“) მოთხრობილი ამბები ამ უკანასკნელის ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს.

ზემოთ ვახსენეთ ის ავტორები, რომელთაც ეყრდნობა იოსები თხზულებაში ებრაელი ხალხის წარმომავლობაზე მსჯელობისას. მნიშვნელოვანი წყარო ამ თვალსაზრისით მისთვის, რა თქმა უნდა, იყო აგრეთვე ბიბლია (ძველი აღთქმა). რაც შეეხება წმინდა ისტორიულ მოვლენებს (XI-XX წწ.), არც აქ უჩანს ფლავიოსს წყაროთა ნაკლებობა: ის კარგად იცნობდა ელინისტების ნაწერებს და სარგებლობდა კიდევ ამ ნაშრომებით: ალექსანდრე პლიგისტორი, ჰესიოდე, ჰელანიკე, აკუსილაი, ეფორე, ბეროსი, მენანდრე ეფესელი, მეგასთენე, დიოკლე, ფილოსტრატოსი, ჰეროდოტე, მანეფონი, ფუკიდიდი... რაც შეეხება პოლიბიოსს, აგათარქიდ კნიდელს, სტრაბონსა და ნიკოლოზ დამასკელს, ისინი ფლავიოსისათვის სერიოზულ ისტორიულ წყაროს წარმოადგენდნენ. ამათ ემატებოდნენ რომაელი ავტორები, რომის არქივები, ჰეროდე დიდისა და ვესპასიანეს მემუარები.

მკვლევართა მიერ ფლავიოსის თხზულებათა შეფასება არაერთგვაროვანია. ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ მან სრულყოფილად ვერ ასახა ისრაელის ხალხის უძველესი და მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი; ერთ-ერთი ძირითადი ბრალდება იოსების მისამართით არის ის, რომ იგი ტენდენციურია ფაქტების გადმოცემისას. არის ფლავიოსის შემოქმედების შემსწავლელების მეორე ფრთა, რომელიც გაცილებით მაღალ შეფასებას აძლევს იოსების დანატოვარს და მის მნიშვნელობას თუნდაც იმაში ხედავს, რომ პირველი საუკუნეების ქრისტიანობა გულდასმით სწავლობდა და იყენებდა მას. სწორედ მათ შემოგვინახეს ეს თხზულება, რომელსაც, შესაძლოა, დიდი დღე არ ეწერა იუდეველთა გარემოცვაში: ებრაელები ფლავიოსს, როგორც თავისი ერის მოღალატეს, ისე უყურებდნენ.

შუასაუკუნეებში ამ თხზულებას გულდასმით კითხულობდნენ და სწავლობდნენ. „იუდეველთა სიძველენი“ არის ძალიან სერიოზული და ყველაზე ადრეული, სრულად შენახული ისტორიული წყარო, რომელიც გვაცნობს ქრისტიანობის გაჩენის ეპოქას: მასზე დაფუძნებული და მისი მეშვეობით წარმოქმნილი უზარმაზარი ლიტერატურა ამის საუკეთესო დადასტურებაა. იოსებ ფლავიოსის ამ ნაშრომის სწორად შეფასების თვალსაზრისით არც ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია აღმოჩნდა გამონაკლისი: თხზულების I-XV წიგნები უკვე XII ს-ში ითარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე², ხოლო უკანასკნელი ხუთი წიგნის თარგმანი შესრულდა ლათინურიდან მომდინარე რუსული თარგმანიდან (**Самуилов 1818**) XIX ს-ის 40-იან წწ-ში ცნობილი ქართველი მწიგნობრის, დავით დადიანის ინიციატივით. თარგმანი ეკუთვნის დავით დადიანის კარის მღვდელს, დავით ინანიშვილს. მან მოაღწია S ფონდის XIX ს-ის შემდეგი ხელნაწერებით: S 320-321 და S 374-375 (**S-I 1959**: 380-381; 432-433).

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ ფლავიოსის თხზულება „იუდეველთა სიძველენი“, შესაძლებელია, ქრისტიანთა წყალობით გადაურჩა განადგურებას. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ეს ნაშრომი პირველი ისტორიული წყაროა, რომელშიც სახარებაში აღწერილი მოვლენების თითქმის თანამედროვის მიერ ნახსენები არიან იესო ქრისტე, იოანე ნათლისმცემელი და უფლის ხორციელი ძმა, იაკობი. დღესდღეობით ამ საკითხის შემსწავლელ მეცნიერთა ძირითადი ნაწილი შეთანხმებულია იმაზე, რომ ეს პასაჟები (წ. XVIII, თ. III, §3; წ. XVIII, თ. V, §2; წ. XX, თ. IX, §1) არ შეიძლება მივანეროთ ქრისტიან ინტერპოლატორებს, თუმცა არც იმის გამორიცხვაა შესაძლებელი, რომ მათ გარკვეული გადამუშავება განიცადეს ქრისტიანთა მხრიდან და იმ სახით ვერ მოაღწიეს, რა სახითაც გამოვიდნენ იოსებ ფლავიოსის ხელიდან. ნათქვამი ძირითადად ეხება მონაკვეთს იესო ქრისტეს შესახებ. ქვემოთ თანმიმდევრობით განვიხილავთ დასახელებულ ადგილებს: ჯერ მოგვაქვს XIX ს-ის ქართული თარგმანის ტექსტი, შემდეგ – მისი ჩვენეული გადმოლება თანამედროვე ქართულ ენაზე.

² ეს თარგმანი გამოცემულია (**მელიქიშვილი 1987-88**).

XVIII, III, §3 (S 375, გვ. 110; A, XVIII, 63-64)³

ჩინებული წამება ფლავიოსისა ქრისტესთვის იესოსა⁴

„ხოლო ჟამსა ამას იყო იესოცა, მამაკაცი ბრძენი, უკეთუ მხოლოდ არამცირე იქმნების წოდებად მისდა მამაკაცად, რამეთუ იგი იქმოდა საქმეთა საკვრველთა: იყო მოძღვარი მათი, რომელნი სიტკბოებით მიიღებენ ჭეშმარიტებას და მიზიდნა მან თვსდა მრავალნი შედგომილნი, ვითარცა იუდეელთაგანნი, ეგრეთ წარმართთაგანიცა. ესე იყო ქრისტე, რომელი თუმცალა პილატე, შესმენისა გამო უწარჩინებულესთასა სიმრავლისაგან ჩუენისა, დასაჯა სიკუდიდ ჯუართთა, გარნა რომელთა უყუარდათ იგი უწინარეს, არა დაჰსცხრნენ მაშინცა შეყუარებად მისსა, ვინაჲთგან იგი მესამესა დღესა შემდგომ სიკუდილისა თვისისა გამოეცხადა მათ კუალად ცხოველი, წინაჲსწარ-თქუმულისამებრ წინაჲსწარმეტყუელთასა, რომელთა ვითარ-იგი ესე, ეგრეთ სხუანიცა მრავალნი ღირსნი საკვრველებისანი წინაჲსწარ-თქუეს მისთვის. სახელითა მისითა წოდებული ნათესავი ქრისტეანეთა ჰგიეს ვიდრე აწამდე“.

თანამედროვე თარგმანი

„ამ დროს იყო იესოც, ბრძენი მამაკაცი, თუ ძალიან ცოტა არ არის მისთვის მამაკაცის წოდება⁵, რადგან ის საკვირველ საქმეებს სჩადიოდა: იყო იმათი მოძღვარი, ვინც სიხარულით იღებდა ჭეშმარიტებას⁶ და მიიზიდა მრავალი მიმდევა-

³ რომაული ციფრებით აღნიშნულია ფლავიოსის დასახელებული თხზულების წიგნი და თავი. ფრჩხილებში მოტანილი გვაქვს ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერის დასახელება, აგრეთვე ბერძნული ტექსტის ის გამოცემა [Josephus MCMLXIX], რომელსაც ვეყრდნობით. ბერძნული ტექსტის დამონმებისას ვუთითებთ თხზულების სახელწოდების პირველ ასოს (A=Antiquities), წიგნის ნომერს რომაული ციფრით და ტექსტის სათანადო მუხლებს. სამივე მონაკვეთის ტექსტი ერთგვაროვნებისათვის გავასწორეთ ორთოგრაფიის თვალსაზრისით ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით (XIX ს-ის თარგმანში ეს ნორმები ხან დაცულია, ხან – დარღვეული). ეს მონაკვეთები S 375-ის მიხედვით გამოქვეყნებული აქვს ნ. პაპუაშვილს (შდრ.: **პაპუაშვილი 2005: 83-86**).

⁴ ასე არის ეს პარაგრაფი დასათაურებული ქართულ თარგმანში S 375-ის აშიაზე, ბერძნულ გამოცემაში ტექსტზე დართულ ინგლისურ თარგმანში კი – Jesus (Testimonium Flavianum) (Josephus MCMLXIX: 49); რაც შეეხება ბერძნულ დედანს, თითოეულ წიგნს ტომის ბოლოს დართული აქვს სარჩევი, სადაც არც ერთი ამ პასაჟის (იესო ქრისტეზე, იოანე ნათლისმცემელსა და იაკობზე) ცალკე დასათაურება არ არის შეტანილი. პარაგრაფების დასათაურება მოდის ლათინური თარგმანიდან.

⁵ ბერძნულ ტექსტშია: „თუ საერთოდ შესაძლებელია მისთვის მამაკაცის წოდება“ (εἴγε ἀνδρα αὐτὸν λεγεῖν ἄρῃ A, XVIII, 63).

⁶ თეკერის გასწორებული ვარიანტი „ჭეშმარიტებ“-ისა (τᾶληθῆ A, XVIII, 63) არის „არაჩვეულებრივი“ (ἀνεῦ „სასწაულებრივი“): τᾶληθῆ (Josephus MCMLXIX: 50,1).

რი როგორც იუდეველთაგან, ასევე წარმართთაგან. ეს იყო ქრისტე⁷, რომელიც თუმცა პილატემ ჩვენი (იუდეველების ნ.მ.) უწარჩინებულესების დასმენის გამო ჯვარზე სიკვდილით დასაჯა, მაგრამ მათ, ვისაც იგი მანამდე უყვარდა, არც შემდეგ განელეზბათ მისი სიყვარული, რადგან⁸ თავისი სიკვდილიდან მესამე დღეს⁹ კვლავ ცოცხალი გამოეცხადა მათ წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველების-ამებრ, რომელთაც როგორც ეს, ასევე სხვა მრავალი საკვირველება მის შესახებ იწინასწარმეტყველეს. მისი სახელით წოდებული ქრისტიანთა თემი¹⁰ დღევანდლამდე არსებობს¹¹“.

ამ ადგილის მიმართ მეცნიერთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ბევრი მათგანი თვლის, რომ ის, რაც იოსების თავდაპირველ ტექსტში იყო, შემდეგი დროის დაინტერესებული, მიკერძოებული ქრისტიანების მიერ იქნა შეცვლილი და ასე მიიღო ტექსტის ამ მონაკვეთმა ის სახე, რომლითაც დღეს არსებობს. რ. აისლერი თავის ნაშრომში „მესია იესო“ ამ მონაკვეთს (XVIII, 63-64) შემდგენაირად ცვლის, თვლის რა, რომ უფრო სავარაუდოა, ფლავიოსის ხელიდან ეს ნაწილი ამგვარად გამოსულიყო:

„დაახლოებით იმ დროს გაჩნდა ვინმე იესო (მიზეზი ახალი შფოთისათვის), ბრძენი მამაკაცი, თუ ნამდვილად შეიძლება მას მამაკაცი ვუნოდოთ – ყველაზე საოცარი ადამიანთა შორის, რომელსაც მისი მიმდევრები უფლის ძეს უწოდებდნენ; მან ისეთი სასწაულები მოახდინა, როგორც მანამდე – ვერც ერთმა ადამიანმა. სინამდვილეში იგი იყო გასაოცარი ჯამბაზური ილეთების ოსტატი და იქცა მოძღვრად ისეთი ადამიანებისათვის, რომლებიც ალტაცებით იღებენ ყველაფერ ზებუნებრივს. მან აცთუნა ბევრი იუდეველი და, აგრეთვე, ბერძენი და მათ მიერ მესიად იქნა აღიარებული. შემდეგ, როდესაც ჩვენი წარჩინებულების ბრალდების საფუძველზე პილატემ მას ჯვარზე გაკვრა მიუსაჯა, მათ, ვინც მას ადრე ეთაყვანებოდა, არ შეუცვლიათ მისდამი დამოკიდებულება, რადგან თვლიდნენ, რომ იყო რა იგი მკვდარი სამი დღის მანძილზე, კვლავ

⁷ რიჩარდსისა და შუტის მიერ გასწორებულ ვარიანტში (Richards, Schutt, 1937: 176): „ის ქრისტედ იწოდებოდა“ (Cristo- legomeno-). ასეა A, XX, 200-ში: „ Ihsou' tou legomenou Cristou“, რომლის ანალოგიითაც რიჩარდსმა და შუტმა გაასწორეს ეს ადგილი.

⁸ ბერძნულ ტექსტში არ არის „ვინაიდან“ (=რადგან), რომელიც რამდენადმე ცვლის ქართული თარგმანის აზრს: გამოდის, რომ ჯვარცმის შემდეგ იმიტომ არ გაუნელდათ მის მიმდევრებს ქრისტეს სიყვარული, რომ სიკვდილიდან მესამე დღეს კვლავ ცოცხალი გამოეცხადა მათ.

⁹ რიჩარდსი და შუტი ვარაუდობენ, რომ აქ იქნებოდა სიტყვები: „ამბობენ, რომ“ (ანუ, ვარაუდის სახით იყო ნათქვამი, რომ ქრისტე მესამე დღეს მკვდრეთით აღდგა) და რომ ეს სიტყვები ამოღებულ იქნა ტექსტიდან ქრისტიანი ცენზორის მიერ.

¹⁰ twñ Cristianwñ A, XVIII, 64.

¹¹ ბერძნულში: „არ გამქრალა“ (ouk epelepe A, XVIII, 64).

ცოცხალი გამოცხადდა მათ: ეს, ისევე როგორც კიდევ სხვა ურიცხვი, მასთან დაკავშირებული სასწაული, იწინასწარმეტყველეს ღვთითშთაგონებულმა წინასწარმეტყველებმა. დღესაც კი იმათი კრებული, ვისაც მის გამო ქრისტიანები (მესიანისტები) ეწოდათ, არ გამქრალა“ (**Eisler 1931: 61-62**)¹².

ამ ადგილის (ე. წ. Testimonium Flavianum) ავთენტურობაში პირველად ეჭვი სკალიგერმა შეიტანა XVI ს-ში. მას შემდეგ გაჩნდა დიდალი ლიტერატურა საკითხის ირგვლივ. ცნობილი მკვლევრები: შიურერი, ნიზე, ნორდენი, ცაიტლინი... (**Schürer 1872: 593-657; Niese 1893; Norden 1913: 637-666; Zeitlin 1931**) უარყოფენ ამ ადგილის იმ სახით გამოსვლას ფლავიოსის ხელიდან, რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია. არგუმენტი საიმისოდ, რომ იოსებთან ნამდვილად იყო ნახსენები ქრისტე და იყო მის შესახებ საუბარი, არის ის, რომ ეს ადგილი ყველა იმ ხელნაწერშია, რომლითაც მოაღწია ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიამ“ (Eusebius, Ecclesiastical History I, 11) და, აგრეთვე, მის „Demonstratio evangelica“-ში: III, 5. 105 და რომ ლექსიკა და სტილი ფლავიოსისეულია. რაც შეეხება მათ მთავარ არგუმენტებს, რომ ეს ადგილი ქრისტიანთა მიერ არის გადამუშავებული, შემდეგია:

1) იოსები, როგორც იუდეველი და ფარისეველთა მოძღვრების ერთგული, ვერ დაწერდა, რომ იესო იყო მესია;

2) ორიგენე (Contra Celsum I,47 და Comment. in Matt. XIII, 55; დაახლ. ჩ.წ.-ის 280 წ.) ნათლად განმარტავს, რომ იოსებს არ სწამდა იესოს მესიობა, ევსებს კი მაინც აქვს შეტანილი ეს პასაჟი თავის ნაშრომში (დაახლ. ჩ.წ.-ის 324 წ.). მას შემდეგ, რაც რიჩარდ მონტაგუმ, ნორვიჩის ეპისკოპოსმა, XVII ს-ში განაცხადა, რომ ფრაზა: „ის იყო მესია“ ქრისტიანულ გლოსას წარმოადგენდა, ზოგიერთი მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ადგილი, მთლიანად ან ნაწილობრივ, გაყალბებული იყო 280-324 წწ-ს შორის, ასე რომ, ის ვერ ჩაითვლება თვითონ ევსების დამონებად.

3) განსახილველი პასაჟი ისტორიული წყაროს (ანუ ფლავიოსის თხზულების) თანმიმდევრობას არღვევს, სადაც მოთხრობილია ამბობებათა წყებაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ 65-ე პარაგრაფი უშუალოდ აგრძელებს 62-ე პარაგრაფს.

4) თეკერემ (**Thakeray 1929: 125-153**), რიჩარდსმა და შუტმა (**Richards, Schutt, 1937: 170-177**) კარგად შეისწავლეს იოსების თხზულების სპეციფიკა და ამ პასაჟში ნახმარი რამდენიმე გამოთქმა (მაგ.: τῶν πρῶτων ἀπδρῶν παρ ἡμῶν – უწარჩინებულესთა სიმრავლისაგან ჩუენისა) მიიჩნიეს არაიოსებისეულად: ამ ნათქვამით ამკარა ხდება, რომ იესოს სიკვდილი ბრალად ედებათ იუდეველებს და არა პილატეს. ფლავიოსისაგან ასეთი შეფასება მოულოდნელი იქნებოდა. ეს უფრო ახლოს დგას ამ მოვლენის II-III სს-ის ქრისტიანულ შეფასებასთან. მოს-

¹² ეს ადგილი თავისი ინგლისური თარგმანითურთ გადმობეჭდილია: **Josephus MC-MLXIX: 48**; ქართული თარგმანი ჩვენ გვეკუთვნის.

წრებული თეორია რ. ლაკვერისა (**Laqueur 1920: 274**) იმის შესახებ, რომ იოსებმა, სხვადასხვა მხრიდან დევნილმა და შევიწროებულმა, ჩართო თავის თხზულებაში ეს პასაჟი, რათა თანდათანობით მომძლავრებული ქრისტიანთა სექტის კეთილგანწყობა მოეპოვებინა, ნაკლებად მისაღები ჩანს. უფრო სავარაუდოა, რომ დღევანდელი ტექსტი გადმოგვცემს ძირითადად იმას, რაც დაწერა იოსებმა, მაგრამ შემდეგი დროის ქრისტიანმა ინტერპოლატორებმა მასში გარკვეული ცვლილებები შეიტანეს (**Josephus MCMLXIX: 49,b**)¹³.

XVIII, V, §2 (S 375, გვ. 123-124; A, XVIII, 116-119)

წამებაჲ იოანესათჳს ნათლისმცემლისა¹⁴

„ამათ შორის რომელნიმე იუდელნი ჰგონებდენ, რომელ იროდი წარწყმედითა მჭედრობისათა დასჯილ არს ღუთისაგან შურისძიებითა სიკუდილისათჳს იოანესა, ნოდებულისა ნათლისმცემელად, ვინაჲთგან ჰბრძანა მან მოკლვაჲ ამის მართლისა კაცისა, რომელი განაფრთხოდა იუდელთა კეთილმოქმედებითსა ცხოვრებისა მიმართ და ასწავებდა მათ, რაჲთამცა იგინი, დამცველნი ურთიერთთა შორის სიმართლისანი, ხოლო ღუთისა მიმართ დამმარხველნი სათანადოჲსა პატივისცემისანი, შემდგომ მიეახლებოდენ ნათლისღებისა მიმართ. „ესე განბანაჲ¹⁵, უქადაგებდა იგი მათ, მაშინ იქმნების სათნოდ წინაშე ღუთისა, ოდეს იწუმევთ თქუენ მას არა მხოლოდ ერთისა ჯორცთა სინმიდისათჳს, არამედ განწმედისათჳსცა თავთა თჳსთა ბილწებათაგან, განმკუთნველთა ქეშმარიტებისა მიმართ გულთა თქუენტასა“¹⁶. ხოლო ვითარ ერი¹⁷, აღტაცებული ამათ სწავლა-

¹³ ამ საკითხზე მსჯელობს ჰ. ლიხტენბერგერიც (**ლიხტენბერგერი 2005: 96-99**) და მოაქვს არგუმენტები იმის ნათელსაყოფად, რა შეიძლება იყოს გამოსული იოსების ხელიდან და რა უნდა მომდინარეობდეს ქრისტიანი ინტერპოლატორებისაგან.

¹⁴ ასე არის დასათაურებული ეს პარაგრაფი ქართულ თარგმანში S 375-ის აშიაზე, ბერძნულ გამოცემაში ტექსტზე დართულ ინგლისურ თარგმანში კი – Herod’s defeat is attributed to his murder of John the Baptist. (**Josephus MCMLXIX: 81**). ამ პასაჟის შესახებ მსჯელობს ჰ. ლიხტენბერგერი თავის წერილში (**ლიხტენბერგერი 2005: 89-96**).

¹⁵ „ნათლისღება“ და „განბანვა“ გამიჯნულია როგორც ქართულ თარგმანში, ასევე ბერძნულ დედანში: baptismw` A, XVIII, 117 (=ნათლისღება) და baptisin A, XVIII, 117 (=განბანვა). (ტერმინ „ნათლისცემასა“ და მის ბერძნულ შესატყვისებზე იხ.: **მახარაძე 1984: 423-438**).

¹⁶ ესე განბანაჲ...გულთა თქუენტასა] ouŵ gar dh; kai; thn baptisin apodekthn auŵw faneiŵsai mh; epiv tinwn amartadwn paraithsei crwmenwn, a]l j ef; agneia/ tou swmato~, a]te dh] kai; ths yuchi- dikaiosunh/ proekkekaqarmenh~ A, XVIII, 117.

¹⁷ tw̄n a]lwn (=სხვები) A, XVIII, 118 (ვარიანტებში: law̄n; ლათინურ თარგმანში: a]qurwpwn (=ადამიანები) **Josephus MCMLXIX: 82,1**. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, „სხვები“ უნდა გულისხმობდეს იმ ადამიანებს, რომლებშიც მოხდა გარდასახვა იოანეს ქადაგების შემდეგ, ანუ – მომავალ ქრისტიანებს (**Eisler 1931: 247**).

თა მისთა მიერ, შეჰკრებოდა მისდამი დიდითა სიმრავლითა, ამისთჳს იროდი, მოშიშმან, რათამცა ესოდენმან კაცისა ამის უფლებამან არა მიიყვანნეს განდგომად მისგან ერნი მისნი, რომელნი მზა იყუნენ ქმნად ყოვლისავე განზრახვისამებრ მისისა, ჰსაჯა კეთილისა ნილ, უწინარედ ვიდრემდე იწარმოებოდეს ერს შორის ვითარიმე აღრეულებათ, უმჯობეს მოკლვაჲ იოანესი, ვიდრემე თვთ შევრდომად ვითარსამე უბადრუკებასა შემდგომ უსარგებლოსა შენანებისა. და ესრეთ იოანე ამის იროდის იჭჳთა შესმულ იქმნა საპყრობილესა შინა და წარგზავნილ წინარე ჴსენებულსა სამცველოსა მახერუნტისასა,¹⁸ რომელსა შინა მოკლულ იქმნაცა. შემდგომ აღსასრულისა მისისა იუდეელნი ჰგონებდენ, რომელ შედგომილი განხრწნათ მკედრობისა იროდისა იქმნა შურისძიებითა ლუთისათა სიკუდილისათჳს კაცისა ამის“.

თანამედროვე თარგმანი

„ამათგან ზოგი იუდეველი ფიქრობდა, რომ ჰეროდე იოანეს, ნათლისმცემელად წოდებულის, სიკვდილის გამო იქნა ღვთისაგან დასჯილი მისი მხედრობის (ჯარის) განადგურებით, რადგან მან ბრძანა ამ მართალი კაცის მოკვლა, რომელიც მოუწოდებდა იუდეველებს სწორი¹⁹ ცხოვრებისაკენ და არიგებდა, რომ სიმართლით ეცხოვრათ, ღვთის მიმართ ჯეროვანი პატივისცემა ჰქონოდათ და ამის შემდეგ ნათელ-ელოთ. „ეს განბანვა – უქადაგებდა იგი მათ – მაშინ იქნება ღვთისათვის მისაღები, თუ თქვენ ამას გააკეთებთ არა მხოლოდ ხორცის სინმდისათვის, არამედ განიბანებით ბილწებისაგან თქვენი განწმედისათვის, მიმართავთ რა გულებს ჭეშმარიტებისაკენ“. როდესაც ხალხი, აღტაცებული მისი სწავლებით, მრავლად იკრიბებოდა იოანეს გარშემო, ჰეროდემ, შეშინებულმა, რომ ამ კაცის დიდმა გავლენამ არ გამოიწვიოს მისგან ხალხის განდგომა, ხალხისა, რომელიც მზად იყო გაეკეთებინა ყველაფერი იოანეს განზრახვისამებრ, გადაწყვიტა, რომ სანამ რაიმე არეულობა მოხდებოდა, უმჯობესი იყო, მოეკლა იოანე და ამით თავი დაეხსნა მოსალოდნელი უბედურებისაგან და უსარგებლო სინანულისაგან. ჰეროდეს ამ ეჭვების გამო იოანე ჩააგდეს საპყრობილეში და გაგზავნეს ზემოთ უკვე ნახსენებ მახერუნტის ციხეში, სადაც მოკლულ იქნა კიდეც. მისი აღსასრულის შემდეგ იუდეველები ფიქრობდნენ, რომ ჰეროდეს ჯარის განადგურება ღვთის შურისძიება იყო ამ კაცის სიკვდილის გამო“.

მართალია, პასაჟი იოანე ნათლისმცემელის მოკვლის შესახებ მიჩნეულია ავთენტურად, მაგრამ ზოგიერთ მკვლევარს მაინც ეჭვი შეაქვს ამაში, თვ-

¹⁸ ქართულ თარგმანში რამდენადმე შეცვლილია ტექსტი. ბერძნულშია: *deemio- eij-ton Macairounta pemf qei-* A, XVIII, 119 (=ბორკილდადებული მიყვანილ იქნა მახერუნტის ციხეში).

¹⁹ *ajethn* A, XVIII, 117 (*ajethn*=მორალური სრულყოფილება).

ლის რა, რომ იოსებ ფლავიოსი იოანეს ნათლისმცემელს არ უწოდებდა იმის განმარტების გარეშე, თუ რა იყო ნათლისღება და არ გამოიყენებდა განსხვავებულ ფორმებს „ნათლისღების“ აღსანიშნავად. იმ მკვლევართა აზრით კი, ვინც ამ ადგილს ავთენტურად მიიჩნევს, იოსები ყოველთვის არ განმარტავდა თავის ყველა ნათქვამს და რაკი არ არსებობდა დადგენილი ბერძნული ტერმინი ნათლისღებისათვის, მას შეეძლო გამოეყენებინა ამ სიტყვის ორი განსხვავებული ფორმა: „baptismw“ და „baptisin“.

სქოლიო №16-ში ჩვენ მოვიტანეთ ბერძნული ტექსტი, სადაც საუბარია იმაზე, თუ რას უქადაგებდა იოანე ხალხს. ამ ტექსტზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ფლავიოსის გადმოცემით, ნათლობის დროს უნდა მომხდარიყო არა მხოლოდ უკვე ჩადენილი ცოდვების მონანიება, არამედ სხეულის განწმენდა მაშინ, როდესაც სული უკვე განწმედილია სწორი ცხოვრების მეშვეობით. აშკარაა, რომ ნათლობის რიტუალის არსის გადმოცემაში თანხვედრაა ფლავიოსსა და სახარებას შორის: „მე უკუე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა სინანულად“ (მათე, 3,11); „იყო იოანე უდაბნოსა და ნათელ-სცემდა და ქადაგებდა ნათლისცემასა სინანულისასა მისატყვებელად ცოდვათა“ (მარკ. 1,4) **[მცხეთური ხელნაწერი 1986: 119; 173]** – მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი სულიერად მზად არის წმიდა ცხოვრებისათვის, ნათლისღება „სათნო“ იქნება უფლისათვის; სხვა შემთხვევაში მას აზრი დაეკარგება.

ამ ადგილს S 375-ში გაკეთებული აქვს შემდეგი კომენტარი: „ისტორია სახარებისა წარმოადგენს სხუათასა მიზეზსა, რომლისათჳს იოანე მოკლულ იქმნა იროდისაგან: ესე იგი, მყოფი საპყრობილესა შინა, ამხილებდა იროდის უსჯულთებითსა სიყუარულსა ცოლისა თანა ძმისა მისისა ფილიპესა, რომლისათჳს რაოდენმე ზემორე იოსიპოსცა მოიჯსენებს, არამედ რაესათჳს იყო შესმულ საპყრობილესა შინა იოანე, სახარებაჲ დაიდუმებს, რომლისა გამო საყოველთაო პატივისცემაჲ ამის წინაჲსწარმეტყუელისა მიმართ, რომლისათჳს ჰსწამებს იოსიპოს, შესაძლო არს ყოფად ქეშმარიტად მიზეზად შეპყრობისა იოანესსა“.

როგორც ვხედავთ, ამ კომენტარში საუბარია იმის შესახებ, რომ სახარებაში (მარკ. VI,17-28) სხვა მიზეზია დასახელებული, რომლის გამოც ჰეროდემ მოკლა იოანე, კერძოდ, იოანე ამხელდა ჰეროდეს მისი უკანონო სიყვარულის გამო თავისი ძმის, ფილიპეს ცოლის, ჰეროდისა მიმართ. თუ რატომ იქნა იოანე ჩადგებული საპყრობილესი, ამის შესახებ სახარება არაფერს ამბობს, ანუ იქ არ არის ნახსენები ჰეროდეს მღელვარება იოანეს აქტიურობის გამო. მეორე მხრივ, იოსები არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ სალომეამ მოითხოვა იოანეს თავი (მარკ. VI,22-28). ამიტომ, კომენტარის ავტორის აზრით, ის საყოველთაო პატივისცემა ამ წინასწარმეტყველის მიმართ, რომლის შესახებაც საუბრობს ფლავიოსი, შესაძლოა, მართლა იყოს იოანეს შეპყრობის ნამდვილი მიზეზი. სახარების ერთ-ერთ ამ დასახელებულ მუხლთაგანში საუბარია ჰეროდეს წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაზე იოანე ნათლისმცემელის მიმართ: „რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოანესი და იცოდა, რამეთუ მართალი და წმიდაჲ არს, და სცვიდა მას, და ის-

მინის მისი და მრავალსა პატივსა უყოფდა და ჯეროვნად ისმენდა მისსა“ (მარკ. VI,20); დაახლოებით იგივე არის ნათქვამი მათე, 14,5-ში: „და უნდა ლათუ მისი მოკვლა, არამედ ეშინოდა ერისა მის, რამეთუ ვითარცა წინანარმეტყუელი ეპყრა მათ იგი“ (მცხეთური ხელნაწერი 1986: 183-184; 140). მოტანილი ადგილებიდან ჩანს, რომ ჰეროდეს, მიუხედავად იმისა, რომ პატივს სცემდა იოანეს როგორც წმიდა და მართალ ადამიანს და ყურს უგდებდა კიდეც მის ქადაგებებს, ეშინოდა მისი. ამდენად, ის, რაც იოსებ ფლავიოსთან არის ნათქვამი იოანეს დაპატიმრების მიზეზის შესახებ, არ ეწინააღმდეგება სახარებისეულ გადმოცემას.

რაც შეეხება ჰეროდეს მიერ იოანეს მოკვლის მიზეზს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახარების მიხედვით ეს არის ჰეროდესა და იოანეს პირადი კონფლიქტი ჰეროდეს უკანონო საქციელის გამო, ანუ ამ მკვლელობის მიზეზი ჰეროდეს ამორალურ საქციელშია. რაც შეეხება ფლავიოსის თხზულებას, აქ პოლიტიკური მიზეზი სახელდება: ჰეროდე ცდილობს, თავიდან აიცილოს ხალხის ამბოხება, თუმცა ეს ამბოხება რომ შემდგარიყო, მისი საბოლოო მიზეზი ისევ და ისევ მორალის სფეროში უნდა გვეძებნა: იოანე თავისი ქადაგებებით ადამიანებს სწორი და სამართლიანი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა და ამით მოაპოვა დიდი გავლენა იუდეველებზე. სწორედ ეს უჩენდა ჰეროდეს ამბოხების შიშს.

XX, IX, §1 (S 375, გვ. 301-302; A, XX, 197-203)

იაკობს, ძმასა ქრისტესსა, ქუა-დაჰკრებენ²⁰

„არამედ კესარმან, მსმენელმან ფესტოს აღსასრულისამან, წარავლინა ადგილისმთავრად იუდიასა შინა ალბინოს. ხოლო მეფემან მიულო იოსიპოსს მღდელთმთავრობა და უბრძანა მიღებად ადგილისა მისისა ანანოს, ძესა ანანოსსა. ამის უხუცესისა ანანოსათჳს იტყვან, რომელ იგი იყო უბედნიერესი კაც-თაგან მისთჳს, რომელ ესხნენ მას ხუთნი ძენი, რომელთაგანთა თვითოეულსა შეხუდა მსახურებაჲ ლუთისა წესითა მღდელთმთავრობისათა, გარდა მისსა, რომელ თვთ მას ეტკრთა გრძელჟამ ხარისხი ესე, რომლისა ბედნიერებასა არავინ, უწინარეს მყოფთა მისთაგან მღდელთმთავართა, ვერ ღირს-იქმნა ქონებად. ხოლო მცირე ანანოს, მიმღები წესისა მღდელთმთავრობისა, იყო სასტიკისა²¹

²⁰ ასეა ეს პარაგრაფი დასათაურებული ქართულ თარგმანში S 375-ის აშიაზე; რაც შეეხება ბერძნული გამოცემისათვის დართულ ინგლისურ თარგმანს, იქ „იაკობის“ სახელი სათაურში გამოტანილი არ არის: *Albinus is appointed procuratur (Josephus MCMLXIX: 495)*.

²¹ *Qrasu:- hī ton tropon A, XX, 199 (Qrasu:- =1) მაშაცი; 2)თავხედი*. ქართულ თარგმანში ანანოსის თავხედობა თუ სიმამაცე, ან, შესაძლოა, თავხედობაში გადასული სიმამაცე, „სისასტიკედ“ არის გადმოღებული. ასეთი ინტერპრეტაციის საშუალება მთარგმნელს, როგორც ჩანს, მისცა კონტექსტმა, რომლის მიზანია უმცროსი ანანოსის უარყოფითად დახასიათება.

და ფრიად კადნიერისა²² ქცევისა და, მას თანავე, შეუდგა წვალებასა სადუეკველთასა, რომელნი ყოველთაგან იუდელთა უსასტიკესად და ულმოზელად იქცეოდნენ მსჯავრთა შინა, ვითარ-იგი უკუე ზემორე ვჰსთქუთ ამისთვის²³. ესრეთთა მყოფმან თვსებათამან, ანანოს, მრაცხველმან თვსდა კეთილდროებითისა შემთხუვევისა, ოდეს ფესტოს აღესრულა და ალბინოს იყო ჯერეთ გზასა ზედა, მიუწოდა შესაკრებელად მსაჯულთა და წარმოადგინა სამსჯავროსა შინა იაკოვოს, ძმაჲ მის იესოსი, რომელსა უწოდეს²⁴ ქრისტე, რომელთამე სხუათა თანა, ჰქმნა მათ ზედა შესმენაჲ დარღუევისათვს ჰსჯულთასა და მისცა ყოველნივე იგი ქვისა დაკრებად. არამედ კეთილზნენი და გულმოდგინენი სჯულისა მიმართ მოქალაქენი ფრიად განრისხნენ ამათ ქცევათა ზედა, რომლისათვს წარავლინესცა ფარულად მეფისა მიმართ გაზრახ²⁵ თხოვითურთ, რაჲთამცა სათნო-იყოს წერილითა შეგონებად ანანოსა და მით პყრობად მისდა მზგავსთაგან კადნიერებათა, ვინაჲთგან ქმნულნი მის მიერ წინააღმდეგომ იყუნენ ყოველთა სამართალთა და სჯულთა. ხოლო რომელნიმე მათგანნი წარვიდნენ მიგებებად თვთ ალბინოსა, რომელი განაგრძობდა გზასა თვსსა ალექსანდრიით და მოქსენებად მისსა, რომელ ანანოს არა მქონებულ არს უფლებისა შეკრებად მსაჯულთა თვნიერ თანაწმობისა მისისა²⁶. ალბინოს, მოდრეკილმან სიტყუათა მათთა ზედა, მისწერა ანანოს წერილი, აღსავსე რისხვითა და გულისწყრომითა და ექადოდა, კუალად მისრული, დასჯასა მას; რომლისათვს მეფემან აღრიპჰა მიულო მას ხარისხი მღდელთმთავრობისა, რომელი აქუნდა მას მხოლოდ სამთა თთუეთა და აღიყვანა ადგილსა მისსა იისუ, ძეჲ დამნეოსი“.

თანამედროვე თარგმანი

„როდესაც კეისარმა შეიტყო ფესტოსის სიკვდილის შესახებ, იუდეაში პროკურატორად ალბინოსი გაგზავნა. მეფემ ჩამოართვა იოსებს მღვდელთმთავრობა და უბრძანა ანანოსს²⁷, ანანოსის ძეს, მისი ადგილის დაკავება. უფროსი

²² tolmhtih- A, XX, 199 (=1) მამაცი; 2) თავხედი). „კადნიერი“ ძველ ქართულში იხმარებოდა როგორც „მამაცის“, ასევე „თავხედის“ მნიშვნელობით. ასევე მის ბერძნულ შესატყვისს აქვს ორივე ეს მნიშვნელობა.

²³ ამის შესახებ საუბარია A, XIII, 294-ში.

²⁴ სწორედ ამ ადგილის ანალოგიით აღადგინეს რიჩარდსმა და შუტმა A, XVIII, 63-ში ზმნა „უწოდეს“ (იხ.: სქ. №7).

²⁵ განზრახვა=ფიქრი, შეთქმულება, სურვილი. ვფიქრობთ, აქ უხერხული თარგმანია გაკეთებული. სიტყვა „გაზრახ“ ამ კონტექსტში საერთოდ ზედმეტია და არც არის ბერძნულ დედანში. მთარგმნელი, შესაძლოა, საუბრობს მოქალაქეების „სურვილზე“, რომელსაც მათ თხოვნის სახე მისცეს.

²⁶ მღვდელთმთავარს იუდეაში პროკურატორების მმართველობის დროს არ ჰქონდა უფლება, ვინმესთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა (Büchel 1934: 86).

²⁷ ბიბლიის ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია ამ პირს „ანას“ სახელით მოიხსენებს. ჩვენ ვტოვებთ ისე, როგორც სათარგმნ ტექსტშია: „ანანოს“ (ამ სახელის

ანანოსის შესახებ ამბობენ, რომ ის უბედნიერესი იყო კაცთა შორის, რადგან მას ხუთი ძე ჰყავდა და თითოეულ მათგანს წილად ხვდა ღვთის სამსახური მღვდელთმთავრის ხარისხში. გარდა ამისა, მანამდე არც ერთ მღვდელთმთავარს არ ღირსებია ბედნიერება, ისე ხანგრძლივად ჰქონოდა ეს ხარისხი, როგორც მას ფლობდა ანანოსი. უმცროსი ანანოსი, რომელმაც მიიღო მღვდელთმთავრობის ხარისხი, იყო სასტიკი და თავისი საქციელით ფრიად კადნიერი. ამავე დროს, ის მიემხრო სადუკეველთა სექტას, რომლის წევრებიც, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, სასამართლოში ყველა იუდეველზე სასტიკად და ულმობელად იქცეოდნენ. ამგვარი ბუნების მქონე ანანოსმა ჩათვალა, რომ შესაფერისი შემთხვევა ჩაუვარდა ხელში, რადგან ფესტოსი გარდაცვლილი იყო, ალბინოსი კი ჯერ მოემგზავრებოდა: ბრძანა მსაჯულთა (სინედრიონის ნ.მ.) შეკრება და სასამართლოს წარუდგინა იაკობი, იმ იესოს ძმა, რომელსაც უწოდეს ქრისტე, და მასთან ერთად კიდევ რამდენიმე სხვა; წაუყენა მათ ბრალად კანონთა დარღვევა და ყველას ქვით ჩაქოლვა მიუსაჯა. მაგრამ მოქალაქენი, ზნეობით გამორჩეულნი და კანონთა ზედმინევნით მცოდნენი, ფრიად განრისხდნენ მისი საქციელით, რის გამოც ფარულად გაუგზავნეს მეფეს თხოვნა, წერილით შეეგონებინა ანანოსთვის და აეკრძალა მისთვის მსგავსი თავხედობანი, რადგან მის მიერ ჩადენილი წინააღმდეგობაში მოდიოდა ყველანაირ სამართალთან და კანონთან. ზოგიერთი მათგანი თვითონ გაეშურა ალბინოსის შესაგებებლად, რომელიც ჯერ გზაში იყო, ალექსანდრიიდან მომავალი, რათა მოეხსენებინათ მისთვის, რომ ანანოსს არ ჰქონდა უფლება მისი (ალბინოსის ნ.მ.) თანხმობის გარეშე შეეკრიბა მსაჯულები. ალბინოსი დაარწმუნა მათმა ნათქვამმა და მან ანანოსს რისხვითა და გულისწყრომით აღსაყვამ წერილი მისწერა – ემუქრებოდა, რომ მისული დასჯიდა მას. მომხდარის გამო მეფე აღრიპამ²⁸ ჩამოართვა ანანოსს მღვდელთმთავრობის ხარისხი, რომელიც მას მხოლოდ სამი თვის მანძილზე ჰქონდა და მისი ადგილი უბოძა იისუს, დამნეოსის ძეს“.

იესოსთან (ქრისტესთან) დაკავშირებული მონაკვეთისაგან (A, XVIII, 63-64) განსხვავებით, იაკობის პასაჟის ავთენტურობამ მკვლევართა ნაკლები დაეჭვება გამოიწვია. მათი აზრით, იმ შემთხვევაში, ეს რომ ქრისტიანული ინტერპოლაცია ყოფილიყო, იაკობი მეტად იქნებოდა განდიდებული, ხოლო მისი მონამეობრივი აღსასრული – ხოტბაშესხმული: ჰეგესიპუსი, ევსების „საეკლესიო ისტორიაზე“ დაყრდნობით, წერს, რომ იაკობი გადმოაგდეს ტაძრის გუმბათიდან, შემდეგ ქვებით ჩაქოლეს და კეტით მოუღეს ბოლო.

ფუძედ XIX ს-ის თარგმანში ხან „ანანო“ არის აღებული, ხან – „ანანოს“. ძველ თარგმანს ამ მხრივ არ ვასწორებთ).

²⁸ იგულისხმება აგრიპა II.

ორიგენე (Contr. Cels. : I,47) და ევსები (Hist. Eccl. : II,23) წერენ, რომ იოსებ ფლავიოსის აზრით, ის ტანჯვა, რომელიც გამოიარეს იუდეველებმა რომაელებთან ბრძოლის პერიოდში, იყო მათზე განხორციელებული უფლის შურისძიება იაკობის სიკვდილის გამო. მაგრამ ფლავიოსის თხზულებაში არაფერია ნათქვამი ამის შესახებ. შესაძლოა, ორიგენემ და ევსებმა იოსების ნათქვამი იოანე ნათლისმცემელის სიკვდილთან დაკავშირებით, კერძოდ, ის, რომ ამ მკვლევლობისათვის უფალმა ჰეროდე მისი ჯარის განადგურებით დასაჯა (A, XVIII, 116), გაავრცელეს იაკობის სიკვდილზეც.

უფლის ხორციელი ძმა, იაკობი, სახარებაში რამდენიმეჯერ არის მოხსენიებული (მათე 27,56; მარკოზი 6,3; 16,1...). უფრო ხშირია და შედარებით ვრცელი კონტექსტის შემცველი იაკობის ხსენება „სამოციქულოში“²⁹. დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში ის მიჩნეულია იაკობის სახელით ცნობილი 4 ეპისტოლეს ავტორად. მართალია, ზუსტი ცნობა ამის შესახებ არ მოიპოვება, მაგრამ ირიბი მინიშნებებით მკვლევრები ამ დასკვნამდე მივიდნენ. უფლის ხორციელი ძმის ავტორიტეტის ზრდა ქრისტეს ჯვარცმისა და მისი აღდგომის შემდეგ დაიწყო. ის იმათ შორის იყო, ვინც იხილა მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე (I კორ. მიმ. 15,7); იერუსალიმის ქრისტიანთა შორის იაკობი სწრაფად იქცა ანგარიშგასანეგ პიროვნებად (საქ. მოც. 12,17). ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მოციქულ პეტრესთან ერთად ნახა პავლედ გარდასახული სავლე (გალატ. მიმ. 1,18-19); იერუსალიმში მოციქულთა შეკრებისას, როდესაც განიხილებოდა საკითხი, თუ რა სახით შეიძლებოდა არაებრაელები ზიარებოდნენ ქრისტეს რჯულს – იყო თუ არა აუცილებელი მათთვის წინადაცვეთა და მოსეს კანონების დაცვა, იაკობი სიტყვას წარმოთქვამს (საქმ. მოც. 15,13) და, ამდენად, მის აზრს ქრისტიანთათვის უკვე გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ იაკობის ავტორიტეტის გამოყენებას ცდილობდნენ ფარისეველები და წინააღმდეგობას უწევდნენ მოციქულ პავლეს, რომ გაენთავისუფლებინა ქრისტიანობას ზიარებული ადამიანები იუდეველთა რიტუალების შესრულებისაგან (გალატ. მიმ. 2,12). გადმოცემით, იაკობი ნაზორეველთა წესების დამცველი იყო და ძირითად დროს ტაძარში ატარებდა (ევსები, საეკლესიო ისტორია, II, 23). თავისი ღვთისმოსავობის გამო მიიღო მან ზედწოდება „მართლისა“ და „ობლიამისა“, რაც „ხალხის დასაყრდენს“ ნიშნავს. ჩ. წ.-ის 58 წ-ს იაკობმა მიიღო მოციქული პავლე იერუსალიმში როგორც ადგილობრივი ეკლესიის უზუცესმა (საქმ. მოც. 21,17-18). იაკობის სახელით ცნობილ

²⁹ ახალ აღთქმაში არსად არაფერია ნათქვამი იაკობის ტრაგიკული აღსასრულის შესახებ. პროკურატორი ფესტოსი, რომლის ადგილიც დაიკავა ალბინოსმა, ნახსენებია საქმ. მოც.-ში (24,27) მოციქულ პავლესთან დაკავშირებით: იქაც მსგავსი შემთხვევა იყო – მღვდელთმთავრები და წარჩინებული იუდეველები ჩიოდნენ ფესტოსთან პავლეზე და მის გასამართლებას მოითხოვდნენ. იოსებ ფლავიოსის თხზულებაზე დაყრდნობით, იაკობის მოკვლის ამბავი გადასულია ევსებთან („საეკლესიო ისტორია“: II,23).

4 ეპისტოლეს, რომელთაც ის 12 ეკლესიას უგზავნის, ნაკლებად აქვს ეპისტოლარული ფორმა: ისინი უფრო გამონათქვამებისა და მოკლე დარიგებების კრებულს წარმოადგენენ – თავიანთი სულისკვეთებით ეხმიანებიან სახარებისეულ სწავლებას და თითქოს აერთიანებენ ძველსა და ახალ აღთქმას.

ზემოთ ვისაუბრეთ იმ წყაროებზე, რომელთაც იყენებდა იოსებ ფლავიოსი „იუდეველთა სიძველეთა“ წერისას. არ გვიხსენებია მხოლოდ ზეპირგადმოცემები, რომელთაც მომდევნო საუკუნეების ისტორიკოსებისათვის, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ, ვიდრე ფლავიოსის მიერ გამოყენებულ წერილობით ცნობებს. სწორედ ამ ზეპირგადმოცემათა სფეროს მიეკუთვნებოდა, როგორც ჩანს, ის ცნობები, რომელთაც გვანვდის იოსები იესო ქრისტეს, იოანე ნათლისმცემლისა და იაკობის შესახებ. იმის გამო, რომ ფლავიოსი ქრისტეს თითქმის თანამედროვე იყო, ამ ცნობების გადამეტებულად შეფასება შეუძლებელია. იოსებ ფლავიოსის თხზულებები თვითონ იქცნენ ისტორიულ წყაროდ მომდევნო საუკუნეების ისეთ ავტორთათვის, როგორებიც არიან: ტაციტუსი, სვეტონიუსი, კასიუსი, ორიგენე, ევსები კესარიელი, იერონიმე, რუფინუსი, იოანე დამასკელი, თომა აკვინელი... იოსების მიერ მოწოდებული ცნობები, მათ შორის იესო ქრისტეზე, იოანე ნათლისმცემელსა და იაკობზე, მეორდება ზოგიერთ ჩამოთვლილ ისტორიკოსთა ნაშრომებში (ორიგენე, ევსები, იერონიმე). ის უზარმაზარი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შეიქმნა იმის დასადგენად, თუ რა სახით შეიძლებოდა გამოსულიყო ეს პასაჟები ფლავიოსის ხელიდან, ანუ რა იყო მათში ავთენტური და რა – შემდეგი საუკუნეების ქრისტიანთა გადამუშავების შედეგი – შესანიშნავად მეტყველებს იოსებ ფლავიოსის თხზულების, „იუდეველთა სიძველეთა“ მნიშვნელობაზე თუნდაც ამ კუთხით.

ბამოყენებული ლიტერატურა

- Büchel 1934:** Büchel, F., “Noch einmal: Zur Blutgerichtsbarkeit des Synedrions”, Zeitschr. f. d. Neutest. Wiss. XXXIII, 1934.
- Eisler 1931:** Eisler R., The Messiah Jesus and John the Baptist, 1931.
- Eusebius 1858:** Eusebius, “an historian”, Bibliotheca sacra, 1858.
- Josephus MCMLXIX:** Josephus, in nine volumes, Jewish Antiquities, volumes IV-IX, Thackeray, M. A., Ralph, M., PhD., Feldman, L. H., Wikgren, A., volume IX, books XVIII-XX, London, Harvard University Press, MCMLXIX.
- Laqueur 1920:** Laqueur, R., Der jüdische Historiker Flavius Josephus, Gießen. 1920.
- ლიხტენბერგერი 2005:** ლიხტენბერგერი ჰ., იოსები იოანე ნათლისმცემლის, იესოსა და იაკობის შესახებ, ჟურნ. „ემაოსი“, წმიდა ირინეოს ლიონელის სახ. ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი, თბ., 2005, №1(4).

- მახარაძე 1984:** მახარაძე ნ., ტერმინი „ნათლის-ცემა“ და მისი ბერძნული შესატყვისი, არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა, თბ. სახ. უნივ.-ის შრ., 249, 1984.
- მელიქიშვილი 1987-88:** იოსებ ფლავიოსი, „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი“, ტ. I, II, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნინო მელიქიშვილმა, „მეცნიერება“, თბ., 1987; 1988.
- მცხეთური ხელნაწერი 1986:** მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დონანაშვილმა, თბ., „მეცნიერება“, 1986.
- Niese 1893-4:** Niese, B., De testimonio Christiano quod est apud Josephum Antiq. Jud. XVIII 63 sq. disputatio. 1893-4.
- Norden 1913:** Norden, E., „Josephus und Tacitus über Jesus Christus und eine messianische Prophetie“, Neue Jahrb. f. d. klass. Altertum 31 (1913).
- პაპუაშვილი 2005:** პაპუაშვილი ნ., იოსებ ფლავიუსი და მისი ცნობები იესოზე, იონანესა და იაკობზე ქართულ თარგმანში, ჟურნ. „ემაოსი“, წმიდა ირინეოს ლიონელის სახ. ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი, თბ., 2005, №1(4).
- Richards, Schutt 1937:** Richards, G. C., Schutt, R. J., „Critical Notes on Josephus' Antiquities“, Classical Quarterly 31 (1937).
- S-I 1959:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I, თბ., 1959.
- Самуилов 1818:** Самуилов, М., Иосифа Флавия Древности Иудейския, с Латинского на Российский язык преложенныя придворным священником Михаилом Самуиловым. Санкт-Петербург, 1818.
- Schürer 1872:** Schürer, E., „Die apcierei~ im Neuen Testamente“, Stud. u. Krit. 1872.
- Thackeray 1929:** Thackeray, H. St., J., Josephus the Man and the Historian. 1929.
- Zeitlin 1931:** Zeitlin, S., Josephus on Jesus; with particular reference to the Slavonic Josephus and the Hebrew Josippon. 1931.

საკითხთან დაკავშირებული მცირე ბიბლიოგრაფია

1) იესო ქრისტე იოსებ ფლავიოსთან (A, XVIII, 63-64)

- Barnes, W, E.,** The Testimony of Josephus to Jesus Christ. 1920.
- Bienert, W.,** Der älteste nichtchristliche Jesusbericht, Josephus über Jesus, unter besonderer Berücksichtigung des altrussischen „Josephus“. 1936.
- Bloch, J.,** „Josephus and Christian Origins“, Jour. of the Soc. of Or. Res. 13 (1929), 130-154.
- Burkitt, F. C.,** „Josephus and Christ“, Theologisch Tijdschrift 47 (1913), 135-144.
- Corsen, P.,** „Die Zeugnisse des Tacitus und Pseudo-Josephus über Christus“, Zeitsch. f. d. neutest. Wiss. 15 (1914), 114-140.
- Eisler, R.,** Iesus Basileus ou Basileusas. 1929.
- Eisler, R.,** „Flavius Josephus on Jesus Called the Christ“, Jew. Quart. Rev. 21 (1930), 1-60, esp. 21-30.
- Gerlach, E.,** Die Weissagungen des Alten Testaments in den Schriften des Flavius Josephus und das angebliche Zeugnis von Christo. 1863.

- Goetz, K. G.**, “Die ursprüngliche Fassung der Stelle Josephus Antiq. XVIII, 3,3 und ihre Verhältnis zu Tacitus Annal. XV,44”, Zeitsch. f. d. neutest. Wiss. 14 (1913), 286-297.
- Harnack, A.**, “Der jüdische Geschichtsschreiber Josephus und Jesus Christus”, Internat. Monatsschr. f. Wiss. Kunst u. Technik 7 (1913), 1037-1068.
- Kars, H. W.**, “Der älteste nichtchristliche Jesusbericht”, Theolog. Studien 108 (1937), 40-64.
- Kneller, C. A.**, “Flavius Josephus über Jesus Christus”, Stimmen aus Maria-Laach. Kath. Blätter 53 (1897), 1-19, 161-174.
- Van Liempt, L.**, “De testimonio Flaviano”, Mnemosyne 55 (1927), 109-116.
- Linck, K.**, De antiquissimis veterum quae ad Iesum Nasarenum spectant testimoniis (=Religionsgesch. Versuche u. Verarbeiten. Bd. 14, Heft 1), esp. pp. 3-31. 1913.
- Müller, G. A.**, Christus bei Josephus Flavius. 1895.
- Pharr, C.**, “The Testimony of Josephus to Christianity”, Am. Jour. of Philol. 48 (1927), 137-147.
- Reinach, S.**, “Jean-Baptist et Jésus suivant Josèphe”, Rev. d. ét. juives 87 (1929), 113-136.
- Reinach, T.**, “Josèphe sur Jésus”, Rev. d. ét. juives 35 (1897), 1-18.
- Scheidweiler, F.**, “Das Testimonium Flavianum”, Zeitsch. f. d. neutest. Wiss. 45 (1954), 230-243.
- Schoedel, F. H.**, Flavius Iosephus de Iesu Christo testatus: vindiciae Flaviana. 1840 (gives a full bibliography up to 1840).
- Schürer, E.**, Geschichte des jüdischen Volkes im Zeitalter Jesu Christi I(4), 1901, 544-549 (includes good bibliography).
- Ussani, V.**, “Quaestiones Flavianae, I: il Testimonium Christi e la magia di Gesù”, Riv. d. Fil. ed. Istruz. Class. 38 (1910), 1-12.
- Volkmar, G.**, “Die Religionsverfolgung unter Keiser Tiberius und die Chronologie des Fl. Josephus in der Pilatus-Periode”, Jahrb. f. Prot. Theol. II, (1885), 136-143.
- Wertheimer, M.**, Das echte und unechte Josephus Flavius-Zeugnis über Jesus aus Nazareth. 1929.
- Wieseler, K.**, “Des Josephus Zeugnisse über Christus und Jakobus, den Bruder des Herrn”, Jahrb. f. deut. Theol. 23 (1878), 86-109.

2) იოანე ნათლისმცემლის სიკვდილის შესახებ იოსებ ფლავიოსთან

- Belser, D.**, “Über Johannes den Täufer”, Theol. Quartalsch. 72 (1890), 355-399.
- Creed, J. M.**, “Josephus on John the Baptist”, Jour. of Theol. St. 23 (1922), 59-60.
- Dibelius, M.**, “Die urchristliche Überlieferung von Johannes dem Täufer”, Forsch. z. Rel. u. Lit. d. Alten u. Neuen Test. (1911).
- Kampmeier, A.**, “Did John the Baptist Exist?”, Open Court 27 (1913), 433-437.
- Klöpper, A.**, “Ein paar Bemerkungen zu dem Urtheil des Josephus über Johannes den Täufer”, Zeitschr. f. wissensch. Theol. 28 (1885), 1-20.
- Loman, A. D.**, “Het bericht van Flavius Josephus aangaande de oorzaak en het datum der executie van Johannes den dooper, vergeleken met de verhalen der synoptici”, Theol. Tijdschr. 25 (1891), 293-315.
- Schürer, E.**, Geschichte I(4), 1901, 436-445.

Nino Melikishvili

**JOSEPH FLAVIUS' WORK "JEWISH ANTIQUITIES", AS FIRST
HISTORICAL SOURCE ON REALITY OF GOSPEL**

SUMMARY

An introductory part of the present paper deals with Joseph Flavius' work "**Jewish Antiquities**", as the historical source, also with those works of the ancient authors, which Joseph Flavius relies on and a major part of which had been lost by today: the evidence on these works is delivered in the work by Joseph Flavius. The scholars evaluate the works by Joseph Flavius not uniformly: some of them doubt objectivity of Flavius' works and, value of his work, as a historical source.

A main part of the present paper concerns discussion of those passages, which mention Jesus Christ, John the Baptist and Jacob, Our Lord's physical brother. Confirmation of Flavius is of the greatest importance, because he is nearly a contemporary to the Gospel events (37-110 A.D.). The paper gives the XIX century Georgian translation of these parts and modern translation made by the author of the present paper. The XIX century translation is compared with the relevant Greek text and some minor differences from it are given, which probably are the result of the following: the last five books of Joseph's work (these passages are in the XVIII and XX books) were translated into Georgian in the XIX century from the Russian translation from Latin, unlike the I-XV books of the work, which were translated already in the XII century from the Greek language. The paper analyzes the scientific literature, in which the attempts are made to separate the parts of these passages elaborated from the authentic and Christian positions; the scholars' arguments are analyzed in this direction. The author of the present paper cites the places from the Gospel corresponding to the content of these passages and talks about similarities and differences of the Gospel and Flavius interpretations.

In the concluding part of the paper the talk is on the great importance of Joseph Flavius' work "**Jewish Antiquities**", the first historical source on the Gospel reality.

ნათია ნაცვლიშვილი

ნილკნის ეპიტარი და სამონასტრო მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები საქალაქო კანონების მიხედვით

როგორც ცნობილია, IV-V საუკუნეებში ნილკანში უცხოვრიათ ბერძენ „მალალი რანგის სასულიერო მოღვაწეებს“, რასაც ადასტურებს გათხრებისას აღმოჩენილი ადრემუასაუკუნეების ნამოსახლარის, სამაროვანისა და ეკლესიის ნაშთები კედლებზე გამოსახული ჯვრებითა და ბერძნული წარწერებით (ნიკოლეიშვილი, 1986: 40).

ამჯერად ჩვენი ინტერესი გამოიწვევა ნილკნის აკლდამის დასავლეთით მდებარე ნახევარწრიული აბსიდის მქონე ეკლესიის ნაშთმა, რომელიც რაღაც ზღუდის იქით ყოფილა აშენებული¹. ახლა ვნახოთ, რისი გათვალისწინება იყო აუცილებელი ქრისტიანული კანონმდებლობის მიხედვით რელიგიური დანიშნულების მქონე შენობების აგებისას.

კანონებიდან, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, ზოგიერთი ჩვენთვის საინტერესო დროზე უფრო გვიანაა მიღებული, მაგრამ ისინი ემყარება გაცილებით უფრო ძველ საეკლესიო ტრადიციებსა და გადმოცემებს. მართალია, მოციქულებს თვითონ არ დაუწერიათ ეს კანონები, მაგრამ ეკლესიამ შემოინახა, რადგანაც ისინი ზეპირად იყო გადმოცემული მოციქულთა მიერ ეკლესიის მსახურთათვის (Правила 1911: 10). „მოციქულთა“ სახელით ცნობილი 85 საეკლესიო კანონი საეკლესიო კანონმდებლობის პირველ წერილობით ძეგლად ითვლება. შინაარსის მიხედვით მოციქულთა კანონებში გამოიყოფა სხვადასხვა დროის ფენები, მაგრამ ამ კანონების საბოლოო გაერთიანება და ერთ კრებულად ჩამოყალიბება III ს.-ის მინურულისტების უნდა დამთავრებულიყო, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს ნიკეის I მსოფლიო კრებისა (325წ.). სამეცნიერო ლიტერატურაში საპირისპირო მოსაზრებათაგან უფრო მისაღები ვარაუდით, მოციქულთა

¹ ამ საკითხის შესახებ უფრო ვრცლად ვწერდით სტატიაში: ნილკანი – ერთ-ერთი უძველესი სამონასტრო კერა, მრავალთავი XXI, გვ.363-368.

კანონები შემუშავებულია ქრისტიანულ ეკლესიაში განმტკიცებულ ჩვეულებათა და გადმოცემათა საფუძველზე II –III სს-ში ადგილობრივ საეკლესიო კრებათა მიერ მიღებული კანონმდებლობის გათვალისწინებით (Остроумов 1893:171-174; Beveregius, 1678; იკითხვისი მოხმობილია: გაბიძაშვილი 1975: 5).

მართლმადიდებელი ეკლესია მიიჩნევს, რომ „სარწმუნოება, რომელიც მოგვცეს ღვთიერჩეულმა მოციქულებმა, დაცული უნდა იყოს სიახლეებისა და ცვლილებებისგან“. თოთხმეტტიტლოვანი საეკლესიო კოდექსის (რომელიც არეგულირებს საეკლესიო ცხოვრების სამართლებრივ, იურიდიულ მხარეს), „დიდი სჯულისკანონის“, ერთ-ერთ თავში – „მონასტერთა და მონაზონთათვის“ – საუბარია სწორედ იმის შესახებ, თუ რა წესები უნდა დაეცვა მას, ვინც მონასტრის, ეკლესიისა თუ სამლოცველოს აშენებას განიზრახავდა.

ქალკედონის კრების (451 წ.) მიერ მიღებული ერთ-ერთი კანონის თანახმად, არავის შეეძლო არათუ მონასტრის, არამედ სამლოცველო სახლის აშენებაც კი ადგილობრივი ეპარქიის ეპისკოპოსთან შეთანხმებისა და მისი კურთხევის გარეშე. იქვე ნათქვამია, რომ თუ საჭიროება მოითხოვდა, მონაზონს შეეძლო მონასტრის გარეთ გასვლა, ოღონდაც ესეც მხოლოდ და მხოლოდ ეპისკოპოსის „თანაჯერჩინებით“: „არავინ არასადა აღაშენოს მონასტერი ანუ სახლი სალოცველი თუნიერ თანაჯერჩინებისა ეპისკოპოსისა მის ქალაქისა“ (გაბიძაშვილი 1975:271) დაუმორჩილებელს სასჯელად უზიარებლობა ელოდა.

კონსტანტინეპოლის წმიდა მოციქულთა ტაძარში ჩატარებული კრების კანონთაგან ერთ-ერთის მიხედვითაც, არავის ჰქონდა უფლება, რომ ადგილობრივი ეპისკოპოსის კურთხევის გარეშე აშენებინა მონასტერი (სავარაუდოდ, წილკნის ეკვდერიც მონასტრის შემადგენლობაში შედიოდა. ნ. ნ.): „არავის კელ-ენიფებოდის აღშენებად მონასტრისა თუნიერ ნებისა და განზრახვისა მათ ადგილთა ეპისკოპოსისა“ (გაბიძაშვილი 1975:437-438).

ამასვე ამბობს „სჯული მეფეთა ეკლესიათა აღშენებისათვის და კურთხევისათვის“ (ბრეგაძე, 1964: 113). თუ ვინმეს სურს ეკლესიის აშენება, „დიდი ანუ მცირე, ნებითა და შეწვევითა ეპისკოპოზისათა აღაშენონ. მაგრამე გასინჯონ, ეპისკოპოზმან, თუ შეუძლია აშენება ეკლესიისა კარგა. ეპისკოპოზმა აღმშენებელსა მას ეს პირობა უნდა დაადებინოს და საქმე ისე გაურიგოს იმ საყდარსა პირველად, რომე სანამდი ის ეკლესია იყოს, მას ზეთი არ დააკლდეს...“ (ბრეგაძე, 1964: 113-114).

მონასტრის აშენებამდე ეპისკოპოსს უნდა ეთქვა „პირველთა“ მიერ „განწესებული ლოცვაა“: „ხოლო იგი რაა თანაჯერმჩინებელ და მბრძანებელ ექმნეს და განწესებული ლოცვაა წართქუას, ვითარ-იგი პირველთა მიერ ღმრთისმოყუარებით სჯულდებულ არს, მაშინდა აღეშენოს მონასტერი“ (გაბიძაშვილი 1975: 438).

პირველებში, რაღა თქმა უნდა, მოციქულები იგულისხმება. ამრიგად, მოციქულთა ტრადიციაზე დაყრდნობით, ქრისტიანული სამართალი კრძალავდა მოძღვრისა და იერარქის კურთხევისა და დალოცვის გარეშე რაიმე მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებას, მით უფრო ისეთისას, როგორზედაც ზემოთ გვქონდა

საუბარი. ეს წესი ვრცელდება არა მხოლოდ მონაზვნებზე, არამედ ერისკაცებზეც.

რაც შეეხება მონასტრის აშენების შემდეგ მონასტრისთვისვე შეწირულ საქონელსა და სახმარს, ის აუცილებლად უნდა ჩაინეროს „კელითნერილთა შინა მის თანა და საეპისკოპოსოსა ეკლესიისა შინა დაისხნენ ნაწერნი იგი“ (გაბიძაშვილი, 1975: 438). სავარაუდოა, რომ ეს წესი არც ნილკანში დაირღვეოდა. ამასთანავე, შემწირველს ან მაშენებელს ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე უფლება არა აქვს თავისი თავი ან თავის ნაცვლად სხვა ვინმე დაადგინოს მონასტრის წინამძღვრად, რადგანაც მას აღარ ექნება უფლება ქონების განკარგვისა და ველარც გააკონტროლებს. ღმერთისთვის შეწირულის მიტაცების უფლება კი აღარავის აქვს: „არცა ერთი ფლობაა აქუნდეს შემწირველსა მას და მაშენებელსა..., რაჟთა თავი თუსი ანუ ნაცვალად თუსსა სხუა ვინმე დაადგინოს წინამძღვრად მონასტრისა მის, რამეთუ უკუეთუ რომელი მისცეს ვინმე კაცთა, მისი ვერლარა ძალ-უც უფალ-ყოფაა, კუალად რაოდენ უფროჲს, რომელი მოართუას ვინმე და შესწიროს ღმერთსა, არღა ფლობილ იქმნების კუალად მიტაცებად უფლებისა მისისა“ (გაბიძაშვილი 1975: 438).

მოციქულთა XXXVIII კანონის მიხედვითაც, საეკლესიო ქონებას უნდა განაგებდეს და მასზე ზრუნავდეს ეპისკოპოსი, როგორც უფლისგან დადგენილი ზედამხედველი: „ყოველთა სახმართა საეკლესიოთა, ეპისკოპოსსა აქვნიდნ ზრუნვაა და განაგებდნ მათ, ვითარცა ზედამხედველობასა ქვეშე ღვთისასა“ („კანონნი წმიდათა მოციქულთანი“, 1976: 47).

წყაროებიდან არ არის ცნობილი ნილკნის იმდროინდელი მონასტრის მფლობელობაში არსებული ქონების ნუსხა. არადა, არ არის გამორიცხული, არქეოლოგიური გათხრებისას ქართულ მასალასთან ერთად აღმოჩნდეს ბერძნულიც, ბერძენ ბერთაგან შეწირული. ჩვენს შემთხვევაში საეკლესიო ნივთების „მიტაცება“ ისედაც გამორიცხულია – ერთი, რომ მონასტრის წინამძღვრად უცხოელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო და, მეორეც, ნილკანში მცხოვრები ბერძენი ბერები ნილკანშივე აღესრულებოდნენ. ასე რომ, გათხრები ამ ადგილებში სასურველია.

ეპისკოპოსის გარდაცვალებისას მისი ნივთების მითვისების უფლება არავის ჰქონდა. როცა ახალი ეპისკოპოსი დადგინდებოდა, მისთვის უნდა გადაებარებინათ ყველაფერი. „ეპისკოპოზი რომ მიიცვალოს, მის საქონელზედა არავის აქვს უფლება, რომ წაიღოს ვინმე თავისთვის, არცა პატრიარქსა, არცა მეფესა, არცა ეკლესიის მის კრებულთა, არცა მის ნათესავთა, არამედ კარგს მორწმუნეს კაცს მიაბარონ, რომე კარგად შეინახონ; და რაჟამს ეპისკოპოზი დაჯდეს საყდარსა მისსა ზედა, ყუელა უკლებ მას მიაბარონ საყდრისათვის“ (ბრეგაძე, 1964: 118). ამ კანონის დამრღვევნი კი თუ „ეკლესიის მის მოწესენი იყუნენ, დაეყენენ, ხოლო უკეთუ ერისკაცი იყუნენ ანუ მისი ნათესავი, შეიჩვენენ“ (ბრეგაძე, 1964: 119) (XXII კანონი მეოთხის კრებისა).

ახლა ვნახოთ, როგორ იყო განსაზღვრული მონასტერში მონაზვნის მიღებისა თუ გასტუმრების საკითხი.

კონსტანტინეპოლის კრებამ განაჩინა, რომ თუ მონაზონი იმ ადგილის ეპისკოპოსის უკითხავად დატოვებდა თავის მონასტერს და წავიდოდა სხვა მონასტერში, უზიარებლობით დაისჯებოდა ისიც და მისი შემწყნარებელიც, სანამ უკან არ დაბრუნდებოდა თავისსავე მონასტერში.

აქვე მითითებულია, რომ ყველა მონაზონი უნდა ემორჩილებოდეს ეპისკოპოსს და მყუდროებით, მარხვითა და ლოცვით ცხოვრობდეს თავის მონასტერში. მათ მხოლოდ მაშინ უნდა დატოვონ თავიანთი საცხოვრებელი, „გარნა თუ საჭიროება რაღამე საქმისათვის უბრძანოს ეპისკოპოსმან ქალაქისამან“ (გაბიდაშვილი 1975: 271). ამ წესის დამრღვევსაც უზიარებლობა ელოდა სასჯელად.

ამავე საკითხს ეხმიანება მოციქულთა XV კანონიც, სადაც ნათქვამია, რომ თუ მღვდელი, დიაკვანი ან სამღვდლო დასისაგანი დატოვებს თავის ეკლესიას ეპისკოპოსის კურთხევის გარეშე, მას სხვა ეკლესიაში მღვდლობის უფლება აღარ აქვს. ხოლო თუ ეპისკოპოსის დაძახილზეც არ დაბრუნდა, მაშინ ისე უნდა ეზიაროს იქ, როგორც ერისკაცი: „უკუეთუ ვინმე ხუცესმან, ანუ დიაკონმან, ანუ რომლისა სამღვდლოება დასისაგანმან დაუტეოს თვისი ეკლესია და სხვაგან წარვიდეს და, ყოვლითურთ მუნ დამკვიდრებული, სხვასა ეკლესიასა შინა იქცეოდის თვინიერ თანასათნოყოფისა ეპისკოპოსისა თვისისა, – ამას უბრძანებთ არღარა მღვდლობად. უფროსლა უკეთუ უწოდდეს მას ეპისკოპოსი თვისი კვალად ქცევადა და იგი არა ერჩდეს, არამედ ეგოს უწესობასა მას ზედა, – ვითარცა ერისკაცი ეზიარებოდის მუნ“ („კანონნი წმიდათა მოციქულთანი“, 1976: 47).

მოციქულთა XXXIII კანონში ვკითხულობთ, რომ მონასტერში უცხო ეპისკოპოსის, მღვდლისა და დიაკვნის შეწყნარება მათ მიერ მოტანილი „სანამებელი წიგნის“ გარეშე არ ეგების. ხოლო როცა „განკითხულ იქმნებიან“, თუ კეთილმსახურნი აღმოჩნდებიან, შეიძლება მათი შეწყნარება, თუ არა, სახმარი უნდა მიეცეთ, ზიარების უფლება კი – არა: „ნუმცა ვინ უცხოთა ეპისკოპოსთა, ანუ ხუცესთა, ანუ დიაკონთაგანი შეწყნარებულ იქმნების თვინიერ სანამებელისა წიგნისა, რომელი მოაქვნიდეს თუ მათ; განკითხულ იქმნენ იგი და უკეთუ იყვნენ ქადაგნი კეთილად მსახურებისანი, მიემთხვივნენ შეწყნარებასა, ხოლო უკეთუ არა, – სახმარსა მათსა მისცემდით, ხოლო ზიარებად ნუ შეიწყნარებთ“ („კანონნი წმიდათა მოციქულთანი“, 1976: 52).

ამ კანონის თანახმად, წილკანში ბერძენი ბერების დამკვიდრების საკითხი ორ ეპისკოპოსს უნდა გადაეწყვიტა – წილკნისას და იმ ეპარქიისას, საიდანაც ისინი წამოვიდნენ.

ახლა ვნახოთ კართაგენის კრებამ (419 წ.) რა განაჩინა. ერთ-ერთი კანონით, ეპისკოპოსს ეკრძალება უცხო მონასტრიდან მოსული უცხო მონაზვნის ეკლესიის „მოყუსად“ ან მღვდლად ხელდასხმა. ასევე ეკრძალება თავისი მონასტრის წინამძღვრად დადგენა: „უცხოება მონასტრისა და არცა მოყუსად ეკლესიისა ჯერ-არს კელთ-დასხმა. ეგრეთვე სათნო-გვიჩნდა, რაათა უკუეთუ ვინ უცხოება მონასტრისაგან შეიწყნაროს უცხო ვინმე მონაზონი და ანუ ეკლესიისა მოყუს-ყოფა და მღვდლად კელთ-დასხმა მისი ინებოს, ანუ თვისსა მონას-

ტრისა წინამძღურად დაადგინოს, ამისი მოქმედი ეპისკოპოსი სხუათა უკუე ზიარებისაგან განემორენ და მხოლოდ თჳსისა ოდენ ერისა თანა ზიარებასა დასჯერდინ, ხოლო იგი ნუცამცა მღდელად და ნუცა წინამძღურად შეირაცხების“ (გაბიძაშვილი 1975:325).

არადა, წილკნის შემთხვევაში უცხოელი მონაზვნები სწორედ რომ „შენყნარებულნი“ არიან, სავარაუდოდ, ადგილობრივი ეპისკოპოსისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერც დამკვიდრდებოდნენ (ამათგან ერთი-ერთი მონაფითურთაც კი) და მით უფრო, ვერც ეკვდერს ააშენებდნენ.

უცხოთა შეწყნარებისას იერარქის ნებართვაზეა ყურადღება გამახვილებული ნიკეის მეორე კრების (787 წ.) ერთ კანონშიც: „არა ჯერ-არს მონაზონთა დატევებად თჳსთა მონასტერთა და სხუათა მიმართ წარსლვად. არა ჯერ-არს მონაზონთა გინა ენკრატისთა დატევებად თჳსი მონასტერი და სხჳსა მიმართ წარსლვად. ხოლო უკუეთუ შეემთხჳოს ესე, მასპინძლებულ იქმნენინ იგი საჭიროდ. ხოლო შეწყნარებად მისსა თჳნიერ ცნობისა წინამძღურისა თჳსისა არა ჯერ-არს“ (გაბიძაშვილი 1975: 429-430).

მონასტრიდან წინამძღვრის უკითხავად გასული მონაზვნისთვის მკაცრი ეპიტიმიის დადებაა განსაზღვრული „მცირე სჯულისკანონითაც“: „ვინც გავა [მონასტრიდან]... წინამძღვრის [ბრძანების] გარეშე, ხმელისმჭამელობა განესაზღვროს და შვიდი დღის განმავლობაში ასრულებდეს [ას-ას] მეტანიას ანუ მუხლდრეკას“ (ჭელიძე, 2003: 122).

მონაზვნის ეპისკოპოსზე დამოკიდებულებაზეა ნათქვამი „დიდი სჯულისკანონის“ ერთ თავში, რომელსაც ეწოდება „რაჲთა არა ვითარ დამთხუვეით გამოვიდოდის მონაზონი მონასტრით, ანუ ვაჭრობათა ჰყოფდეს და ვითარმედ ეპისკოპოსსა ქუეშე უკმს ყოფაჲ“ (ჭელიძე, 2003: 194).

ეს კი ეხმიანება მოციქულთა XXXIX კანონს, რომელიც გვამცნობს, რომ მღვდლები და დიაკვნები არაფერს არ უნდა აკეთებდნენ ეპისკოპოსის კურთხევის გარეშე, რადგანაც მას აბარია ღვთის ერი და მათ სულეზეც პასუხისმგებელია უფლის წინაშე: „ხუცესნი და დიაკონნი (წილკნის აკლდამა ეკუთვნით „მაღალი რანგის სასულიერო მოღვაწეებს“ ნ.წ.) ნურარას იქმან თვინიერ განზრახვისა ეპისკოპოსისა, რამეთუ იგი არს, რომლისადა რწმუნებულ არს ერი ღვთისაჲ, და რომელსა მიეხადების სიტყვაჲ სულთა მათთათვის“ („კანონნი წმიდათა მოციქულთანი“, 1976: 54).

ნიკეის მეორე კრების კანონი განკვეთით ემუქრება იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ეპისკოპოსის კურთხევის გარეშე დატოვებენ თავიანთ ეკლესიას და სხვაგან – სამეუფო ქალაქში ან რომელიმე მთავრის ეკვდერში დამკვიდრდებიან (გაბიძაშვილი 1975: 424-425).

იერარქიული დაქვემდებარება კი ყოველთვის ასეთი იყო – „წინამძღუართა ვიდრემე ზედა-დაჰხედვენ ეპისკოპოსნი, ხოლო მონაზონთა – წინამძღუარნი“ (ჭელიძე, 2003: 194).

ასე რომ, ბერძენი ბერები წილკანში ეპარქიის ეპისკოპოსის კურთხევის გარეშე ვერც ეკვდერს ააშენებდნენ და ვერც აკლდამას განსასვენებლად, მით უფრო, ადგილობრივი ქართული მონასტრის სიახლოვეს, თუნდაც „ზღუდის“ იქით.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ბრეგაძე 1964:** ბერძნული სამართალი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულიდან (ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ბრეგაძემ), თბ., საქ. მეცნ. აკად.-ის გამ-ბა, 1964.
2. **გაბიძაშვილი 1975:** დიდი სჯულისკანონი“, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ და გ. ნინუამ, თბილისი, 1975.
3. **ჭელიძე 2003:** იოანე მონაზონის „მცირე სჯულისკანონი“ (შეცოდებულია კანონები), ბერძნულიდან თარგმნა, ძველქართულ, სლავურ და ლათინურ ტექსტებს შეუჯერა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ, თბ., 2003.
4. „კანონნი წმიდათა მოციქულთანი“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1976.
5. **ნიკოლეიშვილი 1986:** ვ. ნიკოლეიშვილი – ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე, „ძეგლის მეგობარი“ 63, 1986
6. **Остроумов 1893:** Остроумов М. – Введение в прав. церковное право, Харьков, 1893.
7. **Правила 1911:** Правила православной церкви съ толкования Никодима, епископа далматинско-истрийскаго, т. I , С. Петербургъ, 1911.
8. **Beveregius 1678:** Beveregius G. – Codex canonum Ecclesiae primitivae vindicatus ac illustratus, Londini, 1678 (მითითებულია Остроумов-ის მიხედვით).

Natia Natsvlichvili

L'EGLISE DE TSILKANI ET LES QUESTIONS LIEES AVEC LA CONSTRUCTION DES COUVENTS D'APRES LES LOIS ECCLESIASTIQUES

REZUME

Au IV-V siècles sur le territoire de Tsilkani habitaient “Les religieux du rang supérieur.” Cela est attesté par les restes des lieux habités, des caveaux et des églises avec les croix et les inscriptions sur les murs, de l'époque des moyens âges antérieurs trouvés pendant les fouilles.

D'après les législations religieuses on ne pouvait pas construire les édifices à destination religieuse – les couvents, les églises ou les temples sans la bénédiction de l'évêque. Ainsi les moines grecs en Tsilkani ne pouvaient pas construire ni l'église et ni le caveau sans la bénédiction de l'évêque, surtout près du couvent proche, même au delà de “l'enceinte.”

თამარ მოხმეზური

ბასილი მინიმუსის კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში

გრიგოლ ნაზიანზელის თექვსმეტი ლიტურგიკული საკითხავის ეფრემ მცირისეულ თარგმანთა შემცველ კრებულებში ამ საკითხავთა კომენტარებიც არის დაცული. კომენტარებს, კერძოდ, ერთ-ერთი საკითხავის, 38-ე სიტყვის განმარტებებს, უძღვის მცირე ზომის ტექსტი, რომლის მიხედვითაც ირკვევა კომენტართა ავტორის ვინაობა, მათი შექმნის თარიღი, მიზანი და შეთხზვის ისტორია. ეს არის ეპისტოლე ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენეტის (913 – 959 წწ.) მიმართ; ავტორია ბასილი მინიმუსი (ქართული წყაროების მიხედვით, ბასილი უნდო), კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსი, X საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწე. როგორც ეპისტოლიდან ირკვევა, ბასილი მინიმუსს შეუკრებია გრიგოლის თხზულებებზე მანამდე არსებული კომენტარები, შეუმოკლებია, ნაწილობრივ გაუმარტივებია, თავის მხრივ დაურთავს საკუთარი განმარტებები და ამ სახით მიურთმევია იგი ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის.¹

ბასილის კომენტარები გრიგოლის 42 სიტყვას ეხება. X საუკუნის მნიგნობრის ამ უზარმაზარ კომპილაციურ ნაშრომში, საღვთისმეტყველო საკითხების კვლევასთან ერთად, იკვეთება ეპოქის მნიგნობრული ცხოვრების ტენდენციები – განსაკუთრებული ინტერესი რიტორიკული, ასევე ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების მიმართ.

გრიგოლ ნაზიანზელის 42 საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარებიდან ქართულად ეფრემ მცირის მიერ 16 ლიტურგიკული საკითხავის კომენტარი არის ნათარგმნი.² ეფრემის ინტერესი სწორედ ამ კომპილაციური ხასიათის კომენ-

¹ ეპისტოლის ქართული ტექსტი გამოცემულია, იხ. მოხმეზური 1989: 18-31.

² კ. კეკელიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ეს კომენტარები უნდა ეკუთვნოდეს XI საუკუნის ცნობილ ბიზანტიელ მნიგნობარს, გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკული საკითხავების კომენტატორს, ნიკიტა ჰერაკლიელს, – კეკელიძე 1980: 265. კომენტართა დეტალურმა შესწავლამ გრიგოლის თხზულებათა კო-

ტარების მიმართ არ უნდა იყოს შემთხვევითი. ნიშანდობლივია, რომ კომენტარული ჟანრის თხზულებების თარგმნისას ეფრემი ყოველთვის უპირატესობას კომპილაციურ წყაროებს ანიჭებდა. როგორც ცნობილია, კომპილაციურია მის მიერ თარგმნილი პავლეს ეპისტოლეთა კირილე ალექსანდრიელის კომენტარები, აგრეთვე არეოპაგიტული კორპუსის სქოლიოები. ასე რომ, ვფიქრობთ, გრიგოლის თხზულებათა კომენტარების წყაროს შერჩევაში გარკვეული როლი ბასილი მინიმუსის ნაშრომის კომპილაციურ ხასიათს უნდა შეესრულებინა. თუ გავითვალისწინებთ, ასევე, ეფრემის ლიტურგურულ-თეორიულ თუ გრამატიკულ ინტერესებს, რომელსაც ის ხშირად ავლენს თავის ანდერძ-მინაწერებში,³ კიდევ უფრო აშკარა ხდება ეფრემის ამგვარი არჩევანის მიზეზი.

კომენტართა შემცველი ხელნაწერები და ქართული ტექსტუალური ტრადიცია

ბასილი მინიმუსის კომენტარები გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკული საკითხავების შემცველ ოთხ ხელნაწერშია დაცული. ესენია: *Jer. Iber.* 43 – XII-XIII saec., *Jer. Iber.* 15 – XII saec., *A-109* – XIII saec. და *Jer.* 13 – XIV saec.;⁴ ამათგან სამში – *Jer.* 43, *Jer.* 15-სა და *A-109*-ში კომენტარები ხელნაწერის აშიებზეა მოთავსებული, *Jer.* 13-ში – ხელნაწერის ბოლოს, გაბმული ტექსტის სახით.

რა მიმართებაშია ერთმანეთთან ამ ხელნაწერებში წარმოდგენილი ბასილი მინიმუსის ტექსტები? აქ ორი ასპექტი გამოიყოფა: (1) ტექსტების ურთიერთ-მიმართება შედგენილობის თვალსაზრისით – ცალკეულ კომენტარში განმარტებათა რაოდენობა; (2) ტექსტებს შორის ვარიანტული მიმართება.

(1) ნუსხების მიხედვით კომენტართა შედგენილობის კვლევამ შემდეგი სურათი გამოავლინა: *Jer.* 15-სა და *Jer.* 13-ში, კომენტარებში განმარტებები თანაბარი რაოდენობით არის დაცული – განმარტებათა რიცხვი თითოეული სიტყვის კომენტარში ერთი და იგივეა; *Jer.* 43-ში კომენტარებში განმარტებათა რიცხვი გაცილებით ნაკლებია – შეიძლება ითქვას, რომ *Jer.* 43-ის აშიებზე ბასილი მინიმუსის კომენტარების მოკლე ვარიანტია წარმოდგენილი. რაც შეეხება *A-109*-ის კომენტარის ტექსტს, ის სამი, ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ხელით არის შესრულებული: ხელნაწერის ძირითადი ტექსტის ხელით (XIII საუკუნის) დაწერილი კომენტარების ტექსტი მოცულობით ემთხვევა *Jer.* 43-ის კომენტარის ტექსტს, ანუ ბასილის ქართული ვერსიის მოკლე ვარიანტს,

მენტორების ბერძნულ ტრადიციასთან მიმართებით საბოლოოდ გადაწყვიტა ამ თხზულების ავტორობის საკითხი.

³ ბეზარაშვილი 2001: 134-157; 2002: 87-107; 2003: 103-117; 2004: 147-155. თვალთვაძე 1989: 68-77; 1997: 78-84; ოთხმეზური 1997: 78-80; 1999: 227-234; 2004: 194-206; სარჯველაძე 1984: 198-252.

⁴ ბრეგაძე 1988¹: 133-167; ბრეგაძე 1988²: 79-83.

ხოლო გვიანდელი ხელით (XIV-XV სს.) შესრულებული ტექსტი ავსებს კომენტარის ტექსტს. ამას ემატება XVIII საუკუნის ხელი, რომლითაც გაცხოველებულია როგორც ძირითადი, ისე კომენტარების ტექსტის დაზიანებული ნაწილი (გაცხოველებულია, ძირითადად, XIII საუკუნის ხელით შესრულებული ტექსტი). მთლიანობაში A-109-ის შევსებული ტექსტი, შედგენილობის თვალსაზრისით, Jer. 15-სა და Jer. 13-ში დაცული ტექსტის იდენტურია.⁵ ამჟამად, რომ Jer. 43-ის გადამწერი და A-109-ის XIII საუკუნის გადამწერი სარგებლობდნენ მსგავსი წყაროებით, სადაც კომენტართა მოკლე ვარიანტი იყო წარმოდგენილი. A-109 შეივსო მოგვიანებით, XIV-XV საუკუნეებში, იმ ტიპის ხელნაწერის მიხედვით, როგორცაა Jer. 15 და Jer. 13.

(2) ნუხათა ურთიერთმიმართების შესახებ ჩვენ მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს მხარს უჭერს ნუხათა ვარიანტული წაკითხვებიც: Jer. 43-სა და A-109-ში წარმოდგენილი ტექსტები ამ კუთხითაც მხარს უჭერს ერთმანეთს, თუმცა ტექსტებს შორის დადასტურებული გარკვეული სხვაობები გამოირიცხავს A-109-ს უშუალო მომდინარეობას Jer. 43-საგან. Jer. 43-სა და A-109-საგან ვარიანტულად სხვაობს Jer. 15-სა და Jer. 13-ში დაცული ტექსტები, თუმცა გარკვეული კითხვასხვაობები შეინიშნება Jer. 15-სა და Jer. 13-ს შორისაც. ამ უკანასკნელის ვარიანტული წაკითხვები ზოგ შემთხვევაში არც ერთ ნუსხაში არ დასტურდება. ამ მხრივ აღსანიშნავია Or. 44-ის კომენტარის ერთი საკმაოდ ვრცელი განმარტება, რომელიც მხოლოდ ამ ხელნაწერში დასტურდება. ვარიანტული კითხვა-სახვაობების მიხედვით ნუხათა ამგვარი დაჯგუფება ხელნაწერთა ძირითადი ტექსტის – გრიგოლის ჰომილიათა ეფრემისეული თარგმანის მიხედვითაც შეინიშნება.⁶

კომენტართა ქართული თარგმანი და მისი ბერძნული დედანი

ბასილი მინიმუსის კომენტარების ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართების კვლევისას იკვეთება სამი საკითხი: (1) ქართული კომენტარებულ კრებულების მიმართება ბერძნულ ხელნაწერთან ა გ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თვალსაზრისით (კომენტართა ადგილმდებარეობა ხელნაწერში); (2) კომენტართა ქართული თარგმანის მიმართება ბერძნულენოვან ვერსიასთან შ ე დ გ ე ნ ი - ლ ო ბ ი ს თვალსაზრისით (განმარტებათა რაოდენობა ცალკეულ კომენტარში); (3) ქართული თარგმანის მ ი მ ა რ თ ე ბ ა ბ ე რ ძ ნ უ ლ ტ ე ქ ს ტ უ ა ლ უ რ ტ რ ა დ ი ც ი ა ს თ ა ნ .

⁵ A-109-ის ამ სპეციფიკაზე ყურადღება გამახვილებულია – რაფავა 1998: 129-138.

⁶ მელიქიშვილი 1999: 195-204.

(1) ქართული კომენტირებული კრებულების მიმართება ბერძნულ ხელნაწერთან აგებულების თვალსაზრისით

ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციაში, აგებულების თვალსაზრისით, დასტურდება ბასილი მინიმუსის კომენტარების ორი ტიპის კრებული: ერთია გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავების სქოლიოებიანი კრებულები, ანუ ხელნაწერები, რომლებშიც ბასილის კომენტარები გრიგოლის საკითხავებს აშიებზე აქვს დართული; მეორეა კომენტართა დამოუკიდებელი კრებულები, ე. წ. ლემებიანი ხელნაწერები, რომლებშიც გრიგოლის ტექსტიდან ამოკრებილ განსამარტავ პასაჟებს (ისინი, ძირითადად, მთავრულით /მაიუსკურით არის შესრულებული) გაბმული ტექსტის სახით (ნუსხური / მინუსკური დანერილობით) მისდევს ბასილის კომენტარები. არსებობს, ასევე, კრებული *Sylloge*, კომპილაციური ხასიათის, რომელიც ბასილის კომენტარებთან ერთად კიდევ ერთი კომენტატორის, გიორგი მოკენოსის განმარტებებსაც შეიცავს.⁷

რაც შეეხება გრიგოლ ნაზიანზელის ქართულ კომენტირებულ კრებულებს, აგებულების თვალსაზრისით ისინი ორი სახისაა: (1) კრებული, რომელსაც ბასილი მინიმუსის კომენტარები ერთვის ხელნაწერის აშიებზე (*Jer.* 43, *Jer.* 15, A-109). ეს კრებული კავშირს ავლენს ბერძნულ ხელნაწერთან, რომლებსაც კომენტარები აშიებზე ერთვის; (2) კრებული, რომელშიც ბასილის კომენტარები გაბმული ტექსტის სახით ბოლოში ერთვის გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებს (*Jer.* 13 – კრებულის პირველი ნაწილი (f. 1-277) გრიგოლის 16 საკითხავს შეიცავს, ხოლო მეორე – ამ საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარებს (f. 279-384). ამ ტიპის კრებულს ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციაში ანალოგი არ ეძებნება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ხელნაწერები (*Jer.* 43, *Jer.* 15, A-109) ფორმით ჰგავს გრიგოლის საკითხავთა სქოლიოებიან კრებულებს, ჩვენი აზრით, ეფრემს ბასილი მინიმუსის კომენტარები უნდა ეთარგმნა არა ამ ტიპის ბერძნული ხელნაწერიდან, არამედ ბასილის ე. წ. ლემებიანი ნუსხებიდან;⁸ *Jer.* 13-ში ასახული უნდა იყოს ქართველი მთარგმნელის კომენტარებზე მუშაობის თავდაპირველი ეტაპი. კომენტარების გადანაცვლება ხელნაწერთა აშიებზე უნდა მომხდარიყო შემდგომ ეტაპზე, ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციის ღრმა ცოდნითა და გათვალისწინებით. გრიგოლის ჰომილიათა სქოლიოებიანი კრებული ეფრემის მნიგნობრულ წრეში, მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით უნდა

⁷ შმიტი 2001: xiv-xv.

⁸ ამ მოსაზრებას მხარს უჭერს გრიგოლის 41-ე ჰომილიის ერთი ფრაზის სხვადასხვა ვარიანტული წაკითხვა (wšper de; mustikhñ thñ trisshñ eñfushsin / thñ ephdomhn ajastrof hn) ეფრემისეულ თარგმანსა და ბასილის კომენტარებში (პასაჟი ელია წინასწარმეტყველის მიერ სარეფთელის ქვრივის ძის გაცოცხლების შესახებ მეფეთა III წიგნიდან) და მასზე დართული ეფრემის მარგინალური შენიშვნები, იხ. ოთხმეზური 1998: 138-148.

იყოს შედგენილი; მარგინალური ატრიბუტიკით მდიდარ კრებულებს⁹ აშკარად ეტყობა ელინოფილი მნიგნობრის მუშაობის კვალი.

(2) კომენტართა ქართული თარგმანის ბერძნულენოვან ვერსიასთან მიმართება შედგენილობის თვალსაზრისით

დღეისათვის ბასილი მინიმუსის კომენტართა ბერძნული ტექსტებიდან გამოცემული და ტექსტუალური ტრადიციის თვალსაზრისით შესწავლილია მხოლოდ გრიგოლ ნაზიანზელის 38-ე სიტყვის კომენტარი. მისი შედგენილობის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ არსებობს ამ კომენტარის სამი რედაქცია:

(ა) ვრცელი რედაქცია, რომელიც შედგება 188 განმარტებისგან, რომელთაგან ოთხი განმარტება დასტურდება მხოლოდ ამ რედაქციაში;

(ბ) მოკლე რედაქცია, რომელშიც 93 განმარტებაა წარმოდგენილი, 93-ვე განმარტება დასტურდება ვრცელ რედაქციაში;

(გ) ე. წ. *Sylloge*-ს რედაქცია 342 განმარტებით, რომელთაგან 147 გიორგი მოკენოსს, ხოლო 195 ბასილი მინიმუსს მიეწერება. 38-ე სიტყვის კომენტარის *Sylloge*-ს რედაქციაში დასტურდება ვრცელი რედაქციის ყველა განმარტება 7-ის გამოკლებით, ასევე დამატებით 14 განმარტება, რომელიც არ არის არც ვრცელ, შესაბამისად, არც მოკლე რედაქციაში.¹⁰

ტექსტის გამომცემლის, თ. შმიტის შენიშვნით, ამ რედაქციებს შორის მიმართება გამოკვეთილი არ არის, თუმცა შესაძლებელია შემდეგი ვარაუდის გამოთქმა: ბასილი მინიმუსის თავდაპირველი, ორიგინალური ნაშრომი არის ვრცელი რედაქცია, რომელსაც მთლიანად ეფუძნება *Sylloge*-ს რედაქცია, ხოლო მოკლე რედაქცია ვრცელი რედაქციის შემოკლებული ვარიანტი უნდა იყოს. გადასინჯვას საჭიროებს მეორე ვარაუდიც: შესაძლოა, ბასილმა თავდაპირველად შექმნა მოკლე რედაქცია კონსტანტინე პორფიროგენეტისთვის და მხოლოდ შემდგომ გადაამუშავა და განავრცო თავისი ნაშრომი.

რა მიმართებაშია 38-ე სიტყვის ბასილის კომენტარის ზემოთ დასახელებულ რედაქციებთან ქართული მასალა? როგორც აღვნიშნეთ, ბასილი მინიმუსის კომენტართა ქართული თარგმანიც ორი – ვრცელი და მოკლე რედაქციებით არის წარმოდგენილი ხელნაწერებში: მოკლე რედაქცია (*Jer.* 43 და A-109-ის XIII საუკუნის ხელით შესრულებული ფენა) და ვრცელი რედაქცია (*Jer.* 15-ის, *Jer.* 13-ისა და A-109-ის XIII და XIV-XV საუკუნეების ერთიანი ტექსტი). ასეთ

⁹ მარგინალურ ატრიბუტიკაში, ბასილი მინიმუსის კომენტარებთან ერთად, ვგულისხმობთ ეფრემ მცირის ორიგინალურ სქოლიოებს, აგრეთვე სხვადასხვა სახის მარგინალურ ნიშნებსა თუ შენიშვნებს, რომლებსაც ანალოგი გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებში ეძებნება და რომლებითაც მეტად მდიდარია გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ეფრემისეული თარგმანების შემცველი კრებულები, იხ. ოთხმეზური 1991: 335 – 347; ოთხმეზური 2004: 194-206.

¹⁰ შმიტი 2001: xvi.

ვითარებაში, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, ხომ არ არის კავშირი ქართულ და ბერძნულ მოკლე და ვრცელ რედაქციებს შორის – ხომ არ თარგმნა ეფრემმა ჯერ მოკლე ბერძნული რედაქცია და შემდგომ ეტაპზე ხომ არ განავრცო თავისი თარგმანი კომენტართა ვრცელი ბერძნული რედაქციის მიხედვით? ამ კუთხით წარმართულმა კვლევამ გამოავლინა, რომ მოკლე ქართული რედაქცია არ უკავშირდება მოკლე ბერძნულს, ის დამოუკიდებლად, ქართულ ნიადაგზეა შექმნილი, ვრცელი ქართული რედაქციის შემოკლების გზით. შემოკლების მიზეზი, ჩვენი აზრით, მარტივია – კომენტარის ტექსტი უნდა შემოკლებულიყო მექანიკურად, კომენტართა თავდაპირველი ვრცელი რედაქციის პატარა მოცულობის კრებულში გადანერის პროცესში, მაგალითად, როგორცაა *Jer.* 43 (28, 4 x 21, 5), რომლის აშიები ვერ დაიტევდა იმ მოცულობის ტექსტს, რომლის განთავსებაც საკმაოდ დიდი ზომის ხელნაწერის აშიებზეც კი ძლივს ხერხდებოდა (მაგალითად, *Jer.* 15 – 36 x 26; გვიანდელი ხელით შევსებული A-109 – 42, 5 x 31). ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში არსებობდა გარკვეული ტექნიკური მიზეზით მარგინალური ტექსტის შემოკლების ტრადიცია. მაგალითად, როგორც ეფრემი არეოპაგიტული კორპუსის წინაბჭეში მიუთითებს, ის ამ თხზულების კომენტარებს ამოკლებს ხელნაწერში ტექსტის ირგვლივ მისი მოთავსების მიზნით.¹¹

38-ე სიტყვის კომენტარის ქართულ რედაქციებს შორის დამოკიდებულების გარკვევის შემდეგ ბერძნულ-ქართულ ვერსიათა მიმართების კვლევა, ცხადია, 38-ე სიტყვის კომენტარის ვრცელი ქართული რედაქციის ბერძნულ რედაქციებთან მიმართების გარკვევით იფარგლება. ეს მიმართება შემდეგია:

კომენტარის ვრცელი ქართული რედაქცია შედგება 142 განმარტებისაგან, რაც არ ემთხვევა განმარტებათა რაოდენობას არც მოკლე, არც ვრცელ, არც *Sylloge*-ს რედაქციაში. ქართულ რედაქციაში არ დასტურდება ის 14 განმარტება, რომელიც მხოლოდ *Sylloge*-ს რედაქციაშია; იმ 7 განმარტებიდან, რომელთაც ვერ ვხვდებით *Sylloge*-ში, ქართულში არის 4. ვრცელ ქართულ რედაქციაში არის მთელი რიგი განმარტებებისა, რომლებიც მხოლოდ ვრცელ ბერძნულ რედაქციაშია და არ არის მოკლეში; ბერძნული ვრცელი რედაქციის განმარტებები ქართულ ვრცელ რედაქციაში მთლიანად წარმოდგენილი არ არის¹² (მაგ., მხოლოდ ვრცელი ბერძნული რედაქციისათვის დამახასიათებელი 4 განმარტებიდან ქართულში დასტურდება ერთი). გარდა ამისა, ქართულში არის რიგი განმარტებებისა, რომელთაც ადეკვატი არ ეძებნება არც ერთ ბერძნულ რედაქციაში. ყოველივე აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ 38-ე სიტყვის ბასილი

¹¹ Cod. A- 110, f. 1-8.

¹² იმის შესახებ, თუ რა ტიპის განმარტებებია გამოტოვებული ან ჩამატებული ქართულ თარგმანში და რატომ, იხ. ქვემოთ.

მინიმუსის კომენტარის ვრცელი ქართული რედაქცია წარმოადგენს კომენტარის ვრცელი ბერძნული რედაქციის შემოკლებულ თარგმანს მთარგმნელისეული დამატებებით. ამით აიხსნება ისიც, თუ რატომ არ დასტურდება იმ ოთხი განმარტებიდან სამი, რომლებიც მხოლოდ ვრცელი რედაქციისთვის არის დამახასიათებელი – ისინი ბერძნული ვრცელი რედაქციის შემოკლების პროცესში ამოვარდა ქართული ვერსიიდან სხვა განმარტებებთან ერთად.

შმიტის მიერ 38-ე სიტყვის კომენტარის მიხედვით გამოტანილი დასკვნა ბერძნულ რედაქციათა შესახებ შეიძლება გავრცელდეს ბასილი მინიმუსის დანარჩენ კომენტარებზეც, რასაც შმიტის მიერ ბოლო დროს წარმოებული კვლევები ადასტურებს.¹³ ვფიქრობთ, გრიგოლ ნაზიანზელის 38-ე სიტყვის ბასილი მინიმუსის კომენტარის ქართულ-ბერძნული მასალის შესწავლის საფუძველზე გამოტანილი დასკვნაც შეიძლება განზოგადდეს და გავრცელდეს მთლიანად ბასილის კომენტარების ქართულ თარგმანზე. ამის საფუძველს გვაძლევს გრიგოლის კიდევ ერთი სიტყვის, მე-19 ჰომილიის ბასილი მინიმუსის კომენტარის ქართული თარგმანის შედგენილობის კვლევა ბერძნულთან მიმართებით.

კომენტართა ვრცელი ვერსიის ხელნაწერში *Paris. Coisl. 52* (XI ს.) მე-19 ჰომილიის კომენტარში არის განმარტებები, რომლებიც არ დასტურდება ამ კომენტარის მოკლე რედაქციის შემცველ ხელნაწერში *Vat. gr. 437* (X ს.)¹⁴ ქართული თარგმანი ყველა შემთხვევაში ვრცელ ვერსიას, კერძოდ, *Paris. Coisl. 52*-ს უჭერს მხარს:

- მე-2 განმ.: რაჲ ჩემი სიბრძნე და ჴელოვნებაჲ *Iber.* (1, 1, l. 2-3) – $\tau\iota\chi\ \eta\lambda\ \epsilon\mu\eta\ \sigma\omicron\phi\iota\alpha\ \kappa\alpha\iota\ \epsilon\pi\iota\sigma\theta\mu\eta$ *Gr. (PG 35, 1044 B 4) – Paris. Coisl. 52, 93 r. om. Vat. gr. 437.*

- მე-4 განმ.: ნუჟუჟე და *Iber.* (1, 1, l. 7) – $\iota\beta\omega$ *Gr. (PG 35, 1045 A 1) – Paris. Coisl. 52, 93 r., om. Vat. gr. 437.*

- მე-19 განმ.: არა აღვიხილნეთ-ა ზეცაჲ ზე *Iber.* (5, 19, l. 1) – $\text{Ὁὐκ ἀναβ-}\lambda\epsilon\psi\omicron\mu\epsilon\nu\ \epsilon\iota\varsigma\ \tau\omicron\nu\ \sigma\upsilon\pi\alpha\sigma\tau\omicron\nu\ \acute{\alpha}\nu\alpha$ *Gr. (PG 35, 1048 C 5) – Paris. Coisl. 52, 95 v., om. Vat. gr. 437.*

¹³ შმიტი ამჟამად მუშაობს გრიგოლ ნაზიანზელის 21-ე და 43-ე სიტყვათა ბასილი მინიმუსის კომენტარებზე; ამ ტექსტების რედაქციულობის საკითხის კვლევა იძლევა ისეთივე სურათს, რასაც 38-ე სიტყვის კომენტარი.

¹⁴ ამ ხელნაწერთა ფოტოასლები მოგვანოდა ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ჟ. მოსეიმ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ. ბასილის ბერძნული ნუსხების რედაქციათა მიხედვით დაჯგუფების შესახებ იხ. შმიტი 2001: xxix-xxxii.

- 35-ე განმ.: ხოლო რომელიმე – ხედვასა კეთილგანგებულსა *Iber.* (7, 30, l. 13-14) – *ol de; qewriān euḡtocon Gr. (PG 35, 1052 A 3) – Paris. Coisl. 52, 97 v., om. Vat. gr. 437.*

- 36-ე განმ.: რომელიმე – სიტყუასა ჟამიერსა *Iber.* (7, 30, l. 14-15) – *ol me; logon kairion Gr. (PG 35, 1052 A 3-4) – Paris. Coisl. 52, 97 v., om. Vat. gr. 437.*

- მე-40 განმ.: მიითუალავს პაველსსაცა ნერგვასა *Iber.* (8, 35, l. 10) – *Dece-tai kai; Paulou thn futeian Gr. (PG 35, 1052 B 7-8) – Paris. Coisl. 52, 98 r., om. Vat. gr. 437.*

- 41-ე განმ.: მწულილთა *Iber.* (8, 35, l. 11) – *leptav Gr. (PG 35, 1052 B 9) – Paris. Coisl. 52, 98 r., om. Vat. gr. 437.*

- 69-ე განმ.: ნუცა მთხრებლითა განვიყოფვით მართალთაგან *Iber.* (11, 58, l. 37) – *mhde; tḡ/ caḡmati diastḡmen apo; tḡn oḡiwn Gr. (PG 35, 1056 C 1-2) – Paris. Coisl. 52, 101 v., om. Vat. gr. 437.*

- 74-ე განმ.: დიდრაქმაცა *Iber.* (13, 72, l. 13-14) – *to; didracmon Gr. (PG 35, 1060 A 5) – Paris. Coisl. 52, 103 v., om. Vat. gr. 437.*

- 79-ე განმ.: ესე – ხისანი და მწარისა გემოასხილვისანი *Iber.* (14, 79, l. 6) – *Taḡta to; zuḡon, kai; hl pikra; geḡsiḡ Gr. (PG 35, 1060 C 5) – Paris. Coisl. 52, 104 v., om. Vat. gr. 437.*

- მე-80 განმ.: ბრძოლა ბოროტად დამეგობრებულისა მიმართ *Iber.* (14, 80, l. 15) – *poḡemon proḡ ton filwqenta kakḡc Gr. (PG 35, 1060 C 13-14) – Paris. Coisl. 52, 104 v., om. Vat. gr. 437.*

- 81-ე განმ.: ესე ბოროტთა ჩემთა ჴელისჴელადნი *Iber.* (14, 81, l. 17) – *Taḡta th" kakiaḡc eḡnoi; ta; eḡiceira (PG 35, 1060 D 1) – Paris. Coisl. 52, 105 r., om. Vat. gr. 437.*

- 92-ე განმ.: განწმედილად უკუნ-სცნე *Iber.* (16, 91, l. 32) – *kaqarḡc apodidouḡ Gr. (PG 35, 1064 A 3-4) – Paris. Coisl. 52, 106 v., om. Vat. gr. 437.*

მე-19 სიტყვის კომენტარის ქართული თარგმანი შინაარსობრივადც ვრცელ რედაქციასთან ავლენს კავშირს. მაგალითად, ზოგ შემთხვევაში მე-19 სიტყვის კომენტარის ბერძნულ ვრცელ და მოკლე რედაქციებში ერთი და იგივე ფრაზა გრიგოლის საკითხავიდან სხვადასხვაგვარად არის განმარტებული. ქართული ამ შემთხვევაში ვრცელ რედაქციას უჭერს მხარს. მაგალითად, 91-ე განმარტება – ამათ რაჲ ჰრიდო *Iber.* (16, 91, l. 32) – *Toutwn feidomenoc Gr. (PG 35, 1064 A 3) – შინაარსობრივად მისდევს ვრცელი რედაქციის ტექსტს (Paris. Coisl. 52, 106 v) და არა მოკლეს (Vat. gr. 437, 161 r.), რომელიც განსხვავდება ვრცელი რედაქციის შესაბამისი განმარტებისაგან; 87-ე განმარტებაში – სასყიდელი სიტყუათა ჩემთაჲ *Iber.* (16, 89, l. 21-22) – *misqon toiḡc eḡnoiḡ logoiḡ Gr. (PG 35, 1061 D 1) – ქართულ თარგმანში ჩართულია coron filosofwn-ის (PG 35, 1061**

D3) განმარტება. ეს განმარტება მოცემულია *Paris. Coisl.* 52-ში (106r) და არ დასტურდება *Vat. gr.* 437-ში (იხ. 160v-161r).

(3) ქართული თარგმანის მიმართება ბერძნულ ტექსტულურ ტრადიციასთან

გრიგოლ ნაზიანზელის 38-ე ჰომილიის ბასილი მინიმუსის კომენტარის ბერძნული ტექსტულური ტრადიციის კვლევისას, ხელნაწერთა კლასიფიკაციის მიზნით გამოყოფილია ორი სახის კრიტერიუმი: (1) გარეგანი კრიტერიუმები – ტექსტისთვის დამახასიათებელი ისეთი სპეციფიკური ნიშნები, როგორებიცაა: (ა) კომენტარის სათაური, (ბ) კონსტანტინე იმპერატორისადმი მიწერილი ეპისტოლის სათაური, (გ) კომენტარის ბოლო ფრაზა (*teŋo~ tou' eij~ ta; geneŋlia ...*), (დ) ტექსტის კონფიგურაცია (კომენტარის სათაურის, ტექსტის ბოლო ფრაზის, კონსტანტინე პორფიროგენეტისადმი მიწერილი ეპისტოლის და 38-ე კომენტარის პროლოგის არსებობა ტექსტში), მინიშნებები ცალკეული განმარტების ავტორებზე; (2) შიდა კრიტერიუმი – ტექსტის ვარიანტული კითხვა-სხვაობები.

(1) ქართულ ტექსტში კონფიგურაციის თვალსაზრისით შემდეგი სურათია: დასტურდება ეპისტოლე და პროლოგი, კომენტარს არა აქვს სათაური, ტექსტში არ არის არც ბოლო ფრაზა. მის ნაცვლად კომენტარს ბოლოში ერთვის მცირე ზომის ტექსტი, რომელიც წარმოადგენს კომენტარის რეზიუმეს (ხოლო თავნი ამის საკითხავისანი განიყოფებიან ოთხად: პირველ არს ... მეორე ... მესამე არს ... მეოთხე არს ...), აგრეთვე რამდენიმე მინიშნება (წამებანი) კომენტარის ბიბლიური ციტატების წყაროზე. მსგავსი დანართი ბერძნულ ხელნაწერებში არ ჩანს. ამ გარეგანი ნიშნებით ქართული ვერსია უკავშირდება ბერძნული ვერსიის ვრცელი რედაქციის (L) X საუკუნის ხელნაწერს *Paris. Coisl.* 236-ს (*L^a*), რომელშიც, ქართული ვერსიის მსაგავსად, ოთხი გარეგანი კომპონენტიდან დასტურდება მხოლოდ ორი – ეპისტოლე და პროლოგი. ეს კავშირი გასაკუთრებით კარგად ჩანს ეპისტოლის სათაურის მიხედვით. სათაურის ქართული თარგმანი სიტყვასიტყვით მისდევს სწორედ *L^a*-ს: *Basiteio~ eŋ acisto~ ol Kaisareia~ Kap-padokia~ tw/ filocristw/ despoth/ auŋokratori Kwnstantinw/* – ბასილი უნდოჲ კესარია-კაბადუკიისაჲ ქრისტესმოყუარესა მეფესა, თვთმპყრობელსა კოსტანტინეს. ნიშანდობლივია, რომ სათაურის ეს ვარიანტი ვრცელი რედაქციის მხოლოდ ამ ნუსხაში დასტურდება. ამ რედაქციის სხვა ნუსხებში, სათაურში ბოლო ორ სიტყვას ადგილი აქვს შენაცვლებული: *auŋokratori Kwnstantinw/ Kwnstantinw/ auŋokratori*.

(2) რაც შეეხება შიდა კრიტერიუმს, ქართული თარგმანის რამდენიმე ტექსტულური წაკითხვა, კერძოდ, რამდენიმე ლექსიკური ხასიათის ვარიანტი თანხვედრას ავლენს ბერძნულ ხელნაწერთა გარკვეულ ჯგუფთან, რომელთა შორის არის *L^a*-ც. მაგალითად:

filanqwpw/ (Epist. I. 21-22) : timiw/ L^{ad} S^d, პატიოსნისა *Iber*;
topon (25, I. 2) : tupon L^{ade} S, სახე *Iber*.

ბასილი მინიმუსის კომენტართა ქართული თარგმანის ხასიათი

ბასილი მინიმუსის კომენტარების მთარგმნელი, ეფრემ მცირე, ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ელინოფილური მიმდინარეობის ფუძემდებლადაა მიჩნეული. მისი თარგმანების უმეტესობა გამოირჩევა ბერძნულ ორიგინალთან განსაკუთრებული სიახლოვით და ელინიზებული ენით, თუმცა ეფრემის მოღვაწეობაზე ბოლოდროინდელი დაკვირვებების შედეგად გამოვლინდა, რომ მისი თარგმანების ერთი ჯგუფი თავისუფალ თარგმანებს წარმოადგენს და მთარგმნელობითი მეთოდით ახლოს დგას წინაელინოფილური პერიოდის მთარგმნელების, ცნობილი ქართველი მნიგნობრების, ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანებთან.¹⁵ ამ ტექნიკით შესრულებული თარგმანები ეფრემს თავისი მთარგმნელობითი საქმიანობის ადრეულ ეტაპზე უნდა შეესრულებინა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მისი ელინოფილური მთარგმნელობითი კონცეფცია; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალ მთარგმნელობით მეთოდს იგი თავისი მოღვაწეობის გვიანდელ ეტაპზეც მიმართავდა იმ შემთხვევაში, თუკი სათარგმნი თხზულების ჟანრული სპეციფიკა ამას მოითხოვდა.¹⁶

ბასილი მინიმუსის კომენტარების თარგმანი ეფრემს თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის ბოლო ეტაპზე აქვს შესრულებული¹⁷ გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების თარგმნის შემდეგ, ან, შესაძლოა, მის პარალელურად (როგორც ცნობილია, ეფრემ მცირე გრიგოლის ლიტურგიკული ჰომილიების თარგმნისას სარგებლობდა ბასილი მინიმუსის კომენტარებით¹⁸). ბერძნულთან მაქსიმალური სიახლოვით, განსაკუთრებული სიზუსტით ნათარგმნი გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული საკითხავის გვერდით ბასილი მინიმუსის ეფრემისეული თარგმანი ბერძნული დედნისაგან საკმაოდ დამოუკიდებლად გამოიყურება – ის სპეციფიკური მთარგმნელობითი მეთოდით – თავისუფალი და ლიტერალური (სიტყვასიტყვითი) მეთოდების კომბინაციის გზით არის შესრულებული.

კომენტართა თარგმნისას ამგვარი კომპლექსური მეთოდის შერჩევა განპირობებული უნდა ყოფილიყო ბასილის თხზულების ექსპოზიციური ხასიათით. ბასილის კომენტარების თარგმნისას ეფრემის მიზანი, უპირველეს ყოვლისა,

¹⁵ ჭელიძე 1999: 544-555.

¹⁶ მაგალითად, ეფრემს თავისი მოღვაწეობის გვიანდელ ეტაპზე თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით აქვს ნათარგმნი ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები, ოთხმეზური 2002: xxxvii. ამავე მეთოდით არის ნათარგმნი არეოპაგიტული კორპუსის სქოლიოებიც, ჭუმბურიძე 2001.

¹⁷ ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფრემისეული თარგმანების სტილისტურ-ტერმინოლოგიური ანალიზი (ჭელიძე 1999), ხოლო მეორე მხრივ, XI საუკუნის ბოლო ათწლეულის ანტიოქელ მოღვაწეთა მოხსენიება ამ თარგმანებზე დართულ ეფრემისეულ ანდერძებში (ოთხმეზური 1997: 78-81).

¹⁸ ოთხმეზური 1995: 150-163.

უნდა ყოფილიყო ისეთი ტექსტის შექმნა, რომელიც იმავე ფუნქციას შეასრულებდა თარგმანში, რასაც ის ორიგინალში ასრულებდა – ბასილის კომენტარი უნდა დახმარებოდა მკითხველს ძირითადი ტექსტის გაგებასა და აღქმაში. ეფრემს ეს, რა თქმა უნდა, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. ამიტომაც ბასილის კომენტარების ქართულად გადმოტანისას, ტექსტის ადაპტირების მიზნით (ფორმის, შინაარსის, ენის თვალსაზრისით) მან გარკვეული სამუშაოები ჩაატარა ტექსტზე, რის შედეგადაც მივიღეთ ასეთი სურათი: ბასილის განმარტებების ერთი ნაწილი ქართულად საერთოდ არ არის ნათარგმნი; ბასილის რამდენიმე განმარტება ქართულ თარგმანში გაერთიანებულია და ერთ განმარტებად არის წარმოდგენილი; კომენტარებში შეტანილია მთარგმნელისეული განმარტებები; განმარტებათა ნაწილი მხოლოდ შინაარსობრივად და არა ტექსტობრივად თანხვედბა ბერძნულს, მასში ვხვდებით ეფრემისეულ ჩანართებს, ფრაზათა გადაადგილების შემთხვევებს. ამასთან ერთად, კომენტარში დასტურდება ისეთი განმარტებებიც, რომლებიც თანმიმდევრულად, თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულს. ბასილის კომენტარის ქართულ ვერსიაში, ბერძნულისაგან განსხვავებით, განმარტებებს წინ არ უძღვის ლემები – განსამარტავი პასაჟები გრიგოლის ჰომილიებიდან. ქართულ კრებულებში ჩანს მხოლოდ ამ ლემების მცირე კვალი – სულ 9 ლემა.

ეს ცვლილებები, ჩვენი აზრით, უშუალოდ უკავშირდება ბასილის განმარტებების შინაარსობრივ მხარეს. ამ კუთხით ბასილის კომენტარები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:¹⁹

(ა) ამა თუ იმ სიტყვისა თუ ფრაზის მნიშვნელობის განმარტება (*გულის-წმისყოფისათჳს თარგმანებათაჲსა* – kat j eḥnoian eḥmhneia~) – ამ ტიპის განმარტებები ეხება გრიგოლის ლექსიკას. გრიგოლის საკითხავებში ხშირად ვხვდებით იშვიათ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც განმარტებას საჭიროებს, ასევე კარგად ნაცნობ სიტყვებს, რომლებიც განსხვავებული მნიშვნელობით არის გამოყენებული გრიგოლთან. ბასილი მინიმუსთან მოცემულია ამგვარი სიტყვების განმარტება. ეს განმარტებები იმავე ტიპისაა, როგორსაც ვხვდებით ბიზანტიური ეპოქის ლექსიკონებში, მაგალითად, *Etimologicum magnum*-ში, ჰესიუხიოსის ლექსიკონში, ევსტათიუსის კომენტარებში, სვიდას ლექსიკონში. ეს ლექსიკონები ზოგ შემთხვევაში ბასილის განმარტებების უშუალო წყაროსაც კი წარმოადგენს. ამავე ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს გრიგოლის ცალკეული შეკუმშული თუ ალუზიური ფრაზის ბასილისეული განმარტება – პარაფრასები.

(ბ) კომენტარები სინტაქსთან დაკავშირებით (*განმარტებაჲ შეწყობილებისა სიტყუათაჲსა* – kata sumfrasin h| suntaxin aḵolouqia~) – ბასილის კომენტარებში ხშირად ვხვდებით შენიშვნებს გრიგოლის სინტაქსის შესახებ, რაც მჭი-

¹⁹ შინაარსის მიხედვით განმარტებათა დაჯგუფების შესახებ იხ. შმიტი 2001: xvi-xxiv.

დრო კავშირშია მისი ტექსტების პუნქტუაციასთან. განმარტებებში განხილულია გრიგოლის წინადადებებში სიტყვათა რიგი, კავშირების გამოყენება, წინადადების ტიპები (ინტერპელატიური, კითხვითი, შედარებითი) და ა. შ.

(გ) გრიგოლის ნააზრვის ფილოსოფიურ-თეოლოგიური განმარტებები (*ხედვითისა ზედადმდგომელობისა* – kata; qewriān epistasiā~) – ბასილი მინიმუსი ამ თვალსაზრისით არ არის ორიგინალური. გრიგოლის „სიბრძნის უფსკრულის“ და „ღმრთისმეტყუელების სიმალის“ განმარტებისას ის, ძირითადად, მიმართავს გრიგოლის თხზულებათა ადრეულ კომენტარებს, ყველაზე ხშირად – მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua*-ს. როგორც ჩანს, თავის ეპისტოლეში კომენტარების კომპილაციურობაზე, მის მიერ ძველი წყაროების გამოყენებაზე საუბრისას ბასილს სწორედ ამ ტიპის განმარტებები ჰქონდა მხედველობაში.

(დ) კომენტარები გრიგოლის სტილის, მისი ორატორული ხელოვნების შესახებ (*ჭელოვნებითა რათმე ვერაგობათა მოქცევისა და სახისა და თითოფერთა პირთა თარგმანებისა* – kata; tina~ tecnica~ efordou~ periodwn te kai; schmatwn kai; ipewh poikiwn epishmasia~) – ბასილი თავის კომენტარებში საუბრობს გრიგოლის სტილისა და მის მიერ გამოყენებული რიტორიკული ხერხების შესახებ. სხვადასხვა სტილისტური კატეგორიის, აგრეთვე გრიგოლის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხების შესახებ მსჯელობისას, ბასილი, ძირითადად, იყენებს ანტიკური ეპოქის სახელმძღვანელოებს ორატორული ხელოვნების შესახებ, სახელდობრ, ჰერმოგენეს ნაშრომების ტერმინოლოგიას. როგორც ცნობილია, სწორედ X საუკუნის ბიზანტიაში ხდება ჰერმოგენეს კრებულის გადამუშავება–განახლება ქრისტიანული თვალთახედვით. ამ დროს სასწავლო დანიშნულების ტექსტებში ანტიკურ ავტორთა ორატორული ხელოვნების ნიმუშები იცვლება შესაბამისი ნიმუშებით ქრისტიან მამათა ნაწერებიდან, რომელთა შორის ყველაზე დიდი ადგილი გრიგოლ ნაზიანზელს უჭირავს. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ორატორული ხელოვნების ამ განახლებული კრებულებით ხელმძღვანელობდა ბასილი მინიმუსი, როდესაც გრიგოლის სტილის შესახებ ადგენდა კომენტარებს.

(ე) პუნქტუაცია გრიგოლთან (*ამათ თანა ნერტილებისა რაჲსმე შეწყობისა განგებასა ვაჩუენებთ* – stigmw̄h tinwn armottouēa~ epideiknousi qēsei~) – ბასილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გრიგოლის პროზაში პუნქტუაციას. მას გრიგოლის ჰომილიებში შემოაქვს პუნქტუაციის რვანიშნიანი სისტემა, რომელიც შექმნილია ახ. წ. II საუკუნის გრამატიკოსის, ნიკანორის მიერ. ამ მნიშვნობარმა ეს სისტემა შეიტანა ჰომეროსის „ილიადაში“ (მანამდე ჰომეროსის პოემაში მხოლოდ ორი პუნქტუაციის ნიშანი იყო გამოყენებული). პუნქტუაციის ნიშანთა განმარტებას ბასილი 38-ე სიტყვის კომენტარში არაერთ განმარტებას უძღვნის.

შინაარსობრივად განსხვავებულ განმარტებებში მთარგმნელობითი ხერხების გამოყენების სპეციფიკასთან დაკავშირებით შემდეგი შეიძლება ითქვას:

ეფრემს განსაკუთრებული სიზუსტით, თანმიმდევრულად აქვს ნათარგმნი თეოლოგიური ხასიათის კომენტარები, კერძოდ, ის განმარტებები, რომლებიც მაქსიმე აღმსარებელს ეკუთვნის. ბერძნულსა და ქართულს შორის აქ ტექსტობრივი თანხვედრაა. ლექსიკურ ერთეულთა განმარტებები, აგრეთვე გრიგოლის მოკლე, ალუზიური ფრაზების განმარტებები და პარაფრაზი ქართულად თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის გადმოტანილი – ისინი შინაარსობრივად მისდევს ბერძნულს. განმარტებები გრიგოლის სინტაქსის, რიტორიკული ხერხებისა და სტილის, აგრეთვე პუნქტუაციის შესახებ თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის ნათარგმნი, ხშირ შემთხვევაში განმარტება ქართულ ვერსიაში შინაარსობრივადც გარკვეულწილად დაშორებულია ბერძნულ ტექსტს, ზოგჯერ კი საერთოდ არ დასტურდება ქართულ ვერსიაში.

მაგალითისთვის განვიხილავთ გრიგოლის 38-ე საკითხავის კომენტარის იმ განმარტებებს, რომლებიც პუნქტუაციას ეხება. თავისი კომენტარების საშუალებით ბასილი, ერთი მხრივ, ცდილობს მათ შეტანას გრიგოლის ტექსტში, ხოლო, მეორე მხრივ, იძლევა ამ ნიშანთა განმარტებას. ნიშანდობლივია, რომ ბასილი მცირეოდენი სახეცვლილებით იმეორებს ნიკანორის რვანიშნიან სისტემას გრიგოლის ჰომილიებში.²⁰ ესენია:

1. *teleia stigmhv* – ყველაზე ხანგრძლივი შესვენება (4 *cronoi*). ნიკანორის მიხედვით, ის ყოფს ორ დამოუკიდებელ წინადადებას; მოსდევს აგრეთვე მიმართევებს – წოდებით ბრუნვაში დასმულ სახელებს და მოწოდებითი ხასიათის გამოთქმებს. ბასილთანაც ეს ნიშანი ძირითადად იხმარება დამოუკიდებელი წინადადებების ბოლოს (*Gr.*: 1b, 4, 19, 20a, 37, 53, 136), აგრეთვე კითხვითი წინადადების ბოლოს (*Gr.*: 139) და მიმართვაში (*Gr.*: 4). ამ ნიშანს ვხვდებით ბევრი კოლონისაგან შემდგარ ჰიპოთეტურ წინადადებაშიც (*Gr.*: 121). ბასილი ამ ნიშანს უპირისპირებს პუნქტუაციის ისეთ ნიშნებს, როგორცაა: *†postigmhv* (*Gr.*: 19), *†hw prwth* (*Gr.*: 24), *†pupokrito~* (*Gr.*: 121).

ათი განმარტებიდან, რომლებშიც პუნქტუაციის ეს ნიშანია ნახსენები, ორი – *Gr.*: 53 და *Gr.*: 121 – ქართულად საერთოდ არ არის თარგმნილი. ოთხში – *Gr.*: 4, 20a, 136, 139, რომლებიც თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის გადმოტანილი (ქართულ თარგმანში შესაბამისი განმარტებებია *Iber.*: 3, 16, 113, 116), ამ ტერმინის ქართულ ეკვივალენტს ვერ ვხვდებით (*Iber.*: 16-ში არის მხოლოდ ასეთი ფრაზა: თქსთქსად განიკუეებოდედ თითოეული სიტყუაჲ – *teleiai stizonta*-ს აღწერითი თარგმანი) და მხოლოდ ოთხში ვხვდებით ამ ტერმინის შესაბამის ლექსიკურ ერთეულებს: *teleia stigmhv* – სრულწერტილობა (*Iber.*: 1), *teleia* – სრულწერტილი (*Iber.*: 15, 20, 30).

2. *†poteleia stigmhv* – ხანგრძლივი შესვენება (3 *cronoi*). ეს ნიშანი ყოფს *de†*თი ან მსგავსი ნაწილაკებით – *gar, †lay aufar* – დაკავშირებულ წინადადე-

²⁰ ბლენკი 1983: 48-67.

ბებს. ბასილი 38-ე სიტყვის კომენტარში ორჯერ ახსენებს ამ ნიშანს. ერთგან ის აღნიშნავს, რომ, საჭიროებისდა მიუხედავად, არ გამოიყენა ეს ნიშანი gar-ის წინ (*Gr.* 29). სხვაგან (*Gr.* 59) მიუთითებს, რომ ამ ნიშანს იყენებს, მაგრამ მიზეზს არ ასახელებს. თუმცა ცხადია, რომ იგი ამ ნიშანს წინადადებაში სვამს mallon de#ს გამო.

29-ე განმარტება ქართულად არ არის ნათარგმნი. 59-ე ქართულად თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის გადმოტანილი. ტერმინი *ὑποτελεία* გადმოტანილია იმავე ლექსიკური ერთეულით, რითაც *teleia* – სრულწერტილი. ბერძნულისაგან დამოუკიდებლად ქართულ თარგმანში განმარტებულია ამ ნიშნის ფუნქცია: რათა სრულწერტილთა ზედა ისუენოს, ...სრულწერტილითა სრულ-ყოს (*Iber.* 47).

3. *αἴω πρωθ* (*stigmh*) – შესვენების ხანგრძლივობა 2 *cronoi*. ყოფს წინადადებებს, რომლებიც დაკავშირებულია კორელატივებით – *men ... deῦ ἢ ... ἢ οὐκ ... αἴλω* ბასილთან ეს ნიშანი გამოყენებულია წინადადებებში, რომლებშიც ვხვდებით შემდეგ ნაწილაკებს: *men ... deῦ* (*Gr.*: 24, 29) და *men ... αἴλω* (*Gr.* 35). ეს ნიშანი ხანგრძლივობის თვალსაზრისით *teleia stigmh#*სა და *ὑποτελείω stigmh#*ზე გაცილებით სუსტია, 24-ე განმარტებაში უპირისპირდება კიდევ *teleia stigmh#*ს, თუმცა თანამედროვე მძიმეზე ძლიერია.

განმარტებები *Gr.* 29 და *Gr.* 35 ქართულად თარგმნილი არ არის. *Gr.* 24 თავისუფალი მეთოდით არის გადმოტანილი (*Iber.* 20). *αἴω πρωθ*-ს შესატყვისი ტერმინი აქ არ ჩანს, თუმცა სწორად არის ახსნილი მისი დანიშნულება. ეფრემის განმარტებით, ეს არის არა სრულწერტილი, არამედ *ნაკლული-რე* – ანუ მასზე მცირე (უნდა იგულისხმებოდეს მისი ხანგრძლივობა – 2 *cronoi*, სრულწერტილის ხანგრძლივობასთან მიმართებით – 4 *cronoi*).

4. *αἴω δευτερα* (*stigmh*) – შესვენების ხანგრძლივობა 1 *crono~*. ყოფს წინადადებებს, რომლებიც *καί*თი არის შეკავშირებული. ბასილთანაც ამ ფუნქციით იხმარება (*Gr.*: 3a, 59).²¹

Gr. 3a ქართულად არ არის თარგმნილი. *Gr.* 59, როგორც აღვნიშნეთ, თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის გადმოტანილი (*Iber.* 47). *αἴω δευτερα*-ს შესატყვისი ტერმინს, ვერც შესაბამის აღწერით თარგმანს, ამ განმარტებაში ვერ ვხვდებით.

5. *ἐπιποκρίτο~* (*ὑpostigmh*) ან *μεγ j ὑποκρίσεω~* – ყოფს რთული წინადადების ნაწილებს; მისი ადგილია გამართულ პერიოდებში (*οἴχη; periodo~*) პროტასისსა და აპოდოსისს შორის, რომლებიც შემდეგი ნაწილაკებით იწყება: *οἴρα ... τοῖρα, ἡμο~ ... θιμο~, οἴε ... τοῖε, ἐω~ ... თეω~, οἶου ... ἐκεί*. ამ

²¹ ნიკანორი ხმარობს პუნქტუაციის ნიშანს *αἴω τριθ* (*stigmh*) – შესვენების ხანგრძლივობა 1 *crono~*; ყოფს *te*-თი დაკავშირებულ წინადადებებს. ბასილთან ეს ნიშანი არ დასტურდება.

ნიშანს *ejupokrito*~ იმიტომ ეწოდა, რომ ის ხმის დრამატულ აწევას გულისხმობს პროტასისის (*upokrisi*~) ბოლოს. ამ ფუნქციით ის ბასილთანაც იხმარება (*Gr*: 3*a*, 20*a*, 86*c*). ბასილის მიხედვით, ამ ნიშნით გამოყოფილია აგრეთვე ჩანართი – ნიშანი დაისმის ჩანართის ბოლოს (*Gr*: 55); მას ვხვდებით შედარებით ნაწილაკთანაც ᾿ (*Gr*: 115*a*). ბასილი ამ ნიშნის ხმარების წესსაც გვაცნობს (*Gr*: 121).

დასახელებული ექვსი განმარტებიდან ოთხი (*Gr*: 3*a*, 55, 86*c* 121) ქართულად თარგმნილი არ არის. *Gr*: 115*a*-ს ქართული შესატყვისი განმარტება არ მისდევს ბერძნულს. რაც შეეხება *Gr*: 20-ს, რომელშიც *ejupokrito*~--თან ერთად კიდევ ერთი პუნქტუაციის ნიშანი – *diastolhv* არის ნახსენები, შესაბამის ქართულ განმარტებაში (*Iber*: 20) ამ ნიშანთა ადეკვატური ტერმინოლოგიური შესატყვისები არ დასტურდება. ეფრემი იძლევა ამ განმარტების თავისუფალ თარგმანს, უფრო სწორედ თავისებურ თარგმანს, რომელიც, მართალია, აზრობრივად არ მისდევს ბერძნულს, მაგრამ იმავე საკითხს – მოცემული პასაჟის წაკითხვის წესს ეხება. ეფრემის თარგმანის მიხედვით, გრიგოლის ტექსტის ერთი მონაკვეთი – „*მაშინ ჰრწმენისითგან*“ ვიდრე „*უკუანახსენელადმდე*“ – ხმის ცვლით იკითხება, ხოლო ბოლოში *სრულ-ჰყოფს გაკუეთითა* (შდრ. *ejupokrito*~--ის ერთ-ერთი ფუნქცია – ხმის დრამატული აწევა).

6. *ajupokrito*~ (*upostigmh*) – შესვენების ხანგრძლივობა 1 *crono*~. ამ ნიშნით გამოყოფილია ჩანართი, რომელიც პროტასისსა და აპოდოსისს შუა არის მოთავსებული. ბასილთან ამ ნიშნით ჩანართის დასაწყისია აღნიშნული (*Gr*: 29, 55, 86*c*, 121, 139). მისი თანამედროვე ეკვივალენტია ტირე.

ჩამოთვლილ განმარტებათაგან ოთხი (*Gr*: 29, 55, 86*c*, 121) ქართულად არ არის გადმოტანილი. *Gr*: 139 თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის ნათარგმნი, არ შეიცავს *ajupokrito*~--ის შესაბამის ქართულ ტერმინს, თუმცა მოცემული პასაჟის კითხვის წესს ეხება – *ამიერთიგან ვიდრე „თანა-აღრაცხამდე“ ერთ შენადგამად და მცირედ სუენებით უჭმარ კითხვად* (*Iber*: 116).

7. *diastolhv* და *upodiastolhv* – ამ ნიშნებს როგორც ნიკანორთან, ისე ბასილთან ერთი და იგივე ფუნქცია აქვს. ისინი იხმარება ელიპტიკური (ე. ი. ნაკლული) ფრაზების გამოსაყოფად (*Gr*: 1*b*, 4), ინვერსიული წყობის წინადადებაში (*Gr*: 4, 20*a*, 29, 121, 15); ზოგჯერ მათი ფუნქცია ბოლომდე გარკვეული არ არის (*Gr*: 129, 59), ზოგ შემთხვევაში კი ეს ნიშნები ერთმანეთს თითქოს უპირისპირდება კიდევ (*Gr*: 136).

დასახელებული ცხრა განმარტებიდან ქართულად არ არის ნათარგმნი სამი – *Gr*: 15, 29, 121. ორი (*Gr*: 20*a*, 136) წარმოადგენს თავისუფალ თარგმანს (*Iber*: 16, 113), სადაც ეს ტერმინი საერთოდ არ არის გამოყენებული, ხოლო ოთხ განმარტებაში (*Gr*: 1*b*, 4, 59, 129), რომლებიც ასევე თავისუფლად არის ნათარგმნი ქართულად (*Iber*: 1, 3, 47, 105), ამ ტერმინის შესატყვისს ვხვდებით – *იგურდივმოქცევი / იგურდივმოქცეობა*. მიუხედავად თავისუფალი თარგმანისა, ქართულში, ისევე როგორც ბერძნულში, ეს ტერმინი ფრაზის ნა-

კლულეებასთან / ნაკლულევანებასთან არის დაკავშირებული (შდრ. eī eiphī, leiv pei). ნიშანდობლივია, რომ ქართულ თარგმანში, ბერძნულისაგან განსხვავებით და მისგან დამოუკიდებლად, ახსნილია იგურდივმოქცევის ფუნქცია: რაათა იგურდივმოქცევითა განყოს (Iber. 47); რაათა რაჟამს სთქუა „ერთი,“ მცირედ იპყრა იგურდივმოქცევითა და ეგრეთღა სთქუა „ორთაგან წინააღმდეგომთა“, რაათა ერთგუამოვნებაჲცა ცხად-ყოს სიტყუამან ორბუნებაობასა თანა (Iber. 105). ამგვარად, ეფრემის მიხედვით, იგურდივმოქცევი მცირე პაუზაა, რომელიც წინადადებაში აზრის გამოყოფას, გამოკვეთას ემსახურება.

8. ṽpostigmhv – ეს ნიშანი ნიკანორთან არ არის. ბასილთან ის უპირისპირდება teleia-ს (Gr. 19). წინადადებაში უნდა ასრულებდეს დღევანდელი მძიმის ფუნქციას და diastol hჳსა და ṽpodia stol hჳს სინონიმი უნდა იყოს.

ამ ტერმინის ქართული შესატყვისი კომენტარში არის უკმოკრული (Iber. 15).

ნიშანდობლივია, რომ ზოგ შემთხვევაში ბერძნულ ტექსტში არაფერია ნათქვამი პუნქტუაციის ნიშნების შესახებ, ქართულ თარგმანში კი პუნქტუაციაზეა საუბარი. მაგალითად, მე-2 განმარტებაში ვკითხულობთ: „ქრისტე ჳორცითა“ – ამისსაცა ნაკლულსა, ვითარმედ „იშვა“, იგურდივმოქცევი აღმოაგებს, რამეთუ ესევითარნი ნაკლულნი ფილოსოფოსთა ჳელოვნებისანი არიან და არა ვითარ ვინ ჳგონოს, უსრულობისანი (Iber. 2). შესაბამის ბერძნულ განმარტებაში არაფერია ნათქვამი არც ამ ფრაზის ნაკლულოვანებაზე, არც რაიმე სასვენი ნიშნის გამოყენებაზე – eḡsti, pefuke dhladhv eiḡ j ouh meta; sarko;- th- ḡmeta- (Gr. 6). ცხდია, განმარტება ამ შემთხვევაში ეკუთვნის ეფრემს, რომელიც კარგად არის გარკვეული ბასილის მიერ შემოთავაზებულ პუნქტუაციის ნიშანთა სისტემაში და ბერძნულის ანალოგიით, სადაც საჭიროდ მიიჩნევს, თვითონ ურთავს განმარტებას.

ამგვარად, ეფრემი თავის თარგმანში გამარტივებული სახით გადმოსცემს ბასილის პუნქტუაციის სისტემას – ბასილის პუნქტუაციის ნიშნებიდან თავის თარგმანში იხსენიებს მხოლოდ სამს: სრულწერტილი, იგურდივმოქცევი და უკმოკრული; განმარტებების საკმაოდ დიდ ნაწილს, რომლებშიც სასვენი ნიშნებია ნახსენები, ის ან საერთოდ არ თარგმნის, ან თარგმნის თავისუფლად, ტერმინების გადმოტანის გარეშე. ზოგ შემთხვევაში კი ბერძნულისაგან დამოუკიდებლად, მარტივად, გასაგებად განმარტავს ზოგიერთი ნიშნის ფუნქციას.

სხვა საკითხია, რამდენად არის ბასილის ნიშნები წარმოდგენილი გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებში. თავის ეპისტოლეში კონსტანტინე იმპერატორის მიმართ ბასილი ახსენებს წერტილებს (ta; stigmata), რომლებსაც შეცდომილნი არაფრად აგდებენ, რის შედეგადაც გრიგოლის ჰომილიათა გარკვეულ პასაჟებს სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად კითხულობენ, რითაც სიტყვის წესს ხრწნიან – იმას, რაც გაბმით არის წასაკითხი, ანაწევრებენ, დასანაწევრებელს კი პირიქით, გაბმით კითხულობენ. სინამდვილეში წერტილთა განლაგება ორატორული ხელოვნების წესია. წერტილები მიანიშნებს, თუ როგორ უნდა შეეწყოს

ერთმანეთს პერიოდები და როგორ უნდა გაერთიანდეს თხრობის ნაწილები.²² ცხადია, აქ ბასილი საუბრობს პუნქტუაციის იმ ნიშნებზე, რომლებსაც თავის კომენტარებში განმარტავს. როგორც ჩანს, ამ ნიშანთა ბერძნულ ხელნაწერებში შეტანა და დამკვიდრება საკმაოდ რთული პროცესი იყო. დღეისათვის ამ კუთხით ბერძნული ხელნაწერები შესწავლილი არ არის. გრიგოლის თარგმანების შემცველ ქართულ ხელნაწერებზე დაკვირვების შედეგად კი შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ნუსხებში გარკვეულწილად შეინიშნება მათი კვალი.

რაც შეეხება ბასილის მინიმუსის კომენტართა ქართული თარგმანის ენას, მიუხედავად ბერძნული დედნის მიმართ მთარგმნელის მეტ-ნაკლებად თავისუფალი მიდგომისა, კომენტართა ენა საკმაოდ ელინიზებულია. იგრძნობა ორიგინალის გავლენა თარგმანის სინტაქსზე. ქართული წინადადებების წყობა ხშირად მისდევს ბერძნულს; ზოგჯერ ქართულისათვის სტაბილური სინტაქსური წყვილები, მაგალითად, მსაზღვრელ-საზღვრული, ბერძნულის გავლენით გათიშულია. ეფრემისეულ თარგმანში საკმაოდ დიდი რაოდენობით ვხვდებით ლექსიკურ კალკებს. ეფრემი იძლევა ბერძნული კომპოზიციების ეტიმოლოგიურ თარგმანს, დასტურდება ლექსიკური ერთეულების ბერძნულიდან უთარგმნელად გადმოტანის არაერთი შემთხვევა.²³ ენის ელინიზაციის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ბასილის კომენტართა თარგმანი ეფრემის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ბოლო პერიოდშია შესრულებული, როდესაც უკვე საბოლოოდ არის ჩამოყალიბებული მისი ელინოფილური მთარგმნელობითი კონცეფცია. სულ ცოტა ხნით ადრე, ან შესაძლოა, ამ კომენტარების თარგმნის თანადროულადაც, ეფრემი ლიტერალური მთარგმნელობითი მეთოდით – *verbum e verbo* – თარგმნის გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკულ სიტყვას. როგორც მისი კოლოფონებიდან ირკვევა, ეფრემი საკმაო ხანს („მრჩობლ ექუსეულნი თუენი“), გულდასმით („კეტებითა და უროებითა ... კლდე აღმოვკაფო“) მუშაობდა ამ ტექსტებზე, რათა შეექმნა ბერძნულის ადეკვატური თარგმანი („ბერძულსა შინა ეგრეთ არს და ღმრთისმეტყუელსა ეგრე უთქუამს“). ვფიქრობთ, ასეთ სამუშაოს არ შეიძლებოდა, გავლენა არ მოეხდინა ეფრემის სხვა თარგმანებზე, მათ სტილსა და ენაზე. არ არის გამორიცხული ისიც, რომ ბასილის კომენტართა ეფრემისეული ენის ელინიზებული ხასიათი თავად სათარგმნი ტექსტის ხასიათითაც ყოფილიყო გაპირობებული – გრიგოლის ნააზრევის ფილოსოფიურ-თეოლოგიური, ასევე რიტორიკული კომენტარები შეიცავდა შესაბამის ტერმინოლოგიას, რომლის გადმოტანისა და ქართულ ნიადაგზე ადაპტირებისას ეფრემზე, საფიქრელია, გავლენა მოეხდინა ბერძნულ დედანს.²⁴

²² ოთხმეზური 1989: 22.

²³ ლექსიკურ ერთეულთა თარგმანის ტექნიკის შესახებ ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებში იხ. ბროკი 1979: 84-86.

²⁴ დეტალურად ბასილი მინიმუსის ქართული თარგმანის ენის შესახებ იხ. ოთხმეზური 2005:100-110.

ბამოყენებული ლიტერატურა

- ბეზარაშვილი 2001:** ბეზარაშვილი ქ., „გარეშე“ სიბრძნისადმი დამოკიდებულებისათვის ეფრემ მცირის კოლოფონებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1-4, 2001.
- ბეზარაშვილი 2002:** ბეზარაშვილი ქ., „ღრმა ნიგნური სიტყვის“ გაგებისათვის ეფრემ მცირის კოლოფონებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1-4, 2002.
- ბეზარაშვილი 2003:** ბეზარაშვილი ქ., ეფრემ მცირის კოლოფონები მთარგმნელობითი მეთოდებისა და ელინოფილური თარგმანის მახასიათებლების შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, XXIII, თბილისი, 2003.
- ბეზარაშვილი 2004:** ბეზარაშვილი ქ., რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბილისი, 2004.
- ბლენკი 1983:** Blank D. L., Remarks on Nicanor, the Stoics and the Ancient Theory of Punctuation, *Glotta*, 61, 1983.
- ბრეგაძე 1988¹:** ბრეგაძე თ., გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1988.
- ბრეგაძე 1988²:** Bregadzé T., Répertoire des manuscrits de la version géorgienne des Discours de Grégoire de Nazianze, in *Versions orientales, repertorium ibericum et studia ad editiones curandas*, ed. B. Coulie (*Corpus Christianorum. Series Graeca*, 20. *Corpus Nazianzenum*,1), Brepols-Turnhout, 1988.
- ბროკი 1979:** S. Brock, Aspects of Translation Technique in Antiquity, in *Greek, Roman and Byzantine Studies* 20, 1979.
- თვალთვაძე 1989:** თვალთვაძე დ., ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიული სქოლიოებისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიმართებისთვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, 3.
- თვალთვაძე 1997:** თვალთვაძე დ., ეფრემ მცირის ლიტერატურულ-თეორიული ნააზრევებიდან, კრებული მიძღვნილი ზ. ჭუმბურიძის დაბადების 70 წლისთავისადმი, თბილისი, 1997.
- კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980.
- მელიქიშვილი 1999:** მელიქიშვილი ნ., გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვის ეფრემ მცირისეული თარგმანები ძველ ქართულ ხელნაწერებში, მრავალთავი XVIII, 1999.
- ოთხმეზური 1989:** ოთხმეზური თ., გრიგოლ ნაზიანზელის კომენტარების ისტორიიდან, მრავალთავი XV, თბ., 1989.
- ოთხმეზური 1991:** Otkhmezuri T., Les Signes Marginaux dans les Manuscrits Géorgiens de Grégoire de Nazianze. *Le Muséon*, t. 104 – Fasc. 3 – 4. 1991.
- ოთხმეზური 1995:** ოთხმეზური თ., კომენტართა გავლენა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ თარგმანებზე, ფილოლოგიური ძიებანი, II, 1995.
- ოთხმეზური 1997:** ოთხმეზური თ., ეფრემ მცირის ავტოგრაფული ნუსხის, S-1276-ის, ერთი მთარგმნელობითი სქოლიოს შესახებ, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი, თბილისი, 1997.

- ოთხმეზური 1998:** ოთხმეზური თ., ეფრემ მცირის „შეისწავენი“ გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების ბერძნული წყაროს შესახებ, მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 1-4, 1998.
- ოთხმეზური 1999:** ოთხმეზური თ., ანტიკურ ავტორთა წიგნები ბიზანტიურ ეპოქაში: ეფრემ მცირე და გარეშეთა წიგნები, ANAQESIS. აკად. თ. ყაუხჩიშვილის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1999.
- ოთხმეზური 2002:** Otkhmezuri Th., *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii (Corpus Christianorum. Series Graeca, 50, Corpus Nazianzenum, 16)*, Turnhout-Leuven, 2002.
- ოთხმეზური 2004:** ოთხმეზური თ., გრიგოლ ნაზიანზელის ქართული თარგმანების შემცველი კრებულების მარგინალიები, კორნელი კეკელიძე 125, 2004.
- ოთხმეზური 2005:** ოთხმეზური თ., გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში (სადისერტაციო ნაშრომი), 2005.
- რაფავა 1998:** რაფავა მ., ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან (რამდენიმე დაკვირვება გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავების ეფრემისეული თარგმანების შემცველ კრებულებზე, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1-4, 1998,
- სარჯველაძე 1984:** სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984.
- შმიტი 2001:** Schmidt Th. S., *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii (Corpus Christianorum. Series Graeca, 46. Corpus Nazianzenum, 13)*, Turnhout – Leuven, 2001.
- ჭელიძე 1999:** ჭელიძე ე., ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბილისი, 1999.
- ჭუმბურიძე 2001:** ჭუმბურიძე ა., ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ, თბილისი, 2001.

Thamar Otkhmezuri

BASILIIUS MINIMUS' COMMENTARIES IN THE GEORGIAN TRANSLATION TRADITION

SUMMARY

Together with 16 liturgical sermons by Gregory of Nazianzus, Ephrem Mtsire has also translated *Commentaries* on these sermons. The *Commentaries* were written by a tenth-century Byzantine scholar, Bishop of Caesarea-Cappadocia, Basiliius Minimus. *Commentaries* have come down to us in four manuscripts: *Jer. Iber.* 43 – XII-XIII saec.; *Jer. Iber.* 15 – XII saec.; *Jer. Iber.* 13 – XIII saec. and *A-109* – XIII saec. In three manuscripts – *Jer.43*, *Jer.15* and *A-109* commentaries are included in the margins. In manuscript *Jer.13* *Commentaries* are given at the end of the text.

Interrelation between the Georgian and Greek versions of Basiliius Minimus' *Commentaries* is analyzed in three major aspects: (1) Interrelation of Georgian manuscripts

of the Commentaries with Greek manuscripts in regard to the structure (placement of Commentaries in the collection). Two types of Basilus Minimus' collections are attested in Greek tradition: the first type contains Gregory's homilies with *Commentaries* in the margins; the second type belongs to the so called lemmatized manuscripts, in which phrases from homilies are followed by Basilus' *explanations*. Manuscripts *Jer.* 43, *Jer.* 15 and *A-109* belong to the first type. *Jer.* 13, in which the *Commentaries* are attached at the end of the homilies, does not belong to the Greek tradition. *Jer.* 13 must reflect the first stage of Georgian translator's work on the *Commentaries*. The shift towards appending *Commentaries* in the margins of the collection of sixteen liturgical sermons must have occurred at a later period, obviously based on deep knowledge and understanding of Greek manuscript tradition. The collection of Gregory's sixteen liturgical sermons with Basilus Minimus' *Commentaries* in the margins (*Jer.* 43, *Jer.* 15, *A-109*) must have been compiled in Ephrem's scholarly circle, with his initiative and under his direct supervision. These collections obviously bear the trace of Ephrem's scholarly style; (2) Interrelation of the Georgian version with the Greek version in regard to its composition (number of explanations in Commentaries). Correlation of the Georgian translation with the Greek tradition is the following: the Greek long version of the *Commentaries* was used by Ephrem Mtsire as a source for the Georgian translation of Basilus' *Commentary on Oratio* 38; the Georgian abridged version (*Jer.* 43 and part of *A-109*, copied by a thirteenth-century scribe) has been compiled through reduction of the Georgian long version (*Jer.* 15 and *Jer.* 13); (3) Interrelation of the Georgian translation with the Greek textual tradition. While studying the textual tradition of *Commentary on Oratio* 38, two criteria were used to classify the manuscripts: E x t e r n a l criterion (title of the *Commentary*, *Epistle* addressed to the Emperor Constantine and its title, the last phrase of the *Commentary* and configuration of the text) and I n t e r n a l criterion – variant readings. Based on the data of the Georgian version, it appears that the Georgian version is related with particular manuscript of the long Greek version – cod. *Paris. Coisl.* 236 (saec. X).

Ephrem has translated Basilus Minimus' *Commentaries* with a combination of literal and free translation techniques. Ephrem Mtsire translates the theological explanations of the *Commentary* with particular precision. *Explanations* about lexical units, also *explanations* of Gregory's short, allusive phrases and paraphrases are rendered into Georgian in free translation method – they only follow the content of Greek text. Basilus' *explanations* on Gregory's rhetoric art and style, also about punctuation system and syntax are also translated into Georgian in free translation method, sometimes with the Georgian translation deviating significantly from the content of the underlying text; some *explanations* of this character are completely omitted.

ნუზხარ ჰავუაშვილი

მიხეილ საბინინი ქრისტიანობა და სპირიტუალური გარეგნული მდგომარეობის შესახებ

სპირიტუალური იოანეს ძე გძელიშვილი ანუ, როგორც თავის თავს მოიხსენიებდა, სფირიდონ გძელიევი დავით გარეჯის სალიტერატურო სკოლისა და ქართული აგიოგრაფიის უკანასკნელი წარმომადგენელია (მენაბდე 1962:316; ქავთარია 1965:94-95). მისი ავტორობით ჩვენთვის სამი თხზულებაა ცნობილი: 1) „აოხრება წმიდის დავით გარეჯის უდაბნოსა“ (მახარებელი 1868, №3:81-85); 2) ქრისტიანობა გარეგნული ცხოვრება (ძეგლები V:125-136) და 3) დოღო გარეგნული გადმოსვენება დავით გარეჯის მონასტერში (S 3283 d).

სპირიტუალური გძელიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ერთადერთი მიმოხილვა მოგვეპოვება. იგი ჩართულია ხელნაწერ კრებულში H 40, რომელიც 1892 წლით თარიღდება და მოსკოვშია გადაწერილი. ის ნაწილი, რომელშიც აღნიშნული დოკუმენტია ჩართული (გვ. 225), მ. საბინინის ხელითაა შესრულებული; ავტორიც მ. საბინინია.

1892 წლის 15 იანვარს, ამ მიმოხილვის დაწერის დროს, სპირიტუალური გძელიშვილი ხუცესმონაზვნის ხარისხში იმყოფება და დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობს, მაგრამ სანამ ამ თანამდებობას მიაღწევდა, მის სულიერ განწყობილებაში გზადაგზა ცვლილებები მომხდარა. მას ოცი წელი მორჩილებაში გაუტარებია. „შემდეგ რაოდენისამე დროსა, – ვკითხულობთ აღნიშნულ ტექსტში, – ნვევითა ეშმაკისათა [მან] დაუტევა უდაბნო, ჩამოვიდა სოფლად, ეკურთხა დიაკონად. რაღაცა სოფელსა შინა იცოლა და ორი შვილი ეყოლა. მე, ცოდვილსა მ. საბინინსა, ეს არ მესიამოვნებოდა და ერთხელ (ვ)უთხარი სფირიდონსა, რომ შენ, ძმაო, უკუნ იქცევი უდაბნოსა კუალად. მას ეწყინა ფრიად და ორი წელი უმძრახი იყო ჩემთან... ერთი წლის შემდეგ შევიტყვე, რომ სფირიდონს მოუკვდა ცოლი და ორი შვილი... შემდგომ რაოდენისამე წლისა... აღსრულდა ჩემი სიტყვა – სფირიდონმა ბერობა მიიღო და შევიდა ქუაბთახევის მონასტერსა შინა... და კუალად წმ. დავითის უდაბნოსა მიიქცა მღუდელმონაზვნობის სქემით შესრულებული და ან იქ იმყოფება, დარწმუნებული ჩემის სიტყვსა, რომელ

„სფირიდონ, შენ, ძმაო, წმ. დავითის უდანოსა შინა უნდა მოჰკვდე“. მოსკოვი. 1892 წლის იანვრის იე (15)...“ (ძეგლები V:200).

ნათელი არაა, სპირიდონმა მორჩილის ღვანლზე როდის თქვა უარი და როდის დაუბრუნდა მას. „საქართველოს სასულიერო მახარებელში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ზემოთ პირველ რიგში დავასახელეთ, მიგვანიშნებს, რომ იმ დროს, 1868 წელს, მისი ავტორი მორჩილია და დავით გარეჯის სავანეში ცხოვრობს. სტატიაში ვკითხულობთ: „ესე ყოველი შემთხვევა (ლაპარაკია 1851 და 1857 წლებში დავით გარეჯის მონასტრის დარბევაზე, ნ. პ.) ჩემ მიერ არა ხილულ არს“. ამდენად, სპირიდონ გძელიშვილი 1857 წელს დავითის ლავრაში მისული არ უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში აგვიხსნიდა, თვითონ რატომ არ გაიზიარა ქრისტესმიერი ძმების ხვედრი. ხსენებული სტატიის თანახმად (გვ. 84), სპირიდონი 1851 წლის დარბევის მომსწრეს და ტყვედყოფილს, ბერმონაზონ ისააკს, იმავე 1851 წელს გელათის მონასტერში შეხვედრია.

საფიქრებელია, რომ სპირიდონ გძელიშვილი წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან იყო, რადგან ეს გვარი თბილისის გარდა დასავლეთ საქართველოშია წარმოდგენილი (სილაგაძე, თოთაძე 1997:60). ს. გძელიშვილის მეტყველებას ალაგ-ალაგ რაჭული კილო ახასიათებს: **-ყე** და **-რე** სუფიქსები, თემის ნიშანი **-ამ-ავ** სუფიქსის ნაცვლად („რამეთუ ჰფარამდა ნეტარი ღირსებასა მისსა“), რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სპირიდონი რაჭიდან იყო, მით უმეტეს, რომ გძელიშვილები (გრძელიშვილები) ზემო რაჭაშიც სახლობენ. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სპირიდონი სასულიერო განათლებას გელათის მონასტერში ეზიარა და უდაბნოში მოღვაწეობის სურვილიც იქვე აღეძრა, იქნებ იმავე ბერმონაზონ ისააკის შთავგონებით. იგი გარეჯის უდაბნოში 1857 წლის, ანუ მეორე ლეკიანობის, შემდეგ უნდა მისულიყო; 1868 წელს უდაბნოს მორჩილია და ამ პატივზე უარი მას აღნიშნული წლის შემდეგ (მაგრამ ახლო ხანს) უნდა ეთქვა.

იმის თაობაზე, თუ სად დაცოლშვილდა იგი და არასაბერო ცხოვრება სად გაატარა, ვერაფერს ვიტყვით. 1880 წელს, როდესაც ქრისტეფორე გარეჯელის ცხოვრება დაინერა, სფირიდონ გძელიშვილი, ხელმოწერის თანახმად, მთავარდიაკონია. ეს ცხოვრება, როგორც ბოლოსიტყვიდან ჩანს, დაწერილია მიხეილ-გობრონ საბინინის დაკვეთით და მისდამია მიძღვნილი. საბინინსა და გძელიშვილს შორის ასეთი ურთიერთობა უკანასკნელის სამონაზვნო ცხოვრებისაკენ შემობრუნების ანუ მათი შერიგების შემდეგაა მოსალოდნელი. ჩვენი დაკვირვებით 1880 წელს სპირიდონ გძელიშვილი ქვაბთახევის მონასტერშია, აგიოგრაფიულ მოთხრობასაც იქ ქმნის და მრავალმთაში, კერძოდ, ნათლისმცემელში, ხელდამშვენებული ბრუნდება.

„საქართველოს სამოთხე“ მთავრდება თხზულებით „უნწყება ღირსისა მამისა ჩუენისა დოდოს თვს“, რომლის მთავარი მიზანი წმ. დოდოს ნაწილთა დოდოს მონასტრიდან დავითის ლავრაში გადასვენების აღწერაა (გვ. 637-639). ავტორი, მ. საბინინი, გვაუწყებს: 1881 წლის მარტში დავით გარეჯის უდაბნოში „თანანარვიყუანე სულიერი მეგობარი ჩემი, კეთილი და ბრძენი ყოვლითურთ,

მყოფი ლ. დავითის უდაბნოსა შინა მორჩილად, ვითარ ოცი წელი, ან მთავარ დიაკონად მყოფი, სფირიდონ გძელიევი“. სპირიდონი იმხანად რომ გარეჯის მოღვაწე ყოფილიყო, საბინინი არ იტყოდა „თანა წარვიყვანეო“.

უნდა ვიფიქროთ, რომ სპირიდონი გარეჯის სავანეში მ. საბინინის წინამძღვრობით დაბრუნდა.¹ იმავე მოთხრობის თანახმად, წმ. ნაწილთა გადასვენების პროცესი ორივე მათგანის ხელმძღვანელობით და შესაბამის წეს-განგებათა თანხლებით წარიმართა: ლოცვა 13 მარტს მწუხრზე დაიწყო; გაათენეს ღამე და მეორე დღეს მოწესეთა და მორჩილთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ღირსი დოდოს მონასტრისაკენ გაემგზავრა. სამარხისათვის, თურმე, ძლივს მიუგნიათ. იქიდან სურნელება ამოიფრქვეოდა. ყველაზე მეტად მთავარდიაკონი სპირიდონი აქტიურობდა, თუმცა ბერული თავმდაბლობა გამოუჩენია და ადგილობრივი მამებისათვის მიუმართავს: „თქვენი საქმე არისო ნახვა ნაწილთა“, მათ კი, ბერებს, შეშინებით და ნება დაურთავთ სპირიდონისათვის, რათა ის ჩასულიყო საფლავში და ნაწილები ამოეყვანა. მანაც გაიკეთა საბუხრეები, შემოირტყა გინგილა და შთამბეჭდავი პარაკლისის, გალობისა და კმევის ფონზე გვამის ამოსვენება დაიწყო, რაც, მ. საბინინის თქმით, „სამინელი საიდუმლოს გამოჩენას“ ეთანაბრებოდა. „ღირსი სხეული“ და შესამოსელი გარემო პირობებს იმდენად შეეღობა, რომ „ხელშივე ნაცრდებოდა“. ხორცის ნაწილი, რაც ძვალს შერჩენილი ჰქონდა, დიდი პატივით ლავრაში გადაასვენეს და დაასვენეს.² 19 მარტს საბინინი და სპირიდონი თბილისში ჩამოვიდნენ. საბინინმა წმ. ნაწილისათვის კაკლის ლუსკუმა დაამზადებინა და უდაბნოში გააგზავნა. ის არ ამბობს პირდაპირ, თუ ვისი ხელით გააგზავნა, მაგრამ გვრჩება შთაბეჭდილება, – სპირიდონის ხელით. უკანასკნელი კი, სავარაუდოდ, იქვე, მონასტერში, დარჩა, რაც ლოგიკური იქნებოდა, თუ გავითვალისწინებთ მის დამსახურებას აღნიშნული სავანის წინაშე: ამ დროს მას ქრისტეფორე გარეჯელის ცხოვრება მზად ჰქონდა (დაინერა 1880 წ.).

„ცხოვრებაში“ ერთგან ნათქვამია: „ოდეს [ღირსი ქრისტეფორე, ნათლისმცემლის მკვიდრი] იყვის უდაბნოსა ღირსისა მამა დავითისასა ჩემ თანა“ (ძეგლები V:135). ეს სტრიქონი წმ. დავითის მონასტერში რომ დაწერილიყო, წინადადება ადგილის გარემოებით იქნებოდა გავრცობილი და ამ სახეს მიიღებდა: „აქ, უდაბნოსა ღირსისა მამა დავითისასა...“; მაშასადამე, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქრისტეფორე გარეჯელის ცხოვრება 1880 წელს გარეჯის უდაბნოს გარეთ დაინერა. ეჭვი არაა, ავტორი ამ ნაშრომის გამო გარეჯელ ძმათა შორის ფრიად ავტორიტეტს მოიხვეჭდა და ბუნებრივია, რომ წმ. დოდოს ნაწილების

¹ „დროების“ ცნობით (1881, 15. III, №56), მ. საბინინს დავით გარეჯის მონასტერში წაუღია „რამდენიმე სამკაული, რომელიც პეტერბურღში და მოსკოვში შეწირული ფულით უყიდნია პეტერბურღში და აქ ჩამოუტანია“.

² მ. საბინინის ამ ინიციატივამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია (შდრ. პაპუაშვილი 1989:271-272; ჯოჯუა 200:37).

ამოსვენების პატივი მას ერგო. ამ ფაქტის შემდეგ უდაბნოში დამკვიდრების სურვილი მას უფრო გაუცხოველდებოდა.

მიხეილ საბინინს, რომელიც აგიოგრაფიული ლიტერატურის ტრფიალი და მათამაგე გახლდათ, აგიოლოგიური არჩევანის გაკეთების ინტუიცია და ალლო არ უნდა ჰკლებოდა. იგი უსაფუძვლოდ არც ბერ ქრისტიეფორეს მიაწერადა წმინდანობას და არც სპირიდონ გქელიშვილს დაავადებდა აგიოგრაფიული ცხოვრების აღწერას.

დასტურდება, რომ მ. საბინინი ნათლისმცემელ მონსე ქრისტიეფორეს, გვარად ჯიქიძეს, პირადად იცნობდა. მასთან შეხვედრის და საუბრის ამბავს იგი ვრცლად და შთამბეჭდავად დამონმებულ კრებულში გადმოგვცემს (გვ. 225-230). აქვე შევნიშნავთ: ჩვენი დაკვირვებით, მ. საბინინი ნათლისმცემელში ასვლისა და წმ. ქრისტიეფორესთან შეხვედრის თარიღს შეცდომით აფიქსირებს. კრებულის 225-ე გვერდზე ვკითხულობთ: „წელსა ჩყოჴ (1878)-სა ივნისის კა (21) დღესა მრავალთა თანაწარვემართე მე წმ. იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსა შინა მრავალმთას“, სადაც ბერმონაზონ ქრისტიეფორეს შევხვდი და მოვუსმინეო. ღირსი ქრისტიეფორე 1871 წელს გარდაიცვალა და, მაშასადამე, ამ შეხვედრას ადგილი 1871 წლამდე უნდა ჰქონოდა. ტექსტი დაკონკრეტეჭების საშუალებასაც გვაძლევს. ავტორი ამბობს: „მე, მყოფი გიმნაზიაში, წინა ამა წლისა ვიყავ უდაბნოსა შინა“, საიდანაც ნათლისმცემლის ხატი შესაკეთებლად წამოვიღე; შევაკეთე და ახლა ვაბრუნებო (გვ. 226). მ. საბინინმა გიმნაზია 1869 წელს დაამთავრა (ცხადაძე 1978:170). მაშასადამე, აღნიშნული შეხვედრა 1868 ან 1869 წლების 21 ივნისს უნდა შემდგარიყო. ამ დღეს თბილისიდან, მ. საბინინის უწყებით, ნათლისმცემელში 15-კაციანი მომლოცველთა ჯგუფი ასულა. ჯგუფში ძირითადად რუსი მორწმუნეები, მათ შორის – დიდგვაროვანთა ცოლები, ყოფილან. ისინი იქ იოანე ნათლისმცემლის შობის (25 ივნისი) დღესასწაულს დასწრებიან და მნიშვნელოვანი შესანიშნავი გაუღიანთ. მონასტრის წინამძღვარი იყო მაკარი, რომელსაც, როგორც ამ და სხვა წყაროებიდანაც ცნობილია (კიკნაძე 2002:150), სამოს ერთ ნაწილთან კონფლიქტური ურთიერთობა ჰქონდა. საბინინის ცნობით, ბერი ქრისტიეფორე აქტიური ოპოზიციონერი ყოფილა და მას წინამძღვრის საქციელის (კერძოდ, ღვინის სიყვარულისა და ლაღობის) გამო პროტესტი სტუმრების წინაშეც გამოუმჟღავნებია.

მ. საბინინი, ასევე, არქიმანდ. მაკარის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ირიცხებოდა და თუნდაც ამის საფუძველზე იგი მონაზონ ქრისტიეფორესთან საერთო ენას ადვილად გამოძებნიდა. ასეც მომხდარა. ასკეტ ბერს ახალგაზრდა მორწმუნე სწავლულისათვის გული გადაუხსნია და სულიერი მოსაგრეობის კერძო შემთხვევებიც უამბია, რაც ვრცლადაა ასახული დამონმებულ ხელნაწერში. ამ შეხვედრიდან ორიოდ წლის შემდეგ ღირსი ქრისტიეფორე გარდაიცვალა.

მ. საბინინი, რომელსაც მისი წუთისოფლიდან გასვლის დეტალიც დაუზუსტებია, გვიამბობს: „ოდესაც მიწურვილი იყო სიკვდილად ქრისტესია, უთხრა ბერებს: „გალავნის კარი გააღეთ, დავით გარესჯის არხიმანდრიტი სოფრონი და

კაზნაჩეი ანტონი მოდიანო“ და, შემდეგ მცირე ჟამისა, მოვიდნენ სიტყვისაებრ. ოდეს გარდაიცვალა ღირსი (ესე სიტყვანი ებრძანა მწოლარს თჳს სენაკსა შინა, რომლისაგან მრავალ ჟამ არ დაუტევებდა), დაიდვა თავის მცირე და ფრიად ვიწრო სენაკსა შინა. იმ ღამეს, რომელსა მიიცუალა ღირსი, მოვიდა რალაც მთიები, ვითარ ვარსკვლავი, და დაადგა ზედ გუამსა მიცუალეზულისასა და ბრწყინვისა (!) ზედ. ამის მნახველი და მოწამე დღესაც ცოცხალ არს მღუდელ-მონაზონი გერასიმე უდაბნოსი“ (გვ. 230).

ამდენად, გარეჯელი მეუდაბნოეს სათნოიანმა ცხოვრებამ და „მთიებით“ გასხივოსნებულმა აღსასრულმა საქართველოს ეკლესიის მოამაგეს ახალი აგიოგრაფიული მოთხრობის შექმნის იდეა შთააგონა, რაც, მისი წინადადების თანახმად, სპირიდონ გძელიშვილმა განახორციელა.

თხზულება, რომლის სრული სათაურია „ცხოვრება და მოღვაწეობა სანატრელისა მამისა ქრისტესია მონაზონისა, რომელი შემდგომად წოდებულ იქნა ქრისტეფორედ, რომელიცა სცხოვრებდა მოღვაწეობით უდაბნოსა შინა მრავალმთის იოანე ნათლისმცემლისასა, გარესჯად წოდებულისა, თავსა ყარაიისასა“, შემონახულია სამი ხელნაწერით: A1072, A1036, H40. მათგან A1072 ავტოგრაფული ნუსხაა, რადგან მასში ავტორის მუშაობის კვალი ჩანს, – ჩასწორებები, სიტყვებისა თუ წინადადებების გადაკეთება. ხელნაწერს არ ახლავს დანართი – მიმართვა მიხეილ საბინინისადმი, რაც დანარჩენ ნუსხებში დაცულია. თ. ჟორდანიას ცნობით, ხელნაწერი A1036 საეკლესიო მუზეუმმა მ. საბინინის ბიბლიოთეკიდან შეიძინა. ესაა სასტამბოდ გამზადებული ტექსტი, რასაც პირველი გვერდის ამიაზე დასმული ბეჭედი და წარწერა გვაუწყებს: „Печатать позволяется. 31 июля 1882 г. Цензор Архим. Арсений. №703“. ამ ხელნაწერს დართული აქვს ქრისტეფორე გარეჯელი სურათი, შესრულებული უცნობი მხატვრის მიერ ფანქრით.

აქედან ჩანს, რომ მ. საბინინს „ქრისტეფორე გარეჯელის ცხოვრების“ გამოცემისათვის ნებართვა 1882 წლის 31 ივლისში მიუღია. სავარაუდებელია, რომ მას მისი „საქართველოს სამოთხეში“ ჩართვა უნდოდა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა ალბათ იმის გამო, რომ ამ კრებულის დასაბეჭდად გამზადებულ მაკეტში რაიმე მასალის შეტანა უკვე აღარ ხერხდებოდა. სამაგიეროდ, ეს ტექსტი მან სასულიერო შინაარსის თხზულებათა კრებულში ჩართო (H40) და შესაფერისი კომენტარებიც დაურთო.

ამდენად, ღირსი ქრისტეფორე გარეჯელის შესახებ ჩვენ ორი წყარო მოგვეპოვება: სპირიდონ გძელიშვილის აგიოგრაფიული თხზულება, რომელიც გამოქვეყნებულია, და მ. საბინინის უწყება, რომელსაც მისივე ხელნაწერი კრებული შეიცავს.

ბამოყენებული ლიტერატურა

- კიკნაძე 2002:** ვ. კიკნაძე, მიხეილ საბინინის უცნობი წერილი. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, II (ისტორიის სერია), 2002.
- მახარებელი 1868:** „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1868, №3.
- მენაბდე 1962:** ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკ. 1, თბ., 1962.
- პაპუაშვილი 1989:** ნ. პაპუაშვილი, მ. საბინინის ინფორმაციის კვალდაკვალ „ჯვარშემოსილის“ შესახებ. გულანი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა შრომების კრებული, თბ., 1989.
- სილაგაძე, თოთაძე 1997:** სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.
- ქავთარია 1962:** მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965.
- ცხადაძე 1978:** ქ. ცხადაძე, „შუშანიკის წამების“ პირველი გამოცემის ისტორიიდან. შუშანიკის წამება (გამოკვლევები და წერილები), თბ., 1978.
- ძეგლები V:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V, დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბ., 1989, გვ. 125-136.
- ჯოჯუა 2000:** თ. ჯოჯუა, წმიდა დოდო გარეჯელის ძველი განსასვენებელი. ქრისტიანობა საქართველოში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები, თბ., 2000.

Nugzar Papuashvili

MIKHEIL SABININ ABOUT CHRISTOPHER AND SPIRIDON OF GAREJI

SUMMARY

Spiridon Gdzlishvili (Gdzeliiev) is the last representative of the school of literature of Davit Gareji and old Georgian hagiography, generally. His work “The Life of Christopher of Gareji” was published in the V volume of “The Monuments of Old Georgian Hagiographic Works”. This work says that St. Christopher lived an exceptionally ascetic life in Davit Gareji Udabno (a sparsely populated place) and died there in 1871. Mikheil-Gobron Sabinin, who was the researcher and publisher of ‘the lives’ and ‘tortures’ of Georgian saints, personally knew Spiridon Gdzlishvili and St. Christopher. Its study, which is included in the collection of ecclesiastical works H 40, is the only source to study the spiritual biography of Spiridon Gdzlishvili. This and some other data make it clear that S. Gdzlishvili wrote “The Life of Christopher of Gareji” in 1880 in the Kvatakhevi Monastery and handed the text to M. Sabinin, as to the client in March of 1881, at the Davit Gareji Monastery. By that time, Sabinin was visiting the Monastery and both, Sabinini and Gdzlishvili took part in taking the undecaying holy body parts of Dodo of Gareji, the Saint of the VI century, from one monastery to another. The work is survived as three manuscripts: A 1031, A 1072 and H 40, the second of which

is the autographic list and the first one being the variant intended for printing by Sabinin, which is enclosed by a censor's printing permission, evidencing that Sabinin was permitted to print the text in 1882. He wanted the work to be included in the hagiographic collection "The Paradise of Georgia", but this appeared technically impossible, as the layout of "The Paradise of Georgia" was already drafted by the time and was printed in the same year.

ღაკით შინაგანი

DOCTRINA PATRUM – „გამოკრებანი წამებათანი“

ძველ ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია არსენ ვაჩხიძის მიერ შედგენილ კრებულ „დოგმატიკონს“, რადგან ესაა ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი ჯერჯერობით ერთადერთი, კონკრეტულად დოგმატიკური თემატიკის შემცველი, უაღრესად დიდი მოცულობის კრებული (გამოვლენილია 78 ნაწარმოები). „დოგმატიკონს“, როგორც ბიზანტიური ძეგლების შემცველ ქართულ თარგმანთა კრებულს, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქართული, არამედ ბიზანტიური მწერლობის ისტორიისთვისაც, რადგან ამ კრებულს რიგ შემთხვევებში ბერძნულ თხზულებათა ისეთი რედაქციები დაუცავს, რომლებიც ბერძნულ წყაროებში, ბერძნულ ხელნაწერებში ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის. გარდა ამისა, გვხვდება ისეთი ძეგლები, რომელთა ბერძნული დედნები ჯერჯერობით არ ჩანს.²

„დოგმატიკონის“ შეფასების ამ ზოგად ფონზე გვინდა შევეხოთ ჩვენი კვლევის საგანს, კრებულში შემავალ ერთ-ერთ თხზულებას, რომლის სათაურია „გამოკრებანი წამებათანი“. ეს უაღრესად ვრცელი ტრაქტატი დიდი ხანია ინვეს მკვლევართა ინტერესს. ეს ინტერესი განპირობებულია იმიტაც, რომ თვითონ თხზულება შედგენილობის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა – ამ ვრცელ ტრაქტატში თემატურად განხილულია ქრისტიანული ღმრთისმეტყველებისა თუ ღმრთისმეტყველებასთან დაკავშირებული ფილოსოფიური საკითხების მთელი წყება, რის გამოც ის ქრისტიანული საღმრთისმეტყველო აზროვნების კომპენდიუმად წარმოგვიდგება. მაგრამ, გარდა ამისა, აღნიშნული თარგმანი იმიტაც იქცევდა ყურადღებას, რომ გაურკვეველი იყო „გამოკრებანი წამებათანი“ წარმომავლობა, მისი ბერძნული დედნის საკითხი.

¹ ჩიკვატია ნ., „დოგმატიკონის“ ხელნაწერი კრებულები, (S-1463-თან მათი მიმართების ცხრილი), მრავალთავი XX, თბილისი, 2003, 82-83.

² რამდენიმე ასეთი, მნიშვნელოვანი სიახლე გამოავლინა თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა მ. რაფავამ. მკვლევარი ამზადებს სტატიებს აღნიშნულ საკითხზე.

პირველად ამ საკითხს შეეხნენ მკვლევარები კ. კეკელიძე და ი. ლოლაშვილი. მათ მიიჩნიეს, რომ „გამოკრებანი წამებათანი“ წარმოადგენს იოანე დამასკელის ტრაქტატის „**De sacris Paralellis**“ თარგმანს.³ მოგვიანებით, ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა ედიშერ ჭელიძემ და ნანა ჩიკვატიამ შეადარეს ეს თხზულებები ერთმანეთს და აღმოჩნდა, რომ „გამოკრებანი წამებათანი“ სულ სხვა ტექსტია და მას დამასკელის „**De sacris Paralellis**“-თან არაფერი არა აქვს საერთო.⁴ საკითხს ისიც ართულებდა, რომ დამასკელის შრომათა შორის „გამოკრებანი წამებათანის“ მსგავსი თხზულება არსად არ ჩანდა.⁵ შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს ტრაქტატი თავად ქართველი მთარგმნელის, არსენ ვაჩესძის მიერ იყო შედგენილი და მის საკუთარ თხზულებას წარმოადგენდა, მაგრამ რადგანაც არსენ იყალთოელი ქართული ელინოფილური მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მოღვაწეა, ელინოფილ მთარგმნელებს კი კონცეპტუალურად ჰქონდათ ჩამოყალიბებული მთარგმნელობითი საქმიანობის პრინციპები და მთარგმნელის საქმიანობა მეტად იყო რეგლამენტირებული, პრაქტიკულად წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, რომ არსენ ვაჩესძეს საკუთარი ნაშრომი ვინმესთვის მიენერა, მით უმეტეს, ისეთი დიდი ავტორიტეტისთვის, როგორც იოანე დამასკელია. ამდენად, მიგვაჩნდა, რომ „გამოკრებანი წამებათანი“ არ არის ქართველი ავტორის ქმნილება, ის ნამდვილად უნდა ყოფილიყო ბერძნულიდან ნათარგმნი და უბრალოდ, ან მისი დედანი დაიკარგა, ან ამა თუ იმ მიზეზის გამო კვლევის იმ ჯერზე დედანი არ იყო მიკვლეული. სავარაუდოდ, ისიც დავუშვით, რომ შესაძლოა თარგმანში თხზულების ავტორი მცდარად ყოფილიყო დასახელებული, რაც, ცხადია, მაინც არსენის ხელთ არსებული ბერძნული ნუსხით იქნებოდა განპირობებული და არა მთარგმნელის თვითნებობით.⁶ „გამოკრებანი წამებათანის“ შედგენილობა მეტ-ნაკლები სისრულით რამდენჯერმე იქნა გამოქვეყნებული.⁷

³ კეკელიძე კ., უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, 66; კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1980, 281; ლოლაშვილი ი. არსენ იყალთოელი, თბილისი, 1978, 112; აგრეთვე, Uttier B., Le „Dogmatikon“ d' Arsen d' Iqalto et ses modeles Grecs, Le Museon, t. 114, fasc. 1-2, Louven-la-Neuve, 2001, 219.

⁴ ჭელიძე ე., გრიგოლ ნოსელის თხზულების „პასუხი ექსუთა დღეთაჲს“ გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, მაცნე, IV, თბილისი, 1984, 53; ჩიკვატია ნ., ანტიმონოთელიტური თხზულებები ძველ ქართულ მწერლობაში, მაცნე, 1992, III, 102;

⁵ PG 94, 95, 96; Kotter B., Die Schriften des Johannes von Damaskos, I-IV, Berlin – New-York, 1969 – 1981.

⁶ შენგელია დ., იოანე დამასკელის მხოლოდ ქართული თარგმანით ცნობილი თხზულება „გამოკრებანი წამებათანი“, მრავალთავი, XXI, თბილისი, 2005, 99.

⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, 64, თბილისი, 1973, 219 - 222; კოჭლამაზაშვილი ე., დოლიძე თ., წმინდა გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 2009, 199 - 198; კვლევა კირილე ალექსანდრიელის შრომებიდან დადას-

ქართული თარგმანის სათაურის მიხედვით – „...სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს – გამოკრებანი წამებათანი“, ვფიქრობდით, რომ ბერძნულში ამ თხზულების სათაური უნდა უნდა ყოფილიყო: „oij logoi twñ agiwn paterwn, eitoun ai| eklogai; twñ martureiwn“.⁸ „გამოკრებანი წამებათანის“ კვლევა უკვე დაწყებული გვექონდა, როდესაც ამ ტრაქტატის ცალკეული წყაროების ბერძნული დედნების ძიებისას მივადექით ბიზანტიურ ნაწარმოებს, რომელსაც არა „eklogai; twñ martureiwn“, არამედ „eklogh; twñ crhæwn“ ქვია და რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში **Doctrina Patrum**-ის სახელით არის ცნობილი.⁹ ეს საყოველთაოდ ცნობილი ფლორილეგიუმი იმდენად დიდი იშვიათობა აღმოჩნდა, რომ ის არა თუ საქართველოში, არამედ ევროპის რამდენიმე საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაშიც კი არ მოიძებნა. **Doctrina Patrum** მოგვანოდა ჩვენმა მეგობარმა, ლუვენის უნივერსიტეტის დოქტორანტმა თამარ პატარიძემ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

ორიოდე სიტყვით, თუ რას წარმოადგენს ეს ბერძნული ფლორილეგიუმი: ესაა უაღრესად ვრცელი ტრაქტატი, რომლის თითოეული თავი ორთოდოქსული მოძღვრების ამა თუ იმ უმნიშვნელოვანეს საკითს ეძღვნება. თითოეულ თავში მოცემულია მამათა თხზულებებიდან ამოღებული ექსცერპტები, რომლებიც შინაარსით შესაბამება მოცემული თავის თემატიკას. გვაქვს ექსცერპტები ერეტიკოსთა ნაშრომებიდან, რის გამოც ფლორილეგიუმის მნიშვნელობა კიდევ უფრო მატულობს, და, ასევე, ბიბლიური ციტაცია. ექსცერპტებს აქვთ ატრიბუცია, სადაც აღნიშნულია ავტორიც, კონკრეტული თხზულებაც და, როგორც წესი, ის თავიც, რომელიდანაც არის ექსცერპტი ამოღებული. მაგალითად, პირველი თავის სათაურია: „წმინდა სამების სამობისა და ერთობის შესახებ“ და მოტანილია ექსცერპტები სხვადასხვა მამის ნაშრომებიდან ამ საკითხთან დაკავშირებით. მთელი ფლორილეგიუმი სწორედ ამგვარად ექსცერპტებისგან არის შედგენილი. **Doctrina Patrum** მთლიანობაში 45 თავისაგან შედგება, მაგრამ თხზულების გამომცემელი და მკვლევარი, ფ. დიკამპი ვარაუდობს, რომ ფლორილეგიუმი თავდაპირველად მხოლოდ პირველი ოცდათერთმეტი თავისა-

ტურებული ექსცერპტების შესახებ „გამოკრებანი წამებათანიში“ მოცემულია: ცოფურაშვილი თ., წმ. კირილე ალექსანდრიელი ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისი, 2009, 119-137; ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა თინა ცერაძემ და ლელა ხოფერიამ აღწერეს „დოგმატიკონის“ ლენინგრადული ნუსხა, რომელიც 1825 წელს არის გადაწერილი. მკვლევართა ამ ბრწყინვალე ნაშრომში „გამოკრებანი წამებათანიც“ მაღალ დონეზეა აღწერილი. Грузинские Рукописи Института Востоковедения Российской Академии Наук, Выпуск III. Рукописи духовного содержания, М 41 (ძველი შიფრით М 55, G 157), Л. Хоперия, Т. Церрадзе, Под редакцией Т.Г. Мгалоблишвили и Е.Н. Мещерской, Изд-во Восточная Литература, Москва, 2009 (იბეჭდება).

⁸ შენგელია დ., იონანე დამასკელის, 99.

⁹ Diekamp F., *Doctrina Patrum de incarnatione Verbi*, Münster, 1907-1981.

გან შედგებოდა, ხოლო დანარჩენი თავები გვიანდელი გადამუშავების შედეგია (ამ საკითხს ქვემოთ კიდევ მივუბრუნდებით).

„დოგმატიკონში“ დაცული „გამოკრებანი წამებათანიც“ ფლორილეგიუმია, ის ოცდათერთმეტი თავისაგან შედგება, თითოეულ თავში მოცამულია ესა თუ ის ორთოდოქსის დოქტრინალური საკითხი და მოტანილია თემატურად შესაბამისი ექსცერპტები მამათა ნაშრომებიდან, რომლებსაც, ასევე, აქვთ სათანადო ატრიბუცია, საიდანაც ვიგებთ, თუ რომელი ავტორის რომელი თხზულებიდანაა მოცემული ექსცერპტი.

შევადართ ერთმანეთს ბერძნული ფლორილეგიუმისა და ქართული „გამოკრებანი წამებათანის“ სათაურები:

Doctrina Patrum	„გამოკრებანი წამებათანი“
<p>Logoi agiwn paterwn hḡoun eklogh; crhḡewn, di j wḡ thn oḡhn th~ apostolikh~¹ ekklhsia~ doxan safw~ didaskomeqa, tove th~ qeologia~ fhmi; khrugma kai; th~ qeia~ oiḡnomia~ ton logon kai; twḡ aḡlwn oḡqwn th~ ekklhsia~ dogmatwn thn akribeian.</p>	<p>წმიდათაგანისა მამისა ჩვენისა, იოანე მანსურ-წოდებულისა, სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს – გამოკრებანი წამებათა- ნი, რომელთა მიერ ყოველივე კათო- ლიკე¹ ეკლესიისა სარწმუნოებაჲ განც- ხადებულად გუესნავენის, ღმრთისმეტყუელებისასა ვიტყვ ქადა- გებასა და საღმრთოესა განგებულე- ბისა სიტყუასა და სხუათა მართალთა ეკლესიისა შჯულთა უცთომელობასა S-1463 138v</p>

ნათლად ჩანს, რომ ქართული ტექსტი ნამდვილად წარმოადგენს აღნიშნული ბერძნული ფლორილეგიუმის სათაურის ზედმიწევნით თარგმანს, გვაქვს მხოლოდ ერთი ლექსიკური სხვაობა (1 apostolikh-] კათოლიკე). ქართული თარგმანი განსხვავდება ბერძნული დედნისაგან აგრეთვე იმით, რომ ქართულში, ბერძნულისგან განსხვავებით, ავტორია დასახელებული და თან იოანე დამასკელი. ამ საკითხს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით.

შევადართ ერთმანეთს **Doctrina Patrum**-ის პირველი 31 თავის სათაურები ქართულ თარგმანს. ქართულ ტექსტს ძირითადად **S-1463**-ისა და, რიგ შემთხვევაში, სხვა ნუსხებიდანაც ვუთითებთ საჭიროებისამებრ.

Doctrina Patrum	„გამოკრებანი წამებათანი“
<p>1. Kefalaion A v Peri; th~ ej triadi kai; ej monadi qeologia~.</p>	<p>სამობისა და ერთობისა შორისისა ღმრთისმეტყუელებისათჳს, თავი ა S-1463 138v</p>
<p>2 Kefalaion Bv Oti ek duw fusewn ton Criston kai; ej duw fusesin ojrodoxw~ oil qeopneustoi patere~ ekhruxan, kai; ofi to; mian legein tou' logou fwsin sesarkwmenhn euqebw~ tauton epti tw'eipeiñ duw fusei~.</p>	<p>თავი ბ. ვითარმედ ორთა ბუნებათაგან და ორთა ბუნებათა შინა მართლმადიდებლობით ქადაგეს ქრისტე ღმრთივსულიერთა მამათა. და ვითარმედ ერთსა ბუნებასა სიტყვასა განწორციელებულსა კეთილადმსახურებით თქუმაჲ იგივე არს თქუმად ორთა ბუნებათა ქრისტეს შორის S-1463 140v</p>
<p>3 Kefalaion G v Oti to; Cristo~ ohoma ekaterwn twñ fusewn epti shmantikon, kai; ofi qeo~ ol Cristo~ kai; qeotoko~ hl parqenokata; Nestorionu tou' ajewu.</p>	<p>ვითარმედ სახელი ქრისტესი თითოეულთა ბუნებათა არს ცხადმყოფელი; და ვითარმედ ღმერთ არს ქრისტე და ღმრთისმშობელი – ქალწული, – ძუნად უღმრთოჲსა ნესტორისა; თავი გ A- 267 54 r</p>
<p>4 Kefalaion D v Oti diplou~ ol Cristo~ upo; twñ paterwn wjomastai dia; to; ditton twñ fusewn, kai; pañ in oujdiplou~ dia; to; th~ uf postawew~ monadikon hgoun tou' proswpou</p>	<p>ვითარმედ მრჩობლად სახელ-იდების ქრისტე მამათა მიერ მრჩობლობისათჳს ბუნებათაჲსა; და კუალად, არამრჩობლად – გუამობითისა ერთობისათჳს, რომელ არს პირი; თავი დ A -267 55v</p>
<p>5 Kefalaion E v Oti ajreptoi memenhkasin ail pro~ ehothta sunelqousai fusei~ kai; ajugcutoi mhdemia~ eij~ thn eferan metacwrhsash~: kai; ofi swzontai kai; meta; thn efwsin ta; ipliwmata twñ fusewn kai; hl toutwn diafora; mhdemia~ epeisagomenh~ diaireawew~.</p>	<p>ვითარმედ უქცეველად ეგნეს ერთობად მოსრულნი ბუნებანი და შეურევნელად, არა რომლისა მათგანისა სიტყვსა ბუნებად გარდაცვალებითა ; და ვითარმედ ცხოვლად ჰვიან შემდგომად შეერთებისაცა თუთებანი ბუნებათანი. და ვითარმედ ამათი განყოფილებაჲ არცა ერთსა შემოიღებს განწვალებასა; თავი ე S-1463 144v</p>
<p>6 Kefalaion ~ v Oti oujtauton fusi~ kai; uf postasi~, tauton de jouqia kai; fusi~ kai; oinoiw~ tauton upostasi~ kai; proswpon.</p>	<p>ვითარმედ არა იგივე არს ბუნებაჲ და გუამი, ხოლო ბუნებაჲ და არსებაჲ იგივე, და ეგრეთვე გუამი და პირი; თავი ვ S-1463 145 r</p>
<p>7 Kefalaion Z v. Oti qeo~ afna kai; ajqrwpo~ ol Cristo~ kai; eif~ ol Cristo~, kai; peri; tou' tropou th~ oikonomia~ hgoun th~ qeia~ ejanqrwphawew~, kai; peri; tou' paqou~ kai; th~ ej tw' afh/ kaqodou, opw~ oil paterw~ paredwkan.</p>	<p>ვითარმედ ერთბამად ღმერთი და კაცი არს ქრისტე, და ერთი ქრისტე; და სახისათჳს განგებულებისა, ესე იგი არს საღმრთოჲსა განწორციელებისა; და ვნებისათჳს და ჯოჯოხეთს შთასლვისა, ვითარ-იგი მოუცემიეს მამათა; თავი ზ S-1463 147 v</p>

<p>8 Kefalaion Hv Oti hlej proqesi~ egnwstai toi~ patrasi protassomenh twñ Cristou fusewn, kai; ofi ouj dei legein w~ hjqeoth- epaqe sarki; hjqeo~ dia; sarko~ epaqen.</p>	<p>ვითარმედ პირველდადება იგი, რომელსა „ენ“ ჰრქვან ბერძულად, იცნობების მამა- თაგან წინადაწესებულად ბუნებათა ქრის- ტესთა; და ვითარმედ არა ჯერ-არს თქუ- მად, თუ ღმრთეებამან ივწო ჯორცითა, ანუ ღმერთმან ივწო ჯორცთა მიერ; თავი წ 5-1463 149 v</p>
<p>9 Kefalaion Qv Oti adunaton legein mian fusin Cristou sunqeton ex aktistou kai; ktisth~ sunteqemenhn, kai; ofi iApolina- rio~ kai; proqe autou Manh~ pro~ apaire- sin twñ duō fusewn thñ th~ sunqetou mia~ fusew~ fwnhn apekuhsan aseb~~, efi de; kai; oil Areianoiv oi~ hkolouhsan Eujuch~ kai; Seuhro~ oil dussebstat oi: ej w/ kai; peri; twñ logwn, wñ prof erousin oilaifetikoi; w~ apo; Agnasiou kai; Iouliou, apodeixi~ ofiper Apolinsriou ejsin. Eñ de; tw/kq vke- falaiw/platuteron eujhsei~ peri; sunqetou fusew~</p>	<p>ვითარმედ შეუძლებელ არს თქუმად ერთი ბუნება ქრისტესი, შეზავებული, აუგებე- ლისა და აგებულისაგან შემოკრებული. და ვითარმედ აპოლინარი, და უწინარეს მისსა მანენტოს, დასაწსნელად ორთა ბუნებათა ერთისა შეზავებულისა ბუნებისა ჳმაა შვეს ბოროტადმსახურებით. ამათ თანა და არია- ნოზთაცა, რომელთა შეუდგეს ევტუქი და სევეროს ელლენი. – რომელსა შინა არს სიტყუათათვცა, რომელთა წინაჰყოფენ მწვალებელნი ვითარცა ათანასესგან და იუ- ლოსისგან – გამოჩინება, ვითარმედ აპო- ლინარისნი არიან. ხოლო ოცდამეცხრესა თავსა შინა უვრცელესადრე ჰპოო შეზავე- ბულისა ბუნებისათვს. თავი თ 5-1463 150r</p>
<p>10 Kefalaion Iv Oti tine~ twñ paterwn to; th~ kraew~ ofoma epi; th~ kata; thñ oikonomian ehwsew~ parthhsant o.</p>	<p>ვითარმედ მამათაგანთა ვითემე სახელსა შეზავებისასა იჯმნეს თქუმად განგებულე- ბითისა ზედა შეერთებისა. თავი ი 5-401 106r</p>
<p>11 Kefalaion IA v Oti ol on to; qeion dia; th~ mia~ upostasew~ ol h/th/ajqrwpot hti hhwqh kai; oujmero~ merei, kaqw~ oilapo; iAreiou kai; iApolinariou fasi; kai; oilta~ merika~ pres- beuont e~ oujsia~, kai; ofi panta ajeiaben ol logo~ ta; hmet era.</p>	<p>ვითარმედ ყოველი საღმრთოა ბუნება ერ- თისა მიერ გუამისა შეეერთა ყოველსავე კა- ცებასა და არა კერძოა –კერძოსა, ვითარცა არიოზის და აპოლინარისაგანნი იტყვან და ვითარმე კერძობითთა აღმსაარებელნი არ- სებათანი; და ვითარმედ ყოველნივე მიხუ- ნა სიტყუამან ჩუენნი. თავი ია 5-1463 151 v</p>
<p>12 Kefalaion IB v Oti twñ hJoujsia mia, touw twñ kai; hJebergeia pantw~ mia, kai; oil to; iison kata; thñ ebergeian, toutoi~ pantw- to; aut o; kai; kata; thñ oujsian uparcei, kai; ofi ouk estin eteroth~ oujsia~, ehqa tauto th~ gnwrizetai ebergeia~: parhllagmenwn gar twñ oujsiwn parhllagmena~ einai dei kai; ta~ ebergeia~, kai; ehpalin: kai; ofi</p>	<p>ვითარმედ რომელთა არსება ერთ არს, მათი მოქმედებაცა უეჭუელად ერთ არს, და რომელნი სწორ არიან მოქმედებით, ესენი უეჭუელად იგივე არიან არსებით; და ვითარმედ არა არს სხუაობა არსებისაჲ, სადა იგივეობა იცნობებოდის მოქმედები- საჲ, რამეთუ შეცვალებასა თანა არსებათა- სა, შეცვალება ჯერ-არს მოქმედებათაცა,</p>

<p>Ἰπολιναριοῦ- μίαν λέγων Χριστοῦ φύσιν μι- ῶν λέγει καὶ; τὴν ἐπεργεῖαν: ἐπὶ ἡ καὶ; περι; εἰλ δου- ρεοῦ.</p>	<p>და წინაუქმო; რამეთუ აპოლინარი, ერთისა მეტყუელი ქრისტეს ბუნებისაჲ, ერთსა იტყჳს მოქმედებასაცა; რომელსა შინა არს სახისათჳსცა ღმრთისა. თავი იბ ^{S-1463 152 v}</p>
<p>13 Κεφαλαῖον ΙΓ Ὅτι τὰ αὐτὸν ἐπεργεῖα καὶ; ἐπερghma para; tisi, καὶ; τῖ; ἐπεργεῖα καὶ; posacw~ ἡ ἐπερgeia, καὶ; περι; tou` dein ef- katera~ fusew~ gnwrizein ta; iḡdia: ἐπὶ ἡ ὅτι καὶ; ta; paqḡ ta; fusika; ἐπερgeiai kuriw~ kalountai, καὶ; ὅτι to; iḡstasqai καὶ; kaqe- zesqai καὶ; peripatein ἐπερgeiaiv eiḡsi, καὶ; ὅτι meta; τὴν ἀπαḡstasin ἡ ἡth~ ajqrwpinh- fusew~ ἐπερgeia swzetai ἐπὶ ἡ tw`Χριστῶ ta; ὁnoia καὶ; ἐπὶ ἡ tw`iz vkef al aiw`keit ai.</p>	<p>ვითარმედ იგივე არს მოქმედებაჲ და მო- ქმედებული ვითებრ-მე; და თუ რაჲ არს მოქმედებაჲ და რაოდენ-სახე – მოქმედე- ბაჲ; და ვითარმედ განთჳსებულბაჲ უჴმს მრჩობლთავე ბუნებათა და ცნობაჲ თჳსთაჲ; და ვითარმედ ვნებად და მოქმედებადცა საკუთრად იწოდებიან ბუნებითნი; და ვი- თარმედ დგომა და ჯდომა და სლვაჲ მოქ- მედებანი არიან; და ვითარმედ შემდგომად აღდგომისაცა დაცვულ არს ქრისტეს შორის კაცობრივისა ბუნებისა მოქმედებაჲ. – რო- მელნი ესე ოცდამეექუსესა თავსაცა შინა წერილ არიან თავი იგ ^{S-1463 154 r}</p>
<p>14 Κεφαλαῖον ΙΔ Ὅτι τὴν οὐσίῃν αἰἐπερgeiaiv eiḡsi shmantikai; καὶ; οὐκ αἰ lw~ αἰl fusēi~ gnwrizontai, eiḡmh; dia; τὴν ἐπερgeiῶν, καὶ; ὅτι ajḡnaton fusin eiḡhai ajenergh-ton, καὶ; pw~ ἡlqēa noeitai ἐπερgeia.</p>	<p>ვითარმედ მოქმედებანი არიან დამნიშვნელ- ნი არსებათანი და სხუებრ არა იცნობებიან ბუნებანი, თჳნიერ მოქმედებათა მიერ. და ვითარმედ შეუძლებელ არს ყოფად ბუნე- ბაჲ უმოქმედოჲ. და თუ ვითარ გულისჴმა- იყოფების საღმრთოჲ მოქმედებაჲ. თავი იდ S-1463 155 v</p>
<p>15 Κεφαλαῖον ΙΕ Ὅτι qeikw~ ἀfna καὶ; ajqrw- pino~ oleiḡ- kai; mono~ ejhrgei Cristo~ τὴν diplḡh ejdeiknumeno~ ἐπερgeian, καὶ; ὅτι οὐκ αḡnoiro~ τὴν iḡdiῶν ἐπερgeiῶν ἡlqēa au- tou` upḡrce sarx, καὶ; pro~ tou~ legonta~, ὅτι ta; ajqrwpina auḡou`efga οὐκ ἐπερgeia~, ajḡla; praxeiv~ kai; paqḡ dei` kalein, καὶ; dia; touto mh; ajecomēnou duo ὁmologein Cris- tou` ta; ἐπερgeia~, καὶ; ὅτι kairon ejdidou ol logo~ th`iḡdia/sarki; ta; oiḡeḡa prattein kai; pascein, ὅte auḡo~ epouḡeto kai; ef` joḡson ḡḡele, καὶ; ὅτι ejdeixei uparxew~ eḡinet o ta; ginomena καὶ; oujfantasia/ kai; ὅτι ἡl- oḡrga- nw/tw`iḡdiw/swmati ol logo~ ejrḡto pro~ ta- ἐπερgeia~.</p>	<p>ვითარმედ ერთბამად ღმრთეებრივ და კა- ცობრივ, ერთი და მხოლოჲ, მოქმედებს ქრისტე, მრჩობლისა მოქმედებისა მჩუენე- ბელი; და ვითარმედ არა უნანილო იყვნეს თჳსთა მოქმედებათაგან საღმრთონი ჴორც- ნი მისნი; და მეტყუელთა მიმართ, ვითარ- მედ კაცობრივთა მოქმედებათა მისთა არა მოქმედებად, არამედ საქმედ და ვნებად ჯერ-არს წოდებაჲ, რომელნი თავს-იდებენ აღსაარებასა ქრისტესთჳს ორთა მოქმედე- ბათასა; და ვითარმედ ჟამსა მისცემდა სი- ტყუაჲ თჳსთა ჴორცთა ქმნად და შემთხუე- ვად თჳსთა, რაჟამს ენების მას და რაოდენ სთნდეს; და ვითარმედ საჩინოობასა შინა მყოფობისასა იქმნებოდეს ქმნილნი იგი და არა საოცრებით; და ვითარმედ ვითარცა ორღანოსა იჴუმევდა თჳსთა ჴორცთა სი- ტყუაჲ მოქმედებათა მიმართ. თავი იე ^{S-1463 156r}</p>

<p>16 Kefalaion I~V. Kata; agnohtwn: ej w/ kai; peri; tou “proekopten fhsou~ sofia/kai; hli-kiw”. kai; kata; ajfartodokhtwn, kai; ofi hl deil ia kai; ofobo~ kai; hlagnoia fusika; kai; ajupait ia paqh.</p>	<p>დასამკობელად უმეცრებიანთა; რომელსა შინა არს მისთვისცა, ვითარმედ: „წარემატებოდა იესუ ჰასაკითა და სიბრძნითა“; და უხრწნელებისმგონებელთათვის; და ვითარმედ ზარცემულობა და შიში და უმეცრება ბუნებითი და უბრალონი ვნებანი არიან. თავი იზ ^{S-1463 158 r}</p>
<p>17 Kefalaion IZ v. Oti ek th~ tautothto~ th~ fusew~ to; aparailaktou deiknutai tou qelhmato~ kai; hl tou qelhmato~ patin ipoth~ th~ fusew~ paristhsi thn omiothta, kai; ofi, ehqa qelhmato~ diaforay kai; th~ oufsia~ gnwrizetai to; ajlogenew, kai; auqi~ tw/ tautw/ tou qelhmato~ th~ oufsia~ dhloutai to; aparailakton: ej oi~ ofi to; ajomoiou th~ oufsia~ ek th~ diafora~ tou qelhmato~ oi/peri; Areion kai; Eupomion kateskeuazon.</p>	<p>ვითარმედ იგივეობითა ბუნებისაჲთა უცვალებელობაჲ საცნაურ-იქმნების ნებისაჲ, და კუალად, სწორებაჲ ნებისაჲ მსგავსებასა წარმოდგენს ბუნებისასა; და ვითარმედ სადა განყოფილება იყოს ნებისაჲ, არსებისაჲცა იცნობების ცვალებულება; და კუალად, იგივეობითა ნებისაჲთა არსებისაჲ ცხად-იქმნების უცვალებელობა; რომელსა შინა არს, ვითარმედ უმსგავსობასა არსებისასა ანუ განყოფილებასა ნებისასა არიოზის და ევნომისთანანი მოიპოებდეს. თავი იზ ^{S-1463 159 v}</p>
<p>18 Kefalaion IH v Pw~ dei' noein to; “pater, eij dunaton, parelqetw to; pothrion touto aj j ejmou”, kai; to; “ouj w~ egw, qetw, ajl j w~ suw”, kai; to; “qeemou, qeemou, iha tivegkate- ipew me” ej tw/ staurw/ para; tou swthrou- eijrhmenon.</p>	<p>თუ ვითარ ჯერ-არს გულისწმისყოფაჲ, ვითარმედ: „მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმწედინ სასუმელი ესე ჩემგან“; და ვითარმედ: „არა ვითარცა მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“; და ვითარმედ: „ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაჲსათვის დამიტევე მე“, რომელი-ესე ჯუარსა ზედა თქუა მაცხოვარმან. თავი იზ ^{S-1463 160r}</p>
<p>19 Kefalaion IQ v Peri; tou qeisu qelhmato~, kai; ofi ei ce qelhma kata fusin hl tou kuriou yuchy kai; ofi sunousiwt ai hmin hl proairetikh; dunami~, kai; ej euqeran pash~ ajagkh- thn pro~ ta; qelhmat a ormhj hlogikh; pasa epei fusi~.</p>	<p>საღმართოჲსა ნებისათვის; და ვითარმედ აქუნდა ბუნებითი ნებაჲ სულსა უფლისასა; და ვითარმედ თანაშეარსული არს ჩუენი წინააღმრჩეველობით ძალი და ყოვლისა ჭირისაგან თავისუფალი მიმართება ნებათა მიმართ აქუს ყოველსა სიტყვერსა ბუნებასა. თავი ით ^{S-1463 161 v}</p>

<p>20 Kefataion K v Pw~ dei' noein to; upo; tou' qeiu Grhgoriou eñ diaforoi~ au'tou' logoi~ eipñmenon, teqew'sqai pote men to; qeihma, pote; de; oñhn au'tou' tou' logou thñ ajqrw-pothta, kai; qeon kalei'sqai kai; omoqeon kai; ta; toiauta, kai; oñi ta~ qeia~ epergeia~ dia; thñ pro~ ton logon ajdia'paston efwsin hñ qeia au'tou' sarx kateploutei ouj trapeisa thñ fusin oufe th~ iñia~ eksta'sa fusikh~ epergeia~: eñ wñ kai; crh'pei~ tinaw, af oil ajntidiatiqemenoi proba'tlontai.</p>	<p>თუ ვითარ ჯერ-არს გულისწმისყოფა საღმრთოთსა გრიგოლის მიერ თვთოეულთა სიტყუათა შინა მისთა თქუმულსა განღმრთობასა ოდესმე ნებისასა, ხოლო ოდესმე ყოვლისავე სიტყვსადა შეერთებულისა კაცებისასა, და ღმრთად და თანაღმრთად სახელისდებასა და ეგევითარსა; და ვითარმედ საღმრთოთა მოქმედებათა მიერ განმდიდრებულ იყვნეს საღმრთონი ჴორცნი მისნი, განუყოფელისათჳს შეერთებისა სიტყვსა თანა არა ქცუელნი ბუნებით, არცა განდგომილნი ბუნებითისაგან მოქმედებისა თჳსისა; რომელსა შინა არიან წამებანიცა რაამე, რომელთა შემოიხუმენ წინააღმდეგომნი. თავი კ ^{S-1463 162r}</p>
<p>21 Kefataion KA v Peri; tou' tropou th~ kaq j upo'stasin ehwsew~, pw~ oilpatere~ paredwkan, kai; ekdosi~ akribh~ kai; safh~ peri; tou' eñupostat ou. ta; omoia de; kai; eñ tw'iz v kef al ai'eurh'pei~.</p>	<p>სახისათჳს გუამოვნებითისა შეერთებისა, ვითარ-იგი მოსცეს მამათა; და გარდამოცემა ზედამინეწითი და განცხადებული გუამისშინაჲსთჳს; ხოლო ჰჳოებ მსგავსთა ამათთა მეთაჳშემეტყვასა შინა თავსა. თავი კა ^{S-1463 163v}</p>
<p>22 Kefataion KB v Oti ouk eñ rhmasi kai; hñoi~ oufe; eñ opomasin, ajl j eñ pragmasin h'eu'pebeia, kai; oñi ouj dei' gunnai~ eporah tai~ lexesin, ajl j e'renah ton noun twn legomenwn, kai; oñi katacrh'santo pollaki~ oilpatere~ lexesivtisi kai; opomasin ajdiaforw~: eñ wñ kai; peri; tou' eñ ajñvi~ Kuri'lou katacrhsamenou th' fwnh/ th~ fusew~ kai; th~ upostawew~ <u>ohwnumw~</u>.</p>	<p>ვითარმედ არა სიტყუათა შინა და ჴმათა, არცა სახელთა, არამედ საქმეთა შინა არს კეთილადმსახურება; და ვითარმედ არა შიშუელთა ლექსთაჲ ჯერ-არს განხილვაჲ, არამედ გამოძიებაჲ ჯონებასა თქუმულთასა; და ვითარმედ ნართაულობით, განუსაზღვრებულად იჴუმინეს მრავალგზის მამათა ლექსნი რაამე და სახელნი, ვითარ-იგი წმიდათაგანმან კჳრილე ჴმაჲ ბუნებისა და გუამოვნებისაჲ უმსგავსოდ. თავი კბ ^{S-1463 164 v}</p>
<p>23 Kefataion KG v Oti ouk ekwtuse Kurilloto; duo legein fusei~ meta; thñ efwsin, ajl a; kai; sunhgorei' toi~ apatolikai~ ta~ duo fusei~ ofqw~ presbeusi, kai; oufe Nestorion dia; to; legein duo fusei~ katamofetai, ajl a; dia; to; diairein kai; mh; oñologein thñ kaq j upo'stasin efwsin mhde; qeotokon thñ parqenon kalein: eñ oi~ kai; Seuhrou crh'pei~ marturoint~, wñ polloi; twn paterwn ecrh'santo ajdiablhtw~ th' fwnh/ twn duo fusewn.</p>	<p>ვითარმედ არა დააყენა წმიდამან კჳრილე ორთა ბუნებათა თქუმაჲ შემდგომად შეერთებისა, არამედ თანამოსაჯულცა ექმნების აღმოსავლელთა, მართლიად აღმსაარებელთა ორთა ბუნებათასა; და ვითარმედ ნესტორს არა ორთა ბუნებათა თქუმისათჳს აბრალებს, არამედ მიუთუალველობისა გუამოვნებითისა შეერთებისა და ღმრთისმშობელად არა აღსაარებისა ყოვლადწმიდისა ქალწულისა; რომელსა შინა არიან წამებანიცა სევეროზისნი, წარმომაჩინებელნი, ვითარმედ მრავალთა მამათაგანთა უგიობელად იჴუმიეს ჴმაჲ ორთა ბუნებათაჲ. თავი კგ ^{S-1463 166 r}</p>

<p>24 Kef a1aion KD v Probl hmat avt ina pro;- tou- mian legonta- fusin kai; apologia pro- tina tw n par jauw n proteinomenwn kefa- laiwn kai; sunhgoria u per th- sunodou, peri; w t taut hn oilek Seuhrrou kat amemf ont ai.</p>	<p>წინადადებანი რაჲმე მეტყუელთა მიმართ ერთისა ბუნებისათა, და სიტყვსგებაჲ თავთა რათმე მიმართ მათ მიერ მოღებულთა; და თანამოსაჯულობაჲ კრებისაჲ, რომელთათჳს-იგი აბრალებენ მას სევერიანნი; და ზედააღდგომაჲ მართლ- მადიდებელისაჲ მეტყუელთა მიმართ ქრისტესთჳს ერთისა ბუნებისათა. თავი კდ S-1463 167 v</p>
<p>25 Kef a1aion KEV. Kata;Wri genou- prouparxin dogmat i s anto- kai; apokata stasin, kai; a swmat on men pro; th- paraba sew- ton a h qrwpon didaxanto- eihai, meta; de; thn e k p t w sin legonto- au w / gene s qai tou- dermatinou- citw na-, thn sarka taut hn noei s qai toutou- diabebaioumenou, kai; legonto- oi p n tina desmon kai; fulakhn kai; ta fon to; swma eihai th/ yuch/ kai; mhde; a ni s t a s qai touto o m o l o g o u n t o-, a j l a; kai; pro s k a i r o n e i h a i t h n k o t a s i n d i s c u r i z o m e - nou.</p>	<p>დასამკობელად ორიგენესსა, რომელი პირ- ველმყოფობასა სულთასა და კუალადგე- ბასა შჯულისმდებელობდა, და უწინარეს გარდასლვისა უწორცოდ ყოფასა იტყოდა აღამისსა, ხოლო შემდგომად გარდასლ- ვისა სამოსელად ტყავისა წორცთა ამათ გულისწმისსაყოფელობასა წარჰრევედა, ამათი დამამტკიცებელი და მეტყუელი, ვითარმედ ვითარცა საკრველნი რაჲმე და საპყრობილე და სამარე სულისა არიან წორცნი; და არცა აღდგომასა მათსა აღია- რებდა, არამედ ჟამროდენობასამე სა- ტანჯველისასა სარწმუნო-ჰყოფდა. თავი კე S- 1463 171v</p>
<p>26 Kef a1aion Kz v Oti epi; pant wn t wn genht wn to; e h l o g w / m o n o n e j t i; q e w r h t o n k a i; o u j l e u f i s t a n t a i t a; k o i n a; k a i; k a q o u l o l e g o m e n a, m o n h / d e; t h / q e i w / k a i; u p e r a n e c o u s h / o u s j i a / p e f u t a k t a i k u r i w - t o; e h p r a g m a t i k a i; a j - h q e i w /</p>	<p>ვითარმედ ყოველთავე ქმნილთა შორის სიტყვთ ხოლო სახილველ არს და არა შემტკიცებებიან საზოგადონი და საყო- ველთაოდ სათქუმელნი, არამედ მხოლოესა საღმრთოესა და ზესთაღმატებულისა არ- სებისა შორის ხოლო დაცვულ ესე საკუ- თრად და საქმით და ჭეშმარიტებით. თავი კვ S- 1463 172 v</p>
<p>27 Kef a1aion KZ v Tiv to; e j u p o s t a t o n k a i; to; a j u p o s t a t o n k a i; t i v u p o s t a s i -, k a i; o t i d i t t o n e k a s t o n t o u t w n, k a i; p w - d e i ' a p a n t a n t o i - e j w t w s i n, e i j e j t i f u s i - a j u - p o s t a t o - k a i; e i j e j t i f u s i - a p r o s w p o -. t a; o f i o i a e j t w / k a v k e f a l a i w / e j h s e i -.</p>	<p>რაჲ არს გუჲამისშინაჲ და უგუჲამოჲ, და რაჲ – გუჲამი; და ვითარმედ მრჩობლ არს თითოეული მათი; და თუ ვითარ ჯერ-არს წინაგანწყობაჲ მკითხველთა: უკუეთუ არს ბუნებაჲ უგუჲამოჲ? – რომელთა მსგავსსა ჰპოვებ ოცდამეერთესაცა თავსა შინა. თავი კზ S-1463 173 r</p>
<p>28 Kef a1aion KH v Peri; th- kat j epinoian qewria- kai; tou' dunamei kai; e j e r g e i w / k a i; p e r i; e k e w - k a i; s t e r h s e w -.</p>	<p>წულილმომგონებელობით ხედვისათჳს და ძალისათჳს და მოქმედებისა და ქონებისათჳს და მოკლებისა. თავი კწ S -1463 174 v</p>

<p>29 Kefalaion KQ v Oti ouj mia fusi~ ol kaqew kasta aqhrwpo~, (toutw/gar ahw kai; katw kecrhntai tw/paradeigmati oil aifetikoi), ajla; duo, eij kai; mia~ legetai ol aqhrwpo- fusew~ dia;to;tauton tou'eiflou~: kai; didas- kalia peri; sunqetou fusew~: kai; pote ta; suntiqemena mia legesqai fusi~ dunantai.</p>	<p>ვითარმედ არა ერთი ბუნებაა არს თითოეუ- ლი კაცი (რამეთუ ამას მაგალითსა ზემო და ქუჴმო იჭუმევენ მწვალებელნი), არამედ ორი, დაღათუ ერთისა ბუნებისად ითქუმის კაცი იგივეობისათჳს სახისა; და მოძღურე- ბაა შეზავებულისა ბუნებისათჳს და ოდეს შესაძლებელ არს ერთ ბუნებად თქუმა შეზავებულთაჲ. თავი კთ ^{S-1463 175 v}</p>
<p>30 Kefalaion L v Pro~ tou~ legonta~, oti pa~ ariqmo~ ijdiosustatwn pragmatwn epti; dhlwtiko~, kai; oti prwth diairesi~ eptin hl dua~ meta; thn monada prosupantwsa, kai; opou olth~ duado~ ariqmo~, hlefwsi~ cwran ouk efci: <u>ep w/kai; oil i famboi.</u></p>	<p>მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ ყოველი რიცხვ თჳსაგანმდგომთა საქმეთაჲ არს გამომაჩინებელი; და ვითარმედ პირველი განწვალებაჲ არს ორობაჲ, შემდგომად ერთობისა დამთხუეული, და სადა რიცხვ ორობისა იყოს, მუნ შეერთებასა ადგილი არა აქუს. თავი ლ ^{S-1463 178 v}</p>
<p>31 Kefalaion LA v Kata ; Joudaiwn marturiai grafikaiv Oti epi triadi hl qeoth~ upo; twh qeiw n graqwh mustikw~ khрутtetai.</p>	<p>წინაგანსაწყობელად ჰურიათა წამებანი წე- რიღებრნი, ვითარმედ სამებასა შინა ღმრ- თეებაჲ საღმრთოთა წერილთამიერ საიდუ- მლოდ იქადაგების. თავი ლა ^{S-1463 179 r}</p>

როგორც ზემოთმონატილი მასალიდან ჩანს, ბერძნული თხზულება და ქარ-
თული თარგმანი ზედმინევნით ემთხვევა ერთმანეთს. ზედმინევნით იდენტურია
როგორც ტრაქტატის, ასევე მისი პირველი ოცდათერთმეტი თავის სათაურები.¹⁰
**შესაბამისად, ერთმნიშვნელოვნად უნდა ვთქვათ, რომ „გამოკრებანი წამე-
ბათანი“ წარმოადგენს ბერძნული ტრაქტატის Doctrina Patrum-ის უძველეს
ქართულ თარგმანს.**

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ბერძნული ტექსტის, მის ამა თუ იმ
ნუსხასა და ქართულ თარგმანს შორის ვარიანტულ-რედაქციული ტექსტო-
ლოგიური სხვაობები არა იჩენს თავს. ვიკვლევთ დედნისა და თარგმანის ურ-
თიერთმიმართებას, მუშაობა არ დასრულებულა და ამიტომ, ცხადია, წინამდე-
ბარე სტატიაში წინასწარ ლაპარაკი კვლევის საბოლოო შედეგებზე ნაადრევია.
ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ **არა მარტო სათაურების, არამედ
შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი ს თვალსაზრისითაც, მიუხედავად იმისა, რომ არის
გარკვეული სხვაობები, ქართული თარგმანი წამდვილად Doctrina Patrum-ია.**

„გამოკრებანი წამებათანის“ დედნის გამოვლენას მხოლოდ ძველი ქართული
ლიტერატურისათვის არ აქვს მნიშვნელობა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადა-

¹⁰ ცხრილში მოტანილ მასალაში, ქართულ თარგმანსა და ბერძნულს შორის აქა-იქ
გვხვდება გარკვეული სხვაობები, ჩვენ აქ ამ სხვაობების ანალიზს არ შევუდგებით,
ეს ცალკე განხილვის საგანია. ამ სხვაობებს აღვნიშნავთ მხოლოდ ხაზის გასმით.

სტურა გერმანელი მეცნიერის, იოზეფ მოლიტორის გამონათქვამის მართებულობა, რომ ძველ ქართულ თარგმანებს ქრისტიანული ლიტერატურის კვლევითისა თვის შეუფასებელი – „*unschätzbar*“ მნიშვნელობა აქვს.¹¹ საქმე ისაა, რომ *Doctrina Patrum*-ის ტექსტს ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ მოუღწევია. ფლორილეგიუმის თავდაპირველი სახე იმ ტექსტში, რომელიც დღეს გვაქვს ხელთ, პირდაპირ არ ჩანს. ფ. დიკამპმა, ამ ტრაქტატის გამომცემელმა და მკვლევარმა გარკვეული ტექსტოლოგიურ-შინაარსობრივი დაკვირვებების საფუძველზე **ი ვ ა რ ა უ დ ა**, რომ *Doctrina Patrum*-ის არქეტიპი მხოლოდ პირველი 31 თავისგან შემდგარი ტრაქტატი უნდა ყოფილიყო, დანარჩენი თავები კი ცვლილებების შეტანის შედეგად მიღებული, გვიანი რედაქციაა და ტრაქტატის თავდაპირველი რედაქცია 31-ე თავისგან შემდგარი უნდა ყოფილიყო.¹² **ქართულმა თარგმანმა დოკუმენტურად დაადასტურა გერმანელი მკვლევარის ვარაუდის მართებულობა – თარგმანი სწორედ პირველი ოცდათერთმეტი თავისაგან შედგება. და პირიქით, სწორედ ამ ფაქტის გამო უნდა ვთქვათ, რომ ქართულ თარგმანს შემოუნახავს *Doctrina Patrum*-ის თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ხ ე**, არსენის თარგმანი სწორედ თავდაპირველი რედაქციის შემცველი ნუსხიდან თუ ნუსხებიდან უნდა იყოს შესრულებული, **გ ა ნ ს ა ხ ე ვ ე ბ ი თ *Doctrina Patrum*-ის იმ ბერძნული ნუსხებისაგან, რომლებმაც მოაღწიეს ჩვენამდე და რომლებიც, არქეტიპს დაშორებული, უკვე რედაქციული გადამუშავების შედეგებს ასახავენ.** შესაბამისად, ქართული თარგმანის კვლევა კიდევ არა ერთ საინტერესო მასალას მოგვცემს აღნიშნულ ფლორილეგიუმთან დაკავშირებით.

აქ გვინდა კიდევ ერთ საკითხს შევხვით. ზემოთ აღინიშნა, რომ ბერძნულისაგან განსხვავებით, ქართულ თარგმანში ფლორილეგიუმის ავტორია მითითებული და ავტორად იოანე დამასკელია დასახელებული. ფ. დიკამპის გამოკვლევაში ჩვენი ფლორილეგიუმის შემდგენელის საკითხს ცალკე თავიც ეთმობა¹³ და მანამდეც, გამოკვლევაში ამაზე არა ერთხელ არის ლაპარაკი. ქართულისაგან განსხვავებით ბერძნული ნუსხები ავტორს არ უთითებენ. ფლორილეგიუმის ავტორის საკითხი სერიოზული კვლევის საგანია და კვლევის ამ ჯერზე ვრცლად

¹¹ ამგვარსავე მნიშვნელობას ანიჭებდა ძველ ქართულ მწერლობას დიდი გერმანელი მეცნიერი ადოლფ ჰარნაკი: „die grosse griechisch-christliche Völkerfamilie des Altertums auch die Grusinier gehören... Werden sich bei uns in Deutschland junge gelehrte finden, die die Sprache, Litteratur und geschichte dieses durch seine alte Cultur mit uns verschwisterten Volkes studieren und uns die Schätze desselben nahe bringen?“, A. Harnack, Forschungen aus dem Gebiete der alten grusinischen und armenischen Litteratur, Sitzungsberichte der preussischen Akademie der Vissenschaften, XXXIX, Berlin, 1903, 840.

¹² „Dieser Überblick über den buntscheckigen Inhalt der Schlußkapitel kann, wie mir scheint, die Vermutung, die sich uns schon nahelege, nur verstärken, daß fast der ganze Schluß erst bei einer zweiten Bearbeitung der Doctrina hinzugekommen ist. Kap. 31 ist freilich zu dem ersten, sicher ursprünglicher Teile zu ziehen“, Diekamp F., Doctrina Patrum, XXXVII;

¹³ Diekamp F., Doctrina partum, LXXX - LXXXVII;

ამას, ცხადია, ვერ შევეხებით. მაგრამ ერთი ქართული მინაწერის შინაარსი უკვე წინდანინ იქცევის ყურადღებას.

„გამოკრებანი წამებათანის“ ტექსტს ერთგან ერთვის მთარგმნელის, არსენ ვაჩქესძის მეტად საყურადღებო მინაწერი, რომელიც ქართველ მკვლევართა ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. აი, ეს მინაწერი: „შეისწავე, ვითარმედ მას საკითხავსა იტყვს ნოსელისასა, მამისა გიორგის თარგმნილსა, რომელ არტანუჯისა კრებამან განკუთვთა და ბერმან ეფთვიმე გრძელმან. ჰ, მე დარღუევისა მისისა ჴელყოფაჲ არა უწყი, თუ რომლითა სულითა იკადრა, რომელსა აქა წმიდაჲ **იოვანე დამასკელი** განცხადებულად გრიგოლი ნოსელისად აღიარებს მას ყოფად, და ყოვლისა საყვრისა უმაღლეს შეასმენს უგუნურებასა განკუთვთისა მისისა მკადრებელთასა“^{S-1463 161v}. აღნიშნული „შეისწავე“ ერთვის „გამოკრებანი წამებათანიში“ მოცემულ ერთ-ერთ ექსცერპტს გრიგოლ ნოსელის თხზულებიდან „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“. ექსცერპტს მითითებული აქვს ავტორი და თხზულება: „ნოსელი, სიტყვსგებასა შინა ექუსთა დღეთასა“^{S-1463 161v} – „Grhgoriou Nussh-, eij- thn apologian th- ekahmerou“¹⁴. სანამ ვიტყვოდეთ, თუ რას ვიგებთ ამ მინაწერიდან, უნდა გავარკვიოთ, ვის ეკუთვნის ის – ფლორილეგიუმის ავტორს, თუ მის ქართველ მთარგმნელს? რადგანაც „შეისწავეში“ მოცემულია ქართული სინამდვილე (არტანუჯის კრება, ამ კრებაზე ნოსელის ერთ-ერთი თხზულების დაგმობა, ნახსენებია ქართველი მოღვაწე ეფთვიმე გრძელი), ცალსახად უნდა ვთქვათ, რომ ეს „შეისწავე“ ნამდვილად ეკუთვნის „გამოკრებანი წამებათანის“ **ქართველ მთარგმნელს**.¹⁵ ცხადია, ის ბერძნულში არა გვქავს.¹⁶

რას ვიგებთ „შეისწავედან“? „გამოკრებანი წამებათანის“ ამ მინაწერის განხილვისას კ. კეკელიძემ, სავსებით მართებულად, დაასკვნა, რომ ექვთიმე გრძელს, უმეცრებით თუ რაღაც მოსაზრებით, ყალბად მიუჩნევია გრიგოლ ნოსელის ტრაქტატი „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“.¹⁷ მართლაც ამ მინაწერის მიხედვით გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნოსელის ეს თხზულება ფსევდონოსელიესულად მიუჩნევიათ, ეჭვი შეუტანიათ მის ავთენტურობაში და არტანუჯის კრებაზე ეფთვიმე გრძელის ინიციატივითა და ძალისხმევით ის დაუგმიათ.¹⁸ არტანუჯის კრებაზე გრიგოლ ნოსელის „პასუხი“ ფსევდონოსე-

¹⁴ Diekamp F., *Doctrina Patrum...* 121.12;

¹⁵ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მინაწერი არა მხოლოდ **S-1463**-ში, არამედ სამივე, ჩვენს მიერ ჯერჯერობით გამოყენებულ, გვიანდელ ნუსხაში დასტურდება (**S-401, 136v; Q-51, 152v; A-267, 94v**), რაც იმას მიუთითებს, რომ „შეისწავე“ არა რომელიმე გადამწერს, არამედ „გამოკრებანი წამებათანის“ მთარგმნელს, არსენ ვაჩქესძეს ეკუთვნის და გვიანდელ ნუსხებში არსენის ავტოგრაფიდან არის გადმოსული.

¹⁶ Diekamp F., *Doctrina Patrum...* ibid.

¹⁷ კეკელიძე კ., ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, **IV**, თბილისი, 1957, 97;

¹⁸ ჭელიძე ე., გრიგოლ ნოსელის თხზულების... 54; ამავე საკითხზე: წმიდა გრიგოლ

ლისად რომ არ ყოფილიყო მიჩნეული, „გამოკრებანი წამებათანის“ მთარგმნელი აღარ მიიჩნევდა ამ თხზულების ავთენტურობის მტკიცებას საჭიროდ.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ „ეპისტოლის [ნოსელის „პასუხის“] განკვეთის მიზეზი უნდა იყოს მკვეთრად გამობატული დაპირისპირება ბასილი დიდის მიერ „ექუსთა დღეთაში“ გამოთქმულ აზრებთან. რადგანაც ბასილი ორთოდოქსიის დიდი ავტორიტეტი, მისდამი წინააღმდეგობა ზოგი ქართველი ორთოდოქსის მიერ ერეტიკულად შეირაცხა“. ¹⁹ „გამოკრებანი წამებათანის“ მთარგმნელმა, არსენ ვაჩქსძემ ჩვენი ფლორილეგიუმის თარგმნისას ნახა ნოსელის „პასუხიდან“ ექსცერპტი, სადაც **ამ თხზულების ავტორად გრიგოლ ნოსელია დასახელებული. ამდენად, არსენმა აჩვენა არტანუჯის კრების ამ გადაწყვეტილების მცდარობა და დაამოწმა გრიგოლ ნოსელის „პასუხის“ ავთენტურობა.**²⁰

მაგრამ ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა არა იმდენად არტანუჯის კრებისა და გრიგოლ ნოსელის „პასუხის“ საკითხები. რა არგუმენტი მოიშველია არსენმა, რის საშუალებით მოახერხა მან სრულიად უეჭველად ამ პრობლემის გადაჭრა? **არსენმა გრიგოლ ნოსელის „პასუხის“ ავთენტურობის დასადასტურებლად დიდი საეკლესიო ავტორიტეტი, იოანე დამასკელი მოიშველია – „გამოკრებანი წამებათანის“ ავტორი, იოანე დამასკელი „პასუხს“ წამდვილად გრიგოლ ნოსელისად მიიჩნევსო, წერს არსენი.**

ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს, ე. ჭელიძის გამოცემა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1989, 245; ჟორდანიას თ., ქრონიკები, I, თბილისი, 1892, 126.

¹⁹ ე. ჭელიძე, გრიგოლ ნოსელის თხზულების... 54.

²⁰ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ღრტილას კრება („საქართველოს სამოთხე“, მ. საბინინის გამოცემა, პეტერბურგი, 1882; 615-621), თუმცა საქართველოს ისტორიის ეს საკითხი ჯერ კიდევ პრობლემურია. კერძოდ გადაუჭრელია მისი დათარიღება: ერთი ვერსიით ის ბაგრატ მესამის სახელს უკავშირდება და X საუკუნის მიწურულით თარიღდება (ზ. ალექსიძე, ღრტილის კრება, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, X, თბილისი, 1986, 599), ხოლო მეორე ვერსიით ის ბაგრატ IV-ს მოუწვევია 1046 წელს (კ. კეკელიძე, ძველი ქართული...495; კეკელიძე კ., ორი ექვთიმე... 90-104). გარდა ამისა განსაკუთრებით ბუნდოვანია ამ კრების ჩატარების ადგილი: მკვლევარები კ. კეკელიძე და თ. ჟორდანიას აიგივებენ ორ სხვადასხვა ტოპონიმს, ღრტილასა და არტანუჯს (ჟორდანიას თ., ქრონიკები, I, თბილისი, 1892, 125-126; კ. კეკელიძე, ძველი ქართული...495; კეკელიძე კ., ორი ექვთიმე... 90, 95, 98-99, 104), სადაც მათი აზრით ჩატარდა აღნიშნული კრება, რაც, ცხადია, გარკვევას მოითხოვს. უტყუარია მხოლოდ ის, რომ ამ კრებაზე მონაწილეობდა ეფთვიმე გრძელი, რომელმაც დოგმატურ საკითხებზე პოლემიკაში დაამარცხა მარმამუნის სომხური მონასტრის წინამძღვარი სოსთენი. რადგანაც არტანუჯის კრებაზეც და ღრტილას კრებაზეც ერთი და იგივე პიროვნება, ეფთვიმე გრძელი ფიგურირებს, სავარაუდოდ ერთსა და იმავე ფაქტზე უნდა იყოს ლაპარაკი, მაგრამ დათარიღების შესახებ აზრთა ასეთი სხვადასხვაობის გამო და კიდევ უფრო მეტად იმიტომ, რომ არტანუჯი და ღრტილა სხვადასხვა ტოპონიმია, ეს საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ზემოთ ვნახეთ, რომ **Doctrina Patrum**-ის ავტორად ქართული თარგმანის სათაურში იოანე დამასკელია დასახელებული, რითაც განსხვავდება ფლორილეგიუმის სათაური ბერძნულსა და ქართულში. ამ „შეისწავეშიც“ ფლორილეგიუმის ავტორად ისევ იოანე დამასკელია დასახელებული. მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქართულ თარგმანებში ავტორად სხვა პირია დასახელებული, ხოლო ბერძნული ხელნაწერები სხვა ავტორს უთითებენ,²¹ მინიმუმ ის მაინც დამტკიცებით უნდა ვთქვათ, რომ **Doctrina Patrum**-ის იმ ბერძნულ ნუსხასა თუ ნუსხებში, რომლებითაც სარგებლობდა არსენ ვაჩესძე, – და რომლებიც, როგორც ითქვა, ბერძნული ნუსხებისგან განსხვავებით, **Doctrina Patrum**-ის პირველ, არქეტიპულ რედაქციას ასახავენ, – ჩვენი ფლორილეგიუმის ავტორ-შემდგენელად იოანე დამასკელი იყო დასახელებული. ამით **Doctrina Patrum**-ის ავტორის საკითხი ასე ადვილად, ცხადია, ვერ გადაწყდება. მაგრამ არსენის ხელთ არსებულ დედანში რომ ფლორილეგიუმის ავტორად დამასკელი იყო დასახელებული, ეს სრულებით უეჭველია. რადგან ქართული თარგმანის მნიშვნელობა ბერძნული ტექსტის შესწავლისთვის უკვე ამკარაა, ვარაუდს **Doctrina Patrum**-ის დამასკელისეულობის შესახებ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რაც შემდგომი კვლევის საგნად რჩება.²²

²¹ Van Esbrock M., Le “De Sectis” attribué à Léonce de Byzance (CPG 6823) dans la version Géorgienne d’ Arsène Iqaltoeli, Bedi Kartlisa, v. XLIII, Paris, 1984, 35-52; რაფაეა მ., სვიმეონ ღმრთისმეტყველის ერთი თხზულების უცნობი ქართული თარგმანი (სინანულისათვის), ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბილისი, 1997, 45-50.

²² წინამდებარე სტატია წარმოადგენს ნაწილს იმ შრომისა, რომელიც იბეჭდება ლუვენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჟურნალ Le Muséon-ში: D. Shenguélia, Les ‘témoignages choisis’ du *Dogmatikon* d’Arsen d’Iqaltho : une ancienne traduction géorgienne de la *Doctrina Patrum*. ჩვენი ნაშრომი არაერთხელ ნაიკითხეს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა მაია რაფაევამ და ნანა ჩიკვატიამ, რომლებმაც მოგვცეს საყურადღებო შენიშვნები და მითითებები, რაც ჩვენ, ცხადია, გავითვალისწინეთ. მინდა მაღლობა ვუთხრა ჩემ მეგობარს, თამარ პატარიძეს, რომელმაც Le Muséon-ში გამოსაქვეყნებლად ფრანგულად თარგმნა ჩვენი სტატია.

**“SELECTED EVIDENCES” IN “DOGMATICON” BY ARSEN IKALTOELI:
OLD GEORGIAN TRANSLATION OF “DOCTRINA PATRUM”**

Davit Shengelia

SUMMARY

Voluminous dogmatic collection known as “Dogmaticon”, which was translated and compiled by one of the founders of the Georgian philhellenistic school - Arsen Ikaltoeli - occupies a special place in old Georgian writings.

The object of our study is one of the treatises of “Dogmaticon” called “Selected evidences”. Until recently the issue of the Georgian translation of the Greek original was ambiguous. We compared the titles of the Georgian translation and its chapters with Greek florilegium “Doctrina Patrum”. It turned out that the titles in both sources coincide. Hence, it was ascertained that the Georgian translation is an old Georgian translation of “Doctrina Patrum”. Furthermore, as the research proved, the Georgian translation reflects the initial edition of “Doctrina Patrum” coming from archetype, whereas, Greek lists of this florilegium clearly present the version of florilegium that had been processed several times, hence, bearing remote likeness of the archetype. The Georgian translation proved F. Decamp’s assumption about the fact that this florilegium might have initially comprised of 31 chapters and the rest of the chapters should have been the product of the later editing.

It was also very remarkable that the Georgian translation names Joanne Damascus as the author of this voluminous florilegium, as to the Greek sources, they do not refer to the author of florilegium at all being innovation in regard to the investigation of the author of “Doctrina Patrum”.

მანია რაფაეა

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა¹

ვახტანგ ჯობაძის წიგნის „ადრეული შუასაუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში“ დასკვნაში ნათქვამია: „სამონასტრო საქმიანობის ინტენსიური აღმავლობა ტაოს, კლარჯეთისა და შავშეთის სამთავროებში ორმა ფაქტორმა განაპირობა: ენერგიული მღვდელმთავრის, გრიგოლ ხანძთელის (759-861 წწ.) ჩამოსვლამ და არაბების მიერ დაკავებული შიდა ქართლიდან სახელისუფლო სახლის ჩამოსახლება აშოტ ბაგრატიონის (780-821 წწ.) მეთაურობით. გრიგოლმა დააარსა ან ააშენა თორმეტი მონასტერი და გამოაცოცხლა სულიერი ცხოვრება და სწავლება, ხოლო აშოტმა აღადგინა ეროვნული სახელმწიფო და შექმნა ეკონომიკური საფუძველი, რომელმაც ხელი შეუწყო გრიგოლის დიად წამოწყებას“ (ჯობაძე 2006: 260).

ასე ლაკონურად და ზუსტად არის მოხაზული ტაო-კლარჯეთის კულტურული და პოლიტიკური ისტორიის საწყისი ეტაპი და შემდგომი განვითარების პერსპექტივა.

ვ. ჯობაძის წიგნში ორი პლასტია: მონასტრები და მათი არქიტექტურა, ერთი მხრივ, და ამ მონასტრების კულტურულ-ლიტერატურული მნიშვნელობა, მეორე მხრივ. მეორე პლასტი – კულტურულ-ლიტერატურული მნიშვნელობა ეხება იმ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომელიც ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულმა სკოლამ დატოვა.

ეს მემკვიდრეობა ძალზე დიდია და მასშტაბური თავისი მოცულობითა და მნიშვნელობით. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ძირითადას და მნიშვნელოვნად გამორჩეულზე.

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის სათავეებთან, როგორც უკვე ითქვა, გრიგოლ ხანძთელი დგას. როგორც ვ. ჯობაძე შენიშნავს, „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტი არის მისი მეგზური X საუკუნის შუა ხანებამდე

¹ ნაკითხულია მოხსენებად კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) ვახტანგ ჯობაძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე 2006 წლის 29 მარტის.

აგებული მონასტრების კვლევისას“ (ჯობაძე 2006: 260). მართლაც, თითოეულ მონასტერთან დაკავშირებით მკვლევარს მის შესახებ ცნობები მოხმობილი აქვს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტიდან.

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულ სკოლაში მოდვანე ქართველი მწიგნობრებისა და სულიერ მამათა შემოქმედება მრავალპლანიანი იყო:

1. იქმნებოდა ძეგლები სასულიერო მწერლობის ყოველ დარგში.

2. მონასტრებთან არსებულ სკრიპტორიუმებში (რომელთა შესახებ ვ. ჯობაძის წიგნში თითქმის ყოველ ნაბიჯზე ეპიტაფიასავით წერია: „სკრიპტორიუმის ნანგრევებია“) ინუსხებოდა უძვირფასესი წიგნები.

3. ბერძულიდან, არაბულიდან, სომხურიდან ითარგმნებოდა უამრავი ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო ნაწარმოები.

ტაო-კლარჯეთში IX-X სს-ში მოღვაწეობდა მთელი პლეადა ქართველი მწიგნობრებისა. ისინი კარგად არიან ცნობილი თავიანთი უაღრესად მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობით, რაც ბუნებრივად ასახულია მათ შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან სამეცნიერო გამოკვლევაში. ტაო-კლარჯეთში შექმნილი ფასდაუდებელი ხელნაწერების, თხზულებათა ავტორების, მთარგმნელების, გადამწერების, მომგებლების, მომხატველების – ყოველივე ამის შესახებ ცნობები კვლევის დღევანდელი ეტაპის შესაფერისად განხილულია პ. ინგოროყვას (ინგოროყვა 1954), ლ. მენაბდის (მენაბდე 1962), ე. მეტრეველის (მეტრეველი 1996) შრომებში. ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის პროდუქცია ასევე მიმოხილულია ვ. ჯობაძის წიგნშიც.

გამეორების თავიდან აცილების მიზნით გამოვყოფთ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.

1. ტაო-კლარჯეთის სკოლის უნიკალური ხელნაწერები.

„უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება, IX-X სს-ში შექმნილია ტაო-კლარჯეთის მონასტრებში“ – წერდა კ. კეკელიძე. ამ სკოლის შემოქმედებაში აისახა იმდროინდელი ბიზანტიური მწერლობისათვის ნიშანდობლივი თითქმის ყველა ასპექტი, მწერლობისა და ზოგადად განათლების ფართო სპექტრი, თითქმის ყველა დარგი მწერლობისა: ბიბლიოლოგია, ღვთისმეტყველება, ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ეგზეგეტიკა და სხ. თუ რა მნიშვნელობის ძეგლები დაგვიტოვა ამ სკოლამ, ამის წარმოდგენისთვის მხოლოდ რამდენიმეს დასახელება კმარა. ესენია: სინური მრავალთავი 864 წლისა, რომელიც იშხნის დედნისაგან არის გადამწერილი მაკარი ლეთეთელის მიერ; მრავალთავები: პარხლის (A 95), ტბეთის (A 19), კლარჯული (S 144), უდაბნოს (A 1109); გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (Sin. 2), მიქაელ მოდრეკილის უნიკალური ჰიმნოგრაფიული კრებული (S 425); ოშკის ბიბლია Ath. 1 (978 წ.); შატბერდის კრებული (S 1141, 973-976 წწ.). მარტო ეს უკანასკნელი, ენციკლოპედიური ხასიათის კრებული, მეტყველებს იმის შესახებ, რომ ტაოს ლიტერატურული სკოლის ინტერესებში წმინდა სასულიერო მწერლობის გარდა შემოდიოდა საერო სწავლების დისციპლინები: ისტორია, გრამატიკა, ბუნებისმეტყველე-

ბა, მედიცინა – ანუ ის საგნები, რომელთაც ითვალისწინებდა იმდროინდელი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა, *paideia eḡkuklioō* (ძველი ქართული ტერმინოლოგიით: “გარემოვლითი სწავლულება”).

ტაო-კლარჯეთში გადანერილი უნიკალური ხელნაწერების ლიტერატურული მნიშვნელობის პარალელურად მათი ისტორიული ღირებულების წარმოჩენას მიეძღვნა ე. მეტრეველის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომთაგანი „ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის“ (მეტრეველი 1996: 5-35).

მკვლევარი ტაოს ერთ-ერთი დიდი საგვარეულოს ისტორიას აღადგენს ოთხი ოშკური ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში დაცული ცნობების საფუძველზე. ეს ხელნაწერებია:

Ath. 9 – „ოშკის სამოთხე“, ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული (977 წ.), გადამწერი: სტეფანე მწერალი, მომგებელი: იოანე ვარაზგაჩე. მოგვიანებით დართულ ანდერძში, რომელიც დაწერილია შატბერდის სკრიპტორიუმიდან მოწვეული დავით მწერლის მიერ, მომგებლად მოხსენიებულია იოანე თორნიკე. „ოშკის სამოთხე“, როგორც ე. მეტრეველი შენიშნავს, ხელნაწერის აგებისა და ანდერძების განთავსების თვალსაზრისით პირველხარისხოვანი წყაროა იმდროინდელი ტაო-კლარჯეთისა და ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიისათვის.

Ath. 1 – ოშკის ბიბლია (978 წ.), პირველი სრული ქართული ბიბლია. მომგებლის ანდერძ-მინაწერის მიხედვით, „ოშკის სამოთხისაგან“ განსხვავებით, იგი თორნიკეს შეკვეთით არის გადანერილი სამი მწერლის: მიქაელის, გიორგისა და სტეფანეს მიერ.

ორსავე ხელნაწერში ე. მეტრეველი გამოჰყოფს ხელნაწერთა შედგენილობის ორ პლასტს: ადრინდელსა და გვიანდელს (მათ შორის დაახლოებით ერთი წელია განსხვავება).

Ath. 3 – „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ (978-979 წწ.), გადამწერი იოანე ჩირაჟ.

კირილე იერუსალიმელის „განძი“ (981 წ.). ხელნაწერი ამჟამად დაკარგულია. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მომგებლის ანდერძმა. პირველად მას მიაკვლია რ. ბლეიკმა მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის №62 ბერძნულ ხელნაწერში, სადაც თავფურცლად იყო გამოყენებული ეტრატის 3 ფურცელი ქართული ტექსტით. ანდერძის ტექსტი გამოაქვეყნა პ. პეეტერსმა (Peeters: 358-371). ხელნაწერი გადანერილია კარინის ქვეყანაში, გადამწერია მიქაელი, მომგებელი – თორნიკე. მომგებლის ანდერძის გადამწერია ოშკელი მნიგნობარი სტეფანე, რომელიც ოშკის ხელნაწერების გადამწერად სხვაგანაც ჩანს. იგი იმჟამად მიქაელთან ერთად კარინის სკრიპტორიუმში მოღვაწეობდა.

ამ ხელნაწერებზე ყურადღების გამახვილება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მომგებელთა და გადამწერთა ანდერძების ავთენტურობასთან დაკავშირებით ამ ხელნაწერებით დაინტერესებულ მკვლევართა (Peeters 1932: 370), *ს. ს. ს. ს.* 1934: 97-113. Adonz 1965: 297-318) მიერ ეჭვი იქნა გამოთქმული.

ანდერძ-მინანერების კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული ანალიზითა და სხვა ნარატიული წყაროების მოშველებით ე. მეტრეველმა სრულიად დამაჯერებლად გააბათილა ეს ეჭვები და აჩვენა, რომ „ყველა ეს ხელნაწერი ავთენტურია და უშუალოდ არის დაკავშირებული იოვანე-თორნიკესა და იოვანე-ვარაზვარჩეს პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეობასთან როგორც ტაოში, ასევე ბიზანტიასა და ათონზე“ (მეტრეველი 1996: 34).

II. ტაო-კლარჯეთის სკოლის შემოქმედებითი კონტაქტები სხვა კერებთან.

ტაო-კლარჯეთში მოქმედ სამნიგნობრო კერებს, რომლებიც ამა თუ იმ მონასტრებთან არსებობდნენ, მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ როგორც ერთმანეთთან, ისე უცხოეთის სამნიგნობრო კერებთან. ამაზე მეტყველებენ ხელნაწერები, რომელთა ანდერძ-მინანერებს შემოუნახავთ უნიკალური ცნობები ამ ხელნაწერთა შექმნის, გადაწერისა და ერთი ცენტრიდან მეორეში ადგილ-მონაცვლეობის შესახებ, რაც ხშირად გაპირობებული იყო ამ ხელნაწერთა გადამწერების, შემკვეთების და მომკაზმველების პირად კონტაქტებზე. მაგრამ არც თუ იშვიათად ხელნაწერთა ასეთი გაცვლა-გამოცვლა კულტურულ-იდეოლოგიური მიზნებით იყო გაპირობებული.

მოსე ხანცთელს (1085 წ.) შატბერდის მონასტრისთვის გადაუწერია სანელინდო (H 1350). შატბერდელ იოანე ბერაის (973 წ.) გადაუწერია სახარება და პარხლისთვის შეუწირავს: „შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე – ამბობს იგი (A 1453, 238r). Ath. 9-ში მინანერია: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, მიანიე წმიდაჲ ესე წიგნი წმიდასა მას შენ მიერ გამოწერიულსა საყოფელსა წმიდათა მამათასა მთანმიდას, რომელ არს ათონაჲ“ (374v).

ხელნაწერებში არის ცნობები ხახულისა და კალიპოსის მონასტრების ურთიერთობის შესახებ. ოშკისა და კარინის 4 ხელნაწერი (რომლებიც ზემოთ ვახსენეთ) თავიდანვე გადწერილი იყო ათონზე გასაგზავნად. ტაოდან ათონზე ხელნაწერების გაგზავნა ბიზანტიაში ქართული კულტურისა და მნიგნობრობის ახალი ძლიერი კერის შექმნის პროგრამის ერთ-ერთი ნაწილი იყო (მეტრეველი 1996: 33). და არა მხოლოდ ათონი! ტაო-კლარჯეთის მონასტრების სკრიპტორიუმებში მოღვაწე მნიგნობრები თანამშრომლობდნენ ანტიოქიის, ათონის, კონსტანტინეპოლის და იერუსალიმის ქართულ და ბერძნულ მონასტრებთან. „ტაო-კლარჯეთის მნიგნობართა მოღვაწეობა არ იფარგლებოდა ადგილობრივი მონასტრებით და შორეულ ქართულ კოლონიებსაც წვდებოდა სინაზე, პალესტინაში, შავ და საკვირველ მთაზე ანტიოქიაში“ – წერს ვ. ჯობაძე.

III. ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის შემოქმედებითი ხასიათი.

ქართველი, ასევე უცხოელი მკვლევრები, რომლებიც ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულ სკოლაში შექმნილ მემკვიდრეობას ეხებოდნენ, ერთხმად აღნიშნავენ ამ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის მრავალპლანიანობას: ნათარგმნია თუ ორიგინალური ესა თუ ის ძეგლი? რომელი ენიდან არის თარგმნილი? რა წყაროებია გამოყენებული? რომელი კულტურული წრისთვის არის გამიზნული? რა დროისა და გარემოს სამწერლობო ტრადიციებს პასუხობს

იგი? და ა. შ. ეს და სხვა, ატრიბუციასთან დაკავშირებული, საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია და მკვლევართა დიდი ინტერესით სარგებლობს.

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულ სკოლასთან დაკავშირებული პრობლემატიკა ფართოდ არის გაანალიზებული ილ. აბულაძის მონოგრაფიაში „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში.“ ლიტერატურულ საქმიანობას, მთარგმნელობას ორმხრივი ხასიათი ჰქონდა: თარგმნიდნენ სომხურიდან ქართულ ენაზე და პირიქით, თარგმნიდნენ ქართულიდან სომხურზე.

უძველეს „ათონის მრავალთავში“ (Ath. 57, 985-1080 წწ.) წარმოდგენილია სომეხ წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობის ამსახველი 11 ძეგლი. მათი ისტორიულ-ფილოლოგიური შესწავლის საფუძველზე ილ. აბულაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ისინი ტაოს დიოფიზიტ სომეხთა ლიტერატურული შემოქმედების ნაყოფია, ქართულად თარგმნილია ტაოს დიოფიზიტი სომეხი მოღვაწეების მიერ (აბულაძე 1944: 020-034). გარდა „ათონის მრავალთავისა,“ სომეხ წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობანი დასტურდება კიდევ ერთ ხელნაწერში. ეს არის „სვინაქსარი“ (A 97), რომელიც ათონური წარმოშობისაა, მაგრამ ტაოში გადაინაცვლა და იქ იხმარებოდა ღვთისმსახურებისას. სწორედ ამ სვინაქსარში რომელიც კლარჯული ხელნაწერიდან შეუტანიათ ხსენებანი, რომლებიც ათონურ სვინაქსარს აკლდა (ინგოროყვა 1939: 246 – 248).

ტაოს სომხური ლიტერატურული წრე, ილ. აბულაძის მოსაზრებით, ქართულ ენაზეც ქმნიდა ნაწარმოებებს. ასეთად მიაჩნია მას „დავით და ტირიჭანის წამება“ და „ცხრათა ძმათა კოლაელთა წამება“. ძეგლების ატრიბუციის საკითხი დღესაც გადაჭრილი არ არის.

ტაოში მიმდინარე კულტურული საქმიანობით სომხეთის ლიტერატურული წრეებიც ჩანან დაინტერესებული. ამის უტყუარი დადასტურებაა აპარონ ვანანდელის, X ს-ის სომეხი მწერლის, თხზულება “მცხეთის ჯვრის ისტორია“. ტაოში მყოფი აპარონ ვანანდელი წერს: ჩემი თხზულება „ ფრიადითა შრომითა და ძიებითა გამოწვლილელი მაქვს სომეხთა და ქართველთა მრავალთა მატყანეთაგან“ (აბულაძე 1944: 070). ასევე, ვინმე იოანე მკურნალს IX ს-ის 80-იან წლებში ქართულიდან სომხურად უთარგმნია „დიონისე არეოპაგელის ცხოვრება“.

გარდა ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებისა, ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულ სკოლაში სათანადო ყურადღება ექცეოდა ეგზეგეტიკურ-პოლემიკური ნაწარმოებების თარგმნას. ვინმე დაჩის სომხურიდან უთარგმნია ეპიფანე კვიპრელის „ფსალმუნთა განმარტებანი“ და განსაკითხავად ტბეთის კათედრის პირველი ეპისკოპოსისათვის, სტეფანე მტბვერისათვის, გაუგზავნია. თხზულება დაცულია შატბერდის კრებულში (S 1141: 515-518). იმავე კრებულში არის სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის სხვა ძეგლებიც (შატბერდის კრებული: 1979).

IV. ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან შევეხები ერთ ძეგლს, რომელიც ჩვენი სპეციალური კვლევის ობიექტი გახდა გრიგოლ ნაზიანზელის ქართული თარგმანების კორპუსის შესწავლასთან დაკავშირებით.

მხედველობაში გვაქვს გრიგოლ ნაზიანზელის პირველი თეოლოგიური ჰომილია (Or. 27) – „სამხილებელი არიანოსთა და ევნომიანოსთა ბოროტად უწესობისაჲ“. თხზულება თარგმნილია სომხური ენიდან გრიგოლ ოშკელის მიერ, რომელიც შეიძლება ის გრიგოლი იყოს, რომელიც ოშკის ტაძრის ერთ-ერთ ნაწილში მოიხსენიება, როგორც „ზედამდგომი“. ქართული თარგმანის ტექსტი დაცულია ერთადერთ ხელნაწერში – A 87, XI ს., (387r-393v). ხელნაწერი გადწერილია მარიამ დედოფლის დაკვეთით და წარმოადგენს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებულს (ბრეგაძე 1984: 95-104).

გრიგოლ ოშკელის თარგმანი, როგორც ეს თავის დროზე შენიშნა ილ. აბულაძემ, საკმაოდ სცილდება სომხურ დედანს. ილ აბულაძემ ამ ფაქტს შემდეგი ახსნა მისცა: როგორც ჩანს, გრიგოლ ოშკელს დედნად გამოუყენებია დღეს ცნობილი სომხური ტექსტისაგან რედაქციულად განსხვავებული დედანი. თავის დროზე ეფრემ მცირესაც გარკვეული ეჭვი გასჩენია გრიგოლ ოშკელის თარგმანის მიმართ, რაც გაცხადებულია მის თარგმანზე დართულ ერთ ანდერძ-მინაწერში (S 292: 312r), სადაც ეფრემი გრიგოლ ოშკელის თარგმანის შესახებ ამბობს: „ნუჟუკუე და, არა უეჭველსა“ ანუ ვაი, თუ უეჭველი, ნამდვილი, სანდო არ იყოსო.

მაგრამ გრიგოლ ოშკელის თარგმანის სომხურ დედანთან და ბერძნულ ორიგინალთან შედარებამ ცხადი გახადა ამ ეჭვების უსაფუძვლობა, ასევე მოიხსნა ვარაუდი, რომ გრიგოლი სარგებლობდა დღეს ცნობილი სომხური ტექსტისაგან განსხვავებული რედაქციით. საქმე იმაშია, რომ ოშკელის თარგმანი თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს: ტექსტი საგრძნობლად არის გავრცობილი ორიგინალის თითოეული მსჯელობის შევსებისა და გაშლის მიზნით ისე, რომ რაიმე აზრობრივ განსხვავებას ადგილი არ აქვს.

გრიგოლ ნაზიანზელის Or. 27-ის გრიგოლ ოშკელისეული თარგმანი ძალზე საყურადღებოა სომხურ მწერლობაში ზოგი ღიად დარჩენილი საკითხის გასარკვევადაც. მხედველობაში გვაქვს კომენტარები, რომლებიც ამ თხზულების ოშკელისეულ თარგმანში დასტურდება და რომლებიც გადმოყოლილია სომხური დედნიდან. სომეხ მკვლევართა შორის განსხვავებული აზრები არსებობს იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ეს კომენტარები. ფიქრობენ, რომ ისინი შეთხზულია დავით ქობაირეცის, მე-12 ს-ის სომეხი მწერლის მიერ (Մուրադյան 1983: 177-178; Հակոբյան 1952: 119). ოშკელის ქართულ თარგმანს სინათლე შეაქვს ამ საკითხის გარკვევაში. გრიგოლ ოშკელის თარგმანი X საუკუნეშია შესრულებული. ამდენად ტექსტში არსებული კომენტარები ან მისი თანამედროვისა ან ისინი უფრო ადრეული ხანით უნდა დათარიღდეს.

გარდა შედგენილობისა და შინაარსობლივი გავრცობებისა, საყურადღებოა თარგმანის სტილისტურ-ფორმობრივი მხარე. თარგმანი შესრულებულია იშვიათი დახვეწილი ენით, მხატვრულ-რიტორიკული ფორმების ზომიერად გამოყენებით. გრიგოლ ოშკელის თარგმანი გამომსახველი ფორმებითა და ენობრივი სრულყოფილებით გვერდით უდგას ძველი ქართული მწერლობის საუკეთესო

ნიმუშებს, რაც თვალნათლივ მეტყველებს ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის მაღალი შემოქმედებითი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი პოტენციალის შესახებ.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ოშკელის ტექსტის ერთ პატარა მონაკვეთს ვთავაზობ მკითხველს: „არა უკუე სამარადისოსა წსენებასა ღმრთისასა ვაყენებ, არამედ ღმრთისმეტყუელებასა; არცა ღმრთისმეტყუელებასა, ... არამედ უჟამოებასა, არცა მოძღურებასა, არამედ უზომოებასა, რამეთუ უკუეთუ თაფლისა უზომოდ ჭამა აღმოგდებასა შეამთხუევს, დაღაცათუ თაფლივე არს. და ყოვლისა საქმისა ჟამი არს, ვითარცა სოლომონს და მე გუნებავს. და კეთილი არა კეთილ არს, რაჟამს არა კეთილად იქმნებოდეს. ვითარ-იგი ყოვლად უჟამო არს ყუავილი ჟამსა ზამთრისასა და შეუტყუებელ – დედათათვს სამკაული მამათაჲ, ანუ მამათათვს – დედათაჲ და მოუზავებელ – გლოვაჲ ქუეყანისმზომელობასა შინა და ცრემლი – სუმასა შინა ღვნისასა. რამეთუ აჰა, ჟამნი ოდენ უპატივო ვყვენით და არა – საქმენიცა (A 87, 309v). კომენტარი ზედმეტია. გრიგოლ ნაზიანზელის ბრწყინვალე გამონათქვამი ასევე ბრწყინვალე გამომსახველობითი ფორმებით არის თარგმნილი გრიგოლ ოშკელის მიერ.

ვფიქრობ, გადაჭარბებული შეფასება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ტაო-კლარჯეთის მონასტრების დიდებულებას (რომელთა მიმართ აღტაცებას ვერ მალავდა ვ. ჯობაძე), ემატება იქაური ხელნაწერი ძეგლების სრულყოფილება, რაც ქმნის ვიზუალური და ვერბალური აღქმის სრულ ჰარმონიას. ყოველივე ამან საფუძველი მისცა კ. კეკელიძეს ეთქვა: „უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება IX-X სს-დან, შექმნილია ტაო-კლარჯეთის მონასტრებში“ და კიდევ: „ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხის ერთ შტოს“ (კეკელიძე 1980: 97).

ბამოყენებული ლიტერატურა

- აბულაძე ილ. 1944:** ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბილისი, 1944.
- Adonz N. 1965:** N. Adonz, Tornik Le moine, სერიაში: *Études Arméno-Byzantines*, Lisbonne, 1965.
- საქნხან, ზ.** 1934: **საქნხან ზ.,** *Թիონისქևან Գրչագրություն*, ჟურნალში: *Հանդես Ա.Մ.՝ օրհակ*, 1934, 3-4.
- გიგინეიშვილი ბ. 1979:** ბ. გიგინეიშვილი, შატბერდის კრებული, ბ. გიგინეიშვილისა და ც. კიკვიძის გამოცემა, თბილისი, 1979.
- ინგოროყვა პ. 1954:** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954.
- კეკელიძე კ. 1980:** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980.

- ჯაფარიძე ვ. 1952:** ჯაფარიძე ვ. *ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის*, ჟურნალში: *სტალინი*, 8, 1952.
- მენაბდე ლ. 1962:** ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, თბილისი, 1962.
- მეტრეველი ე. 1996:** ე. მებრეველი, ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის, ნიგნში: *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996.
- წილაკიანი ნ. 1983:** წილაკიანი ნ., *ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის*, თბილისი, 1983.
- Peeters P. 1932:** P. Peeters, Un colophon géorgien de Thornik le moine, ჟურნალში: *Analecta Bollandiana*, 50, fasc. 3-4, 1932.
- ჯობაძე ვ. 2006:** ვ. ჯობაძე, ადრეული შუასაუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბილისი, 2006.

Maia Raphava

TAO-KLARJETI'S LITERATURE SCHOOL

SUMMARY

“Tao-Klarjeti’s literature school” was presented at the Manuscripts National Center scientific conference dedicated to Vakhtang Jobadze’s 90 anniversary 29 March, 2009.

In the paper is observed creative- translation action of Tao-klarjeti’s literature school, the manuscripts, produced in the Tao-Klarjeti, as a literature heritage represented a medieval literature and education. At the paper is talked about Tao-Klarjeti school relations to other writercenters, is characterized creative nature of Tao- Klarjeti’s literature school.

ნახტან ჩხიკვაძე

X საუკუნის ერთი ფრაგმენტი საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ კოლექციაში (Geo. 31)

საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ხელნაწერთა დეპარტამენტში დაცულ ქართულ კოლექციაში რეგისტრირებულია 32 ერთეული, რომელთაგან ორი – №29 და №32 წარმოადგენს ფრანგულენოვან ხელნაწერ კატალოგს, ხოლო 30 ერთეული კი – ქართულ ხელნაწერ კრებულებსა თუ ფრაგმენტებს. სწორედ მათ შორისაა X საუკუნით დათარიღებული, დღემდე შეუსწავლელი ერთი ფურცელი. ვიდრე უშუალოდ მას შევეხებით, ორიოდე სიტყვით გავიხსენებთ ამ კოლექციის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში თავმოყრისა და კატალოგიზაციის ისტორიას.

ქართული ხელნაწერი წიგნი საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ფონდებში ორი საუკუნის წინ გამოჩნდა, როდესაც ფრანგულმა საზოგადოებამ ყურადღება მიაპყრო აღმოსავლური სივრცის კულტურულ სიძველეებსა და ინტენსიურად შეუდგა მათ შეგროვებას მისიონერებისა და პოლიტიკური მოღვაწეების აქტიური მოქმედებით. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული კოლექციის ორი ხელნაწერი – „ვეფხისტყაოსანი“ (Geo. 12) და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი (Geo. 24) 1824 და 1825 წლებში ბიბლიოთეკამ მიიღო თბილისში საფრანგეთის კონსულ გამბასგან.

პირველი კრებული, რომელმაც 1739 წელს ჯერ კიდევ სამეფო ბიბლიოთეკის საცავში დაიდო ბინა, იყო XIII-XIV სს-ებით დათარიღებული თისლის სვინაქსარი. ხელნაწერი თავდაპირველად სომხურ კოლექციაში აღმოჩნდა და მიენიჭა შესაბამისი ლიტერი Arm. 25.

თანდათანობით შესყიდვისა და შეწირულობების გზით ქართულ ხელნაწერთა რიცხვმა იმატა. 1867 წლისთვის, როდესაც ვიქტორ ლანგლუამ შეადგინა პირველი კატალოგი* (Geo. 29), სამეფო ბიბლიოთეკის მფლობელობაში უკვე

* კატალოგის ფრანგულენოვანი ხელნაწერი დაცულია ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ კოლექციაში ნომრით Geo.29.

18 ხელნაწერი იყო, ხოლო 1897 წლის ლეონ ფეერისეულ კატალოგში კი 26 ერთეული აღინუსხა.*

სავსებით ბუნებრივია, რომ პირველი კატალოგების შემდგენლები დიდი სირთულის წინაშე იდგნენ. მათ უნდა დაეთარილებინათ და განესაზღვრათ რაობა მათთვის პრაქტიკულად უცნობი კულტურის ძეგლებისა. რიგ შემთხვევაში ისინი ხელმძღვანელობდნენ წიგნების ფორზაცებზე დაცული იტალიური თუ ფრანგული მინაწერებით იმ ევროპელი მფლობელებისა, რომელთა მეშვეობითაც იძენდა ბიბლიოთეკა ამ სიძველეებს. ამ მინაწერების შინაარსი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ წრესა და ვითარებაზე, რომელთა ხელშეწყობითაც XVIII-XIX სს-ში ქართული სიძველეები ევროპისკენ მიედინებოდა. მაგალითისათვის გავიხსენებთ ამ კოლექციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წიგნის, X-XI საუკუნეების ლექციონარის, ფორზაცებზე დაცულ იტალიურ მინაწერებს. მათ თანახმად, 1731 წელს ხელნაწერი საქართველიდან გაუტანია კაპუცინ მისიონერთა მეთაურს, რომელსაც წიგნისთვის დაურთავს შემდეგი კოლოფონი: „ეს არის ქართული ხელნაწერი, რომლის ასოებიც ჰგავს სომხურს. ისინი შეუქმნიათ 1182 წელს ისააკსა და მესატოვს, ამ ცნობილ ფილოსოფოსებს, რომლებმაც შეადგინეს სომხური და ქართული ასოები. ეს უკანასკნელნი უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე განსხვავდებიან. ამიტომაც არ შემიძლია ვთქვა, რას შეიცავს ეს ხელნაწერი.“ ქვემოთ დართული სხვა მინაწერის მიხედვით კი ქართველი ვინმე ისაიასგან მიღებული განმარტების საფუძველზე წიგნის ახალ მფლობელს შეუტყვია, რომ ხელნაწერის ასოებიცა და ენაც საღვთისმსახურო დანიშნულების ქართულია.** როგორც ვხედავთ, წიგნებზე დაცული და ევროპული საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ცნობები ძირითადად ყურმოკრულ ამბებზე იყო აგებული. კატალოგიზაციისათვის კი საჭირო იყო ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებისა და შედგენილობის გარკვევა.

სწორედ ამ მხრივ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ფრანგი ქართველოლოგის, მარი ბროსეს, დამსახურება, რომელიც, უდაოდ, ქართული კულტურის დიდი გულშემმატკივარი იყო. იგი ქართული საზოგადოების დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. ჩვენი კულტურისა და ისტორიისადმი მის დამოკიდებულებას განსაზღვრავდა არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევის სურვილი, არამედ ამ კულტურის პროპაგანდაც ევროპაში. ასეთი გულშემმატკივარი კი საქართველოს

* კატალოგიდ ფრანგულენოვანი რეცენზია დაცულია ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ კოლექციაში ნომრით Geo. 32.

** ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს ჩვენ ვერ შევძელით ამოგვეკითხა გაკრული ხელით დართული იტალიური მინაწერები. მათი ტექსტები ხელმისაწვდომი გახდა ფრანგი რესტავრატორის, ჟაკ სიკრის, ქართული ხელნაწერისადმი მიძღვნილ I საერთაშორისო სიმპოზიუმზე პარიზის ლექციონარის რესტავრაციის შესახებ წარმოდგენილ მოხსენებით. მოხსენების სრული ვერსია დაიბეჭდება სიმპოზიუმის მასალებში.

ყოველთვის, და მით უფრო მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრიობა წართმეული ჰქონდა, ძალიან ესაჭიროებოდა. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ კოლექციაში დაცული „შემოკლებული მოთხრობა ქართული ისტორიიდან“ (Geo. 22) თეიმურაზ ბატონიშვილმა მ.ბროსეს ინიციატივით შეადგინა. ხელნაწერის მე-3-მე-4 გვერდებზე შემდგენელი წერს: „...ველვეყად სრულყოფად წიგნისა ამის წელსა ქრისტესით 1832-სა მიზეზითა ამასვე წელსა შინა მოწერილისა ჩემდა მომართ და უწყებისა უფლისა ბროსეტის მიერ, მეაზიელისა საზოგადოებისა წევრისა, რომელიცა არს მეცნიერ ქართულისა ენისა და შემამგვანებელი ქართულისა ენისა ლიტერატურათა მეაზიელისა მიმართ საზოგადოებისა“. ამ ხელნაწერთან ერთად თეიმურაზ ბატონიშვილს სააზიო საზოგადოებისა და, როგორც ჩანს, თავად ბროსეტის გაუგზავნია დავით ბატონიშვილის „ქართული გრამატიკა“ (Geo. 18): „ღრამატიკაჲ ესე, ვინაჲდგან არს ქართულსა ენასა შინა ურჩეულესი, ამისთვის უძღვნი დიდებულსა პარიჟის ყოვლად ბრძენსა მეაზიელისა საზოგადოებასა, რათა წევრნი მისნი, ქართულისა ენისა მეცნიერნი, სარგებლობდენ ამით. უპატივცემულესად სრულიად ზემოასა საქართველოჲსა და მსხვათა მეფის გიორგის მეათცამეტის ძე თეიმურაზ“ (1r). მიძღვნა გამოქვეყნებული აქვს ე. თაყაიშვილს (თაყაიშვილი...1933: 49).

1827-1837 წლებში სააზიო საზოგადოების ჟურნალში *Journal Asiatique* მ. ბროსე სისტემატურად აქვეყნებდა ქართული ხელნაწერების აღწერილობებსა და კომენტარებს. 1837 წელს გამოქვეყნებულ ქართული ენის საფუძვლებში მან პირველმა მიაწოდა საზოგადოებას რეალური ინფორმაცია ბიბლიოთეკაში დაცული 15 ხელნაწერის შესახებ (Brosset... 1837). სწორედ ბროსეს დახმარებით დაიწყო მუშაობა პირველ კატალოგზე მაკლერმა. ფრანგი ქართველოლოგის შენიშვნები, მისი რამდენიმე ბარათი ბიბლიოთეკისა და საფრანგეთის საიმპერატორო აკადემიისადმი დაცულია მაკლერის კატალოგსა და სამდივნო წიგნის (Geo. 26) თავფურცელზე. მიუხედავად ამისა, კოლექციის პირველი ბეჭდური კატალოგი ვერ აღმოჩნდა დაზღვეული ცდომილებებისაგან, განსაკუთრებით კი იმ ხელნაწერთა თუ საკითხთა შემთხვევაში, რომლებიც საგანგებოდ არ უკვლევია მ. ბროსეს.

ქართული კოლექციის პირველი ფრანგულენოვანი ბეჭდური კატალოგი გამოვიდა 1908 წელს. მისი შემდგენელია არმენოლოგი ფრედერიკ მაკლერი (Macler...1908). მაკლერი დაეყრდნო ლანგლუასა და ფერის არსებულ შრომებს. მის გამოცემაში თითოეულ ხელნაწერზე მოწოდებულია მოკლე ცნობები, ხშირ შემთხვევაში რაობისა და დათარიღების ცდომილებით.

კოლექციის უტყუარი და მეცნიერული აღწერილობების შედგენა დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ქართული ენის, არამედ ქართული ხელნაწერი ტრადიციისა და მწერლობის, რომ აღარაფერი ვთქვათ, საქართველოს ისტორიის საფუძვლიან ცოდნაზე. ამდენად, კოლექციის კატალოგიზაციის საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ქართულ ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებას უნდა ეთქვას. და აი, 1898 წელს თბილისში დაისტამბა პირველი ქართულენოვანი კატალოგი,

რომელიც შეადგინა ალ. ხახანაშვილმა (ხახანაშვილი... 1898). მაგრამ მასში არ იყო სრულად წარმოდგენილი კოლექციის ყველა ნუსხა.

პირველი სრული მეცნიერული აღწერილობა ეკუთვნის ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც იგი გამოაქვეყნა 1933 წელს პარიზში (თაყაიშვილი... 1933). ეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობა XX ს-ის დასასრულს ხელმეორედ გამოცდა გ. შარაძემ (შარაძე... 1991). სწორედ თაყაიშვილისეული გამოცემით გაცნო ქართული საზოგადოება ამ კოლექციას, რომელიც უკვე 1933 წლისათვის 28 ხელნაწერს შეიცავდა. სამწუხაროდ, თაყაიშვილის მიერ ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ეს შრომა ენობრივი ბარიერის გამო ნაციონალური ბიბლიოთეკის ყურადღების მიღმა დარჩა. ამიტომაც ბოლო დრომდე ბიბლიოთეკა ეყრდნობოდა მაკლერის კატალოგის მონაცემებს. ასეთ პირობებში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ევროპელ და განსაკუთრებით კი ფრანგ ქართველოლოგთა კოლექციით დაინტერესებასა და მისი შესწავლის შედეგების ფრანგულ, ინგლისურ ან გერმანულ ენებზე პუბლიკაციას. სამწუხაროდ, ასეთი სამეცნიერო გამოცემები არც თუ ბევრია. XIX ს-ში რამდენიმე პუბლიკაცია ეკუთვნის მ. ბროსეს: დავით და კონსტანტინეს წამება (Brosset... 1937), ისტორიული მინაწერები თისლის სვინაქსრის (Geo. 4)* მიხედვით (Brosset... 1830), სოლომონ I-ის წერილი რომის პაპ პი VI-დმი (Geo. 25) (Brosset... 1933) და შენიშვნები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის (Geo. 17) შესახებ (Brosset... 1934). XX ს-ში ევროპული სამეცნიერო წრეების ყურადღება მიიპყრო ლექციონარის Geo. 3, რომელიც ჩვენთან პარიზის ლექციონარის სახელწოდებითაა ცნობილი, ტექსტმა. სათანადო გამოკვლევის თანხლებით იგი ორგზის გამოიცა: პირველად – XX ს-ის 20-იან წლებში ჰ. გუსენის მიერ, გერმანულ ენაზე (Über... 1923) და მეორედ – 50-იან წლებში მ. თარხნიშვილის მიერ, ფრანგულ ენაზე (Tarkhnishvili... 1958-1960).

კოლექციისა და ზოგადად ქართული ხელნაწერი ტრადიციის ისტორიის კვლევისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო 1970 წელს ფრანგი ქართველოლოგის, ბერნარ უტიეს, მიერ შესრულებული სამუშაო. კვლევარმა ყურადღება მიაპყრო ბიბლიოთეკის ფონდებში თაყაიშვილის შემდგომ შესულ მცირე ზომის ერთეულს (Geo. 30), რომელიც აერთიანებდა ორ სხვადასხვა ფრაგმენტს: მთავრულით შესრულებულ ერთ და ნუსხურით გადაწერილ ოთხ პალიმფსესტურ ფურცელს. მთავრულით შესრულებულ ფურცელზე ფრანგმა მეცნიერმა VII საუკუნის ხანმეტი ლექციონარის ტექსტი ამოიკითხა (Outtier... 1972. უტიე... 1973), იმ ლექციონარისა, რომელიც ა. ცაგარელმა XIX საუკუნის დასასრულს სინას მთაზე ყოფნისას აღწერა (Цагарели... 1888) და რომლის 27 ფურცელი ამჟამად ავსტრიაში ინახება (Schuchardt... 1928: 347-376), ხოლო ერთი – ბრიტანეთში (Garitte...

* ბროსეს შემდგომ ხელნაწერთა ნუმერაცია შეცვლილია. ვუთითებთ ამჟამინდელი განრიგის მიხედვით.

1960). რაც შეეხება ნუსხურით გადანერილ ტექსტს, ბ. უტიემ შეძლო პალიმფესტის ქვედა სირიული ფენის ტექსტის იდენტიფიკაცია (Outtier... 1984: 73-79) და ზოგადად განსაზღვრა, რომ ქართული ტექსტი ლიტურგიკული კრებულის ფრაგმენტი იყო. ამ ფრაგმენტის ზუსტი რაობა მოგვიანებით გაირკვა ხელნაერთა ინსტიტუტში შესრულებული კვლევის საფუძველზე.

ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული კოლექციის საფუძვლიანი კვლევა დაიწყო XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, კერძოდ, მას შემდეგ, რაც ხელნაერთა ინსტიტუტის (ამჟამად ხელნაერთა ეროვნული ცენტრის) დირექტორის, ქ-ნ ელენე მეტრეველის, მცდელობითა და საფრანგეთში მცხოვრები ნინო და კალისტრატე სალიების დახმარებით მოხერხდა ქართული კოლექციის 30 ხელნაერთის (№№ 1-30) მიკროფირების ჩამოტანა საქართველოში – ხელნაერთა ინსტიტუტში და ქართველ მეცნიერთა მიერ მათი ჩართვა ქართული მნიგნობრობისა და საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების კვლევაში.* შედეგმაც არ დააყოვნა: გამოკვლევებითურთ გამოიცა X-XI სს-ის ლექციონარის (Geo. 3) (ქართული... 1987), გიორგი ათონელის მარხვანის (Geo. 5) (იოანე... 1987) ტექსტები, თისლის სვინაქსრის (Geo. 4) მინაწერები (თისლის... 1986), სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა ცალკეული პრობლემების შესწავლის შედეგები (მეტრეველი... 2007: 227-281; ხევსურიანი... 2001). კვლავაც გრძელდება მუშაობა ქართული ლექციონარის ტექსტის შესწავლაზე ყველა არსებული ხელნაერთი წიგნის, მათ შორის პარიზული ნუსხის საფუძველზე, ნათელი მოეფინა Geo. 30-ის ოთხფურცლიანი ფრაგმენტის რაობას. ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ქ-მა ლილი ხევსურიანმა, რომელიც წლების განმავლობაში იკვლევს ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერებს, დაადგინა, რომ იგი, პარიზული ფრაგმენტი, შეიცავს იოვანე-ზოსიმეს მიერ გადანერლი და ნარედაქციევი იადგრის ტექსტს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ ენაზე გამოქვეყნებული გამოკვლევები კვლავ ხელმიუწვდომელია როგორც ნაციონალური ბიბლიოთეკის, ასევე საფრანგეთის სამეცნიერო საზოგადოებისათვის. სწორედ ამ შრომების საფუძველზე მაკლერისეული კატალოგის უზუსტობების გასწორებისა და კოლექციის ვრცელი ფრანგულენოვანი ელექტროკატალოგის შექმნის მიზნით 2009 წლის აპრილი-ივნისში ხელნაერთა ეროვნული ცენტრისა და საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის შეთანხმების საფუძველზე ვმუშაობდით პარიზში, ნაციონალური ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ხელნაერთა დეპარტამენტში.** ადგილზე მუშაობის დროს გაირკვა, რომ, სამწუხაროდ, №1 ხელნაერთი – XVIII ს-ის შერეული

* ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში ელ. მეტრეველის არქივში ინახება 1972 წელს პარიზში მივლინების დაწვრილებითი ანგარიში (ელ მეტრეველის არქივი, № 533).

** ჩვენ მიერ შედგენილი ფრანგულენოვანი ელექტრი კატალოგი გამოქვეყნებულია ნაციონალური ბიბლიოთეკის ვებგვერდზე: <http://archivesetmanuscripts.bnf/cdc.html>.

კრებული – აღარ იძებნება, შემორჩენილია მხოლოდ მისი ყდა და მიკროფირი. ამავე დროს, კოლექციას დაემატა ორი ერთეული: ლეონ ფეერის ფრანგულენოვანი ხელნაწერი კატალოგი, რომელიც სხვა ფონდიდან (Catalogue 521) შეუერთდა ქართულ ხელნაწერებს (Geo. 32) და X ს-ის ეტრატზე გადანერილი ერთი ფურცელი (Geo. 31).

საინტერესოა, რომ ქართული კოლექციისათვის შემატებული ეს ახალი ერთეული – X საუკუნის ხელნაწერი ფრაგმენტი ბიბლიოთეკას გარედან, ანუ შესყიდვისა თუ შენირულობის გზით არ მიუღია. იგი აღმოჩნდა თვით ბიბლიოთეკის საგანურში, კერძოდ, სომხურ კოლექციაში. სომხური ფონდის № 106 ხელნაწის ყდის საცავ ფურცლად გამოყენებულ ამ ფრაგმენტს XX ს-ის დასასრულს მიაკვლია ბერნარ უტიემ. მეცნიერმა ივარაუდა, რომ იგი ლიტურგიკული კრებულის ფრაგმენტია და X საუკუნით დაათარილა კიდეც იგი.

ელექტროკატალოგზე მუშაობის დროს ჩვენ აღვწერეთ და გადმოვინერეთ კიდეც Geo31. ჩვენი ყურადღება მიიპყრო კალიგრაფიულმა მთავრულმა: მრგვალი, ლამაზად და გამოყვანილი ასოები თანაბრადაა განლაგებული სტრიქონზე. სტრიქონს ქვევით გრძელდება მხოლოდ „ბანი“, „განი“, „ქანი“ და „ყარი“, რაც თავისებურ დეკორატიულ ელფერს ანიჭებს ნაწერს. აბზაცები გამოიყოფა ოდნავს მსხვილი, სადა ასოებით. ფრაგმენტმა გაგვახსენა „მცხეთის ფსალმუნისა“ (A 38) თუ ათონის „სამოთხის“ (Ath. 9), ანუ X საუკუნის კალიგრაფიული ხელი.

ინტერესს იწვევს თვით ამ ფრაგმენტის წარმომავლობის საკითხიც. ამ მხრივ დიდი დახმარებას გაგვიწევს სომხური კოლექციის №106 ხელნაწერის კოდიკოლოგიური კვლევის შედეგების გაცნობა. პარიზში ყოფნისას დატვირთული სამუშაო გრაფიკის წყალობით ჩვენ ვერ გამოვიძიეთ პასუხი სომხურ ხელნაწერთან დაკავშირებულ ჩვენთვის საინტერესო ორი კითხვაზე: როდის და სად იყო რესტავრირებული სომხური ხელნაწერის ყდა და საიდან შევიდა წიგნი ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ვფიქრობთ, ამ კითხვებზე პასუხები, სავარაუდოდ, გამოკვეთს ქართული ფრაგმენტის წარმომავლობის საკითხსაც. მაგრამ Geo. 31 კვლევა სამომავლო საქმეა.


სწორედ ამ მიზნით და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ფრაგმენტის მიკროფირის ჯერჯერობით არარსებობის გამო, საჭიროდ ვცანით გამოგვექვეყნებინა ფრაგმენტი ტექსტი აღწერილობითურთ. ვფიქრობთ, იგი დააინტერესებთ ქართული ლიტურგიკული ხელნაწერების მკვლევრებს.

Geo. 31

ლიტურგიკული კრებული (ფრაგმენტი)

X ს.

1 ფ., შეიცავს 4 გვერდს, ეტრატი, მოყვითალო, ცალი მხარე გამუქებული (აღვნიშნავთ r-დ), დალაქავებულია წებოთი; კალიგრაფიული მთავრული; ყავისფერი მელანი, r-ს მარცხენა ზედა კიდეზე შეიმჩნევა სინგურის კვალი; გვერდი ნაწერია 1 სვეტად, 15 სტრიქონი; სტრიქონში 20 ასო-ნიშანი, კიდეები ჩამოჭრილია ყდის ზომაზე; ფურცლის ამჟამინდელი ზომა: 16×22 სმ.; ნაწერისა 16×10. მარჯვენა მხარეს შემორჩენილი აშიების მიხედვით ფურცლის ზომა უნდა ყოფილიყო 17,5×24 სმ.; მარჯვენა ქვედა კიდეზე შემორჩენილ აშიაზე r-ს მხრიდან ჩანს რვეულებრივი პაგინაციის კვალი – „იგ“.



ტექსტისათვის: ჩვენ საგანგებოდ ვიცავთ ტექსტის განაწილების ხელნაწერისეულ პრინციპს – 15 სტრიქონი. რვეულის ამ ერთ ფურცელზე არსებულ გვერდებს აღვნიშნავთ **a** და **b** ლიტერებით.

ტექსტი

1ra

შენი არს დიდებაჲ თანა მამით და
 ყოვლად წმიდით სულითურთ ან და მარადის
 და უკუნითი უკუისამდე ამინ. ლოცვაჲ **ბ**.
 [ღმერთ]ო დიდო და საუკუნითგან
 დიდებულო, მამაო მაღალო უხილობელო,
 ღმერთო მამათა ჩუენთაო, ღმერთო, რომელი
 პირველითგანვე იყავ და და-
 საბამითგან ღმერთი ხარ და [ჭგიებ].
 ღმერთო ღმერთთაო და ღმერთო სოფელთაო
 და მეუფეო მეუფეთაო, ღმერთო
 [აბრაჰ]ამისო, ღმერთო ისაკისო
 და ღმერთო იაკობისო;პ[ირველ]
 ღ(ღმერთ)ო მამაო დ...ისო და ღ(ღმერთ)ო
 ჭემმარიტ[ებ]ა]დო ... დ...
 შ ... შენ რამეთუ გამომი...

1rb

გიტვრთვენ სიმდაბლით ქუ-
ეყანად მოხუედ და ჯერ იჩი-
ნე ქორსა მას ზედა საიდუმ-
ლოხსასა ინაჳით დადგმაჲ
თვსთა მოწაფეთა თანა სერსა
მას მის ლამისასა, რომელსა
მიეცემოდე დაშჯად მსაჯუ-
ლი ცხოველთა და მკუდართაჲ.
და განუყავ ცხოელსმყოფე
ლი ჳორცი და სისხლი შენი
მომწყდართა ცოდვისაგან
და დაჰბანენ ფერჳნი მონა-
ფეთა, რომელთაჲ ყოველსა
ეძინა, მოუწოდო...

1va

შენდა ერად ნათლისღებითა
განიკითხე წინაშე მსაჯულისა
მის, რომელმან არა იცოდა საყ-
დარი შენი. რამეთუ ყოველი-
ვე თავს იდევ ჩუენთვის და ჩუენისა
ცხოვრებისათვს. მეუფეო დიდებისაო,
აკურთხე ერი შენი და დაიცევ
ცხოვრებაჲ ამათი და დაჰმარხენ
ესენი შეუგინებელად საი-
დუმლოსა ჳორცსა და ყოვლად
წმიდისა სისხლისა შენისა
მოღებითა, რაჲთა მარადის
გადიდებდეთ მამისა და ძისა
და წმიდისა სულისა ან და
[მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.]

Ivb

და ბეჭედი მათი განურყუ-
ნელად დაიცევ და ჩუენი ცხო-
ვნებაჲ ბნელისაგან და ბორო-
ტისა ცოდვისა გამოუ-
ცდელად დაგვმტკიცე, კეთი-
ლად მსახურებაჲ და სიმარ-
თლ[მ] ჩუენ მოგუანიჭ[ე] და მა-
რთლითა შემოსილი ესე
დღჳ შემდგომითი შემდგომად
ქუეყანასა ზედა მოგვმადლე,
რომლისათჳსცა უბრალოდ
დაგვცვენ და შემდგომად
მისა, რომელნი კეთილად გმო-
ნებდეს, დაუსრულებელსა
მას კეთილსა ღირს ყვენ.

გამოყენებული ლიტერატურა

- Brosset... 1830:** Brosset M. Chronique géorgien, Paris, 1830, p. 113-128.
- Brosset... 1833:** Brosset M. Mémoires inédits relatifs a l'histoire et a la langue géorgienne, Paris, 1933
- Brosset... 1834:** Brosset M. Notices sur de Dictionnaire georgien de Soukhén-Saba Orbeliani, Journal Asiatique, 1834
- Brosset... 1837:** Brosset M. Elément de la langue géorgienne, Paris, 1837, Introduction.
- Garitte... 1960:** Garitte G. Les feuillets géorgiens de la collection Mingana a Selly Oak, ჟ. Le Museon, Bruxelles, 1960
- თაყაიშვილი 1933:** თაყაიშვილი ე. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933
- თისლის 1986:** თისლისა და ხახულის ხელნაწერები (მასალები XIII-XVI საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დარეჯან კლდიაშვილმა, თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება“. 1986
- იოანე 1987:** იოანე მინჩხის პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“. 1987;
- Macler 1908:** Macler F. Catalogue des manuscrits arméniens et géorgiens de la Bibliothèque nationale, Paris, Imprimerie nationale, F. Leroux, 1908

- მეტრეველი... 2007:** მეტრეველი ე. ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი ჯვარისანთა მოსახსენებლებით, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“. 2007.
- Outtier... 1984:** Outtier B. „Notule sur les vertions orientales de l’histoire Philotee (CPG 6221)”, ANTIΔΩPON. Hommage a Maurice Geerard pour celebrer l’achevement de la Clavis Patrum Graecorum, I, Cultura. Wettern. 1984
- Outtier... 1972:** Outtier B. Un feillet du lectionnaire géorgien hanmeti à Paris, ჯ. Le Museon, 85. Bruxelles, 1972
- უტიე... 1973:** უტიე ბ. ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, 1973., თბილისი
- Über... 1923:** Über georgisch Druck und Handschriften die Festordnung und den Heiligenkalendar der altchristlichen Jerusalem betreffend puis par B. Külhen, München-Cladbach, 1923
- Tarkhnisvili... 1958-1960:** Le grand lectionnaire de l’église de Jerusalem (5-8e siècle), trad. et éd. par Michel Tarkhnisvili, სერიაში Corpus scriptorum christianorum orientalem, scriptorum iberica, t. 9-10, 13-14, Louvain, 1958-1960
- ქართული... 1987:** ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები), ტ.1, ნაწ. 1; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა; გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კ. დანელიამ, თბილისი, ნაწ. 1, 1987, ნაწ. 2, 1997
- შარაძე... 1991:** შარაძე გ. დაბრუნება, თბ., 1991, გვ. 236-296.
- Schuchardt... 1928:** Schuchardt H. Mitteilungen aus georgischen Handschriften, ჯ. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII. Tfilisi, 1928
- Цагарели... 1888:** Цагарели А. Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, СПб, 1888
- ხახანაშვილი... 1989:** ხახანაშვილი ალ. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, მოამბე, ტფილისი, 1898, I, 2, გვ.1-20
- ხევსურიანი... 2001:** ხევსურიანი ლ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მარხვანის ავტოგრაფული ნუსხის საკითხისათვის, ლიტერატურული ძიებანი, XXII, თბ., 2001, გვ. 75-83.

Nestan Chkhikvadze

**X CENTURY FRAGMENT OF THE GEORGIAN
COLLECTION IN THE FRENCH NATIONAL LIBRARY (GEO 31)**

SUMMARY

Nowadays 30 Georgian and 2 French manuscript catalogues are registered in the Georgian collection of Oriental manuscript department in the French National Library.

The first Georgian manuscript found its place in the emperor library in 1739. 26 manuscripts were registered in the first French catalogue (compiler Frederic Macler), published in 1908. While in 1933, 28 books were represented in Georgian catalogue, published in Paris the same year.

The last supplement of the collection took place in 70-90s of the XX century, when some unknown fragments were added to Georgian manuscripts. Later it was stated that from those 5 papers united under one manuscript Geo 30- one was VII century *khanmeti lectionary* and the rest four belonged to Ioane Zosime's (John Zosimus) *Iadgari*. The origin of this manuscript was stated by French scholar Bernard Outtier and Lili khevsuriani, Georgian scholar of National Centre of Manuscripts. At present one sheet rewritten on X century parchment is not studied yet (Geo 31). This manuscript was discovered by Bernard Outtier as inside paper of the book cover of Armenian manuscript book (Arm 106) in the French National Library. He dated it and supposed that it is the fragment of liturgical collection.

In April-June, 2009 while working on Georgian manuscript e-mail catalogue in the National French Library we had a chance to discover that this X century sheet written in *Mtavruli* contained four pages of prayer fragments.

Here we publish these fragments to identify the text.

ლელა ხაჩიძე

ეზრემ მცირე და ქართული მარხვანის ახალი რედაქცია

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი, რომელიც საგანგებოდაა შესწავლილი ჩვენ მიერ (ხაჩიძე 1987: 59-74), უნიკალურია თავისი შემადგენლობით, სისრულით და ავტორებზე ზუსტი მითითებებით. მსგავსი სისრულის მარხვანი დღეს ბერძნულ ხელნაწერებში არ ჩანს. ამგვარი „კრებითი“ ხასიათის ლიტურგიკული წიგნების შედგენა გიორგი მთაწმიდელის მუშაობის დამახასიათებელი თავისებურებაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში ბერძნული მარხვანი, იქმნებოდა მისი ახალი რედაქციები და ტიპები, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ამით უნდა იყოს განპირობებული ის გარემოება, რომ გიორგი მთაწმიდელის შემდეგ შექმნილა ქართული მარხვანის ახალი, აქამდე უცნობი რედაქცია. იგი გამოვლენილ იქნა პარიზული ხელნაწერის – გეორგიკა 5-ის მეორე ნაწილში.

Georg. 5-ის ეს ნაწილი (217r-292r) აქამდე სრულიად შეუსწავლელი იყო. იგი გადანერილია ორი ხელნერით. პირველი ხელით გადანერილია 217r-222v, მეორე ხელით – 213r-292r. მეორე ხელით გადანერილ ნაწილში, 248v-ზე, მოხსენიებულია გადამწერი – „ოქროპირი“. პირველი გადამწერის ვინაობა კი უცნობია.

პირველი ხელით გადანერილი ნაწილი იწყება სათაურით: „ინყე შენ აქეთგან სტიქარონნი მარხვათანი მეზვერისა და ფარისევლის კურიაკითგან და სრულ იქმნებიან ნათლით შემოსილსა კურიაკესა“. აღნიშნულ სათაურს მოსდევს ერთი ან რამდენიმე ტროპარისაგან შედგენილ სტიქარონთა ტექსტები, რომლებიც ამავე გვერდზეა (217r) მოთავსებული. ამის შემდეგ გრძელდება ტექსტი: „ჴორციელისა უძღებისა ყოველივე ჴემოჲთ ჴპოოთ და გამოავლინე აქეთ თქვთ ესე“ და მოტანილია ერთტროპარიანი „გამოავლინე“. შემდეგ ხელნაწერში წარმოდგენილია ჴორციელის შაბათისათვის განკუთვნილ მცირე ფორმის საგალობელთა – სტიქარონთა სრული ტექსტები და ამავე დღისათვის განკუთვნილი თეოდორე სტუდიელის კანონი შემდეგი სათაურით: „გალობანი მეორედ მოსლვისანი, შედარებულნი თარგმნილნი, არსენი“. ამ კანონის ქართული თარგმანი გვხვდებ-

ბა წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებშიც. გეორგ. 5-ის მეორე ნაწილში მისი ახალი თარგმანია შეტანილი, რომელიც ბერძნულიდან ხელახლა უთარგმნია, ორიგინალთან ხელახლა „შეუდარებია“ არსენს. გეორგ. 5-ის მეორე ნაწილში შესულია ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანის“ ახალი – არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული თარგმანი. ეს გარემოება ნათელს ხდის, რომ ჯორჯიელის კურიაკისათვის განკუთვნილი კანონის ახალი თარგმანიც არსენ იყალთოელს უნდა ეკუთვნოდეს.

ჯორჯიელის კურიაკისათვის განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობლებს შემდეგ გეორგ.5-ის მეორე ნაწილში გრძელდება ტექსტი: „ყველიერისა ორშაბათსა. ხუედრნი. უგალობდითსა. მონებისა. ბრწყინავს წინა. სხუანი. სასწაულითა. კრძალვა ჭამა...“ აშიაზე მიწერილია იოსების და თეოდორეს ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამები. მსგავსი მითითებები საგალობლებსა და მათ ავტორებზე შესულია გეორგ.5-ის მეორე ნაწილში დიდმარხვის თითოეულ დღეზე. მათმა შესწავლამ ცხადყო, რომ ყველა შემთხვევაში მითითებულია შესაბამისი საგალობლები გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფული მარხვანიდან. ასე მაგ. ყველიერის ორშაბათს გეორგ.5-ის პირველ ნაწილში, მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად, დადებულია სამი სამსაგალობელი: „ჴმაჲ ა. მონებისა მისგან. – ბრწყინავს წინადღესასწაული...“, „ორშაბათსავე სხუანი ხუედრნი. ჴმაჲ ა. სასწაულითა. – კრძალვაჲ ჭამადთა...“ პირველი მათგანის გასწვრივ მიწერილია ავტორი – „იოსებ“, მეორე და მესამე სამსაგალობლებთან კი, შესაბამისად, „ანტონი“ და „თეოდორე“. გეორგ.5-ის მეორე ნაწილში არსებული შენიშვნა „უგალობდითსა. მონებისა. ბრწყინავს წინა“ სწორედ იოსების გეორგ.5-ის პირველ ნაწილში დაცულ სამსაგალობელს გულისხმობს. ამის შემდეგ გეორგ.5-ის მეორე ნაწილში გვაქვს ამგვარი მითითება: „სხუანი. სასწაულითა, კრძალვაჲჭამა.“ ამ მითითებაში კი, როგორც ირკვევა, გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ამავე დღეს დაცული თეოდორე სტუდიელის სამსაგალობელი იგულისხმება.

გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში შესულ სამსაგალობლებზე მითითების შემდეგ გეორგ.5-ის მეორე ნაწილში მოდის ორი მცირე ფორმის საგალობელი სრული ტექსტებით და კვლავ მითითება: „წარდგომანი. ჴმაჲ დ გი. ედემი. – სიტყუაო ღმრთისაო და ერთი შედეგი არა დააკლდისა ზედა.“ ამ მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ ამ შემთხვევაშიც მითითებულია გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფული მარხვანი. კერძოდ, ყველიერის სამშაბათის მწუხრზე გეორგ.5-ის პირველ ნაწილში დაცულია სამი მცირე ფორმის საგალობელი: „ჴმაჲ ა. შენ სიტყუაჲ დ. – ვითარცა მომატყუებელი...“, „სხუანი. ჴმაი ბ. მამისაგან შობ. – რომელმან ესე მოვიწიენით...“ და „სხუანი. ჴმაჲ ბ გი . უფალო, საჴსენებელსა მ. – უფალო, აურაცხელი მოწყალებითა...“ აღნიშნულ სტიქარონებს მოსდევს „წარდგომანი. ედემთა ზედა. – სიტყუაო ღმრთისაო ყოვლად ძლიერო...“ და „სხუანი. არა დააკლდი. – ნიჭი მარხვისა ძმანო...“ გეორგ. 5-ის მეორე ნაწილში,

როგორც ვხედავთ, მითითებულია სწორედ ეს „ნარდგომანი“ და მისი მომდევნო „სხუანი“ ძლისპირითურთ („არა დააკლდისა ზედა“).

როგორც აღვნიშნეთ, ეს მასალა ტიპურია georg. 5-ისათვის. აქ დიდმარხვის თითოეულ დღეზე მოცემულია რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი მითითებები გიორგის მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში შესაბამისი დღეებზე დადებულ სამსაგალობლებზე, ოთხსაგალობლებზე, კანონებსა და სტიქარონებზე ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამებითურთ. ეს მითითებები და, რაც მთავარია, თვით georg. 5-ის მეორე ნაწილის შესწავლა მოწმობს, რომ ჩვენს წინაშეა ქართული მარხვანის ახალი რედაქცია, რომელიც შედგენილია გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანთან კომპილაციით. არის შემთხვევები, როდესაც georg. 5-ის მეორე ნაწილში ახალი თარგმანითაა მოტანილი სამსაგალობლები, ოთხსაგალობლები, კანონები და თვით უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკული განგებებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ მითითებები გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანზე გამოირჩევა დიდი სიზუსტით. georg. 5-ის მეორე ნაწილში დაცული მითითებები ტექსტობრივად ყოველთვის ზუსტად ემთხვევა გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში დაცული შესაბამისი საგალობლების დასაწყისებს. ასეთივე დიდი სიზუსტეა დაცული ავტორებზე მითითებებშიც. გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფული მარხვანი გამოირჩევა ამ თვალსაზრისით. აქ ხშირად გვხვდება კომპილაციური საგალობლები, რომლებიც რამდენიმე ავტორს აერთიანებს. georg. 5-ის მეორე ნაწილში ყოველთვის უკიდურესი სიზუსტითაა მითითებული გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში დაცული შესაბამის საგალობელთა ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამები.

ყურადღებას იმსახურებს შემდეგი გარემოებაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველიერის სამშაბათის მწუხრზე georg. 5-ის მეორე ნაწილში დაცულია ამგვარი მითითება: „ნარდგომანი. ჳმაჲ გ გი. ედემი. – სიტყუა ღმრთისა და ერთი შედეგი არა დააკლდისა ზედა.“ აქ, ჩვეულებისამებრ, ზუსტადაა მითითებული გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში დაცული ნარდგომანი და მისი მომდევნო სხუანი ძლისპირითურთ. ამ მითითებაში ყურადღებას იმსახურებს ტერმინი „ერთი შედეგი“.

ტერმინი „შედეგი“ georg. 5-ის მეორე ნაწილში ხშირად გვხვდება. ასე მაგ. ყველიერის სამშაბათის მწუხრზე georg. 5-ის მეორე ნაწილში დაცულია შემდეგი მითითება: „სამშაბათსა. მწუხრი. ჳმაჲ დ. მწნეო. მოწვენილი ესე და ორნი შედეგნი.“ შემდეგ კვლავ მითითება: „სხუანი. მოვედით. აღვი. – მოწვენასა ამას და ორნი შედეგნი.“ ამ შემთხვევაშიც მითითებულია გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფული მარხვანი, სადაც ყველიერის სამშაბათის მწუხრზე დადებულია სამი მცირე ფორმის საგალობელი: „უფ. ღაღადყავსა. ჳმაჲ დ. მწნეონი. – მოწვენული ესე მარხვაჲ...“ „სხუანი. ჳმაჲა გი. რაჟამს შევიდეს. – რომელი ნებსით... სხუანი. მოვედით, აღვი. – მოწვენასა ამას ყოვლად უბიწოასა მარხვისასა...“ როგორც ვხედავთ, georg. 5-ის მეორე ნაწილში ზუსტადაა მითითებული გიორგი მთანმი-

დელის ავტოგრაფულ მარხვანში შესაბამის დღეს (ყველიერის სამშაბათის მწუხარი) დადებული ორი მცირე ფორმის საგალობელი. პირველი მათგანი – „მწნეონი. მონეწული ესე მარხვაჲ“ გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში სამი ტროპარისაგან შედგება. სამი ტროპარისაგან შედგება მისი მომდევნო „სხუანიც“: „მოვედით, ალვი. – მონეწნასა ამას...“

Georg. 5-ის მეორე ნაწილში პირველ მათგანზე მითითებას – „წმაჲ დ. მწნეონი. – მონეწული ესე“ ერთვის შენიშვნა: „და ორნი შედეგნი.“ როგორც ჩანს, იგულისხმება აღნიშნული სიტყვებით დაწყებული ტროპარის მომდევნო ორი ტროპარი. ანალოგიური ვითარებაა Georg. 5-ში დაცულ მეორე მითითებაშიც: „სხუანი. მოვედით, ალვი. – მონეწნასა ამას და ორნი შედეგნი“. აქაც ტერმინში „ორნი შედეგნი“, როგორც ირკვევა, იგულისხმება აღნიშნული სიტყვებით დაწყებული ტროპარის მომდევნო ორი ტროპარი.

ანალოგიური მდგომარეობაა Georg. 5-ის მეორე ნაწილში დაცულ მთელ ჰიმნოგრაფიულ მასალაში. ტერმინი „შედეგი“ გულისხმობს მომდევნო, „შემდეგ“ ტროპარს და იმის შესაბამისად, თუ რამდენი ტროპარი მოსდევს Georg. 5-ის მეორე ნაწილში დასაწყისი სიტყვებით მითითებულ ტროპარს გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში, გვხვდება შენიშვნები: „ორნი, სამნი, ოთხნი და ა. შ. შედეგნი“.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული თვალსაზრისით Georg. 5-ის პირველ და მეორე ნაწილების შედარება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ტერმინ „შედეგის“ მნიშვნელობა, ირკვევა ისიც, თუ რა მაქსიმალური სიზუსტით უთითებს Georg. 5-ის II ნაწილის შემდგენელი გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანს.

Georg. 5-ის მეორე ნაწილში ხშირად გვხვდება უშუალო მითითებებიც ამოსავალ მარხვანზე. ასე მაგ. უძღები შვილის კვირიაკის განგებას ერთვის ასეთი სათაური: „წორციელისა. უძღებისა ყოველივე ზემოთ ჰპოოთ.“ ანალოგიური შენიშვნა გვხვდება წორციელის შაბათის განგებაშიც. ყველიერის პარასკევს Georg. 5-ის მეორე ნაწილში მითითებულია „ხუედრნი“. მითითების გასწვრივ მიწერილია ავტორი – „თეოდორე“; შემდეგ მოდის შენიშვნა: „მარხვათა შინა ჰპოვნე ზემოთ...“ ყველა ამ შემთხვევაში მითითებულია Georg. 5-ის პირველ ნაწილში შესაბამის დღეებზე სრული ტექსტებით შესული საგალობლები. ასევე ხშირია მითითებები: „მარხვათა ჰპოვნე“, „მარხვათა შინა ჰპოვნე...“ იმას, თუ რა დიდი სიზუსტითაა მითითებული Georg. 5-ის მეორე ნაწილში გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფული მარხვანი, მონიშნავს შემდეგი გარემოებაც: ყველიერის ხუთშაბათს Georg. 5-ის მეორე ნაწილში მითითებულია ორი სამსაგალობელი ავტორებითურთ (იოსებ, თეოდორე), შემდეგ კი მოდის ასეთი შენიშვნა: „სხუაჲ ყოველივე ამისთა სტიქარონი ქუწმოთ მონახენ. ესე ზემოთ ოთხი ფურცელი აკლდა და მე დავწერე სტიქარონთა თანა.“ მაშასადამე, ამ შენიშვნის თანახმად, ამოსავალ მარხვანს შესაბამის ადგილას 4 ფურცელი კლებია. მართლაც, Georg. 5-ის პირველ ნაწილში ამ ადგილას გამოტოვებულია 4 ფურცელი. სწორედ ამას გულისხმობს

georg. 5-ის მეორე ნაწილის შემდგენელი, როცა აღნიშნავს: „ესე ზემოთ ოთხი ფურცელი აკლდაო.“

იმ შემთხვევაში, როცა გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში დაცული მასალა აკმაყოფილებს მარხვანის ახალი რედაქციის შემდგენელს, იგი იძლევა მითითებებს ამოსავალ მარხვანზე. იმ შემთხვევაში კი, როცა georg. 5-ის პირველ ნაწილში დაცული საგალობლები არ ემთხვევა ბერძნულ მარხვანებს, მას შემოაქვს ახალი საგალობლები, რომლებიც ყოველთვის სრული ტექსტებითაა მოტანილი.

Georg. 5-ის მეორე ნაწილში დაცულ შენიშვნებში მითითებულია ამოსავალი ბერძნული მარხვანიც. ასე მაგ. დიდმარხვის პირველ შაბათს georg. 5-ის მეორე ნაწილში დადებულია 14 მცირე ფორმის საგალობელი. აქედან 5 გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანშიცაა შესული და ამიტომ მათზე მხოლოდ მითითებები გვხვდება, 9 სტიქარონი კი ახლადაა თარგმნილი ბერძნულიდან და ამიტომ მოტანილია სრული ტექსტებით. მცირე ფორმის საგალობლებს მოსდევს მითითება თეოდორე ტირონისადმი მიძღვნილ კანონზე: „უგალობდითსა. ჴმაჲ დ გი. ქუეყანასა მწყურ. – უწყი ტრფიალებაჲ შენი...“ მითითების გასწვრივ მიწერილია ავტორი – იოანე. ამ კანონის სრული ტექსტი შესულია georg. 5-ის პირველ ნაწილში. მარხვანის ახალ რედაქციაში მას ერთვის ასეთი შენიშვნა: „ესე გალობანი მარხვათა ჰჰოვენე. მონ ბოლოსა ღმრთისმშობლისანი სწერიან და აქა არა ეწერნეს.“ მართლაც, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ამ კანონის თითოეულ ოდას ერთვის ღმრთისმშობლისანი, georg. 5-ის მეორე ნაწილის შემდგენლისათვის ამოსავალ ბერძნულ მარხვანში კი, როგორც ჩანს, ეს ტროპარები არ ეწერა, რაც საგანგებოდაა აღნიშნული: „და აქა არა ეწერნეს“. ანალოგიური შენიშვნაა დართული თეოდორე ტირონისადმი მიძღვნილ მეორე კანონზეც, ასევე დიდმარხვის V კვირიაკეს მითითებულ კანონზე და ა. შ. როგორც ჩანს, მარხვანის ახალი რედაქციის შედგენის დროისათვის ბერძნულ მარხვანებში, კანონის ოდების ბოლოს, ღმრთისმშობლისანებზე მითითებები უკვე აღარ იყო დაცული.

დიდმარხვის მესამე კვირიაკეს georg. 5-ის მეორე ნაწილში მითითებული კანონი: უგალობდითსა. ჴმაჲა. დღესა მას. – წინაჲთვე გამოსახა...“ მითითების გასწვრივ მიწერილია ავტორი – თეოდორე. შემდეგ ტექსტივე ჩართულია შენიშვნა: „ესე გალობანი მარხვათა შინა ჰჰოვენე და მოიხილე აქაცა ეწერა და მონცა სწერია.“ „აქაცა“ ამოსავალ ბერძნულ მარხვანს გულისხმობს, „მონცა“ კი – გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანს.

მსგავსი მითითებები georg. 5-ის მეორე ნაწილში ხშირად გვხვდება. მარხვანის ამ რედაქციის შემდგენელი დიდი სიზუსტით უთითებს, აქვს თუ არა ამოსავალ ბერძნულ მარხვანში დაცულ კანონებს ღმრთისმშობლისანი, მოიხილესა და ა. შ.

ამრიგად, მარხვანის ახალი რედაქციის ორი ძირითადი წყაროა თანამედროვე ბერძნული მარხვანი და გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი,

რომელთანაც იგი ორგანულადაა დაკავშირებული. ეს მჭიდრო კავშირი, მრავალრიცხოვანი მითითებები „ზემოთ“ დაცულ მარხვანზე, რომელთან კომპილაციითაცაა შედგენილი მარხვანის ახალი რედაქცია, გვაფიქრებინებს, რომ მისი შემდგენელი, ამავე დროს, თვით გეორგ. 5 ხელნაწერის შემდგენელიც უნდა იყოს. ამას მოწმობს შემდეგი გარემოებაც: გეორგ.5-ის პირველ ნაწილში დაცული გიორგი მთაწმიდელის ანდერძის მიხედვით, მას „სრულებით“ უთარგმნია მარხვანი და ზატიკი: „... ვინაჲთგან კულა სახიერებაჲმან ღმრთისამან ღირს-მყო მე გლახაკი გიორგი ხუცეს-მონაზონი მარხვათა და ზატიკთა სრულებით თარგმნად და წიგნი შეჰმზადა განმანათლებელი კათოლიკე ეკლესიისაჲ, რომელ ჭეშმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანაღა იპოვების, არცა ქართველთა, მაჲა შეუძლებელ იყო ჩუენგან ნაკლულევანებისა რაჲსმე დატეობა...“ მაშასადამე, მარხვანი და ზატიკი, რომელიც გიორგის „სრულებით“ უთარგმნია, ერთ წიგნად ყოფილა. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი მოთავსებულია გეორგ. 5-ის პირველ ნაწილში (1 – 216). ანდერძის მიხედვით, აქვე უნდა იყოს მოთავსებული მისივე რედაქციის ზატიკიც. მართლაც, 214r-დან სათაურით „ბრწყინვალესა აღვსებასა“ იწყება აღდგომის პერიოდის მასალა – მცირე ფორმის საგალობლები და კანონი „ჴმაჲ ა. – დღესა მას აღდგომისასა“, რომლის დასაწყისის გასწვრივ მითითებულია ავტორი – იოანე. კანონის ბოლოს დართულია შენიშვნა, რომელიც თავად გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის: „იგივე გალობანი ჩუენისა უნდოჲსა გულისჴმის-ყოფისაებრ ორნივე წინაშე დაუსხმანიღა, რომელნიცა ჯერ-გიჩნდენ, გალობდით“ და მოტანილია იგივე კანონის სხვა თარგმანი, რომელიც თავად გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს. ეს თარგმანი მოულოდნელად წყდება მეექვსე ოდაზე („ღალატყავსა“), კერძოდ, მის პირველივე სტრიქონზე ისე, რომ ფრაზაც კი არ არის დამთავრებული. ამრიგად, გეორგ. 5-ის პირველი ნაწილი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ერთი მთლიანი ხელნაწერი, რომელიც მარხვანთან ერთად, შეიცავდა გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ზატიკს. გეორგ. 5 ხელნაწერის რედაქტორს, რომელიც სამარხვო კრებულის შექმნას ისახავდა მიზნად, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვან – ზატიკიდან მხოლოდ პირველი ნაწილი ჭირდებოდა. ზატიკის ნაწილის შემორჩენა კი განპირობებული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ ეს მასალა შესულია ხელნაწერის პირველი ნაწილის 28-ე („კზ“) რვეულის შემადგენლობაში. ამავე რვეულის პირველ სამ ფურცელზე კი მოთავსებულია მარხვანის მასალა. გეორგ. 5-ის რედაქტორს, სამარხვო კრებულის შედგენის დროს, როგორც ჩანს, გიორგის რედაქციის მარხვანის შემცველი უკანასკნელი რვეული არ დაუშლია, რადგან ამ შემთხვევაში კრებულის აკინძვა გაძნელებოდა. ამან კი გამოიწვია ზატიკის შემცველი მასალის „გადაყოლა“ გიორგი მთაწმიდელის მარხვან – ზატიკიდან გეორგ. 5-ის შემადგენლობაში.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი გეორგ. 5-ის შემდგენლისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო იმიტომ, რომ მასთან კომპილაციითაა შედგენილი მარხვანის მომდევნო რედაქცია. **ამრიგად, გეორგ. 5 ხელნაწერის შემდგენელ-რედაქტორი იგივე პირი უნდა იყოს, ვინც შეადგინა ამავე**

ხელნაწერის მეორე ნაწილში დაცული მარხვანის ახალი რედაქცია. georg. 5 ხელნაწერი მაშინ უნდა იყოს შედგენილი, როცა კავშირი მასში დაცულ მარხვანის ორი რედაქციას შორის უმჭიდროესია ანუ როცა georg. 5-ის მეორე ნაწილში დაცული მარხვანი ახალი შედგენილია და ჯერ კიდევ მითითებებით კმაყოფილება გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანზე. შემდგომში, ბუნებრივია, ეს კავშირი ასე ცხადი აღარაა და გიორგი მთაწმიდელის მარხვანიდან აღებული რეპერტუარი უშუალოდ, სრული ტექსტებითაა შესული მარხვანის ახალი რედაქციის შემცველ სხვა ხელნაწერებში (sin. 70, ier. 67. A147, A446 და ა. შ.). სად და ვის მიერ უნდა იყოს შედგენილი მარხვანის ახალი რედაქცია?

georg. 5-ის მეორე ნაწილში დაცულ ვრცელ ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარში ხაზგასმით მოიხსენიება XI ს-ის დიდი ქართველი მოღვაწისა და მთარგმნელის – **ეფრემ მცირის** სახელი. ხელნაწერის ამ ნაწილში გამოვლინდა ეფრემ მცირის უცნობი თარგმანი: „გალობანი გოდებისათჳს ღმრთისმშობელისა დაფლვასა ზედა ღმრთივგუამოვანთა ჴორცთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა გოლგოთას.“ იგი დადებულია დიდმარხვის უმნიშვნელოვანეს დღეზე – ვნების პარასკევს. კანონის დასაწყისის გასწვრივ მითითებულია ავტორი და ქართულ ენაზე მთარგმნელი: „თეოფანე. თარგმანი ეფრემ.“ იგი ახლებური სახით წარმოგვიდგენს ეფრემს, როგორც საგალობელთა მთარგმნელს. ეფრემის ამ თარგმანს ფართო გავრცელება მიუღია შემდგომდროინდელ ქართულ მწერლობაში (ხაჩიძე 2000: 140-158).

ეფრემ მცირის სახელი georg. 5-ის მეორე ნაწილში მოიხსენიება ქრისტიანულ ეკლესიაში საყოველთაოდ ცნობილ საგალობელთან – იოანე დამასკელის „აღდგომის კანონთან“ დაკავშირებითაც. ამ კანონის თარგმანს, რომელიც ხელნაწერის 273v – 275r-ზეა მოთავსებული, ახლავს შემდეგი სათაური: „ახლად თარგმნილნი უსაკუთრესითა სიტყუთა ეფრემის მიერ ბრძანებითა ბერისა ანტონი ტბელისაჲთა.“ ეფრემის ეს თარგმანი K 79 ხელნაწერში მითითებული აქვს კ. კეკელიძესაც (კეკელიძე 1980: 268). ეფრემამდე იგი 3-ჯერ უთარგმნიათ ქართულად. „აღდგომის კანონის“ ქართული თარგმანები შესწავლილია ჩვენს მიერ (ხაჩიძე 2000: 127-139. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ეფრემის მიზანია „უსაკუთრესითა სიტყუთა“ – ზედმიწევნით, სიტყვასიტყვით თარგმნა. ამ პრინციპითაა შედგენილი თვით მარხვანის ახალი რედაქციაც.

Georg. 5-ის მეორე ნაწილში ახალი თარგმანითაა შესული „ფერწთაბანის განგებაც“ (280r – 281r). დიდმარხვის ლიტურგიის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ეფრემის მიერ უნდა იყოს თარგმნილი. თარგმანის ხასიათთან ერთად, ამას მოწმობს შემდეგი გარემოებაც. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, ეფრემის სხვა თარგმანებთან ერთად, დასახელებულია „ეთიმონი“, რომელსაც კ. კეკელიძე მიიჩნევს „დიდი სერობის“ შედეგად: „ეს სიტყვა ქართული გამოთქმაა ბერძნული *μῦθη*-ისა, რომლითაც იწყება დიდი სერობის ჰიმნი: „ჩუენთანა არს ღმერთი, სცანთ წარმართთა და იძლიენით“ (კეკელიძე 1980: 268). აქ, სხვა ნაწილებთან ერთად, „ფერწთაბანის განგებაც“ უნდა იგულისხმებოდეს, რომე-

ლიც დიდი სერობის შემდეგ სრულდება. საინტერესოა, რომ დიდი ხუთშაბათი-სათვის განკუთვნილი მასალა საანალიზო მარხვანში ვრცელია და, ძირითადად, ახლადაა თარგმნილი ბერძნულიდან.

ქართულ ხელნაწერებში დაცულია „ფერკთაბანის განგების“ რამდენიმე თარგმანი, რომელთაგან ერთ-ერთი გიორგი მთანმიდელს ეკუთვნის. ეფრემ მცირეს, როგორც ჩანს, ხელახლა უთარგმნია იგი.

„კალმასობაში“ დაცული ცნობა ყურადღებას იმსახურებს თვით იოანე ბატონიშვილისეული განმარტების თვალსაზრისით. მისი სიტყვით, ეფრემ მცირეს უთარგმნია „დიდმარხვის სამწუხრო მსახურება ეკლესიისა.“ ამრიგად, ეფრემს უთარგმნია დიდმარხვის მთელი პერიოდის მანძილზე შესასრულებელი „**სამწუხრო მსახურება**“.

Georg. 5-ის მეორე ნაწილში დაცული მარხვანის რიგ სიახლეებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია მცირე ფორმის საგალობელთა – სტიქარონების ვრცელი რეპერტუარი. მარხვანის ამ რედაქციის შემდგენელს საგანგებო მუშაობა ჩაუტარებია სწორედ მცირე ფორმის საგალობელთა რეპერტუარის სათარგმნელად. ამ სტიქარონთა შორისაა „თვთძლისპირი“ სტიქარონებიც, რომელთა თარგმნა დიდი სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მცირე ფორმის საგალობელთა ახალი რეპერტუარით შევსება მარხვანის ამ რედაქციის ერთ-ერთი თავისებურებაა. მცირე ფორმის საგალობლები კი ძირითადი ელემენტია დიდმარხვის სამწუხრო მსახურებისა. ამრიგად, იოანე ბატონიშვილის ამ ცნობაში ასახული უნდა იყოს ეფრემ მცირის ღვაწლი სამწუხრო მსახურების სრულყოფაში ანუ მცირე ფორმის საგალობელთა ახალი რეპერტუარის შემოტანაში.

Georg. 5-ის მეორე ნაწილში ეფრემის სახელით წარწერილი თარგმანების შედარება სრული ტექსტებით წარმოდგენილ სხვა საგალობლებთან მოწმობს, რომ მათი ქართულ ენაზე თარგმნაც ეფრემ მცირის სახელს უნდა უკავშირდებოდეს.

ანალოგიური ვითარებაა ქართული მარხვანის წინადროინდელ რედაქციებშიც – sin.5 – sin.75 ხელნაწერებსა და გიორგი მთანმიდელის რედაქციის მარხვანში. აქაც მთარგმნელთა სახელები მხოლოდ რამდენიმე საგალობელთანაა მითითებული. ამ თარგმანთა თავისებურებები კი სხვა საგალობელთა მთარგმნელების დადგენის საშუალებას იძლევა.

Georg. 5-ის მეორე ნაწილი ავტოგრაფიდან უშუალოდ გადაწერილი პირი უნდა იყოს, რადგან აქ ჯერ კიდევ მხოლოდ მითითებებია დაცული გიორგი მთანმიდელის ავტოგრაფულ მარხვანზე. მარხვანის ახალი რედაქცია შესული აღმოჩნდა რიგ ქართულ ხელნაწერებში – sin.70, jer.67, A01 147, A 446 და ა. შ. ყველა ამ ხელნაწერში Georg. 5-ის მეორე ნაწილში მითითებული საგალობლები უკვე სრული ტექსტებითაა წარმოდგენილი.

იოანე დამასკელის „აღდგომის კანონზე“ დართულ სათაურში მოიხსენიება ანტონ ტბელი. ანტონ ტბელი, საბა თუხარელთან ერთად, მოიხსენიება ეფრემის სხვა თარგმანებთან დაკავშირებითაც (კეკელიძე 1960: 263; ბლეიკი 1926: 165).

Georg. 5-ის მეორე ნაწილში გვხვდება არსენ იყალთოელის სახელიც: კერძოდ, აქ დაცულია არსენის ორი თარგმანი: ჯორციელის კვირიაკისათვის განკუთვნილი თეოდორე სტუდიელის კანონი, რომელიც მას ხელახლა „შეუდარებია“ ბერძნულთან და ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანი“. ამ უკანასკნელს ახლავს არსენის ანდერძი, რომელიც წვრილი ასოებითაა შემდგომში მიწერილი, ჩამატებული (248v).

XI ს-ის 80-იანი წლებიდან არსენ იყალთოელს მოღვაწეობა დაუწყია შავ მთაზე, ეფრემ მცირის იქ ყოფნისას (კეკელიძე 1980: 273). იგი იხსენიება ეფრემის „მზრდელთა და მსახურთა“ რიცხვში. ეფრემის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა არსენი მთარგმნელობით ხელოვნებას. ეფრემი თავის თავს არსენის მოძღვრად მოიხსენიებს. ეფრემ მცირის გარდაცვალების შემდეგ არსენს დაუტოვებია შავი მთა და დაბრუნებულია მანგანის მონასტერში (კეკელიძე 1980: 273-274). საინტერესოა, რომ არსენის სახელი უკავშირდება ეფრემ მცირის ორი თარგმანს – „სამოციქულოსა“ და იოანე დამასკელის „გარდამოცემას“ (კეკელიძე 1980: 273). მარხვანის ახალ რედაქციაშიც შესულია ეფრემის მოწაფისა და თანამოაზრის – არსენ იყალთოელის თარგმანები, მთარგმნელზე მითითებით.

ამრიგად, Georg. 5-ის მეორე ნაწილი ეფრემ მცირის მიერ შედგენილი უნდა იყოს შავ მთაზე XI ს-ის 80-იან წლებში. შავ მთაზე არსებობდა მძლავრი სალიტერატურო სკოლა, რომლის წარმომადგენლები მიზანმიმართულად, თავგამოდებით იღვწოდნენ ქართული კულტურის განვითარებისათვის. შავი მთა ეფრემს სიკვდილამდე არ დაუტოვებია (კეკელიძე 1980: 253).

უფრო ადრე შავ მთაზე მოღვაწეობდა გიორგი მთაწმიდელიც. სწორედ აქ დაემოწაფა იგი თავის მოძღვარს – გიორგი შეყენებულს. იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგაც შავ მთაზე დაბრუნდა იგი თავის მოძღვართან. განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობდა შავ მთაზე ათონის დატოვების შემდეგ. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ახალი ეტაპი შავ მთაზე ქართველთა მოღვაწეობის ისტორიაში: „შავი მთის ქართველთა კერა XI ს-ის I ნახევრიდანვე, იმის შემდეგ, რაც იქ დამკვიდრდა გიორგი მთაწმიდელი, ქართველებს დიდად იზიდავდა. შეიძლება ითქვას, რომ შავი მთის სამწერლობო კერის ლიტერატურულ სკოლად გადაქცევა სწორედ გიორგი მთაწმიდელის სახელთანაა დაკავშირებული (მეტრეველი 1959: 115). აქ უნდა შეედგინა მას მარხვანის ახალი, ვრცელი რედაქცია.

ერთადერთი ადგილი, სადაც იკვეთება გეორგიკა 5-თან დაკავშირებული სამი დიდი ქართველი მოღვაწის – გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის გზები, შავი ანუ საკვირველი მთაა. სწორედ აქ უნდა იყოს შექმნილი ქართული მარხვანის ორი რედაქცია და თვით უნიკალური ქართული ხელნაწერი – გეორგიკა 5, რომელსაც თავისებური გზა უნდა გაეწვლო, სანამ პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში მოხვდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბლეიკი 1926:** რ. ბლეიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, მიმომხილველი, თბ., 1926
- კეკელიძე 1960:** კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960
- მეტრეველი 1959:** ელ. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959
- ხაჩიძე 1987:** ლ. ხაჩიძე, იოანე მინჩხის პოეზია, თბ., 1987
- ხაჩიძე 2000:** ლ. ხაჩიძე, ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან, თბ., 2000

Lela Khachidze

**THE NEW REDACTION OF GEORGIAN “TRIODION” AND
ITS COMPILER**

SUMMARY

Georg. 5 manuscript which is an autographic “Triodion” by George Athonite completely reflects the Greek liturgical practice of those days and enables to identify the authors of numerous hymns. We have specially studied and showed the particular importance of George Athonite’s redaction underlining the role it plays in the history of Byzantine and Georgian hymnography.

The investigation of Georgian manuscripts has made it obvious that the next redaction of Georgian “Triodion” belongs to Ephrem Mtsire. This redaction serves as a new, important stage in the formation of Georgian “Triodions”. It contains a vast hymnographical repertoire – hundreds of hymns, the majority of which must have been translated by Ephrem Mtsire. This redaction of “Triodion” must have been done in Antioch, on the “Black mountain”.

The new redaction of “Triodion” was found in the second part (219r-292r) of Georg. 5 manuscript and it has not been investigated up to now. This redaction has been compiled with the autographic “Triodion” by George Antonite which is found in the first part of the same manuscript Georg.5 (1-216v).

Ephrem Mtsire creates the new redaction of “Triodion” in order to thoroughly present his contemporary Greek tradition.

ქეთევან ხითაროშვილი

„ფიზიოლოგის“ სიგოლოთმეტყველება

ფსევდო-ბასილი დიდის ავტორობით¹ ცნობილი ძეგლი „მეცტათვს სახისა სიტყუა“ ქრისტიანულ მწერლობაში „ფიზიოლოგის“ სახელით არის გავრცელებული. ამ ნაწარმოების ქართული ვერსია, რომელიც ნ. მარის თანახმად, ითარგმნა სომხური ენიდან (Март 1904: XXXII-XXXIX), სავარაუდოდ, V ს-ის პირველ ნახევარში, დაცულია X ს-მდე შედგენილ „მატბერდის კრებულში“ (ჭელიძე 1996: 171-216).

მეცნიერთა აზრით, უძველესი ფიზიოლოგი წარმოადგენს ერთ-ერთ ადრეულ ნაწარმოებს. იგი სახარებების შემდეგ მოკლე ხანში უნდა იყოს შექმნილი და მისი წარმოშობის ადგილად მიიჩნევენ ეგვიპტეს, კერძოდ, ალექსანდრიას. იმდენად პოპულარული იყო ეს ძეგლი თეოლოგიურ წრეებში, რომ მას ეყრდნობიან და უთითებენ იუსტინე მარტივი (†166 წ.), კლიმენტი ალექსანდრიელი (II-III სს.), ეპიფანე კვიპრელი (IV ს.), ნეტარი ავგუსტინე (354-430 წწ.) და სხვები (ჭელიძე 1996: 171).

„მეცტათვს სახისა სიტყუა“ არის ეგზეგეტიკური ნაშრომი, რომელშიც ჩამოთვლილი ცხოველები, ფრინველები, მცენარეები ქრისტიანულ სიმბოლოებად გვევლინებიან, უდიდეს ღვთიურ სიბრძნეს განგვიმარტავენ და გვიხსნიან. ძეგლში ზოომორფულ საშუალებებს განსაკუთრებული საიდუმლოებრივი დატვირთვა აქვთ – ისინი ადამიანის სულიერი სამყაროს სიმბოლურ სარკეს წარმოადგენენ (Карнеев 1890: 95).

¹ მეცნიერთა შორის არაერთგვაროვანი აზრი არსებობს „ფიზიოლოგის“ ავტორობის საკითხთან დაკავშირებით. მის შემქმნელად მიიჩნევენ ბასილი დიდს, ეპიფანე კვიპრელს, ან პეტრე ალექსანდრიელს. ძეგლს კოლექტიურ შრომადაც თვლიან. ვითვალისწინებთ რა ამ გარემოებას, გამოკვლევაში ნაწარმოების ავტორის ვინაობის დასასახელებლად ვიყენებთ ზედწოდებას ფსევდო-ბასილი (იხ. „მატბერდის კრებული“ ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის რედაქციით, 1979, გვ. 7; ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, ტ I, თბილისი, 1996, გვ.176-177; Н. Март, Физиолог, Тексты и Разыскания по Армяно-Грузинской Филологии, Кн.6,1904, XL-XLI).

აღსანიშნავია, რომ „ფიზიოლოგის“ საფუძვლად წმიდა წერილი მიიჩნევა. ბიბლია მოიხსენებს ამა თუ იმ ცხოველს, ფრინველს გარკვეული კონტექსტითა და დატვირთვით, რის მიხედვითაც ნაწარმოების ავტორი ქმნის სიმბოლოთა სამყაროს. შეიძლება ითქვას, რომ „ფიზიოლოგი“ ორმაგი საფეხურებრივი სისტემითაა აგებული: თავდაპირველად ცხოველთა და ფრინველთა ბუნებაა წარმოდგენილი, ხოლო შემდგომ კი ამ სიმბოლოების საშუალებით ღრმა თეოლოგიური სწავლებები წარმოჩინდება.

ბუნებრივია, აქვე დაისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ზოომორფული საშუალებებით ღვთიური ქვეშარიტების გადმოცემა?

წმიდა დიონისე არეოპაგელის მიხედვით, „უმსგავსოთა მიერ ზეციური სიბრძნის გამოხატვა გამართლებულია; რადგან ჩვენი გონება უძლურია უშუალოდ მიეცეს გონისმიერ ქვერეტას, იგი საჭიროებს საკუთარი ბუნების შესატყვისს, თვისობრივად შესაფერის ამაღლებას. აგრეთვე, წმიდა ღვთისმეტყველთა ზეამზიდველი სიბრძნე ღირსეულად მდაბლდება უშვერ უმსგავსობამდე და უსახური სიმბოლოების მიერ კიდევ უფრო წინ გვაქეზებს, რადგანაც მათთვისაც კი, რომლებიც ყველაზე მინიერნი არიან, შეუძლებელი და დაუჯერებელი ჩანს, რომ ზეციური და ღვთიური მართლაც მსგავსი იყოს ასეთი სახეებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამქვეყნიური ნივთიც ხომ ღვთის მიერაა შექმნილი. ამიტომაც ძალგვიძს მათი გზით ავმაღლდეთ უნივთო პირველ სახეებამდე, თუმცა, როგორც ითქვა, ასეთ დროს მსგავსი უმსგავსოდ უნდა აღვიქვათ“ (წმიდა დიონისე არეოპაგელი 1987: 211-215).

ამგვარად, სახეობრივი აზროვნების პირველწყარო წმიდა წერილია, სადაც ღმერთი შემდეგი სიმბოლოებით გამოიხატება: კლდე, ტარიგი, კარი, გზა, ვენახი, მატლი და ა. შ. აქ, ძირითადად, სიმბოლოთმეტყველებასთან გვაქვს საქმე, რაც „მწვეცთათვის სახისა სიტყუაშიც“ იჩენს თავს. ძეგლში „ფიზიოლოგი“ 34-მდე ქრისტიანული სიმბოლოა წარმოდგენილი. ნაშრომში ყურადღება შევაჩერეთ ზოომორფულ სიმბოლოთა გარკვეულ ნაწილზე, რომლებსაც ქრისტიანულ სარწმუნოებაში განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭებათ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი სახე-სიმბოლოები ნაკლებად ღირებული და საინტერესოა.

ა) ყოვლადწმინდა სამების სიმბოლო.

ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული სიმბოლო, რომელიც შემოთავაზებულია ამ ნაწარმოებში, ეხება ერთი ღმერთის სამ ჰიპოსტასს: მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმინდა. მრავალი ქრისტიანი მოღვაწე ხსნის სამების არსს. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სამების იმ სიმბოლოზე, რომელიც ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში იშვიათად გვხვდება. აქედან გამომდინარე, მოვიხიშოთ XII საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი საეკლესიო მოღვაწის, ნიკოლოზ გულაბერისძის ნააზრევს, რომელიც ყოვლადწმინდა სამებას ვაშლის სიმბოლიკით განგვიმართავს:

„რამეთუ იხილეთლა ერთისა მის მრავალთა თანაჲსა ნერგისა, რომელ არს ვაშლი, თუ რომელსა საკვრუშლებასა საცნაურ-ჰყოფს; რამეთუ რაჟამს რეცა დამბადებელისა მისისა წმიდისა სამებისა სახესა დაგვსახვდეს, ერთად რაჟამს სიტურფესა ზედა შუწნიერებისასა განგუაკვრვებდეს და მეორედ გემოს ხილვითა სასასა დაგვტკობდეს, ხოლო მესამედ სურნელებისა ყნოსითა სულთა შუწბულ ჰყოფდეს და უტყვ იგი უენოთა ბაგითა ჩვენ მიერ დამბადებელსა ხმა მალლად აკურთხევდეს“ (გულაბერისძე 1882: 70).

„ფიზიოლოგის“ ავტორს კი სამების სიმბოლოდ დაუსახავს ხე-პირიდექსიონ, რომელსაც კვტობინის ხეს უწოდებენ. იგი ინდოეთში იზრდება. მისი ნაყოფი ძალზე ტკბილია. მტრედნი მოფრინდებიან ხოლმე და დასხდებიან ხეზე, რათა ნაყოფი იგემონ. ხეს და მის ჩრდილს გველი ემტერება. ვიდრე მტრედნი ხეზე სხედან, გველი ვერც ხეს შეეხება და ვერც ჩრდილს მისას. თუ მზის დასავლეთით არის ჩრდილი, გველი მიილტვის მზის აღმოსავლეთით. თუ მოშორდნენ მტრედნი ხეს, გველი მოკლავს და შეჭამს მათ.

ხე ემსგავსება მამა-ღმერთს, ნაყოფი – იესო ქრისტეს, ჩრდილი – სულიწმიდას. მტრედნი კი ისინი არიან, ვინც შეითვისა ღვთიური სიბრძნე და შეიყვარა სწავლება სულიწმიდისა.

ნაწარმოების ავტორი შემდგომ გვასწავლის და განგვიმარტავს, რომ ვინც უმანკოებით მტრედს არ დაემსგავსება, უცხო იქნება მამა-ღმერთისთვის, ძისთვის და სულიწმიდისათვის. მას „ცალიერად“ იპოვის ეშმაკი და წარწყმენდს. როგორც ეშმაკი ვერ შეეხება ხეს და მის ნაყოფს, ასევე, თუ აქვს ადამიანს რწმენა, ბოროტი ვერ შეიპყრობს მას.

ბ) ქრისტეს სიმბოლოები.

აღსანიშნავია მაცხოვრის-იესო ქრისტეს სიმბოლოები, რომლებიც ძირითადად სიკვდილის დათრგუნვის, აღდგომის იდეის გახსნას ემსახურებიან. ახდა წინასწარმეტყველთა ნათქვამი: მისცემენ წარმართთა, აგინებენ, შეურაცხყოფენ, ჯვარს აცვამენ და მესამე დღეს აღდგება. მაცხოვრის ჯვარცმით და აღდგომით კიდევ უფრო დამტკიცდა ღვთის სიყვარული ჩვენდამი; მან თავისი ძე გაიმეტა კაცობრიობის ცოდვების გამოსასყიდად. უფალი ევნო ჩვენთვის და თავისი აღდგომით დათრგუნა სიკვდილი („სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“), სატანა და აღგვითქვა ზეციური სასუფეველი.

ეს დიდი სიბრძნე ჩანს უფლის შემდეგ სიმბოლოებში:

ლომი. ლომის ბუნება ასეთია: როდესაც გააჩენს ლომი ლეკვებს, მათ იცავს, უბერავს შუბლზე და აღადგენს.

ასევე, ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა მესამე დღეს მკვდრეთით აღადგინა უფალი იესო ქრისტე. მაცხოვარმა თქვა: „მიფლიეს გუამი ჩემი დადებად, მიფლიეს მერმე აღებად“ (ინ.10,17). მის ამ სიტყვებზე იუდეველები კრთებოდნენ.

ფენიქსი. ინდოეთში ცხოვრობს ფრინველი, სახელად ფენიქსი. ის ხუთას წელში ერთხელ მოფრინდება ლიბანის ხიდან, ფრთებით მოაქვს საკმეველი და ქურუმს აუწყებს მოსვლას. მაშინ ქურუმი საკერპეს ნასხლევით ან შეშით

ავსებს. ეს ფრინველი შედის საკერპეში, ანთებს ცეცხლს და თავს იწვავს. მომდევნო დღეს ქურუმს ნაცარში მატლი ხვდება. მეორე დღეს მატლს ფრთები გამოსდის და მართვედ იქცევა. მესამე დღეს ის პირვანდელ სახეს იბრუნებს, ქურუმს შორდება და ძველ ადგილს უბრუნდება.

ავტორი ამ სიმბოლოსთან უფლის აღდგომის პარალელს ხედავს: „უგუნურ-ნო, თუ ფრინველს შეუძლია მოკლას საკუთარი გვამი და შემდეგ გააცოცხლოს, თქვენ რატომ კრთებით უფლის სიტყვებზე, რომელმაც თქვა: „მიფლიეს გუამისა ჩემისა დადებად და მიფლიეს აღებად იგი?!“ (ბასილი დიდი 1979: 180).

ირემი. როდესაც გველი შეძვრება თავის ხვრელში, მასთან მიდის ირემი და წყლით ავსებს ხვრელს, ვიდრე იქიდან გველი არ გამოვა. გამოსულ გველს ირემი ფეხით კლავს. ასევე მოკლა მაცხოვარმა დიდი ვეშაპი-ეშმაკი.

იქნამონ. იქნამონად ანუ ვიკტოლად წოდებული ცხოველი, როცა ურჩხულს იპოვის, თავს თიხით მოისვრის, ებრძვის მას, თვითონ კი ცხვირს კუდით იფარავს.

ჩვენმა მხსნელმა იესო ქრისტემ აიღო მინა და ქალწული მარიამისაგან ხორციელი ბუნებით შეიმოსა, რათა მოკლას ეშმაკი.

გვრიტი. ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში გვრიტი პოლისემიური სიმბოლოა.

„ფიზიოლოგში“ ეს ფრინველი უფლისა და ასკეტი ადამიანის სახეა: გვრიტი განმარტოვდება ხოლმე და დაემკვიდრება. ის მარტო ცხოვრებას მიჩვეულია. ასევე მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე მარტო ავიდა თაბორის მთაზე, ეჩვენენ მას წინასწარმეტყველები: მოსე და ელია და გაისმა ხმა: „ეგე არს ძე ჩემი საყვარელი“ (ბასილი დიდი 1979: 190).

გვრიტი ასევე სიმბოლოა განდევნილისა, რომელიც განმარტოებულია და უფლისთვის მოღვაწეობს.

წანარმოებში ავტორი მოუწოდებს ჭაბუკებს: „თქვენ, რომლებმაც იწამეთ ქრისტე, შეიყვარეთ მარტოდ მკვდრ-ყოფა“ (ბასილი დიდი 1979: 190).

იოანე ოქროპირის განმარტებით, ეს ფრინველი წმიდა ეკლესიის სახე-სიმბოლოა: „და თქვანცა რომელთამე გურიტისათჳს, ვითარმედ: მამლის მოყვარე არს და სინმიდესა იმარხავნ. ჟამ თუ სადამე არნ და მოიკლის მამალი იგი ანუ მფრინველისაგან, ანუ თუ მახითა, მიერთგან დედალი იგი სხუასა მამალსა არლარა შეეყვის, არამედ მისსა მას სიყუარულსა დაადგრის. ისმინეთ ესე თქუენცა, დედანო, – რავდენი სინმიდჳ მფრინველთა თანაცა იპოვების! ან რომელთა მსგავსება გურიტისაჲ გაქუს თავთა თქუენთა, მისსა მას სინმიდესა და სიყუარულსა ემსგავსენით. ეგრეცა ყოვლითურთ წმიდაჲ ეკლესიაჲ: რაჟამს უკუე ქმარი იგი მისი ქრისტჳ ჯუარს ეცუა და აღმალდა ცად, იგი სხუასა ქმარსა არლარა შეეყო, არამედ მისსა მას სიყვარულსა და ერთობასა დადგრომილ არს და ელის“ (იოანე ოქროპირი 1959: 225).

მას შემდეგ, რაც იუდეველებმა იესო არ აღიარეს მხსნელად, რადგან მან „დაიმდაბლა თავი თჳსი“ (ფილიპ. მიმ. 2,8) და „მონის“ სახით მოველინა კაცობრიობას, ის ჭეშმარიტ რჯულს მოციქულთა მემკვიდრეობით უქადაგებდა წარმართებს:

„წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით სახელთა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ (მათე 28,19). „წმიდა ნინოს ცხოვრებაშიც“ უფალს „მოლოდება წარმართთა“-ს უწოდებენ. ყოველივე ზემოთქმული ფრინველ ბუს სიმბოლიკაში წარმოჩნდება.

ბუ. ბუს შესახებ ნათქვამია, რომ ის ღამის მოყვარეა და არა დღის. უფალმა იესო ქრისტემაც იუდეველებზე მეტად შეიყვარა ბნელში მყოფი წარმართი ხალხი, „საზეპურო“ ერთად შეამზადა და აღუთქვა მათ სასუფეველი ცათა: „ნუ გეშინინ თქუნ, სამწყსოო მცირეო, რამეთუ უნდა ღმერთს მოცემად თქუნდა სასუფეველი ცათა“ (ლუკა 12,32).

გ) გარდა ყოვლადწმინდა სამებისა და ქრისტეს სიმბოლოებისა, „ფიზიოლოგში“ გვხვდება ოფოფის სიმბოლიკა, რომელიც ღვთის მე-5 მცნებას ეხმიანება: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა“.

ოფოფი. ოფოფის მართვეები როდესაც ნახავენ, რომ მშობლები დაუბერდათ, თვალთ დააკლდათ, აგლეჯენ მათ ძველ ფრთებს, ულოკავენ თვალებს, ათბობენ და აახალგაზრდავენ: რადგან თქვენ დაშვერით ჩვენთვის კვერცხის დებით, მართვეების გამოჩეკით და გაგზარდეთ, ასევე ჩვენ მოგაგებთ სამაგიეროსო.

ასე არ იქცევიან ადამიანები. ისინი არ იწყნარებენ თავიანთ მშობლებს. ოფოფის სიმბოლიკით ნაწარმოების ავტორი კიდევ ერთხელ გვახსენებს უფლის ამ მცნებას და ადამიანებს მოგვინოლებს, რათა მივბაძოთ ამ ფრინველს (ბასილი დიდი 1979: 180).

დ) „ფიზიოლოგში“ დასტურდება ისეთი სიმბოლოებიც, რომლებიც ეკლესიური ცხოვრების შესახებ გვმოძღვრავენ:

აკელი. გველის პირველი ბუნება ასეთია: როდესაც დაბერდება, თვალთ მოაკლდება და უნდა გაახალგაზრდავება, მარხვად დგება. მარხულობს 40 დღე-ღამე, ვიდრე ტყავი არ გაუთხელდება და არ მოშორდება. ის იპოვის კლდის ერთ ვიწრო ნაპრალს, შეძვრება შიგ, დააგდებს ტყავს და ახალგაზრდავდება.

ავტორის შეგონებით, ჩვენც უნდა ვისწავლოთ შესვლა ვიწრო და ძნელ კარებში, რომელიც საუკუნო ცხოვრებასთან მიგვიყვანს.

გველის მეორე ბუნების მიხედვით, როდესაც იგი მიდის მდინარეზე წყლის დასალევად, თან არა აქვს გესლი, რომელსაც ქვის ქვეშ ტოვებს.

როდესაც ჩვენ ვართ ეკლესიაში ღვთის სიტყვის მოსასმენად და მარადიული ცხოველი წყლის დასალევად, არ უნდათ გავიკაროთ ამქვეყნიური, ბილწობით აღსავსე გესლი.

ხელიკი. გველის მსგავსი რამ ემართება ხელიკსაც – „მსუენი მზარისას“. როცა ის დაბერდება, ორივე თვალთ ბრმავდება და ვერ ხედავს მზის სინათლეს. აი, ბუნება რა მზაკვრობას უმზადებს მას! შემდეგ ის მიდის, აღმოსავლეთის ზღუდეს ეძებს, შეადნევს მის ნაპრალში და მზის ამოსვლისას თვალები აეხილება, ახალგაზრდავდება.

„ასევე, შენ, ადამიანო, თუ გაქვს ძველი კაცის სამოსელი, ერიდე, რათა არ დაგიბრმავდეს გულისმიერი ხედვა და თუ დაგიბრმავდება, მოიძიე გონისმიერი ადგილი, საიდანაც შენთვის გამობრწყინდება ახალი მხსნელი იესო ქრისტე. მზე სიმართლისა ორივე თვალს აგიხელს და ძველი სამოსლის მაგივრად ახალი შესამოსელი გეპოძება“ (ბასილი დიდი 1979: 175).

ე) დაცემული ანგელოზის, ფარისევლის სიმბოლოები:

კაკაბი. ბუნებისმეტყველმა თქვა კაკბის შესახებ, რომ სხვისი კვერცხებიდან ჩეკს მართვეებს.

კაკბები კვერცხებს იპარავენ, თავიანთ ბუდეში აწყობენ, მართვეებს ჩეკენ და ვერ თმობენ მათ. როდესაც მართვეები გაიზრდებიან, გაფრინდებიან და უბრუნდებიან თავიანთ მშობლებს, კაკბებს კი მარტო ტოვებენ. ასევე, ეშმაკი გადაიბირებს ადამიანებს საცთურით, მაგრამ, როცა ისინი შეიცნობენ ცოდვას, თავიანთ მშობლებს უბრუნდებიან, ქრისტესა და ეკლესიას, ხოლო ეშმაკი მარტო რჩება.

ასპიტი. როდესაც მამალი ასპიტი დედალს შეეხება, იგი პირიდან მაკდება, მამალი ასპიტი კი კვდება. ასპიტის შვილები დედის მკერდს ხვრეტენ და გამოდიან, დედა ასპიტიც კვდება. ასე რომ, შვილები დედ-მამის მჭამელნი არიან. როგორც ასპიტის შვილებმა თავიანთი მშობლები დახოცეს, ასევე ფარისევლებმა მოკლეს მამა და დედა თავიანთი: მაცხოვარი და ეკლესია.

მელა. თხზულებში ცბიერი მეფის, ჰეროდეს, სახე მელიის სიმბოლოთია გადმოცემული.

მელა ვერაგი ცხოველია. როცა მოშივდება, თიხოვან ადგილს იპოვის, ან ალაგს, სადაც ყანის ნალენია, ამოისვრება, აღარ სუნთქავს და, ვითომდა მკვდარი, ელოდება თავის მსხვერპლს. ფრინველებს ჰგონიათ, რომ ის მოკვდა და მოფრინდებიან, რომ შეჭამონ მძორი, მაგრამ ეს მზაკვარი ცხოველი მოიტაცებს მათ და ნანლავეებს დააყრვეინებს.

ასევეა ეშმაკი, რომელიც უმცირესია. თუმცა მისი ხრიკები უდიდესია. ვისაც უნდა მისი „ხორცი“ იგემოს, ის მოკვდება. სახარებაში ჰეროდე მელად იწოდება (ლუკა 13,32).

ამრიგად, „ფიზიოლოგი“ მდიდარია ღრმა ქრისტიანული სიმბოლოებით. უნდა ითქვას, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ზოომორფული საშუალებებით არ ამოიწურება ამ ძეგლის სიმბოლოთმეტყველება. ავტორი ნაწარმოებისა არ კმაყოფილდება ამ სიმბოლოების მშრალი ჩამონათვალთ, არამედ ავრცობს და ამტკიცებს მათ სახარებისეული და წინასწარმეტყველთა გამონათქვამებით, რითაც ქრისტიანული ღვთისმეტყველების სიღრმისეულ ცოდნას ავლენს. იგი საგნობრივი სამყაროთი გადმოსცემს ზეციურ სიბრძნეს, რითაც წმიდა სახეებისა და სწავლებების შეცნობაში ეხმარება მკითხველს.

ბამოყენებული ლიტერატურა

- ბასილი დიდი 1979:** ბასილი დიდი „მწეცთათჳს სახისა სიტყუაჲ“, „შატბერდის კრებული“ ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის რედაქციით, 1979.
- ნ. გულაბერისძე 1882:** „საკითხავი სუჭტისა ცხოველისა, კვართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა“, მიქაელ საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882.
- წმიდა დიონისე არეოპაგელი 1987:** „ზეციური იერარქია“, საღვთისმეტყველო კრებული, 3, 1987.
- იოანე ოქროპირი 1959:** წმიდა იოანე ოქროპირი „გურიტისათჳს და წმიდისა ეკლესიისათჳს“, სინური მრავალთავი 864 წ-ისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, 1959.
- ჭელიძე 1996:** ჭელიძე ე. ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, ტ I, თბილისი, 1996.
- Карнеев 1890:** А. Карнеев, Физиолог, 1890.
- Март 1904:** Н. Март, Физиолог, Тексты и Разыскания по Армяно-Грузинской Филологии, Кн. 6, 1904.

Ketevan Khitarishvili

STUDY OF SYMBOLS IN “PHYSIOLOG”

SUMMARY

The Georgian version of “Physiolog”, a monument known under the name of pseudo-Bassil, translated from Armenian in the first half of the V century, is preserved in “Shatberdi Collection” compiled till the X century. The work is of high value as created in the ancient times and, also, as a source for works of many saint fathers. “Physiolog” is based on the Holy Script and, therefore, involves in itself the fundamental principles of the Christian doctrine.

The present paper analyzes some major symbols and shows that the author of “Physiolog” reveals deep knowledge of Christian theology: in all concrete cases he tries to use the presented animal-symbol for revealing Christian teaching.

თეიმო ჯოჯუა

1851 წელს მოწყვდილ გარეჯელ მამათა „მარტვილოზის“ გელათური და გარეჯული რელაქციები¹

1851 წელს მოთარეშე ლეკების მიერ გარეჯის წმ. დავითის ლავრაში მოღვაწე ბერმონაზვნების დარბევის ფაქტი საქართველოს ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნაკლებად შესწავლილ საკითხს წარმოადგენს. ამ ტრაგიკული მოვლენის შესახებ XIX-XX საუკუნეების რამდენიმე ავტორი თუ წერილობითი წყარო გვანვდის ცნობებს (იოსელიანი 1936: 133; არქიმანდრიტი ტარასი 1864: 39; ქუთათელაძე... 1946: 34; მღვდელ-მონაზონი კალისტრატე 1884: 27; ცხვილოელი 1895, 2; მეუნარგია 1904: 60 და სხვ.). მათ შორის, წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საგანგებოდ გარეჯელი მამების მოწყვედისადმი მიძღვნილი ორი აგიოგრაფიული თხზულება – „წამება წმიდათა მამათა“ და „აოხრება წმიდის დავით გარეჯის უდაბნოსა“.

პირველმა თხზულებამ – „წამება წმიდათა მამათა“ ჩვენამდე ორფურცლიანი ავტოგრაფის სახით მოაღწია. ეს უკანასკნელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა H კოლექციაში ინახება და 649-ე ნომრით არის რეგისტრირებული (ქუთათელაძე 1951: 108).

ავტოგრაფული ნუსხის აკადემიურ აღწერილობაში, რომელიც შედგენილია ლილი ქუთათელაძის მიერ და გამოქვეყნებულია 1951 წელს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა H კოლექციის „აღწერილობის“ II ტომში, ვკითხულობთ: „[ხელნაწერი] 649. გელათის მღვდელ-მონაზონი ისაკ – დავითგარეჯის მონასტრის მსახურთა ამოხოცვა უსჯულოთაგან 1851 წელს. 1853 [წ]. 2 ფ.; 35×22 [სმ]. ქალაღი; უყდო; მხედრული; 1853 წ. (2r); ავტოგრაფი; [გადაწერის] ადგილი – გელათი (2r); დამკვეთი – პლატონ იოსელიანი (2r); შემოწირულია კირიონ ეპისკოპოსის მიერ 1911 წელს. „წამება წმიდათა მამათა,

¹ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ 1851 წელს მოწყვდილ გარეჯელ მამათა ხსენების დღედ განწესებულია 12 (25) აგვისტო.

... მოწყვედილ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ ... რედაქციები

შემოკლებული ისტორია“. „წელსა ჩჰნა ივლისისა იზ-ს, დროსა ყოვლად ამაღლებულისა დიდისა ხელმწიფისა იმპერატორისა ნიკოლაოს პავლეს ძისა, სრულიად რუსეთისა და სხვათა და სხვათა და სხვათა მპყრობელისა, დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა დღისასა იზ-ს, მონასტერსა შინა დავით გარეჯისასა, რომელ არს მახლობელ კახეთისა, დღისა ერთისა სავალისა, დაბნელდა სრულიად მზე და გამოსჩნდა ვარსკვლავნი ცისანი...“. 1r-2r. ანდერძი: „ხოლო მე, უღირსმან დიდისა მონასტრისა გაენათისამან, ისაკ, რომელ მეცა ტყვედ მყოფი ვიყავ მათ თანა, რომელსა ვხედვედი თვალითა, დავსწერე ნამება წმიდათა მამათთა (!) უმეტნაკლოდ შემოკლებული ესე ისტორია. თქვენო ყოვლად ღვთის მოყვარებაჲ, უფალო პლატონ იოსელიანო, რომელიცა მაქცნდა ბრძანებული თქვექნიმეერი, მიახლებია. თქვენისა სიცოცხლისათვის ღვთისადმი მლოცველი გაენათისა მღვდელმონაზონი ისაკ. ჩჰნმ, მაისის კომ-ს“ (ქუთათელაძე 1951: 108).

H კოლექციის „აღწერილობის“ II ტომის დაბეჭდვის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო თხზულებითა და მისი ანდერძით საგანგებოდ დაინტერესდა ლევან მენაბდე. მკვლევრის თქმით: „ჩვენამდე მოღწეულია ლეკთა მიერ 1851 წელს გარეჯის დარბევისა და ბერთა დახოცვის ამსახველი ძეგლი („ნამება წმიდათა მამათა. შემოკლებული ისტორია“), რომელიც აღუწერია გელათის მღვდელ-მონაზონ ისაკს 1853 წელს (H 649). აღნიშნული პირი მომსწრეა გარეჯის დარბევისა და ბერთა ამოხოცვისა, უშუალო მონაწილეა ლავრაში დატრიალებული ტრაგედიისა („...მეცა ტყვედ მყოფი ვიყავ მათ თანა. რომელსა ვხედვედი თვალითა, დავსწერე...“), ამდენად მის თხრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის ნათლად გვაცნობს გარეჯის მონასტრის ბინადრების მონამებრივ აღსასრულს“ (მენაბდე 1962ა: 297)².

ლევან მენაბდის შემდეგ მღვდელ-მონაზონ ისაკისეული ტექსტის წარმომავლობის საკითხს გაკვირით შეეხო მიხეილ ქავთარიაძე. მკვლევრის დაკვირვებით: „1851 წლის გარეჯის მონასტრის აოხრებაა გადმოცემული ხელნაწერ H-649-ში. დოკუმენტის ავტორი ისაკი თვით იყო ლეკების შემოსევის მსხვერპლი. იგი ლეკებს ტყვედ წაუყვანიათ და შემდეგ ძლივს მოუხერხებია თავის დაღწევა. დოკუმენტი პლ. იოსელიანის შეკვეთითაა დაწერილი 1853 წ. 29 მაისს“ (ქავთარია 1965: 29).

მოგვიანებით მიხეილ ქავთარია, ენრიკო გაბიძაშვილთან ერთად, კვლავ მიუბრუნდა მღვდელ-მონაზონ ისაკის მიერ შედგენილ თხზულებას და პრაქტიკულად, გაიმეორა ადრე გამოთქმული მოსაზრებები: „1853 წ. მღვდელ-მონაზონს ისაკს აღუწერია „ნამება წმიდათა მამათა შემოკლებული ისტორია“ (H-649), რომელშიც მოთხრობილია ლეკების მიერ 1851 წ. გარეჯის დარბევა და ბერთა

² სხვათა შორის, ლევან მენაბდეს სხვაგანაც აქვს მოხსენიებული მღვდელ-მონაზონ ისაკის მიერ შედგენილი თხზულება: „1853 წელს გელათელმა მღვდელ-მონაზონმა ისაკმა, რომელიც ადრე დავითის ლავრაში მოღვაწეობდა, აღწერა ლეკთაგან ლავრის დარბევა 1851 წელს (H 649)...“ (მენაბდე 1962ბ: 545).

მოსრვის ამბავი. ავტორი თვითმხილველი ყოფილა. გამოქვეყნებულია „საქართველოს მახარებელში“ 1853 წელს. ცხადია, ეს 2-3 გვერდიანი აღწერა ქართული ჰაგიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშების გვერდით ვერ დასახელდება“ (გაბიძაშვილი... 1989: 199).

ლევან მენაბდის, მიხეილ ქავთარიასა და ენრიკო გაბიძაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებების ერთი ნაწილი თითქმის უცვლელი სახით არის გამოჩნდილი 2001 წელს დაბეჭდილ „წმიდანთა ცხოვრების“ III ტომში. აქ ვკითხულობთ: „გარეჯელ მამათა ნამება მათი აღსასრულიდან 2 წლის შემდეგ აღუწერია გელათელ მღვდელ-მონაზონ ისაკს, რომელიც 1851 წლის ზაფხულის ლექთა შემოსევის უშუალო მომსწრე ყოფილა. „საქართველოს სასულიერო მახარებელში“ დაბეჭდილ „ნამებაში“ ის წერს: *„მეცა ტყვედ მყოფი ვიყავ მათ თანა, რომელსა ვხედ/დკდი თუალითა, დავსწერე...“* (წმიდანთა... 2001: 165).

დღეისათვის ჩვენთვის სავსებით მისაღებია ზემოთ ციტირებული მოსაზრებები. ერთადერთ გამოწვევას წარმოადგენს ენრიკო გაბიძაშვილისა და მიხეილ ქავთარიას ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც მღვდელ-მონაზონ ისაკისეული ტექსტი თითქოს ჟურნალ „საქართველოს მახარებელის“ 1853 წლის ნომერში იყო გამოქვეყნებული (გაბიძაშვილი... 1989: 199). ვფიქრობთ, რომ აქ მცირე უზუსტობასთან უნდა გვეკონდეს საქმე. როგორც ცნობილია, ყოველთვიური ქართული საღმრთისმეტყველო ჟურნალის – „საქართველოს სასულიერო მახარებელის“ გამოცემა მხოლოდ 1864 წლიდან დაიწყო (საქართველოს... 1985: 185), რის გამოც მღვდელ-მონაზონ ისაკისეული ტექსტი, უბრალოდ, ვერ დაიბეჭდებოდა ამ ჟურნალის 1853 წლის არარსებულ ნომერში. მეტიც, ჩვენს ხელთ არსებულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, დაბეჭდვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მღვდელ-მონაზონ ისაკის მიერ შედგენილი თხზულება არც 1853 წელს და არც ამის შემდგომ არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული. რაც შეეხება ენრიკო გაბიძაშვილისა და მიხეილ ქავთარიას მიერ ნახსენებ „საქართველოს სასულიერო მახარებელს“, ამ ჟურნალის 1869 წლის პირველ ნომერში მართლაც გვხვდება 1851 წლის დარბევისადმი მიძღვნილი აგიოგრაფიული თხზულება, მაგრამ ეს უკანასკნელი წარმოადგენს არა მღვდელ-მონაზონ ისაკის მიერ შედგენილ ტექსტს, არამედ – სრულებით სხვა, შედარებით უფრო მოგვიანო პერიოდის რედაქციას (გძელიევი 1868), რომლის შესახებაც ქვემოთ ვრცლად გვექნება საუბარი.

ამრიგად, 1851 წელს მოწვევიდლ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ განხილული რედაქციის წარმომავლობასთან დაკავშირებული ძირითადი დასკვნები შემდეგი სახით შეგვიძლია შევაჯამოთ: 1. თხზულება შედგენილია 1853 წელს (დასრულებულია 29 მაისს) გელათის მონასტერში, აქ მოღვაწე მღვდელ-მონაზონის ისაკის მიერ, ცნობილი ქართველი მწიგნობრის პლატონ იოსელიანის დაკვეთით. მოგვიანებით ავტოგრაფიული ნუსხა ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილთან, შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-სთან (1917-1918 წწ.) მოხვედრილა, ამ უკანასკნელს კი 1911 წელს საისტორიო

_____ ... მოწყვედილ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ ... რედაქციები

და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისათვის შეუწირავს; 2. თხზულებს ავტორი 1851 წელს გარეჯის წმ. დავითის ლავრაში მოღვაწეობდა. იგი აღწერილი მოვლენების თვითმხილველი იყო და ამიტომ, მისი ცნობები სანდო პირველწყაროს წარმოადგენს 1851 წლის დარბევასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის; 3. „მარტვილობის“ მღვდელ-მონაზონ ისაკიესული გელათური რედაქციის ავტოგრაფი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება და ქართულ ხელნაწერთა H კოლექციაში 649-ე ნომრით არის დაცული. ძეგლი არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული.

1851 წლის დარბევის ფაქტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, მეორე აგიოგრაფიული თხზულებაც ეძღვნება – „აოხრება წმიდის დავით გარეჯის უდაბნოსა“. სამწუხაროდ, ამ თხზულების დედანი დაკარგულია, რის გამოც, მისი ტექნიკური აღწერილობის შედგენა, უბრალოდ, ვერ ხერხდება. დღეისათვის ჩვენს განკარგულებაშია ამ თხზულების მხოლოდ ხუთგვერდიანი ბეჭდური ვარიანტი, რომელიც „საქართველოს სასულიერო მახარებელის“ 1868 წლის პირველ ნომერშია გამოქვეყნებული და რომელიც, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, პრაქტიკულად, დედნის მაგივრობას გვინეცს.

გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ მეორე რედაქციის შემდგენლის ვინაობის შესახებ პირდაპირ მითითებას გვანდის თხზულების საჭურნალო პუბლიკაციისათვის დართული საავტორო მინაწერი: „*მორჩილი სფირიდონ გძელიევი*“ (გძელიევი 1868: 85). როგორც ამ მინაწერიდან ვიგებთ, ძეგლის შემდგენელი მორჩილი სფირიდონ გძელიევი, იგივე – სპირიდონ გრძელიშვილი ყოფილა. ეს უკანასკნელი და მისი მრავალმხრივი საეკლესიო საქმიანობა ქართველი მკვლევრებისათვის კარგად არის ცნობილი. იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე მოღვაწეობდა გარეჯის წმ. დავითის ლავრაში, 1892 წლისათვის უკვე მღვდელ-მონაზონის ხარისხს ფლობდა და თავისი დროის ერთ-ერთ გამოჩენილ მწიგნობრადაც ითვლებოდა. სწორედ სპირიდონ გრძელიშვილის კალამს ეკუთვნის 1880 წელს გარეჯში შედგენილი შესანიშნავი თხზულება – „ცხოვრება და მოღვაწეობა სანატრელი მამისა ქრისტესია მონაზონისა, შემდგომ ქრისტეფორედ წოდებულისა“, რომელიც, პრაქტიკულად, ასრულებს ძველი ქართული აგიოგრაფიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას (მენაბდე 1962ა: 316; ქავთარია 1965: 95; გაბიძაშვილი... 1989: 125-136, 200-201, 245).

გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ სპირიდონ გრძელიშვილისეულ რედაქციას შედგენის თარიღი არ ახლავს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ თხზულება 1868 წელს იყო გამოქვეყნებული, მისი შედგენის დრო უეჭველად 1868 წლამდე პერიოდით უნდა განისაზღვროს. მეორე მხრივ, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სპირიდონ გრძელიშვილს საკუთარ თხზულებაში, 1851 წლის ტრაგედიის გარდა, ლექების მიერ გარეჯელი ბერმონაზვნების დარბევის კიდევ ერთი, 1857 წელს მომხდარი ფაქტიც აქვს აღწერილი (გძელიევი 1868: 84). აღნიშნულიდან გამომდინარე, „მარტვილობის“ მეორე რედაქციის შედგენის

ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად სწორედ 1857 წლის დარბევის ფაქტი უნდა ავიღოთ და თხზულებაც 1857-1868 წლებით უნდა დავათარილოთ.

გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ სპირიდონ გრძელიშვილისეული რედაქციის ტექსტში თხზულების დაწერის დროის მსგავსად, არც მისი შედგენის ადგილია მითითებული. თუმცა, ტექსტზე, განსაკუთრებით კი, მის ბოლო ფრაგმენტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ავტორი თხზულებაზე მუშაობის ყამს უშუალოდ გარეჯის წმ. დავითის ლავრაში იმყოფება: *„გარნა მხილველ ვარ ტყუჴდ ყოფილთა მამათაგანისა – იეროდიაკონის სერგისა, რომელი აქავე იყო უდაბნოსა (იგულისხმება წმ. დავითის ლავრა – თ. ჯ.) შინა და გარდაიცვალა“* (ხაზგასმა ჩვენია – თ. ჯ.) (გძელიევი 1868: 84), *„აქავ, დავითგარესჯის უდაბნოსა შინა ჯარისქ იმ დროს დამსწრე და მხილველი მღუდელ-მონაზონი დანიელ, რომელიცა მითხრობდა მრავალთა და მე აღვწერე აქა“* (ხაზგასმა ჩვენია – თ. ჯ.) (გძელიევი 1868: 85) და სხვ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუკი დავასკვნით, რომ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ სპირიდონ გრძელიშვილისეული ტექსტი გარეჯის მრავალმთაში, უფრო ზუსტად კი, წმ. დავითის ლავრაში იყო შედგენილი.

ცალკე მსჯელობის საგანია გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ სპირიდონ გრძელიშვილისეული რედაქციის პირველწყაროების საკითხი. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებო გვეჩვენება თხზულების ბოლო ფრაგმენტი, სადაც ავტორი აღნიშნავს შემდეგს: *„ესე ყოველივე შემთხვჴვა ჩემქსქ მიერ არა ხილულ არს. გარნა მხილველ ვარ ტყუჴდ ყოფილთა მამათაგანისა – იეროდიაკონის სერგისა, რომელი აქავე იყო უდაბნოსა შინა და გარდაიცვალა. იგი მრავალს იტყოდა, გარნა მე მცირე დავწერე. მღუდელ-მონაზონი ისაჴი ვიხილე გენათის მონასტერსა შინა. და მანცა მიაბმო ყოველი. გარნა მე არა ძალ-მედვა აღწერად ყოვლისა, რასაცა ამბავსა იტყვიან იმ დროს მხილველნი. აქავ, დავითგარესჯის უდაბნოსა შინა ჯარისქ იმ დროს დამსწრე და მხილველი მღუდელ-მონაზონი დანიელ, რომელიცა მითხრობდა მრავალთა და მე აღვწერე აქა“* (გძელიევი 1868: 84-85).

როგორც ციტირებული ფრაგმენტიდან ირკვევა, სპირიდონ გრძელიშვილი აღწერილი მოვლენების თვითმხილველი არ ყოფილა. მას საკუთარი თხზულება სამი სხვადასხვა პირის – გელათელი მღვდელ-მონაზვნის ისაკისა და გარეჯელი მონესეების – მღვდელ-მონაზონ დანიელისა და მთავარდიაკონ სერგის მონათხრობზე დაყრდნობით შეუდგენია.

სპირიდონ გრძელიშვილის მიერ მოხსენიებული ერთ-ერთი მთხრობელის – გელათელი მღვდელ-მონაზვნის ისაკის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და დავადგინეთ, რომ იგი 1851 წლის დარბევის უშუალო მონაწილე და მსხვერპლი იყო. გარდა ამისა, გავარკვეით, რომ სწორედ ის იყო გარეჯელ მამათა მონყვედისადმი მიძღვნილი პირველი აგიოგრაფიული თხზულების ავტორი. ამჯერად, სპირიდონ გრძელიშვილის ცნობებზე დაყრდნობით, დამატებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მღვდელ-მონაზონ ისაკს გარეჯელ მამათა „მარტვილობის“

მეორე რედაქციის შედგენის ჟამს – 1857-1868 წლებში კვლავინდებურად გელათის მონასტერში უმოღვანია და სპირიდონ გრძელიშვილისთვისაც სწორედ ამ სავანეში უამბია 1851 წლის დარბევის ამბები: „*მღუდელ-მონაზონი ისაჰკი ვიხილე გენათის მონასტერსა შინა. და მანცა მიაბო ყოველი*“ (გძელიევი 1868: 84-85). სხვათა შორის, მღვდელ-მონაზონი ისაჰკი სიცოცხლის ბოლომდე გელათში დარჩენილა და გარდაცვალების (1868 წლის ნოემბერი) შემდეგ იქვე, მონასტრის ეზოს სამხრეთ ნაწილში დაუკრძალავთ. მისი საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ყოფილა შემდეგი ეპიტაფიის ტექსტი: „*ღმერთო, შეინყაღე უღირსი ისაჰკ ბერი[,] ამინ. ჩჰ[პ]წ (1868 წ.)[,] ნოემბერი*“ (კუხუაძე 2004: 14).

სპირიდონ გრძელიშვილის კიდევ ერთი მთხრობელის – გარეჯელი მთავარდიაკონის სერგის შესახებ თავად „მარტვილობის“ მეორე რედაქციის ტექსტი გვანვდის ცნობებს. აქ ნათქვამია, რომ მამა სერგი 1851 წლის თავდასხმის თვითმხილველი ყოფილა. იგი ტყვედაც კი წაუყვანიათ ლეკებს. დაღესტნიდან დაბრუნებული მთავარდიაკონი სერგი კვლავინდებურად გარეჯის წმ. დავითის ლავრაში დამკვიდრებულა და საკუთარი თვალთ ნანახიც სპირიდონ გრძელიშვილისათვის სწორედ აქ უამბია: „*გარნა მხილველ ვარ ტყუჴდ ყოფილთა მამათა-განისა – იეროდიაკონის სერგისა, რომელი აქავე იყო უდაბნოსა შინა და გარდაიცჴალა. იგი მრავალს იტყოდა, გარნა მე მცირე დავწერე*“ (გძელიევი 1868: 84).

გაცილებით უფრო რთულად დგას მესამე მთხრობელის – მღვდელ-მონაზონ დანიელის იდენტიფიკაციის საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც ორი ურთიერთგამომრიცხავი ფაქტი მოგვეპოვება: 1. სპირიდონ გრძელიშვილის პირდაპირი მითითებით, მამა დანიელი 1851 წლის დარბევის უშუალო მომსწრე და თვითმხილველი იყო: „*აქავ, დავითგარესჯის უდაბნოსა შინა {არის} იმ დროს დამსწრე და მხილველი მღუდელ-მონაზონი დანიელ, რომელიცა მითხრობდა მრავალთა და მე აღწერე აქა*“. 2. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მღვდელ-მონაზონ დანიელის სახელი მოხსენიებული არ არის 1851 წლის თავდასხმის დროს ლეკების მიერ გარეჯში მოკლულ, დარბეულ და დატყვევებულ პირთა არც მღვდელ-მონაზონ ისაჰკისეულ და არც სპირიდონ გრძელიშვილისეულ ჩამონათვალში. რით უნდა აიხსნას აღნიშნული ფაქტების ამგვარი წინააღმდეგობრივი ხასიათი?

დასმულ კითხვაზე საბოლოო პასუხის გაცემის მიზნით, დეტალურად შევისწავლეთ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ მეორე რედაქციის ტექსტი და ყურადღება მივაქციეთ ლეკების თავდასხმასთან დაკავშირებულ ერთ საინტერესო ადგილს მივაკვლიეთ. აქ ვრცლად არის გადმოცემული 1851 წელს წმ. დავითის ლავრაში მყოფი მოსწავლის, ვინმე დავითის მიერ გარეჯელი მამების მოწყვედის შემდეგ საკუთარი თვალთ ნანახი უფლისმიერი სასწაული: „*იყო ღამესა მას დიდი საკვირველი და განსაცვიფრებელი ჩვენება, რამეთუ გარდამოხდა ნათელი უდაბნოსა მას და განათლდა უკუნი ბნელი და იქმნა ხილვა ამა ნათლისა სოფლებთავანაც. და ვითარცა იხილა დავით მოსწავლემან კლდის აღმოკვეთილიდგან, რომელი იყო დამალულ, სინათლე დიდი, ესრეთ გონებდა,*

ვითარმედ აღანთეს (ლექებმა – თ. ჯ.) სანთელიო და მეძიებენ მე და დამალულთა სხუათაცაო, შეშინდა ფრიად. და მასვე ესმოდა ხმა მამა სერაპიონისა (ერთ-ერთ გარეჯელი ბერისა – თ. ჯ.), რომელი იყო ფრიად დაჭრილი და კუნესოდა. და ოდესაც დასცხრა სანატრელი სერაპიონ და მიიძინა საუკუნო ძილითა, მაშინ ჩაქრა ნათელი იგი და იქმნა ბნელი“ (გძელიევი 1868: 82-83). როგორც ვხედავთ, ლეკთა თავდასხმის ღამეს, გარეჯელი მამების ერთი ნაწილის მოწყვედისა და მეორე ნაწილის ტყვედ წაყვანის შემდეგ მომხდარი სასწაული სპირიდონ გრძელიშვილის თხზულებაში ისეთი კუთხით არის აღწერილი, რომ ამ ამბის თუ არა ერთადერთ, ერთ-ერთ მთხრობელად მაინც, უეჭველად აღნიშნული სასწაულის უშუალო მომსწრე და მხილველი, მოსწავლე დავითი უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენს ამგვარ ვარაუდს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის „მარტვილობის“ ამავე მეორე რედაქციაში დაცული სხვა ცნობაც, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სპირიდონ გრძელიშვილის მიერ ნახსენები მოსწავლე დავითი თხზულების შედგენის დროს – ე. ი. 1857-1869 წლებში კვლავინდებურად გარეჯის წმ. დავითის ლავრაში მოღვაწეობდა და მღვდელ-მონაზვნის ხარისხიც ჰქონდა მიღებული: „და დაშთა (ლექების ტყვეობისაგან – თ. ჯ.) მოსწავლე დავით დოლმაზოვი, რომელიც არს დღეს მუნ უდაბნოსა შინა მღვდელ-მონაზონი. ესე გადარჩა აღმოკვეთილსა კლდესა ქვეშე“ (გძელიევი 1868: 82).

ამრიგად, გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ მეორე რედაქციის ტექსტზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ სპირიდონ გრძელიშვილს თავის აგიოგრაფიულ თხზულებაში მღვდელ-მონაზონ ისაკისა და მთავარდიაკონ სერგის გარდა, წმ. დავითის ლავრაში მოღვაწე ვინმე მღვდელ-მონაზვნის, ერისკაცობაში – დავით დოლმაზოვის მონათხრობიც ჰქონია შეტანილი.

მიღებული დასკვნის შემდეგ ბუნებრივად ჩნდება კითხვები – თუ სპირიდონ გრძელიშვილი თავისი თხზულების შედგენის დროს მართლაც სარგებლობდა 1851 წელს წმ. დავითის ლავრაში მოსწავლედ მყოფი დავით დოლმაზოვის მონათხრობით, და ეს ნამდვილად ასე ჩანს, მაშინ რატომ არ იხსენიება ამ უკანასკნელის სახელი „მარტვილობის“ მეორე რედაქციის პირველწყაროთა ჩამონათვალში სხვა მთხრობელების – მღვდელ-მონაზონ ისაკის, მღვდელ-მონაზონ დანიელისა და მთავარდიაკონ სერგის გვერდით? და პირიქით, თუ სპირიდონ გრძელიშვილის მიერ დასახელებული ერთ-ერთი მთხრობელი – მღვდელ-მონაზონი დანიელი მართლაც უშუალო მომსწრე და თვითმხილველი იყო 1851 წლის თავდასხმისა, როგორც ეს პირდაპირ არის აღნიშნული „მარტვილობის“ მეორე რედაქციის ტექსტში, მაშინ რატომ არ იხსენიება მისი სახელი ლექების მიერ წმ. დავითის ლავრაში მოწყვედილ და დატყვევებულ პირებს შორის?

ჩვენი დაკვირვებით, ამ კითხვებისათვის პასუხის გაცემა არ უნდა იყოს მაინცადამაინც ძნელი – როგორც ჩანს, 1851 წელს წმ. დავითის ლავრაში მოსწავლედ მყოფი დავით დოლმაზოვი და 1857-1868 წლებში ამავე მონასტერში მოღვაწე მღვდელ-მონაზონი დანიელი ერთი და იგივე პირი იყო.

_____ ... მოწყვედილ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ ... რედაქციები

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოვლენების ქრონოლოგიური განვითარება შემდეგი სახით გვაქვს წარმოდგენილი – 1851 წლის დარბევის უშუალო მომსწრე და თვითმხილველი, იმხანად მოსწავლე დავით დოღმაზოვი საბოლოოდ გარეჯის წმ. დავითის ლავრაში დამკვიდრდა, დანიელის სახელით ბერად აღიკვეცა, 1857-1868 წლებსათვის მღვდელის ხარისხი მიიღო და სპირიდონ გრძელიშვილსაც 1851 წლის თავდასხმასთან დაკავშირებული ცნობები სწორედ გარეჯელი მღვდელ-მონაზვნის დანიელის სახელით მიაწოდა.

ამრიგად, 1851 წელს მოწყვედილ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ მეორე რედაქციის წარმომავლობასთან დაკავშირებული ძირითადი დასკვნების რეზიუმირება შემდეგი სახით არის შესაძლებელი: 1. თხზულება შედგენილია 1857-1868 წლებს შორის, გარეჯის წმ. დავითის ლავრაში, აქ მოღვაწე ცნობილი მწიგნობრის, იმხანად მორჩილის, სპირიდონ გრძელიშვილის მიერ; 2. თხზულების ავტორი აღწერილი მოვლენების თვითმხილველი არ ყოფილა. მისი თხზულება დამყარებულია 1851 წლის დარბევის უშუალო მონაწილეების: შემდგომში გელათელი მღვდელ-მონაზვნის ისაკისა და გარეჯელი მონესეების – მღვდელ-მონაზონ დავით-ყოფილი დანიელისა და მთავარდიაკონ სერგის მონათხრობზე; 3. „მარტვილობის“ სპირიდონ გრძელიშვილისეული რედაქციის დედანი დაკარგულია. სამაგიეროდ, მოგვეპოვება თხზულების ბეჭდური ვარიანტი, რომელიც ქართული საღმრთისმეტყველო ჟურნალის – „საქართველოს სასულიერო მახარებლის“ 1868 წლის პირველ ნომერშია გამოქვეყნებული.

გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ გელათური და გარეჯული რედაქციების ურთიერთმიმართება წარმომავლობის გარდა, სტრუქტურული თვალსაზრისითაც იპყრობს ყურადღებას.

„მარტვილობის“ პირველი, მღვდელ-მონაზონ ისაკისეული რედაქციის დასაწყისში წარმოდგენილია მოკლე თხრობა ლექების თავდასხმამდე ერთი დღით ადრე მომხდარი მზის დაბნელების შესახებ: *„წელთა ჩჳნა (1851 წ.), ივლისისა 17 (17) ... დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა დღისასა 12 (12), მონასტერსა შ(ინ)ა დავითგარეჯისასა ... დაბნელდა ს(რულა)დ მზე და გა/მოსწნდა ვარსკვლავნი ცისანი. ხ(ოლ)ო უკეთუ სხვათაცა ადგილთა დაბნელდა / მზე, ა(რამე)დ უმეტეს მას მონასტერსა (წმ. დავითის ლავრაში – თ. ჯ.). ამისთვის უწინარეს ერთისა დღისა იგლოვა / ცამან და ქვეყანამან <უსჯულოთაგან> მოიხრება წმიდისა მონასტრისა მის და ღირს/თა მამათა და ძმათა უ<ს>წკალოთ ტანჯვა უსჯულოთაგან“* (ხეც H-649: 1r). რაც შეეხება „მარტვილობის“ მეორე, მღვდელ-მონაზონ სპირიდონ გრძელიშვილისეულ რედაქციას, აქ მზის დაბნელების ამბავი საერთოდ არ არის მოთხრობილი და ტექსტი პირდაპირ ლექების თავდასხმით იწყება (გძელიევი 1868: 81).

„მარტვილობის“ გელათური და გარეჯული რედაქციების ძირითად ნაწილში დაწვრილებით არის გადმოცემული ლექების მიერ წმ. დავითის ლავრაზე თავდასხმის, აქაური ეკლესია-სამლოცველოების ძარცვა-რბევის, ბერმონაზვნებისა და სავანეში მყოფი სხვა პირების მოწყვედისა თუ ტყვედ წაყვანის ამბები. ამას-

თან, აღსანიშნავია, რომ „მარტვილობის“ მღვდელ-მონაზონ ისაკისეული რედაქცია ამ მოვლენების გადმოცემისას, უპირატესად, აღწერილი ფაქტების დეტალიზაციას აქცევს ყურადღებას, მაშინ, როდესაც სპირიდონ გრძელიშვილის თხრობას გაცილებით უფრო ხატოვანი, ერთგვარი „შესხმითი“ ხასიათი აქვს. ასე, მაგალითად: გელათური რედაქცია – *„შემდგომად იერომონახსა გეჯრქონტის თავი / ნარკვეთეს. სერაპიონ იერომონახსა უხეთქეს მახვილი თავსა და აღესრულა“* (ხეც H-649: 1r); გარეჯული რედაქცია – *„და მოკლეს სანატრელი მღვდელ-მონაზონი გეჯრქონტი, კაცი ფილოსოფოსი, განთქმული ყოველთა შორის, სრული მგალობელი. იყო სანატრელი იგი მდებარე სარეცელსა ზედა, უძღური და მოხუცი ფრიად და არა ძალედვა, არამედ დაითხია სისხლი მისი, ვითარცა სისხლი ლტოლვილის ზაქარიასი, ძისა ბარუქისა, რომელი მოიკლა საკურთხეველსა შინა. ეგრეთვე შეიპყრეს მამა მღვდელ-მონაზონი სერაპიონ, დაუხეთქნეს მახვილითა ორპირითა თავი და გარდამოსწვეთდა სისხლი, ვითარცა ღვარი ნაპრალისა და იღებებოდა სპეტაკი თმა თავისა და წვერი მისი და იქსოებოდა პორფირი მენამული მისთვის“* (გძელიევი 1868: 81-82).

გარეჯული მამების მონყვედის შემდეგ „მარტვილობის“ ორივე რედაქცია გვამცნობს, რომ წმ. დავითის ლავრას უფლისმიერი სასწაული მოევლინა და ლეკებისაგან დარბეულ სავანეს ზეციური ნათელი დაადგა თავს. სპირიდონ გრძელიშვილთან ეს ამბავი ვრცლად და დანვრილებით არის აღწერილი: *„იყო ღამესა მას დიდი საკვირველი და განსაცვიფრებელი ჩვენება, რამეთუ გარდამოხდა ნათელი უდაბნოსა მას და განათლდა უკუნი ბნელი და იქმნა ხილვა ამა ნათლისა სოფლებთაგანაც. და ვითარცა იხილა დავით მოსწავლემან (ლეკებისაგან მონყვედას გადარჩენილმა ერთ-ერთმა პირმა – თ. ჯ.) კლდის აღმოკვეთილიდგან, რომელი იყო დამალულ, სინათლე დიდი, ესრეთ გონებდა, ვითარმედ აღანთეს სანთელიო და მეძიებენ მე და დამალულთა სხუათაცაო, შეშინდა ფრიად. და მასვე ესმოდა ხმა მამა სერაპიონისა, რომელი იყო ფრიად დაჭრილი და კუნესოდა. და ოდესაც დასცხრა სანატრელი სერაპიონ და მიიძინა საუკუნი ძილითა, მაშინ ჩაქრა ნათელი იგი და იქმნა ბნელი“* (გძელიევი 1868: 82-83). ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ სასწაულთან დაკავშირებული დეტალები სპირიდონ გრძელიშვილს უშუალოდ მოსწავლე დავითისაგან უნდა ჰქონოდა მოსმენილი, რომელიც თხზულების შედგენის დროისათვის წმ. დავითის ლავრაში მღვდელ-მონაზონ დანიელის სახელით მოსაგრეობდა. ჩვენი დაკვირვებით, სწორედ ამ გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული უფლისმიერი სასწაულის ასეთი ცხადლივი აღწერა.

აღნიშნული სასწაული ოდნავ სხვა კუთხით, თანაც, გაცილებით უფრო მოკლედ არის წარმოდგენილი „მარტვილობის“ გელათურ რედაქციაში. ამ თხზულების ავტორი – მღვდელ-მონაზონი ისაკი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ლეკების მიერ ტყვედ იყო წაყვანილი და ამიტომ წმ. დავითის ლავრაზე დაშვებული ზეციური ნათელი მან მხოლოდ შორიდან მოიხილა: *„შემდგომად აღსრულებისა მათ ღირსთა მამათა / გარდამოხდა ნათელი დიდი და დაადგრა გვამებსა წამებულთა*

მათ ჭ(ეშმარი)ტ(ა)დ მორწმუ/ნეთაგან უეჭველი და ურწმუნოთა იჭვენული. და იხილეს რა უსჯულოთა მათ (წმ. დავითის ლავრიდან დაღესტნისაკენ მიმავალმა ლეკებმა – თ. ჯ.) / განსაკრთომელი ხილვა ესე, არათუ შეიკდიმეს, ა(რამე)დ სთქვეს, ცეცხლი გარდამო/ხდაო მათდა დასანველადო“ (ხეც H-649: 1v).

„მარტვილობის“ გელათურ რედაქციაში ზეციური ნათლის გარდამოსვლის შემდეგ აღწერილია გარეჯელი მოწესეების დაღესტანში ტყვედ წაყვანის ამბავი: „ხოლო / ჩვენ, ხუთნი ტყვექმნილნი, მიგვიყვანეს დაღესტანს, სოფელსა ილს, / რომელ არს სავალი დღისა იშ (12) და მასვე დღესა განგვაშორეს ურთიერთ<არ>სჯაქ / ორისა დღისა სავალადმდე და დავყავით ნელი ერთი და ოთხი თვე დაღ/ისტანსა შ(ინ)ა, ფრიადსა მწუხარებასა შ(ინ)ა და სიყმილსა“ (ხეც H-649: 2r). მღვდელ-მონაზონ ისაკისეული რედაქციისაგან განსხვავებით, სპირიდონ გრძელიშვილის თხზულებაში გადმოცემულია არა ბერების ტყვედ წაყვანის ამბავი, არამედ – წმ. დავითის ლავრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ იოანე ავალიშვილის მოსვლა მონასტერში, ლეკებისაგან მოწყვედილი მამების გლოვა და მათი დაკრძალვა: „და მიუთხრეს სოფლად მყოფსა არხიმანდრიტს იოანეს ავალოვს განსაცდელი იგი. და ვითარცა ესმა წინამძღუარსა და სხუათა მკვიდრთა სოფლისათა, იქმნა მი-მო-ურთიერთ<არ>სჯაქ ზახილი, ტირილი და ვაება ყოველთა მსმენელთა მიმართ. ოდეს მივიდა არხიმანდრიტი და იხილა ბაკი იგი ცხოვართა თუსთა აოხრებული და ცხოვარნი რომელნიმე მომწყდარნი, რომელნიმე წარყუანებულნი და რომელნიმე განბნეულნი მგელთაგან, სტიროდა ფრიად ... და აღიღეს სანატრელნი გუამნი და შემურეს და დაფლეს სამარხოსა მამათა ჩუწნთა, წინაპარ ყოფილთა ამა უდაბნოსა შინა, ეკ<კ>ლესიასა თანა ღირსის დავითისასა, გარეთ, პირისპირ სასაფლაოსა მისსა შვიდნი იგი ერთად“ (გძელიევი 1868: 83-84).

კიდევ უფრო განსხვავებული სახისაა „მარტვილობის“ გელათურ და გარეჯულ რედაქციათა მომდევნო ფრაგმენტები. სპირიდონ გრძელიშვილისეულ თხზულებაში დამატებით აღწერილია ლეკების თავდასხმის მეორე ფაქტიც, რომელსაც 1857 წელს ჰქონდა ადგილი. ამ თავდასხმის დროს ლეკებმა გაძარცვეს წმ. დავითის ლავრა, დაარბიეს სავანის ქვედა ეზოში მდებარე ფერისცვალების ეკლესია, გაიტაცეს და დაღესტანში წაიღეს წმ. დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან მოტანილი სასწაულთმოქმედი მადლის ქვა. გარდა ამისა, ტყვედ წაიყვანეს მონასტერში მყოფი რამდენიმე სასულიერო და საერო პირი. თხზულების მიხედვით, ტყვეები მალევე გამოუხსნიათ ლეკების ხელიდან. გარეჯში დაუბრუნებიათ გატაცებული მადლის ქვაც: „გამოიხსნეს მღუდელ-მონაზონი მიტროფანე და მანვე მოიტანა მადლის ქუაცა“ (გძელიევი 1868: 84). რაც შეეხება „მარტვილობის“ მღვდელ-მონაზონ ისაკისეულ რედაქციას, აქ 1857 წლის დარბევის ამბავი საერთოდ არ არის ნახსენები (ხეც H-649). ეს სავსებით ლოგიკურია – თხზულების გელათური რედაქცია 1853 წელს არის შედგენილი და ამიტომ მასში ვერასგზობ ვერ აისახებოდა 1857 წელს მომხდარი ამბები.

დაახლოებით ასეთივე განსხვავებული ხასიათი აქვს „მარტვილობის“ გელათური და გარეჯული რედაქციების ბოლო ფრაგმენტებს. მღვდელ-მონაზონ ისაკისეულ თხზულებას დართული აქვს მოკლე ანდერძი და დამკვეთისათვის განკუთვნილი მცირე მინაწერი, სადაც ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს თხზულების შედგენის დროს, გადაწერის ადგილს, დამკვეთის ვინაობასა და სხვა ცნობებს (ხეც H-649: 2r). „მარტვილობის“ გარეჯულ რედაქციას ანდერძი არ ახლავს. სამაგიეროდ, მის ავტორს, სპირიდონ გრძელიშვილს მითითებული აქვს, რომ იგი არ არის აღწერილი მოვლენების თვითმხილველი და ჩამოთვლილი ჰყავს ის კონკრეტული პირები, ვის მონათხრობზე დაყრდნობითაც შეუდგენია საკუთარი თხზულება (გძელიევი 1868: 84-85).

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1851 წელს მოწყვედილ გარეჯულ მამათა „მარტვილობის“ გელათური (1853 წ.) და გარეჯული (1857-1868 წწ.) რედაქციები როგორც კოდიკოლოგიური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად სახესხვაობენ ერთიმეორისაგან, საკმაოდ მრავალფეროვან მასალას გვაწვდიან 1851 წელს ლეკების მიერ გარეჯის წმ. დავითის ლავრის დარბევის შესახებ და სანდო წერილობით წყაროებად გვევლინებიან აღნიშნული საკითხის შემდგომი სამეცნიერო შესწავლისათვის.

დასასრულ, ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „მარტვილობის“ პირველი, მღვდელ-მონაზონ ისაკისეული გელათური რედაქცია აქამდე არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული, აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ თხზულების მეორე, სპირიდონ გრძელიშვილისეული გარეჯული რედაქციის 1868 წლის პუბლიკაცია, პრაქტიკულად, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული და სრული სახით ვაქვეყნებთ ორივე თხზულების ტექსტს (იხ. დანართი I და II).

ბამოყენებული ლიტერატურა

არქიმანდრიტი ტარასი 1864: [არქიმანდრიტი ტარასი], უდაბნო ღირსისა მამისა ჩუწნისა დავით გარეჯელისა, საქართუშლოს სასულიერო მახარებელი, აგვისტო, ტფილისი, 1864.

გაბიძაშვილი... 1989: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი V, დასაბუქდად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ენრიკო გაბიძაშვილმა და მიხეილ ქავთარიამ, თბილისი, 1989.

გძელიევი 1868: სვირიდონ გძელიევი [სპირიდონ გრძელიშვილი], აოხრება წმიდის დავით გარეჯის უდაბნოსა, საქართუშლოს სასულიერო მახარებელი, [I], ტფილისი, 1868.

იოსელიანი 1936: პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი განერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936.

_____ ... მოწყვედილ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ ... რედაქციები

- კეზევაძე 2004:** მერაბ კეზევაძე, გელათის მონასტრის ნეკროპოლი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 11, ისტორია, ფილოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ფილოსოფია, თეოლოგია, კრეაციონიზმი, ეთნოგრაფია, ეკონომიკა, სამართალი, თბილისი, 2004.
- მენაბდე 1962ა:** ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტომი I, ნაკვთი პირველი, თბილისი, 1962.
- მენაბდე 1962ბ:** ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტომი I, ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1962.
- მეუნარგია 1904:** იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვანლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა, VI, „მომამბე“, III, ტფილისი, 1904.
- მღუდელ-მონაზონი კალისტრატე 1884:** წმიდა დავით გარეჯელის უდაბნო, შედგენილი მღუდელ-მონაზონის კალისტრატესაგან, ტფილისი, 1884.
- საქართველოს... 1985:** საქართველოს სასულიერო მახარობელი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 9, თბილისი, 1985.
- ქავთარია 1965:** მიხეილ ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბილისი, 1965.
- ქუთათელაძე 1951:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლილი ქუთათელაძის მიერ, თბილისი, 1951.
- ქუთათელაძე... 1946:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი I, დასაბეჭდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების ლილი ქუთათელაძისა და ნადია კასრაძის მიერ, თბილისი, 1946.
- ცხვილოელი 1895:** პ. ცხვილოელი [პოლიევქტოს კარბელაშვილი], დავით გარეჯის უდაბნოში, „ივერია“, 179, ტფილისი, 1895.
- წმიდანთა... 2001:** წმიდანთა ცხოვრება, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ტომი III, თბილისი, 2001.
- ხეც H-649:** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი ხელნაწერების (H) კოლექცია, ხელნაწერი 649.

დანართი I

მღუდელ-მონაზონი ისაკი

[წამება წმიდათა მამათა]

წელთა ჩჳნა (1851 წ.), ივლისისა იზ (17), | დროსა ყ(ოვლა)დ ამაღლებულისა, დიდისა ხელმწიფისა, იმპერატორისა ნიკოლაოს პა|ვლეს ძისა, ს(რულია)დ რუსეთისა და სხვათა და სხვათა და სხვათა მპყრობელისა, | დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა დღისასა იზ (12), მონასტერსა შ(ინ)ა დავითგარეჯისასა, | რომელ არს მახლობელ კახეთისა, დღისა ერთისა სავალისა, დაბნელდა ს(რულია)დ მზე და გა|მოსჩნდა ვარსკვლავნი ცისანი. ხ(ოლ)ო უკეთუ სხვათაცა ადგილთა დაბნელდა | მზე, ა(რამე)

და უმეტეს მას მონასტერსა. ამისთვის უწინარეს ერთისა დღისა იგლოვა | ცამან და ქვეყანამან <უსჯულოთაგან> მოხრება წმიდისა მონასტრისა მის და ღირსთა მამათა და ძმათა უ<ს>წყალოთ ტანჯვა უსჯულოთაგან. ხ(ოლო) ჩვენ, მუნ მყოფნი | მონასტერსა მას, ვიყვენით სულნი იზ (17) და შიშისაგან ფრიადისა შეპყრობილნი ეკვდერსა წმიდისა ქალწულმონაჲმისა მარინასა მწუხრისა ლოცვისა | აღსრულები-სათვის მდგომარე ვიყვენით. შ(ემდგომა)დ მყის გამობრწყინდა მზე და გა|ნათლდა ქვეყანა და ჩვენ მხურვალითა გულითა მადლობასა აღვაველენდით ღვთისა<მ>დ{მ} ი. |

და რომელსა ჟამსა დაბნელდა მზე, მასვე ჟამსა მეორესა დღესა, ხუთშაბათ-სა | მოვიდენ მას მონასტერსა შ(ინ)ა უსჯულონი აგარიანნი, რიცხვით იმ (16), აღჭურვილნი, მხეცებრ განძვინებულნი. პ(ირველა)დ იწყეს ტაძრისა ყ(ოვლა)დწმი-დისა განძარცვად. შ(ემდგომა)დ მეორეცა ტაძარი განძარცვეს – წმიდისა დიდისა ნიკოლაოზისა და ყოველი ქო|ნება და ჭურჭელი ამა ორთა მონასტერთა მიიტაცეს და ჩვენ, კრებულთა ერთ|ბამად გვცვიდენ. შ(ემდგომა)დ ამისა, იწყეს ძიებად დაფა-რულთა ნივ<ნ>{თ}ებთა და ვერარა | იპოვეს.

ამისა შ(ემდგომა)დ იწყეს ტანჯვად მამათა და ძმათა. პ(ირველა)დ კერძო დიაკონი | ოთარ უჩინოითა მახვილითა აღესრულა. შ(ემდგომა)დ იერომონახსა გე(რ)ონტის თავი | წარკვეთეს. სერაპიონ იერომონახსა უხეთქეს მახვილი თავსა და აღესრუ-ლა. გერმანე მწირ-მონაზონსა გან<ა>{უ}პეს მუცელი და მერმეთ თავი წარკვეთეს. ბესარიონ | მწირ-მონაზონსა მყის თავი წარკვეთეს. სვიმეო{ნ} დიაკონ<ი>{მან}, რომელ იყო ჭაბუკი | ასაკითა, იწყო სილტოლცა და უჩინოთა მახვილითა ტყ-ორცნილმან ვერღალა უძ|ლო სლვად და მერმეთ თავი წარკვეთეს. ხ(ოლო) რომელი იყო მიხაილ დუმღლშენყნარე|ბული და ფ(რია)დ მორჩილი კრებულისა და მონას-ტრისა, სხვათა უმეტეს სტანჯეს [და] | შეკრეს რა საბლითა და მიყვანდათ. ხ(ოლო) ო მან შენერწყვა უსჯულოთა მა[თ](?). ი, |, |, | და ამისა შ(ემდგომა)დ უხეთქეს თავსა მახვილი. შ(ემდგომა)დ მუცელი გან<ა>{უ}პეს და დასჭრეს უწყალოდ | ასოუულად.

ეჰა, საკვირველება <მ>ღვთისა და სასწაული, რომელ იქმნა წმიდისა | და ღმერ-თშემოსილისა მამისა დავით გარეჯელისა{გან}: რომელ არს ტაძარი და საფლავი მისი, უფრცე<ე>ლესი სხვათა მონასტერთა და უძველესი ყოველთა საქართ|ველოსა მონასტერთა და ფ(რია)დ შემკული მეფეთა და დიდებულთაგან <შემკული> | და პატივცემული, გარე უვლიდენ მას ტაძარს და არა უტევათ უსჯულოთა მათ ძა|ლმან სა<მ>ღ{მ}როთომან შესვლად მას შ(ინ)ა და დაშთა უფნებელად. დიდება განგებულე-ბასა | სამებით <მ>ღვთისასა.

შვიდნი რა აღასრულეს, ხუთნი კერძონი დიაკონნი | მიიფარენ, ხ(ოლო) ჩვენ, ხუთნი: ორნი იერომონახნი – მაკარი და ისაკ, ერთი დიაკონი – | საბა, ორნი კერ-ძონი დიაკონ{ნი} – მიხაილ და ვასილ, წარგვიტაცეს, უწყალოდ სირბილად გვაი-ძულეს და შოლტითა გგვემდენ. ესრეთ მწუხარებასა | შ(ინ)ა, რომელ სამთა დღეთა და ღამეთა არასადა იშოვებოდა ნანვეთი წყლისა | და ფრიადისა სიცხისა მიერ და წყურვილისა ვერღარა გვეძლო მეტყველებად | ენისა.

ა(რამე)დ, კურთხეულ არს ღმერთი, შ(ემდგომა)დ აღსრულებისა მათ ღირსთა მა-მათა | გარდამოხდა ნათელი დიდი და დაადგრა გვამებსა წამებულთა მათ ჭ(ემმარი) ტ(ა)დ მორწმუნეთაგან უეჭველი და ურწმუნოთა იჭვნეული. და იხილეს რა უს-ჯულოთა მათ | განსაკრთომელი ხილვა ესე, არათუ შეიკდიმეს, ა(რამე)დ სთქვეს,

ცეცხლი გარდამო|ხდაო მათდა დასაწველადო. ეჰა, უგბილსა და განგესლებულსა გონებასა მას | უსჯულოთასა და დაბნე|ლე|ბულსა სჯულსა მათსა.

ხოლო სახელები წამებულთა მათ | ესე არს: ორნი იერომონახნი – გე{რ}ონტი და სერაპიონ, ორნი მწირ-მონაზონნი – გერმა|<მა>ნე და ბესარიონ, ორნი კერძონი დიაკონნი – ოთარ და სიმეონ, ხოლო მეშვიდე, | მათ თანა უკანასკნელ წამებულ<ნ>ი მიხაილ – ერისა უწყებისანი. ესენი იყვნ|ენ რა სხვათა და სხვათა ადგილთაგან შემოკრებულნი: გე{რ}ონტი – კახეთისა, სერა|პიონ – იმერეთისა, მიხაილ – ქარ-თლისა, რცხილოვანისა, ბესარიონ – რაჭისა, სიმე{ო}ნ კერ|ძო დიაკონი – იმერე-თისა, ოთარ და მიხაილ – ტფილისის ქალაქისა.

და ღირს არი|ან იგინ<ე>{ი} შემდგომად ხორცთა განრყენისა, აღმოხმად ძვალ-თა მათთა და და|დებად პირველ წამებულთა ღირსთა მამათა, რომელ არს მცირესა ეკვდერსა შ(ინ)ა, | [მა]ხლობელ მონასტრისა მის და დღესასწაული მათი იხსენე-ბოდეს წლითი წლად და ახლად | [გამო]ჩინებულისა სასწაულისა, რომელი გარ-დამოხდა ზეცით ნათელი მასვე (?) მონა,|,|,|სტერსა წმიდისა მამისა და ღმერთშე-მოსილისა დავით გარეჯელისასა.

და ხოლო | ჩვენ, ხუთნი ტყვექმნილნი, მიგვიყვანეს დაღისტანს, სოფელსა ილს, | რომელ არს სავალი დღისა იბ (12) და მასვე დღესა განგვაშორეს ურთიერთ<არ>ს{ა} | ორისა დღისა სავალადმდე და დავყავით წელი ერთი და ოთხი თვე დაღ|ისტანსა შ(ინ)ა, ფრიადსა მწუხარებასა შ(ინ)ა და სიყმილსა. ეჰა, საკვირველება | მოწყ-ალისა <მ>ღვთისა, ესოდენითა განგრძობილითა მწუხარებითა არა გან|ვიდა სული ხორც{თ}აგან.

შ(ემდგომა)დ რიცხვისა ამის, ერთი ჩვენთანა მყოფი – | კერძო დიაკონი, სახ-ელით – ვასილ, მცხოვრებელი კახეთისა, იდუმალ განივლ|ტა და მოვიდა თვისსა მამულად. და ჩვენ, სამნი: იერომონახნი – ისაკ და მთა|ვარდიაკონი საბა და კერძო დიაკონი ვასილ ყ(ოვლა)დ უმონყალესისა ხელ|მწიფისა მონყალისა მიერ გამოხს-ნილ ვიქმნენით და მოვედით ტფი|ლისსა ქალაქსა ოკდობრისა თვესა იბ (11), ჩჴნბ (1852 წ.).

ა(რამე)დ უმეტეს და უმეტეს ალა|მალლოს უზენაესმან მადლმან ემმანოილისა-მან დიდებულება | იმპერატორებითისა <დიდებულება> მისისა და მიმადლოს ჟამთა | სიგრძე და მშვიდობითი სიცოცხლე და აღამალლოს სკიპტრა | მეფობისა მისისა და დაუმორჩილნეს მას ყოველნი მტერნი და მბრ|ძოლნი მისნი უკუნიითი უკუნისამდე, ამინ. |

[ხ(ოლო)] მე, უღირსმან დიდისა მონასტრისა გაენათისამან ისაკ, რომელ მეცა ტყვედ | მყოფი ვიყავ მათ თანა, რომელსა ვხედვედი თვალითა, დავსწერე | წამება წმიდათა მამათ<თ>ა, უმეტნაკლოდ შემოკლებული ესე ისტორია | <ესე>. |

თქვენო ყ(ოვლა)დ ღვთისმოყვარებავ, უ(ფალ)ო პლატონ იოსელიანო, რომელი-ცა მაქვნ|და ბრძანებული თქვე{ნ}მიერი, მიახლებია. | თქვენისა სიცოცხლისათვის ღვთისადმი მლოცველი, გაენათისა მღვდელ-|მონაზონი ისაკ. ჩჴნბ (1853 წ.), მაისის კი (29).

დანართი II

სპირიდონ გრძელიშვილი

აოხრება წმიდის დავით გარეჯის უდაბნოსა

ჩჳნა-სა (1851 წ.) წელსა, თვესა ივლისის იჳ-სა (18) დღესა, ჟამსა მწუხრი-სასა, მოინივნეს უსჯულონი ლეკნი უდაბნოსა წმიდისა დავითისასა, გარეჯად წო-დებულსა, თავსა ყარიისასა, რათამცა წარტყჳწნონ იგი. და ვითარცა მოვიდნენ, იხილეს უღმრთოთა მათ, რომელ არა აქჳნდათ ღირსთა მამათა საჭურველი. მაშინ იქმნა სანადელი მათ უღმრთოთა. მაშინ ეწყჳნენ და შეიპყრნეს რომელნიმე მათ-განნი და რომელნიმე ივლტოდნენ, არა თუ მონაზონნი, არამედ მორჩილნი. და შეი-პყრეს ღირსნი მამანი და იქმნა დენა და ღვრა სისხლისა და წარწყმედა ცხოვართა, რომელთაცა არა ჰყჳნდათ დროსა მას მწყემსი და არცა მცჳწლნი, რათამცა დაცულ ქმნილ-იყჳნენ და არა წარტყჳწნილ.

იქმნა ესე მსგავსად წინაპართა მამათა, რომელნი დაიკლნეს მათვე უსჯულოთა ლეკთაგან, წინამძღვრობასა ონოფრისასა და მოკლეს სანატრელი შიო, გაბრიელ და დავით და მწირ-მონაზონნი ხუთნი. მსგავსადვე ამისა, ანცა იძია შური ბოროტმან მან ეშმაკმან და მოაწივა განსაცდელი უძვირეს პირველისა, და იქმნა ასპარეზობა ფრიადი.

და მოკლეს სანატრელი მღჳდელ-მონაზონი გე{რ}ონტი, კაცი ფილოსოფოსი, განთქმული ყოველთა შორის, სრული მგალობელი. იყო სანატრელი იგი მდებარე სარეცელსა ზედა, უძღური და მოხუცი ფრიად და არა ძაღედვა, არამედ დაითხია სისხლი მისი, ვითარცა სისხლი ლტოლვილის ზაქარიასი, ძისა ბარუქისა, რომელი მოიკლა საკურთხეველსა შინა. ეგრეთვე შეიპყრეს მამა მღჳდელ-მონაზონი სერაპი-ონ, დაუხეტჳნეს მახვილითა ორპირითა თავი და გარდამოსწვეთდა სისხლი, ვითარცა ღვარი ნაპრაღისა და იღებებოდა სპეტაკი თმა თავისა და წვერი მისი და იქსოე-ბოდა პორფირი მენამული მისთვის. კვალად შეიპყრნეს მწირ-მონაზონი გერმანე და ბესარიონ და მოკლნეს იგინი. კჳლად მოკლეს სანატრელი მიხაილ<ი> ქართველოვი, რომელმან დუმილით და ფრიადი მორჩილებითა აღასრულა ცხოვრება თჳსი. კჳლად მოკლეს მორჩილი ოთარ, საბერო, ელიოზოვი. კჳლად მოკლეს სვიმონ მოსწავლე, ლომიძე. და დაითხივა სისხლი <ი>{ა}მათი და განავრცო პირი მიწამან, ვითარცა მწყურვალმან და შესვა, ვითარცა მწყურვალმან და ძველთაგან ჩვეულმან.

და შემდგომ ამათსა წარიყჳანეს ტყჳმდ მღჳდელ-მონაზონნი: მაკარი და ისაკი და იეროდიაკონი სერგი, მოსწავლე მიხაილ დოლმაზოვი და ვასილ ქისიყელი.

და დაშთა მოსწავლე დავით დოლმაზოვი, რომელიც არს დღეს მუნ უდაბნოსა შინა მღჳდელ-მონაზონი. ესე გადარჩა აღმოკვეთილსა კლდესა ქვეშე. და ორნი მო-სწავლენი ივლტოდეს და გადარჩნენ მშვიდობით, რომელ დღესაც ცოცხალ არიან, ერთი – ქვემო ხანდაკის მღჳდელი ალექსი ყანდარელი და {მეორე} – ჭჳკა დალ-მაშვილი, ნათლისმცემელსა შინა მივიდნენ და მიუთხრეს ამბავი ესე.

და ოდესაც მოაოხრეს ყოველივე, დაღენეს წმიდანი ხატნი, ოქრო და ვეცხლი განძარცვეს და წმიდანი სახარებანი და წმიდანი ტრაპეზნი და შესამოსელნი <ძვირ> ძვირფასნი. ესე ყოველნი იავარ ყვეს და არავითარი რაიმე უტევეს. გარნა წმიდის დავითის საფლავის ეკ<კ>ლესია ვერ ჰპოეს და დაშთა უვნებელად. ხოლო სხჳა არა რაიმე უტევეს.

და იყო ბნელი ღამე და წარვიდნენ ტყვეებითურთ. შვიდნი მოსწყვიდნეს და შვიდნი წარიყუანეს. იგინი იყუნენ ცხენით, ხოლო ტყვენი ფერხით მიჰყუანდათ. ოდესაც მივიდნენ თვსსა საბანაკოსა ალაგსა, ყარაიად წოდებულსა და დაბანაკებულ იქმნენ უსჯულონი იგი ლეკნი, იყო ღამესა მას დიდი საკვირველი და განსაცვიფრებელი ჩვენება, რამეთუ გარდამოხდა ნათელი უდაბნოსა მას და განათლდა უკუნი ბნელი და იქმნა ხილვა ამა ნათლისა სოფლებთაგანაც.

და ვითარცა იხილა დავით მოსწავლემან კლდის აღმოკვეთილიდგან, რომელი იყო დამალულ, სინათლე დიდი, ესრეთ გონებდა, ვითარმედ აღანთეს სანთელიო და მეძიებენ მე და დამალულთა სხუათაცაო, შეშინდა ფრიად. და მასვე ესმოდა ხმა მამა სერაპიონისა, რომელი იყო ფრიად დაჭრილი და კუნესოდა. და ოდესაც დასცხრა სანატრელი სერაპიონ და მიიძინა საუკუნო ძილითა, მაშინ ჩაქრა ნათელი იგი და იქმნა ბნელი.

და მას ჟამსა იყუნენ უსჯულონი ლეკნი ზემოხსენებულს ადგილს, ხევსა ყარაიისასა დადგომილნი. და ვითარცა იხილეს ნათელი იგი, იტყოდეს, ვითარმედ ჩუწნთვს იყოო, რამეთუ განგუწმარჯვო და იგინი ინვებიან ცეცხლითა, რომელნიც მოვაკუდინეთო. და ტყუშთა ულოცავდნენ ლეკნი და ეტყოდენ: „თქუწ განგარინეთო მშვიდობით“. გარნა იგინი არა რას მიუგებდენ და ფრიად სტიროდენ და იცემდენ მკერდსა და იტყოდენ: „ვაჲ, უბადრუკთა თავთა ჩუწნთა. რაისათვს ჩუწნცა არა მივიღეთ მათთანა აღსასრული, რომელ ვიქმნებოდით ჩუწნცა შვილნი სასუფეველისანი“. მაშინ წარვიდნენ და წარიყუანეს იგინი.

და ნათელი იგი იხილეს ყოველთა მკვიდრთა ქართლისა და კახეთისათა, რომელნი იყუნენ ველად და მოგზაურ. და ანცა ბევრნი მიხილავს, რომელნი იტყოდენ ხილუასა მას საკვირველსა.

ამისა შემდგომად, სხუანი, რომელნი ლტოლვილ იყუნეს უწინარეს შემოსვლისა უსჯულოთა მათ, მივიდნენ უდაბნოსა მას იოანე ნათლისმცემლისასა და მათ მიუთხრეს. და გამაგრდნენ იგინი და მიერ წარვიდეს და მიუთხრეს სოფლად მყოფსა არხიმანდრიტს იოანეს ავალოვს განსაცდელი იგი. და ვითარცა ესმა წინამძღუარსა და სხუათა მკვიდრთა სოფლისათა, იქმნა მი-მო-ურთიერთ<არ>ს<ა> ზახილი, ტირილი და ვაება ყოველთა მსმენელთა მიმართ. ოდეს მივიდა არხიმანდრიტი და იხილა ბაკი იგი ცხოვართა თუსთა აოხრებული და ცხოვარნი რომელნიმე მომწყდარნი, რომელნიმე წარყუანებლნი და რომელნიმე განბნეულნი მგელთაგან, სტიროდა ფრიად. სტიროდეს, ეგრეთვე, არხიმანდრიტი იოანე ჯორჯაძე და მონაზონნი იოანე ნათლისმცემლის მონასტრის და კრებულნი. და დაიფხვრიდენ თმათა თავისა მათისათა. და აღილეს სანატრელი გუამნი და შემურეს და დაფლეს სამარხოსა მამათა ჩუწნთა, წინაპარ ყოფილთა ამა უდაბნოსა შინა, ეკ<კ>ლესიასა თანა ღირსის დავითისასა, გარეთ, პირისპირ სასაფლაოსა მისსა შვიდნი იგი ერთად. და არიან მომლოდნელნი მოხსენებისა და მოელიან მომავალსა უფალსა იესოს. და იქმნება მაშინ წინაშე მისსა მოხსენება მომხსენებელთაცა მათთა.

მეორედ წახდენა უდაბნოსი დავით გარესჯისა ჩჰნზ-სა (1857 წ.) წელსა, ა-სა (1) ოკდომბერსა.

მოვიდნენ ბოროტნი ლეკნი და იავარყუწს უდაბნო. მაშინლა პოვეს სასაფლაოს ეკ<კ>ლესიის კარი, სადაცა დამარხულ არს წმიდა დავითი და განტეხეს კარი მისი და მუნ დაშთენილნი ნივთნი წარიდეს ყოველივე: მარგალიტის ფილონი, ბარძიმ-

ნი, ჯუარნი, სახარებანი და კანდელნი ვეცხლისანი, ზედა საბურველი საფლავისა, რომელ იყო ოქროქსოვილი, მიტრანი და ყოველნი ძკრფასნი ნივთნი.

და წარიღეს მადლის ქუა, რომელი მოტანილ იყო წმიდისა დავითისა მიერ იერუსალიმით. თანა წარიყუანეს ტყუზდ მღუდელ-მონაზონი მიტროფანე. განერა შეპყრობილმან თავი თვისი იერომნახმა გაიოსმან და გარდავარდა თავსა კარი<ს>ბჭისასა და წარვიდა გაქცევით მხარესა დასავლეთისასა და დაიმალა გე(რ)ონტის ბალის დასწვრივ, ნაპრალსა ხეობისასა. და სხუანი წარიყუანეს ტყუზნი. და მოკლეს გზასა შინა მავლობას ყარაული მიხაილ სერგიაშვილი და სხუანი წარიყუანეს ტყუზდ – ორნი ჭაბუკნი რუსნი, მლოცველად მოსრულნი და ორნი ქართველნი, ყარაულნი.

გამოიხსნეს მღუდელ-მონაზონი მიტროფანე და მანვე მოიტანა მადლის ქუაცა. და რუსნიცა და ქართველნიცა გამოხსნილ იქმნენ ფრიად მონყალე ჳელმნიფისა მიერ.

ესე ყოველივე შემთხუშვა ჩემ(ს) მიერ არა ხილულ არს. გარნა მხილველ ვარ ტყუზდ ყოფილთა მამათაგანისა – იეროდიაკონის სერგისა, რომელი აქავე იყო უდაბნოსა შინა და გარდაიცუალა. იგი მრავალს იტყოდა, გარნა მე მცირე დავწერე. მღუდელ-მონაზონი ისაჰკი ვიხილე გენათის მონასტერსა შინა. და მანცა მიამბო ყოველი. გარნა მე არა ძალ-მედვა აღწერად ყოვლისა, რასაცა ამბავსა იტყვიან იმ დროს მხილველნი. აქავ, დავითგარესჯის უდაბნოსა შინა {არის} იმ დროს დამსწრე და მხილველი მღუდელ-მონაზონი დანიელ, რომელიცა მითხრობდა მრავალთა და მე აღვწერე აქა.

Temo Jojua

GELATI AND GAREJI REDACTIONS OF THE „MARTYRDOM“ OF THE MONKS FROM GAREJI SLAUGHTERED IN 1851

SUMMARY

In 1851 Lavra of St. David of Gareji suffered incursions by the Lezgins (Dages-tanis). The event is the less studied one. Just a few authors and written sources of the 19th-20th centuries give accounts about this tragic event. Of special note are two hagiographic stories in which slaughter of the Garejian monks is described. These are „The Martyrdom of Holy Fathers“ and „Ravaging of the David-Gareji Desert“. The paper deals with origination of the above stories, as well as the issues of their structural interrelation. The following was established on the basis of the analysis:

1. „Martyrdom of the Holy Fathers“ was written in 1853 (copying of the manuscript was finished on May 29) at Gelati Monastery, by the local hieromonk Isaak, on order of the prominent Georgian scholar Platon Ioseliani. Bishop Kirion Sadzaglishvili, later on the Catholicos-Patriarch of All Georgia Kirion II (1917-1918), came into possession of the manuscript. In 1911 he donated it to the Museum of the Historical and Ethnographic Society of Georgia. In 1851 the author of the story was a monk of the Lavra of St. David. He had witnessed the tragic event, therefore accounts of him can

be considered a reliable initial source for studying the event of 1851. Original version of the „Martyrdom“ written by hieromonk Isaak, i.e. the Gelati redaction, is preserved at the National Centre of Manuscripts: collection H, manuscript no. 649. Content of the manuscript has never been published prior to us.

2. „Ravaging of the David-Gareji Desert“ was compiled between the years 1857 and 1868 at the Lavra of St. David of Gareji, by a bookman of the Lavra, a novice at that time, Spiridon Grdzlishvili. As the author had not personally witnessed the tragedy, he had written down the story from the words of those Garejian monks, who were involved in the event: hieromonk Isaak (who later on was transferred to Gelati Monastery), hieromonk Daniel (the former David) and archpriest Sergi, all three from the Lavra of St. David. Original manuscript of the “Martyrdom” is lost, but fortunately the text was published in the Georgian theological journal “Sakartvelos sasuliero makharebeli” in 1868, issue no. 1.

3. The redactions of the „Martyrdom“ compiled at Gelati and Gareji monasteries, significantly differ from each other structurally. They give accounts of interest on incursion of the Lavra of St. David of Gareji in 1851 by Lezgins, and the both can be considered a reliable source for further scholarly studies.

Full texts of the two redactions of the „Martyrdom“ are appended.

ცისანა აბულაძე

სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ქეთხუდა
ფარსადანის გორის ციხის მართლუსაშად
დანიშვნის თაობაზე

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ოსმალთა სულთნების მიერ გაცემული 63 სიგელი. მათი უმრავლესობა „ოსმალთა ხანის“ (1723-1735) თიშარ ბერათებია, რომლითაც სულთანი, სალაშქროდ გასვლის პირობით ან ოსმალთა წინაშე განეული გარკვეული სამსახურის საზღაურად, ქართლის მკვიდრთ „უბოძებს“ თიშარს, ან ზეამეთს, იშვიათად სახასო მამულს. ფირმანების ადრესატები ქრისტიანები არიან და შენარჩუნებული აქვთ ნოდებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინები „თავადი“, „აზნაური“, მაგრამ თითოეულის საკუთარ სახელს მოსდევს დალოცვის ფორმულა *ختمت عواقبه بالخير* „კეთილად დასრულდეს მისი სიცოცხლე“, ანუ „გარდაიცვალოს ისლამური რელიგიის წიაღში“.

ქვემოთ ქვეყნდება 1724 წელს სულთან აჰმედ III-ის (1703-1730) სახელით თბილისის საზამთრო ბანაკში გაცემული ფირმანის ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით. ფირმანი საინვესტიციურ ბერათია, რომლითაც გორის რაბათის ციხისთავად (მართლუსაშად) ინიშნება ქეთხუდა ფარსადანი, დღიური 30 ახჩა ხელფასით, ამავე ბერათით მას დაექვემდებარება 40 კაცი, რომელთა დღიურ სარგოდ განსაზღვრულია 5-5 ახჩა.

ფირმანი *Tur d 33*. ზომა: 48×44 სმ., სტრ. რაოდენობა 9, ხელი: ენი დივანი, მელანი: შავი, თულრა ოქროს მტვრით დაფარული. ქალაღი: თეთრი სქელი ქვირნიშნიანი. საბუთი ახლად რესტავირებულია. ზურგზე არის კუირუკლუ იმზა მინანერი „№65 *Капитан Такинова*“.

احمد شاه بن محمد خان مظفر دائماً

[1] [ამირ ალა] مرآة الكرام كبير الكبراء الفخام ذو القدر و الاحترام صاحب العز والاحتشام
المختاص بمزيد عنايت الملك الاعلي كوري قلعه سي محافظه سنه مامور عمر دام اقباله توقيع
رفيع همايون واصل اوليجق معلوم او لا كه

- [2] سنکه میر میران مومی الیه سن تقلیس جانبنده اردوی همایونمه مکتوب کوندروب حالا کوری قلعه سی رباطی کتخدالر ندن دارنده فرمان همایون بارسه دان نام کتخدان صداقت واستقامت ایله
- [3] خدمت مامول اولوب و بو آنه دک اطراف و انحایه کوندریلان ادملرک یانلرینه قوالاغوزلر تعین وقلعه مزبورہ نك جوانب اربعه سنده قراغوللر بکلمک مثللو خدمتی سبقت ایلدوکن
- [4] اعلام و قلعه مرقومه رباطنه مارتلوس باشی نصب و تعیین معیتنه یومی بشر اقچه ایله قرق نفر مارتلوس تحریر و خدمات مذکورہ دن اعمال اولنملری بابتده عنایت رجسني
- [5] عرض ایلدوکه اجدان موجبجه مزبور پارسه دان کتخدایه استانه سعادتدن برات اولنوب کلنجه خدمت مرقومه ده
- [6] استخدام و قرق نفر دخي یومی بشر اقچه ایله قید اولنملری ایچون علی الاسامی تحریر ودفتر وتذکره لری اخراجی ایچون اردوی همایونمه عرض و اعلام ایلمک بابتده فرمان عالشانم
- [7] صادر اولمشدر بیوردوم که وصول بولدقده وجه مشروح اوزره شرفیافته صدور اولان امرم اوزره عمل ایلیوب مرقوم بارسه دان کتخدای استانه سعادتدن برات اولنوب کلنجه خدمت مرقومه ده
- [8] استخدام و معیتنده اولمق اوزره یومی بشر اقچه ایله قرق نفر مارتلوس تحریر و دفتر و تذکره لری اخراج ایچون اردوی همایونمه عرض و اعلام ایلیبه سن شویله بیله سن علامت شریفه اعتماد قیله سن
- [9] تجریرا فی اواخر شهر جمادی الاول سنه ست و ثلثین و مائه و الف.

*بمشتای

تقلیس

ჯარის - მსტი ყაზარმა, საზამთრო ოსმალურად იწერება ასე მსტა მსტა საზამთრო ბანაკი

[თულრა] აჰმედ შაჰი¹ ძე მეჰმედ ხანისა, მარადის გამარჯვებული ემირთა შორის უკეთილშობილესს, დიდებულთა შორის უდიდებულესს, ძლიერებითა და პატივით მოსილს, ღირსებითა და ბრწყინვალეობით აღვსილს, უზენაესი მეფის უხვი წყალობით გამორჩეულს, გორის ციხის კომენდანტს ომერს², გახანგრძლივდეს მისი ბედნიერება, როცა უავგუსტოესი საიმპერატორო ბრძანებულება თქვენამდე მოაღწევს, იცოდე, შენ, რომელიც ზემოხსენებული მირმირანი³ ხარ, თბილისის სანახებში მყოფ ჩემს საიმპერიო ჯარს წერილი გამოუგზავნე და აცნობე, რომ გორის ციხის რაბათის ქეთხუდებიდან უავგუსტოესი ფირმანის მფლობელი ქეთხუდა ფარსადანი⁴, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთგულად და კეთილსინდისიერად ეწევა სამსახურს. აქამდე გორის ციხის სანახებსა და მიდამოებში გაგზავნილ პირებს ყოლაუზებს უნიშნავს და

ხსენებული ციხის ოთხსავე მხარეში ყარაულებს აყენებს. ციხის დაცვის მსგავსი ქმედებანი შეგვატყობინე და, რადგან არზა წარმოგვიდგინე და გვთხოვე წყალობა [ფარსადანის] ხსენებული ციხის რაბათის მართლუსაბაშად⁵ დანიშვნა და აღნიშნული სამსახურის შესასრულებლად მის ხელქვეითებად დღიურად ხუთი ახჩა სარგოთი 40 მართლუსის ჩანერა, ამიტომ, შესაბამისად ამისა, ჩემი სვებედნიერი ზღურბლიდან გაიცა ბერათი ხსენებული ქეთხუდა ფარსადანის გორის ციხის მართლუსაბაშად დანიშვნის თაობაზე, დღეში 30 ახჩა სარგოთი. როგორც კი ბერათი მოვა, იგი განწესებულ იქნას აღნიშნულ სამსახურში და მასთან 40 კაცი, დღეში 5-5 ახჩა სარგოთი ჩაინეროს საულუფო⁶ სიაში; დავთარი და თეზქერე წარედგინოს და ეცნობოს ჩემს სამეფო ჯარს, ჩემი მაღალღირსეული ფირმანი გამოიცა, ვბრძანე, რომ როცა იგი თქვენამდე მოვა, განმარტებულის შესაბამისად, ჩემი პატივდებული განკარგულების მიხედვით იმოქმედეთ. ხსენებულ ქეთხუდა ფარსადანს ჩემი სვებედნიერი ზღურბლიდან ბერათი გაეგზავნა. ბერათს როგორც კი მიიღებს, განწესებულ იქნას აღნიშნულ სამსახურში, მის განკარგულებაში ჩაინეროს 40 მეციხოვნე დღიური 5-5 ახჩა შემოსავლით და წარმოდგენილ იქნას მათზე დავთარი და თეზქერე.

ასე იცოდნენ, ჩემს წმინდა ნიშანს მიენდონ.

დაინერა ჯუმად ალ-ევევლის თვის ბოლო დეკადაში ათას ას ოცდათექვსმეტ წელს.⁷

შენიშვნები

1. შაჰინსპ. ირანის მეფე. ოსმალთა სულთნების თულრაზე პირველად გაჩნდა სულეიმან კანუნის (1520-1566) მიერ გაცემულ საბუთებში. შემდეგ იგი შევიდა სელიმ II-ის (1566-1574), მურად III-ის (1574-1595), მეჰმედ III-ის (1595-1603), აჰმედ I-ის (1603-1617), ოსმან II-ის (1618-1622), მურად IV-ის (1623-1640), იბრაჰიმის (1640-1648), მუსტაფა II-ის (1695-1703) და აჰმედ III-ის (1703-1730) თულრებშიც. ხოლო მაჰმუდ I-ის (1730-1754), ოსმან III-ის (1754-1757), მუსტაფა III-ის (1757-1773), აბდულ ჰამიდის (1773- 1789), მუსტაფა IV-ის (1807-1808), მაჰმუდ II-ის (1808-1839), აბდულ მეჯიდის (1839-1861), აბდულ აზიზის (1861-1876), აბდულ ჰამიდ II-ის (1876-1909) და მეჰმედ V-ის (1909-1918) თულრებში სულთნის სახელის შემდეგ იკითხება „ხან“ خان (<მონღ. خاقان), მას მოსდევს სპ. „შაჰ“, შდრ. Б. Недков, Османотурска дипломатика и палеография, София, 1966.

2. ომერი უნდა იყოს 1730 წლით დათარიღებულ „გარდანყვეტილებს წიგნში“ მოწმედ დასახელებული „შუბაში“ (=სუბაში 1. დაბალი ჩინის სამხედრო პირი ოსმალეთში, 2. პოლიციელი. ც. ა.) „ომარ ქია“ (< كيا <სპ. ختخამამასახლისი, მმართველი) იხ. Hd 2957. ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წიგნი I, თბილისი 1940.

3. მირმირანი < მირ-ი მირან مير میران არაბ. امير-ს ირანიზებული ფორმაა. იგი თურქული „ბეგლარბეგი“-ს სინონიმია.

4. ვფიქრობ იგი არის თაყინასშვილი ზალუას ძე ფარსადანი, რომელიც 1725 წლის ნასყიდობის წიგნში – (Hd 1252) მხოლოდ გვარსახელითაა მოხსენიებული, 1737 წლიდან კი როგორც გორის მელიქი (იხ. Hd 493, Hd 1629, სეა, 925).

5. მართლუხი < ბერძ. Αρματωλος > ოსმ. *مارتلوز // مارتلوس* მცველი, შეიარაღებული პირი, რომელიც მსახურობდა ოსმალების, ან მათ მიერ დაპყრობილი ციხეების მცველად, მეციხოვნედ. „მართლუსბაში“ – ოსმალთა ხელქვეითი ქრისტიანი ციხისთავია *ش سامي، قاموس ترکی،* გვ. 1256.

6. ტექსტში არაბ. *اسامي* (ოსმალურში *اساما* ფორმითაც გვხვდება) წერია. ასე უწოდებდნენ ოსმალები დავთარს, რომელშიც შეჰქონდათ სამხედრო სამსახურში მყოფ პირთა სია და აღნიშნული იყო მათი ხელფასი, ფულადი ულუფა. M. Z. Pakalın, Osmanlı tarih deyimleri ve terimleri Sözlüğü, İstanbul, გვ. 546-547.

7. 1724 წლის მარტი.

რამდენიმე შენიშვნა საბუთის პალეოგრაფიულ მხარეზე:

1. „სალირ-ნუნის“ *صاغر كاف* აღმნიშვნელი გრაფემის კ-ს ზემოთ უზის სამი წერტილი – *ك*, ზუსტად ისე, როგორც სახელმძღვანელოებშია, მაგრამ საბუთებში არსად შემხვედრია

2. ორი ერთნაირი თანხმოვანი გრაფიკულადაც გამოხატულია და „თემდიდ-იც“ არის დასმული:

3. *ي*-ს ბოლოკიდურ პოზიციაში ყველგან უზის ორი წერტილი *اروي، كوري*.

4. „მადდიანი“ ელიფი წერია არაარაბული წარმომავლობის სიტყვის შუაშიც: *كتخذادن*.

5. ენის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ფაქტია დათარიღებულ წყაროში მჟღერი ხშულების შესაბამისი ყრუ ფონემის აღმნიშვნელი გრაფემით გადმოცემა: *كوړوپ، الوپ، وچه*.

Tsisana Abuladze

DEED ISSUED BU SULTAN AHMAD III ON APPOINTMENT OF KATHUDA PARSADAN AS HEAD OF GORI FORTRESS

SUMMARY

The article presents the Turkish text of the Ottoman deed (Turd 33) preserved in the National centre of Manuscripts, supplied with the Georgian translation and comments. The document is an investiture note, by which kethuda Parsadan, probably takinasshvili, son of Zalua, is being appointed commandant of Gori fortress. The deed is issued in March, 1724. It is of great importance for political and social history of Kartli in the Ottoman period.

სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსო ანდრია (გვაზავა)

სამონაზვნო ტრადიცია საქართველოში სამთავისის ტაძრის გათხრების ფონზე

სამონაზვნო ცხოვრების ტრადიცია უშუალო კავშირშია სახარებისეულ მცნებებთან. ცხოვრების ეს წესი არის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ნებაყოფლობით ირჩევენ ქრისტიანები. მისი საშუალებით გამოიხატება ადამიანის განსაკუთრებული მისწრაფება ღვთისაკენ, მონყვეტა ამქვეყნიური ყველა საზრუნავისაგან და საკუთარი თავის მთლიანად დათმობა ქრისტეს სიტყვის აღსრულებისათვის, რათა მოიპოვოს მადლი სულისა წმიდისა, – გარდამქმნელი ადამიანის დაცემული ბუნებისა და მიმყვანი პირველყოფილ, სანყის ანუ ადამის მდგომარეობამდე. „ვისაც უნდა რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი, აილოს თავისი ჯვარი და მომდევდეს მე“ (ახალი აღთქმა 1993: მთ. 16-24), – ეუბნება მაცხოვარი თავის მოწაფეებს. უფალ იესო ქრისტეს საყვარელი მოწაფე იოანე ღვთისმეტყველი თავის I ეპისტოლეში ბრძანებს: „ნუ შეიყვარებთ სოფელსა, ნურც იმას, რაც სოფელშია, ვისაც სოფელი უყვარს, მასში არ არის მამის სიყვარული, ვინაიდან ყოველივე, რაც სოფელშია: ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და სიამაყე ცხოვრებისა, მამისგან კი არა, სოფლისაგან არის, გადადის სოფელი და მისი გულისთქმაც, ღვთის ნების აღმასრულებელი კი რჩება უკუნისამდე“ (ახალი აღთქმა 1993: 1. ინ. 2. 15.17.).

სამონაზვნო ცხოვრების წესის ჩამოყალიბება მოხდა ადრექრისტიანული პერიოდის – III საუკუნის დასასრულსა და IV საუკუნის დასაწყისში. როგორც ცნობილია, მონაზვნობის აკვანი არის ეგვიპტე. იგი უკავშირდება ისეთ დიდ ღირს მამებს, როგორებიც იყვნენ: ანტონი დიდი, პავლე თებაიდელი, პამბო, მაკარი დიდი, პახუმი დიდი და ა. შ. ამ დიდი მამების მიერ დამკვიდრდა სამონაზვნო ცხოვრების ორი ძირითადი წესი: კვინობიტური, ანუ საერთო საცხოვრებლის ტიპის მონასტერი და ანაქორეტული, ანუ განდევნილური სამონაზვნო ცხოვრების ფორმა.

ეგვიპტის უდაბნოში თავი მოიყარეს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსულმა ქრისტიანებმა და ამჯერად უკვე მათი მეშვეობით ხდება ამ ცხოვრების წესის გავრცელება იმდროინდელ საქრისტიანოში.

ისტორიამ შემოინახა სახელები ქართული წარმომავლობის ღვანღმოსილი მამებისა, რომელთაც V-VI საუკუნეებში დიდი წვლილი შეიტანეს სამონასტრო წესის დამკვიდრებასა და მონასტერთა დაფუძნებაში საქართველოს ფარგლებს გარეთ. ესენი არიან პეტრე იბერი, ეპისკოპოსი იერემია იბერიელი, ანტონი – სელევკიის ეპისკოპოსი. აქვე აღვნიშნავთ დოდო გარეჯელს, რომელიც დახვდა საქართველოში ჩამოსულ დავით გარეჯელს. ღირსი მამის ჩამოსვლამდე იგი უკვე ბერი იყო და განდეგილად ცხოვრობდა.

ზოგიერთი მკვლევარი საქართველოში სამონასტრო კერების ჩამოყალიბებას ასურელ მამებს უკავშირებს. ცნობილია, რომ თორმეტი ასურელი მამა, თავიანთ წინამძღოლთან ერთად, საქართველოში მოვიდნენ მაშინ, როცა სპარსელებს დაპყრობილი ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველო, რამაც ხელი შეუწყო ჩვენში მონოფიზიტობის გაძლიერებას.

ასურელ მამათა აღმსარებლობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ზოგიერთ მეცნიერს მათ დიოფიზიტობაში ეჭვი არ ეპარებოდა და ამდენად, მათ აღმსარებლობაზე არც კი შეჩერებულა. მაგალითად, მ. ბროსე და დ. ბაქრაძე ასურელ მამათა ორთოდოქსალურ ქრისტიანობას სადაოდ არ მიიჩნევდნენ და ამის გამო ამ საკითხს საგანგებოდ არ ეხებოდნენ. პლ. იოსელიანი მამებს მხოლოდ „საქართველოში ქრისტიანობის განმამტკიცებლებს“ უწოდებს (Иоселиани 1845: 28).

მ. საბინინი და მ. ჯანაშვილი ასურელი მამების დამსახურებაზე მიუთითებენ იმის გამო, რომ იმ დროისათვის საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდეს მწვალებლებმა და ცრუმოძღვრებებმა და დიოფიზიტობის განმტკიცებას საქართველოში მათმა მოღვაწეობამ სულ უფრო მეტი სიმყარე შესძინა (Сабинин 1877: 102-103; ჯანაშვილი 1886: 49).

თ. ჟორდანიას აზრითაც, ასურელი მამების ჩამოსვლა საქართველოში გამონწვეული იყო „სომხური მონოფიზიტობის“ წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით და ამ საქმეში მათი თავგანწირვა თვალნათელია (ჟორდანი 1892: 54). ნმ. კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის შეხედულებაც სწორედ ამგვარია, ასურელი მამები მტკიცე მართლმადიდებლები არიან და საქართველოში მონოფიზიტობისა და ცეცხლთაყვანისმცემლობის მიმდევართაგან ეკლესიის დასაცავად მოდიან (Еп. Кирион 1899: 8). მამების დიოფიზიტური მრწამსის მომხრეა მ. თარხნიშვილი (თარხნიშვილი 1951: 689). მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძისთვისაც ასურელი მამების დიოფიზიტობის საკითხი სადაო არ არის (ეპ. ანანია ჯაფარიძე 1996: 390).

ვ. გოილაძე ასაბუთებს რა ასურელ მამათა დიოფიზიტობას, აღნიშნავს, რომ 518 წლიდან ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ მკაცრი დიოფიზიტური რელიგიური პოლიტიკის გატარება და იმპერიის აღმოსავლეთ მხარეებში ქალკედონიტი მწყემსმთავრების აღსაყდრება იმის მაუწყებელია, რომ ედესაშიც, საიდანაც იგი ასურელი მამების წამოსვლას ვარაუდობს, დიოფიზიტები მძლავრობდნენ. ასევე VI საუკუნის დასაწყისიდან, ირანის პოლიტიკური გავლენის პირობებში, მისი აზრით, „სირიელ მამათა მოსვლა, მათ მიერ ქართლის სხვადასხვა რეგიონში მონასტრების აგება, სწორედ დიოფიზიტების პოზიციების განმტკიცებას ემსახურებოდა“ (გოილაძე 1992: 198).

შ. ნუცუბიძის მოსაზრებით, ასურელი მამები პეტრე იბერის დაარსებულ ნეოპლატონიკური ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ და როგორც დიოფიზიტური, ასევე მონოფიზიტური მრწამსისადმი შემწყნარებლები იქნებოდნენ (ნუცუბიძე 1956: 133).

პირველი განსხვავებული მოსაზრება ასურელ მამათა აღმსარებლობის შესახებ ეკუთვნის ნ. მარს, რომელიც მიიჩნევდა, რომ ნესტორიანობა საქართველოში ასურელ მამათა შემოტანილი უნდა ყოფილიყო (Mapp 1906: 3). ეს აზრი მოგვიანებით პ. ინგოროყვამაც გაიზიარა (ინგოროყვა 1939: 163).

შემდგომი განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა კ. კეკელიძემ, რომლის ვარაუდითაც, ასურელი მამები მონოფიზიტობის მიმდევრები და ეროვნებით ქართველები იყვნენ (კეკელიძე 1926: 92-94). ამ აზრს მიემხრნენ ლ. მელიქსეთ-ბეგი და ლ. მენაბდე და ასურელი მამები მონოფიზიტობის დევნის შედეგად მოსულებად მიიჩნიეს (მელიქსეთ-ბეგი 1959: 210-211, მენაბდე 1962: 46).

კ. კეკელიძის აღნიშნულ მოსაზრებას მაშინვე გამოეხმაურა წმიდა გრიგოლ ფერაძე. თავის ნაშრომში – „ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“ – ავტორი ასურელ მამებს მიიჩნევს დიოფიზიტებად და აღნიშნავს მათ განსაკუთრებულ ღვაწლს ზოგად საცხოვრებლის ანუ კინობიტური ცხოვრების წესის მონასტრების დაფუძნებაში (წმ. მღვდელმონაწამე გრიგოლ ფერაძე 2006: 84-95). ამავე აზრს ეთანხმება აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ამბობს: „ასურელი მამების მოღვაწეობის მიზანს აღმოსავლეთ საქართველოს განმტკიცება შეადგენდა „სარწმუნოებითა მართლითა“, ე. ი. ისინი მართლმადიდებლობის გასამაგრებლად მოსულან“ (ჯავახიშვილი 1979: 412). მეცნიერი ეყრდნობა ჯუანშერის ცნობას, რომლის მიხედვითაც, „მოვიდა იოანე შუამდინარეთიდან, რომელსა ეწოდა ზედა-ზნელი, განმანათლებელი ქართლისა და განმწმედელი სჯულისაო“ (ჯუანშერი 1955: 207).

კ. კეკელიძის მოსაზრებას პირველად მაშინ გამოეცალა არგუმენტი, როცა ჯავახიშვილმა სომხურ „ეპისტოლეთა წიგნის“ საშუალებით ქალკედონიან მქადაგებლებს სირიიდან VI საუკუნის შუა ხანებში ალბანეთშიც მიაკვლია. აქე-


დან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ასეთ მქადაგებლებს ქართლშიც შეიძლება ემოლვანათ. რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის იმ აზრს, რომ VI საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში მონოფიზიტობა ბატონობდა, იზიარებს ა. ბოგვერაძე (ბოგვერაძე 1979: 59) და მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე (ამ უკანასკნელის აზრით, დაახლოებით 532-551 წლებში, ქართლი მონოფიზიტური მიდრეკილებისა ყოფილა) (ეპ. ანანია ჯაფარიძე 1996: 382).

ბოლო დროს ასურელ მამათა დიოფიზიტური მრწამსის სასარგებლოდ მყარი არგუმენტები წარმოადგინა დ. მერკვილაძემ. მისი აზრით, როგორც შესაბამისი დოკუმენტებით დასტურდება, მართებულია ჯავახიშვილის შეხედულება, რომ შევინროებული მდგომარეობისდა მიუხედავად, სირიის ქალკედონიტი ბერები იმხანად სხვა ქვეყნებში საქადაგებლად გამგზავრებას მაინც ახერხებდნენ.

VI საუკუნეში ქართლის ოფიციალურ ქრისტიანობად მონოფიზიტობა არასდროს არ ითვლებოდა. ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროს მტკიცე ქალკედონიტობა იყო გაბატონებული (შდრ. პროკოპი კესარიელის ცნობა, იბერთა სანიმუშო მართლმადიდებლობის შესახებ) (მერკვილაძე 2006: 155).

რაც შეეხება დვინის 506 წლის საეკლესიო კრებას, რა დროიდანაც სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა სარწმუნოებრივ ერთიანობას ვარაუდობდნენ, დ. მერკვილაძე თავის მოსაზრებას შემდეგნაირად ასაბუთებს: მას შემდეგ, რაც იმპერატორობა ბიზანტიაში ხელმეორედ მოიპოვა ისავრიელმა დიდებულმა – ზენონმა, კონსტანტინოპოლის პატრიარქ აკაკისთან შეთანხმებით, 482 წელს მან გამოსცა საგანგებო დადგენილება – „ჰენოტიკონი“, რომლის სარწმუნოებრივი განსაზღვრება ეყრდნობოდა პირველი სამი მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს (ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსს, ეფესოს დადგენილებას) და გამობდა ნესტორიანობას. „ჰენოტიკონი“, უკიდურესად გამწვავებული კონფესიური დაპირისპირების ფონზე, არ ახსენებდა ქალკედონის კრებას და ამით მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა შემრიგებლობას იმედოვნებდა. ბერძნულ ეკლესიასთან ამიერკავკასიის ეკლესიათა სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი ერთობა დვინის კრებაზე მხოლოდ „ჰენოტიკონის“ აღიარებით და ნესტორიანობის (და არა ქალკედონიანობის) დაგმობით უნდა ყოფილიყო მიღწეული (მერკვილაძე 2006: 147-148). ჯერ კიდევ XIX საუკუნის მინურულში ამ აზრს, რომელსაც ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსი ემხრობოდა, მიმდევრები შემდგომშიც გამოუჩნდნენ, ქართველ ისტორიკოსთაგან ეს აზრი გაზიარებული აქვთ მ. თარხნიშვილს და გ. მამულიას (თარხნიშვილი 1951: 544-549, მამულია 1992: 50).

დ. მერკვილაძის დასკვნით, ქართლის ეკლესია, საგარეო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მართალია, ყოველთვის მტკიცე თანმიმდევრულ ქალკედონურ მიმართულებას ვერ ადგა, მაგრამ მთელი VI საუკუნის მანძილზე



7

ასევე არ იყო მონოფიზიტური მიმდინარეობის თანმიმდევრული აღმსარებელი. ეს კი სწორედ ის ხანაა (VI ს. II-მეოთხ.), როცა საქართველოში ასურელი მოღვაწენი მოემგზავრებიან, ამდენად ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროს ქართლის ოფიციალურ ეკლესიას მონოფიზიტობის ამღიარებელთა შორის ვერანაირად ვერ ჩავთვლით (მერკვილაძე 2006: 154).

აღსანიშნავია, რომ ცამეტ ასურელ მამათაგან თორმეტის დაკრძალვის ადგილი ჩვენთვის ცნობილია. აქ მათ სიცოცხლეშივე ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი საძმოები, ხოლო ვინც გამორჩეულნი იქნენ მღვდელმთავრებად, მათი მოღვაწეობის ადგილები იქცა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრებად. ეს ადგილები დღესაც ფუნქციონირებენ, როგორც საეპისკოპოსო კათედრები ან მოქმედი მონასტრები. ისინი ყოველთვის წარმოადგენდნენ ქართველი მეფეების, დიდებულებისა და ხალხის განსაკუთრებული ზრუნვისა და თაყვანისცემის ადგილებს, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მათდამი ეს პატივისცემა დიოფიზიტური მრწამსის მქონე სახელმწიფოში, ასურელი მამების „მართალი სარწმუნოების“ მიმდევრობის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა.

ასურელ მამათა სიაში მოხსენიებული არის ისიდორე (ეზდერიოზ) სამთავნელი, რომლის დაკრძალვის ადგილად ითვლება სამთავისის ტაძარი. მის აღმშენებლად მოიხსენიება V ს. II-ნახევარში მოღვაწე ნმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი, ხოლო საეპისკოპოსო კათედრის არსებობა სამთავისში დასტურდება დვინის 506 წლის საეკლესიო კრების აქტებში.

ამჯერად გვსურს თქვენი ყურადღება მივაპყროთ სამთავისის ტაძარში ბოლო დროს ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებს, რომლებმაც დაადასტურა იმ წერილობითი თუ ზეპირი წყაროების მონაცემების სისწორე, რომლებიც აქ უკვე V-VII საუკუნეებში მძლავრი სამონასტრო და საეპისკოპოსო ცენტრის არსებობაზე მიუთითებდნენ.


სამთავისის ამჟამინდელი ტაძარი აგებულია 1030 წელს ილარიონ ვაჩესძე ყანჩაელის ქტიტორობით. ილარიონ ყანჩაელი ამასთანავე იყო სამთავნელი ეპისკოპოსი. სამთავისის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების უმშვენიერეს ძეგლს წარმოადგენს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ ადგილზე ტაძრის აგება განპირობებული იყო არა მარტო პოლიტიკური ნიშნით (იგულისხმება IX-X საუკუნეებიდან ამ ხეობის მფლობელი ფეოდალის გაძლიერება), არამედ, გადმოცემით, ამ ტაძარში ისიდორე სამთავნელის ცხოვრებაში აღწერილი ხელთუქმნელი ხატის (კერამიონის ანუ კეცის ხატის) და ღირსი მამის განსასვენებელის არსებობით (ალექსიძე 2001: 12-13).

სამთავისის ტაძრის არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ძალზე უჩვეულოდ. გამომდინარე ტაძრის საჭიროებიდან, თავდაპირველად განზრახული იყო დაზიანებული სახურავის გამოცვლა და ეკლესიის ირგვლივ სადრენაჟო სისტემის

მონყობა. როდესაც ჯერი მიდგა მიწის სამუშაოებზე, გამოჩნდა ძველი ნანგრევების კვალი. რაც უფრო იწმინდებოდა ტერიტორია, მით უფრო მასშტაბური ხდებოდა მასალა. ამან განაპირობა საცდელი არქეოლოგიური თხრილების გაკეთება. ამ თხრილებმა ეზოს მთელ პერიმეტრზე მრავალი დიდი ნაგებობა გამოავლინა. უკვე ამის შემდგომ, ამ პროცესში ჩაებნენ მეცნიერები. კვლევები დღესაც გრძელდება საქართველოს საპატრიარქოს, სამთავისისა და გორის ეპარქიისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით.

სამი წლის მანძილზე ჩატარებულმა სამუშაოებმა გამოავლინეს: 1. ეკლესიის სამხრეთ მხარეს მდებარე XI საუკუნეზე უფრო ადრინდელი დიდი ტაძრის ნაშთი; 2. ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს მდებარე საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. ამასთანავე, ჩრდილოეთ მხარეს გაიწმინდა საეპისკოპოსო პალატის ნანგრევები (არის XI-XVIII საუკუნეების სამშენებლო ფენები). აღნიშნულ სამეურნეო ნაგებობებში აღმოჩენილია თიხის გამოსაწვავი ქურები, სადაც ხდებოდა სხვადასხვა სახის თიხის ნაკეთობების, მოჭიქული და ჩვეულებრივი კრამიტის გამოწვა; ზეთისხილისა და მარცვლეულის საფქვავი დოლაბები; პურის საცხობი თონეები; ღვინისა და წყლის ქვევრები. ამ აღმოჩენების ფონზე, სავარაუდოა, რომ აქ სახლობდა მრავალი ადამიანი, რომლებიც ეწეოდნენ საკმაოდ ინტენსიურ სამეურნეო საქმიანობას.

ტაძარში აღმოჩენილია ორი საკურთხეველი – ცენტრალური და მცირე ეგვტერი. ცენტრალური საკურთხეველი შემალღებულია, მის ჩრდილოეთ მხარეს განთავსებულია სამკვეთლო, წინ მონყობილია სოლეა. მცირე ეგვტერის სამხრეთით განლაგებულია სათავსო, რომლის ქვემოთაც შემორჩენილია საძვალე. „აშკარაა, რომ ეს სწორკუთხა სათავსი მონასტრის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან სივრცეს წარმოადგენდა. შესაძლებელია, აქ ძმობისთვის პანაშვიდის გადასახდელი ოთახი იყო და მათი ძვალთშესანახიც, როგორც ამას წმინდა მიწის მრავალ მონასტერში ვხვდებით“ (გაგოშიძე, მახარაძე 2005-2007). საძვალეს ჩასასვლელი ტაძრის გარეთ, აღმოსავლეთ მხრიდან აქვს. ტაძარში აღმოჩნდა კედელზე მიბჯენილი 50 სმ-ის სიმაღლის ქვის მერხები, რომლებიც, სავარაუდოდ, ხანგრძლივი სამონასტრო მსახურებისას გამოიყენებოდა ბერების ჩამოსასხდომად. ერთ-ერთი ბურჯის აღმოსავლეთ მხარეს დადასტურდა საეპისკოპოსო ტახტის ნაშთი. ტაძრის შიდა საღვთისმსახურო სივრცე – ცენტრალური საკურთხეველი, სამკვეთლო, სოლეა, საძვალე (კიმიტირიონი), ბერების ჩამოსასხდომი მერხები და საეპისკოპოსო ტახტი – ყოველივე ეს მთლიანად შეესაბამება მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკულ პრაქტიკას და, ამავედროულად, სამონასტრო წესს. ექსპედიციის ხელმძღვანელის, არქეოლოგ გია მახარაძის წინასწარ დასკვნებში ტაძარი თარიღდება V-VI საუკუნეებით, ხოლო აქ მოპოვებული ყველაზე ადრეული არქეოლოგიური მასალა VI-VII საუკუნეებით.



ჩატარებული გათხრების შედეგად დღეს არსებული სურათი საშუალებას გვაძლევს მონასტრის განვითარება-ფუნქციონირება ერთიანობაში – V საუკუნის დასასრულიდან XIX საუკუნის ბოლომდე გავიაზროთ.

ფრიად საყურადღებოა ცენტრალურ საკურთხეველში აღმოჩენილი სხვა სამარხთაგან გამორჩეული ერთადერთი, ტაძრის აღშენების თანადროული საფლავი. ქართული ტრადიციის შესაბამისად, ასეთ ადგილზე განთავსებული საფლავი მხოლოდ და მხოლოდ წმინდანისა თუ იქნებოდა. გადმოცემით კი ცნობილია, რომ ღირსი ისიდორე სამთავნელის საფლავი XI საუკუნეში აშენებული დიდი ტაძრის საკურთხეველის ჩრდილოეთით მდებარე ეკვდერშია მოთავსებული.

ჩვენს ნაშრომში გამოყენებულია სამთავისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, გ. მახარაძისა და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, გ. გაგოშიძის ჩატარებულ სამუშაოთა ანგარიშები.

სამთავისის სამონასტრო კომპლექსის კვლევა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და მომავალში ჩვენი მეცნიერები კიდევ უფრო დასაბუთებულ აზრს გამოთქვამენ ტაძრის ადრეული პერიოდის შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე კი დღეს ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრებები: 1. ღირსი ისიდორე სამთავნელი გვევლინება სამთავისის სამონასტრო კომპლექსის დამაარსებლად, მის სახელთან არის დაკავშირებული ამ მონასტრის აღორძინება და განვითარება. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშივე სამონაზვნო ცხოვრების წესის არსებობა საქართველოში, რაღა თქმა უნდა, გულისხმობს შემდგომში ქართული სამონაზვნო ტრადიციის გაგრძელებას; 2. ასურელი მამები საქართველოში სამონაზვნო ცხოვრების კვინობიტური ტრადიციის დამფუძნებელი არიან. მათი მოღვაწეობისა და დაკრძალვის ადგილები შემდგომში წარმოადგენდნენ დიდი სამონაზვნო საძმობის სამყოფლებს, რომლებიც მუდამ, დღევანდელობამდე, განსაკუთრებული პატივით და თაყვანისცემით სარგებლობდნენ, რაც მათი ანტიქალკედონიტობის შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნებოდა; 3. ვეთანხმებით წმიდა მღვდელმონაშე გრიგოლ ფერაძის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ „ქართული ბერმონაზვნობა თავისი ანაქორეტული ფორმით სირიელი მამების დაარსებული ვერ იქნება, ის მათ ჩამოსვლამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა საქართველოში“ (წმ. მღვდელმონაშე გრიგოლ ფერაძე 2006: 95); 4. იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოში სამონაზვნო ტრადიციის ფორმებზე, მის საწყისებზე, განვითარების ეტაპებზე, დიდ სამონასტრო კერებზე, როგორც საქართველოს შიგნით, ისე მის გარეთ, საჭიროა, ღვთისმეტყველების, ისტორიკოსებისა და ფილოლოგების ერთობლივი მუშაობა; 5. სამთავისის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური გათხრები კიდევ ერთხელ სრულ უფლებას გვაძლევს, რომ მიუხედავად ზოგიერთი გადაცთომისა, მეტი ნდობა გამოვუცხადოთ წერილობით წყაროებსა

და ეკლესიის წიაღში დაცულ ზეპირ გადმოცემებს და მათ საფუძვლიანობაში ეჭვი არ შევიტანოთ.

ბამოყენებული ლიტერატურა

- ალექსიძე 2001:** ზ. ალექსიძე, მანდილიონი და კერამიონი ძველ ქართულ მწერლობაში, Academia, ტ. I, 2001.
- ახალი აღთქმა და ფსალმუნები 1993:** ახალი აღთქმა და ფსალმუნები, გადამუშავებული გამოცემა, სტოკჰოლმი: ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. დაბეჭ. ზაგრებში, ხორვატია, 1993.
- ბოგვერაძე 1979:** ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1979.
- გაგოშიძე, მახარაძე 2005-2007:** გ. გაგოშიძე, გ. მახარაძე, სამთავისის ექსპედიციის ანგარიში, თბილისი: 2005-2007.
- გოილაძე 1992:** ვ. გოილაძე, საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები საქართველოში, „მნათობი“, №5-6, 1992.
- ეპ. ანანია ჯაფარიძე 1996:** ეპ. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, თბილისი: გამომც. „მერანი“, 1996.
- თარხნიშვილი 1951:** მ. თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია I-VII საუკუნეებში, ხელნაწერი Q 1486, რომი: გამომც. „კანდელი“, 1951.
- ინგოროყვა 1939:** პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, №2, 1939.
- კეკელიძე 1926:** კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926.
- მამულია 1992:** გ. მამულია, ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში, თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1992.
- მელიქსეთ-ბეგი 1959:** ლ. მელიქსეთ-ბეგი, დავით უძღველი და დავით გარესჯელი, ამონაბეჭდი კრებულიდან „კ. კეკელიძის დაბადების 80 წლის თავზე“, თბილისი: საქ.სსრ.მეცნ.აკადემიის გამომც. 1959.
- მენაბდე 1962:** ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკ. I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომც., 1962.
- მერკვილაძე 2006:** დ. მერკვილაძე ასურელი მამები, VI საუკუნის სირიელი სასულიერო მოღვაწენი საქართველოში, I, თბილისი: გამომც. „უნივერსალი“, 2006.
- ნუცუბიძე 1956:** შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბილისი: საქ.სსრ.მეცნ.აკადემიის გამომც. 1956.
- ჟორდანია 1892:** თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, I, ტფილისი: მ. შარაძის სტამბა, 1892.
- ნმ. მღვდელმონაშე გრიგოლ ფერაძე 2006:** ნმ. მღვდელმონაშე გრიგოლ ფერაძე, ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში, თამარ ჭუმბურიძის გამოკვლევითა და რედაქციით, თბილისი: გამომც. „ნეკერი“, 2006.

- ჯავახიშვილი 1979:** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი: გამომც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1979.
- ჯანაშვილი 1886:** მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, ტფილისი: სტამბა მ.შარაძისა, 1886.
- ჯუანშერი 1955:** ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: გამომც. „სახელგამი“, 1955.
- Сабинин 1877:** Г. Сабинин, История Грузинской церкви до конца VI века, СПб: 1877.
- Еп. Кирион 1899:** Еп. Кирион, заслуги Грузинского монашества и монастырей для отечественной церкви и общества, Тфилиси: 1899.
- Иоселиани 1845:** Пл. Иоселиани, Мардкопский монастырь в Грузии, „Закавказский Вестник“, №4, 1845.
- Март 1906:** Н. Март, Аркауи, монгольское название христиан..., „Византийский временник“, т. XII, СПб: 1906.

Andria (Gvazava), Archbishop of Samtavisi and Gori

MONASTIC TRADITION IN GEORGIA IN THE BACKGROUND OF SAMTAVISI MONASTERY EXCAVATIONS

SUMMARY

The tradition of monastic life in its content proceeds from the concepts of Gospel. The author delivers history of establishing the rule of monastic life and its two main forms: cinovian, i.e. a monastery of general dwelling type and anchoretic, i.e. for hermits. The narration is done on the example of Georgia as well and the contribution of monks working there is analyzed in this direction.

The suppositions expressed in the Georgian historiography on the religious beliefs of the Assyrian monks are extensively discussed in the present work. The views on their Diophysite and Monophysite credo mainly oppose each other, rather rarely on their Nestorian belief.

Special attention is stressed on the suppositions recently expressed by D. Merkviladze, according to which the Assyrian monks were considered to be strong followers of Diophysitism. From this viewpoint the correct notes and conclusions, expressed first by St Grigol Peradze and Acad. I.Javakhishvili, are shared.

The narration continues on the burial places of the thirteen Assyrian monks, which within the centuries turned into the important church centers. Samtavisi monastery is cited as an example, where in result of recent archaeological excavations there were found

numerous unique materials. A monastery was discovered in the preliminary conclusions of archaeologists, which is dated by the V-VI centuries, and the earliest archaeological material – by the VI-VII centuries.

On the basis of all said above the suppositions are expressed in the present work that monastic life in its anchoretic form did really exist before the Assyrian monks came, while founders of cinovian, i.e. general living monastic tradition are the Assyrian monks. The archaeological excavations of Samtavisi monastery give us full right to have more confidence in the written monuments and oral legends preserved in church.

ვლადიმერ კაკელია

დავით ქა ქართველთა მეფისა – კილიკიელი კონეტაბლი

ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია სომხური ხელნაწერი Or-5458, რომელიც შეიცავს წყაროებს კილიკიის სომხეთის ისტორიის შესახებ (აღწერილობა 1913:290-292). ხელნაწერში მოთავსებულია 10 დიდი და მცირე ზომის ტექსტი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სუმბატ კონეტაბლის „ისტორია“, ჰეთუმ II-ის, ახტინის მფლობელ ჰეთუმისა და ვასილ მარაჯახტის (მარშალის) „ქრონიკები“. ვასილი ქრონიკის ავტორიც არის და მთელი ხელნაწერის გადამწერიც. მან ეს ხელნაწერი 1382–1404 წლებს შორის გადაწერა და ზოგიერთ ტექსტს მინაწერები გაუკეთა. 1963 წელს ა. მათევესიანმა სომხურ ისტორიულ–ფილოლოგიურ ჟურნალში გამოაქვეყნა ახტინის მფლობელ ჰეთუმისა და ვასილ მარაჯახტის ქრონიკები სხვა მატყანეების ზოგიერთ მინაწერთან ერთად (მათევესიანი 1963: 183-202). ჩვენი ყურადღება სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ, სუმბატ კონეტაბლის „ისტორიის“ მინაწერმა მიიპყრო, რომელიც სუმბატის ტექსტის ბეჭდურ გამოცემაში შესული არ არის. ამ ცნობას ყურადღება სომეხმა მკვლევარმა, მ. ჭევაჭირჭიანმაც მიაქცია (ჭევაჭირჭიანი 1998: 191-200). აქ მთლიანად მოვიტან დასახელებულ მინაწერს:

Ի տյն ամի (ՉԾԷ – 51308) գնաց Օշին քազատրն ի Թալիւժու դանն վասն երկրիս կարեց որ եւ ար(ար) խնամութիւն ընդ Գորգէն քազատր վրաց ու այրին պոմն բուխս առջի դանին, գԴ-աիք որդի վրաց քազատրին ի հետ տամուժել Ալիժին փոքր քօրն Օշին քազատրին, ու երեք գԴ-աիքն ի հետն ու ի թվին ՉԿ (1311)-ն արար հարսնիք ի Զ (6) յունուարն ի Տարսուս, ու երես սիգդով գԿասպանն իր երկրովն, ու հաստատեց զպարոն Դ-աիքն գունք Կասպանն երկրին...

Թազատրէն տէր Էվանէ արհիւնակիսկուպոսն Սիւնեաց եւ պարոն Շահնշահ տաքն մարաջախտն վրաց, եւ այրին պոման, որ Հայոց սახմանով կենայ եւ ոչ(ն)ի բան ֆռանգութեան չիւնի յիր ա(մէ)ն կենդանութեանն:

„ამა თვესა ჩნე[=1308 წ.] ნავიდა მეფე ოშინი თავრიზში ხანთან ჩვენი ქვეყნის საჭიროებისათვის. იგი დაემძახლა საქართველოს მეფე გიორგის და გააფორმა საბუთი ხანის წინაშე. დავით, ძე ქართველთა მეფისა, დანიშნეს მეფე ოშინის მცირეწლოვან დაზე – ალინზე, რომელმაც [ოშინმა] მიიყვანა დავითი მასთან. ჩქ[=1311 წ.] 6 იანვარს ისინი დაქორწინდნენ ქ. ტარსში. სიგელით მისცეს [დავითს] კაპანი მისი მიწებით და დაამტკიცეს ბატონი დავითი კაპანის მიწების კონეტაბლად.

უფალმა ივანე სივნიეთის არქიეპისკოპოსმა და ბატონმა შანშემ, ქართველთა უფროსმა მხედართმთავარმა, გააფორმეს [საბუთი დავითთან], რომ დარჩებოდა სომხურ წესზე და არასოდეს გალათინდებოდა“ (მათევოსიანი 1963: 198).

წყაროდან ვიგებთ, რომ თავრიზში შემდგარა ქორწინება ბაგრატიონებსა და ჰეთუმიდებს შორის. კერძოდ, ქართველთა მეფის ძე, უფლისწული დავითი დაუნიშნავთ მეფე ოშინის დაზე, ალინზე¹ (1298-1316). 1308 წლიდან დავითს კილიკიაში უცხოვრია, 1311 წელს კი ქ. ტარსში ალისაზე დაქორწინებულა (იხ. ტაბულა). ქართველ უფლისწულს კონეტაბლის ტიტული და კაპანის ციხე-სიმაგრე უბოძეს. დავითთან სომხებს ცალკე ხელშეკრულება გაუფორმებიათ.

აქ ჩნდება კითხვა: ვინ არის „ქართველთა მეფე“ გიორგი? საქართველოში მაშინ ორი გიორგი მეფობდა – გიორგი V და გიორგი VI. ა. მათევოსიანის აზრით, მინაწერში დასახელებული მეფე გიორგი გიორგი VI უნდა იყოს (მათევოსიანი 1963:198). მ. ჭევაჭვირჭიანს მიაჩნია, რომ „ქართველთა მეფეში“ გიორგი V „ბრწყინვალე“ იგულისხმება. ის ეყრდნობა „ჟამთააღმწერლის“ ცნობას, რომლის თანახმადაც გიორგი VI-ს ყაენმა „უჩინა მოძღურად და საქმის მოურავად დიდი გიორგი“ (ჭევაჭვირჭიანი 1998:194).

მართალია, გიორგი V გიორგი VI-ის მეურვე იყო და მას შეეძლო საერთაშორისო ასპარეზზე უშუალოდ ემოქმედა, მაგრამ გიორგი VI-ის გამეფება მისი მამის, დავით VIII-ის (1293-1311) წარმატებადაა მიჩნეული (ნინიძე 1994: 129). დავითს იმ დროისათვის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ამდენად, სავსებით შესაძლებელია, წყაროს ცნობა გიორგი VI-ს ეხებოდეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წყაროდან მკაფიოდ არ ჩანს, იმყოფებოდა თუ არა საქართველოს მეფე თავრიზში და იღებდა თუ არა პირადად მონაწილეობას დინასტიური კავშირის გაფორმებაში.

მინაწერში ნახსენები ქართველთა მეფის ძე დავითი თითქოს ნათელს უნდა ჰფენდეს გიორგი მეფის ვინაობას. 1308 წლისათვის გიორგი VI მცირეწლოვანი იყო, შესაბამისად, დავითი მისი ძე ვერ იქნებოდა. რაც შეეხება გიორგი დემეტრეს ძეს, მისი დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ

¹ კილიკიის სომხეთში ჯვაროსანთა გავლენით ძალზე გავრცელებული იყო ევროპული სახელები. ჩვენი ვარაუდით სომხური „ალინი“ ევროპული ალისას შესატყვისი უნდა იყოს.

ის დემეტრე II (1270-1289)-ის უმცროსი ძე იყო (კიკნაძე 1987: 177), მაშასადამე დემეტრეს სიკვდილით დასჯამდე – 1289 წლამდე უნდა დაბადებულიყო. თეორიულად შესაძლებელია, გიორგი V-ს ჰყოლოდა ისეთი ასაკის ძე, რომელსაც 1308 წელს ალინზე დანიშნავდნენ, ხოლო 1311 წელს დააქორწინებდნენ. მაგრამ აქ ჩნდება მეორე საკითხი – გიორგი V-ის ძე დავითი საქართველოს მომავალი მეფე, დავით IX-ეა (1346-1360). მისი სადმე ჩასიძებაზე კი ცნობები არ მოგვეპოვება. ისედაც ძნელი წარმოსადგენია, ტახტის პოტენციური მემკვიდრე უცხო ქვეყანაში ჩაესიძებინათ. უპრიანი იქნებოდა ალინი თავად ჩამოსულიყო საქართველოში და, არა პირიქით. ამგვარად, კაპანის კონტაბლ დავითს ვერც გიორგი V-ის ძედ ჩავთვლით.

ჩვენი ვარაუდით, მინაწერის დავითი ქართული სამეფო სახლის წევრი – ბაგრატიონი, გიორგი V-ის და გიორგი VI-ის ახლო ნათესავი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც უნოდებს სომეხი მემატიანე მას ქართველი მეფის ძეს.

შესაბამისად, დავითის ძეობა ვერ ხსნის „ქართველთა მეფე გიორგის“ ზუსტ ვინაობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავითთან ცალკე ხელშეკრულება გაფორმებულია. ამასთან დაკავშირებით მ. ჭევაჭირჭიანი აღნიშნავს, რომ ცალკე ხელშეკრულება იქნა დადებული, ერთი მხრივ, სივნიეთის არქიეპისკოპოს იოანე X ორბელიანსა (1304-1324) და ქართველთა ამირსპასალარ შანშე II მხარგრძელს და, მეორე მხრივ, ქართველ უფლისწულ დავითს შორის. ამ ხელშეკრულების თანახმად, დავითს ქორწინების შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, სომხური აღმსარებლობით უნდა ეცხოვრა, არუნდა გამხდარიყო კათოლიკე და არ მიმხრობოდა ლათინიფილურ პარტიას. ასეთი იყო სივნიეთის არქიეპისკოპოსისა და შანშე II მხარგრძელის მოთხოვნა დავითისადმი (ჭევაჭირჭიანი 1998: 196). მართალია, წყაროში ასე ცალ-ცალკე პირობები მითითებული არ არის, მაგრამ სომხურ წესზე დარჩენა და არაგალათინება აღნიშნულ პირობებს ნამდვილად უნდა გულისხმობდეს, რაშიც სომეხ მკვლევარს ვეთანხმებით. მაგრამ უცნაურად გვეჩვენება ის გარემოება, რომ ქართველ უფლისწულს ეს მოთხოვნები იოანე X და შანშე II მხარგრძელმა წაუყენეს. საქმე ისაა, რომ იოანე სასულიერო პირი იყო, ხოლო შანშე საქართველოს მეფის მოხელე. საინტერესოა, რისი გაკეთება შეეძლო მათ იმ შემთხვევაში, თუ ქართველი უფლისწული პირობებს დაარღვევდა? შეეძლო მათ პირობების ურღვეობის გარანტიად გამოსვლა?


ჩვენი აზრით, დასახელებული მოთხოვნები დავითს იოანემ და შანშემ კი არ წაუყენეს, არამედ თავად კილიკიის სამეფოს მესვეურებმა. ამ პირობების დაცვის გარანტიად კი საქართველოს სახელმწიფო გამოდიოდა. უკანასკნელს მონოფიზიტური სომხური სამეფოს წინაშე სომხურ წრესთან დაახლოებული – შანშე მხარგრძელი წარმოადგენდა. კილიკიაში, XIV საუკუნის დასაწყისში მიმ-

დინარეობდა ქიშპი პრო და ანტილათინოფილურ პარტიებს შორის. 1307 წელს სისის საეკლესიო კრებამ რომის ეკლესიასთან ერთობის დადგენილება მიიღო. ამ აქტმა მდგომარეობა უფრო გაართულა (მიქაელიანი 1952: 435). დაძაბული სიტუაციიდან გამომდინარე, კილიკიაში უცხო უფლისწულის ჩასვლას სომხები გარკვეული სიფრთხილითაც შეხვდებოდნენ. ამდენად, დავითისადმი სომხურ წესზე გადასვლის მოთხოვნაში უჩვეულო არაფერია. ამ ხელშეკრულებით სომხური ეკლესიის წარმომადგენლებმა, ერთი მხრივ, თავი დაიზღვიეს, მეორე მხრივ კი პოზიციები გაიძლიერეს. სწორედ ამიტომ უნდა მიეღო მონაწილეობა ხელშეკრულების გაფორმებაში იოანე X-საც. ის ხომ სომხური მონოფიზიტური ეკლესიის ერთ-ერთი გავლენიანი პირი იყო.

1308 წელს თავრიზში განხორციელებული ღონისძიება მხოლოდ ქორწინებითი კავშირი არ უნდა ყოფილიყო. როგორც წყაროდან ჩანს, ამ აქტთან პირდაპირ კავშირშია ყაენის წინაშე საბუთის გაფორმება. მოვლენის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე თავად მემატაიანის სიტყვებიც მიუთითებს, რომ ოშინი ყაენთან ჩვენი ქვეყნის საქროებისათვის ჩავიდაო.

სამწუხაროდ, კვლევის ამ ეტაპზე არც მინანერი და არც საკითხთან დაკავშირებულ წყაროთა სიმწირე არ იძლევა საშუალებას გაირკვეს, თუ რა პოლიტიკური სარჩული ედო ამ ქორწინებას – რატომ დაინტერესდნენ ქართველები ამ ქორწინებით იმდენად, რომ ერთ-ერთი ქართველი უფლისწული აღმსარებლობის შეცვლის მკაცრი პირობით უცხო ქვეყანაში ჩაასიძეს? ეს ფაქტი საინტერესო იმითაც არის, რომ საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიაში მისი ანალოგი ცნობილი არაა.

დასასრულს, ვიმედოვნებთ, რომ მომავალში გამოჩნდება ისეთი მასალა, რომელიც ამ საკითხის შესახებ უფრო კონკრეტული ვარაუდების გამოთქმის საშუალებას მოგვცემს.



○ დაბადება † გარდაცვალება ∞ დაქორწინება

ბამოყენებული ლიტერატურა

- მათევოსიანი 1963:** Հեթում ախտուց տիրոջ եկ Վասիլ մարաջախտի ժամանակագրությունները, հավաքեց Արտ. Ս. Մաքեվոսյան, «Պատմա-քանասիրական հանդես», Հայկական գիտությունների ակադեմիայի հրատարակչություն, №4, 1963.
- ჭევაპირჭიანი 1998:** Մ.Հ.Նեվահիրյան,Դրվագներ Կիլիկիայի հայկական պետությունում XIV դարի Հայ-վրացական հարաբերությունների, «Էջմիածին» 2-3 ամիս, հ.1, 1998.
- ნინიძე 1994:** დ. ნინიძე, საქართველოს „მრავალმეფობიანობის“ ხანის (1298-1318) დიპლომატია, ქართული დიპლომატია, ნელინდეული 1, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1994.
- კიკნაძე 1987:** ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.
- მიქაელიანი 1952:** Микаелян Г. Г., История Киликийского армянского государства, Ереван: Издательство академии наук Армении, 1952.
- აღწერილობა 1913:** A Catalogue of the Armenian manuscripts in the British Museum, by Frederik Cornwellis Conybeare, London, 1913, №116

Vladimer Kekelia

DAVID SON OF KING OF GEORGIANS – CONETABLE OF KILIKIA

SUMMARY

An Armenian manuscript, preserved in the British Museum under the number Or-5458, contains chronological evidence from the history of Kilikia's Armenia. The text was copied in 1382-1404 by Armenian historian Vassil Marajaht (Marshal) and added notes to some chronicle information. Our attention was attracted by one of them, namely, a note of "history" of Conetable Sumbat.

According to the note, in 1311 David, son of Georgian king and sister of Oshin, King of Kilia married in Kilikia. David was awarded a title of Conetabel and was given Kapan fortress. In compliance with the previously determined term David adopted Armenian religion.

We have studied the source and concluded that David was a close relative to the royal house of Georgia and not son of the king. The state of Georgia was a guarantor for his conversion to the Armenian religion.

მზია სურგულაძე

ეპიზოდები XVI საუკუნის საქართველოში შიდა პოლიტიკური ცხოვრებიდან

ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები

XVI საუკუნის ქართული ისტორიული საბუთების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთარიღებელია. ამგვარი საბუთების დათარიღება, სხვა თანადროული ქართულენოვანი წყაროების სიმწირის პირობებში, მეტ მნიშვნელობას იძენს XVI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდის უფრო სრულად აღდგენისათვის.

როგორც ცნობილია, 1509 წელს იმერთა მეფემ, ალექსანდრემ, ქართლში ილაშქრა და ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ლიახვამდე დაიჭირა. ამ ამბიდან სულ მალე, 1510 წელს, ოსმალები იმერეთში შემოიჭრნენ, გადაწვეს ქუთაისი და გელათი. ამ თავდასხმაში ოსმალებს მეგზურობას უწევდა სამცხის ათაბაგი მზეჭაბუკი, რომელმაც ამ საქციელით საკუთარი სამთავრო გადაარჩინა აოხრებას, მაგრამ იმერთა მეფე სამკვედრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდა. (ყაუხჩიშვილი 1973:711) ალექსანდრე იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. მართალია, ქართლის მეფემ, დავით X-მ, დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიები (გუჩუა 1973: 94), მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. გორიდან დასავლეთით მდებარე მიწები, როგორც ჩანს, კარგა ხანს დარჩა იმერეთის მეფეთა მფლობელობაში, რაზედაც არაერთი მინიშნება წყაროებში. აქ ადგილობრივ თავადებს ყმა-მამულს იმერთა მეფე უმტკიცებს. მაგ., 1511 წლის ერთი საბუთით ბაგრატ იმერთა მეფემ ყმა-მამული უბოძა ზაქარია და თაყა ფანასკერტელ-ციციშვილებს (ხეც, Hd-2118, ანოტირებული 1991:235).

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში სელიმის მიერ 1510 წელს ქუთაისის და გელათის აოხრების ამბავს მოსდევს იმავე წლით დათარიღებული ცნობა: „იქმნა ბრძოლა ძლიერი ქართლის მეფეს დავითსა და ბაგრატს შუა. ამისთვის, ბევრის რბვისა და ტყვევნისაგან, ძალი ქართლისა შემცირებულ იყო. აღეღო და დაეჭირა გორი ალექსანდრეს, მამასა ბაგრატისასა. ამას ზედა მიეხმარნენ ქართლის მეფეს დავითს კახეთის მეფე ვახტანგ და ათაბაგი მზეჭაბუკ. დავით მეფე ვეღარ მოესწრო, მოხისს შეება ბაგრატ ვახტანგსა და მზეჭაბუკს

და გაემარჯუა თუესა იენისსა გ“ (ყაუხჩიშვილი 1959:487). ამ ცნობაში ორი ეპიზოდია შეერთებული(1510 და 1512 წლებისა), რომელთაც ერთმანეთისაგან ორი წელი ამორებით, მაგრამ პოლიტიკურ ძალთა დაჯგუფება არსებითად სწორადაა გადმოცემული: ერთ მხარეს არიან ქართლის მეფე დავითი (1505-1526), კახეთის მეფე ვახტანგი და ათაბაგი მზეჭაბუკი (1500-1515), მეორე მხარეს – იმერთა მეფე ბაგრატი (1510-1565). ამ ცნობაში გაუგებარია, ვინ არის ვახტანგი, რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებელი კახეთის მეფეს უწოდებს. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორებს, როგორც ჩანს, ეს ვახტანგი გიორგი VIII-ის ძე ჰგონიათ, რომელმაც, გერგეტის სულთა მატინანის მიხედვით, 1484 წელს მოახერხა არაგვის ხეობაში მცირე ხნით გამეფება (შარაშიძე 1954:232).

ვახტანგს მეფედ (მაგრამ არა კახეთისად) მოიხსენიებს „პარიზის ქრონიკაც“ იმავე ეპიზოდის თხრობის დროს: „ამასვე წელსა (1507 წელი) შეება ძე მისი (ალექსანდრესი) ბაგრატი მეფესა ვახტანგს და მზეჭაბუკს მოხისს და გაიმარჯვა თუესა იენისსა გ (ალასანია 1980:80)“¹ აშკარაა, რომ მზეჭაბუკსა და ვახტანგს შორის რაღაც საერთო ინტერესები არსებობს, მაგრამ მთლად ნათელი არაა, რის საფუძველზე.

უფრო სწორი ჩანს ამ ამბის ვახუშტისეული ინტერპრეტაცია და დათარიღება (1512 წელი), მაგრამ იგი საერთოდ არ ახსენებს სამცხის მთავარს: „მოუხდა მეფე ბაგრატი იმერთა მოხისს ვახტანგს. სძლო ვახტანგს. არამედ დავით მეფემან ზავ ჰყო მათ შორის და წარიყვანა ბაგრატი ძმა თვისი და წარვიდა იმერეთს“ (ყაუხჩიშვილი 1973: 393). ამრიგად, ვახუშტის მიხედვით, ვახტანგი ბაგრატი იმერთა მეფის ძმაა და არა კახეთის მეფე. კიდევ უფრო დაზუსტებით ჩანს ვახტანგის ვინაობა და მისი მოქმედების მოტივი ვახუშტისავე მონათხრობში ბაგრატის შესახებ: „ამასვე წელსა (1512 წელი) წარვიდა ბაგრატი დასხმის გუარად სპითა ქართლს, რამეთუ ძმამან მისმან ვახტანგ იკლო რაიმე ბაგრატი-საგან და წარვიდა ქართლს. ამას ვახტანგს ნაჰყვენენ მრავალნი წარჩინებული და აზნაურნი. მიუხდა ბაგრატი მეფე მოხისს მყოფს ვახტანგს. ეწყო და იყო ბრძოლა ძლიერი. მერმე იძლია ვახტანგ“ (ყაუხჩიშვილი 1973: 810). ამ ცნობათა შეჯერების შედეგად შემდეგი სურათი იკვეთება: ვახტანგი, იმერთა ბატონიშვილი, განუდგა თავის ძმას, ბაგრატს, შეუკავშირდა ბაგრატის მტერს, მზეჭაბუკ ათაბაგს და მისი დახმარებით შეეცადა იმერეთის ტახტის ხელში ჩაგდებას. თავისი გეგმების განსახორციელებლად ვახტანგს პლაცდარმად გამოუყენებია ქართლის ის ტერიტორია, რომელიც იმერთა მეფის განკარგულებაში რჩებოდა. სწორედ ამიტომ ჩანს იგი გამაგრებული სოფელ მოხისში (გორის დასავლეთით), სადაც გაიმართა კიდევ ბრძოლა. ქართლის მეფე დავითმა, რომელიც ამ დროს

¹ ეს ამბავი წყაროში მცდარად არის დათარიღებული 1507 წლით. იგი მოსდევს 1509 წლის ამბავს, მაშინ როცა ქრონიკის ავტორი ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას ჩვეულებრივ იცავს.

ავ-გიორგისთან ბრძოლით იყო დაკავებული, ძმები დააზავა და იმერეთში დააბრუნა. საქმის მშვიდობიან დასასრულზე გავლენა უნდა მოეხდინა იქ მზეჭაბუკ ათაბაგის ყოფნასაც, რადგან დავით მეფე მისი სიძე იყო (დავითს ცოლად ჰყავდა მზეჭაბუკის ძმის, ყვარყვარე II-ის ასული).

საინტერესოა ვახუშტის ცნობა, რომ ქართლში გადმოსულ იმერელ ბატონიშვილს, ვახტანგს, თან ახლდნენ „მრავალნი წარჩინებულნი და აზნაურნი“. არ არის გამორიცხული, რომ რაღაც ნაწილი ამ აზნაურთაგან, რომელიც პოლიტიკური ამინდის მიხედვით იცვლიდა პატრონს, დარჩა ქართლში. 1520-იანი წლების სიახლოვეს ქართლის მეფეს ამ რეგიონში თავისი პოზიციები უნდა გაემაგრებინა. აქ დამკვიდრებული იმერელი აზნაურები, როგორც ჩანს, ქართლის მეფის სამსახურში ჩამდგარან. ამ მოვლენას უნდა ასახავდეს დავით მეფის სახელით გაცემული სასისხლო სიგელები იმერელი აზნაურების კაკუ გუგუნავასა და ივანე მალნარაძისადმი (ანოტირებული 1991:268).

1520 წელს, როცა დავით ქართლის მეფე კახეთის შემოერთებისათვის იბრძოდა, მამია გურიელმა ათაბაგის (ყვარყვარე III) შემწეობით „გადმოვლო მთა ღადო, რათა შემწე ეყოს ლევანსა დავით მეფესა ზედა, ზავით ანუ ბრძოლითა. ... მსმენელი დავით მეფე განრისხნა და წარვიდა მის ზედა სპითა, რადენნი დაესწრნენ მუნ. ხოლო გურიელი, არა მგონე მეფისა, ეწყო მოხისს ძლიერად. იძლია დავით მეფე და მოვიდა ტფილის (ყაუხჩიშვილი 1973: 396). ცხადია, მამია გურიელმა ასეთი შორეული ექსპედიცია მოაწყო თავისი სასიძოს, ლევან კახთა მეფის გადასარჩენად. დავითის გალაშქრება მოხისზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ქართლის ამ (დასავლეთ) ნაწილს იგი თავისად მიიჩნევს, მაგრამ გურიელთან განცდილი მარცხი კვლავ საეჭვოდ ხდის მის პოზიციებს ამ რეგიონში.

ბაგრატ იმერთა მეფის პრეტენზიები ქართლის დასავლეთ ნაწილზე კვლავ დიდი რომ იყო, ეს კარგად ჩანს შემდგომი წლების მოვლენებიდან. ამ პრეტენზიებს რეალური საფუძველი გააჩნდა სწორედ აქ ჩასახლებული იმერელი აზნაურობის წყალობით, რომლებსაც ბაგრატ მეფე საჭიროებისამებრ იყენებდა. ქართლის სამეფო კარმა არჩია მშვიდობიანად დაეთმო პოზიციები: „ქორონიკონსა სიდ (1526 წელი) მოსცეს ბაგრატს ქართლი არადეთის წყალს გამოღმა, ალი, სურამი და ახალდაბა... ამასვე წელსა იქორწინა ძემან მისმან ლუარსაბ (დავითის ძე) და შეირთო ცოლათ მეფის ბაგრატის ასული თამარ, მარტსა კე“ (ყაუხჩიშვილი 1973: 493, ალასანია 1980:41). ალი და სურამი ამ დროს ქალაქური დასახლებები იყო, რომელთა ირგვლივ მდებარე „შესავალი“ სოფლებიც იმერთა მეფის ხელში „კანონიერად“ მოექცა. მათ შორის იყო ზემოთ არაერთხელ ხსენებული მოხისიც, რომელიც, როგორც ჩანს, ქართლის, იმერეთის და სამცხის გზასაყარზე მდებარეობდა და აღმოსავლეთის მხრიდან უშუალოდ ესაზღვრებოდა ამილახორთა მამულებს.

ჩვენს ხელთაა ლუარსაბ I-ის ერთ-ერთი უთარილო ფიცის წიგნი (ხეც, Hd-2120) ამილახორ ბარზი ზევდგინიძისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ მეფე, „თუ მოხისს იშოვიდა“, ბარზის მისცემდა (ანოტირებული 1991: 327). რადგან

ფიცის წიგნები, ჩვეულებრივ, გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის მიზნით იდებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ლუარსაბის უახლოეს გეგმებში შედიოდა „მოხისის შოვნა“. როდის უნდა გაეცა ლუარსაბს ეს საბუთი? ბარზი ამილახორი იყო შვილი თაყა ზევდგინიძისა, რომელიც ამილახორად ჩანს 1523-1543 წლებში (დოკუმენტები: Ad-1299ა, Hd-1038. იხ. ანოტირებული 1991: 268,327). ამ მონაცემების მიხედვით, ბარზი ამილახორობას, სულ ცოტა, 1543 წლის შემდეგ მიიღებდა, მაგრამ საბუთის დათარიღებისათვის არსებითია იმის გარკვევა, როდის შეეძლო ლუარსაბს განეზრახა მოხისის დაბრუნება, რომელიც მისი სიმამრის, ბაგრატ მეფის ხელთ იყო. საეჭვოა, რომ ლუარსაბ მეფეს, რომელიც ირანთან უთანაბრო ბრძოლაში იყო ჩაბმული და ბაგრატის მოკავშირედ გამოდიოდა ოსმალთა წინააღმდეგ (1545 წლის სოხოისტას ბრძოლა), მოენდომებინა მასთან დაპირისპირება. როდესაც შაჰ თამაზის მეოთხე შემოსევის დროს (1554 წელი) ყიზილბაშებმა შიდა ქართლის ციხეებიც დაიკავეს, ლუარსაბი ერთხანს ბაგრატ მეფეს შეეხიზნა. ამდენად, არც ამ დროს შეეძლო ლუარსაბს ბარზი ამილახორისათვის ებოძებინა ხსენებული ფიცის წიგნი.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავის (1555 წელი) შედეგად „დარჩა სულტანს იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლი საზღვრამდე ქართლისა...“ (ყაზუჩიშვილი 1959: 371). ამრიგად, ამასიის ზავმა იმერეთსა და ქართლს შორის გეოგრაფიული საზღვარი კი არ გაავლო, არამედ პოლიტიკური – იმერეთის ფარგლებში მოაქცია დასავლეთ ქართლის ის მხარე, რომელიც საუკუნის დასაწყისში იმერთა მეფემ, ალექსამდრემ, დაიჭირა. სწორედ აქ იგულისხმება მოხისიც, რომლის მიცემას ლუარსაბ მეფე ბარზი ამილახორს ჰპირდებოდა. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, ოსმალეთ-ირანის ზავის პირობებს ლუარსაბ მეფე არ სცნობდა; „ამ გაყოფას სრულ საქართველოს ბატონები დასჯერდეს, მაგრამ ლუარსაბ მეფე არ სჯერიყო და კიდევ თაკილობდა, ამისთვის უფრო ურჩობდეს და აქეთ ერანის თემსა და იქით ურუმის ქვეყანას არბევდეს“ (გორგიჯანიძე 1925:215). სწორედ ეს „ურუმის ქვეყანა“ იგულისხმება ლუარსაბ მეფის საბუთში ბარზი ზევდგინიძისადმი, როდესაც მეფე ამილახორს მოხისის მიცემას ჰპირდება. ცხადია, ლუარსაბი ამ გეგმის განხორციელებაში ისევ ამილახორის სამხედრო დახმარების მოიმედე იყო. ლუარსაბს მოხისი არ დაუბრუნებია, იგი 1556 წლის ზაფხულში გარისთან ბრძოლაში დაიღუპა. ამრიგად, როცა ლუარსაბი მოხისის დაბრუნებაზე ლაპარაკობდა, მას განზრახული უნდა ჰქონოდა მისი წართმევა ოსმალთათვის. ამიტომ ხსენებული ფიცის წიგნი შეიძლება დაწერილიყო 1555/1556 წლებში.

რაც შეეხება მოხისს, იგი სვეტიცხოველს უბოძა თავად იმერთა მეფემ. ამ ფაქტის შესახებ იუწყება 1660 წელს გაცემული დომენტი კათალიკოსის წყალობის საბუთი ვაჭარ ხუდადა ხოჯაშვილისადმი. დომენტი კათალიკოსი თავის ადრესატს უახლებს ძველ წყალობის წიგნებს, რომლებიც მის წინაპარს ჰქონია მიღებული კათალიკოსთაგან. აქ, საბუთისათვის უჩვეულოდ ვრცელ ნარატივში,

ნათქვამია, რომ მოხისი „იმერელი მეფისა იყო“ და სწორედ მას გადაუცია იგი კათალიკოსისათვის ერთი საუკეთესო ცხენის და 40 თუმანი თეთრის საფასურად (დოლიძე 1970: 529). ეს იმერთა მეფე თავად ბაგრატ III უნდა ყოფილიყო, რომელსაც მოხისი სვეტიცხოვლისათვის ნასყიდობით უნდა გადაეცა 1556-1559 წლებს შორის, რადგან 1559 წელს შედგენილ სვეტიცხოვლის მამულების ერთ-ერთ ნუსხაში უკვე იხსნიება „ულუმბის ძირს სოფელი მოხისი“ (დოკ. საე, 1449-1312, ანოტირებული 1991: 363). იქვე დასახელებულია ადრე ასევე იმერთა მეფის საკუთრებაში მყოფი ახალდაბაც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს მხარე საეკლესიო ნასყიდობის ან შეწირულების გზით ქართლის სამეფოს ფარგლებში დაბრუნდა. რაც შეეხება სურამსა და მის შემოგარენს, ამასიის ზავის წინ იგი ყიზილბაშთა ხელში (ე. ი. ქართლის ფარგლებში) ყოფილა, თუმცა ბაგრატ იმერთა მეფე თავის ძველ პრეტენზიას სურამზე იყენებდა ოსმალეთის წასაქეზებლად ირანის წინააღმდეგ. (კაცციტაძე 1962:215)² 1578 წელს ირან-ოსმალეთის ომის განახლების შემდეგ ოსმალებმა ქართლის დიდი ნაწილი, მათ შორის სურამიც დაიკავეს. სვიმონ მეფის მიერ ოსმალთა წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის ტალღაზე გიორგი ბატონიშვილს შემოუერთებია სურამი. 1584 წელს გიორგი ბატონიშვილი სურამში მცხოვრებ ყმებს სწირავს ნიტრიის ეკლესიას. დოროთეოს კათალიკოსის მიერ ნიტრიის ეკლესიისათვის ბოძებული შეწირულების საბუთიც ადასტურებს, რომ გიორგი ბატონიშვილს, როცა იგი „სურამის პატრონი“ გამხდარა, ამ მოვლენის აღსანიშნად ნიტრიის ეკლესიისათვის შეუწირავს სურამში მცხოვრები ყმები (ანოტირებული 1991:251).

ჩვენამდე მოაღწია ბარზი ამილახორისადმი ბოძებულმა კიდევ ორმა უთარილო ფიცის წიგნმა, ამათგან ერთს ორი მეფე, დაუდ-ხანი და კახთა მეფე ალექსანდრე II ამტიციებენ (Hd-2116), მეორე კი გაცემულია იმერთა მეფის, გიორგი II-ის მიერ (Hd-2174). (ანოტირებული 1991:270, 249). ამ საბუთების დათარილება შეუძლებელია იმის გაურკვევლად, თუ რა პოლიტიკური მოტივები ამოძრავებდა სიმონ I-ის ერთგულ თანამებრძოლს, ბარძიმ ამილახორს³, როდესაც სვიმონ მეფის მოწინააღმდეგეების ბანაკში გადავიდა. ვახუშტის მიხედვით, სვიმონის ძმა, გამაჰმადიანებული დაუთ-ხანი „ეძვინებოდა სვიმონ მეფესა და ყოველთა ქართველთა“. სვიმონის დატყვევების შემდეგ დაუთ-ხანს „ვიეთნიმე

² ირანელი დიდებულების წერილში არზრუმის ფაშისადმი ლაპარაკია ქართლისა და იმერეთის მეფეების მეგობრული ურთიერთობის შესახებ ამასიის ზავის წინა პერიოდში. წერილის ავტორები არწმუნებენ ადრესატს, რომ ბაში აჩუკის პრეტენზია სურამის ოლქზე, რომელიც იმ დროს ყიზილბაშებს ეჭირათ, დაუსაბუთებელია, რადგან სურამის ციხე და ოლქი ყიზილბაშებს ემორჩილება.

³ ამილახორთა სახლი ჯერ თავსაც, შემდგომ მისი შვილის, ბარძიმის მეთაურობით, საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე სვიმონის პირველ ტყვეობამდე ქართლის მეფეების უდიდესი ერთგულებით გამოირჩეოდა. დიდი იყო მათი ადამიანური მსხვერპლიც. მაგალითად, მხოლოდ 1561 წლის ბრძოლაში ყიზილბაშების წინააღმდეგ ამილახვართა სახლის ცხრა წევრი დაიღუპა (ყაუხჩიშვილი 1959: 407).

მთვარნი“ განუდგნენ და არა მორჩილებდნენ (ყაუხჩიშვილი 1959:408-409). როგორც საბუთებიდან ჩანს, მას ერთგულობდა მხოლოდ მცირე ნაწილი ჯავახიშვილთა და ბარათაშვილთა სახლებიდან. თავდაპირველად ამილახორის სახლი არ იგულისხმებოდა დაუდ-ხანის ერთგულთა შორის, მაგრამ 1574 წელს, როდესაც კახეთის ტახტისათვის ნახევარძმებთან ბრძოლაში ალექსანდრემ გაიმარჯვა, ვითარება შეიცვალა. ალექსანდრეს ცოლად ჰყავდა ბარძიმ ამილახორის ასული. თავის მხრივ, ალექსანდრე დაუდ-ხანთანაც იყო დანათესავებული.⁴ ეს ნათესაური კავშირები უკვე იმას ნიშნავდა, რომ ბარძიმს შეეძლო აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას დაბრუნებოდა. იგი ურიგდება დაუდ-ხანს და იღებს მისგან ფიცის წიგნს. დაუდ-ხანი ჰპირდება ბარძიმ ამილახორს, რომ მისცემდა მამულებს ქართლში, სომხითსა და ქალაქში, დაუმტკიცებდა ლაზნელიძეთა მამულებს ისევე, როგორც ეს სვიმონ მეფისგან ჰქონდა ბოძებული და არ ჩამოართმევდა სახელოს (ხეც, Hd-2116). დაუდ-ხანის ფიცის წიგნს ამილახვისადმი ალექსანდრეც ამტკიცებს. ამრიგად, ამილახორს მფარველობს ორი მეფე, რომელთაგან ერთი ირანის ხელდასხმულია, მეორე – იმხანად ოსმალეთის „მეგობარი“. აქ უკვე კარგად ჩანს, რა საძირკველზე დგას ქართველი ფეოდალის პოლიტიკური ცნობიერება – ეს არის საგვარეულო მამულის ხელშეუვალობა და, ნათესაობა, როგორც ამ ხელშეუვალობის ინსტრუმენტი. როგორც ჩანს, სწორედ თავისი პატრონების მითითება შეასრულა ბარზი ამილახორმა, როდესაც ქსნის ერისთავთან ერთად დაარბია კავთისხევს მდგარი სვიმონ მეფის მეუღლე დედოფალი ნესტანდარეჯანი და იავარჰყო მისი ქონება (ყაუხჩიშვილი 1959: 409). ეს უნდა მომხდარიყო აღნიშნული ფიცის წიგნის (Hd-2116) გაცემის შემდეგ, ხოლო რადგან ვახუშტი ამ ამბავს ათავსებს 1576 წლის (ირანში სიმონის გათავისუფლების) წინ, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაუდ-ხანის ფიცის წიგნი ბარძიმ ამილახორისადმი დაინერგებოდა არაუგვიანეს 1574/1575 წლებისა.

ახლა უნდა გავარკვიოთ, რისთვის და როდის დასჭირდა ასეთი მაღალი მფარველების პატრონ ბარზი ამილახორს იმერთა მეფე გიორგი II-ისაგანაც ფიცის წიგნის მიღება? ქართული წყაროები ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევიან, მაგრამ საინტერესო მინიშნება ამის შესახებ არსებობს ოსმალურ წყაროებში. 1578 წელს საქართველოში შემოდის ლალა მუსტაფა ფაშა. თურქი ავტორი ალი, რომელიც ამ ლაშქრობის მონაწილე იყო, შემდეგს გადმოგვცემს: ლალა მუსტაფა ფაშამ, სანამ თბილისს აიღებდა, იმერეთის მეფეს გიორგის შეუთვალა: „სწრაფი მოსაზრებულობა გამოიჩინეთ, თქვენს თანამოღვაწეებთან, ხელქვეითებთან და თქვენს მომხრეებთან ერთად უნდა მოახერხოთ თბილისის ციხის აღება და დაპყრობა და იგი თქვენი შვილისათვის გვიბოძებია“ (სვანიძე

⁴ ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, „ალექსანდრე დავითის ცოლის ნათესავიც იყო“, ხოლო „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტის თანახმად, დაუდ-ხანის ვაჟს, ბაგრატს ცოლად ჰყავდა ალექსანდრეს ასული (ყაუხჩიშვილი 1959:372, 522).

1971:115). ასეთი წინადადება მორიგი ფანდი აღმოჩნდა ოსმალთა მხრიდან, მაგრამ გიორგი მეფეს რომ სარწმუნოდ მიუჩნევია ასეთი პერსპექტივა, ჩანს სწორედ ბარზი ამილახორისადმი ბოძებული ფიცის წიგნიდან (ხეც, Hd-2174). გიორგი მეფეს ქართლში გადმოსასვლელად ამილახორის მამულები უნდა გავე-
ლო და ამისათვის მშვიდობის გარანტიები უნდა მიეღო უპირველესად ბარზი ამილახორისაგან. გარდა ამისა, ქართლის გავლენიანი თავადის მიმხრობა მას სხვებთან ურთიერთობასაც გაუადვილებდა. ასეთი პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით ფიცის წიგნი შეიძლება დათარიღდეს 1578 წლით, ლალა ფაშას შემოსვლამდე. როგორც ცნობილია, ლალა ფაშამ დანაპირები არ შეასრულა, დაუდ-ხანმა თბილისი გადაწვა და გაიქცა, ბარძიმ ამილახორი კი ბახტანგ მუხრანბატონთან და ელიზბარ ქსნის ერისთავთან ერთად ლალა ფაშას ეახლნენ და მორჩილება გამოუცხადეს. „და დაიხსნა ამან ქართლი და თემი მოწყუედისაგან. ხოლო ლალა ფაშამ ამათ თვისნი მამულნი მიანიჭნა და მეოთხესა დღესა განუტევა პატივითა“ (ყაუხჩიშვილი 1973:410).

ამავე წლის შემოდგომაზე სვიმონ მეფის დაბრუნებამ სრულიად დაარღვია ქართლში ამ ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებული პოლიტიკურ ძალთა ბალანსი.

„შეშინდნენ ამილახორი და ქსნის ერისთავი დედოფლის ურიგოს კადრებისათვის. ხოლო დაუნყეს ხვეწნა, და ქსნის ერისთავმან მოართვა საუპატიოდ მეჯუდისხევი და ახალგორი, და ამილახვარს გამოართვეს კასპი და კარბი. (ყაუხჩიშვილი 1959: 412). ამ სახით სვიმონმა შემოირიგა ამილახორი და ქსნის ერისთავი, ხოლო მოგვიანებით, 1582 წელს, „აღექსანდრე-ხანი იძულებული გახდა შაჰისადმი მორჩილება გამოეცხადებინა... მას ვაჟი გამოართვეს ირანელი უფლისწულისათვის, ფიცი დაადებინეს ოსმალთა მტრობაზე. მირზა სალმანმა და ყიზილბაშმა ამირებმა აღექსანდრე და სვიმონი შეარიგეს – ქრისტიქნული სარწმუნოების მიხედვით ჯვარზე და სახარებაზე დააფიცეს“ (მუნში 1969:36).

სვიმონისა და აღექსანდრეს ურთიერთობა, მართალია, თითქოს ირანისათვის სასარგებლო კალაპოტში ჩადგა, მაგრამ როგორც ჩანს, თვით მხარეები არ ენდობოდნენ ერთმანეთს, ამისათვის მათ ღრმა პირადი საფუძველი ჰქონდათ, ამასთანავე, ირან-ოსმალეთის საბრძოლო წარმატებების ცვალებადობაც ქართლისა და კახეთის პოლიტიკურ მესვეურებს ურთიერთისაგან განსხვავებულ ტაქტიკას კარნახობდა. აღექსანდრესადმი ამ უნდობლობის გამოხატულებაა სვიმონ მეფის კიდევ ერთი უთარილო ფიცის წიგნი ბარძიმის ძის, თაყა ამილახორისადმი, რომელშიც ნათქვამია: თუ იგი და აღექსანდე ერთმანეთს დაემდურებოდნენ, ამილახორს, ერთგულების შემთხვევაში, წყალობას არ მოაკლებდა (საე 1448-8752, ანოტირებული 1991:365). პირობაში იგულისხმება, რომ სვიმონი ამილახორებს, მიუხედავად აღექსანდრეს ოჯახთან მჭიდრო ნათესაობისა, დაუბრუნებდა ჩამორთმეულ მამულებს. როდის შეიძლებოდა გაცემულიყო ეს საბუთი? ამის დასადგენად უნდა მოვიშველიოთ ისქანდერ მუნშის 1589/1590 წლით დათარიღებული ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც შაჰ-აბასმა, რომელიც ოსმალებთან დაზავებას ცდილობდა, უბრძანა მოჰამედ-ხანს მოეხსნა განჯის ალყა. მოჰამედ-

ხანი მართლაც გაეცალა განჯას, მაგრამ ვერ შეძლო ირანში დაბრუნება, „მდინარე მტკვარზე გადავიდა და ალექსანდრე-ხანის წინადადებით მასთან წავიდა. ხსენებულმა ალექსანდრე-ხანმა უსინდისობა ჩაიდინა, შეიპყრო ის და ოსმალებს გადასცა“ (მუნში 1969: 40). ალექსანდრემ ამ საქციელით ირანელებს უღალატა და იმხანად ირანზე გამარჯვებული ოსმალების მხარდაჭერა გამოხატა. ამგვარად, ქართლისა და კახეთის პოლიტიკური ორიენტაცია ერთმანეთისაგან კვლავ განსხვავებული აღმოჩნდა. სვიმონ მეფე, ცხადია, იძულებული იყო კვლავ “დამდურებოდა” ალექსანდრე კახთა მეფეს. ასეთი სიტუაციის კარნახით შეეძლო მიეცა სვიმონს ალექსანდრეს უახლოესი ნათესავისადმი, თაყა ამილახორისადმი, ფიცის წიგნი, რომელიც მას ამილახორის ერთგულების გარანტიას აძლევდა. ამრიგად, ეს დოკუმენტიც 1589/1590 წლით უნდა დათარიღდეს.

XVI საუკუნის დასაწყისში ქართულ სამეფოებს შორის არაერთხელ მოხდა სამხედრო დაპირისპირება. ამ დაპირისპირებებს, მართალია, საქართველოს ხელახალი გაერთიანების იდეა ასაზრდოებდა, მაგრამ იგი ამასთანავე აღვივებდა შუღლს სამეფო ოჯახებს შორის. პოლიტიკური ალიანსების სიმტკიცე, რასაც უნდა გადაეწყვიტა ქვეყნის ბედი, მხოლოდ შიდა დინასტიურ ქორწინებებზე იყო დამყარებული და ასეთი კავშირების შესუსტების უმალ ირღვეოდა. ირან-ოსმალეთის ომის ვითარებაში, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე პერმანენტულად მიმდინარეობდა, ქართულ ფეოდალურ ელიტას, მიუხედავად მებრძოლი სულისკვეთებისა, დინასტიურ ქორწინებათა გარდა არ აღმოაჩნდა სხვა დიპლომატიური რესურსი, რომელსაც იგი შიდა ძალების დასარაზმავად გამოიყენებდა.

ბამოყენებული ლიტერატურა

- ალასანია 1980:** ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გული ალასანიამ, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.
- ანოტირებული 1991:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეივილმა, გ. ჯანდიერმა ტ. I, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.
- გორგიჯანიძე 1925:** ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, ტექსტი გამოსცა ს. კაკაბაძემ, საისტორიო მოამბე, II, თფილისი, 1926.
- გუჩუა 1973:** ვ. გუჩუა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.
- დოლიძე 1970:** ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო I. დოლიძემ, ტ. III, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1970.

- კაციტაძე 1962:** დ. კაციტაძე, XVI-XVII საუკუნეთა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1962.
- სვანიძე 1971:** მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII საუკუნეები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.
- ფუთურიძე 1969:** ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1969.
- ყაუხჩიშვილი 1959:** ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, გამომცემლობა თბილისი: „სახელგამი“, 1959.
- ყაუხჩიშვილი 1973:** ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.
- შარაშიძე 1954:** ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), კრებული: მასალები საქართველოსა და კავკასიის იტორიისათვის, ნაკ. 30, 1954.

Mzia Surguladze

EPISODES FROM THE HOME POLITICAL LIFE OF THE XVI CENTURY GEORGIA (HISTORICAL-CHRONOLOGICAL ISSUES)

SUMMARY

Among the XVI century Georgian historical documents there are some non-dated “Charters of Oath”, the counteragents of which are the kings of Kartli, Imereti and Kakheti and the Amilakhvaris of Kartli. It becomes possible to date these documents with precision on the basis of comparing numerous (Georgian and Turkish-Persian) sources about the XVI century Georgia. Taking into consideration the concrete historical context, there are dated in the present article within a year the Charters of oath by Kings of Kartli – Luarsab I and Svimon I. King of Imereti – Giorgi II and King of Kakheti – Alexandre II.

These “restored” dates, in their turn, increase information value of the conventional context of the documents and attach concrete details to the political context of this period in the history of Georgia. In conditions of Iran-Turkey war, permanently ongoing on the territory of Georgia within centuries, the Georgian feudal elite, despite their fighting efficiency, did not show other diplomatic resource, except marital relations, to operate against common enemies. In the conditions formed, such relations often promoted establishment of oppositional groupings.

მანია შაოროშაძე

ნინოწმინდის საეპისკოპოსო და XVI საუკუნის ნინოწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

ნინოწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების ისტორია V საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მეფე ვახტანგ გორგასალს უკავშირდება. ჯუანშერის გადმოცემით, მეფემ სხვა საეპისკოპოსო კათედრებთან ერთად ერთ-ერთი ეპისკოპოსი ნინოწმინდას განაწნეს: „და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიისა ახიზისასა, ერთი არტანს ერუშეთს, ერთი ჯავახეთს, წუნდას, ერთი მანგლისს, ერთი ბოლნისს, ერთი რუსთავს, ერთი ნინოწმინდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა, ერთი ჭერემს, მისსავე აღშენებულსა ... ერთი ჩელეთს ... ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით. შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა ... და დასუა ეპისკოპოსი“... (ქართლის ცხოვრება 1955:199).

ამჟამად გარკვეულია, რომ ივ. ჯავახიშვილი ცდებოდა, როდესაც ჯუანშერის ტექსტის იმ ადგილას, სადაც ნინოწმინდაზე ლაპარაკი, სამი საეპისკოპოსოს დასახელებას კითხულობდა (ნინოწმინდა, უჯარმა, კარი). სინამდვილეში ჯუანშერთან თითოეული საეპარქიო ეკლესიის სახელწოდება გამოიყოფა სიტყვით „ერთი“: „ერთი ნინოწმინდას, უჯარმის კარსა“ (ამაზე უფრო სრულად იხილეთ ჯანდიერი 1971:329-331).

„ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით, 506 წლის საეკლესიო კრებას კათალიკოსის ჩათვლით 24 ქართველი ეპისკოპოსი დასწრებია, ხოლო 607 წელს კირიონ ქართველთა კათალიკოსი თავის ეპისტოლეში ქართლის საკათალიკოსოში შემავალ 35 ეპისკოპოსის არსებობას ადასტურებს (ჯავახიშვილი 1960:299-300). მართალია, მათი სახელები აქ აღნიშნული არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, ამ ვრცელ ოცდათხუთმეტ ეპისკოპოსიან სიაში ნინოწმინდელიც უნდა იგულისხმებოდეს.

XIII საუკუნის „განგება დარბაზობისას“ მიხედვით, ნინოწმინდელ ეპისკოპოსს საპატიო ადგილი ეჭირა ოცდათხუთმეტ მღვდელმთავარს შორის და დარბაზობის დროს იგი მეცხრე ადგილზე იჯდა. „შემოვიდეს ნინოწმინდელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ქისიყელსა ქუემოთ“ (დოლიძე 1965:48), ხოლო მო-

გვიანებით, XVIII საუკუნეში, ერეკლე II-სა და ანტონ კათალიკოსის დროს, მისი პატივი საგრძნობლად გაიზარდა და მან მეხუთე ადგილზე გადმონაცვლა, თანაც ეს მოხდა იმ დროს, როდესაც საქართველოს გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო რამდენიმე ეპარქია საერთოდ გაუქმდა.

ნინონმინდელი ეპისკოპოსი გარეჯის მონასტრების მეურვე და მაკურთხეველი იყო და მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო მას ამ საქმეში მეზობელი ეპარქიის მღვდელმთავრები – რუსთველი, სამებელი, ბოდბელი, ნეკრესელი – ეცილებოდნენ, ისტორიული საბუთების მიხედვით, ნინონმინდელს ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეკავა საქართველოს საეკლესიო იერარქიაში და ატარებდა „ათორმეტ უდაბნოთა მაკურთხეველი არქიმანდრიტის“ ტიტულს.

ნინონმინდელი ეპისკოპოსების კათედრა დღევანდელი საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინონმინდაში მდებარეობდა. კათედრალი წარმოადგენს სამონასტრო კომპლექსს, რომელშიც შედის ეკლესია (VI ს.), სამრეკლო (XVII ს.), ტუსიშვილების სასახლე (XVIII ს.) და საცხოვრებელი შენობები, რომელთა უმრავლესობა დღეს შემორჩენილი არ არის. კომპლექსი მთლიანად გარშემორტყმულია მაღალი გალავნით.

ვახუშტის ცნობით, საგარეჯოს „დასავლით ერთვის იორს ნინონმინდის ჴევი ... ამ ჴევზედ არს ნინონმინდა, ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, რომელი აღაშენა გორგასალ და დასუა ეპისკოპოზი, და ზის ანამდე, მწყემსი ამ ქუეყნისა ქისიყადმდე.“ აშიაზე მიწერილია: „ხოლო ამის ჴელქვეშ მყოფნი არიან ყოველნივე უდაბნონი გარეჯისანი და ენოდების ამისთვის ნინონმინდელსა არხიმანდრიტელიცა, ვინადგან უდაბნონი გარეჯისანი ვიეთნიმე არიან საარხიმანდრიტონი და ვიეთნიმე სანინამძღურონი“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – მ. შ.). (ვახუშტი 1973:529).

გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევით, ნინონმინდის ტაძრის პირველი დიდი გადაკეთება, რომელიც შეეხო მთელ ზემო ნაწილს – თაღებს და გუმბათს, ეკუთვნის IX-XI საუკუნეების ხანას. შემდეგ, XIII-XIV საუკუნეებში, გუმბათის ნაწილს ბურჯების კუთხეებთან გაუკეთეს სპეციალური კონტრაფორსები. შემდგომ საუკუნეებში რამდენჯერმე შეაკეთეს – XVI საუკუნის ნახევარში, XVII საუკუნეში და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. 1824 წელს კათედრალი დაინგრა მიწისძვრისაგან (ჩუბინაშვილი 1926:102). 1848 წელს ტაძარს კიდევ ერთხელ ჩამოენგრა სხვა კედლებიც და შედარებით უკეთესად დღეს მხოლოდ მისი საკურთხევის მხარე, სადიაკვნე და სამსხვერპლოა შემორჩენილი, სადაც ქართული წარწერები და ფრესკებიც მოჩანს (დაახლოებით XVI ს.).

სავარაუდოდ, მაშინ, როცა ნინონმინდის ტაძრის შეკეთება-რესტავრაცია ხდებოდა, საეპისკოპოსო კათედრაც შესაბამისად იმ პერიოდებში გაუქმებული არ უნდა ყოფილყო, მაგრამ, როგორც ჩანს, თემურ-ლენგის დამანგრეველი შემოსევების შედეგად, სხვა მრავალ საეპისკოპოსოსთან ერთად, დროებით ნინონმინდის საეპისკოპოსომაც შეწყვიტა არსებობა. 1597 წლის ერთი სიგელი გვაუწყებს, რომ „უამთა სიგრძისა და ვითარებისაგან თქუენი ტაძარი მოშლილი და დაქცეული იყო და მამამან ჩუენმან მეფემან პატრონმან ლეონ ახლა მეორედ

ალაშენა და შეამკო ყოვლითურთ და დასუა ეპისკოპოზი და შესწირნა სოფელნი და აგარაკნი“... (ჟორდანია 1897:429; კაკაბაძე 1913:90; Пурцелაძე 1881:28, ფ. 1449, 1561).

ამდენად, ალექსანდრე II კახთა მეფის (1574-1605 წწ.) ამ სიგელით ირკვევა, რომ ნინოწმინდის ტაძარი XVI საუკუნის II ნახევარში ლევან კახთა მეფეს (1520-1574 წწ.) მეორედ განუახლებია და აქ კვლავ ეპისკოპოსი დაუსვამს.

რაც შეეხება ნინოწმინდელ ეპისკოპოსებსა და მათ ვინაობას, საბუთების მიხედვით, XVI საუკუნემდე ცნობილია მხოლოდ ერთი – XI საუკუნეში მოღვაწე მთარგმნელი, მწიგნობარი და შესანიშნავი კალიგრაფი არსენ ნინოწმინდელი, რომელიც შემდგომში ათონის მთაზე ექვთიმე ათონელთან გაემგზავრა ცნობილ სასულიერო მოღვაწე იოანე გრძელისძესთან ერთად და რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანადაა შერაცხილი.

აღსანიშნავია აგრეთვე თვითონ ნინოწმინდის ტაძრის წარწერებში მოხსენიებული ორი პირი. ამ წარწერებიდან ერთი უცნობი დამწერლობითაა შესრულებული და იგი დიდი ხანია მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ს. კაკაბაძე მას ქართულ დამწერლობად მიიჩნევდა და თავდაპირველად შიფრავდა, როგორც: „ღმერთო, შეენიე იოანე იაკობ მთავარეპისკოპოსს“, შემდეგ კი „ღმერთო, წმიდაო ჯუარო, იაყუბ მთავარეპისკოპოსი შეინყალე“ (Кაკаბაძე 1928:67). პ. ინგოროყვას შეხედულებით, წარწერა ალვანურ-ჰერულ ენაზეა შესრულებული და მას უდურის საფუძველზე კითხულობდა ამგვარად: „ქრისტე, ოხბ-ს-გ ოლმ-ლ-ლ პაკორდუხოკტ“. ინგოროყვას აზრით, წარწერა იმავე შინაარსის უნდა იყოს, როგორისაც მის გვერდით მოთავსებული ქართული წარწერა: „ქრისტე, მოიწსენე სული ბაკურდუხტისი, პაკორდუხტისი“. (ინგოროყვა 1927: 15). ა. შანიძე მას პირობითად „ჰერულს“ უწოდებს, მაგრამ მისთვის უცნობია დამწერლობაც და ენაც. შანიძის დაკვირვებით, წარწერა ალბანურისაგან განსხვავებულია, ხოლო საერთო სტილი ბერძნული აქვს (Шანიძე 1938:54-56). თ. ბარნაველი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ წარწერა კრიპტოგრამაა (ბარნაველი 1961: 121). ს. მურავიოვი ამ წარწერას გრაფიტოს უწოდებს და მიაჩნია შერყენილ ბერძნულად. იგი ასე კითხულობს მას: „ქრისტე, მონა ღვთისა სოლომონი მოიხსენე“ (Муравьев 1981:222-235). თ. ყაუხჩიშვილი კი, მასზე დაყრდნობით, წარწერას ბერძნულად კითხულობს: „ქრისტე, მონა ღმრთისა სოლო მოიწსენე“ (სახელი „სოლო“ სოლომონის შემოკლებული ფორმაა) და იგი მართებულ ახსნად მიაჩნია. (ყაუხჩიშვილი 1999:33-34; 2000:299-300).

ამ წარწერის ირგვლივ კიდევ ოთხი სხვა ქართული წარწერაცაა მოთავსებული, რომლებიც სპეციალისტთა მიერ X-XI საუკუნეებითაა დათარიღებული (ჩუბინაშვილი, შანიძე, ბარნაველი). თ. ყაუხჩიშვილის აზრით, სავარაუდოდ, ბერძნული წარწერაც (როგორც იგი უწოდებს) მათი თანადროულია (ყაუხჩიშვილი 2000:300).

ბ. კერატიშვილის ვარაუდით კი, აქ საქმე გვაქვს ქართულ კრიპტოგრამის (საიდუმლო დამწერლობის) უძველეს ნიმუშთან, ბერძნულ და ქართულ პალეოგრაფიაში დღემდე უცნობი კუთხოვანი ასომთავრული ასოებით შესრულებულთან. ნარწერის პალეოგრაფიული ხასიათი და გაშიფრული ტექსტის შინაარსი ავტორს აძლევს საფუძველს, რომ იგი IV საუკუნის II ნახევრით დაათარილოს. მასში მოხსენებული იოვ(ან)ე (ეპისკ)ო(პ)ოსი, მისი აზრით, წმინდა ნინოს დროინდელი მცხეთის პირველი ეპისკოპოსია (კერატიშვილი 1969:54).

ნინონმინდის ტაძრის ერთ-ერთი ნარწერა კიდევ ერთ ეპისკოპოსს მოიხსენიებს. აღნიშნული ნარწერა მკვლევარებმა შემდეგნაირად გაშიფრეს: „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე არქიეპისკოპოსი“. (Чубинашвили 1959:24, Шанидзе 1938:54; ბარნაველი 1961:118; შოშიაშვილი 1980:316). დაქარაგმებული სიტყვა „არქ-ა“, ყველა მათგანს გაგებული აქვს, როგორც „არქიეპისკოპოსი“. ერთადერთი, რომელიც ამ საერთო ვერსიას არ ეთანხმება ბ. კერატიშვილია. იგი აღნიშნავს, რომ ძველად „არქიეპისკოპოსს“ შეესატყვისებოდა ქართული ტერმინი „მთავარეპისკოპოსი“. სიტყვა „არქიეპისკოპოსი“, ქართულ ისტორიულ ძეგლებსა და წყაროებში გაცილებით გვიან – XVII-XVIII საუკუნეებიდან მკვიდრდება. მისი ფიქრით, ნინონმინდელ მღვდელმთავრებს, რადგან ეპისკოპოსობის ტიტულს გარდა „არქიმანდრიტის“ სახელოც სჭერიათ, ამიტომ სწორედ ეს სიტყვაა დაქარაგმებული ნინონმინდისავე ნარწერის ბოლო სიტყვაში „არქ-ა“, ე.ი „არქიმანდრიტი“. ამდენად, ნარწერა უნდა იკითხებოდეს როგორც „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე არქიმანდრიტი“ და არა „არქიეპისკოპოსი“. რაც შეეხება მის დათარილებას, კერატიშვილის აზრით, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში გამორკვეულია, რომ გარეჯის საფანეები სამეფო მონასტრებად ითვლებოდნენ 1424 წლამდე (ლომინაძე 1966:123) და, რადგან გარეჯა სამეფო კარს ბაგრატ III-ის მიერ 1010 წლის ახლო ხანებში კახეთის შემოერთების შემდეგ უკავშირდება, უნდა დავასკვნათ, რომ 1010 წლიდან XV საუკუნის I მეოთხედამდე გარეჯა ნინონმინდელს ჩამორთმეული ჰქონდა და, მასთან ერთად, ბუნებრივია, არქიმანდრიტის თანამდებობასაც დაკარგავდა (თუმცა, ასე არ უნდა ყოფილიყო XIII საუკუნეში „განგება დარბაზობის“ მიხედვით). ამდენად, ნარწერა XI საუკუნეში ვერ იქნება შესრულებული. ნარწერა უნდა შეესრულებინათ ბაგრატ III-ის მიერ გარეჯის მონასტრების სამეფო ხელისუფლებაში გადასვლამდე, 1010 წლამდე. ამასთან თუ ნარწერის პალეოგრაფიულ ხასიათსაც გავითვალისწინებთ, მაგ.: ასო „ფანი“-ს დაწერილობას, იგი უნდა მივიჩნიოთ არა უადრეს IX საუკუნის და არა უგვიანეს X საუკუნეში შესრულებულად. ნარწერაში მოხსენიებული სტეფანე არქიმანდრიტი გარეჯის მონასტერთა მაკურთხეველი და ნინონმინდელი ეპისკოპოსია (კერატიშვილი 1969:53-54), („არქიმანდრიტის“ ტიტულთან დაკავშირებით იხილეთ: ლეონ მელიქსეთ-ბეგი 1940: 154-155).

ამდენად, ნინონმინდის ტაძრის ამ ორი ნარწერის გამოკვლევათა ანალიზი დაგვჭირდა იმისათვის, რომ გამოგვერკვია: თუკი ამ ნარწერებში მოხსენიებული პირები (იოანე (ან იაყუბ) და სტეფანე) ეპისკოპოსისა და არქიმანდრიტის ხარის-

ხით არიან მოხსენიებულნი (რასაც ჩვენც არ გამოვრიცხავთ), საფიქრებელია, რომ ისინი მართლაც ნინონმინდელი ეპისკოპოსები ყოფილიყვნენ და თავის დროზე გარკვეული წვლილიც შეეტანათ ტაძრის აღდგენასა თუ საეპისკოპოსოს ისტორიაში.

რაც შეეხება XVI საუკუნეს, რა დროიდანაც ისტორიულ საბუთებში უკვე გვხვდებიან ნინონმინდის კათედრაზე მოღვაწე ეპისკოპოსები, პირველი მათგანი, რომელიც ამ პერიოდში მოჩანს, არის ზაქარია ნინონმინდელი. 1553 წელს ლევან კახთა მეფე (1520-1574წ.) და მისი ძეები სიგელს აძლევენ „ათორთა უდაბნოთა მაკურთხეველსა არქიმანდრიტ ნინონმინდელსა ზაქარიას“ სოფ. აზამბურის ღალის გამოურთმეველობისა და წმინდა ნინოს ტაძრისათვის შეწირვის შესახებ. „რასაც საყდრის ყმა აზამბურშიგა მოწნევედეს, მისი ღალა არა ვსთხოვოთ და არცა ავილოთ“, – აღნიშნავს მეფე საბუთში (ჟორდანიას 1897:396; კაკაბაძე 1913:64; Пурцеладзе 1881:28, ფ. 1449, ს. 1544). იმავე ნინონმინდელ ზაქარიას აძლევს ლევან მეფე ასეთი შინაარსის სიგელს: „რაც თქვენსა ჟამში დასახლებული კაცი იყოს, ნინონმინდის საყდრისათვის იქით ასაყრელად არც შეიღს და არც ჯორციელს კაცსა არა დავანებოთ და არც აგიყაროთ, ესე სამუდამო ნიშანი მოგვსენებიაო“ (სეა:ფ. 1449 ს. 1606).¹

პირობითად ეს საბუთი ლევან მეფის ზეობის წლებითაა დათარიღებული – 1520-1574 წწ. პ. კარბელაშვილი ზაქარია ნინონმინდელის ეპისკოპოსობის წლებად 1553-1563 წლებს მიიჩნევს (სეა:ფ. 1461 ს. 17), მაგრამ ამ წლებს ნანილობრივ თანხვდება მალაქიას ნინონმინდელობა, რომელიც მოიხსენიება ი. დოლიძის მიერ 1556-1560 წლებით დათარიღებულ საბუთში – „ერთგულების ნიგნი კახთ ეპისკოპოსებისა დომენტი კათალიკოზისადმი“ (Ad-1892). ნინონმინდელი მოიხსენიება შემდეგ კონტექსტში: „ჩუენ, ამა ალავერდელმან ფილიპე, ბოდბელ ეპისკოპოზმან ზაქარია, ნინონმინდელმან მალაქია, რუსთუელ ეპისკოპოზმან იოსებ, ნეკრესელ ეპისკოპოზმან ბასილი, კანარელ ეპისკოპოზმან ეგნატი, ქერემელ ეპისკოპოზმან ანტონი, ხარჭაშნელ ეპისკოპოზმან კლიმი, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე: ანუ საყდრისა ნიშანი, ანუ რჯულის საქმეზედა ვისცა გაუნყრე და გამოენახო, ჩუენც გაუნყრეთ და გამოვენახოთ, და სადამდი თქვენ არა ნახოთ და შენდობა არ უბოძოთ, არც ჩვენ ვნახოთ და არც შენდობა მივსცეთ.“ ი. დოლიძე საბუთს ათარიღებს დომენტი I-ის მიხედვით (დოლიძე 1970:268-269). გ. ჯანდიერი დომენტის კათალიკოსობის წლებად 1557-1562 წლებს მიიჩნევს. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით ის ვარაუდობს, რომ დაწერილი უნდა იყოს დომენტისა და ნიკოლოზის კათალიკოსობის მომიჯნავე წლებში,

¹ ეს სიგელი გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას, მაგრამ „ჟამის“ ნაცვლად იგი მცდარად კითხულობს: ... რაც თქვენსა ომში (?) დასახლებული (ობაში დასახლებული)? კაცი იყოსო“, თუმცა ამ წაკითხვაში თავად ეპარება ეჭვი (ჟორდანიას 1897:396).

რადგან აქ მოხსენიებული ანტონ ჭერემელი მომსწრეა როგორც დომენტის, ისე ნიკოლოზისა. ასეთი კათალიკოსები კი შეიძლება ყოფილიყვნენ დომენტი I და ნიკოლოზ IV ბარათაშვილი (ავტორი გულისხმობს ნიკოლოზ VII ბარათაშვილს, რომლის კათალიკოსობის პერიოდს 1562-1584 წლებით განსაზღვრავს (ჯანდიერი 1971:349-350).

ზემოთ აღნიშნული „ერთგულების წიგნი“ გამოყენებული აქვს ე. კაჭარავას ეხება რა კახეთის სამეფოს საეკლესიო მესვეურების სეპარატისტულ მისწრაფებებს მცხეთის საკათალიკოსოდან გამოყოფის საქმეში (ალავერდელი მთავარეპისკოპოსით სათავეში), მაგრამ, რატომღაც, მას აქ არეული აქვს ეპისკოპოსთა სახელები და ზოგიერთი მათგანი მოხსენიებულიც არა ჰყავს. (მაგ.: ბოდბელად ზაქარიას ნაცვლად დასახელებულია ეგნატი, ხოლო რუსთველი, ნინონმინდელი, ნეკრესელი და კანარელი ეპისკოპოსები მოხსენიებული საერთოდ არ არიან), (კაჭარავა 1987:113).

რაც შეეხება პ. კარბელაშვილს, ნინონმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ ნუსხაში მალაქია ნინონმინდელს იგი არ იხსენიებს და, როგორც ჩანს, მისთვის ის უცნობი მღვდელმთავარია.

შემდგომი ნინონმინდელი ეპისკოპოსი, რომელიც საბუთებში მოჩანს, არის სილოვანე. ერთ-ერთ უთარილო სიგელში, რომელიც, პირობითად, 1560წ-ის ახლო დროითაა დათარიღებული, გაცემს კახთა მეფე ლევანის ძე გიორგი „ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტელი მამა სილაონისადმი“ და ნინონმინდის „მღებვარის“ შემოსავალს მონასტერს სწირავს: „შემოგწირეთ და მოგაჭსენეთ მცირე ესე შესაწირავი ასე და ამა პირზედა, რომე დღეს და დღეის იქით ვინცა გეპრიანებოდეს და ნინონმინდას მღებვარი დასუათ, რაცა იმას გამოუვიდეს, თქუენთუის შემოგუწინრავს ჩუენდა სადღეგრძელოდ და პატრონობისა ჩუენისა წარსამართებლად. შეინირე, პატოსანო წმიდაო ნინო, და ვინცა მოგიშალოს, რისხამსცა მამა, ძე და სული წმიდა“ (სეა: ფ. 1449 ს. 1607; შემოკლებულად, ჟორდანია 1897:396).

მეორე სიგელი, რომელშიც ნინონმინდელი სილოვანეა მოხსენიებული „ერთგულების წიგნს“ წარმოადგენს კახთ ეპისკოპოსებისა ნიკოლოზ კათალიკოსისადმი: „ჩუენ: ამბა ალავერდელმან ზაქარიამ, ნინონმინდელმან სილოვანემ, კანარელ ეპისკოპოზმან ფილიპე, ბოდბელმან მაქსიმე, ნეკრესელმან კლიმე, ჭერემელმან ეგნატე, ხარჭაშენელმან ელისე ასრე და ამა პირსა ზედა, რომე: ანუ საყდრისა და ანუ რჯულის საქმეზედა ვისცა გაუწყრე და გამოენახო, ჩუენცა გაუწყრეთ და გამოვენახოთ, და სადამდის შენ არ ნახო და შენდობა არ მისცე, არც ჩვენ ვნახოთ და არც შენდობა მივსცეთ...“ (დოლიძე 1970:344).

ამ საბუთს ი. დოლიძე 1562-1588 წლებით ათარიღებს, ჟორდანია 1552-1582 წლების ახლო ხანებით (ჟორდანია 1897:395), ხოლო შემდგომში 1580 წლის ახლო დროით (ჟორდანია 1903:191). ნიკოლოზ კათალიკოსის მოღვაწეობის წლებად თ. ჟორდანია 1562-1587 წლებს მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ „იგი იყო ძე კა-

ხეთის მეფის ლევანისი, ვგონებ ერეკლე ყოფილი: ეს ერეკლე სჩანს გუჯრებში, ბროსემ არ იცის იგი.“ (ჟორდანია 1903:191).

როგორც ჩანს, ნიკოლოზ კათალიკოსში იგი გულისხმობს ნიკოლოზ VIII ბაგრატიონს, ლევანის ძეს, რომელიც დაახლოებით 1584-1589 წლებში მოღვაწეობდა და არა ნიკოლოზ VII (ბარათაშვილს)-დაახლ. 1561-1584 წწ. ეს სიგელი კი ამ უკანასკნელის სახელზეა გაცემული, რადგან მისი კათალიკოსობის დროს ჰქონდა ადგილი კახეთის ეკლესიური გამოყოფის მცდელობას, რომელიც საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდგომ გამოვლინდა და სამცხე-საათაბაგოსა და კახეთის ეპისკოპოსთა სხვადასხვა დროს რამდენჯერმე ნაცადი ურჩობა-სეპარატიზმი მცხეთის საკათალიკოსო ტახტისაგან აღკვეთილ იქნა. კახეთის ეპისკოპოსთა ასეთ მცდელობაზე მეტყველებს აგრეთვე 1562-1588 წლებით დათარიღებული გაბრიელ ალავერდელის ნიკოლოზ კათალიკოსისადმი მიცემული ერთგულების ფიცის წიგნიც.

ამდენად, ზემოთ აღნიშნული სიგელი დანერილი უნდა იყოს ნიკოლოზ VII კათალიკოსის დროს და ნინოწმინდელი ეპისკოპოსი სილოვანეც მისი დროის მოღვაწედ უნდა მივიჩნიოთ.

პ. კარბელაშვილი სილოვანეს ეპისკოპოსობას 1551-1580 წლებით ათარიღებს (კარბელაშვილი:ფ. 1461 ს. 17).

შემდგომი ნინოწმინდელი ეპისკოპოსი, რომელიც ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება, არის კოზმა ნინოწმინდელი. მის სახელზე გაცემულია ხოჯა ამირანას პირობის წიგნი, რომელიც უთარილო საბუთს წარმოადგენს და პირობითად იგი XVI საუკუნის ბოლოთია დათარიღებული (სეა:ფ. 1448 ს. 1458). სიგელი დღემდე გამოცემული არ ყოფილა და გვსურს სამეცნიერო ლიტერატურაში მისი შემოტანა.

საბუთი წარმოადგენს დედანს. დანერილია მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდგომ ნახმარია ორ-ორი წერტილი (იშვიათად სამი). დოკუმენტი უთარილოა, დაახლოებით XVI საუკუნის ბოლოთია ნავარაუდევო მისი დათარიღება და გამოცემა ამ საბუთისა ამჯერად პირველად ხდება.

(წაკითხვა, ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – მ. შ.)

ქ. ესე წიგნი მოგართვით მე, გრემის ხოჯამ ამირან, თქვენ, ნინოწმინდელს ბატონს კოზმანს, ასრე რომ, სხუათ ხოჯათაგანც შენს ყმას ბარებოდა საბაჟო და თუკინც თქვენს ყმას მივაბარეთ, ასრე რომ, უჩემოდ რაც შენმა კაცმა წილილოს, მესამედი თქუენ და ორი წილი ჴელმწიფეს, და თუ მე და ჩემა ყმა [მ] ... (აღარ იკითხება – მ. შ.)

ქ. ვფიცავ მე, სიბაშვილი შავარდი, ჯილაური პაატა, წმიდას ნინოზედ არს, რომე წმიდის ნინოს მადლმან და სიგ[ელი]... (დაინერა ?– მ. შ.)

ქ. გრემის ხოჯისაგან (სეა:ფ. 1448 ს. 1458)

ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ეს საბუთი XVII საუკუნის I ნახევარში იყოს შედგენილი. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ კოზმა ნინოწმინდელი რამდენჯერმე იხსენიება 1639 წელს მეფე თეიმურაზ I-ის (1606-

1648წ.) კარზე რუსეთის მეფის მიხეილ თეოდორეს ძის ელჩების სტუმრობის დროს და იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს წყალობის სიგელის მიღების ცერემონიაში (Полиевктов 1937:318-321-413). პ. იოსელიანის ცნობითაც, კოზმას ხელმოწერა გვხვდება მეფე თეიმურაზ I-ის წერილზე, რომელიც გაგზავნილი იყო მიხეილ თეოდორეს ძისადმი 1639 წელს (Иоселиани 1846:30).

არსებობს აგრეთვე დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის წარწერა, რომელშიც მოიხსენიება ნინონმინდელი კოსმა (კოზმა). პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით იგი XVII საუკუნითაა დათარიღებული (კლდიაშვილი, სხირტლაძე 1999:123) და ამ თარიღს კიდევ უფრო ამაგრებს ზემოთ აღნიშნული მოვლენებიც.

ამდენად, კოზმას ნინონმინდელობამ შესაძლოა XVII ს-ის I ნახევარში გადმონაცვლოს, რადგან თუ მისი ეპისკოპოსობის საწყისად XVI ს-ის ბოლოს (90-იან წლებს) მივიღებთ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ძველი საეკლესიო კანონით (მაგ. რუის-ურბნისის ძეგლისწერა) 35 წლამდე იგი (ამ შემთხვევაში თუ მეტი არა) ეპისკოპოსის ხარისხს ვერ მიიღებდა, ხოლო 1639 წელს, რადგან კოზმა ჯერ კიდევ ნინონმინდელია (და ამ წელს, ბუნებრივია, ვერც ბოლო საზღვრად მივიჩნევთ), გამოდის, რომ ამ დროისათვის ის ღრმად მოხუცებული უნდა ყოფილიყო. თეიმურაზ მეფესთან რუსთა ელჩობის დროს კი იგი საკმაოდ ენერგიული მოჩანს და სხვა ქართველ ეპისკოპოსებთან (განსაკუთრებით ალავერდელ ზებედესთან) ერთად მონაწილეობას იღებს ყოველ წირვასა თუ სხვა მრავალ მნიშვნელოვან ღონისძიებაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1638 წლის ერთ საბუთში იოსებ ნინონმინდელი (სავარაუდოდ ჩოლოყაშვილი) მოიხსენიება. (ჟორდანიას 1897: 453). ამდენად, 1639 წელი კოზმას ნინონმინდელობის დასაწყისადაც კი შეგვიძლია ჩავთვალოთ.

პ. კარბელაშვილი კოზმა ნინონმინდელის ეპისკოპოსობას 1628-1639 წლებით ათარიღებს (სეა:ფ. 1461 ს. 17).

ამდენად, XVI ს-ის ნინონმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, ჩვენი აზრით, დაახლოებით ასე გამოიყურება:

ზაქარია – 1553-1556 წწ,

მალაქია – 1557-1560 წწ.

სილოვანე – 1561-1584 წწ.

რაც შეეხება კოზმა ნინონმინდელს, ჩვენ იგი XVII ს-ის I ნახევრის მოღვაწედ მიგვაჩნია და მას XVI ს-ის ნინონმინდელთა ქრონოლოგიურ რიგში არ მოვაქცევთ.

1591 წლის ერთ-ერთ საბუთში ნინონმინდელი მოიხსენიება როგორც „ნინონმინდელი ეპისკოპოსი გარეჯელი“, რომლისთვისაც, მეფის ბრძანებით, ქალაქების – ძეგამისა და გრემის მმართველებს, და დივანის საქმეთა გამგეებს დამლის გამორთმევა ევალებათ (ფუთურიძე 1955:43-45). ჩვენთვის უცნობია ამ ნინონმინდელის ვინაობა და, ცხადია, ძნელი სათქმელია კონკრეტულად მისი დასახელება დაახლოებით ამავე ახლო პერიოდებში ცნობილი ეპისკოპოსების საფუძველზე.

ამრიგად, წყაროების სიმწირის გამო, XVII საუკუნემდე ძალიან ცოტა ნინო-წმინდელი ეპისკოპოსის ვინაობის დადგენა ხდება შესაძლებელი, თუმცა, XVII საუკუნიდან ეს დანაკლისი საგრძნობლად ივსება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- ბარნაველი 1961:** კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თ. ბარნაველმა, თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1961.
- დოლიძე 1970:** ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. III, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1970.
- ვახუშტი ბაგრატიონი 1973:** ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.
- ინგოროყვა 1927:** პ. ინგოროყვა, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომების ოქმები № 249, 15. 1; თბილისი, 1927.
- კაკაბაძე 1913:** ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფილისი: გამომც. „ელექტრომბეჭდავი ს.მ. ლოსაბერიძისა“, 1913.
- კაჭარავა 1987:** ე. კაჭარავა, საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, „მაცნე“, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია №3, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.
- კერატიშვილი 1969:** ბ. კერატიშვილი, ნინოწმინდის ქართული წარწერა, ჟურნ. „საბჭოთა საქართველო“ №7, 1969.
- კლდიაშვილი, სხირტლაძე 1999:** გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, ტ. I, ნაკ. I, თბილისი: გამომცემლობა „არადანი“, 1999.
- ლომინაძე 1966:** ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები) I, თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1966.
- მელიქსეთ-ბეგი 1940:** ლ. მელიქსეთ-ბეგი, გარეჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა ქართულ-სომხურ-სპარსულ-უილურული, ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, საქ. სსრ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გამომცემლობა, 1940.
- მელიქსეთ-ბეგი 1974:** ლ. მელიქსეთ-ბეგი, არქეოლოგიური მოგზაურობა გარეთ-კახეთსა და ქერემის ხეობაში, საგარეჯო-ნინოწმინდა, IV, გაზ. „სახალხო საქმე“, № 964, 1974.
- მენაბდე 1962:** ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკ. I, თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1962.
- ჟორდანია 1903:** თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიის ისტორიული საბუთები, ფოთი: გამოცემა ეპისკოპოსის ალექსანდრესი, 1903

- ჟორდანია 1897:** თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა (1213 წ-დან 1700 წ-მდე), ტ. II, ტფილისი: გამომცემლობა კონსტანტინე ივანეს ძის მუხრან-ბატონისა, 1897.
- საქართველოს ეროვნული არქივი,** ფ. 1448, ს. 612
- საქართველოს ეროვნული არქივი,** ფ. 1448, ს. 1458
- საქართველოს ეროვნული არქივი,** ფ. 1449, ს. 1544
- საქართველოს ეროვნული არქივი,** ფ. 1449, ს. 1561
- საქართველოს ეროვნული არქივი,** ფ. 1449, ს. 1606
- საქართველოს ეროვნული არქივი,** ფ. 1449, ს. 1607
- საქართველოს ეროვნული არქივი,** ფ. 1461, ს. 17, კარბელაშვილის პირადი ფონდი.
- ფუთურიძე 1955:** ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბილისი: საქ. სსრ მეც. აკად. გამომცემლობა, 1955.
- ქართლის ცხოვრება, I,** ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: „სახელგამი“, 1955.
- ყაუხჩიშვილი 1951:** თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1951.
- ყაუხჩიშვილი 1999:** თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, დასავლეთ საქართველო, თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“, 1999.
- ყაუხჩიშვილი 2000:** თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, II, აღმოსავლეთ საქართველო, თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“, 2000.
- შოშიაშვილი 1980:** ქართული წარწერების კორპუსი, I, (ლაპიდარული წარწერები), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.
- ჩუბინაშვილი 1926:** გ. ჩუბინაშვილი, რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება საქართველოში“, 1926.
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი** ფ. AD – №1892
- ჯავახიშვილი 1960:** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი: საქ.სსრ. მეც.აკად.გამომც., 1960.
- ჯანდიერი 1971:** გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), მრავალთავი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.
- Иоселиани 1846:** Иоселиани П. *Путевыя записки по Кахети*, Тифлис, 1846.
- Какабадзе 1928:** Какабадзе С. И. „*Ниноциндский памятник*“, Бюллетень Кавказского Историко-Археологического института в Тифлисе, №4, Тифлис, 1928.
- Муравьев 1981:** Муравьев С. Н. *Три этюда о Кавказско-Албанской письменности*: კრში: „იბერიულ-კავკასიური წელინდეული VIII, 1981.
- Полиевктов 1937:** *Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношений 1615-1640 гг.*, Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, Тбилиси: Издательство Тбилисского гос. Университета, 1937.
- Пурцеладзе 1881:** Пурцеладзе Д. П. *Грузинские церковные гуджари (грамоты)*, Тифлис, 1881.
- Шанидзе 1938:** Шанидзе А. *Новооткрытый алфавит Кавказских албанцев и его значение для науки*, თბილისი: აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური

კულტურის ინსტიტუტის მოამბე, IV, სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გამომცემლობა, 1938.

Чубинашвили 1959: Чубинашвили Г. Н. *Архитектура Кахетии, Исследование развития архитектуры в восточной провинции Грузии в IV-XVIII вв.*, Тбилиси: Издательство академии наук Грузинской ССР, 1959.

Maya Shaorshadze

NINOTSMINDA EPISCOPATE AND CHRONOLOGICAL ORDER OF THE NINOTSMINDA BISHOPS OF THE XVI CENTURY

SUMMARY

The present work analyzes the history of Ninotsminda episcopate foundation. It stresses special respect attached to the Ninotsminda bishops at assemblies and their mentioning within the centuries by the title of “archimandrite of twelve desert monasteries”. Ninotsminda bishop was superior of Gareja monasteries. Despite this superiors of other monasteries sometimes used to claim this.

The work stresses the attention on two persons mentioned in the X-XI century inscriptions of Ninotsminda cathedral. The views expressed by scholars on these inscriptions are taken into consideration and supposition is expressed that these persons, mentioned in the degree of a bishop and archimandrite may be just Ninotsminda bishops, who largely contributed to restoration of the cathedral and to the history of episcopate.

As for the XVI century, when the Ninotsminda bishops already appear in the historical documents, there are discussed in the work data on some of them and are roughly determined the years of activities of three of them. They are: Zakaria – 1553-1556; Malakia – 1557-1560 and Silovane – 1561-1584.

The work for the first time presents one document preserved in the Georgian national archives (f. 1448. s.1458), which is not dated and is relatively dated by the end of the XVI century. New consideration is expressed that the activities of Kozma of Ninotsminda mentioned in the document should have been started from the 30s of the XVI century that is witnessed by other sources. Namely, in 1639 he is mentioned during the visit of the ambassadors of King of Russia Mikhail at the court of King Teimuraz I and Kozma (Kosma) of Ninotsminda mentioned in one inscription of the Gareji desert monastery, dated by paleographic signs with the XVI century. In one document of 1638 there is mentioned Ioseb of Ninotsminda. Thus, the period of Kozma of Ninotsminda was shifted to the XVII century.

ბოჩა საითიკა

**უცნობი დოკუმენტები აკადემიკოს ექვთიმე
თაყაიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ
(XX საუკუნის 20-30-იანი წლები)**

დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953 წწ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას ჩვენში საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ამ საკითხის შესახებ დაინერა ბევრი ნაშრომი, გამოქვეყნდა ისტორიული დოკუმენტები (*აკადემიკოსი...* 1966; გამსახურდია 1964; გოზალიშვილი 1960; ლომთათიძე გ. *ექვთიმე თაყაიშვილი* 1965; ლომთათიძე გ. *ქართული კულტურის მემკვიდრე* 1990; მეგრელიძე 1989; მეტრეველი... 1962; მეტრეველი რ. *ექვთიმე თაყაიშვილის...* 1963; მეტრეველი რ. *საქართველოს...* 1982; Ломташвиძე 1964), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მანც ზღვაში წვეთია მასალების საერთო რაოდენობასთან შედარებით, ბევრი წყარო ჯერ კიდევ გამოვლენას და დღის სინათლეზე გამოტანას ელის. კერძოდ, ვგულისხმობთ თვით მეცნიერის პირად არქივში (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ე. თაყაიშვილის პირადი არქივის აღწერილობა 1972 წელს გამოსცა მკვლევარმა ელენე კელენჯერიძემ) არსებულ ასეულობით სხვადასხვა სახის დოკუმენტს.

აკად. ე. თაყაიშვილის პირადი არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს 1957 წელს გადაეცა. მასში თავმოყრილი დიდძალი დოკუმენტური მასალა სრულად ასახავს ე. თაყაიშვილის მრავალმხრივ მეცნიერულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. ამჯერად ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანს მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა წარმოადგენს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე ე. თაყაიშვილს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული არა მარტო საქართველოს, არამედ უცხოეთის მონინავე საზოგადოებრიობის ფართო წრეებთან, რამაც ასახვა მის მიმონერაშიც ჰპოვა. დღესდღეობით აღნიშნული სახის მასალების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოქვეყნებული. უპირველეს ყოვლისა, დავასახელებდით პროფ. შალვა გოზალიშვილის პუბლიკაციას, რომელშიც ამ უკანასკნელმა სათანადო შესავლითა

და კომენტარებითურთ გამოსცა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან: ილია ჭავჭავაძესთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან, გიორგი წერეთელთან, თედო ჟორდანიასთან, იაკობ გოგებაშვილთან, ივანე ჯავახიშვილთან, ნიკო ცხვედაძესთან, ანასტასია წერეთელთან, იოსებ ოცხელთან, სერგი გორგაძესა და სხვ. ე. თაყაიშვილის მიმონერის ამსახველი ისტორიული დოკუმენტები (გოზალიშვილი 1960: 210-237), თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან ბევრი წყარო ჯერჯერობით თავის მკვლევარსა და გამომცემელს ელოდება.

ამჯერად გვსურს მკითხველს შევთავაზოთ და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ ე. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში დაცული დღემდე გამოუქვეყნებელი 4 დოკუმენტი, რომლებიც ქრონოლოგიურად 1920-1931 წლებს განეკუთვნება. მათში ასახულია ე. თაყაიშვილის ურთიერთობა გერმანულ სამეცნიერო სამყაროსთან, XX საუკუნის 20-იან წლებში გერმანიაში მოსწავლე ქართველ სტუდენტებთან, შემდგომში გამოჩენილ მეცნიერებთან – ნიკოლოზ ქოიავასა (1892-1967 წწ.) და გრიგოლ ფერაძესთან (1899-1942 წწ.). წერილებში არსებული ცნობები უაღრესად საინტერესოა როგორც ე. თაყაიშვილის ბიოგრაფიის, ისე ქართულ-გერმანული ურთიერთობების, ზოგადად ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

განვიხილოთ თითოეული დოკუმენტი ცალ-ცალკე:

1) 1920 წლის 15 ნოემბერს „გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოების“ გამგეობამ მიმართვა გაუგზავნა საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგს (მოადგილეს; მიმართვის მიხედვით – ვიცე-პრეზიდენტს. გ. ს.) ექვთიმე თაყაიშვილს და მიიწვია იგი საზოგადოების წევრთა კრებაზე.

აღნიშნული დოკუმენტიდან დგინდება ე. თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი დღემდე უცნობი ფაქტი, კერძოდ, მისი მონაწილეობა 1918 წელს დაარსებული საზოგადოების საქმიანობაში; მიმართვა საინტერესოა იმითაც, რომ მასში მოცემულია „გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოების“ წევრთა სრული სია.

2) საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ, 1921 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი ე. თაყაიშვილი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. მიუხედავად ამისა, იგი ყოველნაირად ცდილობდა მზრუნველობა და ყურადღება არ მოეკლო ჯერ კიდევ 1919-1920 წლებში უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში თსუ-ის მიერ სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდებისთვის. ზემოთქმულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ნიკოლოზ ქოიავას მიერ ე. თაყაიშვილისადმი 1922 წლის 5 იანვარს გაგზავნილი წერილი-ანგარიშიც. სანამ მის შინაარსს შემოგთავაზებდეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ წერილის ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ქოიავა დაიბადა 1892 წლის 9 მარტს ოჩამჩირეში. მან დაწყებითი განათლება სამტრედიიაში მიიღო, შემდეგ კი სწავლა ქუთაისში,

———— უცნობი დოკუმენტები ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის შესახებ

მოსამზადებელ სკოლაში, განაგრძო. 1904 წელს იგი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შევიდა. 1905-1913 წლებში ნ. ქოიავა ასტრახანის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა, რის შემდეგაც კიევის კომერციული ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მან დაწერა სარეფერატო ნაშრომები: „Финансы города Киева (1906-1916 гг.)“, „Кооперативное движение в Закавказье“ და სხვ.

1917 წელს ნ. ქოიავამ კიევის კომერციული ინსტიტუტი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით დაასრულა. მას იქვე საპროფესოროდ მოსამზადებლად დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ ახალგაზრდა მკვლევარმა სამშობლოში დაბრუნება და ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის დაწყება ამჯობინა. 1920-1922 წლებში ბერლინის უნივერსიტეტში ვ. ზომბარტის, კ. ბორტკევიჩის, პ. კუნოვის, ე. ბერნშტაინის, გ. შტამლერის და სხვა ცნობილ მეცნიერთა ლექციებს ისმენდა; 1922-1923 წლებში მუშაობდა იენის უნივერსიტეტში პროფესორების – ფ. ელისტერისა და ო. პირსტორფის ხელმძღვანელობით.

1923 წელს ნ. ქოიავა საქართველოში დაბრუნდა, ზეპირი სადოქტორო გამოცდები ჩააბარა და თსუ-ში ლექციების კითხვას შეუდგა. იგი პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიისა და პრაქტიკული ეკონომიკის სალექციო კურსებს კითხულობდა.

1930-1937 წლებში ნ. ქოიავა იყო თსუ-ის საკრედიტო და გაერთიანებულ საფინანსო-საკრედიტო კათედრის გამგე (1933 წელს მას პროფესორის სამეცნიერო ნოდება მიენიჭა); 1937-1967 წლებში ფინანსებისა და კრედიტის კათედრას განაგებდა; 1945-1952, 1957-1960 და 1965-1966 წლებში იყო თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი; 1961-1964 წლებში – პრორექტორი დაუსწრებელი სწავლების დარგში; 1963-1966 წლებში – თსუ-ის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1942 წლის 16 ივლისს ნ. ქოიავამ თსუ-ში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „Всемирные деньги“. 1946 წელს მას საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ნოდება მიენიჭა. ნ. ქოიავა გარდაიცვალა 1967 წლის 13 მაისს თბილისში.

ნ. ქოიავას ნაშრომები (რომელთა საერთო რაოდენობა 80-ს აჭარბებს) ეკონომიკური თეორიის, ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და ფინანსების საკითხებს შეეხება. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონოგრაფიები: „კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი“ (ნაწ. 1-2, თბ., 1956-1960), „ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში“ (თბ., 1963), „შრომის იარაღები და პირადი მოხმარების საგნები ვეფხისტყაოსანში“ (თბ., 1967) და სხვ. (თბილისის... 1998: 208-209; ქოიავა... 2002: 897; ქორიძე 1969: 7-8; ხელაია 1986: 545).

პროფ. ნ. ქოიავას გერმანიაში ყოფნის პერიოდს (1920-1923 წწ.) ასახავს ის წერილი, რომელიც მან უკვე ემიგრაციაში მყოფ ე. თაყაიშვილს ბერლინიდან

გაუგზავნა. წერილის შინაარსი ამგვარია: ნ. ქოიავა ატყობინებს ე. თაყაიშვილს, რომ მისი თხოვნის შესაბამისად, უგზავნის თავის სამეცნიერო ანგარიშს თბილისში გადასაგზავნად; აუწყებს, რომ მან, როგორც თსუ-ის სტიპენდიატმა, 1918-1919 წლების ანგარიში უნივერსიტეტს უკვე წარუდგინა; ამჯერად კი უგზავნის 1920 წლის ანგარიშს; შესავალ წერილს თან ერთვის ნ. ქოიავას მიერ 1920 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის ანგარიში, აგრეთვე, დამუშავებული ლიტერატურის სია სათანადო განმარტებითურთ.

3) პროფ. ნ. ქოიავასგან განსხვავებით, სამშობლოში დაბრუნება ველარასდროს მოახერხა 20-იანი წლების დამდეგს გერმანიაში სასწავლებლად წასულმა გრიგოლ ფერაძემ. ჩვენს ხელთაა მის მიერ ე. თაყაიშვილისადმი გაგზავნილი 2 წერილი, დათარიღებული 1929 წლის 20 დეკემბრითა და 1931 წლის 2 მაისით. რადგანაც ჩვენი საზოგადოებრიობის ფართო წრეებისთვის ჯერჯერობით ნაკლებადაა ცნობილი გრ. ფერაძის მოღვაწეობა, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გავიხსენოთ მის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზაც.

გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 13 სექტემბერს სოფელ ბაკურციხეში (ახლანდ. გურჯაანის რაიონი). თბილისის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 1913 წელს, იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა, რომელიც 1918 წელს დაამთავრა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1921 წლის ოქტომბერში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას, კორნელი კეკელიძის, არტურ ლაისტისა და სხვათა შუამდგომლობითა და დახმარებით გრ. ფერაძე გერმანიაში სასწავლებლად გაემგზავრა (პაპროცკი 1987: 10; პაპუაშვილი 1988: 38; ჭუმბურიძე 2003: 99).

სამი წლის მანძილზე (1922-1925 წწ.) გრ. ფერაძე ბერლინის უნივერსიტეტში სწავლობდა, 1925 წელს კი მან სწავლა ბონის უნივერსიტეტში განაგრძო. 1926 წელს გრ. ფერაძემ ბონში წარადგინა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული ბერმონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1064 წლამდე“. ამ ნაშრომისათვის მას 1927 წლის 17 დეკემბერს ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

1926-1927 წლებში, ბრიუსელში, ცნობილი ორიენტალისტის – პაულ პეეტერსის ხელმძღვანელობით გრ. ფერაძე აღმოსავლურ ენებში იღრმავებდა ცოდნას, ესწრებოდა ლექციებს ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში. ამ დროისათვის იგი უკვე შესანიშნავად ფლობდა ებრაულ, სირიულ, არაბულ, კოპტურ, ძველბერძნულ, ლათინურ, ძველსომხურ, სლავურ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს.

1927 წელს გრ. ფერაძემ მუშაობა დაიწყო ბონის უნივერსიტეტში ჯერ ქართული და სომხური ენების ლექტორად, ხოლო შემდეგ ქართულ-სომხური ფილოლოგიის პრივატ-დოცენტად. ამავდროულად, იგი ბევრს წერდა და ხშირად კითხულობდა მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებზე, რამაც მას საერთაშორისო ავტორიტეტი მოუხვეჭა... და ამ წარმატებების კვალდაკვალ მის სულში

სიხარულის ნაცვლად სევდა ისადგურებდა. მას ხომ თავისი ცოდნის გამოყენება, სტუდენტების დამოძღვრა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში სურდა...

ჯერ კიდევ 1921 წელს, როცა ბერლინში მიემგზავრებოდა, გრ. ფერაძეს იმედი ჰქონდა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნდებოდა, მაგრამ საბჭოთა საკონსულოში მას პასპორტი წაართვეს. შექმნილ ექსტრემალურ ვითარებაში მას დევნილთათვის განკუთვნილი პასპორტი გაუკეთეს, როგორც გაირკვა, თურმე სამუდამოდ.

1926 წელს გრ. ფერაძემ განცხადებით მიმართა საბჭოთა საელჩოს, სადაც სამშობლოში დაბრუნების ნებართვას ითხოვდა, მაგრამ... საბჭოთა კავშირს მეცნიერი თეოლოგები არ სჭირდებოდა. გრიგოლი ხშირად უგზავნიდა წერილებს საქართველოში თავის მასწავლებლებს – კორნელი კეკელიძესა და ივანე ჯავახიშვილს, რომლებთანაც დახმარებას, რჩევა-დარიგებებს სთხოვდა. სამწუხაროდ, მისთვის დახმარების აღმოჩენა კ. კეკელიძემ და ივ. ჯავახიშვილმა ვერ მოახერხეს, მას თვითონ უნდა ეპოვნა გზა, რომელსაც დაადგებოდა... და ეს გზაც გამოინახა... გრ. ფერაძემ პარიზში წმ. ნინოს სახელობის ეკლესია დააარსა (ათწლეულების განმავლობაში ერთადერთი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია საზღვარგარეთ. გ. ს.) (საითიძე გ. *რამდენიმე...* 2003: 111-119; საითიძე გ. *წმინდა...* 2003: 13; ფერაძე 1995: 11).

1931 წლის აპრილში გრ. ფერაძე ბერად აღიკვეცა, 25 მაისს პარიზში მღვდლად ეკურთხა, ხოლო 31 მაისს წმ. ნინოს ეკლესიაში უკვე პირველი ღვთისმსახურებაც აღავლინა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრ. ფერაძის მიერ ე. თაყაიშვილისადმი გაგზავნილი წერილები ქრონოლოგიურად 1929-1931 წლებს განეკუთვნება. როგორც ჩანს, მათი დაახლოება სწორედ ამ პერიოდში მოხდა. ცნობილია, რომ გრ. ფერაძე ე. თაყაიშვილს ემიგრანტული მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილი ეროვნული საგანძურის სისტემატიზაციაში ეხმარებოდა (**დავიდოვი 1990: 4**).

რაც შეეხება ე. თაყაიშვილისადმი გაგზავნილ წერილებს, მათში ამ უკანასკნელს გრ. ფერაძე აღუწერს თავისი სამეცნიერო მუშაობის მიმდინარეობას, ე. თაყაიშვილისთვის საინტერესო უცხოურენოვანი სამეცნიერო გამოკვლევების მოსაპოვებლად გაწეულ მუშაობას, მის მიერ მოძიებულ უძველეს ქართულ ხელნაწერებს, გამოთქვამს წუხილს ე. თაყაიშვილის მეუღლის – ნინო პოლტორაკუკაიას ავადმყოფობის გამო, აცნობებს მღვდლად კურთხევასთან დაკავშირებულ ამბებს და ა. შ.

გრ. ფერაძეს ინტენსიური სამეცნიერო მოღვაწეობა არც მღვდლად კურთხევის შემდეგ შეუწყვეტია. 1931 წელს მან პარიზში დაიწყო სამეცნიერო ჟურნალის – „ჯვარი ვაზისა“ – გამოცემა, რომელშიც სისტემატურად ბეჭდავდა საკუთარ სტატიებსაც.

1932 წელს მამა გრიგოლმა ბონის უნივერსიტეტში მუშაობას თავი საბოლოოდ დაანება და, ფაქტობრივად, უსახსროდ დარჩა. მხოლოდ ეკლესიის წინამძღვრობა მას ცხოვრების სარჩოს ვერ მისცემდა. ამიტომაც დათანხმდა იგი

მეგობრის, სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტის დიონისე ვალედინსკის მიწვევას ვარშავის უნივერსიტეტში მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე პატროლოგიის პროფესორად მუშაობის დაწყების თაობაზე. 1933 წელს გრ. ფერაძე ვარშავაში დასახლდა და დაიწყო უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა, ხოლო სააღდგომო, საზაფხულო და საშობაო არდადეგებს პარიზში, თავის მრევლთან ატარებდა.

1934 წელს გრ. ფერაძე არქიმანდრიტად აკურთხეს. ამ პერიოდიდან იწყება მისი მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული ქართული სიძველეების მოსაძიებლად, და თუკი შესაძლებელი იქნებოდა, შესასყიდადაც. ამ სამეცნიერო მივლინებებს იგი საკუთარი ხელფასიდან დანაზოგი თანხით აფინანსებდა. 1934-1937 წლებში მამა გრიგოლმა იმოგზაურა საბერძნეთში, რუმინეთში, იტალიაში, ავსტრიაში, ბულგარეთში, სირიასა და იერუსალიმში, სადაც ქართული კულტურის არაერთ ნიმუშსაც მიაგნო. განსაკუთრებით ფასეული იყო XI საუკუნეში მოღვაწე ბიზანტიის დიდი დომესტიკოსის – გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებული პეტრინონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ხელნაწერის აღმოჩენა სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში (ფერაძე 1983: 303).

1939 წელს გერმანიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ, მამა გრიგოლისათვის უკვე, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო მეცნიერული მუშაობა. ამ დროიდან იგი უკვე მუდმივად ვარშავაში ცხოვრობდა – მან გადაწყვიტა, არ დაეტოვებინა პოლონეთი და ბოლომდე გაეზიარებინა საყვარელი ერის ჭირვარამი. მამა გრიგოლი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ყოველნაირად ეხმარებოდა პოლონელებსა და ებრაელებს, ცდილობდა დალუპვისაგან ეხსნა ისინი.

1942 წლის 4 მაისს ვარშავაში გრ. ფერაძე გესტაპომ დააპატიმრა. ნოემბერში იგი ოსვენციმის (იგივე აუშვიცის) საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს. ამის შემდეგ წყდება დოკუმენტური მონაცემები მისი ცხოვრების შესახებ. არსებობს მხოლოდ ბანაკის ადმინისტრაციის ოფიციალური ცნობა, რომლის მიხედვითაც, 1942 წლის 6 დეკემბერს, 16 საათსა და 45 წუთზე, მამა გრიგოლი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა; მაგრამ როგორ, რა ვითარებაში, ზუსტად არ არის ცნობილი.

არსებობს ორი ვერსია გრ. ფერაძის დალუპვის გარემოებასთან დაკავშირებით: პირველის მიხედვით, ბანაკში გერმანელი ოფიცერი მოუკლავთ. ადმინისტრაციას მკვლეელი ვერ უპოვნია, ყველა ტუსალი, დიდიან-პატარაიანად, მთავარ მოედანზე გამოურეკავს, საშინელ ყინვაში გაუშიშვლებია და უთქვამს – ასე დღე-ღამეობილა იდგებით ყინულზე, ვიდრე მკვლეელი არ გამოჩნდებაო. მაშინ პატიმრების მწკრივს გრ. ფერაძე გამოეყო. იგი ჯერ ძაღლებს დააგლეჯინეს, ხოლო შემდეგ ბენზინი გადაასხეს და ბანაკის თვალწინ დაწვეს.

მეორე, უფრო გავრცელებული ცნობის თანახმად, რომელიც გრ. ფერაძის ჯვართან ერთად მიტროპოლიტ დიონისეს გადასცა ბანაკიდან დაბრუნებულმა ყოფილმა პატიმარმა, მამა გრიგოლი თავისი ნებით შევიდა გაზის კამერაში იმ ებრაელი ტუსალის სანაცვლოდ, რომელსაც მრავალშვილიანი ოჯახი ჰყავდა.

———— უცნობი დოკუმენტები ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის შესახებ

ასე დაილუპა დიდი ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე. საბედნიეროდ, ჩვენ, მის შთამომავლებს, შემოგვრჩა მეცნიერის უამრავი გამოქვეყნებული ნაშრომი, მოგონება, ლექსი, მოთხრობა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა... მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად დაიკარგა მისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა ვარშავაში, გამოუქვეყნებელი ნაშრომები, უძვირფასესი ნივთები, რომლებიც სამეცნიერო მივლინებებიდან ჩამოჰქონდა.

მაგრამ მამა გრიგოლის საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ამას კარგად ადასტურებს ისიც, რომ იგი ძალზე პოპულარულია უცხოეთის თეოლოგიურ წრეებში, ხოლო პოლონეთში მის ხსოვნასა და ღვაწლს ამ ერის წინაშე მონივნებით სცემენ პატივს. პოლონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა, მისი სახელი ამოტვიფრულია უნივერსიტეტისა და, აგრეთვე, წმ. იოანე კლემაქსის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის ომში დაღუპული მოღვაწეების მემორიალურ დაფებზე. გრიგოლ ფერაძის სახელის უკვდავსაყოფად იღვნის მეცნიერთა მთელი ჯგუფი მისი ბიბლიოგრაფის, საქართველოს დიდი მეგობრის, ვარშავის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის მღვდლის – ჰენრიკ პაპროცკის მეთაურობით. რეჟისორმა ეჟი ლიუბახმა კი, თამარ და ლატავრა დულარიძეებთან ერთად, გადაიღო დოკუმენტური ფილმი „თეთრი ანგელოზის ძიებაში“.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა თავისი დიდი შვილის ღვაწლი – 1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გამართულმა საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის გაფართოებულმა კრებამ მამა გრიგოლი წმინდანად შერაცხა. „წმინდა მღვდელმონაქმე“ არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის ხსენების დღედ 6 დეკემბერი დადგინდა (ლენჩვესკი 1983: 41; ჩხაიძე 1995: 3).

მიმოხილვითი ნაწილის შემდეგ, გვსურს, მკითხველს შევთავაზოთ და შემოვიტანოთ სამეცნიერო მიმოქცევაში ზემოთ დასახელებული 4 საარქივო დოკუმენტი. მათში ავტორისეული სტილი უცვლელად დავტოვეთ, ზოგ ადგილას მხოლოდ პუნქტუაციის ნიშნები შევცვალეთ; ავტორთა მიერ შემოკლებულ სიტყვებს დასრულებული სახე მივეცით, ხოლო აღდგენილი ასოები ოთხკუთხა ფრჩხილებში ჩავსვით.

პუბლიკაციას ბოლოში დავურთეთ კომენტარები.

გამოყენებული ლიტერატურა

აკადემიკოსი... 1966: აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი. 1966.

გამსახურდია 1964: გამსახურდია კ. საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. თბილისი. 1964. № 21.

- გოზალიშვილი 1960:** გოზალიშვილი შ. *ქართველ მოღვაწეთა წერილები ექვთიმე თაყაიშვილთან*. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“. ტ. 3. თბილისი. 1960.
- დავიდოვი 1990:** დავიდოვი რ. *ვაზის კამერიდან – უკვდავებაში*. გაზ. „კომუნისტი“. თბილისი. 1990. 31/1.
- თბილისის... 1998:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი *1918-1998 წლებში (საიუბილეო კრებული)*. თბილისი. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 1998.
- ლენჩევსკი 1983:** ლენჩევსკი მ. *მოძღვარი, პროფესორი, დოქტორი არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე*. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“. თბილისი. 1983. № 2.
- ლომთათიძე 1965:** ლომთათიძე გ. *ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953 წწ.)*. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“. თბილისი. 1965.
- ლომთათიძე 1990:** ლომთათიძე გ. *ქართული კულტურის მემკვიდრე (ექვთიმე თაყაიშვილი)*. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1990.
- მეგრელიძე 1989:** მეგრელიძე ი. *ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა)*. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“. 1989.
- მეტრეველი 1962:** მეტრეველი რ., ბადრიძე შ. *ექვთიმე თაყაიშვილი*. თბილისი. 1962.
- მეტრეველი 1963:** მეტრეველი რ. *ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური ექსპედიციები*. ჟურნ. „ცისკარი“. თბილისი. 1963. № 10.
- მეტრეველი 1982:** მეტრეველი რ. *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება*. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“. 1982.
- პაპროცკი 1987:** პაპროცკი ჰ. *არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე*. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. თბილისი. 1987. 22/V.
- პაპუაშვილი 1988:** პაპუაშვილი ნ. *გრიგოლ ფერაძე*. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“. თბილისი. 1988. № 3.
- საითიძე 2003:** საითიძე გ. *რამდენიმე საბუთი გრიგოლ ფერაძისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობის ისტორიიდან*. ჟურნ. „არტანუჯი“. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“. 2003. № 11.
- საითიძე 2003:** საითიძე გ. *წმინდა მღვდელმონაშემ არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა)*. ჟურნ. „არტანუჯი“. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“. 2003. № 11.
- ფერაძე 1995:** ფერაძე გრ. *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერების და ქართული მონასტრების შესახებ*. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ. თბილისი. 1995.
- ფერაძე 1983:** ფერაძე გრ. *ქართული ელემენტის გავლენა ბალკანეთის ხალხების კულტურაზე*. ინგლისურიდან თარგმნა ნათელა ფოფხაძემ. ჟურნ. „საუნჯე“. თბილისი. 1983. № 4.
- ქოიავა... 2002:** ქოიავა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. ენციკლოპედია „თბილისი“. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“. 2002.
- ქორიძე 1969:** ქორიძე დ. *ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ქოიავა (1892-1967 წწ.)*. „თსუ შრომები“. ტ. 132. თბილისი. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 1969.
- ჩხაიძე 1995:** ჩხაიძე მ. *საეკლესიო კრება*. გაზ. „საქართველო“. 1995. 22-29/IX.
- ჭუმბურიძე 2003:** ჭუმბურიძე თ. *მასალები გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ*. ჟურნ. „არტანუჯი“. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“. 2003. № 11.

———— უცნობი დოკუმენტები ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის შესახებ

ხელაია 1986: ხელაია გ. *ქოიავა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე*. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 10. თბილისი. 1986.

Ломтатидзе 1964: Ломтатидзе Г. Е. С. *Такашвили*. Журн. „Советская археология“. Москва. 1964. № 3.

დოკუმენტები

№ 1

„გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოების“ მიმართვა ექვთიმე თაყაიშვილისადმი (1920 წლის 15 ნოემბერი)

ფურც. 1 – 1918 წელს დაარსებული „გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოება“, ობიექტური მიზეზების გამო, იძულებული იყო დროებით შეენწყვიტა თავისი საქმიანობა.

საზოგადოების ქვემოთ ხელის მომწერი წევრები და მეგობრები მიიჩნევენ, რომ ამიერიდან აღარ არსებობს შემდგომი უმოქმედობის საფუძველი და იწვევენ საქართველოს დამფუძნებელი კრების ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს კვირას, 21 ნოემბერს, 12 საათზე, „ცენტრობანკის“ შენობაში (თავისუფლების მოედანი) გამართულ „გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოების“ წევრთა კრებაზე.

დღის წესრიგი:

1. სტატუსის დადასტურება ან შეცვლა;
2. გამგეობის ხელახალი არჩევნები;
3. სამუშაო კომისიების (მაგ. განათლების, ეკონომიკის, საზოგადოებასთან ურთიერთობის) არჩევნები.

საზოგადოების წევრები:

1. გიორგი ანდრონიკაშვილი – ელექტროინჟინერი;
2. გიორგი ამირეჯიბი – რედაქტორი;
3. ვოლდემარ ბრეტერი – ვაჭარი;
4. პაულ ბიული – დამფუძნებელი კრების წევრი;
5. რაჟდენ დათეშიძე – ვაჭარი;
6. დოქტ. ერნსტ ფონ დრუფელი – გერმანელი მრეწველი;
7. სეით დევდარიანი – მწერალი;
8. კრისტოფ ფორჰერი – ფერმერი;
9. გეორგ ფრიკი – ბანკის დირექტორი;
10. ალექსანდრე ფუფაჯევი – რედაქტორი;
11. გედევანიშვილი – სამხედრო მინისტრის მოადგილე;
12. კარლ ფონ ჰანი – გიმნაზიის პროფესორი;
13. ალექსანდრე ლანდია – ბურგომისტრი;
14. არტურ ლაისტი – მწერალი;
15. დოქტ. ტიტე ფონ მარგველაშვილი – მწერალი;
16. ვლასა მეგრელიშვილი – ვაჭარი;
17. დოქტ. მერცვაილერი – ექიმი;

18. დავით ონიაშვილი – პროფესორი;
19. ვოლდემარ პრაისბერგი – აფთიაქარი;
20. გაინრიხ რუსტი – ვაჭარი;
21. გენერალი ზაქარიაძე – გენერალური შტაბის უფროსი;
22. ივანე ზედგენიძე – ადვოკატი;
23. ვალტერ ზიკარდი – ვაჭარი;
24. დავით შარაშიძე – რედაქტორი;
25. ისიდორ სტურნა – ინჟინერი;
26. ტატიშვილი – სამინისტროს დირექტორი;
27. ვილჰელმ ტროსტერი – ვაჭარი;
28. დოქტ. მიხეილ წერეთელი – პროფესორი;
29. დოქტ. დიმიტრი უზნაძე – პროფესორი;
30. გრიგოლ ვეშაპელი – დამფუძნებელი კრების წევრი.

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
ე. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1071, ფურც. 1).

№ 2

ნიკოლოზ ქოიავას წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი. ნ. ქოიავას მიერ 1920 წელს გაწერილი შრომის ანგარიში (1922 წლის 5 იანვარი)

ფურც. 1 – ღრმად პატივცემულო ბ[ატონო] ექვთიმე!

თქვენ დავალებით ბ[ატონმა] ემუხვარმა გადასცა ბ[ატონ] ხუციშვილს და, უკანასკნელმა, მე, რომ თქვენ აპირებთ ჩემი ანგარიშების გაგზავნას თფილისში. როგორც მე გავიგე, თქვენ გასურთ გაიგოთ – მაქ მე რამე საწინააღმდეგო თუ არა?!

ბ[ატონო] ექვთიმე! როგორც უნივერსიტეტის სტიპენდიატი, მე ვალდებული ვარ ყოველ ნახევარ წელიწადს ანგარიში წარუდგინო უნივერსიტეტს. 1918 და 1919 წლების ანგარიში მე უკვე წარუდგინე უნივერსიტეტს; ანგარიში მიღებული იყო. 1920 წლის ანგარიში უკვე დიდი ხანია მზათა მაქ. ეს ანგარიში მე არ გამიგზავნია თფილისში, რადგანაც თებერვლის შემდეგ საქართველოში უბრალო წერილის გაგზავნა თითქმის შეუძლებელია და, მითუმეტეს, ვრცელი ანგარიშისა. მე მეშინოდა, რომ ანგარიში გზაში დაიკარგებოდა და მისი დაკარგვა კი სასიამოვნო არ არის.

ფურც. 2 – თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ანგარიში გზაში არ დაიკარგება და უნივერსიტეტი მას აუცილებლად მიიღებს, მე დიდი სიამოვნებით გადმოგიგზავნით ამ ანგარიშს თქვენ. აგვისტოში მე ვაპირებ საქართველოში დაბრუნებას. მე მაქ უფლება უნივერსიტეტს ჩვეულებრივი ანგარიშის მაგივრად დაბეჭდილი შრომა წარუდგინო. ეხლა მე ვამზადებ ერთ შრომას, და სწორედ მინდა იგი წარუდგინო უნივერსიტეტს, როგორც ანგარიში 1921 წლისა და 1922 წლის ნახევარისა. თუ ამ შრომის დაბეჭდვა ვერ მოვასწარი, მე წარუდგენ უნივერსიტეტს ჩვეულებრივ ანგარიშს, რომლის შავი რუსულ ენაზე უკვე მზათ არის. საჭიროა მხოლოდ გადათარგმნა, შეერთება და შენიშვნების დამატება.

ეხლა რამოდენიმე სიტყვა იმ ანგარიშის შესახებ, რომელიც თქვენ გეგზავნებათ. თქვენ გიგზავნით მე ანგარიშს ოქტომბრიდან, რადგანაც 1000 გირვანქა გვეგზავნება ამ თვიდან. მე

———— უცნობი დოკუმენტები ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის შესახებ

ფურც. 3 – თქვენ გიგზავნით არა ანგარიშს, არამედ უბრალო სიას განხილულ ლიტერატურისა. ეს სიები, რასაკვირველია, თქვენ შეგიძლიათ გაუგზავნოთ უნივერსიტეტს. მხოლოდ გთხოვთ დაატანოთ მათ ამ წერილის შინაარსი, რომ არავითარი გაუგებრობა არ მოხდეს. სამწუხარო იქნებოდა, რომ მე ასეთი სიები ანგარიშის სახით გამეგზავნა უნივერსიტეტისათვის, მითუმეტეს, რომ ჩემ მიერ წარდგენილი ანგარიში შეიცავდა 239 გვერდს – ასეთი ვრცელი ანგარიში თურმე არც ქე იყო საჭირო. ამასთანავე, ბ[ატონო] ექვთიმე, გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ ბედნიერებას.

მარადის თქვენი პატივისმცემელი ნ. ქოიავა.
5/1. 1922 წ.

ფურც. 4 – სახელმწიფო უნივერსიტეტის სტიპენდიატის ნ. ქოიავას ანგარიში (დეკემბერი. 1921 წ.).

I) პოლიტიკური ეკონომია.

1. წარსულ თვეში განვიხილე მათემატიკურ-მექანიკური მიმართულება, რომელსაც წარმოადგენს პროფ. Schumpeter-ი თავის შრომით „Das Wesen und der Hauptinhalt der theoretischen Nationalökonomie“. Leipzig. 1908.

2. აგრეთვე, განვიხილე პსიქოლოგიურ სკოლის წარმომადგენლის Wieser-ის შრომა „Der natuerliche Wert“. Wien. 1889. ამ შრომაში იგი იძლევა განანილების ახალ თეორიას.

II) წარსულ თვეში ვესწრებოდი წინეთ სსენებულ ლექციებს.

III) დეკემბერში ვმუშაობდი, აგრეთვე, იმ შრომაზე, რომლის გამოცემას ვაპირებ ამ წელიწადში: „ახალი მიმართულებანი პოლიტიკურ ეკონომიაში“.

ფურც. 5 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტიპენდიატის ნ. ქოიავას ანგარიში (იანვარი. 1922 წ.).

წარსულ თვეში განვიხილე შემდეგი ლიტერატურა:

I) პოლიტიკური ეკონომია.

1. Brentano. Die Entwicklung der wertlehre. Muenchen. 1908.

2. Bawerk. Wert H. d. St. III Auflage.

3. Dietzel. Theoretische Sozialökonomik.

II) აგრეთვე, ვესწრებოდი წინეთ სსენებულ ლექციებს.

III) დავამთავრე პირველი ნაწილი ჩემი შრომისა: „ახალი მიმართულებანი პოლიტიკურ ეკონომიაში (ლიბერალური სოციალიზმი)“.

ნ. ქოიავა
ბერლინი. 7/II. 1922 წ.

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
ე. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1507, ფურც. 1-5).

№ 3

**გრიგოლ ფერაძის წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი
(1929 წლის 20 დეკემბერი)**

ფურც. 1 – დიდათ პატივცემულო ბატონო პროფესორო!

თქვენი პატივცემული წერილი მივიღე დღეს. სამწუხაროდ, ვინაიდან ხვალე ბერლინში ვაპირებ გამგზავრებას, ბევრი დრო არ მაქვს, რომ წერილით გიპასუხოთ. ბერლინში ჩასვლისას ვრცლად მოგწერთ. დიდათ ვწუხვარ იმ საშინელ უბედურებაზე, საწყალ თქვენ პატივცემულ მეუღლეს¹ რომ დაჰმართვია. კარგია, რომ იგი ამჟამად თავს უკეთ გრძნობს. რაც შეეხება Goussen-ის² წიგნაკს, მისი შეძენა ძლიერ ძნელია. ვგონებ, განსაზღვრულ ეგზემპლარებად³ გამოსცა თავისი შრომა. მე პირადად მაქვს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი; ყოველ შემთხვევაში, ბერლინიდან დაბრუნებისას მივანეგ გამომცემელს, შესაძლებელია, მას ჰქონდეს კიდევ დარჩენილი

ფურც. 2 – და მიღებისას გამოგიგზავნით. წავაწყდი ქართულ ხელნაწერებს კვალს, სინას მთიდან გამოტანილს. იმ სერიისას ეკუთვნიან ის ხელნაწერები, რომელნიც აღწერილი აქვს შანიძეს³ (ქართული ხელნაწერები გრაცში. „მოამბე“. IX). ალბათ, ამ შრომას სცნობთ. მეძებრობამ ბერლინადისას მიმიყვანა. თუ რაიმე მივალნიე, მოგწერთ. ამიტომ სპეციალურად მივემგზავრები იქ. მრავალ გულითად სალმით აგრეთვე თქვენ პატივცემულ მეუღლეს.

თქვენი მარადის ღრმად პატივისმცემელი გრიგოლ ფერაძე.
ბონი. 20/XII.

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
ე. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1660, ფურც. 1-2).

№ 4

**გრიგოლ ფერაძის წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი
(1931 წლის 2 მაისი)**

ფურც. 1 – დიდათ პატივცემულო ბ[ატონო] ექვთიმე!

უკვე თითქმის 10 დღეა, რაც ინგლისიდან დავბრუნდი და, სამწუხაროდ, ვერც ეხლა მიხერხდება თქვენთან მოსვლა. მეგონა, მთელ მაისს აქ გავატარებდი, მაგრამ გერმანელებმა ნება არ მომცეს და ისევ უნდა ბონნს დავბრუნდე. ხვალ ვაპირებ გამგზავრებას და 22 მაისს დავბრუნდები პარიზს, რამდენიმე დღით მხოლოდ, აქ სამღვდელო კურთხევის მისაღებად. პირველად გათვალისწინებული იყო 17 მაისი, მაგრამ მთავარეპისკოპოსს უგვიანდება პარიზში ჩამოსვლა, ვინაიდან ბელგიაში მას ერთი კვირით მეტი დარჩენა სჭირია.

მინდოდა პირადად თქვენი და თქვენი პატივცემულ და ძვირფას მეუღლის ნახვა. გავიგე მათი ავადმყოფობის შესახებ და ეს ჩემი მოვალეობა იყო მოვსულიყავ, მაგრამ პარიზში იმდენი მაქვს სარბენი, დროც ისე მოკლეა, სამწუხაროდ, ჩემთვის, რომ ამ მოვალეობას...⁴, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამ თვის გასულს პარიზში რომ ჩამოვალ, მაშინ გაახლდებით თქვენთან.

———— უცნობი დოკუმენტები ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის შესახებ

ფურც. 2 – ბატონმა ანდრია გუგუშვილმა⁵ მრავალ გულითად სალამთან ერთად გადმომცა თქვენთვის ჯავახიშვილის⁶ ქართული ეკონომიკური ისტორია“. ეს წიგნი დაუტოვე ბატონ ილამაზს⁷ და იგი თქვენ მას გადმოგცემთ.

მრავალი გულითადი სალმით, აგრეთვე, თქვენ პატივცემულ მეუღლეს და სურვილით მისი მალე განკურნების. თქვენი მარადის ღრმად პატივისმცემელი
გრიგოლ ფერაძე.
პარიზი. 2/V. 1931

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
ე. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საქმე № 1538, ფურც. 1-2).

კომენტარები

- ¹ ნინო ივანეს ასული პოლტორაცკაია (1869-1931 წწ.) – ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე.
- ² ჰაინრიხ გუსენი (1863-1927 წწ.) – გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, თეოლოგი, ქრისტიანული ლიტერატურის მკვლევარი, ბონის უნივერსიტეტის პროფესორი.
- ³ მხედველობაში ჰყავს აკაკი შანიძე.
- ⁴ აქ ერთი სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.
- ⁵ ანდრია გუგუშვილი – ინგლისში მოღვაწე ცნობილი ქართველი მეცნიერი, ლონდონის უნივერსიტეტის ქართული ენის პედაგოგი, ქართველოლოგიური ჟურნალის – „Georgica“ – დამფუძნებელ-გამომცემელი.
- ⁶ მხედველობაში ჰყავს ივანე ჯავახიშვილი.
- ⁷ მხედველობაში ჰყავს ილამაზ დადემუქელიანი – ემიგრაციაში მცხოვრები ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პარიზის წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი.

Gocha Saitidze

UNKNOWN DOCUMENTS ABOUT LIFE AND ACTIVITIES OF ACADEMICIAN EKVTIME TAKAISHVILI (20-30-IES OF THE 20TH CENTURY)

SUMMARY

In this work we talk about some unknown aspects of life and activities of prominent Georgian scientist and public figure Ekvtime Takaishvili (1863-1953), particularly, of his relations with German scientific world, with Georgian students, learning in Germany in 20-ies of 20th century, who afterwards became well-known scientists – Nikoloz Koiava (1892-1967) and Grigol Peradze (1899-1942).

The work is based on 4 historical documents, unpublished up to present, that are safed in the National Center of Manuscripts, in the private archival fund of Acad. E. Takaishvili. These are: Address of `German-Georgian Cultural Society~ to E. Takaishvili (1920, 11, 15), Nikoloz Koiava's letter to E. Takaishvili (1922, 01, 05), Grigol Peradze's two letters to E. Takaishvili (1929, 12, 20 and 1931, 05, 02). The named documents first come in scientificl currency and their information is interesting for E. Takaishvili's biography and learning the Georgian-German relations as well.

In the basic part of the work is given an analyze of the documents and is defined their historical value.

ქალაქი ჩაგალიშვილი

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივი

XX ს-ის დასაწყისში, კერძოდ, 1907 წელს, როგორც ცნობილია, ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. ეს იყო საზოგადოება, რომელიც კოორდინირებას უწევდა იმდროინდელ საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის – ეკლესია-მონასტრებისა თუ საეკლესიო სიძველეების, ეთნოგრაფიული მასალისა თუ ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მოვლა-შეგროვებისა და საიმედოდ დაცვის საქმეს. ამ საზოგადოების სახელთანაა დაკავშირებული მაშინდელი თითქმის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო, საგამომცემლო თუ საქველმოქმედო საქმიანობა. ამდენად, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საარქივო მასალა თემატურად უაღრესად მრავალფეროვანია.

აღნიშნული არქივის ნაწილი, რომელიც დღეს დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ყოფილი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი), შემოსულა გასული საუკუნის სამოციან წლებში. თავდაპირველად, ამ არქივის ნაწილი დაამუშავა ინსტიტუტის საარქივო განყოფილების თანამშრომელმა ქ.-მა ელენე კელენჯერიძემ, ახლა კი იგი ბოლომდეა დამუშავებული და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. არქივი მოიცავს 2000-ზე მეტ ერთეულს; ბოლოში ერთვის 40-მდე ფოტო, რომლებზედაც ძირითადად იმდროინდელი თბილისის ხედებია გამოსახული.

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივი ძირითადად მოიცავს საზოგადოების საქმიან დოკუმენტაციას, უამრავ აქტსა და ხელნერილს ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთებისა თუ წიგნების შეძენის თაობაზე, მაგრამ, ამასთანავე, ამგვარი „მშრალი“ საქმიანი ქალაქების გვერდით შემორჩენილია იმდროინდელი სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი მასალები და, ზოგჯერ, საზოგადოებრივი ყოფის საინტერესო „ცოცხალი“ დეტალები. ამ მხრივ აღსანიშნავია რაჭა-ლეჩხუმის ეკლესია-მონასტრების სიძველეთა მეტად ვრცელი აღწერილობა (ხელნაწერი), შესრულებული წმ. ამბროსი ხელაიას მიერ. ეს ხელნაწერი გადაეცა წმ. ამბროსი ხელაიას საარქივო ფონდს. საინტერესოა

აკ. წერეთლის გარდაცვალებასა და მის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული მასალაც (ასზე მეტი ერთეული), რომელიც, აგრეთვე, გამოეყო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივს და გადაეცა აკ. წერეთლის საარქივო ფონდს. ამ მასალიდან ყურადღებას იქცევს ერთი, თავისი შინაარსით მეტად ორიგინალური განცხადება, რომელიც ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველისათვის: „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ბაბილინა კურდღელაშვილის განცხადება-1916 წ. ტფილისში, პარიკმახერ არე-შიძისაგან შევიძინეთ განსვენებულ მგოსან აკაკის თმა, რასაც პარიკმახერი საგანგებო დავალებით აგროვებდა ერთი ზაფხულის განმავლობაში; ეს იშვიათი და ძვირფასი განძი მოქანდაკეს ჰსურდა გამოეყენებინა, მაგრამ რადგანაც დიდს ნივთიერ შევიწროებას განვიცდით, ამისთვის წინადადებას ვაძლევ საისტორიო საზოგადოებას, რათა მან შეიძინოს ეს განძი შესაფერისი საფასურით.

P. S. ცნობა ამ თმის შეძენის შესახებ მოთავსებული იყო „სახალხო გაზეთის“-ს 1916 წლის (ნომერი არ მახსოვს) ზაფხულში.“

აკაკისთან დაკავშირებულ საარქივო მასალაში გვხვდება, აგრეთვე, სია პოეტის პირადი ნივთებისა, რომლებიც ერთ ჩემოდანში ჩატეულა.

აღნიშნულ არქივშია დაცული კირიონ კათალიკოსთან დაკავშირებული მასალაც, საიდანაც ირკვევა, რომ კირიონის სურვილით მისი ბიბლიოთეკა და მრავალრიცხოვანი ძვირფასი ნივთების კოლექცია საჩუქრად გადაეცა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საარქივო მასალა უეჭველად მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს იმდროინდელი საქართველოს სამეცნიერო-კულტურული ცხოვრებით დაინტერესებულ ყველა მკვლევარს.

ხელნაწერების დაცვა-პროექტი

სსსსსს

RAR 8/3 „სახარება“-ზე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წიგნსაცავებში დაცულია მრავალი უნიკალური ექსპონატი. აქ არის როგორც ეტრატზე ასევე ქალაქში შესრულებული უძველესი ხელნაწერი წიგნები, ძველნაბეჭდი და რარიტეტული გამოცემები, სიგელები თუ სხვა და სხვა შინაარსის მქონე დოკუმენტები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოსა და საზღვარგარეთის სტამბებში დაბეჭდილ წიგნებს. წინამდებარე მოხსენებაში ერთ-ერთ ძველნაბეჭდ წიგნზე გავამახვილებთ ყურადღებას და ვისაუბრებთ მასზე ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

2008 წელს სარესტავრაციოდ გადმოიქცა იშვიათი გამოცემის ძველნაბეჭდი წიგნი, RAR 8/3 „სახარება“, რომელიც თბილისში 1709 წელს ქართულ ენაზე დაბეჭდილი პირველი სახარებაა. ტექსტი შესრულებულია ქალაქში, ნუსხური შრიფტით. სახარების თავფურცლის მიხედვით წიგნი ვახტანგ VI-ის „წარგებითა და საფასეთათა“ არის დაბეჭდილი. ტექსტი გაუმართავს მღვდელმონაზონ ნიკოლოზ ორბელიანს, ხოლო მესტამბედ მიხაილ სტეფანეშვილია მოხსენიებული.

წიგნი შემოსილია ხის დაფებზე გადაკრული, „ხაზოვანი“ (კარანაძე 2002: 4) ტვიფრებით გაფორმებული ტყავის პერანგით. ქვედა ფრთაზე შემორჩენილი ტყავის ფრაგმენტებისა და ზედა ფრთის კიდეზე არსებული მეტალის სამაგრების თავების მიხედვით, სავარაუდოდ წიგნი სამი შესაკრავით მაგრდებოდა. რვეულები აკინძულია ხუთ ძაფზე და თასმები ხის დაფებზე გაჭრილ ნაპრალებშია ჩამაგრებული. წიგნის ყუაზე მიმაგრებულია კაპტალი. კანტი დანწულია წითელი და თეთრი ფერის ძაფების კომბინაციით. ზედა ფრთის შიდა მხარეს ფორზაცად დაკრულია მოციხფრო ფერის ქალაქი, რომელიც წიგნის ფურცლების ფაქტურისაგან განსხვავდება. ქალაქში ტექსტი შესრულებულია მხედრული ანბანით. რადგან ფორზაცის დიდი ნაწილი დაზიანებულია, ამ ეტაპზე ტექსტის შინაარსის დადგენა ვერ ხერხდება.

წინა სარესტავრაციო კვლევით განისაზღვრა წიგნის დაზიანების ხარისხი და გამოიწვევი მიზეზები. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დაზიანებული ფურცლები

სამი სახეობის ქალაქით არის რესტავრირებული: თეთრი ფერის, მომწვანო-მოცისფრო და ჩვენთვის დაუდგენელი ძველნაბეჭდი წიგნის ფურცლებით.

რაც გვაფიქრებინებს, რომ წიგნზე ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები სხვადასხვა დროს არის შესრულებული.

დათვალიერების შედეგად შემუშავდა და შეირჩა სარესტავრაციო მეთოდი და მასალები; რესტავრაციის პროცესი სამ ძირითად ეტაპად დაიყო:

1. წიგნის მდგომარეობის აღწერა და სამუშაო გეგმა;
2. წიგნის რვეულებად დაშლა და სარესტავრაციოდ მომზადება;
3. წიგნის კონსერვაცია-რესტავრაცია.

პირველადი დათვალიერებისას წიგნის მდგომარეობა არც თუ ისე სავალალო ჩანდა. თუმცა სიღრმისეული შესწავლისას აღმოჩნდა რომ წიგნის გარეკანი, ფურცლები და მეტადრე ყუა, რესტავრაციის აუცილებლობას მოითხოვდა. დაზიანების გამომწვევ მიზეზად არასწორად შერჩეული სარესტავრაციო ქალაქი და წებო (ამ შემთხვევაში ნახმარია ხის წებო) უნდა მივიჩნიოთ. დღეისათვის ეს მასალა რესტავრაციის პროცესში აღარ იხმარება, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ გამოყენებული შემავსებელი ქალაქი და წებო გასულ საუკუნეში რესტავრაციის პროცესისათვის მისაღებ მასალას წარმოადგენდა.

წიგნს გარდა მექანიკური დაზიანებებისა ენტომოლოგიური და ბიოლოგიური დაზიანებებიც მრავლად ჰქონდა. ფურცლები მთელ წიგნში დეფორმირებული იყო, რის გამომწვევ მიზეზადაც ქალაქის სტრუქტურაზე ნესტის ზემოქმედება უნდა მივიჩნიოთ. ქალაქზე (პაგინაციით 62 და 85 ჩათვლით) ფურცლების ქვედა შუა ნაწილზე, ყუასთან ახლოს, შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად შესამჩნევია მუქი რუხი ფერის ლაქები, რაც გამონვეულია მიკრო ორგანიზმების ზემოქმედებით. ზოგიერთ მათგანზე შეინიშნებოდა საღებავის ლაქები. ექსპონატის ფურცლებზე გვხვდება სანთლის ნაღვენთები. ფურცლების კიდეები შეხეული და გაცრეცილია, აღენიშნებოდა მცირე დანაკარგებიც. მექანიკურად განსაკუთრებით დაზიანებულია პირველი და ბოლო ფურცლები (პაგინაციით 1-დან 3-ის ჩათვლით და 146-დან 153-ის ჩათვლით). ყდასთან ახლოს მყოფი ფურცლები დაზიანებულია ენტომოლოგიურად.

ექსპონატის მდგომარეობის შესწავლისა და დაწვრილებითი აღწერის შემდეგ, განისაზღვრა ჩასატარებელი სამუშაოების გეგმა. წიგნის პაგინაციისა და ფოტოფიქსაციის შემდეგ, მტვრისა და ზედაპირული ლაქების მოშორების მიზნით სარესტავრაციო ნიმუში მშრალად გაინმინდა. განცალკევდა წიგნის ყდა და ბლოკი. ბლოკი დაიშალა რვეულებად. მოსცილდა ადრინდელი რესტავრაციის კვალი. შეირჩა ფურცლების სტრუქტურასთან მიახლოებული სარესტავრაციო ქალაქი, საჭიროების მიხედვით გაცრეცილი ფურცლები საკონსერვაციო ქალაქით გამაგრდა და ნაკლები ადგილები შემავსებელი ქალაქით შეივსო. გასწორდა დეფორმირებული ფურცლები და მიღწეულ იქნა ექსპონატის ფორმატის უცვლელად შენარჩუნება. რესტავრაციის პროცესის დასრულების

შემდეგ განსაზღვრულია ნიგნის აკინძვა და თავის ყდაში მოთავსება. აგრეთვე უნდა მოხდეს რესტავრაციის პროცესის პერიოდული ფოტოფიქსაცია.

ნიგნს ქიმიური დამუშავების შემდეგ, გაუკეთდა პაგინაცია, ასაკინძი თასმების მოცილების შედეგად, ნიგნის ყდა და ბლოკი ერთმანეთისაგან განცალკევდა. ასაკინძი ძაფების მოხსნის შემდეგ კი ბლოკი დაიშალა რვეულებად. ფურცლები ფუნჯისა და ლანცეტის დახმარებით გაინმინდა მშრალად, რის შედეგადაც მოსცილდა მტკერი თუ სანთლის ნალვენთები. ნიგნის ფურცლების ძირითადი ნაწილი დამუშავდა განზავებული სპირტ-ხსნარით (50% ეთანოლი და 50% გამობდილი წყალი). ხოლო ის ფურცლები სადაც ობის კვალი იყო დამუშავდა 70-80%-იანი ეთანოლით, რითაც მოხდა მიკროორგანიზმების ზემოქმედების შეჩერება და ცხიმოვანი ლაქების ნაწილობრივ მოშორება. თითოეულ ფურცელს დარბილებისა და დამუშავების შემდეგ მოსცილდა ძველი სარესტავრაციო ქალაღი. მიუხედავად რესტავრაციის პროცესში გამოჩენილი სიფრთხილისა, დედანზე ხის ნებოს მოშორებამ და სარესტავრაციო ქალაღის მოხსნამ გამოიწვია გადაბმული ადგილების კვლავ დაშორება და ფურცლების რამდენადმე გათხელება. თითოეული ფურცელი დაინნეხა და მომზადდა სარესტავრაციოდ.

რესტავრაციის პროცესში განმენდის შედეგად ერთმანეთისაგან დაშორებული ფურცლები გადაიბა და ფორმატი შეივსო. ექსპონატის ძირითად სარესტავრაციო მასალას წარმოადგენს ნიგნის ფურცლების ფაქტურასთან მიახლოებული სარესტავრაციო ქალაღი, რომელიც გასული საუკუნეების 90-იან წლებში პეტერბურგის გოს-ზნაკის ფაბრიკაში სპეციალურად რესტავრაციისათვის მზადდებოდა. სარესტავრაციო ქალაღი დაიფერა ნიგნის ფურცლების მიახლოებული ფერით, ტონირება შესრულებულია შავი ჩაის ნაყენით. კონსერვაცია გულისხმობს ექსპონატის შენახვას და დაცვას ისეთი სახით, როგორც არის ჩვენამდე მოღწეული. ამიტომ შეეცადეთ შემავსებელ ქალაღად გამოყენებული ძველნაბეჭდი ნიგნის ფრაგმენტების უცვლელად შენარჩუნებას. ფრაგმენტებს ჩაუტარდა კონსერვაცია, ფურცლების გამაგრება მოხდა იაპონური საკონსერვაციო ქალაღით ორი მხრიდან. ენტომოლოგიური დაზიანებების, მიკროსკოპული ზომის ნახვრეტების დასაფარად, გამოყენებულია იაპონური შემავსებელი ქალაღი. მექანიკურად დაზიანებული გვერდები და მომწვარული ადგილები გამაგრდა ტონირებული საკონსერვაციო ქარაღით. რესტავრაციის პროცესში გამოყენებულია უმაღლესი ხარისხის ხორბლის სახამებლისაგან მომზადებული ნებო, რაც თავისი თვისებიდან გამომდინარე, მომავალში ქალაღის სტრუქტურაზე საზიანოდ არ იმოქმედებს. სპეციალურად

შეირჩა ისეთი სარესტავრაციო მასალები, რომ რესტავრაციის პროცესი ყოფილიყო შექცევადი. ნიგნის ფურცლების დედნისა და სარესტავრაციო ქალაღის უკეთ შერწყმის მიზნით რესტავრაციის პროცესში თითოეული ფურცლი დაინნეხა. ექსპონატის ფურცლებზე სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ნიგნის ფურცლები დალაგდა პაგინაციის მიხედვით და მომზადდა ასაკინძად. აკინძვისა და ნიგნის გარეკანზე სარესტავრაციო

სამუშაოების დასრულების შემდეგ ექსპონატს დაუბრუნდება პირვანდელი სახე.

აღნიშნული ექსპონატი ჰიგროსკოპული (კანევა... 2005: 114) მასალებისაგან დამზადებულ ხელოვნების ნიმუშს განეკუთვნება და მისი ბიოლოგიური დაზიანებებისაგან დასაცავად სპეციალური პირობების შექმანა აუცილებელია. წიგნსაცავში სადაც ექსპონატი მოთავსდება მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს ტემპერატურა 18-20° C და ფარდობითი ტენიანობა 45%-65%. (ISO 11799, 2003: 5-6) წიგნი თაროზე მოთავსებული უნდა იყოს ვერტიკალურ მდგომარეობაში. თაროებს შორის ჰაერი თავისუფლად უნდა ცირკულირებდეს. საცავში არ უნდა იყოს ძლიერი ხელოვნური განათება და ექსპონატი დაცული უნდა იყოს მზის სხივების პირდაპირი დანათებისაგან. რეკომენდირებულია ექსპონატის პერიოდული განმედა მტერისა და სხვა ნალექებისაგან, საჭიროა მუდმივი მონიტორინგი, რომ ექსპონატის დაზიანების არსებობის შემთხვევაში მოხდეს მისი დროულად ლოკალიზება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კარანაძე 2002:** კარანაძე მ. ქართული წიგნის ყდის ისტორია. თბილისი: 2002
2. **კანევა ... 2005:** კანევა ჯ., ნუგარი მ., სალვადორი ო. ბიოლოგია ხელოვნების ნიმუშების კონსერვაციის საქმეში. თბილისი: გამომცემლობა „სამკალი“, 2005
3. **საერთაშორისო სტანდარტები:** International Standard ISO 11799:2003(E)

Asmat Gvazava

THE RESTAVRATION OF “THE GOSPEL” (RAR 8/3)

SUMMARY

In this report we will talk about an ancient-printed book (RAR8/3 “The Gospel”), which is the first gospel printed in Georgian language in Tbilisi in 1709. The text is performed on the paper with, so called, Nuskhuri print.

According to the title page, the book is printed by the support of the King Vakhtang VI. The text was corrected by the priest-monk Nikoloz Orbeliani. Mikhail Stepanishvili is mentioned as a printer.

First of all it was found out the degree and reasons of the damage. As it appeared, the damaged pages are restorted with the paper of three different qualities. It shows us that the restavration of each page was performed at different time.

As a result of the observation it was selected the method and materials of the restavration.

The process of restavration was divided into three main periods:

1. The description of the book. To make the plan of the work.
2. To divide “the book into parts, so called “note-books”, and prepare them for restavration.
3. The conservation and restavration of the book.

By the first observation the damage of the book was not so bad. But when it was observed thoroughly it appeared that it was necessary to restore the cover, pages and especially the back part of the binding.

We consider the reason of damage is the wrong selection of the paper and glue for restavration. But we should remark thart there were plenty of entomological, biological and chemical damages except mechanical ones.

After chemical cleaning it was performed pagination. It was divided into so called “note-books”, was cleaned dryily, was removed dust and drops of the vax. During the process of restvration the pages, parted because of cleaning, were bound and the size of the sheets were filled.

After the pressing of each sheet and putting note-books in order according to the pagination, the book was got ready for stiching.

თამარ ღვალიშვილი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საფონდო, საარქივო და ხელნაწერი მასალების პრევენციული კონსერვაციის საკითხები

თქვენს წინაშე წარმოდგენილი თემით გვინდა შევეხოთ ისეთ საკითხებს, როგორცაა პრევენციული კონსერვაცია და ჩვენს საცავებში დაცული მასალების შენახვისა და ექსპლუატაციის პირობებს.

მოგეხსენებთ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა. იგი ითავებს მუზეუმის სტატუსსაც და გააჩნია საკმაოდ დიდი და ფასდაუდებელი ფონდი, რომელიც ინახავს კაცობრიობის კულტურის, განვითარებისა და მისი ყოფის ამსახველ უძვირფასეს მასალას.

საერთაშორისო სამუზეუმო საბჭოს (ICOM) დებულების მიხედვით, მუზეუმი არის საზოგადოების განვითარების სამსახურში მყოფი არაკომერციული დაწესებულება, რომელიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. მუზეუმი იძენს, ინახავს, იცავას, იკვლევს და გამოჰფენს ადამიანთა შემოქმედების, ყოფისა და მათი გარემოს ამსახველ მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალას. მისი პოპულარიზაციის, გამოფენის, ადამიანთა განათლებისა და მათი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით (ICOM International Council of Museums 1986...vol.39, 5-6)

ისტორიულად ცნობილია, რომ, მას შემდეგ, რაც წერლობითი ძეგლებს შექმნა დაიწყო, გაჩნდა ბიბლიოთეკებიც. ადამიანებმა დაიწყეს დამწერლობის ნიმუშების შეგროვება, ისწავლეს ამ მასალების მოვლა და მათზე ზრუნვა. ისინი სულ ახალ და ახალ მეთოდებს ეძებდნენ, რათა დაეცვათ წიგნები გარემოს მავნე ზეგავლენისაგან და იმ ადამიანებისგან, ვისთვისაც წერლობითი ძეგლები ნაკლებად ღირებული იყო ან განგებ ანადგურებდა მათ. გრაფილებსა და ხელნაწერ წიგნებს მწერებისაგან, მტვრისაგან და სხვა მავნე ზეგავლენის ფაქტორებისაგან დასაცავად საგანგებო ხის ან სპილოს ძვლის ყუთებში ინახავდნენ, ძვირფასი ლითონებითა და თვლებით მოჭედილი პერანგით მოსავდნენ. წიგნის ბეჭდვის განვითარებასთან ერთად გაუარესდა საწერი მასალის ხარისხი შემდეგ გართულდა მათი შენახვისა და მოვლის პირობებიც. ქალაქის წარმოე-

ბისას, მისი გათვრების მიზნით, დაიწყეს ქიმიური ნივთიერებების გამოყენება. ხელით წარმოება შეცვალა მექანიზირებულმა პროცესმა. ეს აისახა ქალაქის ხარისხზე და გამძლეობაზე. საგულისხმოა XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი ბიბლიოთეკარისა და მეცნიერის, განათლებით ექიმის, გაბრიელ ნოდეს წიგნში „რჩევები ბიბლიოთეკის მოწყობისათვის“ მოყვანილი რეკომენდაციები საბიბლიოთეკო საკითხებთან დაკავშირებით: ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ტენიანობა და ნესტი ყველაზე საშიში მტერია წიგნებისათვის და გვირჩევს შევინახოთ ისინი მხოლოდ შუა სართულებზე და მოვარიდოთ დასავლეთსა და სამხრეთის „ნესტიან“ ნიავს. (Naude` G.1627: 45)

ჩვენ დროში, მსოფლიოში გამოვლენილ ეკოლოგიურ პრობლემებთან ერთად, განსაკუთრებით გამწვავდა ექსპონატთა სწორი ექსპლუატაციისა და შენახვის საკითხები. გაჩნდა ახალი რისკფაქტორები, ძველი პრობლემები გაღრმავდა და კიდევ უფრო საყურადღებო გახდა.

ეს საკითხები მნიშვნელოვანია ხელნაერთა ეროვნული ცენტრის საცავებისა და ბიბლიოთეკისთვის, რადგანაც ამ ცენტრში დაცული უნიკალური განძი, შესწავლისა და გამოკვლევის გარდა, სწორ დაცვასა და ექსპლუატაციას საჭიროებს.

კოლექციების, ფონდების და არქივების დაცვის საფრთხის ძირითადი ფაქტორებია:

- 1) ობიექტის ფიზიკური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური თავისებურებანი;
- 2) შენახვის პირობები და რეჟიმი;
- 3) მოხმარება და ექსპლუატაცია;
- 4) სტიქიური უბედურება და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციები.

(Гринберг 1976: 12-27)

პირველი პუნქტის განხილვისას აღსანიშნავია, რომ ეს მიზეზები ჩვენზე არ არის დამოკიდებული. თითოეული ობიექტი თუ ექსპონატი, ცოცხალი არსებების მსგავსად, დამოკიდებულია დროის ფაქტორზე და გააჩნია დაბერების ტენდენცია. ამ შემთხვევაში ბუნების კანონებთან შებრძოლება გვინევს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსპონატებთან დაწესებულების თანამშრომლებისა და სხვა მნახველების შეხებას და მათ მოხმარებას. საცავებზე ზრუნვის ძირითად მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს პრევენციული საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება და ამას უნდა ექცეოდეს უდიდესი ყურადღება. დროულად მიღებული ზომები საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ექსპონატების შემდგომი დაზიანება.

ცნება „პრევენციული კონსერვაცია“ გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოს და 90 წლების დასაწყისში დამკვიდრდა. ამ მიმართულების განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით პოლ გეტის ინსტიტუტის სპეციალისტებს, ასევე ცნობილ კონსერვატორს, პიტერ უოტერს და რამოდენიმე სხვა წამყვან სპეციალისტს ამ დარგში. პრევენციული კონსერვაციის ამოცანაა შეანელოს ობიექტის განადგურებისა და დაშლის პროცესები და შეუნარჩუნოს სტაბილურ

მდგომარეობა. პრევენციული სამუშაოების უმნიშვნელოვანესი და მთავარი ამოცანაა საცავებსა და საექსპოზიციო სივრცეში შექმნას და მუდმივად აკონტროლოს მიკროკლიმატი და სათანადო განათება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შემთხვევაში ეს მოთხოვნები გასათვალისწინებელია სამკითხველო დარბაზებსა და ბიბლიოთეკაშიც. თითოეული პროფესიონალი მცველი, რესტავრატორი და ფონდების მუშაკი უნდა იცნობდეს ამ ნორმებს და მკაცრად იცავდეს მათ, რათა უნებურად არ გახდეს ობიექტის ან ექსპონატის დაზიანების ხელშემწყობი (Yotepc 2003).

ჩვენს ცენტრში დაცულია უამრავი ხელნაწერი და ნაბეჭდი მასალა. მათი უმეტესობა დამშვენებულია ფერწერულ მინიატურებით, ლითონის ქედურობით, შეიცავს ხეს, ძვალს, მინერალებს. ამიტომ ეს ექსპონატები მიეკუთვნება იმ ობიექტების ჯგუფს, რომელიც ძალზე მგრძობიარეა და დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე.

იდეალურ შემთხვევაში, კლიმატი ერთნაირი უნდა იყოს დაწესებულების მთელ სივრცეში, სადაც ინახება თუ მოიხმარება ექსპონატები — საცავებში, ბიბლიოთეკებში, სამკითხველო და საექსპოზიციო დარბაზში, სარესტავრაციო ლაბორატორიაში. ვიცით, რომ ამის განხორციელება დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია ან დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ამგვარი დაწესებულებების თანამშრომლები ყველა ძალას უნდა ხმარობდნენ ობიექტების დაცვის ნორმების შესასრულებლად. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს არტიფაქტების სისუფთავეში შენახვას. მტვერი, ჭუჭყი თუ სხვა სახის დაბინძურება იწვევს ექსპონატების როგორც მექანიკურ დაზიანებას, ისე მათ დასწებობენებს მწერებით, მიკროორგანიზმებითა და ობით.

ოპტიმალური მიკროკლიმატის პარამეტრები, რომლის დაცვისას ორგანული მასალები ინახება ხანგრძლივი დროით და არ ზარალდება, შემდეგია:

ტემპერატურა +17-20°C

ტენიანობა 45-55%

რამდენადმე ფართოა დასაშვები ნორმის ფარგლები, რომლის დროსაც არ ხდება შეუქცევადი პროცესები ექსპონატებში:

ტემპერატურა +15-24° C

ტენიანობა 40-65%

სასურველია ოპტიმალური პარამეტრების დაცვა. თუ ტემპერატურა +24°C-ზე და ტენიანობა 40%-ზე ნაკლებია, იწყება ობიექტის გაუწყლოვანება, გამოშრობა და მისი მექანიკური დაზიანება. 65%-ზე მაღალი ტენიანობა იწვევს ბიოდანსებობების საფრთხეს. +24°C ტემპერატურისა და 65% ტენიანობის შეფარდება დასაშვებია ძალიან მცირე ხნით. ასეთ კლიმატურ რეჟიმში იქმნება ხელსაყრელი გარემო ბიო-და მიკროორგანიზმების გასაღვივებლად. (Child 2007: 57-59)

საცავებში ნაკლები ტემპერატურა უფრო დასაშვებია, ვიდრე მაღალი, მაგრამ დაბალი ტემპერატურული რეჟიმიდან ექსპონატების შედარებით მაღალ ტემპერატურაში გადატანისას უნდა მოხდეს ობიექტების აკლიმატიზაცია.

სამუზეუმო და საფონდო მიკროკლიმატის სტაბილურობა უმთავრესია, რადგან ტემპერატურისა და ტენიანობის მკვეთრი ცვლილებები ბევრად უფრო დამაზიანებელია, ვიდრე მცირე დარღვევები და ცდომილებები, თუმცა ისინი არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ ნორმებს, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს შეუქცევადი პროცესები ექსპონატებში, განსაკუთრებით ორგანული მასალებისაგან დამზადებულ ობიექტებში. კლიმატის მერყეობა არ უმდა აღემატებოდეს დღე-ღამის განმავლობაში: ტემპერატურა-3°C-ს ხოლო ტენიანობა – 2%-ს (ISO 11799, 2003: 3-12).

განვიხილოთ, რა შეიძლება დაემართოს ორგანული მასალებისაგან დამზადებულ ობიექტებს ოპტიმალური კლიმატური რეჟიმის დარღვევისას.

ქალაქი საკმაოდ მდგრადია ტენიანობის მიმართ და გარკვეულ ზღვრამდე ცვლილებები მასში შექცევად პროცესებს განიცდის, მაგრამ დიდხინიანი დატენიანების შემდეგ იწყება ქიმიური ცვლილებები ქალაქის ბოჭკოვან სტრუქტურაში. ჩნდება ასევე ბიოდაზიანების საშიშროება. ჰაერის ნაკადთან ერთად ხდება ობის სპორების და მიკროორგანიზმების მიგრაცია. როგორც ვიცით, ბუნებრივ სივრცეში სტერილური გარემო არ არსებობს. ხელსაყრელი პირობების გაჩენისთანავე სპორები და მიკროორგანიზმები იწყებენ განვითარებას. ამგვარი პირობები იქმნება ტემპერატურული რეჟიმის დარღვევისას, მათთვის ობიექტების დაზიანებულ ზედაპირზე დიდი რაოდენობით მოიპოვება საკვები ნივთიერებები — მტვერი, ცხიმი, თვით ქალაქი და ნებო, ამიტომ შედეგები შეიძლება სავალალო იყოს. დაბალი ტენიანობის დროს ქალაქი შრება, იცვლება მისი სტრუქტურული მთლიანობა, მყიდება, მსხვერვადი ხდება და შეიძლება მექანიკური დაზიანებები განიცადოს.

ეტრაცი აბსორბირებადი მასალაა. მაღალი ტენიანობის დროს ის შთანთქავს ძალიან დიდი რაოდენობით წყალს, იჟლინდება, იძენს გამჭვირვალობას, დიდდება მისი ფართობი და მოცულობა, იწყება დაობებისა და ლპობის პროცესები. დაბალი ტენიანობის დროს ეტრაცი იწყებს გამოშრობას, ხმება, დეფორმირდება. მის ზედაპირზე ჩნდება ნაოჭები და ნაკეცები, ბზარები. ეტრატის ფურცელი შეიძლება შემცირდეს მოცულობაში 3/4-ჯერ და მისი ეს მდგომარეობა თანდათანობით შეუქცევადი ხდება. დანესტიანებული და შემდეგ გამომშრალი ფურცლები შეიძლება ერთმანეთთან ისე შეკავშირდეს, რომ მათი დაცალკეება შეუძლებელი გახდეს.

ფერწერილი ფენა, ჩვენს შემთხვევაში მინიატურები, ზიანდება როგორც მაღალი, ისე დაბალი ტენიანობის დროს. ეტრატისა თუ ქალაქის დეფორმირებისას ფერწერა კარგავს მოჭიდებას საფუძველთან და იზზარება, შრევდება, შემდეგ კი ცვივა. დატენიანებისას კი შემაერთებული იჟლინდება,

იცვლება მისი სტრუქტურა, რაც იწვევს პიგმენტების დაზიანებას. იცვლება მინიატურის კოლორიტი, ჩნდება ნალვენტები და ლაქები.

არასწორი შენახვისას ზიანდება ლითონის ჭედურობაც და მინერალებიც. ლითონი დროთა განმავლობაში მყიდვდება, ტენისაგან მიმდინარეობს ჟანგვის პროცესები; მინერალები კი ხუნდება, კარგავს გამჭვირვალობას და სიკაშკაშეს, შეიძლება დაიბზაროს და ამოცვივდეს ბუდეებიდან.

პრევენციული კონსერვაციის თანამედროვე მიდგომა გულისხმობს ისეთ მეთოდებსაც, როგორცაა ობიექტების მუავაგათავისუფლებული მასალისაგან დამზადებულ შეფუთვაში შენახვას, კერძოდ, PH ნეიტრალური მუყაოს საქალდეებსა, კონვერტებსა თუ კონტინერებში მათი ჩანყოფა ან ვაკუუმის საშუალებით სპეციალურ პოლიეთილენში შეფუთვა. პოლიეთილენში ინახება ის მასალა, რომელიც ხშირად არ გამოიყენება. ეს მეთოდი ჩვენთან ჯერ არ არის დანერგილი, მაგრამ ფართოდ გამოიყენება ევროპასა და ამერიკაში.

შენახვის, მოხმარებისა და გამოფენის დროს, ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმის დაცვის გარდა, დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს ჰაერის ნაკადის სიჩქარესაც, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 0,1-0,2 მ/წ-ს. ჰაერის ნაკადის ცვლა დასაშვებია ნელ-ნელა, მკვეთრი ბიძგების გარეშე. ოთახში, სადაც ექსპონატია, არ უნდა იყოს ორპირი ქარი. ობიექტების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასატანად საჭიროა მათი დამცავ ყუთებში მოთავსება. სასურველია, საცავი და სამკითხველო დარბაზები არ იყოს დაშორებული დიდ

მანძილზე, ან ობიექტების ტრანსპორტირება ხორციელდებოდეს საგანგებო ლიფტების საშუალებით. დამცავ ყუთებში მოთავსებული ექსპონატები საცავიდან დაწესებულების სხვა სივრცეში ურიკების მეშვეობით უნდა გადავიტანოთ.

ცნობილია, რომ ექსპონატების შენახვისას და მათი ექსპლუატაცია-გამოფენის დროს მნიშვნელოვანი ფაქტორია განათება. ბუნებრივი და ხელოვნური სინათლე შედგება ხილვადი სინათლისაგან, ულტრაიისფერი სხივებისა და ინფრანითელი შემადგენლებისგან. ობიექტების დაცვისას უნდა ვეცადოთ, შემცირდეს ყველაზე მავნე ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედება. მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ სითბული ინფრანითელი გამოსხივება და შევზღუდოთ ხილვადი სინათლე.

ულტრაიისფერი გამოსხივება აზიანებს ფერწერას და იწვევს ქალაღლის ფოტოდაზიანებას, დაშლას. ქალაღლი ყვითლდება, კარგავს მექანიკურ სიმყარეს, ხდება მსხვრევადი, შრება. დაახლოებით 2-4 თვის განმავლობაში სინათლის აქტიური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქალაღლი კარგავს სიმყარის 60%-ს. სხვადასვა მასალას განსხვავებული მდგრადობა აქვს სინათლის მიმართ, ქალაღლი მათ შორის ყველაზე ნაკლებად გამძლეა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რაც უფრო თანამედროვეა ქალაღლი, მით უფრო ნაკლებად მდგრადია იგი მავნე ზეგავლენის ფაქტორების წინაშე. არც ეტრატია მდგრადი სინათლის მიმართ. სითბური გამოსხივების ზემოქმედებით იგი დეფორმირდება, იცვლის

ფერს, იცვლება მისი ბოჭკოვანი სტრუქტურა. ყველაზე გამძლე მასალაა ლითონი და ხე.

არამდგრადი მასალებისთვის დასაშვები განათებაა 30-50 lux. მდგრადი მასალებისათვის დასაშვებია 50-75 lux. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთი და იგივე სახის დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს მკვეთრმა და მოკლენიანმა განათებამაც და სინათლის სუსტმა, მაგრამ ხანგრძლივმა ზემოქმედებამაც. განათება იზომება lux-ში, 1 ლუქსი ნიშნავს, რომ 1 ლუმენის სიმძლავრის სინათლის ნაკადი ეცემა 1მეტრ² ზედაპირზე. გამომდინარე იქიდან, რომ დიდხნიანი განათება ცვლის ქალაღის, მელნის, ეტრატის, ფერწერის მდგომარეობას, ინვევს ქიმიურ რეაქციებს და აზიანებს მათ, დადგენილია, რომ 150 ლუქს განათების დროს 9 საათის განმავლობაში შესამჩნევი გარეგნული ცვლილებებისათვის საჭირო იქნებოდა დაახლოებით 10 წელი, ხოლო თუ ამ განათებას შევამცირობთ 3-ჯერ და დავიყვანთ 50 ლუქსამდე, ეს დრო გაიზრდება 65 წლამდე.

ძალიან მნიშვნელოვანია და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საგამოფენო ღონისძიებების ორგანიზება, რადგან ეს შემთხვევა გულისხმობს „ექსპონატების დაცვას ექსტრემალურ სიტუაციაში.“ გამოფენის დაგეგმვისას, პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია ობიექტების ინტერესები, მათი მდგომარეობის დაცვის თავისებურებანი და არა გამფორმების, მხატვრის თუ ექსპოზიციის მომწყობის შეხედულებები და ფანტაზია. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და მისი არსებობის პერიოდის გასახანგრძლივებლად. ამ დროს საყურადღებოა გარემო, კლიმატი, განათება, ვიტრინები, ნებისმიერი დეტალი, რომელიც ერთი შეხედვით არცთუ ისე მნიშვნელოვნად გვეჩვენება.

ექსპოზიციისთვის რეკომენდებული დრო იდეალური პირობების შემთხვევაშიც კი, როცა დაცულია კლიმატური რეჟიმი და განათების ნორმები, არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს მთელი წლის განმავლობაში. არასასურველი პირობების დროს ეს ვადა მკვეთრად მცირდება. განათების შერჩევა ექსპოზიციის დროს სპეციალისტებს უნდა მივანდოთ. საჭიროა ულტრაიისფერი გამოსხივების დამშობი საშუალებების, საგანგებო ფირებისა და ფილტრები გამოყენება. დაუშვებელია განათების განთავსება უშუალოდ ექსპონატთან. მისი დამონტაჟება ხდება ვიტრინებს გარეთ, რათა სხივები პირდაპირ არ ეცემოდეს ექსპონატს. თითოეული ვიტრინა ქმნის მიკროკლიმატს, ამიტომ საჭიროა მათი მოწყობა ისე, რომ თანაბრად ინარჩუნებდეს ტემპერატურას და ტენიანობას და არც ნორმაზე მეტად იყოს განათებული. ვიტრინაში ექსპონატის მოთავსებამდე უნდა გაიზომოს საგამოფენო სივრცის და უშუალოდ ვიტრინის შიგნით ტემპერატურა და ტენიანობა. სასურველია, საცავიდან გამოტანილი ექსპონატი მის გამოფენამდე დაცულ ყუთში იყოს მოთავსებული, იმ დრომდე, სანამ გაივლის აკლიმატიზაციას და გადაეწყობა ახალი გარემოს რეჟიმზე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ყველა ექსპონატი „სუნთქავს“ — შთანთქმავს სითბოს და ტენს და შემდეგ გასცემს მათ. ამის გამო ვიტრინაში ყოველთვის მეტია ტენიანობა, ვიდრე

გარე სივრცეში. ეს პარამეტრები იცვლება დღის განმავლობაშიც. ცვლილება დამოკიდებულია დღის მონაკვეთზე, ამინდის ცვლილებაზე, დამთვალიერებელთა რაოდენობაზე. გამოფენების მოწყობისას ამ ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელი პირობაა. დაუშვებელია ექსპონატების ბუნებრივ განათებაში მოთავსება, რადგან მზის სინათლე დიდი რაოდენობით შეიცავს ულტრაიისფერ სხივებს (ISO 11799 2003: 3-12; Шапалина 2009: 31-34).

ობიექტების ექსპონირებისას ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნები ჩნდება მცველებსა და საგამოფენო სეგმენტის მუშაკებს შორის. გამოფენის მოწყობა ითვალისწინებს ექსპონატების საუკეთესო მხრიდან წარმოჩენას, მომგებიანი კუთხით გამოფენას, რაც ხშირად ეწინააღმდეგება მათი დაცვის ნორმებს. ამ დროს პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა მოიძებნოს ოპტიმალური გადაწყვეტილება.

ბევრ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული ასეთი ხერხი: საგამოფენო დარბაზში შესული დამთვალიერებელი ვიტრინაში დაცულ ექსპონატთან მიახლოებისას თავად ანთებს სინათლეს, განათება გარკვეული დროის შემდეგ ავტომატურად ქრება. ეს იცავს ექსპონატს დაზიანებისგან და ზოგავს ელექტროენერგიას. ექსპონატების ხანგრძლივი დროით გამოფენისას შეიძლება მათი შენაცვლება, ხელნაწერი ნიგნების შემთხვევაში, სასურველია სხვა ფურცელზე გადაშლა. თუ ექსპონატის მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია, არ არის მიზანშეწონილი მათი გამოფენა. გავრცელებული პრაქტიკით, ის შეიძლება შეიცვალოს ფაქსიმილე კოპიებით ან მულაჟებით.

ხელნაწერი და ძველი ნაბეჭდი ნიგნების, საარქივო მასალების უშუალო მოხმარების დროს მკითხველი ვალდებულია გამოიყენოს დამცავი ხელთათმანები, რათა თავიდან ავიცილოთ ობიექტების მექანიკური დაზიანება და დაბინძურება. ექსპონატების საგანგებო სადგამებზე მოთავსება უზრუნველყოფს ფურცლების სწორად გადაშლას და მაგიდის ზედაპირთან მათი შეხებასაც გამორიცხავს.

ობიექტების პრევენციული კონსერვაციის ერთ-ერთი მეთოდი და დაცვისათვის კარგი გამოსავალია მათი სკანირება, ფოტოფიქსაცია და დიგიტალიზაცია. მსოფლიო პრაქტიკაში, მნიშვნელოვანი სიძველეების დაცვის თვალსაზრისით, ფართოდ გავრცელდა მათი შეცვლა ზუსტი ასლებით, ფაქსიმილური კოპიებითა და ციფრული ვერსიებით. ორიგინალებთან მუშაობა მხოლოდ უკიდურესად მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევების დროს ხდება. სხვა დროს მომხმარებელს სთავაზობენ კოპიებს, ფოტოპირებსა და ციფრულ ვერსიებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ექსპონატთა დაზიანების რისკს და ზრდის მისი „სიცოცხლის“ ხანგრძლივობას.

ნებისმიერ სფეროში მოღვაწეობისას ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ექსპონატის დაცულობის პრინციპებით. კოლექციების, ცალკეული ერთეულებისა და ობიექტების კარგ მდგომარეობაში დაცვა თითოეული ჩვენთაგანის ვალია. ჩვენ ვიცავთ და ვინახავთ ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას, ამიტომ უნდა ვეცადოთ მოვუაროთ და გადავცეთ ის მომდევნო თაობებს. ჩვენი მიზანია, არა

მხოლოდ გამოვიკვლიოთ და შევისწავლოთ, არამედ შევეუნახოთ ჩვენამდე მოღ-
ნეული წარსული მომავალს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Гринберг Ю. И.:** *Основы музейной консервации и исследования произведений станковой живописи.* Москва: «искусство», 1976
2. **ICOM:** *ICOM News , Code of Professional Ethics 1.2, Vol. 39 #1, 1986.*
3. **International Standard ISO 11799:** 2003(E), *Information and documentation-Documents storage requirements for archive and library materials.* First edition 2003-09-15
4. **ბოდე გ. 1627:** **Naude`, Gabriel.** *Advis pour Dresser une Biblioteque.* 1627.
5. **Robert E Child 2007:** *Museum Microclimates,* (Padfield T. and Borchersen K. (eds.) *Insect damage as a function of climate.Space, Place,and the Infobahn[book on-line].* National Museum of Denmark, Copenhagen, November 2007 aviable from <http://www.conservaionphysics.org/mm/index.html>
6. **Уотерс П.** *Сохранение библиотечных документов в электронный век.* «Библиотечное Дело» #5(5)`03, 2003 Санкт-Петербург.
7. **Шапалина О.** *Экспонирование документов,* «Бібліотечний вістник» #2, 2009

Tamar Dvalishvili

NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS' FOUND, ARCHIVAL AND MANUSCRIPT MATERIALS PREVENTIVE CONSERVATION ISSUES

SUMMARY

This article examines issues of the fund and archive materials' storage and use. It describes the micro-climatic and lighting optimal parameters, maintaining of which result a long time and without damage storing of organic materials.

Processes and results of violation of objects' storage and protection conditions are discussed as well.

The article covers some issues of exhibition and events' organization, and preventive conservation as an important direction of the Library and Museum activity.

იზოლდა ჯიქია

ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში დაცული

ჩრდილო-კავკასიური კოლექცია

(ახლად შემოსული მასალის შესწავლა-დამუშავება)

2005 წლის ნოემბერში ლევან თაქთაქიშვილმა კ. კეკელიძის სახ. ხელნაერთა ინსტიტუტს (ამჟამინდელ ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში) გადმოსცა ჩრდილო-კავკასიური წარმომავლობის აღმოსავლური ხელნაერთების, ფრაგმენტებისა და ცალკეული კომენტარების საკმაოდ დიდი კოლექცია.

კოლექციის ჰიგიენური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე აღმოჩნდა. შემოტანილი მასალა მოითხოვდა წინასწარ დამუშავება-განმენდას, რის გამოც განისაზღვრა თავდაპირველად ჩასატარებელი სამუშაოები.

სანამ შევუდგებოდით ხელნაერთებისა და ცალკეული ფურცლების განცალკევებას, საჭირო იყო მათი მდგომარეობის შესწავლა ბიოლოგიური თვალსაზრისით. დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ხელნაერთებს ჰყავდა ჭიები, რომლებიც აზიანებდა როგორც ხელნაერთების ფურცლებს, ასევე ყდის ტყავს. საჭირო იყო მთელი კოლექციის სასწრაფო წესით შესწავლა-დამუშავება, რათა თავიდან აგვეცილებინა დაზიანების გავრცელება.

ინსტიტუტში მონვეულ იქნენ ბიოლოგები. მათთან სათანადო კონსულტაციისა და ხელნაერთა დამზიანებლების შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ეს ჭიები აზიანებდნენ ქაღალდსაც და ტყავსაც. აუცილებელი გახდა ხელნაერთების დამუშავება ქიმიური საშუალებებით, რაც გაანადგურებდა როგორც ჭიებს, ასევე მათ კვერცხებს. ამისათვის ხელნაერთები მოთავსებულ იქნა სადებიტაციო ჰერმეტიკულ კამერაში და ჩაუტარდათ ალუმინის ფოსფინით ფუმიგაცია (24 საათიანი ექსპოზიცია).

რამდენიმე კვირის შემდეგ ისევ იქნა გადათვალიერებული ხელნაერთები. შედეგი დადებითი იყო. შემდეგი პროცესი მოითხოვდა საკმაოდ რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულებას. ხელნაერთების ნაწილი შესრულებული იყო ძალიან თხელ, ნაწილი კი უხეშ, ცუდად დამუშავებულ, ძალიან სქელ ქა-

ლალდზე; ტექსტის მელანი იყო არამდგრადი სველი დამუშავების მიმართ, ფურცლები – ძალიან ჭუჭყიანი, მათზე დაკრული იყო ტალახი და გაურკვეველი წარმოშობის მასა; ქალაქი ძალიან დაზიანებული იყო მიკოლოგიურად (ობის სოკოებით, ბაქტერიებით). მასზე აღინიშნებოდა ვარდისფერი და რუხი ფერის პიგმენტები; ზოგიერთი ფურცელი იყო მომჩვარული, დეფორმირებული, დახეული და დაჭმუჭნილი. დიდი რაოდენობა ფურცლებისა იყო ჭიანჭამი, მათზე სხვადასხვა წარმოშობის ექსკრემენტებით. გამოცალკეებული ფურცლები ჯერ გაიწმინდა მშრალი ტამპონით, ფუნჯითა და ლანცეტის საშუალებით, შემდეგ მოხდა მათი ფურცლობრივი დამუშავება ეთანოლის წყალხსნარში დასველებული ბამბის ტამპონით; ფურცლები დაინახა და გაშრა ფილტრში.

შედლებისდაგვარად ფურცლების გროვიდან გამოიყო ცალკეული კომენტარები და დალაგდა, ხოლო ნაკლები ხელნაწერები – ფრაგმენტების სახით – მოთავსდა ცალკე. მოხდა მათი დანომვრა. უყდო და ბლოკად შეკრულ ხელნაწერებს გაუკეთდა პაგინაცია. გამოცალკევდა და დაჯგუფდა ერთმანეთში არეული ხელნაწერების ფურცლები. კომენტარები, რომლებიც თავიდან ცალკე იყო მოთავსებული კონვერტში, ასევე საქალაქოში ჩაიდო.

ხელნაწერების ზოგიერთი ფურცელი იმდენად იყო დაზიანებული მიკროორგანიზმებისგან (მათზე იყო თეთრი და რუხი ფერის ობის ფიფქი), რომ აუცილებელი გახდა მათი დამუშავება 2%-იან ფორმალინის წყალხსნარში დასველებული ბამბის ტამპონით (მაგ: №54, №55, №57 პირობითი ნომრები მიენიჭა დალაგების დროს). ეს ხელნაწერები მოითხოვს პერიოდულ შემოწმებას მათი დაცვის თვალსაზრისით.

აღინერა ყველა ხელნაწერის, ცალკეული ფრაგმენტისა და კომენტარების მდგომარეობა, აღირიცხა მათი რაოდენობა. აღწერილობის ფურცელი თან ერთვის ყველა ერთეულს.

მაგალითისთვის განსაკუთრებით მინდა წარმოვადგინო რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობა, რაც შეგვიქმნის ზოგად სურათს, თუ რა მდგომარეობაში იყო კოლექცია.

№45 ნომრით აღრიცხული ხელნაწერი შეიცავდა 67 ფურცელს და კომენტარების 16 ფურცელს. ხელნაწერი იყო ნახევრად დაშლილ მდგომარეობაში, ძალიან დაზიანებული მექანიკურად და ენტომოლოგიურად. ხელნაწერს ჰქონდა ყდა, რომლის ერთი ფრთა იყო ტყავის, მეორე – მუყაოსი. ყუად გამოყენებული იყო ძალიან დაზიანებული სხვადასხვა ტყავის ორი ფრაგმენტი. მუყაო, რომლითაც ყდა იყო დამზადებული, ჭიებისგან იყო შეჭმული და დაზიანებისაგან მტვრად ცვიოდა. ყდას მოსცილდა დაზიანებული მუყაო. ყდის შიგნითა მხარეს დაკრული ქალაქის ორი ფურცელი მოთავსდა ცალკე. ტყავი გაიწმინდა (გამოხდილი წყლით, სპირტით). დამუშავდა სათანადოდ. ტყავზე შეინიშნება მცირე ტვიფრი და ნაკანრები. ყდის ტყავი შედგება სამი ფრაგმენტისაგან. ხელნაწერს

კაპტალი¹ არ ჰქონდა. თვით ხელნაწერი შედგება სხვადასხვა ფორმატის ფურცლებისაგან. პაგინაცია ფურცლებს გაუკეთდა იმ თანმიმდევრობით, როგორც შემოვიდა ლაბორატორიაში. როგორც ფურცლები, ასევე ყდა, ადრე იყო რესტავრირებული. ხელნაწერის ფურცლები ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. მისი კიდეები შემოძენილი და დალაქავებულია. ხელნაწერის ყველა ფურცელი გაინმინდა მშრალად, მოსცილდა ჭუჭყი და მტვერი, შემდეგ კი დამუშავდა ეთანოლის წყალხსნარში (1:1 განზ.) დასველებული ბამბის ტამპონით. დაწნეხილი ფურცლები გამრა და მოთავსდა საქალაქო სათანადო აღწერის დართვით.

ხელნაწერი №59 შეიცავდა 100 ფურცელს. ჰქონდა მატერიაგადაკრული მუყაოს ყდა სარქველით. ყუაყ იყო მატერიის, ძალიან დაზიანებული ენტომოლოგიურად. ყდის სარქველი განსხვავებული კუბოკრული ქსოვილისგან იყო დამზადებული. როგორც ყდის, ასევე სარქველის და ყუის ქსოვილი დამპალია. ხელნაწერი ყდიდან ამოვარდნილია. ყდა იყო ძალიან ჭუჭყიანი და დაობებული, ხოლო ხელნაწერის ფურცლები – დაძენილი და დაგლეჯილი. ყდის ორივე ფრთაზე შიდა მხარეს დაკრული იყო ხელნაწერი ფურცლები. ხელნაწერი ადრეც ყოფილა რესტავრირებული. ყდის განმენდის დროს აღმოჩნდა, რომ მისი მუყაო გაკეთებული იყო შენებებული ხელნაწერის ფურცლებისაგან. ვინაიდან ტექსტის მელანი იყო არამდგრადი სველი დამუშავების მიმართ, შენებებული ყდა ჯერ დამუშავდა ეთანოლით, შემდეგ უკვე დავინყეთ ფურცლების განცალკევება. ყდიდან ამოღებულ იქნა ხელნაწერის 27 ფურცელი, ხოლო ნიგნის სარქველის დაშლისას კი – ხელნაწერი ფურცლები ფრაგმენტების სახით.

ყდისთვის გამოყენებული ხელნაწერის ფურცლების ზედაპირი თავიდანვე სპეციალური მახვილი საგნით იყო დამუშავებული, რათა შენებება მდგრადი ყოფილიყო. გამოცალკევებული ფურცლები და ფრაგმენტები დამუშავდა სათანადოდ (მოსცილდა ჭუჭყი, წებო, ექსკრემენტები) და მოთავსდა საქალაქო დეპოში.

ხელნაწერი №63-ის დამუშავებისას ასევე ყდიდან ამოღებულ იქნა 13 ფურცელი და 8 ფრაგმენტი. ეს ხელნაწერიც იყო ძალიან ჭუჭყიანი, სავსე ექსკრემენტებით, დაობებული, მომჩვარული, შემოძენილი და ნაკლული ფურცლებით.

როგორც აღვნიშნეთ, თითქმის ყველა ერთეული ასეთ მძიმე მდგომარეობაში იყო. აღმოსავლური ხელნაწერების უმეტესი რაოდენობა შესრულებულია ძალიან თხელ ქაღალდზე და ამიტომაც მათი დაზიანების ხარისხიც მაღალი იყო.

ჩემ მიერ დამუშავებული და შესწავლილი იქნა 63 ერთეული, რაც დაახლოებით 7983 ფურცელია. ასევე სათანადო წესითა და თანმიმდევრობით დამუშავდა ტყავის ყდები.

¹ აბრეშუმის ან ბამბის სხვადასხვა ფერის ძაფებისაგან მოქსოვილი ზონარი შესქელებული ნაპირით, რომელსაც აკერებენ, ან აწებებენ ნიგნის ყუის ზედა და ქვედა მხარეს, რათა კარგად შეიკრას ნიგნის ბლოკი და დაიცვას ყუა მტვრისაგან. კაპტალი აგრეთვე წარმოადგენს ნიგნის მხატვრულად გაფორმების ერთ-ერთ ელემენტს.

კოლექციის დამუშავების შემდეგი ეტაპია მათი კოდიკოლოგიური შესწავლა, დალაგება, პაგინაცია. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება მათ ჩაუტარდეთ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები.

Izolda Djikidze

SOUTH CAUCASIAN COLLECTION KEPT IN THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

(STUDY AND TREATMENT OF NEWLY RECEIVED MATERIAL)

ABSTRACT

Newly received North Caucasian Eastern collection kept in the National Centre of Manuscripts was studied biologically.

After examining and biological study of this collection it was found out that there were worms in the manuscripts, which marred the pages and the leather covers of the manuscripts.

Collection was disinfected, but before this process the disinfection chamber was hermetically worked out. The manuscripts were placed in the chamber; it was carried out fumigation with aluminium phosphinite.

After disinfection each unit of the manuscript was treated individually; some units were tinned. Entomologically damaged covers were treated. Pages of the manuscripts were taken from the covers.

In the article it was studied and examined the state of some manuscripts (Ex: #45, 49, 63) in the moment of their receiving and after their treating and putting them in order.

The work carried out on the damaged manuscripts is preliminary stage of the work for their restore da conservation in future.

ქრონიკა (2008-2009 წწ.)

სიმაოზიუმები, კონფერენციები, სემინარები

2008 წლის 10-12 აპრილს ერევანში გაიმართა არმენოლოგთა საერთაშორისო სემინარი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან სემინარზე მოხსენებებით წარდგინენ პროფ. ზაზა ალექსიძე („არმენოლოგია საქართველოში: გუშინ, დღეს, ხვალ“) და დალი ჩიტუნაშვილი („ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ხელნაწერთა ფონდი“).

2008 წლის აპრილში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კ. კეკელიძის დაბადებიდან 129 წლისთავისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა, ფილოლ. მეცნ. დოქტ-მა მაია რაფავამ წაიკითხა მოხსენება: „სომხურ მონოფიზიტობასთან პოლემიკის საკითხები არსენ იყალთოელის „დოგმატიკონის“ მიხედვით“.

2008 წლის 30 აპრილს თბილისში ჩატარდა ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის III საერთაშორისო სიმპოზიუმი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო მაია რაფავას მოხსენებით: „გარემოვლითი სწავლულების“ (ἐγκύκλιος παιδεία) გაგებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში“.

2008 წლის აპრილ-მაისში (29 აპრილი – 3 მაისი) ნიქოზიაში მოეწყო კვიპროლოგთა IV საერთაშორისო კონგრესი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა დარეჯან კლდიაშვილი. მან წაიკითხა მოხსენება თემაზე: „Vardzia – Metochion of the Kykkos Monastery in Georgia and its First Hegoumenos Protosynkellos Joachim, *Abstracts*“ (Lefkosia, 2008), p. 291-292.

2008 წლის ივლისში მოსკოვში გაიმართა მორიგი საერთაშორისო კონფერენცია – Ежегодная богословская конференция Православного Свято-Тихоновского гуманитарного университета. კონფერენციაზე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი წარმოადგინა მაია რაფავამ მოხსენებით: „Полемические сочинения против армянского монофизитства в древнегрузинской письменности“.

2008 წლის 4-6 მაისს სხალთაში ჩატარდა ანდრია პირველწოდებულისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა მაია რაფავამ კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება „ბიბლიური ციტაციის თარგმნის საკითხები „დოგმატიკონის“ რამდენიმე „შეისწავეს“ მიხედვით.“

2008 წლის 6-9 მაისს, პოლონეთში, ქალაქ ზაკროჩნიში, მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია: „ქრისტიანული ხელოვნება აზიის, აფრიკისა და ევროპის საზღვრებზე“ (Christian Art on the Borderlands of Asia, Africa and Europe). კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა ნინო ქავთარიამ. მან კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება „ნიგნის მხატვრობის სკოლა შავ მთაზე: ქართული და ბერძნული მხატვრული ურთიერთმიმართების საკითხი XI-XII საუკუნეებში“. კონფერენციის მასალები წარმოდგენილია ვებ-გვერდზე: www.cdh.ofmcap.pl/news/php .

2008 წლის 12-15 მაისს მოსკოვში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ისტორიული ალბანეთის საკითხებისადმი: „Кавказские народы и Албания“. კონფერენციაზე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი წარმოადგინა პროფ. ზაზა ალექსიძემ მოხსენებით: „Кавказская Албания в поисках фарватера между Сцилой и Харибдой“.

2008 წლის 20 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: „ქვემო ქართლი – ისტორია, კულტურა, ხელოვნება“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორმა მეცნიერმა: თემო ჯოჯუამ („პირღებულის მონასტრის XII-XIII საუკუნეების ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული დედოფალთ-დედოფალ რუსუდანის ვინაობისათვის“) და გულიკო მჭედლიძემ („გუდარეხის მონასტრის მამნებელი რუსუდან დედოფალი“).

2008 წლის 29 მაისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „XIX-XX საუკუნეების საქართველო - წყაროები და კვლევები“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცნიერები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან მოხსენებებით წარდგინეს: გოჩა საითიძე („ორი უცნობი ევროპული წყარო „თურქეთის საქართველოს“ შესახებ (XIX საუკუნის 70-იანი წლები“); ეთერ ქავთარაძე („ახალი მასალები გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ“); ბუბა კუდავა, ირმა ბერიძე („დავით ურატაძის „ტყვე-კაცის ჩანაწერები“ - II მსოფლიო ომის პერიოდის ახალგამოვლენილი დღიური“); აპოლონ თაბუაშვილი („ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხისათვის“); ერეკლე შველიძე („ხელნაწერთა ეროვნულ

ცენტრში დაცული წყაროები ვარლამ გელოვანის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ“); ირმა ხოსიტაშვილი („სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია სომეხ-ქართველთა შესახებ“); ქეთევან ხითარიშვილი („1832 წლის შეთქმულების გამოძახილი ქართულ ლიტერატურაში მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ მიხედვით“); შორენა მურუსიძე („ქართული ფაშისტური ორგანიზაციები ევროპაში XX საუკუნის 20-30-იან წლებში“); ნესტან ბაგაური („დავით მეფეთა-მეფის იდენტიფიკაციისათვის. კორიდეთის ოთხთავის მინაწერი ჟან ჩიას-ძისა“); გულიკო მჭედლიძე („XIX საუკუნის ეპისტოლეები, როგორც საისტორიო წყარო“).

2008 წლის 2-5 ივნისს ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარეობდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 90 წლისთავს. კონფერენციის მუშაობაში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან მონაწილეობდა თემო ჯოჯუა, რომელმაც მოხსენება წაიკითხა დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან („დოდორქის მონასტრის სკრიპტორიუმი. XVII-XVIII საუკუნეები“).

2008 წლის 19-20 ივნისს ქუთაისი მასპინძლობდა ორიენტალისტთა IV საერთაშორისო კონფერენციას. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო თურქოლოგმა ცისანა აბულაძემ. მან წაიკითხა მოხსენება: „თურქოლოგიის ძირითადი მიმართულებანი საქართველოში“.

2008 წლის 28 ივნისს თბილისში გაიმართა ვახტანგ ბერიძის სახელობის საერთაშორისო სიმპოზიუმი: „ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში“. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა, ნინო ქავთარიამ წაიკითხა მოხსენება: „XII-XIII საუკუნეების ქართულ ოთხთავთა გაფორმების მხატვრული ასპექტები“.

2008 წლის ივნისში კვიპროსზე ჩატარდა ეპიფანე კვიპრელის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენცია, სადაც გაიგზავნა მათა რაფავას მოხსენება: „ეპიფანე კვიპრელის ანაკეფალიოსის რეცეფციისათვის ძველ ქართულ მწერლობაში“ (Pour la reception d'Anakephaliosis d'Épiphanes de Chypre dans l'ancienne littérature géorgienne).

2008 წლის 6-11 ივლისს კემბრიჯის უნივერსიტეტში მიმდინარეობდა ისლამური ხელნაწერებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო კონფერენცია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან კონფერენციაზე წაიკითხულ იქნა მოხსენება: Islamic World and its Christian Neighbours: Georgian-Persian, Persian and Ottoman Illuminated Historical Documents in Georgian Archives and Museums (თანაავტორები: დარეჯან კლდიაშვილი, თამარ აბულაძე, ირინა კოშორიძე).

2008 წლის 16-19 ოქტომბერს მიჩიგანის უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე: „სომხური აპოკალიპტური ტრადიცია და კომპერატიული პერსპექტივები“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან მოხსენება: „გრიგოლ განმანათლებლისა და საჰაკ პართელის ხილვათა ქართული ვერსიები და მათი ასახვა ძველ ქართულ წყაროებში“ წაიკითხა ზაზა ალექსიძემ.

2008 წლის 18-19 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა აკადემიკოს სერგი ჯიქიას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან სესიებზე მოხსენებებით გამოვიდნენ ცისანა აბულაძე (ორი მოხსენება) და გოჩა საითიძე: ცისანა აბულაძე: 1. „საქართველოს ეროვნული არქივის (ფონდი 1550) დაცული ოსმალური სიგელები“; 2. „აკადემიკოს სერგი ჯიქიას ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა“. გოჩა საითიძე, „მასალები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (სამცხე-საათაბაგოს მთავრის მანუჩარ I ჯაყელის 1579 წელს სტამბულში ვიზიტის ამსახველი უცნობი ოსმალური მინიატურა)“.

2008 წლის 23 დეკემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ თამარაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან მოხსენებით წარდგინეს: ირმა ბერიძე („მიხეილ თამარაშვილი (ძირითადი შტრიხები ცხოვრება-მოღვაწეობის ისტორიიდან“); ქეთევან ხითარიშვილი („ალფონს ხითარიშვილის წერილები მიხეილ თამარაშვილისადმი ქართველ კათოლიკეთა დევნის შესახებ“); გოჩა საითიძე, თამაზ გოგოლაძე („იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნის I ნახევარი“); ერეკლე შველიძე („გიორგი დეკანოზიშვილის წერილები ნინო ყიფიანისადმი უნევის კონფერენციის შესახებ“); ვლადიმერ კეკელია („კიდევ ერთხელ ქართველებისა და ტამპლიერების ურთიერთობის შესახებ წმინდა მინაზე XII საუკუნეში“); აპოლონ თაბუაშვილი („სამართალწარმოება XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში“).

2008 წლის 23 დეკემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა პროფ. მიხეილ (მიხაკო) წერეთლის დაბადებიდან 130 წლისთავს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან მასში მონაწილეობდა ეთერ ქავთარაძე, რომელმაც წაიკითხა მოხსენება: „ინფორმაცია მიხეილ (მიხაკო) წერეთლის არქივის შესახებ“.

2009 წლის 15-22 აპრილს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში პროგრამა „სამშობლოსთან“ ერთად გაიმართა XX საუკუნის ცნობილი ქართველი ემიგრანტი მოღვაწეების, აკაკი და თამარ პაპავეების ხსოვნის კვირეული, რომლის ფარგლებში 21 აპრილს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია – „ახალი მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისთვის“. კონფერენციაზე მოხსენებით წარდგინეს:

გორა საითიძე (არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი), „ახალი მასალები აკაკი და თამარ პაპავეების ცხოვრება-მოღვაწეობიდან“ (XX საუკუნის 10-50-იანი წწ.)“ (თანამომხსენებელი გელა საითიძე) და ერეკლე შველიძე, „აკაკი პაპავას მიმონერა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით (თანამომხსენებელი დიმიტრი შველიძე).

2009 წლის 30 აპრილს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა გორა საითიძემ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკად. კ. კეკელიძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „მასალები აკად. კორნელი კეკელიძის ცხოვრება-მოღვაწეობის ისტორიიდან (XX საუკუნის 20-30-იანი წლები)“.

2009 წლის 27 მაისს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში გაიმართა არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია: „XIX-XX საუკუნეების საქართველო - წყაროები და კვლევები“. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან მოხსენებები წაიკითხეს: შორენა მურუსიძე, ერეკლე შველიძე („ქართველ მხედართა დარაზმულობის ისტორიისათვის“); გორა საითიძე („ახალი მასალები ესპანეთის ქართული სათვისტომოს ისტორიისათვის (XX საუკუნის 40-50-იანი წლები)“.

2009 წლის 30 მაისს არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გორა საითიძემ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ II რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე: „საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები“ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „უცნობი დოკუმენტები გენერალ გიორგი კვინიტაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ისტორიიდან (XX საუკუნის 60-იანი წლები)“.

2009 წლის 12-16 სექტემბერს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა გრიგოლ ფერაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო პატრისტოიკული კონფერენცია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან მასში მონაწილეობა მიიღეს თამარ ოთხმეზურმა, თინა ცერაძემ და ლელა ხოფერიამ.

2009 წლის 14 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მუდმივმოქმედ სემინარზე შორენა მურუსიძე წარსდგა მოხსენებით: „ამერიკული კომიტეტის მიერ ანტიბოლშევიკური კოალიციის შექმნის მცდელობა (ვისბადენის და შტარენბურგის კონფერენციები)“.

2009 წლის 12-16 სექტემბერს თბილისში, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ჩატარდა წმინდა მღვდელმონაქმე გრიგოლ ფერაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო პატრისტოიკული კონფერენცია. კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები:

ლელა ხოფერია, თინა ცერაძე („სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა კოლექციის სიახლენი“), თამარ ოთხმეზური („გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყვანის“ კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში“).

2009 წლის 25-27 სექტემბერს თბილისსა და ახლციხეში მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია „ბიზანტინოლოგია-3“. კონფერენციის მუშაობაში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან მონაწილეობას იღებდა 10 თანამშრომელი: ნინო მელიქიშვილი („ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური მწერლობა“); მაია რაფავა („ალექსანდრიული ნეოპლატონური სკოლის ტრადიციების ასახვა ძველ ქართულ მწერლობაში“); დალი ჩიტუნაშვილი („დიდი სვინაქსარისათვის“ დართული გიორგი მთაწმიდელის ანდერძები“); ვლადიმერ კეკელია („სომხური ეკლესია-მონასტრების ნუსხა წმიდა მინაზე“); ნესტან ბაგაური („დავით მეფეთა-მეფის“ იდენტიფიკაციისათვის (კორიდეთის ოთხთავის მინაწერი ჟან ჩიას-ძის“); ნინო ქავთარია („ანტიოქიის ქართული მემკვიდრეობა: მხატვრულად გაფორმებული ხელნაწერები“); ნანა ჩიკვატია („არსენ იყალთოელის „დოგმატიკონის“ შემცველი ხელნაწერების ტიპოლოგიზაციისათვის“); ქეთვან ასათიანი („ქართველ წმინდანთა ხსენება რამდენიმე უძველესი წყაროს მიხედვით“); დავით შენგელია („ტერმინები და შესატყვისობები არსენ ვაჩეხძის მიერ თარგმნილ „გამოკრებანი წამებათანი“-ში); დარეჯან კლდიაშვილი („უცნობი მასალები კონსტანტინოპოლის მონასტრების შესახებ XI საუკუნის 30-იანი წლების ქართულ წყაროებში – მონასტერი დიდი კესტორი“).

I საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“

2009 წლის 19-25 ოქტომბერს თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს პარლამენტის პატრონაჟით ჩატარდა I საერთაშორისო სიმპოზიუმი: „ქართული ხელნაწერი“. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები ჰუმანიტარული პროფილის ქართული სამეცნიერო დაწესებულებებიდან (ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გიორგი წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, სოხუმის უნივერსიტეტი, გორის უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი) და მოწვეული სტუმრები საფრანგეთიდან (ბერნარ უტიე, ჟაკ სიკრი), ამერიკის შეერთებული შტატებიდან (ტიმოთი გრუვი, პოლ კრეგო, მაიკლ ფელფსი), ნიდერლანდებიდან (ალბერტ თენ-ქეითი), იტალიიდან (გაგა შურლაია), ირანიდან (ბაჰრამ ამირაჰმადიანი, ჰოსეინ აჰმადი) იაპონიიდან (ჰიროტაკე მადეა), სომხეთიდან (პარუირ მურადიანი), შვეიცარიიდან (მარკო

ჯიოლიტო), ესპანეთიდან (მარკ გუსკინი), გერმანიიდან (იოსტ გიპერტი), ჩეხეთიდან (ულრიჰ ზდენეკი).

სიმპოზიუმი, წარმოდგენილი მოხსენებების შესაბამისად, მუშაობდა რამდენიმე სექციად: კოდიკოლოგია-ტექსტოლოგია, წყაროთმცოდნეობა-დიპლომატიკა, ლვთისმეტყველება/ფილოსოფია, კულტურის კვლევები, წიგნის ხელოვნება, დიგიტალიზაცია/რესტავრაცია-კონსერვაცია.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერებმა სხვადასხვა სექციებზე წაიკითხეს შემდეგი მოხსენებები: ლამარა ქაჯაია („ხანმეტი პალიმფსესტების შესწავლის ისტორია“); ციალა ქურციკიძე („ძველი აღთქმის წიგნთა ქართული თარგმანების გამოცემისა და შესწავლის ისტორიისთვის“); ვლადიმერ კეკელია („იოანე ვარძიელის ანდერძის დათარიღებისათვის“); თემო ჯოჯუა („ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯრის თავდაპირველი ტექსტის დადგენისათვის“); ბუბა კუდავა („კიდევ ერთხელ დავით აღმაშენებლის ანდერძის ნაყალბევობის შესახებ“); მზია სურგულაძე („ქართული წყაროთმცოდნეობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (1959-2009 წწ.)“); ეკა დულაშვილი („იადგარი – ადრე-ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ამსახველი ძეგლი“); ქეთევან ტატიშვილი („ანტონ I კათალიკოსისეული სადღესასწაულო“); დალი ჩიტუნაშვილი („ვენურ ხელნაწერში დაცული „ქება ქებათა“ (ტექსტოლოგიური კვლევა)); ნინო მელიქიშვილი („იოანე ოქროპირის თხზულებათა შემცველი კრებული „მარგალიტი“); მაია რაფავა („ლეგენდური გადმოცემები გრიგოლ ნაზიანზელის შესახებ“ (ორი ქართული ძეგლის მიხედვით)); ლელა შათირიშვილი, თეა ქართველიშვილი („პოლემიკური თხზულება „წსენება სიტყვის-გებისა და სასჯელისა შჯულისათჳს ქრისტიანეთაჲსა და სარკინოზთა“ (ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი)); თამარ აბულაძე („ქართული სამეცნიერო შინაარსის ხელნაწერები და აღმოსავლური კულტურული ტრადიცია“); ცისანა აბულაძე („აღმოსავლეთმცოდნეთა კვლევის ძირითადი მიმართულებანი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“); რუსუდან გვარამია, ნანა ყანჩაველი („ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შუა აზიის არაბულ ხელნაწერთა კოლექცია“ (ზოგადი მიმოხილვა)); თამარ ოთხმეზური, ქეთევან ბეზარაშვილი („ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბერძნული კოლექცია“); ლია სამყურაშვილი („X-XIII საუკუნეების ქართული სამედიცინო წიგნები და მათი არაბული წყაროები“); ელენე ცაგარეიშვილი („ქართული არმენოლოგიის ისტორიიდან“); პაატა ნაცვლიშვილი („არგენტინის ქართული ემიგრაციის საარქივო მემკვიდრეობა“); გოჩა საითიძე, ეთერ ქავთარაძე („არქივთმცოდნეობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“); ვასილ თარგამაძე („დიგიტალიზაციის ლაბორატორია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“); ხათუნა ბაინდურაშვილი („ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ერთი მუსლიმური კატეხიზმოს შესახებ“); თინა ცერაძე, ლელა ხოფერია („ვახუშტი ბაგრატიონის გალექსილი ბიბლია“ (სანკტ-პეტერბურგში დაცული ავტოგრაფული ნუსხის მიხედვით); ა დარეჯან კლდიაშვილი („რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინესა და პეტრე I-ის ფერადი გრაფიურა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული დოკუმენტების ფონდიდან“); ნინო ქავთარია („ათაბაგთა კარის სკრიპტო-

რიუმი XV-XVI საუკუნეებში“); ნანა ჩიკვატია („ანასტასია სინელის „წინამძღუარში“ დაცული ერთი იკონოგრაფიული გამოსახულების შესახებ“); ნანა თარგამაძე („საბიბლიოთეკო საქმე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“); ელენე მაჭავარიანი („ქართულ მოხატულ ხელნაწერთა შესწავლის ისტორია“); ლელა ქურდაძე („საგამოფენო საქმე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“); ნესტან ჩხიკვაძე, მაია კარანაძე („უძველესი ქართული ყდები სვანური კოლექციიდან“); ეთერ ედიშერაშვილი („XVI-XVII საუკუნეების მხატვრობის ტენდენციები თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებში“).

პროექტები

2008 წლის მიწურულს დასრულდა შვეიცარიის მეცნიერების ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი: „დოდორქის მონასტრისა (VI-XVIII სს.) და განსაშორის სავანის (დაახლ. VI-IX სს.) შესწავლა ბიზანტიური და აღმოსავლეთის ქრისტიანობის ტრადიციების ფონზე“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი: მ. ქავთარია). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან პროექტში მონაწილეობდა თემო ჯოჯუა.

2008 წელს ხელნაწერთა ეროვნულ ფონდში დასრულდა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული ორი საგრანტო პროექტი: „ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი ენრიკო გაბიძაშვილი); 2. „ძველი ქართული საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტერმინოლოგია“ (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დამანა მელიქიშვილი), ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან მონაწილეობდნენ: მაია რაფავა, ნანა ჩიკვატია).

2008 წლის იანვარში ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მიიღო რუსთაველის ფონდის დაფინანსება სამ საგრანტო პროექტზე: 1. „ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი მაია რაფავა). პროექტის მიზანია შეჯამებულად ასახოს ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის (ორიგინალური და ნათარგმნი) სფეროში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული მრავალფეროვანი სამეცნიერო კვლევების შედეგები; 2. „ქართული ხელნაწერი წიგნი“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი ნესტან ჩხიკვაძე). პროექტი მიზნად ისახავს ქართული ხელნაწერი წიგნის, როგორც შუა საუკუნეების ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილის ყოველმხრივ (დარგობრივი და ჟანრობრივი, გაფორმების წესები, ტექნოლოგია) შესწავლას; 3. „ქართული, სპარსული და ოსმალური მოხატული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან“ (მონაცემთა ბაზა, ვებ-გვერდი, ალბომი) (სამეცნიერო ხელმძღვანელი დარეჯან კლდიაშვილი).

2009 წლის ოქტომბერში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დასრულდა რუსთაველის ფონდის მიერ 2006 წელს დაფინანსებული პროექტი „IV-XVIII სს. ქართველი ისტორიული მოღვაწენი“ (www.qim.ge) (სამეცნიერო ხელმძღვანელი მზია სურგულაძე).

ბამოცემაზი

დარეჯან კლდიაშვილი, ქართული სამონასტრო სულთა მატთანეები, I, სინას ნმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატთანე. გამომცემლობა ნეკერი, თბილისი, 2008 (205 გვ.).

მაია შაორშაძე, ნინოწმიდის საეპისკოპოსო, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 3. გამომცემლობა „არტანუჯი“, 2008 (189 გვ.).

ელენე მაჭავარიანი, „წიგნის ხელოვნება ძველ საქართველოში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008 (179 გვ.).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერის, ზ. ალექსიძის მონაწილეობით 2008 წელს გამომცემლობა „ბრეპოლსმა“ გამოსცა: *The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai*. Edited by *J.P.Gippert, W. Schulze, Z. Aleksidze, J.P. Mahé*– Brepols – 2008. [vol.I–252 p. vol. II –142 p.]. *Monumenta Paleographica Mediaevi Series Ibero-Caucasica*.

სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, წერილები „ოსმალის საქართველოზე“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ლელა ქურდაძემ და გოჩა საითიძემ, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2008 (224 გვ.).

ენრიკო გაბიაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, III, ჰომილეტიკა, თბილისი, 2009 (579 გვ.).

ენრიკო გაბიაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 4, ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, თბილისი, 2009 (486 გვ.).

ნინო მელიქიშვილი, „ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები“, სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებელთა შესაბამისი განხრის სტუდენტებისათვის. გამომცემლობა „ალილო“, თბილისი, 2009 (316 გვ.).

გულნარა მჭედლიძე, გუდარეხის მონასტერი (ქვემო ქართლის სამონასტრო სენიორიების ისტორიიდან, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009 (140 გვ.). ნესტან ჩხიკვაძე, ლელა შათირიშვილი, მაია კარანაძე, ქართული ხელნაწერი წიგნი (ვებგვერდის შექმნა), კონფერენციის მასალები, თბილისი, 2009 (35 გვ.).

სამეცნიერო საცნობარო ლიტერატურა

ხელნაწერთა აღწერილობები, თემატური კატალოგები

1. 2008-2009 წლებში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შესრულდა 35 ერთეული ბერძნული ხელნაწერის აღწერილობა (თამარ ოთხმზური, ქეთევან ბეზარაშვილი, ელექტრონული ვერსია). მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, კოლექციაში წარმოდგენილი ხელნაწერების ქრონოლოგიური ჩარჩო (IX-XIX სს.) და მათში შეტანილი თხზულებების ფართო ჟანრობრივი სპექტრი საინტერესო მასალას იძლევა ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ხელნაწერი წიგნისა და, ზოგადად, ბერძნული მნიგნობრობის ისტორიის შესწავლისათვის. ჟანრობრივი თვალსაზრისით კოლექციაში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ჯგუფები: ბიბლიური წიგნები, ბიბლიური ეგზეგეტიკა, ჰომილეტიკა, ლიტურგიკა. აღწერილობაში წარმოდგენილია ხელნაწერთა კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიულ თავისებურებანი, შინაარსობრივი შედგენილობა და ბიბლიოგრაფია.

2. ანტიოქიაში გადანერილი ქართული ხელნაწერების კატალოგი (თამარ ოთხმზური, ქეთევან ბეზარაშვილი; ელექტრონული ვერსია). კატალოგში თავმოყრილია ცნობები უშუალოდ ანტიოქიის მონასტრებში გადანერილი ქართული ხელნაწერების (11 ერთეული) შესახებ. კატალოგში გათვალისწინებულია ხელნაწერის თარიღი და ტიპი; გადამწერები და მომგებლები; გადანერის კონკრეტული ადგილი; ხელნაწერის ისტორია; ხელნაწერის შექმნასთან დაკავშირებული პერსონალია და ტოპონიმები; ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

3. 2009 წელს დასრულდა პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართული კოლექციის ხელნაწერების აღწერილობის (70-მდე ერთეული) რუსული და ქართული ვერსიები (პროექტი დაიწყო 2005 წელს. შემსრულებლები: თინა ცერაძე, ლელა ხოფერია; ელექტრონული ვერსია). აღწერილობას ახლავს 13 ტიპის საძიებელი (პირთა, გეოგრაფიულ სახელთა, ხელნაწერების გადამწერთა, ხელნაწერების გადანერის ადგილთა, უცხოენოვანი მინაწერების, ეტრატზე ნაწერ ხელნაწერთა, პალიმფსესტურ ხელნაწერთა, მხატვრული გაფორმების, კონვოლუტების, მონოგრამიან ხელნაწერთა, ქრონოლოგიური, შიფრობრივი, ბიბლიოგრაფიულ შემოკლებათა საძიებლები). აღწერილობის რუსული ვერსია დასაბეჭდად გადაეცა გამომცემლობას Восточная Литература, მოსკოვი (რედაქტორი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ელენა მეშჩერსკაია). რუსულ მხარესთან შეთანხმებით, ქართულენოვანი ვერსიის გამოცემა შესაძლებელი გახდება მხოლოდ „აღწერილობის“ რუსული ვერსიის პუბლიკაციის შემდეგ.

4. 2008-2009 წლებში მომზადდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სომხური ხელნაწერებისა და ფრაგმენტების (მხოლოდ ეტრატზე შესრულებულთა) აღწერილობა (ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი, ელექტრონული ვერსია). აღწერილობაში მითითებულია ცნობები ხელნაწერების შექმნის ადგილის,

დამკვეთისა და შემსრულებლების, ტექსტის რაობის შესახებ. შეტანილია ისტორიული ღირებულების კოლოფონები.

5. 2008 წელს დასრულდა სპარსული წყაროებიდან მომდინარე ქართული სამეცნიერო თხზულებების ანოტირებული კატალოგი (თამარ აბულაძე, ელექტრონული ვერსია). კატალოგში აღნუსხულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ქართული და სპარსული ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ ასტრონომიულ-ასტროლოგიურ და კალენდარულ მასალას, სამედიცინო ტრაქტატებს, გეოგრაფიულ, ქიმიკ-მინერალოგიური შინაარსის თხზულებებს, სახელმძღვანელოებსა და სპეციალურ ლექსიკონებს. კატალოგს დაერთვის სპარსულ სამეცნიერო თხზულებათა შემცველი ხელნაწერების ანოტირებული ნუსხა; შესავალი, სადაც წარმოდგენილია ქართული სამეცნიერო თხზულებების დარგობრივი დახასიათება ქართულ-აღმოსავლური კულტურული ურთიერთობის კონტექსტში.

6. 2008-2009 წლებში ათონური ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების მიხედვით მომზადდა პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული კატალოგი (ეკა დულაშვილი, ქეთევან ტატიშვილი; ელექტრონული ვერსია).

არქივები. ახალი კატალოგები

2008-2009 წლებში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივთმცოდნეობის დეპარტამენტში დასრულდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივის და ქართველი მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეების 20-მდე პირადი არქივის დამუშავება-კატალოგიზაცია. ესენია: გრიგოლ ლორთქიფანიძის, თემურ ნუცუბიძის, ებისკოპოს პეტრე კონჭოშვილის, ნიკო სამადაშვილის, არუთინ თუმანიანის, დავით გვრიტიშვილის, პავლე აკობიას, მიხეილ კეკელიძის, გიორგი ლომთათიძის, ალექსანდრე ლომთათიძის, ვალერიან ცაგარეიშვილის, იოსებ ყიფშიძის, მოსე თოიძის, ელფეთერ ანდრონიკაშვილის, შალვა ამირანაშვილის, ვიქტორ კუპრაძის, ივანე სტურუას, ნინო ლოლობერიძის პირადი არქივები.

2008-2009 წლებში დასრულდა პირად არქივებში დაცული ფოტოების იდენტიფიკაცია და მომზადდა ფოტო-კატალოგი. დასრულდა ცნობილი რუსი მეცნიერის, ევგენი ვეიდენბაუმის (1845-1918) მიერ მომზადებული „კავკასიის მოღვაწეთა ენციკლოპედიური ლექსიკონის“ რედაქტირება. 2010 წელს განზრახულია ლექსიკონის გამოცემა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

გამოწინააღმდეგობა

„ქართული ხელნაწერი წიგნი“

2008 წლის 12 იანვარს გაიხსნა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ძირითადი გამოფენის განახლებული ვერსია სახელწოდებით „ქართული ხელნაწერი წიგნი“. გამოფენაზე ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი VII-XVII საუკუნეების ქართული საერო და სასულიერო ხელნაწერი წიგნების მნიშვნელოვანი ნუსხების ასლები. ხელმძღვანელი - ლელა ქურდაძე; საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი - ეთერ ედიშერაშვილი.

გამოფენის ფარგლებში მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამა სკოლის მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვის. პროგრამის ძირითადი საკითხებია: 1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; 2. ქართული ხელნაწერი წიგნი; 3. ქართული დამწერლობის განვითარება; 4. ხელნაწერი წიგნის მინიატურა; 5. ძველი ქართული მწერლობის კერები; 6. კალიგრაფები, გადამწერები, მომხატველები; 7. საწერი მასალა და მისი დამზადება; 8. ტერმინთა განმარტებანი.

საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ბავშვებისათვის თამაშის შეთავაზებაა – ექსპონატის ჩვენება და თხოვნა აღწერონ საკუთარი შთაბეჭდილებები, „ნაიკითხონ“ ძველი და იფიქრონ გარკვეულ თემაზე. ეს მათ ეხმარება ისწავლონ ექსპოზიციის დათვალიერება და დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება.

„დედაენა“

14 აპრილს დედაენის დღისადმი მიძღვნილ აქციათა ფარგლებში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „დედაენა“ (ხელმძღვანელი - თამარ გეგია, ლელა ქურდაძე).

ცნობილია, რომ დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და პუბლიცისტი იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდა პირველი საყმანვილო სახელმძღვანელოს შედგენას. მის პირად არქივში უამრავი მასალა ინახება, რომელიც ნათლად ასახავს იმ მონდომებას და რუდუნებას, რაც თითოეულ სიტყვასთან, წინადადებასთან, თუ მეთოდის ნიუანსებთანაა დაკავშირებული. ექსპოზიციისთვის წარმოდგენილი იყო იაკობ გოგებაშვილის ავტოგრაფული წერილები „დედა ენისა“ და ქართული ენის შესახებ, შმერლინგის ილუსტრაციები ი. გოგებაშვილის მოთხრობისათვის „იავნანამ რა ჰქმნა“; ი. გოგებაშვილის სხვა საბავშვო თხზულებებზე შესრულებული ილუსტრაციები.

გამოიფინა „დედა ენის“ პირველი გამოცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე და „დედა ენის“ ძველი კლიშეები.

გამოფენის ფარგლებში მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის.

„ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 50“

2008 წლის 30 ივნისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა ცენტრის (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის) დაარსებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა (ხელმძღვანელები – თამარ გეგია, ლელა ქურდაძე).

გამოფენაზე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული და უცხოენოვანი ხელნაწერების ძვირფასი ნიმუშები, ძველნაბეჭდი გამოცემები და ცენტრის დამაარსებლის, პროფ. ი. აბულაძის პირადი წერილები და ფოტომასალა გამოიფინა.

ქართული ფონდიდან წარმოდგენილი იყო X-XIX საუკუნეების ხელნაწერები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული (S-425, 978-988 წწ.), პალიმფსესტი (H-2065, ქვედა ტექსტი VIII ს., ზედა – XI ს.), ასტროლოგიური ტრაქტატი (A-65, 1188-1210 წწ.), დავითნი (H-1665, XV ს.), წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“ (H-54, 1680 წ.), XVII-XVIII საუკუნეების ოქროთი და ვერცხლით მოჭედილი მინიატურული ხელნაწერები, გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.)... ქართულ ხელნაწერთა უმეტესობას მდიდრულად შემკული ცნობილი ოთხთავები შეადგენდა: ჯრუჭი I (H-1660, 930-940 წწ.), ალავერდი (A-484, 1054 წ.), ჯრუჭი II (H-1667, XII ს.), გელათი (Q-908, XII ს.), წყაროსთავი (Q-907, XII ს.), ბერთა (Q-906, XII ს.), ტბეთი (Q-929, XII ს.) და სხვა ოთხთავები.

საიუბილეო გამოფენის უცხოენოვან ნაწილში დამთავლიერებელს საშუალება ჰქონდა ენახა ბერძნული (XI ს.), ეთიოპური (X-XI სს.), სირიული (XVII-XVIII სს.), სომხური (XVI ს.), ძველგერმანული (XVII ს.), მონღოლური, ებრაული (XVI ს.) ხელნაწერები, ასევე ისტორიული დოკუმენტები და სიგელები.

გამოფენაზე წარმოდგენილი მასალა მრავალმხრივ ასახავდა ქართული ხელნაწერი წიგნის ხელოვნების მაღალ დონეს და საქართველოს გარე სამყაროსთან კულტურული ინტეგრაციის უწყვეტ პროცესს.

გამოფენა პატრიარქატის ვიზიტის საპატივცემულოდ

2008 წლის 29 ივლისს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II და ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი, უნეტარესი თეოდორე II ეწვივნენ. სტუმრების საპატივცემულოდ მოეწყო გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო ქართული და ბერძნულენოვანი ხელნაწერები, ასევე საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობის ამსახველი საარქივო მასალა (ხელმძღვანელი – ლელა ქურდაძე).

გამოფენა გახსნა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ბატონმა ბუბა კუდავამ. მან პატრიარქებს საჩუქრად ქართული და ბერძნული ხელნაწერების ფოტოასლები და ცენტრის უახლესი გამოცემები გადასცა.

ალექსანდრიის პატრიარქმა, უნეტარესმა თეოდორე II-მ ისაუბრა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ალექსანდრიის საპატრიარქოს ბიბლიოთეკას შორის ურთიერთობის პერსპექტივაზე და იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებზე. მან ყურადღება გაამახვილა ალექსანდრიის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ უცნობ ქართულ ხელნაწერზე და გამოხატა ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობის სურვილი ამ ხელნაწერის შესწავლის მიზნით. დასასრულს, უნეტარესმა თეოდორე II-მ ცენტრს უსახსოვრა ალექსანდრიის საპატრიარქოს სიმბოლო.

„პირველი ქართული უნივერსიტეტი 90“

2008 წლის 10 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ფარგლებში უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ჩატარდა გამოფენა სახელწოდებით „პირველი ქართული უნივერსიტეტი 90“.

პროექტი განხორციელდა უნივერსიტეტის მუზეუმის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ეროვნული არქივის ერთობლივი მონაწილეობით.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართულ უნივერსიტეტთან დაკავშირებული მასალა ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივებიდან (ხელმძღვანელები - დავით სართანია, ლელა ქურდაძე). მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ; ასევე, უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებები, ივ. ჯავახიშვილის მიერ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისათვის შედგენილი ლექციებისა და საგნების ნუსხები, ექვთიმე თაყაიშვილის გეგმები არქეოლოგიის შესწავლის საქმეში, მისი მიმონერები რექტორისა და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანთან...

გამოფენაზე დამთავლიერებელს საშუალება ჰქონდა ენახა დიმიტრი შევარდნაძის მიერ შესრულებული თბილისის უნივერსიტეტის გერბის ვარიანტები, ლატარიის ბილეთი, რომელიც უნივერსიტეტის, თეატრის და მსახიობთა კავშირის დასახმარებლად იყო განკუთვნილი და სხვა არაერთი საინტერესო მასალა.

„ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები“

2008 წლის 4-30 ნოემბერს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გამართა გამოფენა სახელწოდებით – „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები“ (საგამოფენო ჯგუფი: ხელმძღვანელი – ლელა ქურდაძე, კონსულტანტები: მიხეილ ქავთარია, ლამარა ქაჯაია, ნანა თარგამაძე).

გამოფენის მიზანი იყო სხვადასხვა ეპოქაში გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ რჩეული ნუსხების, ძველნაბეჭდი გამოცემებისა და პოემის თემაზე შექმნილი ნამუშევრების თავმოყრა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

შოთა რუსთაველის ნაწარმოების 200-მდე ნუსხა, ცალკეული ფრაგმენტების ჩათვლით, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. აღსანიშნავია, რომ გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, არც ერთი სხვა ქართული ნაწარმოების ნუსხა ამ რაოდენობით არ არის მოღწეული. ხელნაწერები და ძველნაბეჭდი გამოცემები გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქრონოლოგიური პრინციპით. მათ თან ახლდა ვრცელი ანოტაციები და განმარტებითი ტექსტები (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

ცალკე სექციებად იყო გამოყოფილი ე. წ. ხალხური ვეფხისტყაოსანი, („ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებები, მაჯამები, ზღაპრები...), „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელოვანი თარგმანები (რუსული, ინგლისური, ჩეხური...) და ქართველ მკვლევართა ნაშრომები „ვეფხისტყაოსანზე“.

გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იყო ცნობილი მხატვრების – მ. ზიჩის, თ. აბაკელიას, ლ. გუდიაშვილისა და ს. მაისაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შექმნილი ნამუშევრები.

საგამოფენო პროექტის ფარგლებში მომზადდა და განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა სკოლის მოსწავლეებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის. გამოიცა ღია ბარათების ნაკრები – „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები“.

„ილიას ხელნაწერები“

2008 წლის 10-15 ნოემბერს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა თიბისი ბანკის საგამოფენო დარბაზში გამართა გამოფენა სახელწოდებით „ილიას ხელნაწერები“. გამოფენა მომზადდა ილია ჭავჭავაძის 170 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებათა სამთავრობო კომისიის მიერ ორგანიზებულ აქციათა ფარგლებში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის ბაზაზე. (საგამოფენო ჯგუფი: თამარ გეგია, თამარ ნატროშვილი, ლელა ქურდაძე).

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ილია ჭავჭავაძის ხელნაწერები, მათ შორის ისეთი ცნობილი ნაწარმოებების ავტოგრაფები, როგორცაა „აჩრდილი“, „განდეგილი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ბაზალეთის ტბა“, „კაცია ადამიანი?!“ და სხვ.

დამთვალეიერებელს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ილიას წერილებს მეუღლისადმი, ოღლა გურამიშვილისადმი, ენახა ილიას უბის წიგნაკები...

გამოფენისთვის მომზადდა სპეციალური ილუსტრირებული-საინფორმაციო ბანერები, სადაც განთავსდა ილიასთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო ფოტო-ინფორმაცია. მაგალითად, ცალკეულ თემებად იყო წარმოდგენილი საწერი იარაღი, ფსევდონიმები, კალიგრაფიის ნიმუშები, ილიას რუსული ნაწერები, მისი პირველი და ბოლო თხზულებები, შავი ჩანაწერები და სხვ.

„პატრიარქის აღსაყდრების 31-ე წლისთავი“

2008 წლის 25 დეკემბერს აღინიშნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 31-ე

წლისთავი. საიუბილეო ღონისძიებები გაიმართა სამების საკათედრო ტაძართან არსებული ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში.

სპეციალურად მოწყობილ გამოფენაზე ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა წარადგინა X-XVII საუკუნეების ხელნაწერების ასლები (ხელმძღვანელები – ეთერ ედიშერაშვილი, ლელა ქურდაძე).

აღსანიშნავია, რომ მულაჟებს და ასლებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აქტიურად იყენებს თავის ადგილობრივ თუ გარე გამოფენებში. მათი უდიდესი ნაწილი დამზადებულია 1977-1990 წლებში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის თანამშრომლების, ლ. ქავთარაძის, ე. მაჭავარიანის, ლ. სიხარულიძისა და ნ. კოპალეიშვილის მიერ.

პატრიარქისადმი მიძღვნილ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო წყაროსთავის (X-XI სს.), მარტვილის (1050 წ.), ჯრუჭი I-ის (930-940 წწ.), მესტიის (1030 წ.), ვარძიის (XII-XIII სს.) ოთხთავები, ასევე, დავითნი (XIII-XV სს.), სვეტიცხოვლის გულანი (1681 წ.), სვინაქსარი (XI ს.), ზატიკი (XII ს.) და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ქართული საეკლესიო ხელნაწერის მულაჟი.

ამასთანავე, გამოიფინა ბანერები, რომლებზეც გამოსახული იყო სხვადასხვა ხელნაწერში დაცული მინიატურები.

„შობის ციკლი ქართულ მინიატურაში“

2009 წლის 9-19 ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ამ სახელწოდების გამოფენა მოაწყო სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში. პროექტი მიზნად ისახავდა საზოგადოებისათვის გაეცნო ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილი საშობაო ციკლის მინიატურული კომპოზიციების საუკეთესო ნიმუშები. გამოფენაზე სიუჟეტური თანმიმდევრობით იყო წარმოდგენილი ფოტომასალა XI-XVII საუკუნეების შემდეგი ხელნაწერებიდან: გელათისსახარება (Q-908, XII ს.), II ჯრუჭის (H-1667; XII ს.), ვანის (A-1335, XII-XIII სს.), ლარგვისის (A-26, XIII ს.), მოქვის (Q-902, 1300 წ.) და სხვა (Q-84, XVI ს., A-514, 1639 წ.) ოთხთავები, ასევე სვინაქსარი (A-648, 1030 წ.), ფსალმუნნი (H43, 1681 წ., H 1665, XIV ს.), დაუჯდომელი (H-98, 1681 წ.), გულანი (S-1277, XVII ს., A-125, XVII ს.). გამოფენაზე სიუჟეტური თანმიმდევრობით იყო წარმოდგენილი შობის ციკლის კომპოზიციების ფოტო-მასალები (40 ფოტო): 1. ხარება; 2. მარიამის შეხვედრა ელისაბედთან; 3. ზაქარიას წინასწარმეტყველება; 4. იოანე ნათლისმცემლის დაბადება; 5. იოსების სიზმარი; 6. ანგელოზის ბრძანებით იოსებს მიჰყავს მარიამი სახლში; 7. მარიამი და იოსები ბეთლემისკენ მიმავალ გზაზე; 8. მოგვების მოსვლა აღმოსავლეთიდან; 9. შემფოთებული მეფე ჰეროდე მღვდელმთავრებსა დამწიგნობრებს ეკითხება ქრისტეს შობის შესახებ; 10. მოგვები მეფე ჰეროდეს წინაშე; 11. შობა; 12. ანგელოზების ხარება მწყემსებს; 13. მოგვთა თაყვანისცემა.

წარმოდგენილი პროექტით ფართო საზოგადოებას საშუალება მიეცა გაცნო-

ბოდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცულ მდიდარ ხელნაწერ და მინიატურულ მემკვიდრეობას.

გამოფენის ფარგლებში დაიბეჭდება კალენდარი შობის მინიატურით.

(საგამოფენო ჯგუფი: ხელმძღვანელი – ლელა ქურდაძე, ეთერ ედიშერაშვილი; კოორდინატორი – თამარ გეგია).

„სასიყვარულო ბარათები“

2009 წლის 19-26 თებერვალს „თიბისი ბანკის“ საექსპოზიციო დარბაზი მასპინძლობდა ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრის გამოფენას, სახელწოდებით: „სასიყვარულო ბარათები“. გამოფენაზე ფართო საზოგადოება გაეცნო ცნობილი ქართველი მოღვაწეების: ილია ჭავჭავაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ივანე ჯავახიშვილის, დუტუ მეგრელის, დიმიტრი შვეარდნაძის, ალექსანდრე არხანოვის და სხვათა პირად არქივებში დაცულ სასიყვარულო წერილებს თავიანთი მეუღლეებისადმი. გამოფენას თან ახლდა თეატრალური ელემენტი – პოეტმა რატი ამალლობელმა და მსახიობმა მურმან ჯინორიამ დამთავალიერებელს ნაუკითხეს სასიყვარულო წერილები. გამოფენის ფარგლებში დაიბეჭდა ალბომი „სასიყვარულო ბარათები“.

გამოფენა გაგრძელდა 26 თებერვლამდე.

(საგამოფენო ჯგუფი: ხელმძღვანელი – ლელა ქურდაძე, თამარ ზაქარიაძე; კოორდინატორი – თამარ გეგია; კონსულტანტები: ლამარა ქაჯაია, ნანა ყანჩაველი, ეთერ ქავთარაძე).

„ქართული სამნიგნობრო კულტურა“

2009 წლის 7 აპრილს, გამომცემლობა „სიესტას“ მიერ ორგანიზებულ წიგნების პრეზენტაციაზე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამონაწილეობით მოეწყო ფოტოგამოფენა სახელწოდებით „ქართული სამნიგნობრო კულტურა“. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების ფოტორეპროდუქციები. მათ შორის, ალავერდის (XI ს.), გელათის (XII ს.), ვანის (XII-XIII სს) და სხვ. ოთხთავები, „ვეფხისტყაოსანი“ (XVII ს.), „ქართლის ცხოვრება“ (XVII ს.), სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი“ და სხვ.

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა აქციაში თანამონაწილეობით წარმოაჩინა მრავალსაუკუნოვანი ქართული სამნიგნობრო კულტურის მნიშვნელობა და მისი განვითარების უწყვეტი ხაზი. (გამოფენის ორგანიზატორი: გიორგი კეკელიძე).

„ისტორიული ტაო-კლარჯეთი“

2009 წლის 8 ივნისს „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა გამოფენა სახელწოდებით „ისტორიული ტაო-კლარჯეთი“. პროექტის ინიციატორი იყო

სოფ. არალის ეკლესიის მღვდელი, მამა იოსები. პროექტის ორგანიზებაში მიიღეს მონაწილეობა ადიგენის რაიონულმა გამგეობამ და საქართველოს ეროვნულმა არქივმა. საგამოფენო პროექტის მიზანს მესხეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაცნობა და მათი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებებში ჩართვა წარმოადგენდა. გამოფენაზე ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა თავისი უმდიდრესი ფოტოკოლექციიდან წარმოადგინა თურქეთის ქართველების ყოფა-ცხოვრების ამსახველი ფოტოები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისშია გადაღებული. ასევე, ქართული ხელნაწერების ფოტორეპროდუქციები და სამხრეთ საქართველოში გადანერილი უძველესი მოხატული ხელნაწერი წიგნების (წყაროსთავის სახარება, X-XI სს; ვარძიის ოთხთავი, XII-XIII სს; იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანება, XI ს.) მულაჟები.

პროექტის ფარგლებში ბავშვებმა დაათვალიერეს ცენტრის ძირითადი ექსპოზიცია „ქართული ხელნაწერი წიგნი“ და მოისმინეს შემეცნებითი საუბრები ქართულ ხელნაწერ მემკვიდრეობაზე.

„ხელნაწერთა არშიებზე“

2009 წლის 30 ივნისიდან 6 ივლისამდე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაარსების დღესთან დაკავშირებით „ცენტრში“ გაიმართა რამდენიმე საიუბილეო ღონისძიება. ღონისძიებათა შორის იყო ექსპოზიცია სახელწოდებით „ხელნაწერთა არშიებზე“. დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ხელნაწერების კიდებზე გადამწერთა თუ შემდგომი პერიოდის მოღვაწეთა შესრულებულ მინაწერებს, კომენტარებს, სხვადასხვა სახის ჩანახატებს, ანდერძ-მინაწერებს, რომლებშიც ხელნაწერის თავგადასავალია ასახული და ა. შ. გამოფენაზე წარმოდგენილი მასალა მრავალფეროვანი იყო. იგი მოიცავდა შემდეგ თემებს: ანდერძი, ანბანი, ვინცა მოიპაროს, გამოცანა, დიდის მცხეთის ტაძრისა ვარ, უშუელე მელანსა და კალამსა, ვაი მომეშია, ნუ მწყევთ, შეიწყალე ამის მწერალი, შეგირცხვა ენა, ვაი მე ცოდვილსა, წამლობანი, მუზა არშიებზე, ხელი მწერლისა.

„ხელნაწერი წიგნის კულტურა“

2009 წლის 21 ოქტომბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოეწყო გამოფენა: „ხელნაწერი წიგნის კულტურა“, რომელიც გახსნა თბილისის მერმა გიგი უგულავამ. გამოფენა დაგეგმილი იყო საერთაშორისო სიმპოზიუმის – „ქართული ხელნაწერი“ – ღონისძიებათა ფარგლებში. საექსპოზიციოდ გამოტანილი მასალა ემსახურებოდა საქართველოს გარე სამყაროსთან უწყვეტი კულტურული კავშირების ილუსტრირებას. ექსპოზიცია ერთ კვირას გაგრძელდა.

„შალვა ამირანაშვილის 110 წლის იუბილე“

2009 წლის 6 ოქტომბერს, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა გაიხსნა.

გამოფენის მიზანს წარმოადგენდა ერვენებინა მეცნიერის ფართო შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო შალვა ამირანაშვილის მიერ მოძიებული და სამშობლოში დაბრუნებული 100-მდე სამუზეუმო ექსპონატი.

დამთვალეირებელს საშუალება ჰქონდა ენახა საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურში დაცული XIX საუკუნის სამეფო ოჯახის ვერცხლის ჭურჭელი, საეკლესიო სარიტუალო დანიშნულების ნივთები და სამღვდელმთავრო ნაქარგი სამოსი, უფლისციხის არქეოლოგიური მასალა, შუა საუკუნეების სვანეთის ფრესკის ასლები და გვიანი შუა საუკუნეების ხატები, რელიეფური ქანდაკების ფრაგმენტები და ა. შ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე საქართველოს ეროვნული არქივის კოლექციებში დაცული საარქივო დოკუმენტები, პირადი წერილები და სემეცნიერო ნაშრომები, აუდიო, ვიდეო და ფოტომასალა.

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გამოფენაზე წარმოადგინა შალვა ამირანაშვილის საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი კედლის მხატვრობის ესკიზები და ცნობილი ქართველი მეცნიერის ფოტოაპარატი. ექსპონატები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შალვა ამირანაშვილის მემორიალურ კაბინეტში, სადაც ხსენებულ ნივთებთან ერთად ინახება მეცნიერის მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელშიც თავმოყრილია ჰუმანიტარული მიმართულების 5000-ზე მეტი წიგნი და პერიოდული გამოცემა როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე. გამოფენა 10 დეკემბრამდე გაგრძელდა.

(გამოფენის ორგანიზატორი: ნანა გოგელია)

„ქართული ხელნაწერი წიგნი“

2009 წლის 20 ოქტომბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოეწყო გამოფენა: „ხელნაწერი წიგნის კულტურა“, რომელიც გახსნა თბილისის მერმა გიგი უგულავამ. გამოფენა დაგეგმილი იყო საერთაშორისო სიმპოზიუმის – „ქართული ხელნაწერი“ – ღონისძიებათა ფარგლებში. მომზადდა სპეციალური ინფორმაციული ბანერები, სადაც წარმოდგენილი იყო ქართულ ხელნაწერ წიგნთან დაკავშირებული საკითხები. მათ შორის, ქართული დამწერლობა, ხელნაწერი წიგნის შემქმნა, პალიმფსესტები, დეკორი., მინიატურა, ხელნაწერების ყდები, მელანი და კალამი, საწერი მასალა – ეტრატი, ქალაღლი... ბანერებთან ერთად ნაჩვენები იყო ქართული ხელნაწერების ფოტო-სლაიდები.

(საგამოფენო ჯგუფი: ლელა ქურდაძე, ეთერ ედიშერაშვილი, დავით კიზირია).

„ხელნაწერი წიგნის კულტურა“

2009 წლის 21 ოქტომბერს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „ხელნაწერი წიგნის კულტურა“. გამოფენა გაიმართა პირველი ქართული საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქართული ხელნაწერი“ ფარგლებში და გაგრძელდა 25 ოქტომბრამდე.

შუა საუკუნეების საქართველოს კულტურული დონის განმსაზღვრელ ნიშანს სწორედ ხელნაწერი წიგნი წარმოადგენდა. მისი შექმნა რამდენიმე პირის ხანგრძლივ შრომას მოითხოვდა: ერთი გადაწერდა, მეორე მოხატავდა, მესამე აკინძავდა და ყდაში ჩასვამდა. იშვიათად იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ყველა ეს ხელობა ემარჯვებოდათ.

გამოფენაზე წარმოდგენილ ხელნაწერთა ერთობლიობა ნათლად ასახავდა შუა საუკუნეების საქართველოს კულტურული ცხოვრების მიმართულებებს, ქართველი და არაქართველი მოსახლეობის კულტურულ ურთიერთობებს, გამოფენა დაყოფილი იყო გარკვეულ თემებად და ქვეთემებად, რაც დამთავალიერებელს საშუალებას აძლევდა ერთეულიდან ერთეულზე გადასულიყო გარკვეული თანმიმდევრობით და კედლის ტექსტების საშუალებით გაცნობოდა ხელნაწერი წიგნის სტრუქტურულ, შინაარსობრივ და მხატვრულ ნიუანსებს.

გამოფენა მომზადდა თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

(საგამოფენო ჯგუფი: ხელმძღვანელი – ლელა ქურდაძე, ეთერ ედიშერაშვილი, კოორდინატორი – თამარ გეგია, კონსულტანტები – ლამარა ქაჯაია, თამარ აბულაძე, თამარ ოთხმეზური, ნინო ქავთარია, ნანა ყანჩაველი, ნანა თარგამაძე, დალი ჩიტუნაშვილი, მაია კარანაძე, ცისანა აბულაძე, ქეთევან ასათიანი).

„საუბრები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლების დეპარტამენტმა წამოიწყო პროექტი „საუბრები ხელნაწერთა ცენტრში“, რომელიც მიზნად ისახავს: 1. საზოგადოებისათვის, უპირატესად კი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, ცენტრის ფონდებისა და სამეცნიერო მუშაობის გაცნობას; 2. ფონდში დაცული მნიშვნელოვანი დოკუმენტების საფუძველზე სტუდენტებისა და მოსწავლეების ჩაბმას დისკუსიაში საქართველოს ისტორიის საინტერესო საკითხებზე.

2008 წელს პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სკოლიდან მოწვეული უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის ჩატარდა შემდეგი ლექციები და საუბრები: „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თურქული წერილობითი ძეგლები“ (ვ. აბულაძე); „ქართველი პილიგრიმები და წმიდა მიწის ისტორია“ (ვ. კეკელია); „ქართულ-ირანული ურთიერთობები – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სპარსული ხელნაწერების ფონდი“ (თ. აბულაძე); „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაბულ ხელნაწერთა ფონდი“ (ნ. ყანჩაველი); „შუა საუკუნეების საწერი მასალა (V-XI სს.) და მისი თავისებურებანი“ (დ. გოგაშვილი); „ასტრონომიულ-ასტროლოგიური წარმოდგენები და

„ვეფხისტყაოსანი“ (თ. აბულაძე); „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხური ხელნაწერები“ (დ. ჩიტუნაშვილი); „ქართული ხელნაწერი წიგნის ყდის ისტორია“ (მ. კარანაძე); „ივანე ჯავახიშვილი (ვიზუალური მასალა ჯავახიშვილის საარქივო ფონდის საფუძველზე)“; „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება და სამნიგნობრო კერები“; „რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიაში“ (გეორგიევსკის ტრაქტატი და 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება); „საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1918-1921 წლებში“.

2009 წელს მოენყო შეხვედრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებთან თემაზე: „ვეფხისტყაოსანი“. ახალგაზრდებს ესაუბრნენ ცენტრის მეცნიერები: მიხეილ ქავთარია – „ვეფხისტყაოსნის ნუსხები“; ლია კიკნაძე – „წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“; თამარ აბულაძე – „ასტროლოგიურ-ასტრონომიული წარმოდგენები „ვეფხისტყაოსანში“; ელენე მაჭავარიანი – „ვეფხისტყაოსნის“ მინიატიურების ხელოვნებათმოდენობითი ანალიზი“.

ამავე წელს სკოლის მოსწავლეებისთვის მოენყო შეხვედრა თემაზე „ტაო-კლარჯეთის სამნიგნობრო კერები და ხუროთმოძღვრება“.

„დისკუსია და მრგვალი მაგიდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“

2009 წლის 22 მაისს განათლების დეპარტამენტმა მოაწყო დისკუსია თემაზე: „საქართველს დამოუკიდებლობის საკითხი 1918 წელს“. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ბრიტანული სკოლა-აკადემიის მოსწავლეებმა, საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ცენტრის სხვადასხვა თაობის მეცნიერებმა.

პროექტი უმცროსკლასელთათვის – „ერთად ავკინძოთ წიგნი „რწყილი და ჭიანჭველა“

2009 წელს, 14 აპრილს, დედაენის დღესთან დაკავშირებით, უმცროსკლასელთათვის შეირჩა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული „დედა ენის“ ო. შმერლინგისეული ილუსტრაციებიდან ზღაპარ „რწყილი და ჭიანჭველა“ ილუსტრაციები. გაკეთდა მათი კონტურული ასლები, თითოეულ ილუსტრაციას დაერთო ტექსტი. ამ მასალის საფუძველზე მოსწავლეებს დაევალიათ გაეფერადებინათ ილუსტრაციები, ჩაეხატათ ერთ-ერთი გამოთოვებული ილუსტრაცია, სპეციალურად გამოყოფილ ველზე დაესათაურებინათ მოცემული გვერდის სიუჟეტი, დაელაგებინათ „წიგნის“ გვერდები სწორი თანმიმდევრობით, ჩაესვათ ყდაში და აეკინძათ მათ მიერ გაკეთებული წიგნი. ქალაქის რესურს-ცენტრების დახმარებით, საგამოფენო დეპარტამენტთან ერთად, დაიგეგმა ერთთვიანი პროგრამა ქალაქის სკოლების უმცროსკლასელთათვის. სულ ვუმასპინძლეთ 24 ჯგუფს. 2 ივნისს, მცხეთის რესურს-ცენტრთან თანამშრომლობის შედეგად, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მოიწვია აგვისტოს ომის შედეგად დენილი უმცროსკლასელები აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მისაღებად;

სალექციო კურსი „ქართული ხელნაწერი“

2009 წლის 6 ნოემბრიდან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლების დეპარტამენტმა დაიწყო სალექციო კურსი „ქართული ხელნაწერი“. სოხუმის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის I-II კურსის მაგისტრანტებთან კურსი მიჰყავს ნესტან ჩხიკვაძეს. ლექციები ტარდება ყოველ პარასკევს, 14 საათზე კორნელი კეკელიძის დარბაზში.

მივლინება, ექსპედიციები

მივლინება ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში

2009 წლის გაზაფხულზე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერი თანამშრომლები – ქეთევან ბეზარაშვილი და თამარ ოთხმეზური – სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდნენ ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში (ლუვენ-ლა-ნევი, ბელგია). ამ უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტთან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერებს დიდი ხანია, აქვთ ურთიერთობა. ბოლო წლების მანძილზე ერთობლივი პროექტით მომზადდა IV საუკუნის კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების ბერძნული და სხვაენოვანი თარგმანების პუბლიკაცია, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ მასალას. უკვე გამოიცა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების ექვსი ტომი სერიით Corpus Christianorum. ამჟამად გამოსაცემად მზადდება მომდევნო ტომები. ქართველი მეცნიერების ვიზიტი ბელგიაში უკავშირდებოდა სწორედ ამ სამომავლო პუბლიკაციებს. გადაისინჯა და საბოლოოდ შესწორდა მომდევნო ორი ტომის მასალა, დაიგეგმა გრიგოლის თხზულებათა გამოცემის შემდგომი ეტაპი – არალიტურგიკული სიტყვების გამოცემა, გრიგოლის თხზულებებზე შექმნილი კომენტარების პუბლიკაცია, ლექსიკონებისა და სხვადასხვა სახის საძიებლების ფორმატი და ა. შ. ბელგიაში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას ქეთევან ბეზარაშვილმა დაასრულა მუშაობა თავისი მონოგრაფიული ნაშრომის ინგლისურ ვერსიაზე („შუა საუკუნეების რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით“). ეს ნაშრომიც გადაიცა გამოსაცემად სერიაში Corpus Christianorum.

ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში ქ. ბეზარაშვილს და თ. ოთხმეზურს შესაძლებლობა მიეცათ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელიც შეიცავს უმნიშვნელოვანეს ნაშრომებს ბერძნულ პალეოგრაფიაში, გადაეხინჯათ მათ მიერ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ბოლო წლებში შედგენილი ბერძნული ხელნაწერების აღწერილობა. მეცნიერებმა ჟურნალ Byzantion-ში (ბელგია) გამოსაცე-

მად გადასცეს სტატია: „Gr. 33/48 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბერძნული კოლექციიდან.“ ასევე ჟურნალისათვის Nea Rhome (იტალია) იქვე მოამზადეს სტატია: „უცნობი ფრაგმენტი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბერძნული კოლექციიდან“.

თამარ ოთხმეზური

მივლინება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში

2009 წლის აპრილ-ივნისში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრსა და პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. ჩხიკვაძე იმყოფებოდა პარიზში, საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ხელნაწერთა დეპარტამენტში დაცული ქართული ხელნაწერების ფრანგულენოვანი ელექტრონული კატალოგის მოსამზადებლად. ელექტრონული კატალოგი ეყრდნობა 1933 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შედგენილ ამავე კოლექციის აღწერილობას და ქართველ ფილოლოგთა იმ დაკვირვებებს, რომლებიც დაგროვდა აღნიშნული ხელნაწერების მიკროფირებზე მუშაობის შედეგად (ეს მიკროფირები ხელნაწერთა ინსტიტუტმა მიიღო XX ს-ის 70-იან წლებში ე. მეტრეველის ძალისხმევით).

ნესტან ჩხიკვაძე

მივლინება თურქეთში

2009 წლის სექტემბერში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საპროექტო ჯგუფი – „ქართული ხელნაწერი წიგნი“ (ხელმძღვანელი ნ. ჩხიკვაძე) იმყოფებოდა თურქეთში. ექსპედიცია მიზნად ისახავდა თურქეთში არსებული სამონასტრო-სამწიგნობრო ცენტრების ფოტოფიქსაციას. მივლინების შედეგად შეიქმნა სლაიდ-შოუ „კაპადოკიიდან ტაომდე“.

ნესტან ჩხიკვაძე

ფონდების შექმნა

ისტორიული საბუთები

2008 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული საბუთების ფონდს შეემატა შემდეგი საისტორიო დოკუმენტები: 1. ზემო და ქვემო აჭარის საგადასახადო დავთრის ასლი თურქულ ენაზე (შემომწირველი ზურაბ ბატიაშვილი); 2. ბულგარეთში დაცულ ოსმალურ საისტორიო საბუთთა ასლები (შემომწირველი ცისანა აბულაძე). 3. ნასყიდობის ხელშეკრულება ქართულ ენაზე, მიცემული აზნაურ სპირიდონ ბესოს ძე ქუთათელაძის მიერ გლეხ გიორგი უგრეხელიძისათვის (შეძენილი).

2009 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული საბუთების ფონდი შეივსო დოკუმენტებით: 1. სტამბულში, პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული თბილისის შესახებ სამი ოსმალური დოკუმენტის (1730-1732 წწ.) ასლი; 2. ამავე არქივში დაცული ოსმალური დოკუმენტის – ჩილდირის ვილაიეთის მოკლე იჯმარ დავთრის (1590-1622 წწ.) და 3. ბათუმის ლივის იჯმალ დავთრის (XVI საუკუნის ბოლო მეოთხედი) ასლები (შემომწირველები: ნოდარ შენგელია, მირიან მახარაძე); 4. ჭიათურის რაიონის სოფ. ნიგოზეთში აღმოჩენილი XIX საუკუნის ბოლოს შედგენილი საბუთი (შემომწირველი მამუკა ხვედელიძე); XIX საუკუნის სხვადასხვა შინაარსის ისტორიული საბუთი – 17 ერთეული, 2 – საბუთის პირი (შემომწირველი ლელა შათირიშვილი); 5. XIX საუკუნის სხვადასხვა შინაარსის ისტორიული საბუთი (შემომწირველი რამაზ ობოლაძე) – 10 ერთეული.

ხელნაწერები, ძველნაბეჭდი წიგნები

2008 წელს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა საჩუქრად მიიღო ძველნაბეჭდი წიგნი – „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ (შემომწირველი ალექსანდრე (კახა) ლომაია).

2009 წელს ცენტრის ხელნაწერთა ფონდს შეემატა ხელნაწერები: 1. სამართლის წიგნის XIX საუკუნის ნუსხა (შემომწირველი რამაზ ობოლაძე); 2. ტარასი მესხიშვილის ბიბლიოთეკიდან – ხელნაწერი „ქართველი ბერ-მონაზონნი აღმოსავლეთის მონასტრებში“ (შემომწირველი ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკა); 3. 1821 წელს გადაწერილი კარაბადინი (შეძენილი); ასტროლოგიური შინაარსის ქართული ხელნაწერი (შეძენილი).

ბიბლიოთეკა

2008 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკამ მიიღო 46 ერთეული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, სომხურ, იაპონურ ენებზე. თემატურად იგი მოიცავს: ქართული ენის ისტორიას, საქართველოს ეკლესიის ისტორიას, მედიევისტიკას, ღვთისმეტყველებას, პალეოგრაფიას, ბიბლიოლოგიას. მათ შორისაა სერიული გამოცემები, მაგ., Corpus Christianorum Thesaurus Patrum Graecorum – სრული კოლექცია (*ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტის საჩუქარი ელენე მეტრეველის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციასთან დაკავშირებით*); Patrologia Orientalis. Tome 50, fascicule 3, N 224. 2008 (შემომწირველი *შარლ რენუ*); Incipitarius liturgischer Hymnen in ostslavischen Handschriften des 11. bis 13. Jahrhunderts – 3 ტომი (Oroff. Hans Rothe); Revue des etudes Armeniennes. Tome 19-26 (შემომწირველი *ჟან პიერ მაე*); Monumenta Palaeographica Mediaevi. Series Ibero-Caucasica, Codex Vindobonensis georgicus 2. The old Georgian Palimpsest. Brepols. 2007 (შემომწირველი *ჟან პიერ მაე*); The Old Georgians Palimpsest, Codex Vindobonensis Georgicus 2. vol. 2 (შემომწირველი *იოსტ*

გიპერტი). ლუვენის უნივერსიტეტიდან Corpus Christianorum. Series Graeca. 58. Corpus Nazianzenum. 20. Leuven. 2007. Corpus Christianorum. Thesaurus partum Graecorum. Thesaurus Amphilochoii iconiensis. 1994 (2 ეგზ.); Le Muzeon. Tome 120, Fasc. 3-4.

საფრანგეთის ქართული საელჩოს დახმარებით ცენტრის ბიბლიოთეკას შემოემატა 60 ერთეული საფრანგეთში მცხოვრები ქართველის, კარლო ინასარიძის ბიბლიოთეკიდან: წიგნები, კრებულები, ჟურნალები. ამ კოლექციაში შესულია ზ. ავალიშვილის, ვ. ნოზაძის, ა. შათირიშვილის, ნ. ჟორდანია და ევროპელ ავტორთა ნაშრომები, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკურ პრობლემატიკაზე. ამერიკის საელჩოდან საჩუქრად მიღებულ წიგნებს შორისაა გამოცემები ეკლესიის ისტორიის, ისლამური ცივილიზაციის, ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმების შესახებ, აგრეთვე ბიზანტიისა და ისლამის ისტორიის ენციკლოპედიური გამოცემები. ჰოკაიდოს უნივერსიტეტის სლავური კვლევის ცენტრიდან (იაპონია, ქ. საპორო) ცენტრმა საჩუქრად მიიღო 15 ერთეული ბოლო წლების გამოცემა უახლესი ისტორიის აქტუალურ საკითხებზე. საფრანგეთის აზიური საზოგადოებიდან “ცენტრმა” საჩუქრად მიიღო გამოცემები: Journal Asiatique. Periodique trimestriel Publie par la Societe Asiatique avec le concours du centre national de la recherche scientifique. Tome CCXXXIX. Annee. 1951. Paris; Turcica. Revue d’etudes torques. Tome I. Paris. 1969.

2009 წელს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა საჩუქრად მიიღო შემდეგი სამეცნიერო ლიტერატურა: გამომცემლობა „არტანუჯის“ შემოწირული წიგნები – 7 ერთეული (*შემომწირველი გამომც. „არტანუჯი“*); თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოდან შემოწირული წიგნები, კრებულები, კატალოგები, გაზეთები – 82 ერთეული (*შემომწირველი თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო*); სვანეთი – ქართული კულტურის სვანეთი, თბ. 2008 (*შემომწირველი მეუფე სტეფანე (კალაიჯიშვილი)*); ცხოვრება წმიდისა მაქსიმე აღმსარებლისა (*შემომწირველი მეუფე სტეფანე კალაიჯიშვილი*); XX საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები (*შემომწირველი ოქროპირ ჯიქური*); სამი ისტორიული წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732 წწ.), თბ. 2008 (*შემომწირველი ნოდარ შენგელია*); ჩილდირის ვილაიეთი მოკლე (იჯმალ) დავთარი, თბ. 2008 (*შემომწირველი ნოდარ შენგელია*); ფაჰრეთინ ჩილოღლუ, დედა ენა [ქართულ და თურქულ ენებზე], 2008 (2 ეგზ.) (*შემომწირველი ფარნა ჩილაშვილი*); თენგიზ პაპუაშვილი, საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ. 2008 (2 ეგზ.) (*შემომწირველი თენგიზ პაპუაშვილი*); უნივერსიტეტი (*შემომწირველი ლელა ჯანაშვილი*); ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926, თბ. 2006 (*შემომწირველი ზურაბ გაიპარაშვილი*); ვახტანგ ჯობაძე, ჩემი თავგადასავალი, თბ. 2009 (3 ეგზ.) (*შემომწირველი ზურაბ ფოცხიშვილი*); უსნორო კარაბაღინი (*შემომწირველი რამაზ შენგელია*); ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წწ.), თბ. 2009 (*შემომწირველი სერგო ვარდოსანიძე*); ეპისკოპოსი კირიონი, ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში (*შემომ-*

წირველი სერგო ვარდოსანიძე); სერგო ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წწ.), თბ. 2009 (*შემომწირველი სერგო ვარდოსანიძე*); მარიანა კორომილა. ბერძნები შავ ზღვაზე ბრინჯაოს ხანიდან XX საუკუნის დასაწყისამდე, თბ. 2008 (*მთარგმნელები: მედეა აბულაშვილი, მედეა მეტრეველი, ქეთევან ცინცაძე*); გ. შარაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძაობის დასავლეთევროპული ცენტრი ფენევაში და პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ევროპაში, თბ. 2006 (3 ეგზ.) (*შემომწირველი რუსუდან კობახიძე*); ჟორჟ დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, თბ. 2009 (*არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი*); წმიდა გრიგოლ ხანძთელი, თბ. 2006 (*შემომწირველები რ. სირაძე, მ. ტუსკია*); წმინდა ნინო, თბ. 2008 (*შემომწირველები რ. სირაძე, მ. ტუსკია*); გ. ლობჯანიძე, ევროპული რუკები და საისტორიო ნყარობები საქართველოს შესახებ (XVI-XVIII სს.), თბ. 2009 (*შემომწირველი ნიკო ჯავახიშვილი*); იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი, მოთხრობა, პოემა, ლექსები, თბ. 2006 (*შემომწირველი დავით ცერცვაძე*); დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორია (ისტორიული აღმანახი), თბ. 2009 (*შემომწირველი ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა)*); მცხეთის წმ. ჯვრის ტაძარი, თბ. 2008 (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო); ლექსმცოდნეობა, თბ. 2008 (2 ეგზ.) (*შემომწირველი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*); გალაქტიონოლოგია. IV, თბ. 2008 (2 ეგზ.) (*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*); ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, 2008 (*შემომწირველი ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი*); ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, X, თბ. 2009 (2 ეგზ.) (*შემომწირველი არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი*); ბოლნისის ეპარქიის გაზეთი „სიონი“, 5, 13, 14, 22, 24, 25, 26 (*შემომწირველი მამა პეტრე (კვარაცხელია)*); „ჭყონდიდი“, მართლმადიდებლურ-შემეცნებითი ჟურნალი, 7-8 (47-48). ივლისი-აგვისტო, 2009 (*შემომწირველი ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა)*); ჟურნ. „თორი“. 2, 2006 (*შემომწირველი ბაკურ გელაშვილი*); ჟურნ. აღმოსავლეთი და კავკასია. 5, 2007, 6, 2008 (*შემომწირველი მირიან მახარაძე*); კრიტიკა, 3, 2008 (2 ეგზ.) (*შემომწირველი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*); ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, X, 2008 (*შემომწირველი ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი*); სჯანი, 9, 2008 (2 ეგზ.) (*შემომწირველი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*); ლიტერატურული ძიებანი, XXIX, 2008 (2 ეგზ.) (*შემომწირველი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*); ქართულ-აფხაზური ალბომი, 2008 (5 ეგზ.) (*შემომწირველი გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი*); სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბ. 2008 [მუზეუმის ბუკლეტი] (*სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი*); ხელვაჩაური (ინგლისურ ენაზე) [ბუკლეტი] (*შემომ-*

ნირველი როინ მალაყმაძე); ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გზამკვლევი (შემომნირველი როინ მალაყმაძე); ე. მანია, 1938-1999. ფერწერა, გრაფიკა, პოეზია. თბ. 2003 (შემომნირველი ირინა ონიანი); მაშტოცის სახელობის მატენადარანის სომხურ ხელნაწერთა გენერალური კატალოგი, IV. ერევანი. 2008 (სომხურ ენაზე) (შემომნირველი პარუირ მურადიანი); ბასილი კესარიელი, II. მარხვათა წიგნი, გამოკვლევა კ. მურადიანის. ეჩმიადინი. 2008 (შემომნირველი პარუირ მურადიანი); კ. მარჯანიანი, სტეფანოს შარიმანიანის „სომხეთის ბოტანიკა და ფლორა“. ერევანი, 2008 (რუსულ ენაზე) (შემომნირველი პარუირ მურადიანი); სამველ კარაპეტიანი, კავკასიის მუზეუმის სომხური კოლექცია, ერევანი, 2004 (სომხურ ენაზე) (შემომნირველი ბუბა კუდავა); [მწერალ თედო რაზიკაშვილის კუთვნილი წიგნი] – Янь Амось Коменскій. Дидактика. СПб. 1875-1877 (შემომნირველი ქეთევან მთიულიშვილი); L'Ancien Testament en syriaque. 2009 (შემომნირველი ბერნარ უტიე); M. MO'IM. A Persian dictionary. Tehran. 1996 (6 ტომი) (შემომნირველი თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო); Caucase par Andre Beucler. Paris. 1931 (შემომნირველი ბერნარ უტიე); Bibliotheksforum Bayern. Juli, 2008; Oktober. 2008 (ჭურნალის რედაქცია); In The Beginning Bibles before the year 1000 [ვაშინგტონში, სმიტსონიანის მუზეუმში ჩატარებული I ათასწლეულის ბიბლიის მსოფლიო გამოფენის სპეციალური კატალოგი] (7 ეგზ.) (აშშ, ვაშინგტონი, სმიტსონიანის მუზეუმი.); Vies des penitents et des femmes Ermites dans L'Hagiographie Georgienne (Selon les manuscrits des Xe – XIe siecles). vol. I, II, III. 2008 (შემომნირველი ნანა მირაშვილი); Nobels. Nobel Laureates photographal by Pete Badge. Berlin (Bayerische Staatsbibliothek); Als die lettern laufen lernten. Medienwaldeh im 15 jahrhundert. Inkunabeln aus der Bayerischen Staatsbibliothek Munchen. 2009 (Bayerische Staatsbibliothek); Bitirme Tezi. Gurcistan muzik kulturunde polifoni ve performans pratiklere. Istanbul. 2007 (შემომნირველი ოზგე ჩილდემდენიზჯი); OPMYΛIA; Livret-Annuaire, 21, 2005-2006 cent trente-ruitieme annee. Paris. A La Sorbonne. 2007 (გამომცემლებსაგან); Skani Nena, Yil 1- Say 1. Laz Kultur Dernegi Yayiridir. 2009 (შემომნირველი ირფან ჩალათაი); Robert Althann S.J. Elenchus of Biblica. 2003. Roma. 2006; The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai. I. 2008 (შემომნირველი იოსტ ვიპერტი); The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai. II. 2008 (შემომნირველი იოსტ ვიპერტი); Annuaire, Cent quarantieme annee, Paris, 2009 (გამომცემლებსაგან).

საარქივო მასალა

2008 წელს არქივების დეპარტამენტში შემოვიდა შემდეგი ახალი საარქივო მასალა: კარლო ინასარიძის (საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ემიგრანტი) პირადი არქივის ნაწილი (შემომნირველი კარლო ინასარიძე); ნიკო სამადაშვილის „მზესთან შეხვედრა“, „ნიკოლოზ ბარათაშვილს“. ავტორისეული ხელნაწერები (შემომნირველი მზია სამადაშვილი) ; ვალერიან გაბაშვილის პირადი არქივი

(შემომწირველი მანანა გაბაშვილი); ვალერიან ცაგარეიშვილის პირადი არქივი (შემომწირველი ელენე ცაგარეიშვილი); გრიგოლ ლორთქიფანიძის პირადი არქივი (შემომწირველი თეიმურაზ ლორთქიფანიძე); დავით გვრიტიშვილის პირადი არქივი (შემომწირველი ლუიზა გვრიტიშვილი); მამია დუმბაძის პირადი არქივი (შემომწირველი მალხაზ (მამუკა) დუმბძე); დერმიშა გოგოლაძის პირადი არქივი (შემომწირველები ანდრო და მედეა (ბაია) გოგოლაძეები); ალექსანდრე ვაჩიშვილის პირადი არქივი (შემომწირველი ირაკლი და ნუნუ (ნინო) ვაჩიშვილები); კონსტანტინე გამსახურდიას პირადი არქივის ნაწილი: XX ს-ის 10-იან წლებში მწერლის მიერ გერმანიიდან საქართველოში გამოგზავნილი წერილები (შემომწირველები შორენა და დავით (კონსტანტინე) ახოზაძეები); ივანე (ვანო) სტურუას პირადი არქივი (შემომწირველი ირინა გოგოლაშვილი); ვიქტორ კუპრაძის პირადი არქივი (შემომწირველი ნანა კუპრაძე); ილია ვეკუას პირადი არქივის ნაწილი (ასლები) (შემომწირველი გოჩა საითიძე); ლევან ყანჩაველის პირადი არქივი (შემომწირველი ნანა ყანჩაველი); ლია ანდლულაძის პირადი არქივი (შემომწირველი ლია ანდლულაძე); ელისე პატარიძის საარქივო მასალა (შემომწირველი ოთარ პატარიძე); ფერეიდნელი ქართველის იდმოჰამადე ასლანის მომართვის ტექსტები (შემომწირველი იდმოჰამადე ასლანი/ონიკაშვილი); ქრისტინე ფალავას წერილების ასლები (შემომწირველი ოთარ პატარიძე); აკაკი რამიშვილის პროექტი ქართული სათვისტომოს შესახებ (ასლი) (შემომწირველი ოთარ პატარიძე); აკაკი რამიშვილის წერილის ასლი (ფრანგულ ენაზე) (შემომწირველი ოთარ პატარიძე); ოთარ პატარიძის წერილი აკაკი რამიშვილისადმი (შემომწირველი ოთარ პატარიძე); ფოტო, სადაც აღბეჭდილია კონსტანტინე გვარჯალაძე, მისი მეუღლე ბაბულია სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, სულ 5 პიროვნება (შემომწირველი ოთარ პატარიძე); რუსულენოვანი საარქივო მასალები ვახტანგ VI-ის მემკვიდრეთა ურთიერთობის შესახებ (ეს მასალები საფუძვლად დაედო პუბლიკაციას: რ. მეტრეველი, ნ. ჯადუგიშვილი, „მკვიდრი უმკვიდრო შვიკენ“. თბ. 2007.

2009 წელს შემოვიდა შემდეგი საარქივო მასალა: ალექსანდრე (ალიოშა) და სიმონ ჯაფარიძეების პირადი არქივი (შემომწირველი ივანე ჯაფარიძე); ირაკლი აბაშიძის პირადი არქივი (შემომწირველი ირინე აბაშიძე); გიორგი სტურუას პირადი არქივი (შემომწირველი მაყვალა ილურიძე-სტურუა); შოთა მესხიას პირადი არქივი (შემომწირველები მანანა და მარინე მესხიები); აკაკი გელოვანის პირადი არქივი (შემომწირველი ნინო გელოვანი); ხუტა ბერულავას პირადი არქივი (შემომწირველი მზეონა ბერულავა); იოსებ იმედაშვილის „ფსევდონიმების ლექსიკონი“; ილია ტაბალუას პირადი არქივი (შეძენილი); კარლო ინასარიძის არქივი (შემომწირველი კარლო ინასარიძე); სერგი მაკალათიას პირადი არქივი (შემომწირველი თამარ მაკალათია); იოსებ (იუზა) ლორთქიფანიძის პირადი არქივი (შემომწირველი ფატი შატბერაშვილი-ლორთქიფანიძე); ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის პირადი არქივი (შემომწირველი ლეილა ფარულავა); მასალები არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის პირადი არქივისთვის (უცხოენოვან სამეცნიერო

პერიოდულ გამოცემებში პუბლიკაციები, მის შესახებ ქართულ პერიოდულ გამოცემებში პუბლიკაციები და სხვა) (ასლები) (*შემომწირველი გოჩა საითიძე*); ხასან ჰელიმიშის პირადი არქივი (*შემომწირველი ნოდარ (რაფეტი) კაკაბაძე*); ისიდორე ვარაზაშვილის პირადი არქივი (*შეძენილი*); ნიკო სამადაშვილის პირადი არქივის მასალები (10 ფოტო) (*შემომწირველი მზია სამადაშვილი*); ფერეიდნელ ქართველთა ხელნაწერები (წერილები) (*შეძენილი*); ფერეიდნელ ქართველებთან დაკავშირებული საარქივო მასალები (*შემომწირველი გოგიტა დავითაშვილი (აბდორეზა რაჰიმი)*); სხვადასხვა პერიოდის და სხვადასხვა პირთა წერილები, ბარათები, საბუთები, ფოტოები, ბონი (*შეძენილი*); 1988 წლის გამოცემის მიხედვით ხელით გადანერილი „ვეფხისტყაოსანი“ (*შემომწირველი ნელი ჭელიძე*); ელენე ივანეს ასული მაჩაბელი-ჩერქეზიშვილის 1946 წლის განცხადება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის სახელზე (*შემომწირველი ლელა შათირიშვილი*); Liste des publications de Bernard Outtier [ბერნარ უტიეს ბიბლიოგრაფია] (*შემომწირველი ბერნარ უტიე*).

სხვადასხვა

2008 წელს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა შემოწირულობების სახით მიიღო სხვადასხვა საგნები: 1. ხატი – „საქართველოს დიდება“ (*ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა)*); 2. რუკა – თბილისის გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის ამსახველი რუკა, 1999 (*შემომწირველი ვლადიმერ კეკელია*); 3. ნახატი – ქ. ქუთაისის ხედი (შემოწირული ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ცენტრის“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის) დაარსებიდან 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით); 4. ალექსანდრიის საპატრიარქოს სიმბოლო (*შემომწირველი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი, უნეტარესი თეოდორე II*).

2009 წელს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადმოეცა: 1. აკაკი წერეთლის სურათი (*შემომწირველი ოთარ პატარიძე*); 2. ღმრთისმშობლის ხატი, წმინდანთა გამოსახულებებიანი, ბზაზე შესრულებული ხატი (*შემომწირველი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II*); 3. სიმონ ციციშვილის შედგენილი „საქართველოს ანუ გეორგიის რუკა“; კავკასიის ფიზიკური რუკა „KAUKAZ“. ვარშავა. 1933 (2 ეგზ.); საქართველოს ეკონომიკური რუკა „CARTE ECONOMIQUE DE LA GEORGIE“ ; აზერბაიჯანის რუკა „CARTE DE LA REPUBLIQUE DE L'AZERBAIDJAN“ (*შემომწირველი კარლო ინასარიძე*).

პრეზიუმი

2009 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ კ. კეკელიძის სახელობის პრემიით დააჯილდოვა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორი მეცნიერი თანამშრომელი: 1. ქეთევან ბეზარაშვილი ნაშრომისათვის: „რიტორიკისა

და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით“, თბილისი, 2004 (794 გვ.); 2. ელენე მაჭავარიანი ნაშრომისათვის: „ნიგნის ხელოვნება ძველ საქართველოში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008 (179 გვ.).

ბამოხაურება

2007 წელს პარიზში გამოიცა ფრანგი ისტორიკოსის, მონპელიეს უნივერსიტეტის მაგისტრის, ფრედერიკ ლუსეტოს (1977-2000) ნაშრომი „სომხები და აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანები მონღოლთა ბატონობის დროს“ – ყაზანის ილხანობის პერიოდი 1295-1304 (რედაქტორები: იზაბელ ოჟე და ჟერარ დედეიანი). ნაშრომს ერთვის აკადემიკოს ჟან რიშარის წინასიტყვაობა. ფ. ლუსეტომ სპეციალურად ამ საკითხის გამოსაკვლევად სომხური და რუსული ენები ერევნის უნივერსიტეტში შეისწავლა.

ნაშრომი შესავლისა და სამი ნაწილისაგან შედგება. შესავალ ნაწილში ავტორს მიმოხილული აქვს საკითხის გარშემო არსებული მრავალრიცხოვანი წყარო. სომხური წყაროებიდან გამოყენებული აქვს: „საქმენი კვიპროსელთა“, გრიგოლ აკანეცი, ჰეთუმის ქრონიკა, კირაკოს განძაკეცი, სომხური ხელნაწერების კოლოფონები, სუმბატ კონეტაბლი, სტეფანოს ორბელიანი, ვარდან არეველიცი.


არაბული წყაროებიდან: აბუ ლ-ფიდა, ალ ჯაზარი, ალ-კალკაშანდი, ალ-მაკრიზი, ალ მუფადალი, იბნ შადადი, იბნ თაიმი.

ლათინური წყაროებიდან: გუილიომ რუბრუკისის, მარკო პოლოს და რიკოლდო და მონტეკროჩეს (პენინი) მოგზაურობები.

სირიული წყაროებიდან: მარ იაბალახასა და რაბან ბარსაუმას ისტორია, აბულ ფარაჯი.

ბიზანტიურიდან – გიორგი პახიმერი და სპარსულიდან რაშიდ ად-დინი.

ქართულ წყაროებს ლუსეტო მხოლოდ მარი ბროსესეული ფრანგული თარგმანით იცნობს – M-F. Brosset *Histoire de la Géorgie*, 5. vol., SPb., 1849-1858. ამ გამოცემაში შესულია „ჟამთააღმწერელი“-ს ტექსტიც, რომელსაც საფუძვლად



უდევს ფალავანდიშვილისეული ნუსხა, რომელშიც შეტანილია განსხვავებები თეიმურაზისეული და რუმინანცევისეული ნუსხებიდან, მაგრამ ეს განსხვავებები ყველა შემთხვევაში შენიშვნებსა და კითხვა-სხვაობებში აღნიშნული არ არის. სასურველია ლუსეტო ფრანგულ გამოცემასთან ერთად, „ჟამთააღმწერელი“-ს აკადემიური გამოცემიდან ნათარგმნ სომხური ტექსტსაც დაყრდნობოდა: *Կրաց Ժամանակագրություն, թարգմանությունը հին վրացերից, առաջաբանը և ბանութագրությունները Պարույր Մուրադյանի, Երեւան, 1971*. ცხადია, იგი ქართული ენის არცოდნის გამო ქართულ გამოცემას ვერ გამოიყენებდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართული წყაროების, აკადემიური გამოცემების, ევროპულ ენებზე სათანადო თარგმანის აუცილებლობაზე. გარკვეულ უხერხულობას იწვევს წიგნის დასაწყისში XIV საუკუნის ახლო აღმოსავლეთის ამსახველი ფრანგულენოვანი რუკა, რომელშიც საქართველო აღნიშნულია როგორც გურჯისტანი და არა *Géorgie*, თუმცა ეს იმ ისტორიული ატლასის ნაკლი უფროა, საიდანაც ეს რუკაა ამოღებული (*C. Mutafian et E. Van Lauwe, dans Atlas historique de l' Arménie, Paris, 2001*), და არა ლუსეტოს ნაშრომისა.

რაც შეეხება ლიტერატურას, ავტორი მრავალრიცხოვან გამოკვლევებს იყენებს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, გამოყენებული აქვს სომხურიც. ქართველი ავტორებიდან იცნობს მხოლოდ კალისტრატე სალიას წიგნს – „საქართველოს ისტორია“ (*K. Salia, Histoire de la Géorgie, Paris, 1980*). აღნიშნული საკითხი კარგად არის შესწავლილი რუსულ ისტორიოგრაფიაშიც. ცხადია მეცნიერს უკლებლივ ყველა ნაშრომის გაცნობა არ მოეთხოვება, მაგრამ სასურველი იყო ავტორი საკვლევი პერიოდის შეახებ არსებულ განმაზოგადებელ ნაშრომებს მინც გაცნობოდა (მაგ: *После Марко Поло, путешествия западных путешественников в страны трёх индии, перевод с латинского и староитальянского языков, введение и примечания Я.М. Света, М., 1968*).

შესავლის შემდგომ, ნაშრომის პირველ თავში, ავტორი შემდეგ საკითხებს ეხება: ქრისტიანობისა და ისლამის ადგილი და როლი ილხანთა სახელმწიფოში, ყაზან ყაენის ბიოგრაფია, ყაზანის გამუსლიმება, ყაზან ყაენის რელიგიური ცნობიერება, მისი ბრძოლა ბაიდუს წინააღმდეგ, ყაზანის დამოკიდებულება დამასკოს მიმართ, ემირ ნავრუზისა და ყაენის ურთიერთდამოკიდებულება, მუსლიმთა პოლიტიკა ქრისტიანების მიმართ, ედიქტები, მონღოლების დამოკიდებულება ნესტორიანი პატრიარქების მიმართ და სხვა.

ავტორი მეორე თავში ეხება: დასავლეთთან შესაძლო ალიანსს, ყაზანისა დამოკიდებულებას თავის ქვეშევრდომ აღმოსავლეთის ქრისტიანებთან, ბრძოლას წმ. მიწისათვის და იერუსალიმის აღებას, პაპების წინადადებებს ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ, აღმოსავლურ ალიანსებს, ურთიერთობას ბიზანტიასთან და სხვა მონღოლურ სახანოებთან. მამლუქებს, პოლიტიკურ ბრძოლებს საილხანოში, ბრძოლას მონღოლებსა და მამლუქებს შორის.

მესამე თავი ეხება: ყაზანის ქრისტიან მოკავშირეებს, მათ როლსა და სამხედრო ვალდებულებებს. ბრძოლას სირიისათვის და ურთიერთობას მამლუქებთან.

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ, თუ როგორ არის გაშუქებული ნაშრომში საქართველოს საკითხი. ავტორს მიმოხილული აქვს დავით VI ნარინის აჯანყების ამბავი. მონღოლებისა და დემეტრე II ურთიერთობა, უკანასკნელის მონაწილეობა მონღოლთა დაპყრობით ომებში, მისი სიკვდილით დასჯა. ლუსეტო შედარებით ვრცლად ეხება დავით VIII მეფობის პერიოდს: მონღოლების პოლიტიკას დავით VIII მიმართ, მისთვის ძმების ვახტანგ III და გიორგი V დაპირისპირებას, საქართველოს სტრატეგიულ ადგილმდებარეობას ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი გზების კონტროლის თვალსაზრისით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება წყაროების მიმართ. საინტერესოა მისი დაკვირვებები მონღოლების რიგებში მებრძოლი ქრისტიანების რაოდენობასა და ამის შესახებ არსებული სომხური წყაროების, კონკრეტულად სუმბატ კონეტაბლისა და მისი გამგრძელების ცნობების თაობაზე. ავტორი ასკვნის, რომ მონღოლების დაპყრობით ოპერაციებში ქრისტიანების – ქართველებისა და სომხების ჯარს არსებითი გარდატეხა არ მოუხდენიათ.

საერთო ჯამში, ნაშრომი, მასში ღიად დარჩენილი რიგი საკითხების მიუხედავად, მონღოლებისა და აღმოსავლეთის ქრისტიანების ურთიერთობის მთლიანი ჭრილის კვლევის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. დარწმუნებულები ვართ, რომ არა ფ. ლუსეტოს ტრაგიკული დაღუპვა, იგი ამ სფეროში წარმატებულ კვლევას გააგრძელებდა. მისი გარდაცვალება ფრანგული სამეცნიერო საზოგადოებისათვის სერიოზული დანაკლისია.

ვლადიმერ კეკელია

საგამომცემლო ჯგუფი
თამარ გვგია
ანა მილაშვილი
ვიოლა ტულუში
ალექსანდრე ჯიქურიძე



სელნანართა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მ. ალექსიძის 1/3. 247 42 42.
www.manuscript.ge

NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
0193 Tbilisi, 1/3, M. Alexidze street. 236 41 85.